

ქართული ხალხური
ს ა ი ს ტ ო რ ი ო
სიტყვიერება
III

ტექსტების მომზადება, რედაქცია,
შესავალი და შენიშვნები

ქსენია სისხაშულიძის



გამომცემლობა «მეცნიერება»
თბილისი • 1967

ქსენია სიხარულიძის მიერ შედგენილი და გამო-
საცემად მომზადებული ხალხური საისტორიო სიტყვი-
ერების კრებული წარმოადგენს გაგრძელებას და
უკანასკნელ ტომს წიგნისა „ქართული ხალხური სა-
ისტორიო სიტყვიერება“, რომლის ტ. I, 1961 წელს
გამოსცა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, ხოლო
ტ. II — 1964 წელს. წიგნი ორი ნაწილისაგან შედ-
გება. პირველ ნაწილში წარმოდგენილია ხალხური სიტ-
ყვიერების ძირითადი ტექსტები, დაკავშირებული
XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის სა-
ქართველოს ისტორიულ მოვლენებთან. მეორე ნაწი-
ლი წარმოადგენს შენიშვნებსა და ვარიანტებს. შე-
ნიშვნებში ავტორი არკვევს ნაწარმოებთა რეალურ
საფუძველს, გავრცელების არეს, კონტამინაციის შე-
მთხვევებს და ზეპირსიტყვიერების სხვა სპეციფიკურ
მოვლენებს.

რედაქტორი გიორგი ლეონიძე

შემდგენელი საგან

ამით ვამთავრებთ ქართული ხალხური სიხისტორიო სიტყვიერების კრებულის გამოცემას. ეცდილობდით კრებულის გარეშე არ დარჩენილიყო ხალხურ ნაწარმოებთა არც ერთი ციკლი, რომელიც პირუთვნელი, ზოგჯერ მეტად თავისებური და ზოგჯერ კი გულუბრყვილო მხატვრული გარდასახვა მეტნაკლებად მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა. ჩვენ ვამბობთ ციკლების შესახებ, თორემ ამა თუ იმ ციკლის ცალკე ნაწარმოები უთუოდ კიდევ არის ხალხში ზეპირ ბრუნვაში, ჯერ ჩაუწერელი, ან იქნებ მოპოვებული და ინახება არქივებსა თუ კერძო პირთა კოლექციებში. მთავარი მაინც ციკლების თავმოყრა იყო. ცალკე ნაწარმოებნი კი კვლავაც იქნება მოპოვებული თუ მიგნებული, რაც კიდევ უფრო გაამდიდრებს და შეავსებს თითოეულ ციკლს. კრებულის სისრულისათვის ამ უკანასკნელ ტომს დამატების სახით ვურთავთ გიორგი სააკაძეზე შექმნილ ნაწარმოებებსა და მეტად გავრცელებულ სოლოღას ლექსს. ორივე ეს მასალა კლასიფიკაციისა და პერიოდიზაციის ჩვენ მიერ მიღებული პრინციპით პირველ ტომში უნდა შესულიყო, კრებული მრავალი წლის მუშაობის შედეგია. მიუხედავად ამისა, ყველა ციკლის და თითოეულ ციკლში შესული ყველა ნაწარმოების პირველ წყაროს ზუსტად დადგენა და დათარიღება ყოველთვის ვერ მოხერხდა. მომავალში ახალ-ახალი ძიებანი ფოლკლორისტიკის, ლიტერატურის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეობის დარგებში უთუოდ შესაძლებელს გახდის ამ ხარვეზის შევსებას. სამტომეულში 555 ძირითადი ტექსტი და ამ ტექსტების მრავალრიცხოვანი რამდენიმე ათასი ვარიანტია წარმოდგენილი. ამგვარად, ახლა ხელთა გვაქვს შედარებით სრული სახის კრებული ქართული ზეპირსიტყვიერების ერთი მდიდარი, მრავალფეროვანი და თავისებური უბნისა. ამ ტომშიც არის წარმოდ-

გენილი გაუმართავი ნაწარმოებნი. მხატვრულად სრულქმნილ ტექსტებთან ერთად. ესაა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ზეპირი ისტორია. ამ თავისებურ ისტორიას ქმნიდნენ ღირსსახსოვარ მოვლენათა მონაწილენი თუ მომსწრენი, აგრეთვე — მომდევნო თაობებიც. მათ არც უფიქრიათ შეექმნათ ტრაქტატი ზეპირსიტყვიერების შემეცნებით, მხატვრულ თუ ისტორიულ ღირებულებაზე, მაგრამ ყოველთვის სწამდათ წარსულ დღეთა მნიშვნელობა აწმყოსა და მომავლისათვის.

ჩვენ ვიცით, რომ ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების სამტომეული ხარვეზებისაგან არ არის დაზღვეული. ამგვარ ნაშრომს ყოველთვის ახლავს ნაკლი. მისი შემჩნევა არამც თუ სხვისი, შემსრულებლის თვალთაც უფრო აღვილია, ვიდრე თვით ამ რთული სამუშაოს შესრულება. მობოდიშებას არ ვაპირებთ, რადგან დანაშაული არ ჩაგვიდენია, ოღონდ ერთს მაინც ვიტყვით: ორი სიცოცხლე რომ გექონოდა, ამ ნაკლს გავასწორებდით. გვწამს — ახალ თაობას უყვარს ჩვენი ხალხის დაუწერელი ისტორია და იგი ამ ხარვეზს დაუზარებლად შეავსებს.

გულისტკივილით მინდა აღვნიშნო, ველარ გადავუხადე მადლობა სახალხო პოეტს, აკადემიკოს გიორგი ლეონიძეს, ვინც უყოყმანოდ იკისრა ამ სამტომეული კრებულის რედაქტორობა.

არ შემიძლია განსაკუთრებული კრძალვითა და მადლიერებით არ მოვიხსენიო ჩემი დიდი მასწავლებელი ნეტარხსენებული აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, ვინც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძველი ქართული მწერლობის კათედრაზე და საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, რომელთა ხელმძღვანელიც თითონ იყო, წლების მანძილზე ხელს მიწყობდა, შემეკრიბა სამტომეულისთვის საჭირო მასალები საქართველოს მთასა და ბარში, აგრეთვე — მოსკოვისა და ლენინგრადის ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა და არქივებში.



აჯანუება ქართლის. მთიანეთში 1804 წ.

1. ქალაქში რუსის შვილებსა
სიმაგრე მოუხვევია.
ბევრი აქვსთ ტყვია-წამალი,
იმათთან ომი ძნელია.

2. ტიალო ჩემო მაყარო,
არა გაქვს ჩემი ყადრია,
რას ეფერები თავადსა,
მაგის სიკვდილი მადლია!

3. ტირის, ჩივის, ციცირონი,
დამიმტვრიეს პოლკებითო,
თუ სადმ აღმა წამოვედი,
ძნელად დავითოკებითო.

4. უჩაღლი ციფო

ბიჭი ციფო დაიბადა,
კარგი საეტლო დაჰყვესა,
დელ-მამა იმას იძახის:
— ღმერთი მოგვიმართავს ხელსა;
ცოცხლები ვართ — შეგვინახავს,

მკვდრები ვართ — დაგვმარხავს ესა!
შვიდი წლისა რომ შეიქნა,
ცხენთ მხედრობას დაიწყებსა;
მისი გავლა და გამოვლა
სულ უკვირდათ თავადებსა.
ქალაქშიაც ჩაიყვანეს,
სკოლაში გამოზარდესა,

.

ქურდობა დააბრალებსა!..
ქალაქს მთავარ-მართველი
ხემწიფეს წიგნებსა წერსა:
— აქ რომ ბიჭი გაიზარდა,
ძრიელ თული გამოდგესა:
ღუქნები ბევრი გასტეხა,
ხაზინასაც წაჰყოფს ხელსა.
მეტად ყოჩალი რამ არის,
აღარ ეპოვება მტერსა;
ჩვენ აქ დახრჩობას უპირობთ,
რას გვიბრძანებ ახლა შენცა?!
— მანდ დახრჩობა არ იქნება,
უნდა ერთი ვნახო მეცა!
დაიჭირეს ბიჭი ციფო,
ნაობახტში ჩააგდესა,
ბორკილები გაუკეთეს,
ხელნი უკან გაუკრესა,
განა მარტო ციფო იყო,
ორი სხვაც გვერდს მოუსვენსა.
საციმბიროდ გაამზადეს,
ყარაული დაუდგესა.
ზევითკენ ჩამოიყვანეს,
ღმერთი მოუმართავს ხელსა!..
მცხეთაში რომ მოიყვანეს,
ციფო სანთლებს აანთებსა,
მისაქციელს რომ მოვიდნენ,
ციფო პირჯვარს დაიწერსა.
— მე ხომ მკარგვენ ამ ცოდვილსა,

მადლობა ჩვენს მეუფესა!
შაბაშვილის ღუქანშია
უჩავრელად ღვინო სვესა:
იმდენას თვითონ არა სვამს,
რომ ასმევდა სალდათებსა.
სალდათებმა დაიძინეს..
ციფო ამტვრევს ბორკილებსა,
გადმოფრინდა ბიჭი ციფო,
სალდათებიც გადმოყვესა.
რომელიც იქ დაიჭირეს
თავში სცემენ კონდახებსა,
ბიჭმა ციფომ მიიხედა;
— ვაი ღედი ჩემის ღმერთსა!
დიდად დაეჭრა ჯავრადა,
გულის პირზედ იცემს ხელსა
ტირიან ამხანაგები,
გადმოჰღვრიან ცხარე ცრემლსა,
მისაქციელს ზემოდ
რალაც ერთი ქედი სთქვესა,
გამოიქცა ბიჭი ციფო,
მალლა ქედზედ გადმოსდგესა.
ქუდ-მოხდილი ბიჭი ციფო
ეხვეწება მალლა ღმერთსა.
ამხანაგმა დაუძახა:
— ყაზახნი გვამტვრევენ ყბებსა,
ლამის აქვე გაგვათაონ;
გულში გვცემენ კონდახებსა,
შენ რომ წახველ ჩვენო ძმაო,
რას გვიპირებ ახლა ჩვენცა?!
გულადათ შემოიარეთ,
იქ შეგიკრავთ ხევის მთებსა;
თუ თქვენ მაგათ გაგაყოლოთ,
ბიჭი ციფო მოგიკვდესა!..
ციფო ქსანზედ წამოვიდა,
შემოჰყვა მოკეთეებსა;
მეტად ძალზედ გაუხარდათ

ციფოს ნათლიდედეებსა:
 ზოგი ერბო-კვერცხს უკეთებს,
 ზოგიც უხდის ახლად ქვევრსა.
 ამოიოხრა ციფომა,
 გადმოპლერიდა ცხარე ცრემლსა...
 — ჩემს გულში სხვა დარდი არი!
 უთხრა მან ნათლიდედეებსა.
 — დღეს უნდა შევარდნად ვიქცე,
 გადუხტე ბიძარას მთებსა,
 სახელმწიფო გზაზე შევდგე,
 იქ უშველო იმ ჩემს ძმებსა,
 სახელმწიფო გზაზედ შესდგა,
 იქ იკეთებს სამგლურებსა.
 აკეთებს მაგარ სანგრებსა,
 იქ ამტვრევდა იმ სალს კლდესა,
 ქუდმოხდილმა დაიჩოქა,
 ეხვეწება მაღალ ღმერთსა:
 — ნეტამც არ დაიგვიანონ,
 რომ მოვიდნენ ეხლავ დღესა!
 ამდენა ლაპარაკშია
 სალდათებიც მიადგესა,
 ამ ციფოს ამხანაგები
 მოათრევენ ბორკილებსა.
 უკან მოსდევენ ყაზახნი
 მხარში სცემენ ჯიგლიგებსა.
 ბიჭებმა ციფო რომ ნახეს,
 გულზედ ნათელი ეცესა,
 ოსურად ლაპარაკობენ,
 თვალი უყვეს ერთმანეთსა.
 — ჩვენ ციფოსა დაუცადოთ
 ახვეწებენ მეუფესა.
 — ამხანაგი არ მოგვიკლან
 ხომ ჰყურობთ თოფის ბინებსა!..
 გადმოფრინდა ბიჭი ციფო,
 შემოუტია ყაზახებს
 თითოს თითო სილა სტყლიშა,

ფარაჯებს წაართმევსა,
თოფ-იარაღი აპყარა,
ვინლა სჩივის სალდათებსა!
რკინის კეტი მიიტანა,
ქვაზედ ამტვრევს ბორკილებსა.
წავიდნენ და მოახსენეს
ავალოვის ივანესა.

ავალოვი აღარ იყო, \n იმის მოადგილე სთქვესა.
გაქცევიან ტუსალები,
რას უშველით სალდათებსა?
დაუძახეს მთიულებსა,
გუდით წამალ აპკიდებსა:
— რომელიც ციფოს დაიკერს,
მიგიწერამთ ხელმწიფესა,
იმას გააბედნიერებს,
მოუმზადებს სისხლის ჯვრებსა.
ვინც ყაჩაღობას იხმარებს,
ჯამაგირიც გაუჩნდესა!..
წამოვიდნენ მთიულები,
შეუდგნენ კურკუწოს მთებსა;
ლომისასთან რომ ავიდნენ.
ბიბსა ჰნახვენ საკვირველსა:
ციფო ლომისასთანა ზის,
უნთებს წყვილ-წყვილ კელეპტრებსა!..
შეჰხიზვნია ლომისასა,
მთიულებმაც შეიტყვესა;
ლომისასგან შეეშინდათ,
— ჩვენ რას ვუზამთ მაგის ტყვესა?..
ეს იფიქრეს მთიულებმა,
— ჩვენც ვახვეწით მეუფესა,
ერთი ოქრო გადმოუგდო
ციფომ, მისცა მთიულებსა; \n ლომისას არ უღალატოთ,
ვაი დედითქვენის ღმერთსა!..
წამოვიდნენ მთიულები,

ციფოს სადღეგრძელო სეესა:
— ვინც რომ ციფო დაიჭიროს,
იმის ცოდვით აიშესა.
ციფოს მაგივრათ პასუხი
მაღალმა ღმერთმა მისცესა!..

—
5. შანშე ერისთავი

შანშე ერისთავს აქებენ,
რუსობას უდგას წინაო,
ქსანზე აპირობს წასვლასა,
ლომისას დადგა ბინაო.
ეგ მთიელთ გამოქცეული
ნაბლით ჩათარეს შინაო.

- 6. ანანაურით გადმოცვივდით
ჩვენ ტუსალნი ოთხნი ძმანი,
არა გვყვანდა წინამძღოლი,
არც ერთგულნი შინა ყმანი.
დავაგდევით ანანაური,
ციხეები, კლდის უბანი,
გარ ჯარი შემოგვეხვია,
რეგული ზარბაზანითა,
ლამით მოპარვა გაბედეს,
წაყვანა მარხილ-სანითა.
მაყურებელნი ტიროდნენ
ჩვენი ცოდვითა მწართა.
აყენებისა ცოტა ჟამს
სიტყვა ვთქვით დაღონებული:
აქვე ვირჩიეთ სიკვდილი,
ეს იყო გაგონებული.
მოგვმართონ ჩვენთა პატრონთა,
მოვიდნენ დაღონებულნი,
წაგვიღონ და იქ დაგვმარხონ,
სადაც მამა არს დებული.
ჩვენი განზრახვა ეს არის,
თავს ვაძლევეთ სიკვდილს არესა,

ავდექით და გადმოვცვივდით
 ქრისტეს აღდგენის ღამესა.
 ეს რომ რუსებმა გაიგეს,
 შეექნათ ჟივილ-ხივილი,
 — „დარჯი-დარჯისა“ — იძახდნენ,
 აქ არი დამალულები, —
 კამენდანტი სანთლით მორბის,
 ნაფრინავი ჩვენი ნახა,
 დაიძახა: — აქ არიან,
 — ქულები რომ დაინახა.
 მოვიდა და იქ არ დავხვდით,
 იმის სახე შეიჭმანა;
 წისქვილს სიმამრთან გაიქცა,
 — იქნება იმანაც ნახა.
 — თუ შენ მე ამით მიპოვო,
 გიყიდი ჩოხას ფულითა,
 აფიცრობასაც გიშოვი,
 ქვეყანას ვისმენ ყურითა,
 ყოველდღე შენ არ მოგაკლებ
 შათანწკს, სმას, ღვინოს კულითა!
 არაგვს გაღმა რომ გავედით,
 ცოტა რამ გვექნა ღიმილი,
 მალლა მთაზედ რომ ავედით,
 დაესხედით დაღალულები,
 ვიქაქანეთ, ვიქასქასეთ,
 ძლივს მოვიბრუნეთ გულები,
 იქიდან ვიყურებოდით,
 ვითომც ვიყავით თულები.






1812 წ. კახეთის აჯანყება

7. კახეთის ბუნტზე

იმ დროს ვიყავ თორმეტ წლისა,
როს კახეთში მოხდა ბუნტი;
ორბელიანს ანაგაში
აუტეხეს ბლარტი-ბლურტი.
ზოგმა მარგილ, ზოგმა ჯოხით,
ზოგმაც გაახურა მუსტი;
ერთი მათგანი იძახდა:
გაუშვითო „პუსტი, პუსტი“.
ყველა სოფლები მოქუჩდნენ
ანაგაში და ვაქირში,
ორბელიანს თავში სცემდა
საშინელი ელდა, შიში.
თავს ძველი ქუდი დაჰხურეს,
შეიყვანეს ერთ წისქვილში,
შიგ ვირივით გააგორეს
წისქვილისა ბუქს და ფქვილში.
ერთმეორეს აფრთხილებდნენ:
„— არავინ არ დაჰკრათ თავში“.
გაბოჭილი გაიყვანეს,
მერე ჩასვეს კარატაში.

გაფქვილული, გაბუქული
წამოიყვანეს სიღნაღში.
ზოგმა ჩააბეს ფერხული,
იძახოდნენ: — „ტაში“, „ტაში“.
იმ დროს ყველა მოხელენი
იმალებოდნენ ხვრელშია,
მხოლოდ ზოგი კი გასრისეს,
ვინც ჩაუვარდათ ხელშია;
ზოგი კი იმალებოდა
უდაბურ ქალა-ტყეშია,
და ზოგიც იმალებოდნენ
ეშმაკებივით ხევშია.
ეს ანბავი მისთვის მოჰხდა,
რომ მოითხოვეს სალდათი,
ხალხს ჰსურდა, არ გაეტეხნა
ქრისტეს რჯული და ადათი.
ამ საქმეზე დაიჭირეს
მეამბოხე ცხრა, თუ ათი,
ძველ რუსეთის ზეგავლენით
ვერ გამართლდა ბრძოლა მათი.
სიღნაღსა და ბოდბისხევისა
ჩაუყენეს რუსის ჯარი,
მთელი კახეთის სოფლებზე
მათ ამოიყარეს ჯავრი.
ველარა ჰშველოდათ საწყლებს
თავიანთი ქრისტეს ჯვარი,
ერთ კაცს ორბელიანისთვის
მთელ მშრომელ ხალხს დასდეს ჯავრი.





რუსეთ-ირანის ომი 1826 წ.

8. სოლომონ ბუტულაშვილის ლექსი

თორმეტი წელიწადია
რაც ხონთქარი დაფიქრდესა.
საქართველოს მე დავიპყერ,
მოზღოცში გადავდგამ ფეხსა.
მოხსენდა ჩემ ნაჩაღნიკებს,
მემრე მთავარ-მართველსა.
ჯერ დაუძახეს ურმეებსა,
მერმე ჯარად გარეკესა.
სოლომან ბუტულაშვილი
ხო ჯარში გააწესესა:
— მე თითონ წასვლა მინდოდა,
მათ ამინი დამიცესა.
სოლომან ბუტულაშვილი
კარგად ინახამდა ცხენსა,
დილითა და საღამოთი
ჯერზედ აკმევს ლიტრა ქერსა,
თბილი წყლით ფეხებსა ჰბანდა,
ერბოთი უზელდის წელსა,
შენი მურაზის ჰირიმე,
შენ მამარჩენ განსაცდელსა.
დედა და მამა არიგებს,
საქმეს როდი წაიხდენსა:
დროზე მოდი სოლომანო,

თორემ ვინ დაგიკრეტს ზვრებსა.
სოლომან ბუტულაშვილი
გარეჯლებში ჩადგესა.
მათ დააბიან ფერხული,
ზედ ლილინა გამართესა.
ქალაქ თავარმართებელი
კისერზედ წამოსდებს ხელსა,
გაისარჯე სოლომანო,
ყოჩაღად და მალადეცა.
როცა ჯარები დაიძრენ,
სოლომან წინ გაუძღვესა.
გავიდნენ ყაზაროვანში,
იქ რო ომი გამართესა:
სოლომან ბუტულაშვილი
ხო წინ უდგა ზარბაზნებსა.
შიგ სისქის ჯარში მიარტყით,
ისე ხელით ანიშნებსა,
გადადით და შიგ დაკაფეთ,
ეუბნება თავადებსა.
აქათ-იქით თავადებმა
ყველამ შური აართვესა,
ამან კაცობა იშოვნა,
ჩვენ ძალლად ვინ ჩაგვაგდებსა.
თითო-თითო ყიზილბაში
იქ ჩვენ ჯარში შავარდესა,
თითო-თითო თავს მოგვაპრის,
გაიქცევა, გაირბენსა.
დაიძახა სოლომანმა:
— ვაი, დედიჩემის ღმერთსა,
თქვენა ჰკითხეთ ზარბაზნებსა,
მეცა ვკითხამ ამ ჩემ ცხენსა,
დაქროლებით ქორსა ჰგვანდის,
მოქროლებით შევარდენსა.
აგრე ჰკრეფდა ყიზილბაშსა,
როგორც რომ მიმინო მწყყერსა.
ზოგ მოჰკლავდა, ზოგ დასკრიდა

ზოგს კი ცოცხალს დაიჭერსა.
თორმეტსა თავი მოაჭრა,
იქ მართებელს მთარმევსა:
დაისვენე სოლომანო,
კაცობად გეყოფა ესა:
ერთი კიდევ მაინც წავალ,
ლექს მოგიყვან ცოცხალ ტყვესა.
ორი ურჯულო ბელადი
ერთ დაბლობში ამოჯდესა.
ორთავ ესროლეს თოფები,
არც ერთი არ გააცდენსა.
დაიძახა სოლომანმა:
— ვაი, დედი ჩემის ღმრეთსა.
სოლომან ბუტულაშვილი
მარდად მიაბრუნებს ცხენსა.
მაიყვანეს ბინაზედა,
სოლომანი გადმოხტესა.
სოლომანა ანდერძს მოჰყვა:
ვისაც გული გაუგებსა,
სულ ყველასა გეხვეწებით
გლებებსა და თავადებსა,
ცოდოა ჩემი ქოჩორი
აქ რომ მიწაში დაღბესა.
ამ სიტყვას რომ გაათავებს,
კაცსაც სული ამოხდესა.
სოლომანი შუა გასკრეს,
წელები ამოიღესა.
გახვიეს მუშკ-ამბარშია,
სანელებლით შაამკესა.
მას მარილი მთაქარბეს,
რომ ლეში არ წაგვიხდესა.
მელიქის ბაღში დამარხეს,
ზედ დიდი ქვა დაადესა.
ჯარები ზევით წავიდა,
სოლომანი იქვე წვესა.
ავიდენ შაქროვანშია,

დიდი ომი დამართესა.
სამ თვეს იყო დიდი ომი,
სამ თვეს უკან დაბრუნდესა.
ამაიღეს სოლომანი,
პირად დაანახვეს მზე'ა.
კიდევ ჰსჯობდა ათას წილით
ცუდ უმადო თავადებსა.
მიუტანეს მას ურემი,
ქვეშ ხავერდი ჩაუგესა.
ჩააწვინეს სოლომანი,
კამეჩები შაუბესა.
მძიმედ მიაქვთ სოლომანი,
ძირიდამაც ქონსა სწვეთსა.
ქალაქში იმის ცოდვითა
სულ დუქნები დაკეტესა.
დაასვენეს სიონშია
და სიდიდით შაამკესა.
სამ დღეს სიონში ესვენა,
სამ დღეს უკან წაიღესა.
წინ წინ კაცი გაუგზავნეს
პატარძელს მამა ღვდელსა:
— მოგდის შენი სოლომანი,
შეეგებე, ნახე ესა.
შეეგებნენ სოლომანსა,
დიდად მძიმედ დაკუწნესა.
იმისი ცოლი ბარბარე
გაიგლეჯდა გიშრის თმებსა.
ერთი კი ზედ დაახედეს,
მასუკან კი გააბრუნეს,
მუცელი არ წაუხდესა.
იმას რო შვილი გაუჩნდეს,
სოლომანი დაარქვესა.
ახლა იმისი უნარი
ახლა იმას გამოჰყვესა.
თქვენ სიცოცხლე, დღეგრძელობა,
განათლება მამათქვენსა.



1828 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი

9. გამთელდა მთელი ქვეყანა,
ჩვენთვის ამოქროლდა ქარი,
პასკევიჩი ცხენზე შეჭდა,
შეიქნება ნიაფ-ქარი.
ყარსის ფაშას შეუთვალა:
კარგად გაახილე თვალი,
ასიათასი სალდათი
სულ სპირტით არიან მთვრალი.
ოციათასი ყაზახი
სულ შელესილია ხმლითა,
შეესივნენ ყარსის ციხეს,
დააფრთხეს სულ ცხვარივითა.
ყარსის ფაშა დაიჭირეს,
უკან გაუკრეს ხელია,
შენ თბილის ქალაქსა წადი,
იქ არის წყალი ცხელია.
გააგზავნეს თბილის ქალაქს,
გატარა იქ ზამთარი,
ახლა ბრძანა პასკევიჩმა:
— უნდა დავასვენო ჯარი.
თათრები მაგრა დაუხვდნენ,
ტყვიები ესროლეს მწარი,

საღდათებმა დაიძახეს:
— ვაი, დედა, ჩვენი ბრალი!
მეზარბაზნემ დაიძახა:
— ვაი, რა ჩვენი ბრალია,
მოუხშირა ზარბაზნები,
მოუღო ცეცხლის ალია,
ქალაქს ცეცხლი წაუკიდა,
ცაში ავიდა ალია,
თათრებს შეურცხვით ნამუსი,
გაუღეს ციხის კარია.
ნავანების გვერდზე გარბის
თათრის ქალი და რძალი.

10. პასკევიჩი შაიკაზმა,
წელთ შემაირტყავს ხმალსაო,
ქალაქში რომ ჩამოვიდა,
გაშინჯამს სამართალსაო,
ჯერ სასამართლოს გაშინჯამს,
მერმე კი ავლაბარსაო,
თავის საომარ სოფლებსა
გადაავლებდა თვალსაო...
პასკევიჩმა რომ საქმე ქნა,
ის არ უქნია სხვასაო:
შამოგვაწერა ურმები
ქართლიდ-კახეთის თავსაო,
ისეთიც ურმები იყო,
ქვა ვერ შაუვლის ფხასაო,
მალაროს მაიტანევით,
იქა მშინჯავი ჰყავსაო...
მშინჯავი დაიწუნებდა;
.
კალასკები გაუმძღვარეთ,
ამ რუსულ არაბასაო.
პასკევიჩი დაიდევნებს
ათის წლის გამამცხვარსაო...

მეტათ ამბობენ მაღალსა,
იმ ბანაკეთის მთასაო:
აქედგან პირში აღმართსა,
იქიდგან — თავდაღმართსაო...
ჩავიდენ ერევანშია,
გარსშემო ალაგებსაო,
სხვას რომ არას უჩივიან,
ამ აყროლებულს წყალსაო...
— „არ შავარჩენდე თათრებსა,
ამ ეჩმიადელ ჯვარსაო.
მოლა მეჩითის კარზედა,
დაუწყებს ღორებს კელასაო,
საკმელად არ გამოუღევ,
არც კი ვაკადრებ ცხვარსაო,
დენჩიკის ხელით გავგზავნი,
... თუ არა სჭამსაო!

პასკევიჩი ოსტატობით
ქანქანებესა სთხრისაო,
ასი ყუმბარა შიავდო,
გარს მოუკიდებს ცეცხლსაო,
ხანებიც მოეგებება,
თითონ დაუკვრენ თავსაო...
— „პასკევიჩო, შენ ნუ დაგვწყვი,
გავვატან ცეცხლის აღსაო“.
გასაღებსა და კლიტესა
თითოვე მოუტანსაო,
გააღეს ასი კლიტული,
შიადგენ ასანხანსაო,
დაიჭირეს ასანხანი,
მარდათ უკრავენ კლავსაო.
... ასანხანი დღეში
ას ოქროს სჭამსაო,
ვერ შეეჩვია ოხერი,
ამ რუსულ კორკოტასაო —

ასე ასუქებს რუსებსა,
როგორც მემცხვარე ცხვარსაო!..
გაისტუმრეს ასანხანი,
თან აღვეწებენ ჯარსო...
მშვიდობა და კარგათ ყოფნა,
ეგრედ ერთობრივ ხალხსაო!..“





არსენა ოძელაშვილი

11. არსენას ლექსი

შაირ-სიტყვითა მესტიერემ ღმერთი მაღალი ახსენა,
ღმერთმა მოგცეს განათლება, ოძელაშვილო არსენა!
ქეიფი იმას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა;
შვიდს წელიწადს ტყვეთ იარა, მთა და ბარი შეაჯერა,
რო შეიქნა თექვსმეტი წლის, უღვაშები დაიმშვენა,
შეჯდა თავის ლურჯა ცხენზე გააჰენ-გამოაჰენა,
ზაალი ბარათაშვილი ძალიან გაგვინაწყენა,
ბატონს რომ ერთი გოგო ჰყავს, არსენას მოეწონება;
— გოგო მე მამე, ბატონო, შენ კი არა წაგინდება!
რა რომ შინიღვან გავიდა, ბარათაშვილს გადემტერა,
ეს არსენა რა გაგვინდა, რა არის მაგისტანაო?
ბიჭო არსენავ, რა მიყავ, ყმა იყავ მაგისტანაო?
„მოგიტან თორმეტ თუმანსა, მოგითვლი ჩქარა-ჩქარაო“.
ეს რომ ზაალმა გაიგო, წარბი არ შეიხარაო!
„თორმეტი აღარ მიგდია ბიჭები შენისთანაო!“
— აბა თუ თორმეტიცა გყავს, ადგ და მამყევ თანაო!
ი რო ზაალმა გაიგო, ქრში უკუღმა ჰყარაო;
კარიღვან ველარ შეასწრო, ფანჯრიღვან გადიპარაო!
მოსტაცა ბატონს მოახლე, ახალციხეს გადუყენა,
ჩითის კაბები გახადა; სხვა ფარჩები შეუქერა;

იმის ქვემო შვიდიში კოჭებამდინ დაუშვენა,
მორბოდა ჩვენი არსენა, ცოლ-შვილით გაანამტვერა.

ეს რომ გაიგო ზაალმა; ორთავ თვალით შექნა ცრემლა.
დაჯდა ჩვენი ის ზაალი და სტოლზე წიგნი დასწერა,
ქალაქში გამოაცხადა; ლუბერნატორს მოახსენა;
გამივარდა ერთი ბიჭი, დამაქცია, დამანელა.

ერთი კარგი გოგო მყავდა, წამართვა და გადმიყენა:
წამახდინა არსენამა, თუ რასმე მიშველით თქვენა,
თუ თქვენ იმას ვერ დაიჭერთ, ძნელია ჩემი დარჩენა!
ათი თორმეტი ყაზახი გასწევს თრიალეთისკენა.

კოდაზე რომ შემოვიდნენ, წინ იქ დაუხვდათ არსენა.

— „დრასტი ზნაკომ, გაგიმარჯოს: კუდა იღოშ საითკენა?“

ჩვენ შენი ჯავრი არა გვაქ, მივდივართ მარაბდისკენა.

ერთი ბიჭი გამოგვექცა, სახელათ ჰქვიან არსენა, —

თუ ვისმე კი გაეგონოს, — გვინდა იმისი დაჭერა.

ეს რომ არსენამ გაიგო, ჩაიციინა ნელა-ნელა,

„მე გახლავარ ეს არსენა, მოდიოთ, დამიჭირეთ თქვენა“.

ნაბადი გვერდზედ იქცია, თოფი ფეხზე შეაყენა.

ჯერ რომ თოფი დაახალა, მერე ხმალი შეაშველა;

ათი-თორმეტი ყაზახი სულ ცხვარივით გადმოდევნა.

თელეთის ბოლომდინ მოჰყვა, სომხეთში არ გააჩერა.

იმ საწყალსა ყაზახებსა ზურგზე ბოლი ააყენა!

„ნას კაკოიც“, მიაძახა, თავათ გახლავარ არსენა“!

სულ უკან იხედებოდნენ, აღარ მოგედევდეს არსენა.

ქალაქში რომ ჩამოვიდნენ, თავის უფროსს მოახსენა.

— „უზარბაზნოთ არ იქნება თქვენი არსენას დაჭერა.

ან არის მდევი, ლომ-გმირი, ან არის რკინის მკვნიტელა.

თუ ჩვენგან არ დაიჭერებ, ნეტავი მარტო გაჩვენა!

რომელსაც ხელი მოგვეკიდა, ფეხზედ აღარ დაგვაყენა.

ექვსსა თოფები წაგვართო, სულ მიწებით დაგვიტენა.

ეს რომ ზაალმა გაიგო, ორთავ თვალით შექნა ცრემლა:

ნეტავი კაცი მაჩვენა იმ არსენას დამჭერელა,

ოქრო და ვერცხლი ვაჩუქო, რა ფულები ამოტელა!

აღმასის წყალზე ურიებს აწყვევინა ბედის წერა.

გამოართვა ხახამს ადლი, ოოხს კისერში ჩაადებსა:
 თუ კარგ ადათს არ დაიჭერთ, გაგწყრომიათ ზენა და თესვა.
 ძალათ გაქმევთ ღორის ხორცსა, კეფაზე დაგასხამთ წვენსა,
 თუ ამას არ დამჭერდებით, ქართულათ დაგპარსავთ წვერსა,
 ჩამოხვიდოდით ქალაქში, ყიდულობდით ფარჩას კრელსა,
 ჩამოხვიდოდით სოფლებში, ლამაზათა ჰკაზმავთ ცხენსა.
 ქვრივსა და საწყალს გვიტყუებთ, ნამეტნავათ პატარძლებსა“
 მათი ადლი რომა ნახა, არსენას არ დაუჯდესა,
 გატეხა და გადააგდო: ფუ, გამჭედი გაუწყრესა!
 შინდის ჯოხი გამოუჭრა, რომელიც რომ გძელი თქვესა.
 შვიდი მტკავლით გაუზომა, მისხალი არ დააკლდესა:
 თუ ამითი არ გაპყიდეთ, ვაი, დედი თქვენის ღმერთსა!
 საცა რომ შემოგეყრებით, სუყველას გამოგჭრით ყელსა!
 იმ საწყალმა ურიებმა სულ კანკალი დაიწყესა:
 „ჩვენ რომ ამითი გავყიდოთ, რაღა დახლი დაგვიჯდესა?
 ისევე ჩვენი ფართალი, იმ ჩვენ ღუქნებში დალპესა.
 არსენა რომ დაიბადა, ჩვენი საქმეები წახდესა!
 — საახალუხე მამყიდეთ, იმ თქვენი დედ-მამის მზესა!
 არა ღირდა ორ მანეთათ, ერთ თუმნად დაუფასესა.
 მაშინ ჩვენი არსენაი თითო მუშტებს წაადებსა.
 დახედე, საახალუხეს სულ ტყვილათაც წაართმევსა.
 კიდევ იმას ეუბნება: თქვენ ჯიბეში ფული ძევსა,
 ურიავ, ფულეები მამე, ვიცი საგძლად მამინდესა,
 ი საწყალი ურიები დაეკითხნენ ერთმანერთსა:
 „ვაჟო, ე ფულიც ვაჩუქოთ, ეგებ ცოცხალს გავვიშვებსა“.
 ამოიღეს და გადუგდეს, თუთხმეტი თუმნის ოდენა,
 ხუთი თუმანი აიღო, ათი უკან გაადევნა,
 „ოღონ დაგვეხსენ არსენა, გამოვაცხოზთ სეფისკვერსა,
 ქართულად დავინათლებით, კარგად დავიპარსავთ წვერსა,
 ძალათა ვკამთ ღორის ხორცსა, ზე თავზე დავისხამთ წვენსა!“
 გზას სომეხი მოდიოდა, არხეინათ ნელა-ნელა;
 არსენა რომ დაინახა, თავქვე ცხენი დააყენა.
 წინიღგან წამოუარა; საით მიბრძანდებით თქვენა?
 ეგ ქულაჯა გაიხადე, ეს თექა ჩაიცვი თქვენა.

ის ქულაჯა წამოისხა და ბეჭები დაიმშვენა.
ცხენი გრილოში დააბა, თავად იქაც მოისვენა. .

ბრძანება შემოეთვალათ:

ერთი კაცი აგრე ჩადის, ათასი რას შეიძლება?!
ასი ოქრო გაუჩინეთ, ვინც არსენას დაიჭერსა.
კარახტინები შეუკრეს, ლეკში არსად გადვიდესა.
თუ რომ ეს ლეკში გადვიდეს, ყაჩაღობას დაიჭერსა.
ყაჩაღობას ვინ დაეძებს, თბილის-ქალაქს წაგვიზღენსა!
გაუწყრა მაღალი ღმერთი ფარსადან ბოდბის-ხეველსა.
ნათლიმამად მოიკიდა, მაგრამ .ის უღალატებსა.
როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს აასხამს ცხერებსა.
თაფარავანის ტბაზედა წინ არსენა დაუხვდესა:
— არსენავ გეთაყვანები, რატომ არ მოღიხარ ჩვენსა?
„მიღალატებ, ნათლიმამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა,
„—არსენს როგორ გიღალატებ სამის შვილის მომნათველესა.
ჩემი მირონის მომღებსა.
ძირს დედამიწას აძლევედა და მალლა ზეცაში ღმერთსა.
მაშინა თქვა არსენამა, მირონს როგორ დამიქცევსა:
მოიტყუილეს არსენა, ტკბილის ღვინით დაათვრესა;
აი ლამაზი ღვინითა, ის არსენა დაგვითვრესა;
შემწვარი და მოხარული წინ ტაბაკით მიართვესა,
დამთვრალსა და გალოშვილსა ტკბილი ძილი მოუნდესა.
იარაღი აიყარა, ნათლიდელას აბარებსა:
„ხვალ თუ მშვიდობით გათენდა, აღრიანად დამჭირდესა.
იალუჩი და ბალიში საჩქაროზე მიართვესა,
ზედ ტყავები წააფარეს, არსენს არ შეგვიცივდესა.
ამ მამაძალს ფარსადანსა გუნებაში რა უძევსა?
შუა ღამე რომ შეიქმნა, თავის ამქარში გასწევსა.
ათი-თორმეტი მეცხვარე თავს მძინარეს დააწვესა.
არსენამ წამოიწია, შეევედრა მეუფესა:
— ე მამაძალის ტიელი რა ბუზები მასხედს ესა?
ათსა აგრე წამოუდგა, სულ მუშტით დაამტვრევს ყბებსა,
მეთერთმეტე, მეთორმეტე არსენს გაუკრავდნენ ხელსა,
ისე მაგრად გაუჭირეს, ფრჩხილებში სისხლი გასწვეთსა.

„ნათლიმამავ ნუ მღალატობ, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა.
 ათასწილად სიკვდილი სჯობს იმათ ხელში განსაცდელსა!
 მე მღალატობ ნათლიმამავ, იქ რას ეტყვი მალალ ღმერთსა?
 ჩემს მაგიერ სამართალსა ღვთისმშობელი გაგიჩენსა!
 ნუ მღალატობ ფარსადანო, ნუ ჩამაგდებ მტრების ხელსა,
 ორას თუმანს აქ გაჩუქებ, სამას თუმანს გომარეთსა.“
 ფარსადანს ასე ეგონა, ჩინს მომცემენ, ტემლაკებსა.
 ეს არსენა ცხენზე შესვეს, ძირს ფეხები გაუკრესა,
 ბიჭი მარღია არსენა, გზაზედ არსად გადმოხტესა.
 წამოიყვანეს ქალაქში, თვალიდანა ღვრიდა ცრემლსა.
 მთელი ქალაქის ბიჭები მტრედის გუნდივით დასდევსა:
 იმერლები იძახიან, კი, კი, კი სადა თქვესა!
 სომხები გაიძახიან, ლავე ბიჭი არი ესა!
 ოსები კი იძახოდნენ, ხორზუ, — ხორზუ არის ესა!
 რუსები — ოჩენ ხაროში, ეი ბოლუ მალადეცა!
 ბებრები გაიძახიან, ახ ნეტავი დედა შენსა!
 პატარძლები იძახიან, ნეტავი შენს მეუღლესა!
 ნეტავი იმის სოფელსა, ვისაც შენ გადახვევ ხელსა!
 მაგარი ბორკილი მიაქვს, თვარა წვრილებს დაამტვრევსა.
 ჭილის ტოლა თვალები აქვს, მტერი რალას დააკლებსა.
 მოუბრუნდება არსენა, კამბეჩივით. შეუბღვერსა;
 — რას მიპირობ, ნათლიმამავ, თუ წაუყვლ ამათ ხელსა?
 თრიალეთში ცხვარ გაგიწყობ, მინდორში დაგიწვამ ძნებსა.
 მირონსაც აღარ დავეძებ, ღორივით გამოგჭრი ყელსა:
 იმ უფროსის კარებზედა არსენა მოიყვანესა.
 უფროსი გამობრძანდება, ბალკონიდან გადმოსცქერსა.
 ფარსადანს გაუჭავრდება, თავსა და პირს დაამტვრევსა.
 „შე წუწკო და მამაძალო, რად იპერდი ე მაგ ტყვესა,
 ერთი გავარდნილი კაცი ტყეში ეფარება ხესა!“
 არაფერი არ აჩუქეს ფარსადანს იმის დამპყრსა.
 ფარსადანს ასე ეგონა, ჯამაგირსაც გამიჩენსა.
 იმტენი მამა უცხონდა, რამტელიც იმას მისცესა,
 ერთი ოთხიოდ პანღური ამოჰკრეს და გააგდესა.
 უფროსმა ნახა არსენა, ძალიან შეიბრალო:
 რა კარგი ვაჟკაცი იყო, ზეზეურ ჩამომხმარაო.
 „რაღ შენი ამბავი მომდის, რათა ჰქენ ჩემო არსენა?

მე არც ერთი არ მიქმნია, სულ ტყუილი მოგეხსენა: .
მართალია გავარდნილი დავდიოდი მშვიერ ველა,
მაგრამ მდიდარს თუ ვართმევდი, მიყვარდა ღარიბის კმევა,
ღანაშაული ესა მაქვს, ნება თქვენი ასრულდესა“.
არსენს ხელები შეუხსნეს, ფეხში ბორკილი მისცესა,
იმ ნარიყალა ციხეში ის არსენა შეაგდესა,
შვიდი კვირა და შვიდი დღე იმ ციხეში ამყოფესა;
საციმბიროთ გაამწესეს, ცალი წვერი მოჰპარსესა.
მაშინა თქვა არსენამა, ვაი ღეღიჩემის ღმერთსა!
მე რომ ამ ციხეში მოვკვდე, ბიკობან-ვინ დამიგდებსა?
იმ აფიცრებს შეეხვეწა, იმ თქვენი ღელ-მამის მზესა,
აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ქუჭყი მაწუხებსა,
წამიყვანეთ აბანოში, მისი ღარდი არ გამყვესა,
წაიყვანეს აბანოში, ყარაულები მისდევსა.
ერთი საწყალი მანეთი არსენს ჯიბეში უდევსა,
ამოიღებს, გადაუგდებს მიკიტანს და სირაჯებსა:
„ამის ოტკა ჩამოასხით, მისევით მშვიერ სალდათებსა“.
ღახედე ის მიკიტნები მეგობრადაც გაუჩნდესა,
სირაჯმა და მიკიტანმა თვალი უყვეს ერთმანეთსა:
სალდათებს ოტკა ჰგონიათ, ჩუმათ რომი ჩაუსხესა.
ისე დათვრნენ სალდათები, ვერა სცნობენ ერთმანეთსა.
აბანოს კარზე მივიდა, შევიდა და შეაღებსა,
უკან მიკიტანი მისდევს, ჯიბეში ქლიბს ჩაუგდებსა.
მაშინა თქვა არსენამა: ჰა, დიდება მოწყალესა!
ჩემი საქმე არის ესა!
აუზებთან რომ მივიდა, აიწვეს და გადახტესა,
მიდგა ეს ჩვენი არსენა, ბორკილს ხეხვას დაუწყებსა,
ყარაულებსა ჰგონიათ, აგურით იხებს ფეხებსა,
აქეთ-იქით შემოხება, გადასწევს და დაამტვრევსა,
ფეშტამლები დაახვია, რაჟღარ-რუჟღარ არ დაიწყებსა..
გატეხა და გადმოაგდო: ფუ, გამჟღერი გაგიქრესა!
ამ ხანად მოდის უფროსი, აბანოში შევიდესა,
აიყარა ის შინელი, მალლა ბალკონზედ დადებსა.
გამოვა ჩვენი არსენა, შინელს გაუგდებდა მხრებსა;
ენახო, როგორ მარგებს ესა?

რუსულ ჩექმებს ჩაიცვამს და, რუსულ შლაპკას დაიდებსა.
კარებში რომ გამოვიდა, წინ ღონიჯსაც გაიგდებსა:
შემოხედა ყარაულებს: ხაბარდა და სტარანეცა!
სუყველა ყარაულებმა გზა სუყველამ დაუდესა,
იმათ ბატონი ეგონათ, ეს არსენა გამოძერესა.
პატარა გამოიარა, თან სიცილი აუტყდესა.
მეიდანზე გამოვიდა, მოაძახა მედროშეცა:
„ახლავე ღროშკა მომგვარე, თორემ ცხენებს დავჭრი ყელსა“.
რომელიც კარგი ღროშკაა, ის არსენას მიართვესა.
დაუჯდა ბიჭი არსენა, შეუდგა დამოჟნის გზებსა.

კუმისის მთაზე გადადგა, ბიჭი მოუძღვის სიღედრსა.
არსენამ რომ დანახა, თქვა; — დიდება მოწყალესა,
ჩემი საქმე არის ესა! თავდაბლა მოახსენებსა:
„თუ უკაცრავად არა ვიყო, დედი, ჩამობრძანდი ცხენსა.
მე ტყვე ვარ გამოპარული, არც მე მატკენს ეგ ფეხებსა“.
დახედე, იმისი სიძე ხანჯალზე დაიდებს ხელსა:
გასწი იქით, გამეცალე, როგორ მოგცემ ამ ჩემს ცხენსა,
ხელმწიფის გზაზე მიხვდები, ეს კაცი არ გაგიუდესა!
მაშინ ჩვენი არსენაი კამბეჩივით შეუბღვერსა:
„მოგიბრუნდები, შემოგვრავ, სუ მუშტით დაგიმტვრევ ყბებსა“.
რადა ბევრი მოგახსენო, ხელითა სცეს ერთმანეთსა.
არსენა ღონიერია, იმ ბიჭს ქვეშ წამოიგდებსა;
ორი მუშტი რომ შემოჰკრა, ყალფუზივით დააბნევსა.
დედაკაცი ეხვეწება: — ნუ მამიკლამ ჩემ სიძესა,
„მაგ ჩემ გამამცხვარ ნაზუქებს ღმერთი ტკბილად შეგარგებსა“.
ცხენიც იმას დაულოცა, ზე ხურჩინსაც გაატნებსა.
— დედავ, დედაშვილობასა, შენ ნუ დამიწყევლი გზებსა.
ის დედაკაცი ლოცავდა: — ღმერთმა მშვიდობა მოგცესა,
„სადაც წაბძანდ-წამობძანდე, არსენა გაგიმარჯვდესა!
მამდარს ართმევ, მშვიერს აძლევ, ღმერთი როდი წაგახდენსა!“

პატარაზე გაიარა, ხურჩინს ჩხრეკას დაუწყებდა:
ცალ ხურჩინში ტიკტორაა, ცხრა ნაზუქი თავსა ძევსა;
ცალგნით ორი ქათამია, ინდოური თავსა ძევსა.
დაჯდა ეს ჩვენი არსენა, ლამაზად ქეიფსა სწევსა.

ერთი სომხითელი ბიჭი ქალაქისკენ გამოსწევსა,
ორი მანეთი აჩუქა, ორ სიტყვას დააბარებდა:
„ესე უთხარი ქალაქში მიკიტნებს და სირაჯებსა,
არსენა რომ დაიჭირეს, ქვეით მიდიოდა ღლესა,
მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა.
სადაც თათარს დაინახავს, ბურ და ვალას აძახებსა:
სადაც ტიტველს კაცსა ნახავს, თავის პერანგს ჩააცმევსა.
ორ კვირაზე იმ ბებერსა ისევე გაუგზავნის ცხენსა.
ერთი თუმანი აჩუქა, რაც რომ ნალი გაუცვდესა.
ბებერიც ამას უთვლიდა: ღმერთმა მშვიდობა მოგცესა.“
სამადლოს ღუქანზე მივა, ფილიპეს ცხენს წაართმევსა.
„თუ უკაცრავად არ ვიყო, მაგ ცხენზე აიღებ ხელსა,
მე ტყვე ვარ გამოპარული და ქვეები ფეხებს მატკენსა!“
მეჯინიბეს ეუბნება: — უნაგირი სადა ძევსა!
— უნაგირი და ლაგამი ორთავე თავით უძევსა.
ცხრა მოსართავს თუ მოუჭერ, თორემ ოთხ-ხუთ გაგიგლეჯსა
ლიტრა აღვირს თუ ამოსდებ, თორემ თავსაც წაგართმევსა,
„—ბიჭი არსენა მოგიკვდეს, თუ ცხენი გადმომადგებსა!“
გადაჯდა და გამოსწია, გამოუდგება მინდვრებსა,
ყაზახში რომ გადავიდა, ემსახურა თათრის ბეგსა:
ამათ რჯულზე ვერ დავდგები, მე ხომ ვერ მოუშვებ წვერსა.
იქილგანაც წამოვიდა და სომხეთში გამოსწევსა.
ორი თვის გამოსავალი გამოირბინა ორ ღლესა.
იქ ჩავიდა ქიზიყშია, ნათლიმამას მიაგნებსა.
ბოლბისხევში რომ შევიდა, სულ კარები ჩაკეტესა.
ის ფარსადანმა შეიტყო, იმისთანა თქვენსა მტერსა.
ძმებსა კაცი გაუგზავნა, არსენა არ მომარჩენსა.
მაშინ ფარსადანის ძმები არსენას გადასდებს ხელსა:
გვაპატივე ფარსადანი, რაც რომ უნდა გაგვიხდესა.
ვიღრე ფარსადანს არ მოვკლავ, გული როდი გამიძლებსა.
მაშინ ფარსადანის ძმებმა ოსტატობა იხმარესა.
ერთ უადგილო ალაგას დიდი ორმო ამოსჭრესა:
ის საწყალი ფარსადანი შიგ ორმოში ჩააგდესა.
ზედ ფიცრები წააფარეს და მიწა დააყარესა.
ვიცი, არსენამ მოგასწრო, ცოცხალს როდი გაგიშვებსა!
ორი ღლე უყარაულა, თვალს კი ვერსად მოასწრებსა.

მესამე დილა გათენდა, მაშინ პირვეარს დაიწერსა:
თუთხმეტ წელს ყაჩაღადა ვარ, კაცის ცოდვა არა მძევსა,
ეხლა მოვკლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამიწყდესა!
გამობძანდი ნათლიდედავ, ხელში მოჰკიდებდა ხელსა,
გამოუშვი ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა!
ვაპატივე ნათლიმამა, ჯერ მირონს და მერე ღმერთსა.
ფარსადანს მანც არ მოვკლავ, თუ გინდ რომ წინ დამიხედესა.
ღვთაებობის მადლი გწყალობთ, მარტყოფის თავში სვენია,
იქ იყო მისი ღლეობა, თითონაც გიახელია.
სუმბათოვიც იქ მობძანდა, ის ჩვენი ქალაქელია,
სუმბათოვისა და მაკაროვს თან შეეკაზმათ ცხენია;
კნენიებიც იქა ჰყვანდათ, ზედ გადხევიათ ხელია;
როცა წირვა გამოვიდა, იმისი მადლი შენია, —
რო დანახა არსენამ, პირვეარი დაუწერია.
იმ სუმბათოვს ეუბნება: — ა, გამარჯვება შენია,
ქალაქში რო შარს მიგდებდი, ახლა ხო მოგასწერია!
„მაგ შენს აპელატებზედა შენით აიღე ხელია!
კნენინა ეუბნებოდა: — შენი ჭირიმე შენია!
აიღე და გადაუგდე, ეგ ოხრად დასარჩენია.
თვარემ ეგ არსენა არის, ვიცი გამოგჭრა ყელია;
სუყველა ოხრად დაგრჩება ღროშკა და შენი ცხენია.
მე ხომ არსენა წამიყვანს, შენ დარჩი ცარიელია“,
შინლიანებ გადმოუგდო, აპელატები სქელია.
წამოიფინა არსენამ, გამორბის როგორც მშველია.
მაკაროვს თავის ხმაღზედა ააღებინა ხელია!

ორ კვირა თონეთში იყო, ქეიფებსაც ბევრსა სწევდა,
გამვლელსა და გამომვლელსა სუყველას ღვინოს ასმევსა.
მეორე კვირა გათავდა, ქალაქისკენ გამოსწევსა.
მთელი ქალაქის ბიკები მტრედის გუნდით აწევსა,
ღმერთს უშველია არსენა ამიერიით განსაცდელსა.
საცა მივა მიკიტნებთან, ყველა დაუქნევენ ხელსა.
ამოიღებს იმ ფულებსა, ტოლ-ამხანაგებს აძლევსა.
„შესანდობელი დალიეთ, როდეს არსენა მოკვდესა.
რაც იმას საქმე ეამბა, იმისთანა თქვენსა მტერსა,
— ენახე წუხელი სიზმარი, სისხლში ვიღებავდი წვერსა:

წრეულ მე ხომ არ მოვრჩები, რაც რომ უნდა გადაწყდესა:
 ან თათარი მილაღატებს, ქართველი არ მომარჩენსა,
 ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიპყრ წითელ კვერცხსა.
 თუ ძალით არავინ მომკლა, ნებით გამოვიპყრი ყელსა.
 — რას ამბობს, ბიჭი არსენა როდი ემეტება ღმერთსა!
 თუთხმეტ წელს ყაჩაღად დადის, კაცის ცოდვა არ აძევსა:
 სადაც ტიტველასა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა“.
 მაშინ ი ჩვენი არსენა ზემო ქართლისკენ გასწევსა.
 დიღმის სწორად რომ მოვიდა, მიკიტნებმა დაათვრესა.
 კი ბევრი დაალევინეს, ტიკშიც ბევრი ჩაუსხესა.
 მცხეთის პირდაპირ მივიდა, მუხათ-ფერდში ქეიფს სწევსა,
 ის რომ პურის ჭამად დაჯდა, ცხენს ბალახზე გაუშვებსა.
 იმ გიორგი კუჭატელსა, გამჩენელი გაუწყრესა, —
 წამოსულა კახეთიდგან, იმერეთში გამოსწევსა.
 ამოუარა არსენას, გამარჯობას ეტყვის ერთსა.
 გამარჯობა, გაგიმარჯოს, სალამად ხომ ეს იყვესა.
 „გიორგი, ღვინო მიირთვი იმ შენი ღელ-მამის მზესა.
 გიორგი შემოაგინებს ღელისა და მამის ყელსა:
 ეა, შე საწყალო არსენა, რათა ხარ ჰკუა თხელია.
 მე დღეს ღვინოს როგორ დავლევ, წითელი პარასკევია,
 თუ ეგრე ღვინო მინდოდეს, ჯიბეში ფული ბევრია.“
 ეს რომ არსენამ შეიტყო, მუხლზედ დაიკრა ხელია:
 კაცად როდიღა ჩამაგდო, რაღა ბიჭობა ჩემია.
 ბიჭი არსენა მოგიკვდეს, ვერ შეგიცვალოს ფერია!
 გაჯავრებული არსენა პირიღამა ჰყრიდა ცეცხლსა.
 წამოვიდა ის არსენა, იმ გიორგის დაუხვედესა:
 გიორგი საით მიდიხარ, არსენა ვერ გაგიშვებსა,
 ან უნდა მამკე ფულეები, ან შენი ცხენი დამრჩესა.
 გიორგიც ეუბნებოდა:
 ნუ გგონივარ ზოგ-ზოგები, შენ რომ მოჰყიდებდი ხელსა,
 ლეკის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მომარტყესა.
 ორმოცი ტყვია მომარტყეს, ვერაფერი დამაკლესა!
 მაშინ გაჯავრდა არსენა, ხმალზე მოისვამდა ხელსა.
 პირით რომ ვერ გაიმეტა, ყუთით გადაუტყრა ცხენსა.
 ხმალი ვადაში გადაუტყდა. ის ცარიელი დარჩესა.

მაშინა თქვა არსენამა, ღღეს მზე დაბნელდა ჩემია
 ვახ, როგორ დროს მიღალატე, გაგიწყრეს გამჭედელია.
 შემოუქნივა გიორგიმ, მოსკრა მარჯვენა ხელია!
 დაღონებული არსენა ცხენიღამ გადმოვარდესა.
 ცაცია ხელით ხანჯალსა არსენა მოისვამს ხელსა,
 ცოტას კიდე მიაწვდენდა, ბარძაყზედაც ხანჯლის წვერსა,
 ცალი ყური ჩამოთალა, ლოყაზედაც მიპყოფს ხელსა,
 „ეგეც გეყოფა, გიორგი, აქიმიც ვერ მოგარჩენსა.
 ვერ გაგიმეტე გიორგი, ვაი, დედიჩემის ღმერთსა!“
 ერთი ლეკის ბიჭი ჰყვანდა, იმ გიორგი კუჭატელსა.
 ბეჭებში დამბაჩა დასცა, პირში ბოლი გავარდესა.
 დაღონებული არსენა აიწევს და ვერ აღგესა.
 — რახან მამკალი გიორგი, სიტყვა მაინც დამცალდესა:
 ჩემი შვიდასი თუმანი, კასპში ერთ დიდს კლდეში დევსა.
 ღარიბსა, არას მქონებსა მიეცეს და მოხმარდესა!
 ამ სიტყვას რომ გაათავებს, არსენა ძირს დაეცესა.
 მცხეთელებმა რომ გაიგეს, თვალიდან ცრემლი ჰყარესა.
 ზოგი წყალში გამოვიდა, ზოგი ხიდზე მოირბენსა.
 ოძელაშვილი არსენა ზედ ბორანზე დაუდევსა,
 გაიყვანეს მცხეთაშია და ანდერძი აუგესა,
 მარმარილოს ქვა დასწერეს, დასწერეს და დაადგესა.
 „აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.

12. ვორძელაშვილი არსენა,
 ბიჭია მარა დელია,
 წელჩი წვრილი და მაღალი,
 ბეჭებში არის პტყელია.
 ბარათაშვილის გოგოზე
 მან არ ეიღო ხელია.
 ბარათამ კაცი გაგზავნა,
 ათი თორმეტი ღღელია:
 — არსენავ, ჩამომეთხოვე,
 თუ ხარ ძმა საყვარელია,
 თვარა იმფერ საქმეს გიზამ,
 როგორც რომ დიდი მტერია.
 იმფერ აღგილზე დაგაბამ,

სადაც რომ კაცის მკლელია.
ეს რომ არსენამ გეიგო,
მუხლზე დეიკრა ხელია;
ბიჭი მოგიტეს არსენა,
თუ ვარესი არ ვქენია.
პარასკევ დილა გათეხდა,
შაფათი კი აფერია.
კვირე დილა რომ გათენდა,
კარზე დააშა ცხენია;
გადმეიხმო გოგუები,
გადმუჟკონა ყელია.
გოგო არსენს ეუბნება:
— ჩვენი სიცოცხლე ძნელია.
ბატონის გაღვიძებამდი
ცხრა ვერსი გადურბენია;
გორს წირვა მუუსმენია,
ქუთეისს მუურხენია,
ეგ არის კაცის მკლელია,
ანა და ტყვის მყიდველია.
მე არა ვარ კაცის მკლელი,
არც კილო ტყვის მყიდველია,
ბატონსა გოგო მოვსტაცე,
რა გლახა რამე ვქენია?

—

13. არსენს აქებენ ყაჩაღსა,
ღიან, მართალი არიო,
სამართალს ძებნა დაუწყო,
გამოამტვრია კარიო.
გლებები გაახალისა,
მოსწმინდა ნალველ-ძმარიო.
ბატონები რისთვის გვინდა,
გამოვეხუროთ კარიო.
სიკვდილის ღირსნი არიან,
ამოწყდეს მათი გვარიო,
სულ გადავყაროთ ხრამებში,
როცა აღელდეს მტკვარიო.

—

14. არსენა უჩაღზე

ქართლში გაჩნდა უჩაღათა
მოწიფული არსენაო,
მდიდართ აკლო, ლარიბთ ჰმატა,
არავინა არცხვინაო.
ასე უნდა ვაუკიაცი,
არც ჰკვა აკლდეს, არც ენაო.
ივლიტელ ანტონ ბეჟანმან
ყოვლიფერში არცხვინაო.

15. არსენა რომ დაიბადა,
იყო გაზაფხულის პირი,
იგეთი წამაიზარდა,
როგორც წინანდელი გმირი.
მოახლეებს შეეჩვია,
წვრილ-წვრილად აძლივა ფული,
ეგ რომ ბატონმა გაიგო,
ძრიალ აიმღვრივა გული.
-

16. არსენას ამბავზე

სამი ძმაი კაცი ჭურღულაშვილები ვენახში თოხნიდნენ, გიგოლა, ზაქარა და კიკო, გადმოდგა მალლიდან გორზე არსენა — გამარჯვება თქვენიო, ღვინო არა გაქვთ ბიჭოვო, — დაუძახა არსენამ, — ჩამობრძანდი ძმაო, ღვინოცა გვაქვს, პურიცა გვაქვს, ხორციცა გვაქვს, გაგვაცანი შენი თავი, ვინა ხარ, ჩამოვიდა არსენა, კიდე გამარჯობა უთხრა. მუშებმა უთხრეს: — ვინა ბრძანდებიო? თუ გაგიგონია ჩემო ძმაო, მე ვარ არსენა მარაბდელი, მარაბდელი უჩაღი გასულიო, გაუხარდათ ძალიან მუშებს, დაკოცნეს მაშინ, გაგვიგონია თქვენი სახელი, ვერ გიცნობდითო. გაგზავნეს გიგოლა სახლში, გადმოიტანეს ღვინო, პური, დასხდნენ და ატარებენ დროებას იმ დღისით, შემრე ჩამოართვა ხელი არსენამ იმ სამ ძმას, დაკოცნა, ერთი კარგი თოფი (მე ჩემი თვალით მინახავს) აჩუქა, წავიდა, მე სამივე ძმებს ვიცნობ-

დი, თოფი გიგოლას ჰქონდა. იგი მოკვდა და თოფი სად წაიღეს, არ ვიცი.

17. არსენა

კახეთში, ახმეტაში, მე და ლუკია ვიყავით, მე ვიქნებოდით 25 წლის, ღამე გავათიეთ ერთ მელორესთან პავლე კოპიტაშვილთან, ის იქნებოდა 70 წლის. მან გვიამბო, რომ არსენას მე ვერ ვიცნობდიო, და ღორს უდექიო, მოვიდაო და მითხრაო, — ეს ერთი ტახი მომეცი და შენც ჩემთან წამოდიო. მე უარი უთხარიო. გადმოიღო ბეჭიდან თოფი და მოკლა ის ტახიო. ვეციო მერე ხელში, მე არსენა არ მეგონა, თუ იყოვო, მარჯვენა ხელი მიმკრაო მარცხენა ფეხზე, ამიყვანაო და ბეჭზე გამიდგაო. ტახს ჭაგარში ტაცა ხელი და ორივე წაგვიღო ბინაშიო. მე უთხარიო: — მე მაინც გამიშვიო, — არაო. მივედით ბინაში, ჩემი ხელით გამაქეთებინა ის ღორი. ღვინო ტიკებით ქონდათო, რაკი ვიცანი, არსენა იყო, არაფერს ვჩიოდიო, ფულებიც მომცაო, შემდეგ კიდევ მიუტანე გოჭებო.

18. არსენას ამბავი

არსენას მამა მსახურობდა ბატონთან. მამა გაუროზგა ბატონ-მა, უყურებს, რომ მამას სცემს ბატონი. მოახლე ყოლოდა კიდე იმ ბატონს, მოახლე უყვარდა არსენას. მამა რო გაუროზგეს, დაეცა ბატონს და მოკლა. გავიდა მემრე. მოქეიფე იყო, სადაც გაივლიდა. სუფრა ქონდა გაშლილი. წითელ პარასკევი დღეა, გაშლილი აქ ცხეთი პირას სუფრა. გამვლელ-გამომვლელს აქეიფებდა. ჩამაიარა ერთმა ამხანაგმა — ბარათაშვილმა. არსენას სუფრა აქ გაშლილი: — მოდი ღვინო დამილიეო — გიყი ხო არა ხარ, დღეს ღვინო არ დაიღვეაო, უთხრა ბარათაშვილმა. გაბრაზდა არსენა. ყუიდან გადაუკრა ხმალი და გადაუტყდა, იმ ბარათაშვილმა ჩამოკრა მხარი, მოსამსახურემ დამბაჩა დაეცა და მოკლა.

19. არსენა და გიორგი კუჭატელი

არსენა აქა ცხოვრობდა იყალთოს თავში წმინდა შიოში. იქა ჰქონია ბინა. როცა იგი აქ იყო, მაშინ ლეკების ხსენება არ იყო, ისე ეშინოდათ არსენასი. მამაჩემის, პეტრე ჭუნოს ძე მრევლიშვილის კარგი ნაცნობი და მეგობარი ყოფილა. მარილზე რო წავიდნენ გუმბრზე აღზევანში. იქაც უნახავთ ერთმანეთი არსენას და მამაჩემს. აქაც წმინდა შიოზე ვქეიფობდითო. არსენა წელში ისეთი იყო, რომ მუჭებში დაიჭერდი, ხოლო ბეჭები კარგი კევრივით იყო. ისეთი მარდი იყოვო, რომ ურემი თავქვეში მიდიოდა გაქანებული, იგი ზედ გადაახდევინებდა ხოლმეო. მამაჩემი მოკვდა ოთხმოცდაათი წლისაო, არსენას იცნობდა ახალგაზრდობაში. არსენა მარაბდელი გლეხი იყო. იგი კუჭანტელმა გიორგიმ მოკლა. კუჭანტელი აქეთ ქვეით არის. აზნაური იყო. არსენას სუფრა გაშლილი აქვს გზაზე და კუჭანტელი გიორგი მოდის ცხენით, თავისი ლეკი ბიჭით. ცხენებით. მიიპატიჟა არსენამ და იმან იუკადრისა. მერე წამოხტა არსენა და ვერ გაიმეტა მოსაკლავათ. ხმალი გადაურტყა ცხენს ყუიდან. ხმალი გადატყდა ვადაში. ამ თავის მოსამსახურე ლეკმა დაძცა დამბაჩა კეფაში. ეგ არ ვიცი ეს ცხეთისკენ იყო თუ საცა კუჭატანია.

19^ა. არსენა

არსენა გორძელაშვილი ყოფილა მეჯოგის შვილი. გამოსულა ღონიერი. გუა, გიუ დიდი კაცია თურმე, მის ოთახში წარამარა ვერ შებედავს კაცი. გაიგონა ეს არსენამ და გაიკვირვა, რა კაცია ეს იმისთანა, რომ მე ვერ შევბედოვო. წავიდა არსენა და მივიდა. ცხენი ძირს დააბა და შეხტა ოთახში. გამარჯობა გიუო!

— როგორ შენ შემოდით და წამოუსვა ლეკურს ხელი. არსენა გამოექცა. დაახტა ცხენს თავზე და გაექცა. გავარდა, ყაჩაღურად იყო, მარა არავის ეპუებოდა. ხანდახან დამალულად დადიოდა სოფლებში. ერთხელ შეხედა, რო ბატონს წაუმიძღვარებია ყაძახი, თვითონ ჯორზე ზის და სტკუცავს მათრახს, გაიარეო. შეხედა ამას არსენამ და გაიქცა, გადმოახტუნა ის ბატონი ჯორიდან და ის საწყალი ბიჭი შეაჟინა — ურტყი მათრახი, როგორც გაგიძლოს ხელმა, ჯორსო და ბატონი წინ გაგიძღვებო.

არსენამ უთხრა ბატონს: არ გადმოახტუნო, თორემ! ვაი შენ ტყავსაო.

ეშინია ამ ბიჭს. — შებძანდი აწი ბატონო ამ ჯორზეო — ეუბნება.

— არაო — ეუბნება პასუხს ბატონი — გაიგებს არსენა და მომკლავსო.

სადაც იყო ერთ დარიდებულ ადგილას თურმე არსენა. გიორგი კუჭატნელი ყოფილა ერთი. არსენა პურს ჭამს თურმე.

— გიორგი შემოუხვიე, პური ჭამეო.


— არა, არ მინდაო.

ეს არსენამ იუკადრისა — ასე როგორ მეუბნები შენო, წაეკიდა.

გიორგიმ ყური ჩამოათალა, მაშინ მოკლავდა არსენა, მარა გიორგის უკანიდან ბიჭი ყოლია და დამბაჩა დაურტყამს არსენისთვის და მოუკლავს.

არსენა ღარიბს აძლევდა თურმე და მდიდარს ართმევდა. სამოცი ცხვარი ნახეს თურმე თავმოკრილი იქ, სადაც ის მოუკლავთ.





დიკლო-შენაქოზე თავდასსმა. 1836 — 37 წ.

20. ხუთშაბათს თენებინასა,
პირია ბინდობისაო;
დიკლოს შუა უბან ჩამოსხტდა
პირი ლურჯისა ცისაო!..
ზე უბანს შემოხკივიან,
ქვე უბან დახკვრენ ზარსაო.
ზე აღგენ ხიოს დართლოელ,
ტანთ აისხამდა აბჯართო,
მოდგულავეს ციხის კარებსა,
ყამი არა აქვს მტრისაო:
„შინალ შამოდით, ლეკებო,
ხანი მომეციტ ცდისაო!“
ზე უბანს მოდის თოფის ხმა,
ქურაიძისა არსაო.
ჯერ ომობს ქურაიძის შვილი,
მემრ დაეცემა მუხლზეო.
დაი ასტირდებ ნანაი,
შუქ ჩამობნელდებ მზისაო:
გზასა როგორღა გაიღებ
ცოდვით ორ-ორის დისაო!..
ზე უბანს რა ამბავია,
პირი შემოდგა ზღვისაო...
ზე ავღებ ხაჩოს ნაკუდა,

ჯარებს უბრუნებს პირსაო;
ნატყვიარ არ ეტყობოდა,
ნაჭერ ძალს ატანს ხმლისაო.
ნეტარ თათარა რა იქნა,
ხმა იყო ციხის კარზეო?
თათარა ჰერხოსა ბრუნავს,
ვეფხვი გმინეასა ჰყრისაო:
„თოფსა ვინ მომცემს მორთულსა,
ან ვადას კარგის ხმლისაო,
ჯალაბნიც ლეკებმ გარეკეს,
როგორც ნოტოი ცხვრისაო“.
თათარაისა ნანელმა
ნაწნავ გამაიღ თმისაო.
მოუკლავს ჩვენი ნაკუდა,
მოვლა მინდ დალისტნისაო,
დაი თან მამდევეს ბეჩავი,
ორნ წინ მიდგ მამას ძმისაო;
ბერდედა აქვე მამიკლეს,
ხელ არ იკადრა მტრისაო...
ომობდა ბუწუნაიძე —
ვეფხვი სალისა კლდისაო.
თოფი დაგვიკრა ხითაძემ
ლეკსა ბეჭისა პირსაო;
ცალ-ცალკე ვერას გაქებდეთ,
ორნივე თავსა სცდისაო.
მხარ-გვერდზე სვენავ ხაკარი,
დღეს ხედავ სიკვდილისაო.
ასტირდა იჩოს ზობაი,
ცას ცვარი ჩამოზღისაო.
ეს ქნილა გაგონილაი,
უკულმ გაღება გზისაო.
ბერომა კახიძის შვილმა
ხმლით მხარი დაუჭირაო,
გვეოდს სტანავ ცოლი თამარი,
ერთგულად უჭირ მხარიო;
ლეკსა ბერომა გააყოლ

ნაკერი ფრანგულისაო,
 მალლა მთის წვერზედ დააწვინ
 მსახური თავის ძმისაო:
 „მანდ დაჯე, ლეკო, ვერ წახვალ,
 მანდ ჭამე საგძალ გზისაო“!..
 ომობდა მოზას ივანე,
 ლეკვი გაზდილი მგლისაო,
 სოფლის ნაპირას დააწვინ,
 მიწა აჭმია მტრისაო:
 ლეკო, იქნები ხაპრისთვინ,
 სულეთს მიმტანი წყლისაო,
 დიკლოსა თავსა ვინ მოხკალ
 უფროსი დალისტნისაო?
 შვილ მამამდ გეყოთ სახელი
 შვილთა და შვილის-შვილთაო.
 ამ ამბის გამლექსებელი
 დიკლოში ქალი ზისაო.

21. დიკლოს დალევა ვინა სთქო,
 ან განრისხება ღვთისაო,
 ცოგიძის ციხის დაქცევა,
 შედება ქანქანისაო?
 შიგა ზის თისო ცოგიძე,
 ვეფხვია სალის კლდისაო.
 ეუბნებოდა ბიჭებსა:
 ტირილ მაწუხებს დისაო;
 ცოლს ამას უჯავრდებოდა:
 რას მეფერები პირსაო,
 ტყვია თუ გამითავდება,
 ფარგულს აგაჭრი ღილსაო.
 შეთემ სთქვა ქუმელაურმა:
 დღეს დღე არ მირჩევს ცდისაო.
 ხმლით გავალ, გადავერევი,
 ჯავრი მჭირს ლეკებისაო;
 ხუთამდინ თქვიდით ნახოცი,
 გაჭრა ვინც იცის ხმლისაო.

დიკლოს შამოვლენ ლეკები
 ახალ წელისა დღესაო;
 ხელშია დიკლო, შენაქო,
 ომალოს დარეკ ზარსაო!..
 ომალოს, ბროლის ციხეო,
 შიშით გაქანებს ქარიო;
 შიგ სხედან თუშის ბიჭები,
 პირს ასდის თოფსა ალიო.
 ლმერთმან გაცხონოს, საბედო;
 სული იალაღმთაც არიო!
 მანდილი უკან გაიკრა,
 წელს შემოირტყა ხმალიო
 გამეერია ლეკებსა,
 ჩალად დაყარა მკვდარიო;
 თანაც გამოჰყენენ ბიჭები,
 დააყრევიენეს მკვდარიო;
 ეშველებ წასნის გიორგი,
 ლეკებს შაუკრა გზანიო;
 არ შემოუშვეს ომალოს,
 დაბრუნდა დაღესტანიო...

22. შენაქოს მოვიდ დიდო,
 დენგამ შაყარა ჯარიო;
 არ სჯერან შენაქოელებს,
 თეთრად დათოვლნა მთანიო.
 ოთხშაბათ თენებისასა
 შენაქოს დასცეს ცანიო.
 ქვე უბანს შემოუკივლეს,
 ზე უბანს დახკრეს ზარიო;
 ხელაიძისა ციხესა
 ცამდინ აუშვეს ალიო.
 ბეროსა ხელაიძესა
 ჩაეხვევიან ცხრანიო;
 დასტრიალდ ხელაიძეი,
 მგელმა დაფანტა ცხვარიო.
 ახალს უბანსა გადვიდეთ.

ელანს მოვავლოთ თვალიო.
— კარათ გამოდი, ელანო,
ხელთ გამოიყოლ ხმალიო.
— მე გარეთ ვერას გამოვალ,
კვდარი ბევრ მიყრი კარზეო.
კარათ გამოვიდ ელანი,
შუა განია ჯარიო,
მომკლავს-კი, გარეთ მოვხკლავდე,
ვადაზე გატყუა ხმალიო.

23. დიკლოს მოიდა დილოი,
დენგამ შეხყარა ჯარიო,
გადმოდის ხუშეთის დელეს,
როგორც ნაგუბარ წყალიო,
აქოდის წისქვილოანა,
თვალიწ არ გადასწვდებო!
ქვეობან შემოხკივლიან,
ზეობან შეზდვეს ზარიო.
ციხითამ ელანაჟიზემ
შორით მოხკიდა თვალიო:
ასრია-დ' გამოავგორა
ლეკის ბელადი ძაღლიო.
ზე ადგა ხიცოს დართლოელ,
შეალო ქავის კარნიო.
ჩადიან ქვეობნისაკე,
დათოს მოავლოთ თვალიო.
დათოსა ორჟიძესა
ჩაეხვევიან ცხრანია;
ქავთარაჟ კერხოს ბრუნევდა,
ვეფხვივით გმინვას ხყრიდაო:
— წამისხეს ჯალობაი,
როგორც ნოტიო ცხვრისაო,
ბერდედა აქავ მომიკლეს,
კელ არ იკადრა მტრისაო.
მქარ-გვერდზე იღვა დაპარი,
დღეს ხედვედ სიკვდილისაო.

24. კუშკანდალი

დიკლოს ატირდეს დედაი:
ძალი ვიჟადეთ ღეთისაი,
ჯარ დაგვეც დანდობაზედა,
ძალია კუშკანდლისია;
ამოდის წისქვილიანა,
მინდია რიერაჟისია,
ღვინიაც ელანიყის ძე
— ქორი ციხეში ზისავე,
ქელთ უჭერავის სიათა,
კონდახს უკვენით ზისავე.
ზეუბნის თოფებ გამოდის,
შვილია ქურაზისავე.
ლეკები გახკვირებიან
ნაცადსა ბეყოზისაო.
ბიჭებგორ შემოგვეწია,
ფასი ქნა ადგილისაო.
ქალაქო, სულთამ სცხონდები,
ბაქი, შენ ჯაჩიერისაო,
არ გადახყევი ლეკებსა,
ქელი არ იკადრ მტრისაო,
სულიმც იალალ გექნება,
საც ქრისტე პურად ზისაო.

25. მშაველ-ქევსურთ მიშველება თუშეთში

ჰელოს ატირდა დედანი:
„მტერმან ჩვენ შეგვაშინაო.
კარზედ მოგვდიან სტუმარნი,
ძალით მოდიან შინაო.
ამა ჩვენს მეთოფეებსა
ძილიმც ვინ დააძინაო!
პირიმც წყლით გაალბობინა,
თოფებიმც დაუგრილაო!
ნეტავინ ფშაველ-ქევსურნი

აქამც ვინ შემოშჩინაო!
კევსურთა ფარ-ჰმალ-ყაწიმნი
ელოს თავს შემობდღვინაო!
გულმძიმე წოვათ შვილები
თოფებით ჩემოწვინაო!“. .
სამციხელების თოფებმა
ელოს ძირს შემოკვივლაო.
ქავთარმან ზურაბის ძემან
კმა-წვრილად შემოჰკვივლაო.
მიქელამ ზურაბის ძემან
რა საქმე მაიკდინაო.
დაჯოცა თავის ცოლ-შვილი,
სულეთიც წაიკდინაო.
დღენიმც მიერგეს ეგეთი,
ვინც მიქელს გაუცინაო!

26. ჯარი იყრება დალისტანს.
დაღუპვა ღგულავს დიკლოსი,
გადმოდის ხუშეთის ღელეს,
ნამ არ დასწვდება ცისაო.
შემოდის ბიჭეხის პირსა,
პირ დახკრა თენებისაო,
ოთხშაბათს თენებისასა
დიკლოს ჩაგვეცნეს ცანიო;
ხელ-უქცევს სიკვდილს ამბობენ
ნარჩევის ვაუკაცისაო.
ომობდა ოსურაიძე,
სანგალს იხვევდა კვდრისაო;
ხეცო და ცოტო ამბობდნენ
ერთმანეთ მეტობაზგო:
ძმისწული მტერმა მოგვიკლა,
მზე წითლად ამოდისაო,
რადამ გვიანად ამოდის
სიათა ქურაძისაო?
მტრისა ხოცვისა ამბობენ
ვარდიძის ჯამრულისაო,

გიოი მოზაიძეი ---
 ვაუკაცი თავსა სცდისაო,
 თავიცი იძია, სხვაცაო,
 სულ იხსნის მამ-პაპისაო.
 სულეთს აძლევენ სალამსა
 გიოსა მოზაშვილსაო.
 დაო, ამბობდა ქოთაძე,
 სისხლისა ტბაში ზისაო.
 სულეთში ღვთისოს იჩუა
 ჩივილით შემოდისაო;
 „ხანჭლით დავხოცენ ცოლ-დანი,
 სულეთს არ მომესვლებაო“.
 ომობდა კახიძის შვილი,
 თოფის ხმა გამკვირდისაო.
 ბეროს ნახოცთა ლეკებსა
 დალისტან გახკვირდისაო.
 ბარაქალ, კახიძის შვილო,
 სახელ ხქენ ადგილისაო;
 დალისტანს ქარუმიშვილი
 ტირილით შამოდისაო:
 ჯარი გავსწირე დიკლოში,
 სამ-სამი ნაიბისაო.
 შენდობა დიკლოს ნახოცთა,
 სად დასხდეს ხალხი სმაზეო!..

27. ნამდვილი შემთხვევა დიკლოში

კავკასიის მთის სხვა და სხვას სოფლებში, სადაც ცხოვრობენ
 ლეკნი, დიდონი, ქისტნი, ხევსურნი და თუშნი, მანამდის შაიქენ-
 ბოდნენ ერთ სამეფოდ, ძველისძველად ჩვეულებად დაედოთ, რომ,
 როდესაც მოინდომებდნენ, ერთი თემი მეორე თემს მოციქულებს
 მიუგზავნიდა — ჩვენში მეგობრობა დავსდოთო და რამდენის
 წლით ორივეს მხარესა ჰსურდათ, დაჰსდებდნენ მეგობრობასა და
 ნამუს-პატიოსნებასა. ეს იყო იმათი შერიგება. ისინი შეკრულნი
 იყვნენ მტკიცე პირობით; არც ერთს მხარეს არ შეეძლო დანიშნულს
 ვადამდის მიხლომა, ტყვეების მოტაცება და სისხლის ღვრა; ისინი

მშვიდობიანად დადიოდნენ ერთმანეთში. აგრეთვე დიდობის ჩვეულებად იყო მიღებული მეგობრობა; რაკი დიდო ერთხელ თავის თავს ვისმე ამხანაგს დაუძახებდა. თუნდა პირობა კიდევ შესრულებულიყო ამხანაგობაზე, თავსა ჰსდებდნენ. დაიწყებდა სიარულს, დიდოდამ გამოიპარებოდა და მივიდოდა თავის ამხანაგთან. ტყუილსა თუ მართალსა თავიანთ ქვეყნის ამბავს მოჰყრებდა და ჩამოუტანდა, რადგან ამას შიმშილი აწუხებდა. როდესაც გაზაფხულდებოდა, ის ამხანაგი ბევრჯერ ჯარს თითონვე ბელადად მოუძღვებოდა ამხანაგისვე სახლის ასაკლებად. ამ ზემოთქმულის ჩვეულების დაგვარად, მოხდა შერიგება ათას რვაას ოცდათორმეტში.

ათას რვაას ოცდათორმეტში მოინდომეს დიდოს სოფლებმა, და ამათმა ნაიბმა ალდამის შვილმა ამირხანმა, პირიქით თუშეთის სოფლებთან პირობის დადგენა. ეს ამირხანი დიდობითურთ მივიდა დიკლოსა და შანაქოში და გამოაცხადა, რომ შერიგება სურს. თუშებმაც ეს სიამოვნებით მიიღეს. ორთავე მხარის თანხმობით ოთხი წლით დასდევს პირობა; ერთმანეთს შეუცვალეს ნამუსი და ვაჟკაცობა. ხელშეკრულობით აღარ შეიძლოთ ერთმანეთის მტრობა. თუშნი უშიშრად დარჩებოდნენ ხოლმე დიკლოში და შანაქოში, ზამთრობით აღარ ჩამოდიოდნენ კახეთის სოფელ ალვანში. ათას რვაას ოცდათექვსმეტში თებერვლის თორმეტს დიკლოში მცხოვრებ ღვთისია გოჩოშვილს შუალამის დროს ვილაცამ კარზე დაურაკუნა და დაუძახა: „ღვთისიავე, ღვთისიავე, გამიღე კარი“, მაგრამ ღვთისიას და მის სახლობას ეძინათ. კიდევ მეორედ ღონიერათ დაუწყო კარებს რახარუხი და უძახოდა: — „რა არის მაგისთანა ძილი, რა დაგმართნიაო. ჩქარა გამიღეთ კარი, არ გესმით?“

ღვთისიას გამოეღვიძა. ყური მიუგდო, ხმა იცნო თავისი მეგობრისა. წამოდგა და გაუღო კარი. იცნო და შესძახა: — „აა, შენა ხარ ბოლქვი! ამ დროს სიარული ამგვარ სიცივეში ვის გაუგონია, რად დაგიგვიანებია, შინ შემოდი“. შევიდა ერთი თავიდან ბოლომდის გაწუწული მაღალის ტანის ჰრელთვალა დიდო, რომელმაც ღვთისია საჩქაროდ გადაკოცნა. ღვთისიამ კარი ისევ მიკეტა და ბოლქვი შუაცეცხლისაკენ მიიპატიჟა, თითონ შეშა მიუმარჯვა, ბოლქვმა ნაბადი მოიხსნა, ცეცხლის პირად დაჯდა. თებოდა და თან ლაპარაკობდა: საშინელი თოვლის ზეავებიაო. — დღეს საიდან მოხვალ, ძალიან დაგიგვიანებია. — მამლის ყიულს უკანვე უნდა დავბრუნდე. — ამ დროს მოსვლა და მერე ისევ დაბრუნება რა ამბავია? — გეტყვი,

მაგრამ ჯერ დაიფიქვე, რომ არ გამცემ. — რაღა ფიცი გექირება, განა ისე ვერ მიცნობ? — არ გამცე, თორემ ამხანაგებმა თუ გამიგეს, მე ჩემის ცოლ-შვილით ამომწყვეტენ.

ღვთისია გოცნებული დარჩა. — რათა? ჩქარა მითხარ, ნუ შემაშინე! — აი ამხანაგო, რა ამბავია, გითხრა. ალდამის შვილს ამირხანს ამ გაზაფხულზე თქვენი ღალატი სურს. ჩუმად მეჩეთში შეეყარა ასახოსა და ხუბერის ხალხი, ახლო-მახლო სოფლებისა, რჩევა გაეკეთებინა. ასე რომ, როდესაც თოვლი მოვიდეს და აქედან კახეთში გადასასვლელი გზები შეიკრას, შეიყარნენ ჯარად და თქვენი სოფლები წაახდინონ. მანამ აქეთ არ გამოემგზავრნენ, მე ეს ამბავი არ გამიგია, ეხლა კი მითომ საომრად გამოჰყვე და გზილამ ჩუმად გამოვეპარე. რომ არ შემეტყობინებია, მეშინოდა, შენმა პურ-მარილმა არ მომკითხოს! ღვთისიას მწუხარებით თავბრუ დაესხა და უპასუხა: — თუ ჩვენი დახსნა გინდოდა, ერთი ღლის წინ მაინც გამაგებინებდი. ეხლა რაღას მიშველის, თუნდა მცოდნია, თუნდა არა! — გათენებამდი ჯარი ვერ მოაღწევს, მანამდე უშველე შენს ცოლ-შვილს.

ღვთისიამ ხმა აღარ გასცა და თავის სახლობას დაუძახა: — ადექით, არ გესმით, რა უბედურ დღეში ჩავცვივდით! ღვთისიას სახლობას ეს ამბავი ყველა წვრილად ესმოდა, მაგრამ შიშისაგან სდუმდნენ. დედა ღვთისიას წუწუნით ეხვეოდა: — შვილო, რა უნდა ვქნათ, საღ მიგვაფარებ ამ ცივს მთებში, გზები ხომ შეკრულია შენი კენესამე! — კოშკი, დედავ. გზა სადღა არის. ბარჯი იქ ზევით აზიდეთ. ახლა დას დაუძახა: — ქანდა, რამე ყველი და ხმიადი მოუტა ამხანაგსა. ამხანაგს ტაბაკი დაუდგა და კოშკში ბარჯს დაუწყო ზიდვა. ღვთისიას ცოლმა შვილი გააღვიძა და გულში ჩაიკრა. ღვთისია თან თოფსა სწმენდდა და თან ცოლს ელაპარაკებოდა.

— ბეჩამ მარიამა, შენი სიყვარულით გამაძლარიყავ მაინცა. ჯარიანობასა და ცხვარში სიარულით დავალამე ჩემი წუთისოფელი.

მარიამმა ამ სიტყვებზედ ცრემლები გადმოჰყარა და უპასუხა:

— ნეტავ აქამდის გავწყალეზულიყავ! ნუ გეშინიან შე უბედურო, მაინც მე იმათ ხელში არ ჩაუგდებ ჩემს თავსა. ნუ გეშინიან ბეჩაო, მანამ ცოცხალი ვარ, ევ არ იქნება. მარიამ თავპირში იცემდა და თან ეხვეწებოდა: — თუ დავიხოცენით, ერთად დავიხოცოთ, თუ ვიცოცხლოთ — ერთად ვიცოცხლოთ!

ამათ ლაპარაკში ამხანაგი გამოძღა და გაემგზავრა. ღვთისიამ გარეთ გამოაცილა. ნახა რამ პტრედის ფერად იყო ჯარი. მაშინვე ცოლს მიიძახა: დრო აღარ არის მანდ ყოფნისა, ჩქარა კოშკში აღით. თითონ აქეთ-იქით მეზობლებს გადასძახა: — დიდობმა გვიღალატეს, თქვენ თავს უშველეთ ძმებო! ამათზე ახლო იდგა გოგონაურის ცოლი მათა, გამოიქცა იგი და ამათის კოშკში ავიდა, ჩამოკეტა კარები, ღვთისია იმედს იძლეოდა: მანამ ტყვია და წამალი მაქვს, რაც უნდა დიდი ჯარი შემომეხვიოს, არ წავაყვანიებ თქვენს თავსაო.

ყველანი ტირილით ღმერთს ეხვეწებოდნენ. ამ დროს სოფლის ბოლოდამ მოისმა დაფა-ზურნისა და ჯარის ხმიანობა. მთელი დიკლოსა და შანაქოს ხალხი აიშალა. შეიქნა წივილი, კივილი, თოფის სროლა და უშველებელი ვაების ხმა. ლეკები შემოესივნენ გულდამშვიდებულ თუშებს და დაიწყო სისხლის ღვრა. ყოველ მხარეს ტირილის ხმა გაისმა. თუშები თავიანთ გმირობას არ იშლიდნენ, მაგრამ გაქცევის გზა კი არსაითა ჰქონდათ. ვინც კოშკებში შეასწრო— გამაგრდნენ, ვინც არა და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, რომდნენ. სამი ათასი თოფ-იარაღიანი ლეკის ჯარის უეცრად ნამძინარებზე თავდასხმა ძნელი იყო. დაერივნენ და ჰხოცდნენ, ბარგსა და საცხოვრებელს იკლებდნენ. იყო ერთი საშინელი ანბავი. მესამე დღეს ლეკებმა სამასი სული ტყვე გაისტუმრეს დიდოეთში. რომელი თუშებიც კოშკში იყვნენ შეხიზნულნი, ახლა იმათ დაუწყეს ბრძოლა. კოშკებშიაც ორი დღის განმავლობაში დაატყვეს, რომ ტყვია-წამალი მალე დაეღევათ. ერთი კოშკიდან სამი ბიჭი გააპარეს და შეთეს ტყვია წამალი სთხოვეს. შეთე იმჟამად თავის სახლში თუშეთისავე სოფელს ქუმელაურთკარს იყო და დაფიქრებული გაპყურებდა კავკასიონის თოვლიან მთებს. ვინ იცის რომელი გამარჯვება ან გრძობის შემარყვეელი შემთხვევა აგონდებოდა დაღისტანში და საქართველოში. ბევრნი იცნობდნენ შეოეს და იმის ვაჟკაცობას. შეთეთუში ხიფათიან ცხოვრებას სიყრმიდანვე დაჩვეული იყო. უყვარდა სადავლაოთ მთებში სიარული. თვეში ერთხელ და ორჯერ რომ არ შეხვედროდა ლეკებს და არ გაემარჯვა, არ იქნებოდა. როცა სადავლაოთ წავიდოდა, ორი ან სამი თუში უნდა წაეყვანა. მეტს არ გაიყოლებდა. მაგრამ, რაც უნდა დიდ ლეკის ჯარს შეხვედროდა, მაინც მშვიდობით გამოვიდოდა ხოლმე. მრავალგან კი იყო დაჭრილი. მტრის კონტახისციემით ლოყაზედ მუშტის ტოლი კოყოყი ჰქონდა.

სხვადასხვა ლაშქრობაში მონაწილეობის გამო ბევრჯელ იყო მთავარმართებლებისაგან დაჯილდოვებული. დაღესტანში იმისი სახელის გაგონებაზე წრწოდნენ ლეკის დედაკაცები. შვილს დაემუქრებოდნენ: — ნუ სტირი, თორემ შეთეს მიგცემო! — ერთხელ თურმე კიდევ ახდა ეს დაემუქრება. დიდოში ერთმა ლეკის დედაკაცმა შვილს ტირილი დაუშალა, მაგრამ ყმაწვილი არ გაჩუმდა. გაჯავრებული დედა წამოდგა, ბავშვი აიყვანა და უთხრა: — რადგან არ გაჩუმდი, აი ახლა შეთეს მიგცემ, თავი გამოგქრასო. ამ დროს სადავლაოთ წასული შეთე იქ იდგა და ყურს უგდებდა. დედაკაცმა ყმაწვილს ფანჯარაში თავი რომ გააყოფინა, შეთემ დაჰკრა ხანჯალი და მარტო ტანილა შერჩა დედას ხელში. ქალმა რომ შეჰკივლა, კაცები გარეთ გამოცვივდნენ. შეთე და იმის ამხანაგები ახლა იმათ მიუბრუნდნენ. ორნივე დახოცეს და მარჯვენა ხელები დააჭრეს. მანამ სოფელში კიჟინა შეიქნებოდა და მღვევარი გამოუდგებოდათ, ესენი მთას შეეფარნენ. მრავალი ამგვარი შემთხვევა გადახდომოდა თავს შეთეს ჩუმად და ცხადად.

შეთემ შორიდანვე დაინახა ბილიკზედ ჩამომავალი სამი თუში. ადგა და შეთეც გარეთ გამოვიდა. მგზავრებმა მალე მიატანეს შეთეს სახლს. მოვიდნენ და სალამი მისცეს, საჩქაროთ შეატყობინეს დიკლოსა და შანაქოს აკლების ანბავი. შეთემ ოთხი ბიჭი გამოარჩია: კახო გიგაურის შვილი, გიო, ბერა და ფანდურა. უთხრათ: — ბიჭებო, ჩვენი გაჭირვების დღე ეს არის. ერთ დღეს დაბადებული ხართ და ერთ დღეს თუნდა დაიხოცენით. ეს ანბავი კახეთში უნდა შეატყობინოთ ჩვენ მოურავს. ხომ იცით, ის ჯარს შეჰყარის და მოგვეშველება. გაისტუმრა ეს თუშები და თითონ კიდევ გამოარჩია შვიდი ბიჭი, აჰკიდა თითო გულდა წამალი და წავიდა დიკლოსაკენ.

კახეთისაკენ მიმავალი თუშები შეუდგნენ უშველებელს კავკასიონის მთას, მიდიოდნენ უგზო-უკლოთ, საშინელს თოვლსა და ყინულზედ, ხან სად დაეცემოდნენ და ხან სადა ცურავდნენ. ღამე მიატანეს ხეობასა და ტყიანს ადგილს, დასჭრეს თხილის ტოტები, გაიკეთეს თხილამურები და ისე იარეს ზევეებზე. საშინელი კლდიანი ადგილები შეხვდათ. ერთ მთის წვერზე გიო გადაუვარდათ, იგი თვალის დახამხამების ხანში დაეკარგათ. შეწუხებულნი და ფეხებდამზრალნი ჩამოვიდნენ მეოთხე დღეს ალვანში და ყოველივე აცნობეს თავიანთ უფროსს მიხეილ ჩოლოყაშვილს. იმანაც საჩქაროდ

აცნობა მთავრობას და მოახდინეს განკარგულება, შეჰყარეს ჯარი და გასწიეს თუშეთის მისაშველებლად.

წინდაწინ რომ შეთე წავიდა, შუალამეს მიატანა იმ კოშკებს. საიდანაც ტყვია-წამალი სთხოვეს. თუშები შეწყვედულები იყვნენ. ლეკებს გარს სანგლები გაეკეთებიათ. შეთე ჯერ ჩუმად მიეპარა და მოუკლა რამდენიმე ყარაული, შემდგომ შეუტია ხმამალა: — აი, თქვე წუნკლებო, შეთეს მეძახიან, შეთე მოვედი და გიჩვენებთ სეირსა. დაუშინა თოფები. ამ ხმაზედ აიშალნენ ლეკები და შეიქნა აქეთ-იქით რყევა. ლეკებს ეგონათ დიდი ლაშქარი მოვიდაო. ღამის სიბნელისგან ვერ არჩევდნენ და ერთმანეთსავე ჰხოცამდნენ: შე-წუხებულ თუშებსა და მათ ცოლ-შვილში შეიქმნა დიდი სიხარული. ამ დროს შეთესთვის მოუკლამთ ნაკულდა თავბერის შვილები.

ღვთისიას კოშკი. განაპირებით იყო და ვერ შეუტანეს ტყვია და წამალი. ღვთისია ოჩიშვილი მარტოობისთვის არა სწუხდა, ცოლი უტენიდა და ქმარი ისროდა, მაგრამ ტყვია-წამალი რომ შემოაკლდა, ამ კოშკიდან თოფის ხმა კანტი-კუნტადლა გამოდიოდა. ეს ლეკებმა შენიშნეს, მოვიდნენ და შემოეხვივნენ. სცდილობდნენ ასვლასა. მეტი გამაგრების ღონე აღარ იყო. ღვთისიამ უთხრა თავის სახლობასა: — ჩემი განზრახვა ეს არის, მე გავალ და მანამ შემეძლება, ვიომებ, ისინიც მომკლავენ. თქვენ ტყვედ წაგიყვანენ და ერთიც არის ჩვენთანნი დაგიხსნიან.

ეს უთხრა თუ არა, აიღო ერთი მუჭა მიწა, პირჯვარი დაიწერა და შექამა, ეს იყო ნიშანი ზიარებისა. მიუბრუნდა, გადაეხვია დედას, დაჰკოცნა ცოლსა, დასა და შვილსა. კარი რომ უნდა გაეღო, მისწვდა მარიამ და დაუჭირა ხელი. — რას შვერები ღვთისიავ, მანამ ცოცხალი ვარ; სად გაგიშვებ, ეგ რა პატიოსნება იქნება, შენ ვახუალ, და მოგკლავენ, მოხუცებულს დედას გადაკაფვენ; შენს ცოლს და დას გააუპატიურებენ. შენს შვილს ტყვეობასა და სატანჯველს გამოატარებენ! არ იცი, რომ ჩვენი უპატიურობა შენ მკვდარსაც მოგვეკითხება და ამ უკანასკნელს ქამში თანაც საწუხრად გაგყვება! ნამუსიანად ერთად დავიხოცნეთ! ღვთისიამ უპასუხა: — მაშ, რა ვქნა? რა გიყოთ, ერთად გავიდეთ, და რაც მოგვივა, მოგვივიდეს.

— არა, არა, აი რასა იქ, ღვთისიავ, — ეუბნებოდა მარიამ.

— აიღე ხანჯალი, ჯერ მე მომკალ, რომ ჩემი ბასილასა და შენი სიკვდილი არა ვნახო; მერმე ეს მოხუცებული დედაშენი, რომ ამანაცა არ ნახოს შვილებისა და შვილიშვილის სიკვდილი, მერმე

შენი დაი და მერმე შენი შვილი, შემდეგ გადი და ისინი შენც მოგ-
კლამენ. თუ ნამუსი გაქვს, ამ ჩემ თხოვნას აღასრულებ. მარიამ
მიუბრუნდა ღვთისიას დედას და დას: — თანახმა ხართ თუ არა?

ღვთისიას დედა კრინტწასული ძლივსლა ხრანტალებდა: —
მაგრე სჯობს, შვილო, მაგრე! — არ მოგეშვებით — სთქვა ქანდა-
რამ. სწორეთ, მაგრე უნდა ჰქნა.

ღვთისიას აქეთ-იქიდან ტირილით ეხვეოდნენ და ესალმებოდ-
ნენ. ღვთისიამ დაიწერა პირჯვარი და ასე სთქვა:

— ღმერთო, შენა ხარ მაღლიდან მაყურებელი, რა მდგომარეო-
ბაშიც მე ეხლა ვარ, და რაც სატანჯველი სიცოცხლითა ვნახე. ამათ
მოვალეს მაინც ნუ გამხდი და ცოდოთ ნუ დამედება კისერზედაო.
დაიწერა პირჯვარი და ამოიღო ტირილით ხანჯალი, გადაეხვია ცოლ-
სა და დაჰკოცნეს ერთმანეთი, მერმე გადაიწია მარიამმა ყელი და
უთხრა: — „აჰა, მომკალ, შენი ჰირიმე, რალა ხელები გიკანკალებს!
არ გესმის, კარებს ამტვრევენ?“ გამოუსვა ღვთისიამ ხანჯალი და
თითონაც ხის ფურცელივით ათრთოლდა. მარიამ დაეცა მკედარი,
ბასილამ შექნა ღრიალი. ახლა დედა მისწვდა ღვთისიას: ჯერ შვი-
ლო, მე მომკალ, გენაცვალე! ღვთისიამ ძუძუები დაუკოცნა და ამ-
საც გამოსჭრა ყელი, მერე ქანდარა გადაეხვია ამ სიტყვით: „ნულარ
აგვიანებ შენი ჰირიმე, ძმაო!“ ღვთისიამ ახლა დას დაუწყო გამო-
სალმება და გამოსჭრა ყელი. ახლა ბასილა ჩაიკრა გულში და უგო-
ნოსავით დარეტიანდა... ლეკებმა დაუწყეს ზევითა კარებს
მტვრევა.

ღვთისიამ შვილსაც გააგდებინა თავი. აიღო თოფი და გამოსე-
ლა დააპირა. ახლა მოსწვდა მათა გოგონაურისა: „შენი ჰრისტეს სი-
ყვარულისათვის, მეც შენი ხელით გამომჰქერ ყელი, იმათ ხელში ნუ
ჩამაგდებ!“ ღვთისია შედგა და ასე უპასუხა: „არა დაო, მათავ, შენ
ღვთის გულისათვის უნდა მოითმინო, რომ შემდგომ ჩემი სიკვდი-
ლისა უამბო ყველას ჩვენი ამბავი და გამამართლო თემობაშია“.

ღვთისიამ საჩქაროთ გადატეხა თოფი, რათა მტერს არ დარჩე-
ნოდა და ხმალამოწვდილი გადახტა. გაერია ლეკებში, მოკლა ერთი,
მეორე, მესამე და ლეკებმა დაუშინეს თოფები და საწყალი ღვთი-
სიაც მოჰკლეს. შევიდნენ, რაც იქ ბარგი იყო, სულ აიკლეს, და
კოშკს ცეცხლი წაუკიდეს. მათა გოგონაურისა ტყვედ გაისტუმრეს
და დარჩა ეს ამბავი თუშეთში სახსოვრად.

შეთემა და კოშკში მყოფელებმა დაინახეს, რომ ღვთისიას კოშკს ცეცხლი ეხვია. დიდ მწუხარებას მიეცნენ. შეთემ მონღომა გამოსვლა და მიშველება, მაგრამ თუშებმა უთხრეს: — ეხლა ტყუილი გასვლა გვექნება, თუ ღვთისია, ან მისი სახლობანი ყოფილიყვნენ და მივეშველებოდით, კარგი იქნებოდა, თუ არა და ეხლა, როცა ლეკები კოშკში ავიდნენ და ცეცხლი წაუკიდეს, ეტყობა, ისინი ან დახოცეს, ანდა ტყვედ გაისტუმრეს. რიდასთვის უნდა ჩავიდეთ?! რაც შეგვეძლება, აქედან ვიომოთ, რომ ჩვენც არ შემოგვივიდნენ. ხომ ხედავთ რაერთი ლეკი გვახვევია გარშემო. ჩვენც როგორ უნდა გაუმაგრდეთ! თუ კახეთიდან ჯარი არ მოგვეშველა, დღეს იქნება თუ ხვალ, ამოგვხოცენო.

ამ სიტყვებით დაიწყეს ბრძოლა და კოშკების კვლავ გამაგრება. იმჟამად უფროსმაც მოაღწია. ლეკებმა რა სცნეს უეცრად ჯარის გამოჩენა, შეექნათ არეულობა. აღარ იცოდნენ რა ექნათ, ბოლოს გაიქცნენ და გამოუდგათ ქართველებისა და თუშების ჯარი; ზოგს თოფით ჰხოცდნენ, ზოგიც კლდიდამა სცვიოდა. ხუთასი ლეკი დარჩათ მკვდარი. ესრეთ გადაუხადეს თუშებმა მაგიერი, ვაჟკაცური მხნეობა გამოიჩინეს, გაიმარჯვეს და დამარცხებული ლეკები გააქციეს.

ასე თავდება თუშის ნამბობი.





ჯანუი გურიაში 1841 წ.

28. ჰუნტი გურიაში

გურული ხალხი აყრილა,
ყველა, ბრუნდი და მართალი,
აუღიათ იარაღი,
შიშვლად აქვან ხელში ხრმალი,
ვისაც არ აქვს იარაღი.
აუღიათ თოხის ტარი,
ერთმანეთს ეუბნებიან:
„ამევილოთ გულში ჯავრი!
ჩვენს მოდაურსა ვეჩხუბოთ:,
აუღულოთ სისხლის ღვარი.
ოთხი კაცი პუნტოჩიკი,
ათასია მოფიცარი,
ალექსანდრე ქარცივაძე,
სიმონ ჭყონიაც აქ არი,
ამბაკო შალიკაშვილი,
თავი და ბაილახტარი,
ღმერთმა ის ღროი მოგვასწროს,
ამოგვეღოს მისი ჯავრი,
ნურცა გვინდა მისი ჩინი,
ნურცა მისი ყელის ჯვარი.

თხოვნას ღმერთი აგვისრულებს,
გაიმარჯვებს ჩვენი ჯარი;
ნურც ქნას ღმერთმა შორიგება,
ნურც გვიჩვენოს მისი თვალი“.
ასკანას პლანი დააწყვეს,
ოზურგეთს შეკრეს კარები.
სტოლნაჩანიკმა შეიტყო,
ქალაქს გაუსვა კალმები,
მართებელს ფოჩტი უფრინა,
„საით გავწიოთ ჯარები,
ისტე მოვთელოთ გურია,
როგორ რომ ჩოხის შალები!“
გასაჭირზედ თუ მოგადგე,
არ დამიკეტო კარები.
ამ შემთხვევას ნუ მიძრახავთ,
თქვენს სახელს ვენაცვალები.
ხელმწიფეს ჩხუბი დაუწყეთ,
მაშინ დაგვიდგა თვალები.
ას მანეთად ცხენი ღირდა,
ორმოც ყურუშად აფშარა,
ზაფრის ქარები ამიტყდა,
გული-გონება დაშალა;
ჩხუბობით ვეღარ მოიგეს,
სარგებლობა საღად ჩანა!
მისი ოჯახი დაიქცა,
ვინც რომ გურია აშალა.
ოშპიტალი დაგვიყრუეს,
თავში დაგვიშრეს წყალია,
ხასან-ბეგურას მაგივრად
ვიმღერეთ ზარის ბანია,
ტყულა ყოფნას ვამჯობინეთ,
— ვაკეთეთ ჩიტის გალია;
რაც რომ გურიას ჩხუბია,
— სიმონ ჭყონიას ბრალია.
მამაძაღლმა ჭანჭათლებმა
არ გადიხადეს აბაზი,

ინაზატელი მოუხდა,
ქალი მოსტაცა ლამაზი;
გამოვეკიდეთ, გავლახეთ
მოსამსახურე, ხაბაზი,
მისი ქმარი მუდამ სტირის,
— „ქალი წამართვეს ლამაზი“.

ქვეყანა მოვიმდურით,
მარტო გურია დაგვირჩა.
ქვიტირზედ რომ ჩავაწიეთ,
ნაკაშიძე წინ დაგვიხთა,
გვესროლა, მოგვიკვდა კაცი,
კაძახობა სულ წაგვიხთა,
მაგიერი ვერ ვესროლეთ,
ტამბახას ტყვია გაგვირჩა.
ჩვენსკენ მოვლიან თათრები,
ოსმან-ალა და ხასანა,
კარგი თოფები მოაქვან,
მაჭახელა და ლამფარა;
ქობულეთლებმა თათრებმა
წამლის მაზანდა გაშალა,
ტყვია-წამალი მრავალი
საჭირო არის მათთანა.
ბურხულომ წიგნი მისწერა
ლევანის შვილს დადიანსა:
„გურულებმა გვილაღატეს,
მე აქ ველი შენსა ჯარსა,
ეხლა შემწე კაცს თუ მომცემ,
ყელს გავკიდებ სისხლის ჯვარსა,
ჯავრით გული ისთე წახთა,
გარეთ ვეღარ ვიცვლით ფეხსა“.
დადიანმა საჩქაროთა
გაუფრინა თავის ჯარი.
წინ გადუდგა გურულებმა,
ყველას გაუტეხა ჯანი.
წასავალი გზა არ აქვენ,
ჩავარდნიათ გულში ჯავრი.

ლევანის შვილს დადიანსა
დაელუპა სისხლის ჯვარი.
დადიანი მისი ჯარით
ყუყვით მივა უკან ბარდში;
თოფის სროლა რომ შეიქნა,
ბალოტაში რატომ დარჩი?
აწი შიმშილი მოგიწევს,
დაეწინდრეთ ლუკმა ჭადში!
ამის მეტი თვარ შეგეძლოთ,
თქვენს დედ-მამას რატომ დარჩით.
ის გიორგი დადიანი
ბიჭათაც არის ნაქები.
ჩოლოყისკენ რომ გაქანდა,
თათრებს მოქონდა ფართლები,
ხუთი ბიჭი რომ ხლებოდა,
ვერას აწყენდა თათრები.
სანამდიც გავძლებ, ქე ვიცდი,
მერე წყალს გაღმა გავხტები.

29. ბუნტი გურიაში

რუსულად წიგნი მისწერა
ლევანიძემ დადიანსა:
— გურულები აგვებუნტენ,
მუაშველეთ ამ ჩვენ ჯარსა.
დადიანსა პკობა ქონდა,
გადასწყვიტეს დახმარება,
მუუყარეს ჯარეფს თავი
და უბძანეს გამგზავრება.
გურიაში რომ ჩავალთო,
ბრევლი აქვენ დაპირება,
ქონებით და ვოქრო-ვერცხლით
მიელიენ გამდიდრება.
„გურიასუ ბუნტი ყოფე,
აჰა მივშვათ“, იძახიენ,
წინ მოუძღვის თავადები,

„ბედნიერას“ დასძახიენ.
როსტომა მორბის ჩაჩხაჩი:
— ბიჭებო, თოფი მაგასო,
დადიანები მოგვიხთენ,
მოტრაბახობენ მაგარსო.
სამი ბიჭები დავტეი,
ჯიხურში გამაგრდებიენ;
ყველა იძახის — ვიჩქაროთ,
ამხანაგები გველიენ.
გამოკვანწული ბიჭები
მიქრიენ გამალებული,
წინ მუუძღობა ცერუა
საშიშრათ გამგელებული.
დადიანმა მუაყენა
გირგოლეჩი მისი ჯარი,
წინ დუუხთენ გურულებმა
ვოზდახუთი მეომარი.
ათასხუთას მომხთურეფსა
გზა არ მისეს გასაქანი,
ვინც გაბედა წინ წამოსლა,
მუანტრიეს მოსაქანი,
წყალი არის გასავალი,
მეგრელებმა იგდენ ნავი.
— „ჰაი ნიში მიდოულათ“
გამიეშვა შით მცურავი.
თითოს თითო ტყვია მოხთა,
წყალი წითლად შეიღება,
მიქაეა და მისი ხლები,
ბარდ-ეკალჩი იმალემა.
ჯაიანი ცხენს აგელვებს,
ჯარს წინისკენ ერეკება;
მარა ერიშს ვინ გაბედაეს,
შიშით მუხლი ეკვეთება.
ტიგარიძემ შეუძახა:
— საწყალ ხალხს ნუ ერეკები,
შენ თუ გერჩის ვაშკაცობა,

უკან-უკან რაღას დგები,
— ჭაიანო, ვერ წაგვიხვალ,
რაკი ხელი ჩაგვივარდი;
აქ წამოსლას ის გერჩია,
შინ შენ ქალსა მუუარდი.
ჭაიანს კუდი იეწვა,
ვის სოდნია მისი ზრახი,
ეი, ვინ ხარ, შუუყვირა,
გადუუსვა ცხენს მათრახი.
— საყვარელა ვასაძე ვარ,
ხმასან თოფმაც დეიქეჟა,
ჭაიანი გადმუარდა,
ქინკზე თავი დაახეთჟა.
იგრიალა ვოზდახუთმა,
სტამბოლი და მაჭახელი,
ვინც გადარჩა, შუუყვირეს:
— ასით ყველამ მალლა ხელი!
აკანკალდა დადიანი,
გურიელის ცოლისძმადი,
— „— ვა დომქყვიდათ ჭიმალეფი“;
იძახიან: — ვაი, ვაი.
თოფ-სატევეარ დანაყარი
ალაიაში გააძრინეს
და თავადეფს ცემით ვოფლი
შით კბილეფში გაადინეს.
დუუმოწმეს, აღარ გნახოთ,
რიონს აქეთ ხანჯლიანი,
რომ ჩახვიდე, მოგვიკითხეთ
თქვენი დიდი დადიანი!

30. გურია აბუნტებულა
გურია აბუნტებულა,
აღარ მოსწონ ძველი წესი,
არც თავად-აზნაურობა,
არც ბერი და არც ხუცესი...
— თავადზე და აზნაურზე

სწორეთ გულს კი გვაკლია,
იძახიან: „უფროსი ვართ“,
ჩვენ არასდერს გვარგია.
რა უჭირს, რომ იმუშაოს,
ხელი ხომ კი აბია?!
მის მამულში რა მოდის,
რომ შეიტყოს, კარგია — .
ასე უსამართლობით
ვერ გააფსებთ ნალიას!
თქვენზე უფრო შევეწყობით
ჩოლოქს გაღმა ალიას!
სალეურობოს გვახთიებდენ,
ახალგაზდა ვარიას;
ჩვენ თვალეფში ვუყურებდით,
ქე ყლაპვიდენ ძალიანს.

.....

მუდამ დააჩანჩალებენ
მუნიან ჯორს ძუა მოკლეს.
ცხრაი გზობა რომ გააძლო,
იძახიან: „მშია, მომკლეს“.
კარდლები გვაქვს დაკარქული,
ორ მანათში დრამიზა.
არ ვიცი, რას გიზამენ
საიქიოს მაგიზა.

31. ხონთქარი და რუსი ჩხუბობს,
არის ერთმანეთის ეში.
ბეგებმა გვიღალატა,
გაგვიყვანეს კვირიკეთში,

.....

ჩვენ დავტოვეს რუსის ხელში.
მათაც კი არ დამართეს,
ბაწრით ჩაიყვანეს გემში,
მათი ტირილი გვესმოდა,
სუფსას გაღმა ბაილეთში.
მოწყალევე, ბრეველი გვიცოცხლე

დევრიმ-ფაშა ხვანთქრის ხელში,
ქობულეთში ჩხუბი რომ ქნა,
აქ დაჰყარა რუსის ლეში,
ზოგ რუსებმაც თავი დასჭრა,
ზოგი გადაყარა ღრეში,
მისი ქება და სახელი
იწერება გაზეთებში.
ბეგიები ამოვიდენ
დასაწვავად ჩვენს ეზოში,
ჩვენი ცოდვა მათ ეყოფა,
ამ ღუნისას, ახირეთში.
გამჩენი ღმერთის წყალობით
ჩვენ კი მოვალთ ჩვენს ოჯახში,
თქვენ ბათომში ველარ მოხვალთ,
ბრძანდებოდეთ მაგ სტამბოლში.
ალი-ფაშა თავდგირიძეს
ემსახურეთ თავის ღლეში.
ამ ლექსისა დამომთქმელი
ღელი-ალა ვარ უზბაში,
ასი თუმანიც მივეცი
ზაქარიადეს ყუმარში;
აპხანაგი აღარ დამჩა,
მარტოი დავალ ქალაქში,
ბეგიები გაღმემტერენ,
ქეჩა-ქულა გზეპა ბრაჩში.

22. ხასან ბეგი თაჟღ ირიქე
გარისხული ღვთისგან მეტი,
თათრის ფაშობა იშონა,
სულ თლად დაავიწყდა ღმერთი.
შეკვეთილში შამოვიდა,
იძახოდა ოლან გეთი,
— ლანჩხუთამდი მას ვაცალოთ,
მერმე, ჩვენ გვიყუროს ერთი.
კულურღულუბ დაგუძახოთ,

აღარ გავუშუათ ერთი.
ჩვენ ვიყავით მილიცია,
რუსის ჯარი ძლიერ ცოტა;
ხასან ფაშა თავის ჯარით
წინ დაგვიხვდა, გვებოროტა.
პოლკოვნიკმა ერისთავმა
წინ გაუშვა ერთი როტა,
დიღხანს იყო დიდი ჩხუბი,
ხასან ფაშა მაშინ მოკვდა.
ხასან ფაშა ჩემო ძმაო,
თავმოჭრილი დავინახე...
თუმცა იყო მტერი მარა,
ვაი მეტქი, დავიძახე!
წინ დღეებში მან გადამწვა,
მით მიეგო ცუდი მახე,
და, რათგან ჩემი ძმა იყო,
ბოლოს, მაინც მე დავმარხე.






ოზურგეთის ოძი 1854 წ.

33. არამ დამძრახოთ ბიჭებო,
სიტყვანი გითხრათ ძმურია,
ვაჟო, სადა ვართ? ალვანთან
დიდათ შორს არის გურია.
მომწყურდა ღვინო კახური,
ღიატთ ნამცხვარი პურია...
და თქვენცა ბძანეთ, მოძმენო,
უმცროსს დაუგდეთ ყურია.
ძმაო, შენც გახსოვს წითელი
სიყმაწვილური ზნეობა;
მოდით, აქ შევიკრიფენით,
გვემართებს საქმისა რჩეობა;
ბიჭობით ყველან მჯობიხართ,
გიცდიათ ლეკთა მტერობა.
სახელი დაგვრჩეს გურიას,
თუშებმა ქნესა მხნეობა.
ომის დრო არის, ვაჟკაცნო,
ცხენთა დავაკრათ ნალია;
ადექით, დავემზადენოთ,
ყველამ დავჩარხოთ ხმალია;
ვინც უკან დარჩეს ამხანაგთ,
იყოს ახმატის ქალია,
და მოკვდეს, ქვაზე დაწეროთ:
„სიცოცხლითაე მხდალია“!...

ვაჟო რას ამბობ, მეწყინა,
 დიაცთ წესია რიდება,
 ქალის ლეჩაქი დაეხუროთ,
 ვისც არ უნდ, ომი სწყინდება...
 კაცი გავგზავნოთ სარდალთან;
 ბიჭებს აქ ყოფნა სწყინდება;
 თუ არ გვაჩხუბებ თათართან,
 თუშნი აქ რაღად გინდება?!
 ვინცა გავგზავნეთ, მოვიდა,
 სარდალმა გაიციანაო;
 უბძანა: „დილით ივანე
 ჯარს გაუძღვება წინაო“.
 ულვაშის გრეხით, თამამად,
 საკვირვლად მოილხინაო.
 მეწინავედა გვიბრძანეთ,
 გავსცურავთ, საცა წყალია;
 შორით მოვსულვართ, რიგია,
 პირველთ ვაცნობოთ ძალია,
 თუ ვარგა შენი თუშები,
 ან მათი გორდა ხმალია.
 ვითხოვოთ, პირველთ მივიდეთ,
 ეს არის ჩვენი თხოვანი,
 შენი ვართ აღვანთ თუშები,
 კაზმულ-იარაღოვანი,
 თუში თუ უკან დარჩება,
 ვისგან ეღირსონ გლოვანი
 და ხომ დაგვეძრახავს მოსაზღვრე:
 ფშავნი, ხევსურნი, წოვანი.
 გამოსალმებით დავეკოცნოთ,
 დღეს არის საომარია,
 რაზმით მიემართოთ ერთიან,
 საცა ურდიან ჯარია;
 ცეცხლად აუჩნდეთ შუაში,
 ავტეხოთ სისხლის ღვარია;
 ვაუჟაცად ვინცა მოკვდება,
 ღმერთო! აცხონე მკვდარია!..



34. შამილისა და უაზი მაჰამის
მეთაურობით, ლეკების შემოსევა
თუშეთში

დღეიმც ნუ გათენებულა,
დღე ოთხშაბათი მზიანი:
დაბერტყეს აბანოს ხორხი
ცხენ-ცხერიან-ხაროვნიანი.
შიიტყეს ივანაურელთ,
ცხენებთ მოიღეს გრიალი;
მეორეთ ხუცურელთ ბიჭებთ,
აბჯართ მოიღეს ყრიალი;
მესამეთ წოვათ ბიჭებთა,
ტყვია-წამლითა მრავალნი.
დასწევი წყაროანასა,
ჩალად დაყარა მკედარიო;
ცხენი ურევდა მკერდამდინ,
მხედარი უზანგამდინო.
ვინა ხარ წყაროანასა,
სისხლში ვინა ღრევდ ხმალსაო?
მოზაი რაინაული —
ის ლებევდ სისხლში ხმალსაო.
გძელ ყანახ მიეგებება
მამამთილს თავის რძალიო:

— მამამთილ, შვილი რა უყავ —
თინიბეგ ჩემი ქმარიო?!
— თინიბეგ იქვე გავწირე
დაკრილი, როგორც მხალიო;
ფეხთით დაუბი ლურჯაი,
დასტიროდ როგორც ქალიო;
თავთით დაურკვი სალიშნე —
თუშთ ნამტვრევ შუბის ტარიო!





საგლეხო რეფორმა საქართველოში 1864 წ.

35. ლექსი საბატონო ყმებთა
ერთმანეთს ეუბნებიან
საბატონო ყმები:
„ბატონს ჩამოგვაშორებენ,
დაგვიყარეს ხმები.
რაც ამბავი გამოვიდა,
ყველა იქმნა სხვები,
და თუ ეს საქმე არ იქმნა,
მჯავრით აგერ „მკვტები“.
მეორემ სთქვა: „როგორ, ბიჭო,
როგორ არ იქნება?
თუ მართალი არა იყოს,
ალარც ქე ითქმება,
რუსეთში გათავებულა,
აქაც კი იქნება,
აგი საქმე უსათუოდ
აპრილში იქნება“.
ერთმა ეგერ დაიძახა:
„რომელი აპრილია,
ათი წელი გამოვიდა,
რაც ეს ხმა დაყრილა,
ამ უბრალო ამბავით

ხალხი სულ აყრილა,
ბატონი ქე დავიმღურეთ,
აღარც ქე გაყრილა“.

„ფიცით გეტყვი, ჩვენ ამ სიტყვამ
ბევრი ამოგვიშავა,
ვითამ ჩვენმა ბატონებმა,
როდის რა დაგვიშავა?
მათი მამისგან გვემართა,
მანაც ქე გვამუშავა,
ყმობა გვეზარება, თორემ
როდის რა დაგვიშავა!
მუშაობა, ძმაო, შენ
თავის დღეში გემართა“.

„შენ იგი არ შეგიტყვია,
მე თუ რა დამემართა:
შვიდი ღორები წამართვეს,
მე რომ ერთი მემართა,
შესახვეწად რომ მივედი,
ჩახმახი შემიმართა“.

„ღორის წართმევა რა არის,
— ძროხებს გვართმევს და ხარებს,
ყმის წართმევა რომ შეიტყვეს,
მერეთ აღარ გვახარებს,
მუდამ სახლში ატირებენ
ჩვენს ბაღებსა და ქალებს,
და თუ ღმერთი მოგვაშორებს,
იმით ჩვენ გაგვახარებს“.

ყველა ბატონზედ ერთბაშად
არ ითქმება საყვედური,
ზოგი ტკბილად მოუბარობს,
კაცი არის საქებარი,
ებრალებათ თავის ყმები,
მუდამ აქვან მაზზედ ყური,
სმას და ჭმევას არ დაზოგავს,
სახლშიდ უდევს უხვად პური.
„ავი და კაი ბატონი

ახლა ვინ გაარჩიოს?
ღმერთმა ჩვენი ბატონები
თავდაღმა დააქციოს!
თუთხმეტი თხაი წამართვა,
ღმერთმა ნუ შეარჩინოს,
საწყალი ჩემი ცოლ-შვილი
აწი რამ დაარჩინოს?“

„ბატონს მოჟნდა ყველა,
ისა რაცა მექმნება,
ვერ შევიძლე მისი რჩენა,
ან კი რალა მექნება,
მე თუ კაი ღონე მქონდეს,
ერთი ფაცხა მექნება,
ბატონი რომ ღარიბია,
ყმას კი რალა მექნება!“

„დიდი ხანია ბატონმა
გამომიგზავნა კაცი,
თავის დახსნა შემიკვეთა,
— ველარ ვიშოვნე ფასი,
გამარჯვებულმა შემოხტა
გუშინ ზედა კარში
და თმით გამომითრია
ჩემი ღედაკაცი“.

ერთი ამბობს დარწმუნებით:
„მამულიანად გვიშობენ“.
მეორემ სთქვა: „როგორ არა,
ცოლ-შვილს ხომ არ დაგვიხრჩობენ?“
ერთმა უთხრა: „კი შეიტყობ,
ხვალ რომ საყეს დაგვისობენ,
ისე მოკრეფს მებატონე,
ჩვენ სულ აღარ დაგვისწრობენ.
ვგონებ ამაზედ მთავრობა
ბატონს ძალას არ დაატანს,
ყმას თუ უშობს ბატონიდგან,
მიწას მაინც არ წაატანს.
ჩვენ ამაზედ ბატონები

საცხოვრებელს გადაგვატანს,
 ყმაი თუ მოგვიშორია,
 მამულს მაინც არ წაგვატანს.
 ფული არა გვაქვს, თავი დავიხსნათ,
 ვერც შევძლებთ სხვაგან ვალებას,
 რა უნდა იყოს ჩვენი ცხოვრება,
 უფრო ვინატრებთ გარდაცვალებას.
 შეგვივედრიე საწყალი ყმები,
 ღმერთო, თუ მოგვცემ დროის ცვალებას
 თუ მოგვაშორებ უწყალო ბატონს,
 მაშინ მოვრჩებით ამდენ წვალებას“.
 ბატონმა სთქვა: ჩვენი ყმები
 ამას არ გვემართლებიან,
 რაც რომ მწუხარება უთქმან,
 ერთი არ დამართებიან.
 იგი ბეგარა წავიღეთ,
 რაც რომ ძველად მართებიან,
 აწი ვნახოთ, უჩვენოლაც
 თუ რა დაემართებიან.
 ისინი ყველა ჩვენს მერე
 ვნახოთ რავა წახთებიან,
 ბეგარა და ათისთავი
 სულის თავს გადახდებიან,
 ნაჩაღნიკი, ბოქაული
 კერიასთან დახთებიან,
 „ნეტა ბატონი გვყოლოდა!“
 მაშინ კი იძახდებიან.

36. ბატონყმობის ლექსი

ლექსი ესე ბატონყმობის
 ნაწერია ნასრამდისა.
 ბატონყმობა გეიყარა,
 ბედი ჩვენი რად არ ღირსა.
 ბატონი აღარ გვაწუხებს,
 ბრძანებაა მეუფისა.

სადღეგრძელოს უნდა ვსვამდეთ
იმპერატორ ხენწიფისა.
ბატონ-ყმანი განაშორა,
ერთად აღარ შეათვისა.
ახლანდელი ყმაწვილები
შექმნილია კვირა დღისა.
საქმე დღეს ვინ მოგვაცლიდა,
მსახური ვართ ბატონისა.
დღისით უნდა გვემუშავნა,
ღამე არ მოგვიდებს ძილსა.
ღამე თოფს უნდა ვსდგომოდით,
კიდევ წყრომით გატირებსა,
ჰქონდათ სტოლი გამართული
სამთელი კარტოფილისა.
დალევენ და დოულევდენ,
მოჰყვებოდენ სძილისპირსა,
ლხინობდნენ და ქეიფობდნენ,
გაიხსნიდნენ გულის პირსა.
თავადმა და ანზნაურმა
ერთი მიცა პირი პირსა.
„ჩვენ ჩვენი ყმები გავგლიჯოთ,
უნდა ეყოს შვილიშვილსა,
თორემ ჩვენი ბატონყმობა
აღარ არის დიდი ხნისა,
ახლა უნდა ვიმუშავოთ,
ღირსი ვიყავთ ამ ყოფისა?
ვერ ვახერხებთ ხენასა, თესვას,
ვერც გავიტანთ ცულის პირსა.
აჰა, რა ვქნათ, რა ვიფიქროთ,
რა დაარჩენს ჩვენ ცოლ-შვილსა.
— ნუ ვიფიქრებთ, არა გვიჭირს,
ნუ წავიხდნენ ჩვენ ჩვენ პირსა,
მამულის ღალა გვეყოფა,
ჯამაგირი ხენწიფისა.
ჯერ კიდევ არ შეუტყვიათ
ანგარიში ხენწიფისა.

ასე იცის რუსთა მეფემ
 დაკავება ქვეყნებისა!
 ჯამაგირი დოუნინსენს,
 „ნუმერია“ ხენწიფისა,
 საბოლოოდ არა არგებს,
 ხარჯი არის ორის თვისა.
 თავადები ძლიერ წყრება
 პირველ გამოცხადებაზე,
 ყმა და მამულს ვინ წაგვართმევს,
 ხელს შევიკიდებთ ხმალზედა,
 თავადი და აზნაური
 ყველა გავდგებით განზედა.
 ხენწიფე ძლიერ წყრებოდა
 ახირებულ თაობაზე.
 „ამისთანა ანგარიში
 ადამს აქეთ არ მომხდარა,
 ღმერთმა ბრძანა, აღასრულა,
 კაცისაგან არ მომხდარა,
 ხენწიფემ გამოაცხადა,
 -ბატონყმობა გაიყარა
 გაიგონა გლეხმა კაცმა,
 მისმა გულმა გაიხარა.
 შიშისაგან გამოსულია
 მხრებში მაშინ აიწალა.
 ბატონისა გადაჰკიდე
 ქალი ვერვინ მოიყვანა.
 ახლა გახშირდა ქორწილი,
 ვიღამ გთხოვა ერთი ფარა,
 მოახლეები გათხოვდენ,
 ბატონს აღარა აქვს ძალა.
 ხენწიფემ მოგვცა უფლება,
 ღმერთიც ახლა მოგვეხმარა.
 „გლეხი კაცის სამართალსა,
 თავზედ დიდი ქვა ეფარა!“
 დიდება ჩვენს მეუფესა,
 ვფიქრობთ, ახლა წამომდგარა,

ყმამ უთხრა მებატონესა,-
მე ყმა ვარ და შენ ბატონი,
ვერ გავიგე, რად მომხდარა.
პირველმა გამოცხადებამ
ბატონ-ყმანი აამყარალა,
ბატონი ყმას არ ზოგავდა,
თუ რამ ქონდა შეათალა.
დიდება ჩვენს მეუფესა,
თავადი და გლეხი კაცი
ერთად გაგვათანაბრა,
ერთად ყავლში შეგვიყვანა.
ბევრი ხენა და ბევრი თესვა
მის მეტი არა გვიჭირს რა,
თუ გამჩენმა მოიყვანა.
თავადმა და აზნაურმა
იციან ცუდი ქ-დობა,
ხენწიფე ღმერთმა გვიცოცხლოს,
ჩვენ მოგვცა თავისუფლობა.
ხენწიფემა არ ინება,
როგორც რომ ბატონს უნდოდა,
ყმა და მამული ახადა,
ველარ დაგვიწყოს მუქრობა.
დაცვალეს „ნაჩალნიკები“,
ახლა შეიქმნა „სუდობა“.
სამართალი სწორა გაჭრეს,
აღარ იქმნება მრუდობა!...

37. ბატონყმობა გადავარდა,
გლეხო კაცი, გაიხარე,
აზნაურო და თავადო!
თავში კოხი-ქვა იხალე!

38. ქალებო, ქალბატონებო,
უნდა წახვიდეთ როლესა,
თქვენი პატარა კეკელა
უნდა ვადევნოთ ღორებსა.

39. ბატონუმობის გაუქმება

იმპერატორმა-ხემწიფემ
გაგვხადა თანატოლები:
მოახლეები დათხოვდნენ,
ჰადს აცხობს ქალბატონები.
ახლო-ახლო დაასახლეს
ქვიშხეთი და ტაში-კარი.
ბატონს კაცი ჩამოართვეს,
ქალბატონებს—გულის კარი.

40. ბატონუმობის გათავება

დადალული მოედივარ,
მთლათ დავიარე ქალაქი,
ღმერთმა ისე გააოხროს,
ცხენს ვერ უშოვე ბალახი.
ხემწიფის შვილი მობძანდა,
თელავს ხალხი დაგვიბარეს,
ჩვენ გვეგონა ბეერსა გვცემდა,
დაგვსხეს, სპანი გვაწეინეს.
წინ მოგვართვეს ყველა ხილი,
უფრო კარგად მოვილხინე,
თავადნი თავსა გვადგიან,
გუნებაში ჩავიცინე.
სიტყვა ველარ გაგვიბედეს,
ენაზედ დაიდგეს კბილი,
წამოსელის დროს, რო წამოველ,
დაგვირიგეს თითო წიგნი.
ხემწიფის შვილმა გვამღერა —
არალალი, თარალალი,
ბატონუმობაც აღარ არი.
სამოვარიც რომ შემოვდგით,
ჩამბერავეიც აღარ არი.

41. ლექსი ბატონ უმანისა

დიდება და მაღლი ღმერთსა
რომ ბრძანება იქმნა ხეთისა,
ადამ და ევას დაეზადა
სამი ვაჟი სახე მზისა.
სამთავ ერთი ძმანი იყვნენ
და მავედრებელნი ხეთისა,
ერთსა მისცეს უფროსობა
თავიანთი ოჯახისა,
მაგრამ ისე გათამამდა,
ფეხსაც აღარ ადგამს ჟირსა,
ბატონობა მოინდომა
უნცროსები თავის ძმისა.
საშუალამ სიტყვა უთხრა
და პასუხი ქარაგმისა:
„ბატონად ვერ დაუდგები
იმ შენი დედმამიშვილია.
მართალია, უფროსი ხარ
და ხნეობით ერთი წლისა“.
შეექმნათ განყოფილება,
რომ შეიქმნენ ასი წლისა.
უმცროსი გაინაპირა,
საშუალი მიითვისა.
ეს რომ უმცროსმა გაიგო,
ცხარის ცრემლი ჩამოდისა:
„— მილალატეს ჩემმა ძმებმა,
ჩამაყენეს გასაჭირსა,
ეგების ღმერთმა მიშველოს,
იმედოც მაქ ხემწიფისა!“
მას უკან არის ნაწყები
ბატონყმობა გაჩენილი,
აზნაური და თავადი,
უმცროსი ძმად დარჩენილი.
ჯერ გამოართვეს მსახური,
ღვინო და პური ბეგრადა,

ქერივი აღარ შეარჩინეს,
 აღარც ობოლი დედათა.
 გადმოხედა ქრისტე ღმერთმა:
 „ეს რა ცოდვა მოხდა ძირსა,
 რანაირად აწვალებენ
 იმ თავის დედ-მამის შვილსა.
 ღმერთმა უბოძა წყალობა
 და იმედი მისცა ზეთისა,
 მოსავალი მიუნიჭა
 ყოველ მუდამ საძი წლისა.
 შვილები იმდენი მისცა,
 როგორც რომ ფოთელი ტყისა.
 დაეხვიენ თავის ყრასა,
 როგორც რომ ჭინჭველი ჭირკსა,
 სულაც აღარ შეარჩინეს
 ნაბოძები თავის ზეთისა.“

ანგელოზი მობძანდება,
 მოციქული მეუფისა,
 ხემწიფეს გამოეცხადა,
 როგორც შუქი ალი მზისა:
 „ბატონ-ყმანი დააშორვე,
 თუ ცხოვნება გინდა მკედრისა,
 თუ საქმე არ გაათავე,
 შენი ხმალი აღარ კრისა.“

იმპერატორმა ხემწიფემ
 ხომ ამ თავადებს უბრძანა:
 „ყმები შეგიწუნებიათ,
 ვარზედ აღგიხართ მუდამა,
 სამსახურს აღარ ჯერდებით,
 ნიადაგ იცით მუქარა.“

გლეხმა კაცმა გაივონა,
 ხემწიფემ გვიყო წყალობა,
 ბატონი ჩამოგვაშორვა,
 აღარ გაუათ ძალობა,
 აწ რაც გვიბრძანოს ხემწიფემ,

აღარ დავიწყეთ ნანობა.
თავადებმა ასე ბრძანეს;
„ჩვენ ვინ წაგვართვა მოავრობა.
ჩვენ ყმაშიდ ხელი ვისა აქ,
არავისი გვეყავს წყალობა“.
დაეხვიენ თავის ყმასა,
ძლიერ დაუწყეს' ძალობა.
საცხოვრებელი წაართვეს,
დააწყებინეს ნანობა.
ხალხმა თავი შეინგროვა,
არძით გაამსეს. მთავრობა:
„დაგვეხვიენ თავადები,
ძლიერ დავიწყეს ძალობა,
საცხოვრებელი წაგვართვეს,
დაგვაწყებინეს ნანობა“.
კავკასიის, ნამესნიკმა
გლეხკაცს უბოძა წყალობა,
თავადები დაითხოვა;
„აღარ გარგიათ ძალობა,
მალლა ღმერთია მხილველი,
ძირს ჩვენ ვართ თქვენი მთავრობა,
თუ რომ არ მოიტეხინეთ,
მაშინ მოხდება ჯარობა“.
თავადებმა ასე ბრძანეს:
„ჩვენ ჯარის არ გვეშინია,
ხმალი გვაქ ამოღებული.
ყმა ჩვენია, ვიმსახურებთ,
ხეთისაგან დამკვიდრებული,
რაც უნდა ჯარი მოგვადგეს,
თავი გვაქ გამეტებული“.
ქალაქის ველიკ კნიაზმა
ზღვა და ხმელეთი გაზომა,
ამ გლეხიკაცის არძები
სუნთლად ფუთობით აწონა:
ის ხემწიფეს წარუდგინა:
„არცა მოგართვეს ამღონა.

ყმები ყავსთ შეწუხებული,
 აღარ აღირსეს დაწოლა.
 იქნება უშველოთ რამე,
 მოილოთ თქვენი წყალობა“.

ხემწიფემ არცა გამოსცა
 ხეთის მაგიორი ნაწერი:
 „საქმე რად არ გაათავე(თ),
 რად დაალონეთ ამდონი?
 ახლავე გამოამცხადეთ,
 რაც საქმე იყო ნაწყები“

ათასრეაას სამოცდახუთს
 მოხდა ბრძანება ხეთისაო,
 მობძანდენ ჩინოვნიკები
 ზესტაფონ-ქუთაისისაო.

გლეხი კაცი დაიბარეს,
 აზნაურ-თავადიცაო,
 ხალხი ისე შეანგროვეს,
 როგორც ფოთელი ტყისაო.

შიგ ჩადგნენ ჩინოვნიკები,
 როგორც რომ უჟი მზისაო.
 გაშალეს თავის ნაწერი
 ქაღალდი ერთი წლისაო-

საზოგადოს წაუკითხეს
 პასუხი ხემწიფისაო.

ბატონყმობა აღარ არის,
 ბრძანება არის ხეთისაო.

ჩვენი ხემწიფის აუგი
 არ ათქმევინოთ ჰირსაო,
 თქვენ ხემწიფე შეგინაჩამსთ,
 როგორც რომ მამა შვილსაო.

გლეხმა კაცმა გაიჯონა,
 ნეტავ დედისჩვენის ღმერთსა.

ჭერეთ ქული მოიხადეს,
 მერეთ თავი დაუკრესა.

ღმერთმა მისცეს გამარჯობა
 იმპერატორ ხემწიფესა,

დაგვიხსნა გაჭირვებისგან,
ალარ მიგვცა გასაცდელსა.
ჩვენის მაღლით რაღა უზამ,
სადაც უნდა წაბძანდესა,
დღე მუდამ მოვიხსენიოთ
ყოველ გიორგობისთვისა.
ეს თავადებმა გაიგეს,
ვაი დედიჩემის ღმერთისა,
ერთმანეთსა გადახედეს,
რჯული ბევრი აგინესა:
„ეს ჩვენი უბედურება
ჩვენის ცოდვით მოგვიხთესა,
ქვრივისა და ობოლს ჩვენ ვყიდლით,
ვაწუხებდით მსახურებისა.
სამსახურს არ ვჭერდებოდით,
ნიადაგ ვახდენდით გლეხსა,
ახლა მისი გულწინათვის
ჩვენაც მიგვცეს გასაცდელსა.
ჩვენის ცოდვით გამოცნადდა
რვა დღე გიორგობისთვისა,
მაღლობა ქონდეს ხემწიფეს,
რაც ენებოს, ის იქმნესა“.
უბძანა ღუბერნატორმა:
„თავადებო, არ გეგონოსთ
ეს ხემწიფის მოგონილი, —
ერუსამეთს ჩამოვარდა
სამჯერ ნაწერი ქალალდი.
ავიდეთ და წაევიკითხეთ,
იყო ღვთისაგან ნახატი:
„ერთ სახემწიფო ადგილას
ცუდი საქმე და ანბავი,
ერთი დედ-მამის შვილია
გლეხი კაცი და თავადი.
სული სულს არ უნდა სჯამდეს,
არც კი ყოფილა მანამდის,
ბატონყმობის დაშორებებს

მასუკან მოვლემთ აქაიდის,
 თქვენ ჯამაგირს არ დაგაკლებთ,
 ვინცა ხართ კარქი თავადი.
 თავადებმა ასე ბძანეს:
 „ჩვენ ჯამაგირი რას გვიზამს,
 რათი ვარჩინოთ ცოლ-შვილი!
 ჩვენ ხაბაზობა არ ვიცით,
 არც მუშაობა მიწისა,
 თითო წელიწადს მოგვეცით
 მოსამსახურე ბიჭისა,
 იქნება ჩვენაც ვისწავლოთ
 ხელით კეთება ზრინჯისა“.
 თავადების სამსახური
 დეპუტატმა გააჩინა.
 მეოთხედი მიწა-წყალი
 მებატონეს დაარჩინა:
 „ქარვასლეები გამართეთ,
 იმაშიდ აიღეთ ქირა“.
 თავადებმა ასე ბძანეს:
 „თავი შევინგროვოთ ჩვენა,
 ნამესნიკს მივცეო ქალალდი,
 — რათი უნდა ჩვენი რჩენა?
 დაილოცა გლეხიკაცი,
 ღმერთსა მიუცია რჩენა,
 მიდორშიდ დაყავსთ გუთანი,
 ოროველას დეემღერა,
 სარჩო-სამყოფი ბევრი აქვსთ,
 ნათესობა ამოდენა,
 თავადებს არ გაგვივიდა
 რუსული წიგნების წერა,
 აღარც ღმერთმა გაგვიკითხა,
 ხემწიფეც ჩვენ აგვემტერა,
 ამ საქმეს არ მოვსწრებვივართ,
 დავიზარდეთ ამოდენა“.

იმერელმა თავადებმა
ხმალზედ მოიკიდეს ხელი,
ხემწიფეს უპირდაპირეს:
„რა გვაქ თქვენი ნაბოჯები?
არასოდეს არ იფიქროთ,
ჩვენ ყმაზედ ავიღოთ ხელი,
მაგის მეტი აღარ ბძანოთ,
ახლავ დაიბრუნეთ ცხენი!“
ნამესნიკმა მოისმინა:
„ვიცი, საქმე არის ძნელი“.
იმ საათში გააბრუნა
კალასკა და დროშკის ცხენი,
ზღვის პირზედ რომ მიატანა,
წიგნის წერას მიყო ხელი.
რუსეთს გაგზავნა არძები,
დაიბარა ჯარი სქელი,
ქუთაისში დააბარგა
ყაზახი და რუსის ცხენი,
ამ თავადებს გაუგზავნა
მოციქული მეტად ძნელი:
„თქვენ რომ სიკვდილს მპირდებოდით,
ახლა გამოიღეთ ხელი,
ჩემს სიკვდილს როგორ ბედავდით,
არ ვიყავი ცოდვის მქნელი,
ხმელეთი მუქშიდ მიჭირამს,
ცამდის მიმიწვდება ხელი“.
თავადებმა გამოიღეს
ერთი რჩევა საკურველი:
„ჩვენ ხემწიფეს ვერ ვაჯობებთ,
მას ჯარი ყამს მეტად ბევრი,
ტყვია-წამალი ბევრი აქ,
ზარბაზანი რამოდენი,
გლეხკაცს აღარ უნდა ექმნეს
ბატონისგან სატანჯველი“,
ყველამ ისე მოილხინეთ,
როგორც წინასწარმეტყველი.

ყველა ღმერთმა გადღენგრძელოთ
ვინც აქ იყოთ მსაუბელი(?).
ისიც ღმერთმა ადღენგრძელოს
ხემწიფე და მართებელი,
არის ხეთისაგან ნაკურთხი
ამა ლექსის გამოძქმელი.
— რათი უნდა დავიჭეროთ
ბატონ-ყმანის დაშორება?
თავადებმა სამსახური
ახლა უფრო გააქნელა,
მეოთხედი სარჩო გეთხოვეს
და მინდორშიდ საბალახე,
ტყეშიდ სულ აღარ შეგვიშვეს,
ასე მოხდა ჩვენი საქმე.
იმპერატორო ხემწიფე,
ჩვენი საქმე დაინახე,
რადგან მოიღე წყალობა,
ბარემ კარქად შაგვინახე,
გლები კაცი და თავადი
კეთილად შეგვათანახმე.

42. ბატონყმობის გადაწვევტაზედ

ათას რვაას სამოცდაოთხს
დიდმა ხემწიფემ ბძანა:
„წმინდის სახარების სიტყვა
თავის ღღეში არ გამტყდარა.
ბატონყმობა გადავსწყვიტოთ
იესო ქრისტესაგანა“.
თავადები ტუტუცობენ:
„ეს რად მოდის ხათაბალა,
მამა-პაპით ჩვენა გვყვარდა,
ამას რალაში აქვს ძალა!“
დიამბეგი, ნაჩალნიკი
ორივე გადააბძანა.
სტარშინეები დავვისხეს

თითო-თითო სოფელთანა“.

ზოგიერთა თავადები

წინ წამოდგნენ ჩრალდახმალა:

„ხემწიფემ, გიორგი მეფემ

საქართველო ჩაგაბარა,

მამა-პაპეულ ამაგზედ

შენ ჩვენთან არა გაქ ძალა!“

ეს დაბეჭდილი წიგნები

ხემწიფემაც გამოგზავნა:

„თავადებო, რას ჩადიხართ,

მეყურება მანდღედგანა,

ბევრსა ქვრივსა და ობოლსა

სევდით გულ შეჩევეყარა.

სიობლე არ ეყოფოდათ,

რომ სახლში არ წაგეყვანათ?

ჩემი ხაზინა სამსეა,

სულ ქაღალდმა გაამრავლა.

მოდით, მოგცემთ ჯამაგირსა,

რაც რომ გინდათ იმტენ ხანა“.

ეს პასუხი, ანგარიში

ვერავენ-კი ვერა ბძანა,

ბოლოს წაართვა მამული

ამ გლეხკაცებ ერთიანა,

ათი დღისა ნადელია,

მეოთხედი ბატონთანა.

ზოგი გლეხკაცი გაკეთდა,

ზოგს გული შემოეყარა.

როცა რო გორში მოვიდა

ეს ბძანება იქიდგანა,

დააგროვა ბევრი ხალხი,

თავადებიც ერთიანა,

სტოლი, სკამები გამართა,

წინაც სუფრა გაუშალა,

ბევრი ხალხი ერეოდა,

— შენც ზომ იცი, მეტიჩარა,

— ბატონყმობის გადაწყვეტა

ხახანოვი ღვდელმა ბძანა.
ამ ალექსანდრე მარშალია
ცხარე ცრემლი გადმოყარა:
„მამილოცავს, გლახო კაცო,
ბატონყმობა გადამწყდარა,
ეგ არის განთავისუფლდით,
თქვენთან აღარა გვაქვს ძალა!“
მამა-პაპეულ დოვლათსა
თუ რომ ღმერთია შემოგვყარა.
გლახიკაცები ამბობენ:
„ეს რა ვნახეთ ამისთანა“,
მაგრამ თვალები უღვებათ,
ჯერ კიდევ არა აქვსთ ძალა.
ხემწიფეს ასე უნდოდა,
რომ სალდათი წაეყვანა,
თავადები ბატონია
უწიდელი მეფიდგანა.
ნახე, ჩვენმა ხემწიფემა
რა მოგვიწყო ხათაბალა,
ბატონი-ყმა რომ წაჰკიდა,
მუცელი არ გამაძღარა.
აქაური ბატონები
უფალმა ნუ მოგვიშალა,
თავის სარჩო და მამული
თუ კი ხელში ჩაგვაბარა.
მღვდლებს მისცა ბედნიერება,
გლახიკაცს თვალები დასთხარა,
წყალი ნაწყლევს არ დააგდებს,
ერთხელ მივა იმასთანა.
ქეშმარიტი ფიცი მოგცე,
უფლისაა ეს ქვეყანა,
უჩვენოდ თქვენ არ ვარგინართ —
უთქვენოთ ჩვენ ხანდიხანა.
თქვენი სარჩო და მამული
საკუთრობით მოგახმარა.

ეგე წიგნი დაბეკდილი
ამ ქებაძემ გამოგზავნა.
ესე საქმე რაზედ გვიყავ,
მამისა და პაპიდგანა.
ერთმანეთს ვასიამოვნოთ,
საზოგადოთ ისი კმარა.
გაკურთხოთ დამბადებელმა,
დიდებულმა ქრისტეს ჯვარმა.
თქვენმა პირმა გონიერმა
მრავალი მშვიდობა ბძანა.
რაკი კეთილ მორწმუნე ხართ,
ჩვენ შენთან არა გვაქვს ძალა,
არ დააგლო საქართველო
იესო ქრისტემ ქვეყანა.
შენ ხაზინას რა გააძღობს,
არ მიქონდეს აქედგანა.
ეს ჩვენი გლეხიკაცები
ის შვილები და ჩვენ—მამა.
აბა რა ღალატი გვიძევს,
როცა ჯარი შეიყარა,
მუჟიკები და თავადნი
სულ თან მოგდევთ ხმალდახმალა.
რაც ქალაქები აილე
ჩვენი ბრილიანტიდგანა,
თავს გიკრავთ, გემსახურებით
იესო ქრისტესაგანა.
კეთილი გაფიქრებინოს,
რომ აღარ ქნა ამისთანა,
შენმა პირმა გონიერმა
მრავალი მშვიდობა ბძანა,
შენ ხორციელი ღმერთი ხარ,
არვინა გეყამს შენისთანა,
გინდა მოგვეკლავ, გინდ დაგვარჩენ,
ნება შენ გაქვს უფლისგანა.
ვიფიქროთ, წუთისოფელი
რანაირად გადამწყდარა,

კეთილ მორწმუნე რომ გყვანდა
ლაშაზი დედა და მამა,
ჩვენც ისე გადავიცვლებით,
როგორც ნახა შენმა თვალმა.
ამრავლოს ეს საქართველო
იესო ქრისტესაგანა,
ღმერთმა მშვიდობით გამყოფოსთ
ყველა, დიდი და პატარა.

43. თავადმა და აზნაურმა
თვითონ დაიწყეს პლანები,
ხემწიფემ ქალაღი მოსცა,
გზაზედ გაუბა ლარები.
ქალაქში რკინა უყიდა,
გამოუგზავნა ბარები.
— შენი ჭირიმე, ხემწიფევე,
არა გყავს ბეგრის ხარები!
როცა ქალაღი მოვიდა,
მაშინ დაგვიდგა თვალები,
სახლში ცეცხლს ველარ ავანთებთ,
გამოგვეხურა კარები.
ჩვენ ცოლებს ვერ შევინახავთ,
ტყუილად ვყევართ ქმარები..
უფალო, შენ შეგვეწიე,
ღმერთო, შენ დაგვეხმარები!

44. დაღეშკელიანის ლექსი

დაღეშკელიანის ქება
გათქმული ქვეყანაზეა,
სვანეთიდგან წამოსული
ქეიფით მოღის გზაზეა.
ქუთაისს რომ შეიროვიდა,
ფიქრი დაეცა თავზეა:
„ნეტავი შემატყობინა,

ნახმოები ვარ რაცხაზეა“.
გაგარინმა მიიწვია
თავის საკუთარ ტახტზეა,
გაგარინმა გაუცხადა:
„რუსეთს წადი ამ წამზეა“.
სამი ცხენი და ტროიკა
უცბად აახლეს კარზეა.
კონსტანტინე გაუჩერდა,
უყურა ლაპარაკზეა:
„— ნეტავი შემატყობინა,
დანაშაული რაზეა.
ხელმწიფისგან ბრძანებაა:
ხელი ეილე ყმაზეა“.
— ჩემზედ გარისხდა ხელმწიფე
ნაქები სამართალზეა?
ღმერთმა ის დღე ნუ მომასწროს,
ყმანების აწერაზეა,
ცოტა დროება მომეცი
გარებ-გამორებაზეა.
აქ შვილი მყავს საზარდადა,
უნდა მივიღე კლასზეა.
— ეს ხომ შეუძლებელია,
არ გიყურო წასვლაზეა.
შენ სვანი ხარ, არ გეძრახვის,
ქეც გაიპარვი გვარზეა.
თუ მაგრე გაქვს გუნებაში,
ქეც მიმთხილდი ამ ჯვარზეა,
ის სვანეთში დაიქადნე,
შენ რომ მაჯობო ჯანზეა.
კონსტანტინემ დაიჩემა:
„თავს მოვიკლავ ამაზეა“.
რაც უნდოდა, ააჩდინა,
სამი გაჩეხა შვაზედა,
გეიხედ-გამოიხედა,
დაადგა გაფრენაზეა.
სით წევიდა, არ იცოდა,

თურმე მივიდა წყალზეა:
„მე რომ ამაში ჩევიდე,
სიდედაბრე ჩემს თავზეა!“.
გამობრუნდა კონსტანტინე,
მოდის ბაქრაძის სახლზეა.
ასი კაცი შეეყარა,
ერთი ვერ უმზერს თვალზეა.
ბაქრაძის სახლში შევიდა,
ლეკურს აკოცა ტარზეა:
„შენ რომ აქ არ დამრჩენოდი,
შევეასრულებდი ცხრაზეა,
მე რომ ამ დღეს ბიჭობა ვქენ,
ისე მიქნია სხვაზეა,
ვაი ამფერ ბიჭობასა,
თუ ამამცონ ანძაზეა.
ახლა აქედგან ამაგლო,
დამსვა სვანეთის მთაზეა,
გაპარვით გევიპარები,
რომ გამიშვებდენ გზაზეა,
გაპარვას ვერ მოვანერხებ,
ჯარი მადგია კარზეა“.
დეიჭირეს კონსტანტინე,
მიყავდათ ნაობაჩზეა,
ყარაული დააყენეს,
როგორც ცის წვიმა თავზეა.
გლახმა კაცებმა შეიტყვეს, —
— „სამართალია მაზეა,
თუ ეს ხელმწიფე მოგვიკლეს,
ხელი დავიდვით ხმალზეა“.
ხელმწიფიდგან მოიწერეს:
ვინ არის აქ მამაძალდი,
რომ გაგვდგომია ძალზეა?
შვიდი ხელმწიფე მეჩხუბა,
ყველა ჩავრეკე ზღვაზეა.
მე სვანი ვერასა მიზამს,
ტყვილა დგია მაგარზეა.

ყოლას ისე ტყვიით დავხვევ,
რაც სვანი და აფხაზია“.
განჩინება წაუკითხეს,
გაშავდა პირის კანზეა.
კონსტანტინე იხვეწება:
„შვიდჯერ ამწონეთ ქთამზეა,
შემომივლეთ და გამიშვით,
ვითამ საწირავ ცხვარზეა“.
კონსტანტინეს ვილამ კითხა,
ტილოს აცმევენ თავზეა.
დედისნაცვალი მოსტირის,
ცრემლი მოდივა თვალზეა:
„საწყალი შენი მეუღლე
უბედურია ქმარზეა!
გალმა სილას გაიყვანეს,
ფეხი აუკრეს ქვაზეა,
თორმეტი თოფი ესროლეს,
რბილი დაგლიჯეს ძვალზეა,
გარდმობრუნდა კონსტანტინე,
თავი დაარტყა ქვაზეა.“

45. კონსტანტინე
დაიპირეს კონსტანტინე,
წელს შემოხსნეს ოქროს ხმალი.
ცხრა კლიტულ სახლში შეაგდეს,
გარე გადუზირზეს კარი.
ცას შეხედა, იქცა რკინად,
დედამიწა აპო მყარი,
ზღვაშია ცურვით გავიდა,
ხმელეთ გადაავლო თვალი,
წყვიტა და წყვიტა თათრები,
აადინა სისხლის ღვარი.





რუსეთ-თურქეთის ომი 1877—78 წ.

46. ომი გუმბრზედ

მონა ღროობა დაგვიდგა:
მტერმა მოგვტაცა კარია;
ალარც მოსავალ მავიდა,
დაიწვა მთა და ბარია;
ძმამა ძმა არვინ დაინდვა,
ალარც ვინ ქალი-ღ' ზალია;
თითოს ენა აქე ეგეთი,
თავს მასქრის, როგორც კმალია.
იძახან რეულობასა:
ალარ გოქე გასავალიო.
ზონთქრის, ამბობენ, ჯარებმა,
შამაანდგლიენა ზღვანიო.
იქით მა ჩვენს ჳემწიფესა
მიდის, მიუდის ჳარიო.
მიდის და მიდის სალდათი,
როგორც ზაფხულზე ცხვარიო.
ყველა კაც მაგას ხკვირობდა:
„არ ერგებიან გზანიო“.
ომი მოუწდა გუმბრზედა;

სისხლის ბრუნევედეს ტბანიო.
სული დგას ტყვია-წამლისა,
თოფს ცეცხლისი ღბავ ალიო.
ცაშიით თავ-ფეწ ჩამოდის,
აისრ რო წვიმა-წყალიო.
ამბობენ: უზურგეთისკე
სისხლის წავიდა წყალიო.
ქალაქში მოდის დაჭრილი,
მანდ რიყედა ხყრავ მკვდარიო.
ამანდით იწერებთან:
„წევსურთ გვიჭირეთ მჭარიო!“
შაყრილა წევსურთ შვილები,
ბევრ ხქონდა საუბარიო.
წალით არგინეს თოთიას,
იქ არ-ა წამავეალიო.
„იქ ნუ წამლაღავთ, წევსურნო,
აქავ მამჭერით თავიო!“
ბარაქელ, სუმბატურაო
გუნება გედვა ჩქარიო.
აიქ კი წახვე, ოშკაცო,
საც სახელობდეს სხვანიო.
ზოგთა თქვეს: „მერდალ მოუა“,
ზოგ-ზოგებმ: „სისხლის ჯვარიო“.
ზოგებმ ეეგრააც იამბეს:
„ზებირ დარჩება მკვდარიო“.
ამაგის გონობაჩია
ჩამამელია ხანიო.
გავხედენ: შამადიოდა
მშავლიშვილების ჯარიო.
შუაჩი ნაჩალიკ უდგას,
შორით ემბოდა თვალიო.
ნაჩალნიკ ჩემთან შამოჯდა,
გუდელას დადვა ჯარიო.
ქკვიანად იცის საუბარ,
ლამაზად ედვა ტანიო.
უბძანა როშაქიშვილმა:

„ოქმად დაკალით სამიო!“
ორი კი მოხყავ სხვათაი,
ერთს ჩემსაც მოსპრეს თავიო.
ქვაბ ჩემით გამაიტანეს,
გამოიჯარეს კარიო.
თოთბათაო ბერდია,
დიდხანს ცოცხალიმც ხარია!
შენაც დაგიკლეს შვინდაი,
ძირზეით დასპრნეს რქანიო.
გაგიგა მამასახლისმა,
აშალა საომარიო.
თითო გულ მიაც მეტყოდა:
„ადე, შაირტყი კმალიო.
გუდელას ჩამაიარე!
მთელი ხარა, თუ მკვდარიო?“
გუდელას ჩამოვიარე,
არვინ მიპირა მჯარიო.
აქით მე, იქით მშავლებმა
ერთტუცს უქსენეთ მკვდარიო.
ერთმ მამაძაღლმა მშაველმა
აშალა საომარიო,
მისულსავ გარმარქნია,
ვერ მააყოლა ძალიო.
ახლა მეც გადაუქნიე,
მივამწუხვიენ თვალნიო.
„ძაღლებო მშავლიშვილებო,
დღეს ხო კი თქვენი დარია,
საკვლავოდ დაისწავლიდით!
შური გვაქვ საძებარია“.

—
ამაგ ლექსების მათქვამი
ყველამ იკითხეთ ვინ იყო,
ვაჟი აზიზა გაზდილი,
ღმერთს გეფიცებით, ძვირ იყო.
ქება-გინებას ნუ იტყვით,
მა თქვენი ენა-პირითა,

აპირობს რუსეთობასა,
არ მიწონებდეს შინითა.

47. ნეტა რას გადაგვეკიდა
ას ანგლია და ხვანთქარი?
რუსები მოწყობილია:
თოფი და ხმალი მზად არი!
-

48. რუსებისა და თურქების ომი

მზემ დაიხურა პირბადე,
მთვარემ გადიკრა შავია.
ცაზე ატირდა ვარსკვლავი,
დაბლა ჩამოდის ნამია.
ომი აქვს რუსის ხელმწიფეს,
თურქმა შეყარა ჯარია.
მოსწერეს ავსტრიელებსა:
— თქვენც ჩვენ მოგვეცით მხარია,
ვეომნეთ რუსის ხელმწიფეს,
დღე დავუყენოთ შავია.
ეს რომ გაიგო მეფემა,
წელზე შეიბა ხმალია,
ადგა, მოკრიფა სალდათი,
ვერ უწევს წვიმის წყალია.
გარეკა გრანიცაზედა,
ყველგან შეუტრა გზანია.
ზარბაზნებს გააქვთ გრიალი,
ინგრევა მთა და ბარია.
თოფი სჭექს, ბოლი ამოდის,
ტყვიას გააქვის ჩქამია.
ბევრი დაეცა მებრძოლი
ცხელი ტყვიითა მთვრალია,
იძახის: — მომეშველენით,
დამალევინეთ წყალია.
ვინა ჰყავს შამბრალებელი,
გულზე მოუსვას ძმარია.

49. ბიჭური

ვერამ გაიგეთ, ფშავლებო,
ციხე დაგეჰყათ ქვისია,
ომში ამბობენ წასვლასა
უცოლო ბიჭურისია.
წასულა თავის ბიჭობით,
ნაწილს არ მისდევს ცხვისია,
ცხენის სიმარდეს უქებენ,
გაჭრასა ფრანგულისია;
ერთ კვირას გავლილს ამბობენ.
სავლელსა ერთი თვისია,
თრიალეთს გაცილებულა,
საძოვარს ფშავლის ცხვრისია.
ჩახედავს ყარსის ქალაქსა,
ნაპირსა შავი ზღვისია,
შამბულს ამბობენ ხემწიფეთ,
თათრისი, რუსებისია,
ეხვეწებ ლაშარის ჯვარსა,
ძალსა იმ იახსრისია;
სამხთოსაც დიდსა უქადებს,
ხარისასა და ცხვრისია;
ომებს ამბობენ ძლიერებს,
სროლასა ზარბაზნისია;
არ დეერიდებ ბიჭური,
გულს ვენაცვლები ყმისია.
შევიდოთ თათრის ჯარშია,
პირს დაიბრუნებს მგლისია,
გახკვირდეს ოსმალელები,
ელვასა ღვაჟა ცისია;
ცხენზედა შემოიგდებდა
თათარსა ოსმალისია,
თავის უფროსებს მიართვამს,
მარჯვენას თათრებისია;
საჩუქარს ბევრსა უქებენ
მენდლისი მაგის ჯვრისია,

კიდევ გამოსვლას ამბობენ
ტემლაკს ბიჭურის ხმლისია;
აეად გამხდარა ბიჭური,
წამოსულ ქალაქისია,
ამბობენ ქალაქელები:

— რა საქმე ქნილა, ღვთის მადლსა,
ცას მოსწყდა წითელ მარსკვლავი,
დაბლ დაცემულა მიწასა,
ვადი დედაშენს, ბიჭურო,
მიგაბარებენ მიწასა.

კუბოს კარგს გაგიკეთებენ
თეთრის ტირიფის ხისასა,
ოქროს დუღუკებს გიშვებენ,
შუქს გიყენებენ მზისასა.

ცოლი არ გყვანდა, ბიჭურო,
ცხენს ვინ მოგიერთევდ ყინჩადა,
საგზალს ვინ ჩუყრიდ ბიჭურსა,
საკმაოს შვიდი თვისასა?

— შაგიტყვეს მოშავეთეთა,
კარებს გიღებენ ხისასა,
სულ ზემოთ გადაგახდინეს
საბძანსა უმფროსისასა,
ჩინი ჩაგიდვეს ყელზედა,
შუქს აბნევს სანთლებისასა,
შამოგეხვივნეს უკლონი,
ამბავს გკითხავენ ყინჩადა,
თან ამას გეუბნებოდნენ:

— ნულარ წაგვიხვალ, ღვთის მადლსა.

აქაც კი ვიციოთ ომები,
უფრო ვიყრებით ღვთის კარსა,
ხმალს ნუ გაიღებ სხვაგანა,
ნარტყამსა კაის ყმისასა,
ხმალ დაღვან სატირელზედა,
შუქს დაიყენებს მზისასა,
მოტირალ ხელში აიღებს,
დამლევს გაქებენ მტრისასა.

ცხენო, ვის დარჩებ, ოხერო,
ვაჰ, დედას ჩემი მტრისასა,
ცხენი უბოძეთ ბიჭურსა,
დაღალულს შორი გზისასა,
ისე ადვილად ვინ გახსნის
გულს ჯაი ვაჟკაცისასა.





რევოლუციური მოძრაობა
საქართველოში 80—90 წ.

50. პროკოფი ჭუნია

ტყეთ გავარდნილი ლექსა ვწერ,
არეული მაქ გონება,
ცხემლისპრას სახლში მივედი,
ცოლ-შვილი მენატრებოდა.
თურმე ბათლომაი ჩხაიძე
საღალატოთა ძრებოდა.
ჩუმიად ალყა შემომარტყეს,
ატყდა თოფების გრიალი,
ღმერთი ვახსენე, გავარდი,
გზა არსად იყო ტიალი.
ბოქაულს თვალი მოვკარი.
ილაკრე იყო ღუმბაძე,
მუუხტი, თოფი ავართვი
და მივაყოლე ღუმანზე.
რეიზა გუუშვა ცოცხლადო,
ბევრი დამძრაახავს ამაზე,
კაცის სისხლი რომ მდომოდა,
ტყვიას ვაჭრიდი დანაზე.

თათარი გამეიწერეს,
ნაქები იყო სროლაზე,
მარა რომ შამუებრუნდი,
ვიცინე იმის გორვაზე.
მივრბივარ და საცხაიდან
შით ბარკალში მომხთა ტყვია,
ცხრა არშინ თხრილზე გუუხტი,
ტკივილი არ შემიტყვია.
მომდეგრები გაღმა დამრჩა,
შიშიდან მოკუნცხულია,
წინდამ შემხთა, გევიფრინე
თარხინაი კუნჭულია.
ჩამქდომოდა ლუკაიე,
მაი შიშველ-დაგლეჯილი,
ბოქაულთან გავატანე
თოფი მიწით გატენილი.
პირსისხლიან ბალავერას
ვენდობოდი რავარც ძმასა,
სამე თუ საშიში იყო,
ამირეკტა წინ-წინ გზასა.
სვინდის-ნამუსი გაყიდა
დუმბაძის ცოლის კოცნაში,
ნათრევსა და დაღალულსა
ჩამიყინა მტერი გზაში.
ისტე გაწვიმდა ტყვიები,
რავარც ზეციდან კოხია,
სამი ვერსი გადვირბინე,
მარა აღარ მაქ ხოხია.
შიგანი გარეთ მოცივა
და დავაბუშტე ჭინჭები:
სათ ხართ, უყვირე, ძალღებო,
გამოჩითთ, თუ ხართ ბიჭები.
სად ხარ ბალავერ პირშაგო,
ძმის მოღალატე წუნკალო;
კაცის სისხლი არ მიმყობა,
შენ გმადლობ დიდო უფალო.

დამელია ჩემი დღეი,
ცოლ-შვილო გემშვიდობებით,
თავს არა ვთლი დამნაშავედ,
ისტე უსამართლოდ ვკტები.

51. დათულია სურგულაძე

წითელფთაში მილალატეს,
სული ამომადრეს წამზე;
ჩემს თავსა ვილან ჩიოდა,
თუ გადამირჩა დუმბაძე.

52. ნიკოლოზ მესხულა

ათას რვაას ოთხმოცდა ცხრაში,
რიცხვით თხუთმეტ იანვარში,
ისეთი ზამთრობა იყო,
ვინ გამოვიდოდა კარში.
ფირალები მოიჩინენ
მაუჭაძის ქუხნა-სახლში,
ტარიელ რაცხას მასხრობდა
სადილის მომზადებაში.
ნიკოლოზა ეუბნება:
„მოგხვდა თოფი მაგ ხარხაში!“
ასრულდა მისი სიტყვები,
ჯარი შემოდგათ კარში.
გულადობაც კარგი ქონდენ,
ქეც ვარგოდენ ბიჭობაში.
დათუნაიშვილმა უთხრათ:
წინ წინ მე გამიშვით კარში!
თოფის ტუჩი კარებსა კრა,
თოფი გასცა თოფის ხმაში,
გასვლისადა უმაღესად
ტყვია მოარტყეს ბარკალში.

ექვსი ტყვია უცბათ არტყეს,
იქვე დააწვინეს წამში.
მობუზლა გაცეცხლებული,
ელვასავით გაბტა კარში;
ერთი ისე შეტრიალდა,
როგორც შევარდენი ცაში,
ამხანაგის მწუხარებით
ცრემლი მოსდიოდა თვალში.
შვიდი-რვაი იქვე მოკლა,
მეცხრესაც გაარტყა მხარში.
მთელი ჯარი მიატოვა,
წინაც ბევრი შეხვდა გზაში.
ვინც რომ შეხვდა, შიშისაგან
თოფი გაუვარდა ხელში,
ორი ვერსი გადირბინა
არშინახევრიან თოლში.
როგორც კვირკობისთვის სიცხე,
ისე შემოენთო ტანში.
თებზივით წყლისკენ მიძვრება,
შაფაქიძე შეხვდა გზაში.
— „შენ მომშორდი შაფაქიძევ,
თავს ნუ მაკლავ ამდენ ჯარში,
„ნუ ჩამაგდებ, გეუბნები,
შენი ცოლ-შვილის ცოდვაში.
რადგან აღარ მომშორდები,
ერთ პატრონას გავცვლი შენში!“
გამეტებულათ ესროლა,
პირდაპირ გაარტყა თავში.



მთელი ქვეყანა აინძრა,
ყველა ადევნიდა თვალსა,
დიდიან პატარიანად
ყველა უძებნიდა კვალსა.
ქალები მას უკივოდა,

როგორც ცოფიან ტურასა.
 უცხო ქვეყანაში იყო,
 რაფერ უშველიდა თავსა.
 ისთევე წყალში შევიდა,
 ჩხუბი დოუპირა ჯარსა,
 ირგვლივ ჯარი შემოერთყა,
 ყველა ჩაუჭდა საფარსა.
 დილიდან დადამებამდი
 მუდამ აძლევდენ იქ ზალპსა,
 მოხუზლა გაცეცხლებული
 სულ არ აქანებს ფაფარსა.
 ახირებულად არ ხარჯავს
 თავის ტყვიას და წამალსა,
 თითოს როცა რომ გაისვრის,
 კიდევ მოარტყამს ლიშანსა.
 როცა ტყვია დაელია,
 თქვა რომ — მოვაკვლიებ თავსა!
 ისევე ფეხზე წამოდგა,
 ორი ტყვია მოხვდა თავსა!
 საწყალს ისე დიესიენ,
 როგორც რომ ძაღლები ღორსა,
 ზოგი ლივერზე ეტაკა,
 ზოგი აფრინდება თოფსა;
 ზოგი ჯიბეს უძებნიდა,
 ზოგი ეძებდა ფულებსა.
 წყლიდან რომ ამოათრიეს,
 უპატრონოდ დადგეს თოლსა,
 ტანზე არ გამოუცვალეს,
 ახლის ნებაც არ მისცესა,
 უკუროთხ მიწაში ჩააგდეს,
 ნაკუროთხიც არ აღირსესა.
 პრისტავეები იძახიან:
 „ეი ბოლუ, მაღადეცა“!
 სტრაენიკებსა ჯავრისაგან
 ყველას გულზე ზაფრა ეცა,
 ცხენებმა ფეხი წამოკრეს,

ერთი ერთმანეთს დაეცა.

მეგრელები იძახიან:

„ცვანა-ცვანა ყოფე თენა,

თეჲ წყარს მუჲჲო გარზე,

მუჲჲო თეჲი მინმართენა.

კისერშა წყარს მითოხე,

ირი კოს მოშკურუნა,

ჯარი საფარს თიზმა ვარე,

მუზმა კოჩი დოღურელე!“

დადეშქელიანი უბნობს:

— ვინ არის, ან ვინ ყოფილა,

ნეტავი ერთი მაჩვენა,

ვინც რომ პასუხი მივეციტ,

ყველას დედა შეგვაგინა.

მე იმ ღმერთს ვმადლობ მოწყალეს,

რა ღმერთმა გადამარჩინა,

ვინც რომ მისკენ გიეჲანა,

ყველა თოლში დააწვინა!

53. ბზეი ბრწყინავს, ცაი ღრუბლავს,

თოლია დაზვავებული,

საათის რა მოგახსენოთ,

შვადღეზე გადარებული.

ჩვენ სადილზე გიახელით,

არ იყო გამზადებული,

როგორც ღორის მონადირე

ვიყავით მომზადებული.

სამარიდან წერილს მოგწერთ,

თუ ამითავდა ქაღალდი,

რა უბედობა მეწვია,

მტერებო როგორ გახარდით.

ცოლ-შვილი სარჩენი მყავდა.

სხვა ბევრი გადასახადი,

ყველგან ყოჩაღად ვიყავი,

სანამ ვეთრიე აქამდი.
პირველ შეკვეთილს ვივაჭრე,
იმან არ მომცა ხელია,
კონტრაბანდობას ვეჩვიე,
• ცოტ-ცოტას გიახელია;
იმასაც მალე მოვცილდი,
ცოლ-შვილს მოვკიდე ხელია,
ენით არ გამოითქმება,
თავზე რაც გადამხდენია,
ყანის თოხნა, რომ დავიწყე,
ოფლი დამასკდა ცხელია.
ვიმუშავე და ვეცადე,
ვერ მოვიწიე საყოფად,
უბრალო ცილისწამებით
ციხე მაჩვენეს სამყოფად.
ოთხწელიწად ისე მახჩვეს,
სიკვდილს ვნატრობდი საოხარს,
ქურდობა — რაზბონიკობა
იქ შევისწავლე სულ ოხრად.
იქიდან მოკიდებული
შევყვიე ზემო ქვეყნებში,
• იქ ბევრი რამე ვიშოვე,
დავხარჯე ამხანაგებში,
ბევრმა კიდევ მილალატა,
გამამჟღავნა მონაგებში,
დავიფიცე და ასე ვთქვი,
არ შევეხები სულ ჩვენში
რადგან კატორღას მიწყვეტდენ,
ქე შევიქენი ფირალი,
მაინც მწუხარე ვიყავი,
დღე-ღამე მუდამ მტირალი.
გადმოვიარე უჩხუბი,
დავტიეთ ნასაკირალი.
დიდი თოლი მოგვეწია,
გვიჩვენა გასაჭირალი.
ნაკალანდვი შეიქნა,

ყველგან ახდენდენ ყრილობას.
 ვთქვი, ერთი ტარიელია,
 ის მიზამს ავთანდილობას.
 მაუჭაძისას მივედი,
 კარგად უქებდენ ზრდილობას,
 ჩვენ უნებურად შევედით,
 არ უყურებდით პირობას.
 დავჯექით და დავისვენეთ,
 ოხერი ხუთშაბათია,
 პარმალზე ფეხი შემოდგა,
 თურმე რუსის სალდათია;
 დიდკაცობა წინ მოუძღვის,
 ეგეც მათი ადათია,
 ერთ მეორეს უკივიან;
 — არიქა, მაქით დახვთია!
 ბიჭობაში მოვიშალე,
 ტარიელ რომ გამიგორეს,
 გავიქეცი, დამედევნენ,
 ვეხვეწე, არ გამიგონეს.
 წაღმა-უკუღმა ვისროლე,
 ვინც მიყურა — მომიწონეს,
 ყვირიან: „კაცი გასწყვიტა“,
 მე მეგონა მომიგონეს.
 ფალასკა გამომეცალა,
 ტყვია დავხარჯე ყველაი,
 კაბალახი მათ უჩვენე,
 დავჯექი თავშიშველაი;
 სანამ მქონდა პატრონაი,
 ქე ვისროდი ცალ-ხელაი,
 მომკლეს და გემშვიდობებით,
 მე ნიკოლოზ მოხუზლაი.

54. მოხუზლას ცოდის ტირი

ჩემო ექვსი წლის ფირალო,
 რათ დამტოვე დაჩაგრული.

შენზე ამდენ წვალებასა,
ვერ აიტანს ჩემი გული.
ნეტავ თუ ვინმე დატოვე,
ჩემსავით დამწუხრებული.

55. ურიადნიკ შაფაქიმის დაი
მესუზლას ცხედართან

შენ მოკალი ჩემი ძმაი,
ამით დამიწყულულე გული,
საწვალებლად ეს გეყოფა,
ქე ხარ თოლზე დაგდებული.
ჩემი ძმაი ლამაზად მყავს,
ლოგინზე დასვენებული;
ლამაზადაც გავასვენებ,
დაამშვენებს მას კრებული!

56. მესუზლას ცოლის ჰასუსი
შაფაქიმის დას

უსინდისოს ლაპარაკობ,
რაც რომ ენით არ ითქმება,
ჩემთვის რა საჭირო არი
ამნაირი ხანჭკის რება.
დღეს ლამაზად გისვენია,
ავი კი დაგეჭერება,
მაგრამ მოიკითხე, ნახე,
მერე როგორ გეყოლება!
შენ ძმას უნდოდა დალატით,
რომ მიეღო სისხლის ჯვარი;
მაგრამ კი აღარ აცალა,
დვილოცა მისი გვარი.
როგორ შეეძლო შენს ძმასა,
რომ მოეკლა ჩემი ქმარი...

მას „ნაგრადის“ მაგიერად,
შეუყენა სისხლის ღვარი
— და მიიღო ხისა ჭვარი!

57. მეხუზლას გაფირალება

ნიკოლოზა ყანის მუშა კაძახი იყო. ჩვეიდა ყანაში, შეხედა მის თოხს, დაზომა და თოხი ერთი ტკაველა იყო. მერე ყანას შეხედა და თქვა: ამ ერთი ტკაველა თოხით ამხელა ყანა ვუნდა გავთოხნო და იგიც ჩემი არ იყოსო. ყანის გაზომვა ტკაველით არ შეიძლებოდა. რაფერ დავარჩინო ცოლ-შვილიო, მაინც აფერი გამუავო. რეთი თოხი უნდა დავარტყა ამხელა ყანაში, რომ ცოლ-შვილი დავარჩინოვო. მეიქნია ყანაში თოხი, წევიდა მაშვინ, გადიკიდა თოფი და გაფირალდა. მეხუზლა მაგარი ფირალი იყო. ტყვიას ტყვიაში აჯენდა.

58. ნიკოლოზ მეხუზლა

მამასახლისად ნამყოფი იყო ერთი. ერთი მამასახლისობიდან გაგდებული იყო და ადგილზე დაბრუნება უნდოდა. იფიქრა, ახლა ვისახელეფ თავს, ჩინს მომცემენო. მივარდა მეხუზლასთან თოფით და დაუძახა: — ბაწრით შეგკრავო, სოფლის კაცმა მომცილდით, ჯარმა მეჩხუბოსო — დეიძახა მეხუზლამ. თავს ნუ შემომაწყვეტო, არ მინდა თქვენი სიკტილიო. არ დიეთხოა, მაშვინ ესროლა მეხუზლამ და ჩააწვინა იქინე. მიორე თოფით შაფაქიძე მოკლა. იგიც სოფლის კაცი იყო, მარა ჩინი უნდოდა და არ დიეთხოვა მეხუზლას.

მეხუზლამ გააკეთა ჯოხზე კაბალახი და იძახის: — მუუშვით ჯარისკაცები და სტრაჟნიკებიო. აგინს კაბალახი მეხუზლას ეხურა ეგონათ. დუუშინეს და დუუშინეს კაბალახს თოფები. მეხუზლა იჟდა საფარში და იცინოდა, თან იგინებოდა. ჯერ გამეისვამდა პირში ტყვიას და მერე ჩაღობდა თოფში. პირში ტყვია იწამლებოდა და რასაც ესროდა ამ მოწამლულ ტყვიას, აწვენდა იქინე. ჯარისკაცს მექვაბიშვილს კლავი მოსტება. მექვაბიშვილი ახლაც ცოცხალია. მექვაბიშვილი „ახოტნი კამანდის“ ჯარისკაცი იყო. „ახოტნი კამანდის“ აფიცერი ნესტორ გარდაფხაძე იყო და წამე-

იყვანა მან მისი რაზმი. დილიდან შვადღემდი გასტანა სროლამ.
მერე მოკლეს გარდაფხაძე, პირველად მივარდა და სილადი აართვა.
მეხუზლას წვერი ჰქონდა, ჩაქურა ეცვა. რომ მოკლეს ორმოცი წლის
იქნებოდა, დაახლოებით რომ ვთქვათ.

59. სისონა დარჩიას ლექსი

ლექსის დაწერა მინდოდა
ყმარწვილი კაცის ნდობაზე.
საძაგელი საქმე მიქნეს
ამ უნაგერაიას ბოგაზე.
რუსის ჯარი დაგვანვედრეს,
ფეხიც არ მედგა მიწაზე,
მარა ბევრხელ თავს უშველე,
ვერ მნახეს სამე ბინაზე.
აგი მიხელაი ნინიძე
ჩვენ ძმასავით გვეპყრობოდა,
თურმე ჩვენ ლალატს აწყობდა,
მარა რა შიეტყობოდა.
იმ სულხორცსა წაწყემენდილსა
ჯვარ-მენდლებიც ეყოფოდა.
მოლალატემ გაგვიკეთა
ჩვენ სადილი გვარიანი,
ღვინოები ჩამოგვისხა
ნაირ-ნაირ გემოიანი.
ნალვინები და მძინარე
ადვილად დასაჭერია;
სტრაჟები შამოგვასიეს,
საფარს მოგვადგა მტერია.
ქელმა ტყვია არ იმაგრა,
ვასილას მოხვდა ფხარშია,
უწინ სისონაი გეიქვა,
ვერ, გაარჩევდი ბნელშია.
უკან ვასილაი მისდევდა,
ამომდგარი ყავს გვერდშია.

თოფები უკან მიარტყეს
ხუთი და ექვსი მკერდშია.
იქინე მაინც არ მოკვდა,
სული დალია ვერსშია.
მე რომ კარში გამუედი,
სულ შეეშინა ყველასა.
ნინიძე გამუათხუე
მისი ბატონის მზერასა.
გევიქეცი და წავედი,
მეც არ ვიცოდი გზაია,
უცნობ ადგილზე ნამყოფი
კაცი ყველყაი ბრმაია.
შიშისგან ზარდაცემული
ყველამ დამითმო გზაია,
ისეთ ადგილზე გადვიჰერ,
მეც მეზარება თქმაია.
ჩავარდი ხრამში, რა მექნა,
შაჟენი იყო ვოცია;
მე თელი ტანი მტკიოდა,
კაცის სიცოცხლე ხორცია.
თოფი გატყტა, გამივარდა
კაზიონი ლევერველი,
ახლოს მოსვლა ვერ გაბედეს,
ეს კი იყო საკვირველი.
გუნებაში გადაესწყვიტე,
ამ საათში მოვკვდებოდი;
მოდით და ამომიყვანეთ,
ნურგინ შიშობთ, ვიძახოდი.
გიო ღლონტი გამეიქცა,
ლაუძახე, არ დაბრუნდა,
მიეწია ძველი ბრალი,
მგონი სახლში ვერ მიბრუნდა.
იმანც იცოდა ღალატი,
მორჩებოდა, ვინ იცოდა,
შემეცოდა მისი ქალი,
რა უდროვოთ მქრივდებოდა.

მე თავი კარგად შეგონა,
ფეხში ტყვია მომხდენოდა.
იმედაშვილმა მესროლა,
მარა სროლა არ სცოდნოდა,
აქ რომ არ ჩავჭრილიყავი,
სხვაგან სამე შემხედებოდა?

60. ვაი, დალოცვილი სისონაი,
ნაქებია კაცობაში;
შევიდა და ძმა იტირა,
არ შეშინდა იმდენ ჯარში.
ცალხელში თოფი ეჭირა,
ტრემლიც მოზდიოდა თვალში:
შენ მკტარი ხარ, მე ცოცხალი,
როგორ გევიარო გზაში.
ადი, ბიჭო! შემომხედე,
თოფი არ მკრას ვინმემ თავში.
— მალე შენსა მოლალატეს,
გავაგზავნი მალლა ცაში

61. მე ვარ სისონა დარჩია,
ნაქები ბიჭობაშია,
მიყვარდა ხელში ბომბის ტრიალი,
წითელი დროშის მალლა ფრიალი.

62. ილარიონ დათუნაშვილის ლექსი

ამხანაგად ავიყვანე
ქუთათელაძე, დარჩია,
როგორც მე მსურდა საქმეები,
იგენმაც ისე არჩია;
უმეცრად შემოვაჯექით,
პოეზს ეჭიბის თავშია.

ისე მოჰქროდა პოეზი,
 როგორც ქარი და მეხია.
 ქუთათელაძე გადმოხტა,
 მაგრად იტყინა ფეხია.
 მე აკოშქაში გადმოვშვი,
 როგორც გინახავს ვეფხია.
 ხელი დავავლე, წავიღე,
 გზა მწვერილი ათი ვერსია,
 გადავიხსენ ჩამადანი,
 ფულები ვნახე ბრეგლია,
 ამევიღე და დავაწყვე
 ასიანები მშრალ-მშრალი,
 უსამართლობა კი ვქენით,
 რომ არ იყო სამართალი.
 ურიები არ ვყოფილვართ,
 ზურგით გვეთრია ფართალი,
 ექვს ნაწილად გავიყავით,
 ჩვენ მეგრულმა და გურულმა,
 ათიათასი მანეთი
 თოთოს გვახვედრა სურვილმა.
 ერთი კვირა შეგვინახა
 იმ აჯამეთის ბურულმა,
 მეტ ნაწილად შეგვაწუხა
 იმ დასაქცევში წყურვილმა.

63. სისონა დარჩია

სისონას მამა ბაილეთში იყო მოსახლედ. ერთი საწყალი
 დარიბი კაძახი იყო. სისონა პაწა კაცი იყო შეხედულად. თვალს
 ვერ გუუჩერებდი, იმისიმაგრე თვალები ქონდა. რომ შეხედავდი,
 ცახცახებდა. თექვსმეტი წლის იქნებოდა, ფირალად რომ წვივიდა.
 აღმასის კაკალსავით ბიჭი იყო. შავი იყო. ჩაქურას იცვამდა ყველა
 მაშენ და სისონასაც ჩაქურა ეცვა. იარაღად ქონდა ორპირიანი
 ფიშტონა.

64. სისონამ ესეს ცოლ-შვილი დაიჭირა

კაჩალი ზამთარში საჯოგებე ინახავდა თავს. ერთი კვარანცხელია იყო მეჯოგე. იმან უთხრა სისონას: — ჩემსას წვევიდეთო. თურმე სახში ორი კაჩალი კილო ყოლია. იფიქრა: ამ კაჩალებთან სისონასაც დავაჭერიებ და ჯვარს მომცემენო. თუ სამ კაჩალს დეიჭერდა, ოქროს მედალს მისცემდნენ (ყელის მედალზე თვეში რვაი თუმანი იყო. უბრალო მედალს რვა მანეთი ქონდა).

დავიდიანცვის დასკვნით, მკვდარის მკვლელს ეკუთვნის სამ-გირვანქიანი მედალი. ზედ დაწერილი უნდა იყოს მკვდარის მკვლელიო. ჯაფარიძე გეიპარა. პართენამ დაიკიდა ეს მედალი. იგი მოხსნეს მამასახლისობიდან. სისონას იარალი პართენას მისცეს.

ერთი თოფი სისონას აგერ ვაშლის ღრუში ჩუუყუდებია. ვოცი წლის წინად მოვსპარი აი ვაშლი. ვნახე თოფი. მეტი არაფერი არ დარჩენია.

ესეს მეჭინბე, სამსონა მენამუსე იყო. ესემ რომ ნახა სისონა საჭინბოში, სამსონას კითხა: — რაა აგიო?

სამსონამ უთხრა: — რა ვიცი მეო, შემოპარულაო.

სამსონას უთხრა სისონამ: — ესემ რომ სახლიდან წამოსვლა დააპიროს, შემატყობინეთო. წასულა სისონა და ვასილა და უღარაჯებენ ესეს, უნდა მოკლან. სახლში ქე დაეცემოდა, მარა სად წევს, ვინ იცის, უყურა ვორ-სამ დღეს და გეიხედა მოვლიან სამი ცხენოსანი. დადიანის ქალი ნინო (ესეს ცოლი — ერისთავის ნაცოლარი იყო) და კატუშა (ქალის მონაყოლი გერი ესეს) და დიმიტრე გოცირიძე (მოსამსახურე, ხურჯინი მოქონდა).

გადიარენ სისონა და ვასილა

— გამარჯობა!

— გაგიმარჯოს!

სისონააო, დადიანის ქალმა გადულაპარაკა იგენს.

სისონამ ერთხანს არ გაუშვა იგი ქალები, ჰყავდა ტყეში, მერე უთხრა: — ახლა წაბრძანდითო. დიმიტრი გოცირიძეს უთხრა: — აი ლევერი, თუ შეიძლება, მომეციო. ლევერი აართვა და გუუშვა. სხვა არაფერი არ წაურთმევია. ეგნატეს აგი ვუთხარი მე. ეგნატემ შემეკითხა: — რაზეა გადაკიდებული ესე და სისონაო. — ამაზე გადაკიდენ, სისონამ ესეს ცოლ-შვილი დეიჭირა მეთქი.

65. ესე გურიელის დამარცხვა

როცხა ესე გურიელი მოკტა, მეინდომეს მისი სოფელჩი—ბაილეთჩი დამარცხვა. გეიგო სისონამ ესეს სოფელჩი მუასვენებენო და შეუთვალა ჭირისუფალს: არ გაბედოთ და აქეთ არ გამუასვენოთ, თვარა ყველას ამოგწყვეტო (ვორი ძმანები იყო ფირალი, მეორე ძმას ვასილა ეთქვა). მაინც გაასვენეს გურიელი ბაილეთჩი მარა რაფერ: სანამდი გაასვენებდენ, ყველა თემში დეიბარეს ხალხი. ხალხიდან ვინც ვაშკაცი ბიჭები იყო, ყველა წეიყვანეს. მეც წამიყვანეს, ჩვენი თემიდან. შვაში ბალდახინი მივიდოდა, ყოლიფერი ცხენიანა შავებში იყო. სოფლებიდან სულ ვოცდაათი კაცი ვიყავით მის მცველათ, ჩვენ სულ წინ მივდიოდით და გზას ვირეკდით, ვორმოცდაათი კაცი, კავალერია ჩვენ მოგვხობოდა, უკან კიდო ვორმოცდაათი, იმის უკან ფეხოსანი, ვორმოცდაათი კუბოსთან, კუბოს უკან კიდო ფეხოსანი ჯარი მოხობოდა. ყველას გვეშინოდა: აი ახლა აგვიტეხენ ფირალები სროლას და აი, ახლავო. გვედით სუფსას გაღმა და დავმარხეთ ეკლესიაზე. მის დამარცხვაზე ჯარისკაცებმა ვორი პარტია თოფი ისროლეს. მერე ჩვენ გვცხვენოდა, რა საჭირო იყო სამასი კაცი. სისონა მისით მოკტა, არიკაცს არ მუუკლავს. სამი-ვოთხი წელიწადი იყო ფირალათ. ბატონს ემდუროდა, იმიზა გადავარდაო. ხშირათ ფირალობაში მარტო დეიარებოდა.

66. სისონას მიერ სტრაჟების მოტყუება

ვასილას სიკტილის მერე სისონა სახელიანი ფირალი იყო. ერჯელ დიეცენ თავზე მოსახლისას. მარტო იყო, გევიდა ახორში. გადაცვა ხფოს ნაბადი, გააღო კარი, კრა უკან ხანჯალი, ხფოი გამუარდა გარეთ, სტრაჟებს სისონა ეგონა და ყველამ იმას დააყარა ზალპი. სისონა გაძრა უკანა კარში, ამაშობაში და გეიქცა. ერჯერ კიდო სისონას გზაზე დახთენ სტრაჟნიკებმა. დაჩიხენ სუფსის ბოგაზე. სისონამ დააყუდა ნაბადი. მერე წაკრა ხელი და გადააგდო, დააყარეს თოფები, მარა სისონა გადახტა კლტეში. კლტეი ძალიანი მაღალი იყო, ისე მაღალი იყო, რომე კაცი თვალს ძლივა უსტკვენდა დაბლა. სტრაჟნიკებმა დეინახეს, რომ სისონა გადახტა, მარა აღარ ესროლეს, მაინც მოკტებო იფიქრეს. ჩვეიდან მერე დაბლა და სადაა სისონა, 8. ქს. სიხარულიძე

გაქცეულა. ვერიკაცმა ვერ გეიგო: ამ კაცს ფთები ქონდა თუ რაფერ
გადარჩა იმისიმაღლე კლტეში. სისონა იმფერი მაგარი ფირალი შე-
იქნა, რომე თუ ვინმეს დაწყევლა უნდოდა, ვინმე ეტყოდა: „სისონა
შეგბთა გზაშიო“. ხალხს არ აწუხებდა. ესეს მოურავმა მკტარ ვასი-
ლას წრიხი ჩაკრა. გეიგო იგი სისონამ, დახთა გზაში და მოკლა,
მკტარი ძმის ასთე შეურაცხყოფის გულიზა.

67. სისონას თავგადასავალი

სისონა მარჯვე ბიჭი იყო. სასულიერო ყმა იყო და ეწინააღმდე-
გებოდა თავადაზნაურობას. განსაკუთრებით ესე გურიელს, მიწებს
ელავებოდა. ჩავიდა საყანეში და თესავს. მოვარდა მოურავი—ვინ
მოგცა უფლებათ.

— ჩამოდი ცხენიდანო, უთხრა სისონამ,

თურმე ცხენი სიკოს იყო, სისონამ ჩამოართვა და მოურავი
ფეხით წავიდა. ისე მარჯვე იყო, რომ სამ ცხენს, ბარგიანს, ერ-
თად დააყენებდა და გადაახტებოდა. ყაჩაღებმა გაძარცვეს ექიმი
დავიდიანცი და უთხრეს დავიდიანცს: — მე სისონა დარჩია ვარო.
სისონამ გაიგო ეს. აღმოაჩინა, ვინ იყო ესენი და ყველა წალე-
ბული ბარგი მოჰკიდა ქურდებს და ჩამოუტანა დავიდიანცს.

— ყველაფერი წაიღეს შვილო, უთხრა იგინს დავიდიანცმა,
არაფერი აღარ მაქ (ეგონა აგინიცი მცარცველნი). სისონამ უთხრა,
შენ გაგცარცვეს ხომ? და შენი ბარგი აგერაათ.

— ვინ გაგცარცვაო?

— სისონა დარჩია ვარო, ასე თქვაო.

— მე ვიყავიო? კითხა სისონამ.

— არა, შვილო, მაღალი კაცი იყოვო.

— აბა სისონა მე ვარო.

წავიდა სისონა. გავიდა ხანი, სისონას გულისათვის შეწუხთა
ხალხი. ერთხელ სოფელ ხაჯალიაში გაათია სისონამ ღამე (სოფ.
ხაჯალია სუფსა და ჭუმათს შორისაა). დილით ადგა. ხაჯალიაში გუ-
რიელების მამულში დგანა ქურთები, ჯოგი ჰყავთ. ბავშვებმა ქურ-
თების ძროხები გამოდენეს საბალახოზე. გამოვიდა ძაღლები და
ბავშვები დახლიჩეს. სისონამ ორივე ძაღლი მოკლა. გამოვიდა
ქურთი წალდით სისონას სასიკვდილოთ. ესროლა სისონამ და

მოკლა. მეორე გამოვიდა სისონას სასიკვდილოთ. იგიც მოკლა, მესამეც (მამა მათი), იგიც მოკლა.

ამან ძალიან შეაწუხა სისონა. შეუთვალა გურიელს, ფული გამომიგზავნეო. ესემ ფული გამოუგზავნა. აქამდი ხალხს არ კლავდა. ახლა ეს კაცები შემოაკვდა და გადაწყვიტა, წავალ საზღვარგარედო. მეგობრად ვახტანგ გურიელი ჰყავდა და სისონამ უთხრა:— წავიდე უნდა საზღვარგარედო. დაუტოვა იარაღი. ჩავიდა ფოთში, ჩაჯდა სანდალში. აღელდა ზღვა, ცივა, სანდალი იღუპებოდა და გადახტენ ზღვაში. სისონაც გადახტა, მოადგა შიშველი ნაპირს, სალატა ბუჩქებში დაიმალა, ვილატას ტანსაცმელი გამოართვა. წყალში ყოფნაზე გაცივდა და დაემართა ფილტვების ანთება. შეატყო გლახადაა საქმეო. ვახტანგისას იწვა, ჩემს სიმაურის აღექსანდრე ბაშოს ძე დარჩიას შეუთვალა: — მოდი და წამიყვანეო. ხაჯალიაში რომ მივიდენ, ცუდათ გახდა და უთხრა: — წადი, ცხენი მომიყვანეო. სისონა მეჯოგისას შევიდა, ყველი და ღომი აქამეს. იმავე წუთში ქე მოკვდა, ექიმმა გასჭრა და ღომი და ყველი გაუქანებელი იყო. სახლის პატრონმა თქვა: მე მოვკალიო და დაარტყეს ნაჯახი, მაგრამ სისხლი არ გამოვიდა.

იქვე დამარხეს. ახლა მის საფლავზე სხმარტლია დარგული.

68. სისონა და ვასილ დარჩიები

სისონა იყო ჯუმათის თემიდან, ს. ნაურმებიდან. სისონას მამა ბატონს ყმად არ ეკუთვნოდა.

ჯუმათის მონასტერზე იცოდნენ მთავარანგელოზობა. ერთხელ ამ დღეობაზე წავიდა ახალგაზრდა სისონა. მასთან ერთად იყო გურიელის ყმის ჩხარტიშვილის შვილი, სისონას ტოლა. გურიელებს უყვარდათ ყმების ერთმანეთზე წამასხარება და თვითონ ყმას იქცევდნენ. სისონას მამას და ჩხარტიშვილის მამას სთხოვეს, რომ დაეჭიდებინათ ბავშვები ერთმანეთისათვის. დააჭიდეს და სისონამ წააქცია ჩხარტიშვილის შვილი. სამჭერვე (სამჭერ ნაკლებ დაჭიდება არ შეიძლებოდა). გურიელს ეწყინა მისი ყმის დამარცხება. გაგულისდა ჩხარტიშვილის მამაც, — ძაბუნი შვილი მყოლიაო, — და გალახა სისონა. სისონას მამა მაგარი კაძახი იყო. წავიდა და ჩხარტიშვილი გალახა ისე მაგრად, რომ ექვს თვეს არ

ამდგარა. გადიკიდნენ ასე ჩხარტიშვილები და დარჩიები საკვდრო-სასიცოცხლოთ.

ჩხარტიშვილები უფრო მაგარი გალახული იყო. ერთხელ სისონას ძმა კობტა ქალს ნიშნავდა გომში. დახვდნენ ჩხარტიშვილები და გალახეს. გომში ჩიესიძა ეს კობტა დარჩია. მობრუნდნენ და კიდევ ის ჩხარტიშვილები გაილახა, ოჯახის უფროსი გაილახა.

ღვთიშობლობა იცოდნენ ჯუმათში დღიანაურის ეკლესიაზე, იქ გალახეს ოჯახის უფროსი. გურიელმა და მისმა ჯარმა ზღია ამ ნიადაგზე სისონას და გადიარა და წავიდა კაჩალად; ძმაი მისიცა — ვასილა. შეიამხანაგეს მერე დათუნაიშვილი. დამცემლობას მაგენი არ ატარებდნენ. მხოლოდ მემამულეების ხალხს არ უშვებდნენ გაულახავს. გურიელი ჯუმათ — სილაურაში იღვა. ფოსტას რომ გამოგზავნიდა გურიელი, დახვდებოდნენ.

ძალიან ცქვიტი კაცი იყო, ერთი შემთხვევა იყო მამათის ტყეში: დიდი კლდე არის იქ, გამოქვაბულივით, ჩიკაშუას დააჩიხვინა იქ თავი, შემოადგნენ ქანდარმები, სისონა ბრეზენტის ზონტიკით გადაფრინდა კლდეზე.

ერთხელ ციხეში გაიყვანეს პრაგულკაზე. სამი მეტრი იყო ღობე. აუხტა ზეით, მოშინჯა, თუ ავხტები ზეთო. რომ აუხტა მალა, მოკიდა სარს ხელი და მერე მოახერხა მართლაც გაქცევა. ფეხზე მაგას ქუსლები არ ქონდა. ორივე ფეხი ქუსლის ადგილას გადასწორებული ჰქონდა და ადვილად მოიძრო ბორკილი.

ლაშტიერ გოგუაძე იყო, გურიელის მოურავი. დიდი ზვინის ხელა თავი ქონდა, გურიელის მერეში ვის გაუშვებდა! პრისტავს უთხრა ერთხელ ლაშტიერმა, — მე მოგაყვან მაგ გლახასო (სისონაზე), ყურებსაც მოვაჭრიო. გაიგო სისონამ და მივიდა მასთან. — რაფერაა, ლაშტიერ, საქმე, როდის მიმიყვან პრისტავთანო?! გააფრთხილა, — დემეხსენო, სამჯერ გააფრთხილა, მერე დააძრო ყურები და გაატანა პრისტავთან. ის უყურო ლაშტიერა მახსოვს მე.

...სისონას და ვასილას რომ დიეცენ, თავის სახლში იყვნენ. სახლი ქონდენ მალაღზე. უკან პადვალი ქონდენ ამოყრილი. სისონამ უთხრა ვასილას: --- შენ წრიდან გადახტი და მე პადვალით გავალო. სისონამ პადვლიდან გახტა და გაიქცა. დათუნაიშვილიც დაიჭრა მაშინ. სისონა იქიდან წამოსულა სუფსაში და ეწერაში დახვედრია პრისტავს, მაშინ კიდევ მოიკლა სამი კაცი. მოსახვევი იყო და იმ მოხერხებულ ადგილას ჩაუჭდა, იქიდან ისროლა...

...სისონა დაბერდა აქ სიარულში, ყაჩაღობაში. ბოლოს გავი-
და სათათრეთში. ჯოგი შეიძინა და ბიჭიც ყავდა. იქ მოკვდა.
მისი ქონების ნაწილის გამოსატანად უნდა წასულიყვნენ, მაგრამ
მაშინ ომიანობა იყო და ვერ გააღწიეს.

სისონას გავდა ერთი მეგრელი და ის მოუკლავთ. შეუტყო-
ბინებიათ სისონას დედისათვის, — მიდი, შვილი იტირეო. მივიდა
დედა და პირველ რიგში ქუსლებს დახედა და დაატირა, — შვილო,
ჩემი შვილი არ ხარ, მაგრამ ვისიც ხარ, მაინც ცოდო ხარო.





1905—1907 წლების რევოლუცია
რეაქცია ჰარტისანული ბრძოლა
რეაქციის წინააღმდეგ

69. სასიმღერო

ძმობა ერთობა სიყვარულს
დაუდგათ ტახტი ქებული,
ძირს ჩამოვაგდოთ ნიკოლოზ
ჩვენს ზურგზე გასუქებული,
მას მივაყოლოთ ალექსი
ჩვენს ჯიბრზე დაბადებული.

70. მზემ ღიმილით გადმოგვხედა,
პირი აღარ მოიჭუშა,
აღარ გვინდა სისხლის მსმელი,
ძირს ნიკოლოზ, მალლა მუშა.

71. გაუმარჯოს ერთობას,
ძმობა-ამხანაგობას,
რვა საათის მუშაობას,
მემრე თავისუფლებას!
ნიკოია ძირს,
ორ კაპიკად ღირს,
წავიყვანოთ ტყეშია,
კირკა მივცეთ ხელშია.

72. მრისხანებს ქარი, მტრულად გრიალებს,
სულსა გვიხუთავს შავბნელი ძალა,
საბედისწერო ომში ვებრძვით მტერს,
ვინ იცის, რა დღე მოგველის ხვალა.
მუშავ, წინ გასწი,
მტერი ძირს დასცი!
დღეს თუ უკან გეწევს მტრის იერიში,
სულ სხვაფერი დღე მოგველის ხვალა,
მტერზე იერიშს თითონ მიიტანს
შეერთებული მუშათა ძალა.
მუშავ, წინ გასწი,
მტერი ძირს დასცი!

73. თუ გინდ ჯალათმა შხამგესლიანმა
თვის სისხლიანი ჩამკიდოს ხელი,
მაინც თამამად, მედგრად. შეეყურებ:
-- სიკვდილი ჯალათს, ძირს სისხლის
მსმელი!

74. ლევან გურიელი

თვითმპყრობელი რეჟიმისგან
მშრომელთ ქონდათ გასაჰირი,
მათ. ბანაკში გაისმოდა
საყვედური მუდამ-ხშირი.
ბობოქრობდა მთელი არე,
ბრძოლის ტალღა მოგორავდა;
დღეს ანუ ხვალ მეფის ტახტსა,
დაანგრევედა, წალეკავდა.
მებრძოლთ რიგი იზრდებოდა —
ხმა ყიყინის მოისმოდა,
და ხმა მძლავრი კიდით-კიდეს
გადიოდა, გაისმოდა.
მოუთხრობდა ყველა მშრომელს,
იზრდებოდა მშრომელთ გუნდი,

ყველას სურდა შეემუსრა
დამჩაგვრელი, ტანჯვის ხუნდი.
ბათომის ხმაც შეუერთდა
ამ საერთო დიად ძახილს,
და აქაურ მუშებშია
პოულობდა გამოძახილს.
დიდი ხნიდან დატანჯულმა
ხელს აიღო მკვეთრი ხმალი,
ბარიკადებს აკეთებდა
და აენთო ბრძოლის ალი.
ქარხნებიდან გამოვიდენ
და მოედვენ ყველა ქუჩებს,
შიშის ქარი შეუყენეს
მეფის კაცებს — ბოროტ-ურჩებს,
სტრაჟნიკებსა უფროსობდა
ამ დროს ლევან გურიელი,
მებრძოლ მუშებს დაერია,
ყველას კბენდა როგორც მგელი.
ბევრსა სცემა, ბევრი მოკლა,
მიმოფანტა მშრომელთ კრება,
იარაღით მომზადებულს
უხაროდა გამარჯვება.
ამნაირი საქმისათვის
მას მიართევს ჯილდო დიდი,
გულს მედალი ჩამოკიდეს,
გაახარეს მხეცი-ფლიდი.
გათამამდა, მოინდომა
კიდევ მეტი ამაღლება,
„მეტის მეტი არის ბრეტი“ —
ძველი არის ეს თქმულება.
მუშებმა ვერ მოითმინეს
გურიელის მოქმედება,
დაადგინეს, გადასწყვიტეს
მოკვლით მისი მოშორება,
ამ საქმისთვის აირჩიეს

ტერორისტი კაცი სამი,
გურიელმა არ იცოდა,
უდგებოდა ავი დარი!
ცხრა იანვარს გურიელი
მარხილს იჭდა მოსვენებით,
გასცქეროდა არე-მარეს —
ბოროტი თავმომწონებით.
მანთაშევის შესახვევში
რევოლვერის ატყდა სროლა,
წაამწარეს გურიელსა
ტკბილი ძილი, ტკბილი წოლა.
მოჰკლეს შავი გურიელი
ათას ცხრაასხუთსა წელში,
რასაც დასთეს, მას მოიმკი
და შეგრჩება იგი ხელში!

75. ლევან გურიელის ლექსი

მუშის მტერი, უსინდისო,
გაიძვერა გურიელი,
ამაყი და მოარშიყე,
თან ჯამუში საძაგელი;
მუშებს სცემდა ის უწყალოდ,
მით გაითქვა მან სახელი,
ის ვერაგი, საზიზლარი,
უწყალობეს ჩინი, ჯვარი.
ხან თიატრში, ხან ქალებში
სეირნობდა მხიარული.
ბევრჯერ სთხოვეს მათ მუშებმა.
დასთხოვოდა მის ხელობას
და აღუთქვეს, ყველაფერში
იმას გაუწევდნენ ძმობას.
მაგრამ ლევანს ამ სიტყვებმა
ვერ აღუძრა სიყვარული,

მთავრობისგან წაქეზებულს
მთავრობისკენ ქონდა გული.
და წავიდა ერთსა დილას
სასეირნოთ უბედური.
მას უყვარდა სეირნობა
გაშლილი და თავადური.
სანკას ზურგით მისწოლოდა
მაშინ იგი მედიდური,
მგლისა სახეს უფრო გავდა
მისი სახე ამაყური.
ამ დროს მოხვდა ტყვია გულში
მამაცურად გაბედული,
დაავიწყა ნეტარება,
გაუქვავდა მტარვალს გული.
გააზმორა, გადიკეტა,
გაისისხლა როგორც ღორი.
ენის თქმაც ველარ მოასწრო,
ისთე მოკვდა ოჯახქორი.
ცოტა ხანს იმავ ალაგას
სულძაღლები აისვარა.
სძებნეს მკვლელი, ვერ იპოვნეს,
რადგანც დროზე გაიპარა.
დარჩათ ხელში გურიელი
კვლარი, სისხლით გაღებული,
აჯანჯღალეს დიდხან, მაგრამ
აღარ იყო მასთან სული.
შვიდ დღეს ეგდო ბალნიცაში,
არ გახადეს კუბოს ღირსი,
არც უფულოთ უთავაზეს,
არც აიღეს ფული მისი.
შემდეგ როცა რომ აყროლდა,
მიაშავეს როგორც მგელი
და მეცხრე დღეს გურიიში
წაათრიეს საძაგელი.
სტრაჟნიკს გარდა სულწაწყმენდილს

არვინ არ მოკიდა ხელი,
ჩააგდეს იქ სამარეში,
კი არ წაყუვა ღვედელი, ერი.
გურიაში მის საფლავზე
ასთე არის წარწერილი:
—აქ მარხია ძალლი ვინმე.
ვერაგი და მუშის მტერი.
საამო დილა გათენდა,
ოდელა, დელა, დელაო.
ტარტაროზს ძალლი მოუკლეს,
მოღვაწი გურიელაო.
შიგ შუბლში ტყვია მოარტყეს,
ძირს ეგდო წუწკი მელაო.
დათვივით პირი დაედო,
ოდელა, დელა, დელაო.
შენ წუწკო ძალლო, ბოროტო,
რათ იყავ სისხლის მსმელია,
აი შენ ტარტაროზს შესწირე
ხელიკივით თავი შენია.
კუბო სირმებში გასცვალე
ძმანები ერთად ყველაო,
აგია შენი სიკეთე?
ოდელა, დელა, დელაო.

—

76. დუშეთი აჯანყებულა

პირველად ვნახე სიზმარი,
პირველ მკათათვეს თვესაო,
დუშეთი აჯანყებულა,
ეხლება ერთმანეთსაო.
მჭადჯვარში კნიაზს დაეცნენ,
არ ანებებდნენ ძნებსაო;
უწიოკებდნენ ბიჭებსა,
არ უყენებდნენ მწყემსსაო.

—არ დაგანებებთ, კნიაზო,
 მეოთხედს ყურძნის წვენსაო!..
 დღისით რომ ველარ გაბედა,
 ღამით მოახტა ცხენსაო...
 ქალაქშიაც რომ ჩავიდა,
 უცხადებს აფიცრებსაო:
 — შვილებივით დაურდია
 მამაჩემ ერეკლესაო.
 მისი დარდილი შვილები
 არ მაძინებენ ძილსაო!
 წელს მეოთხედს არ მაძლევენ,
 აღარც იმ ყურძნის წვენსაო!
 ხემწიფემ კანონს ჩახედა,
 შეევედრება ღმერთსაო:
 —მადლობა შენთვის უფალო,
 რა საქმე მოხდაო წელსაო!
 საქართველო არეულა,
 ეხლება ერთმანეთსაო.
 —ჯარები მიაშველევით
 იმ ბატონ ერეკლესაო! .
 მუდამ დღე ხოცეთ ცხვარ-ძროხი
 პორცია დაუწესაო.
 მკათათვის დილა გათენდა,
 რა ნისლიანი დღე არის,
 მჭადიჯვარს კნიაზს დავეცით,
 ომი გაგვიხდა ტიალი...
 ხმალდახმალ ყაზახი მოდის,
 თოფებს გაჰქონდათ გრიალი...
 ბევრი დედა გამორბოდა
 თავგაწეწილი, თმიანი.
 სისხლის მორევები დადგა,
 სამ დღეს არ დაშრა ტიალი,
 ბევრი ოჯახი დაობლდა,
 და ბევრსაც მისცეს ზიანი.

78. ახლანდელი დროება

თავისუფლად მივდიოდი,
ვილაც მეცა, წამაქცია;
შევეკითხე: „ვინა ხარო“?
მიპასუხა: „რეაქცია!“
უანგიანი ხმალი ჰქონდა,
მიცხუნა და გამაქცია;
აგერ, ქალსაც ხელი სტაცა,
აკოცა და წააქცია.
გავიხედე ჩემს ეზოში,
სულ დამწვა და დამაქცია;
„პროპაგანდები“ მომთხოვა,
უბაში მკრა, არც კი აცია!
ბორკილები შემიყარა,
არხანგელსკში გამაქცია;
ღმერთმა დაწყველოს ხელმწიფის
მოგონილი რეაქცია!
სანამდისინ მოვიდოდა.
ოთხჯერ-ხუთჯერ გამაცია!

—

79. არსენა ჯორჯიაშვილი

მამავ, ნუ სტირი, დედავ, ნუ სჩივი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჰირი.
მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
თავისუფლებას შევწირე თავი.
მიყვარდა ხელში ვაშლის ტრიალი,
მისი გორება და თან გრიალი,
ტალახაძისა მალლა ფრიალი,
მისი ყვირილი და თან ღრიალი.
მწარე ტანჯვაში ვიშვი, ვიზარდე,
ცხოვრებამ მტყორცნა ბასრი კლანჭები,
არ მიბრალებდა კაცი, დროება,

დავძრწოდი ბედით განაწამები.
ერთ მხრივ ვხედავდი ტანჯულ-ჩაგრულ
ხალხს,

მეორე მხრივ კი — ბედნიერებას,
ერთ მხრივ მესმოდა სიცილ-ხარხარი,
მეორე მხრივ კი — ტირილი, კვნესა.
გულს მიღელვებდა, სულს მიშფოთებდა
უსამართლობა ჯოჯოხეთური,
დიდად მიყვარდა მშრომელი ხალხი,
მძაგდა მდიდარი და მედიდური.
ტანჯული ხალხის ტანჯულმა შვილმა
ქუჩაში დროშა ავაფრიალე,
ვესროლე მტარველს, მოვკალი მხეცი,
ცრემლი მოვწმინდე დაჩაგრულ თვალზე,
ჯალათის მათრახს არ გავექეცი,
ლიმილით აველ სახრჩობელაზე.

—

80. ნასაკირალის ამბავზე

უსინდისო ჯაშუშებო!
გაშავდეს თქვენი პირები.
რათ მიაბარეთ ციხესა,
თელი გურიის შვილები.
ზოგსა დააბით ბორკილი,
ზოგსა დაკიდეთ გირები...
კრილოვთან კიდომ დამქაშათ
სახელგანთქმული მგელაძე.
თავის სამშობლოს დარბევა
იმან შეუწყო ელანძე.
გურიის შინაარსები
უამბო რუსულ ენაზე.
რა რომ შეიტყო კრილოვმა,
აუცახცახთა კბილები...
კიდემ გამოჩთა იქავე
მგელაძისთანა პირები...

იმ ჯაშუშსა მგელაძესა
მუუმატეს ერთი ჟუარი,
თან შეაქენ, რომ ყოფილა
მთელი შპიონების თუალი.
დასაწველათ მიულოცეს
სუფსის პირი ნაგომარი.
პირველათ რომ ხელი მიყვეს,
თლათ გადაწვეს ოზურგეთი,
ზოგან ნაფთით წოუკიდენ,
ზოგან გადაასხენ ზეთი.
არ დაზოგენ ნაგომარი,
არც აკეთი, არც ძიმითი,
სოფლებს ცეცხლით უპასუხეს,
გაიხარეს გული მითი.

—

81. ეგზეკუცია

ეჭვთიმე, არსენ, ყაისარ
ალექსი ვანის ქედელი,
წყალგალმა — ივან, ვარდენი
და არსენ ციხის უბნელი.
გვაბრათში შავრაზმელები;
რაც ძალია, შავი, ბნელი;
თათბირობდენ: „სა წევიდა
შევარდნაძე — ამის მქნელი.
„როგორ მოგვიკლა ჩვენი ძმა,
სტრაუნიკი ჩვენი დამცველი...
ნაფიცნო ხალხნო მონგროვდი,
გვითხარი, ვინ ხარ მნახველი;
საწყალი ხალხი გაჩუმდა,
გაუხმა ყელში ნახველი.

.
გადირია შავი ძალლი,
არ დაინდო ბავშვი, ქალი;
საცოდავებს ჩაუმტერიეს

სულ თოფებით გვერდის ძვალი.
„შავარდნაძე მოგვეცითო“,
გაიძახთა ის აბდალი.
გუბერნატორის ბრძანება
ყრილობას წაუკითხესა:
„სცემეთ, დასწვით და მოჰკალით,
არ დაერიდოთ აფერსა;
შეაწუხებით სულ ხალხი,
ეგება ამით მოგვეცესა,
ამის გამგონე სტრაჟებმა
ხალხში თავზარი დასცესა;
აწამეს ქალი და კაცი,
ალარ დაინდევს ბავშვები;
მხარს უჭერს ხევისთავები,
ეს უსაგონო სტრაჟები“.

82. ამსანაგებს

მტარვალეების ტლანქმა ძალამ
გამომავლო მინდორ-ველად,
მოდო ძმებო და ვიბრძოლოთ
აწმყო დროის შესაცვლელად.
ხალხს უსურვოთ, რომ შეიგნონ,
რომ არვინ ყავს მას მაშველად,
გარდა ერთი თავის-თავის
გამომსვლელი ბრძოლის ველად.
საჭიროა შეერთება
ჯალათების შემმუსვრელად,
ძირს, ძირს დასვცეთ მუქთახორა,
ჩვენვე დავდგეთ ჩვენდა მცველად:

83. დათიკო შავარდნაძის ლექსი

დეკემბრის თუთხმეტს ორშაბათს
გამითენდა ცუდი დილა,

რასაც მტერი მექადლოდა,
დღეს დასტური მენამდვილა.
ნუ ენდობი ჰელიძესო,
ბრეულებმა გამამთხილა,
ღალატი და საწამლავე
ვაი დედა რა ყოფილა.
მშვიდობით დედავ, ცოლ-შვილო,
ალარ გყავთ თქვენი დათიკო,
საქმე ისე მომიხერხთა,
ველარ გაატრონობთ, რა გიყო.
თქვენ დაგტოვებდით, ჩემ გულში
დღემდის ფიქრადაც არ იყო,
დღეს კი მიმუხთლა ცამ რისხვით
და მიწამ პირი დამილო.
მადლობას გწირავთ ასკანლებს
თქვენი ძმა, თქვენთან აღზრდილი,
დასტკბით სიამით, შეირგეთ
ჩემი ღალატით სიკვტილი.
გრცხვენოდეს კაცის ღალატი
ვინც იუდა ხართ ნამდვილი,
მე მოკვტი მტერთან ბრძოლაში,
ხოლოთ თქვენ დაგრჩათ სირცხვილი.
ჩემი დანაშაულობა
მოიგონეთ აბა კარგად,
როს მთავრობას ღალატობდით,
შემითვისეთ ამხანაგად.
მე დასტური მეგობრობით
გევერე რაზმში მარდად,
ეკალს მისთვის ძირს უთხრიდი,
რომ ხალხს დავფენოდი ვარდად,
მაგრამ ოდეს გაქრა თქვენში
სიყვარული მაგ ერთობის,
ამის შემდეგ მე დამიწყეთ
მიზეზები უთანხმობის,
მე კი ჩემი მტკიცე რწმენით,

არ ვიხდიდი მტერთან ბოდიშს.
არ ვიყავი მოყვარული
ბატონების, არცა ყმობის;
არ გავყილდი მოძმეს ფულში,
ამით მიყვარს თავი დიდად.
მხოლოდ მას კი ვაძაგებდი,
ვისაც შივამჩნევდი ფლიდად.
თავმოყვარობას ვიცავდი
ჩვეულებრივ წესებ-რიგად,
გაჭირვებულს თუ ვნახავდი,
ვეგებოდი გზად და ხიდად.
მსურდა ხალხზე შემეწირა
ჩემი ღონე, ჩემი აჭა,
მაგრამ ჩემდა უბედურად
შემომაკვდა ერთი სტრაჟა.
მას უნდოდა სასიკვდილოთ,
თურმე გზაში მიდარაჭა.
ზოგიერთის მოხერხებით
ვწუხვარ ხალხი დაისაჭა.
ამის შემდეგ ვერ დავმაღავ,
რაზედაც რომ გულს მაკლია.
ვწუხვარ სიამაიშვილმა
თავი ტყვილად მომაკლია.
ჩემზე ძვირის ლაპარაკი
შევეკითხე, ვინ გათქმია,
მან ბოდიშის მაგიერად
ცხვირში კალამ მომიქნია.
რადგან მეტი მოთმინების
ჩემგან აღარ იყო ღირსი,
ჯერ პირადად წაუკითხე
ცთომილების პარაკლისი,
შემდეგ ტყვიით გავასტორე
დანაშაულობა მისი,
მთელ ჯაშუშებს მიემატოს
მისი დღეი დანაკლისი.

ჩემთვის მაინც სულ ერთია,
ვის შერჩება ეს ქვეყანა,
ყოფილა და აღარ არის
ბეჭური ვინმე ჩემისთანა.
ასეთ საქმეს მოავლენდა
ცუდი ღროი, ცუდი ხანა,
ეს დიდი ხნიდან ვიცოდი,
მილაღატებდა ასკანა.
ავისა კარგი ნუ გინდა,
ანდაზა არის ნათქვამი.
შენ დეილოცე ჰელიძევე,
რომ გამიკეთე ვახშამი,
ხმელი ხილიც ბეჭური გქონდა,
ძველი ღვინო და ქათამი,
საწამლავეც შემაპარე,
რომ შევიქენი ნასვამი,
მეგონა ვოტკა დავლიე,
ვერ მივაქციე თვალ-ყური;
სტაქანი რომ გამეშინჯა,
მე არ ვიყავი დოხტური.
თურმე ჩემი მასპინძელი
ეშმაკია და მაცდური.
ევიღე და გადავკარი,
ვითარცა ღვინო კახური.
თურმე საწამლავე იყო,
მოტყუებითა შემაცდინა,
გულზე ცეცხლი შემომმენტო,
თლათ სხეული ამატკინა.
შევატყვე ძალა არ მქონდა,
მუხლები თლათ წამიხდინა,
ავდექი და წამოვედი,
ღევიბიჯე თოფის რკინა.
ვაძაგებდი მხოლოდ იმას,
შერცხვეს მისი ვაშკაცობა,
დიდი ხნიდან სდომებია

თურმე ჩემი ლალატობა.
ამ შემთხვევას თვით გაგაცნოფს
წამკითხველო ეგ მოთხრობა.
მოვიდლოდი თუმცა გზაში,
აღარ მქონდა კაცის ცნობა.
თვალთ აღაფერს ვხედავდი,
პრისტავი რომ შემხთა გზაზე,
მე ხმამალლა შეუძახე:
გადადექი ყველამ გზაზე.
ყველა შეერთა და შეშინდა
პირველად ჩემ დანახვაზე,
ბაჭილიძემ დაიძახა,
დათიკოა შავარდნაძე.
ჩვეულებრივ შევტრიალდი,
მტერი რომ შემომესია,
თოფის სროლას შეუდექი,
როგორც ვაშკაცის წესია,
კაცი ძალ-ღონე მიხთილი,
რომ მოკტეს, უკეთესია.
თქვენ იფიქრეთ, რას ვიზამდი
მწუხარე და ავადმყოფი,
სტრაჟნიკს ფეხი მოვანტვრიე,
გვეისროლე ერთი თოფი.
ამხანაგი აღარ მყავდა,
არც მოყვარე-განაყოფი,
ან შემძლებოდა, მესროლა,
ტყვიაც კი მქონდა საყოფი.
ჩემთვის ასეთი სიკტილი
ვიცი რომ საძრახისია,
მაგრამ რაც რომ დამემართა,
უიღბლობით დამმართია.
მთავარი სული არ მქონდა,
ტყვია რომ მომხდა წელშია.
საწამლავით გულმონხარშულს
სიკვტილიც არ შემიტყვია.

მშვიდობით ამხანაგებო,
მე თქვენ ვერ გნახავთ აწია,
გაქრა სიცოცხლის წუთები,
აღსასრული მოაწია.
ხედავთ მტერის მოხერხებამ
ამფერ ჩემსა მოლაღატეს,
ამ მიწას ქვეშ მომაქცია,
ერთი კითხვით, რა კაცია!

84. დაუგიწუარო დათიკო

დუხჭირ ცხოვრების პირობამ
ტალღა ბევრჯერ დაგაჯახა,
მაგრამ შენი წმინდა რწმენა
ერთხელაც ვერ შეაფერხა.
ხსოვნა შენი ჩვენ გულშია,
სახე შენი თვალწინ გვიდგას.
არ იფიქრონ, დაგივიწყოთ,
სანამ პირში სული გვიდგას.

85. დედის მოთქმა

ჩემო დედისერთო შვილო,
სიობლეში გამოზრდილო;
ყოვლი კაცის საყვარელო,
ერთგულო და ენა ტკბილო.
ცოლ-შვილი გყავდა სარჩენი,
სხვაც ბევრი გადასახადი,
მაგრამ მტერებმა მოგისპეს
ყველა კეთილთან საღამი.
შენი დედა ვარ საწყალი,
შენზედ ვტირი, შენზედ ვდარდობ;
ხანდისხანდა ამას ვიტყვი:
მას ტირილი რაფერ ვკადრო.

86. ხალხის სიყვარული

რკინისგზის პირას ბავშვები ვთამაშობდით. ჩვენს შორის ერთი მოზრდილი ბავშვი იყო. ბავშვები ფიშტოს ესვროდნენ ტელეგრაფის მავთულს, მაგრამ ვერ ახვედრებდნენ. ამ დროს ღვეინახეთ ჩვენსკენ მომავალი ერთი შაგვრემანი, მალალი, ახმახი, ნაბღიანი კაცი. რომ მოგვიახლოვდა, გვითხრა:—რას შერებით? ნიშანში სროლა არ გცოდნიათო. თუ ქვედა მავთულს გინდათ მოარტყათ, ზედა მავთულს უნდა დაუმიზნოთო. ამის თქმისთანავე ამოიღო მაუზერი, დაუმიზნა მავთულს, ესროლა და მავთული გაწყვიტა. ჩვენ გაკვირვებით შევხედეთ ერთი მეორეს. იმან მაუზერი შეინახა და გზა განაგრძო.

— ნეტა ვინ არის აგი კაცი? — ვთქვით ბავშვებმა.

— მაგი — გვითხრა მოზრდილმა ჩვენმა ამხანაგმა ბიჭმა, — დათიკო შევარდნაძეა, სახელგანთქმული ფირალი, მთავრობას ემალედა. ხალხს როგორ უყვარს იცით?! ჩვენ ხმის ამოღება ვეღარ მოვასწარით ამ საინტერესო ამბავზე, რომ ღვეინახეთ რამდენიმე სტრაჟნიკი. ისინი ჩვენთან მოვიდნენ და გვითხრეს: — ამ ცოტა ხნის წინათ აქ ერთ მალალ კაცს ხომ არ გამოუვლიაო. ჩვენთან რომ მოზრდილი ბიჭი იყო, ის წინ წამოდგა და უთხრა: — გამოიარა, აი, აქეთ წავიდაო და მიუთითა სწორედ იმ მხარეს, საითკენაც შევარდნაძე მართლაც წავიდა. ამას რომე უბნებოდა, მე ყელში სისხლი მომაწვა — მინდა დავხლიჩო ეს ბიჭი — როგორ მიუთითა სტრაჟნიკებს სწორედ იმ გზაზე, საითაც შევარდნაძე წავიდა. მაგრამ სტრაჟნიკებთან ამის თქმა რომ არ შეიძლებოდა, ესეც ვიცოდით. როცა სტრაჟნიკები მოგვცილდნენ, ამ ბიჭს მივარდი და ჩხუბი დავუწყე: -- არ გრცხვენია, სწორედ ის გზა უჩვენე, რითაც შევარდნაძე წავიდა, ფუი, შენს კაცობას, მეთქი. მან გაიცინა და მითხრა — შენ რა იცი, აბღალო!, ხომ ხედავ, ორი მხრით მოდის გზა. მე რომ იმ გზაზე დამეყენებია სტრაჟნიკები, რითაც შევარდნაძე არ წასულა, ისინი სწორედ იმ გზით წავიდოდნენ, საითაც შევარდნაძე წავიდა, რადგან მათ იციან, რომ ხალხს შევარდნაძე უყვარს და სტრაჟნებს სწორ მისამართს არ მისცემდნენო. ამ დროს გავიხედეთ და სტრაჟნიკებმა, მართლაც იმ გზას დაანებეს თავი, რომელიც ამ ბიჭმა უჩვენა და მეორე გზით წავიდნენ. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

87. პრისტავის მოტეუება

დამხდური შევარდნადის იყო ვორი კაცი: გოგიძე და ბასილია. შევარდნაძეს მიუობოდა ვილაც ერთი ამხანაგი. როცხა იმ ადგილს მიაწიენ, სადაც ტერორისტები იყვნენ ჩასაფრებული, ის ამხანაგი დათიკოს ჩამოსცილდა. დარჩა დათიკო მარტო, ცოტა რომ გამე-იარა, ბასილიამ დაუძახა: დათიკო დაგვიჩი, ვეღარ წახვალო. ამის დაძახება და სროლა ერთი იქნა. დაძახებისთანავე დათიკო წაიქცა და გასროლილი ტყვია აიცილა, მერე წამოხტა და გეიქცა. მას დაედევნა ბასილია და გოგიძე, რომ აღარ ჩამოსცილდნენ, შევარდნაძემ ზელუკუღმა ესროლა ბასილიას და დაქრა მკერდთან. ბასილია წეი-ყვანეს და იქვე დადევს. შამოვესიეთ და ვსინჯავდით, სად ქონდა ჰრილობა. ამ ადგილას მოვიდა პრისტავი. თურმე დათიკო არსად არ წასულა, იქვე სერზე ასულა მომადლოთ და უყურებდა ამ ამბავს. როცხა პრისტავი მოვიდა, მაშეინ ჩამოვიდა შევარდნაძე. პრისტავმა მოაძახა: — რა დაგემართა შევარდნაძე, რაშია საქმეო. დათიკომ უპასუხა: — მე არაფერი არ ვიცი, გზაში მოვდიოდი, ვინცხა დამხთა და სროლა ამიტეხა, მეც ვესროლე, მარა იგინი გეიქცენ და უცებ ამ მართალ კაცს მოხთა და იმას ასცილდავო. პრისტავმა დეიჯრა დათიკოს სიტყვები და ასე გადარჩნენ ტერორისტები დაპატიმრებას. მერე დათიკო გადავიდა ჩოხატაურში.

88. ტრაბახსა სტრაჟნიკი

ერთ სტრაჟნიკს დაეტრაბახა, — შევარდნაძეს რავა ვერ დავიჭერო.

— მაგას თუ იზამ, გაგაკეთებთო, უთქვამს მთავრობას. წასულა ეს სტრაჟნიკი ასკანაში და დადის. ერთ ღღეს დათიკომ უცეფ თავს წააწყდა ტყეში მძინარეს. მივიდა, აიღო მისი თოფი და სტრაჟნიკს ფეხი კრა. სტრაჟნიკმა გამოიღვიძა.

— გამარჯობა შენო. — უთხრა დათიკომ.

— ღმერთმა გაგიმარჯოსო — უპასუხა სტრაჟნიკმა.

— მე მიცნობო?

— ვერაო!

— მე შევარდნაძე ვარო!

სტრატეგის გააცემა და უთხრა: — ჩემი სული შემარჩინე და სხვაი შენ იციო.

დათიკოს აფერი არ უწყეინებია.

—

89. კობა და დათიკო

დათიკოსთან შეიყვანეს ერთი კაცი, რომელსაც უძახოდნენ კობას, რაცხა ილაპარაკენ და რა ვიცი, რა ილაპარაკენ. ადგა დათიკომ და ქე წეიყვანა. ალექსი ფიფია იყო ერთი ვაკიჯვარში, იმასთან მიიყვანა და უთხრა ალექსის:

— უპატრონოა და მწყემსად დააყენეო, სხვა საშუალება არა აქვსო. მიაბარა ხბოები და მთელი დღე ხბოებს გადადენიდა, ღამე კი კრებას ახდენდა და ხალხს ამზადებდა. კაი ხანი რომ გაჩერდა, დათიკომ იფიქრა, არავინ უღალატოსო, წამოიყვანა და ვანისქედში ონისიმე თალაკვაძე იყო და იქინე მიიყვანა — აი ჩემი ამხანაგიაო და არავინ უღალატოსო და იმან საცირე ბადესთან წეიყვანა და იქინე ღამე კრებებს ახდენდა. დათიკოც იქინე იყო. იქინე რომ მუშაობა მოათავა, ხიდისთავში წვევიდნენ. ხიდისთავში რომ სტალინმა ხალხი მოიწვია. დათიკო იმ კრებაზე მდივნად იყო (სიო კალანდაძეს აქვს ეს დაწერილი). ხო ქე დამავიწყდა: თალაკვაძიდან რომ წამოიყვანა ჭაჭიეთში, ჩემი მული ეფემიე თავართქილაძე იყო, იქ ვიყავით ჩვენ დახიზნული. (მთავრობამ სოფლები გადაწვა და ხალხს აწიოკებდენ). ერთ დღეს დათიკო მოვიდა ჩემთან, მომცა ფული და მითხრა: — ამ მთაზე ამხანაგი მყავსო და იყიდე რამე, სადილი გააკეთე და მოგვიტანეო. გავაგზავნე ჩემი მული, ვაყიდვიე გოჭი და ღვინო, ხაჭაპური და მაკუჭი, ჩემი მულის შვილი ჩემთან იზრდებოდა და მე წავიღეთ სადილი და ვევედით იმ კლდეზე ძლივს. დაფუტით დათიკოს საჭმელი და წამოვედით. ამის მერე წვევიდნენ ხიდისთავში, მერე გავიგე, რომ კრება რომ გაათავენ, ჩალაში ჩააწვინეს კობა და ჩალიანი ურმით გეიყვანეს ჩოხატაურში. ზოგი ვაკიჯვარში მოამზადა და ზოგი სხვაგან. მე არ ვიცოდო, ვინ იყო ის კაცი. დათიკო მისი ამხანაგების ვინაობას არ მეუბნებოდა. მერე შეფის მთავრობა რომ გადააგდეს, მერე გავიგე, რომ იგი კაცი თურმე სტალინი იყო.

90. დათიკო შევარდნაძე

გურიის სოფლებს შევარდნაძის გულისათვის ძალიან აწუხებდა მთავრობა. სადაც გვივლიდა შევარდნაძე, იმ საზოგადოებას ათასობით ჯარიმას დაარტყამდა. განსაკუთრებით წელში გატყდა ასკანა, ჯარიმა ჯარიმაზე მოდიოდა. რეაქციის დასაწყისში სამმა კალანდაძემ სტრაენიკებად შევიდნენ შევარდნაძის მოსასპობად. ერთი მათგანი ამბობდა: — რაა ბოლოს და ბოლოს შევარდნაძე. ერთი ვარ მეც და იგიცო. ამ დროს ვანო კალანდაძემ წინადადება შეიტანა კომიტეტში: იმ გურულ ოჯახს, ვისაც ყავს სტრაენიკად თავისი ოჯახის წევრი, უკან დააბრუნოსო, ეს სასირცხო საქმეაო. ერჯერ დათიკომ ერთ-ერთ სტრაენიკ კალანდაძესთან მივიდა ოჯახში. დედას უთქვამს, აქ ცხოვრობსო.

— შენ ხარ მისი დედაო? — კითხა დათიკომ.

— კიო.

— ვეფერი კაი დედა ყოფილხარ, სადაა ახლა შენი შვილიო. კაი იქნებოდა, სახში ყოფილიყო, სადაა მისი საწოლიო. მისულა და ვინტოვკით ლები და საბანი დაუხვრეტია და უთქვამს: — კაი იყო თვითონ შემხვედროდა.

მისი სიკვდილი რომ გაიგო გურიის კომიტეტმა, გადასწყვიტა — შევარდნაძის სიკვდილს გავსცეთ პასუხიო: ასკანაში ერთი სტრაენიკი მაინც მოვკლათ და მისი მოკვლა ამით მაინც ავლნიშნოთო. დაესხნენ კომიტეტის დადგენილებით ასკანაში სტრაენიკებს, კანცელარიაში მოკლეს კალანდაძე.

დათიკო ლომი იყო: მუშტის ოდენა თვალები ჰქონდა, სხვილი წარბები, ბეჭები განიერი, წელში წვრილი. რომ შეხვდებოდი, რომ ჯერ არ გენახა, გული გეტყოდა, ეს იქნება შევარდნაძეო.

91. დათიკოს მოწამვლა

დათიკომ 1902 წელში დაიწყო რევოლუციური მუშაობა. დათიკოს დაჰერისათვის იყო რვაას-რვაასი მანეთი და საწამლავი იყო ოჯახზე დარიგებული. ვინც მოწამლავდა დათიკოს, მიიღებდა რვაას მანეთს. ერთმა მოღალატეთაგანმა ილაპარაკა: შვიდ ოჯახს გვექონდა დარიგებული რვაას-რვაასი მანეთი და საწამლავი. კელიძეს შეხვდა

და. მოწამლაო. ერთი კაცის ცოლი ცოტა სხვანაირი იყო და ვეზდნა-
ჩანიკმა დაავალა, მოწამლე დათიკოვო. ერჯერ დათიკომ მასთან
მყოფ ბავშვს უთხრა: — ამა და ამ კაცისას ვიყავიო. ეს ის ოჯახი
იყო, დათიკოს მოწამელა რომ ჰქონდა დავალებული და დათიკო
იქიდან მოწამლული წამოვიდა. გზაზე წაქცეულიყო, მარა წყალი
ესვა და ბავშვი კვერცხისათვის გაეგზავნა. ორი კვერცხი გადაეყ-
ლაპა და ამით გადაერჩინა თავი. მესამე დღეს მოვიდა სახლში და
როგორც ლეღვი გაგირჩევია, ისე ძვრებოდა ტყავი და თქვა: ფი-
ფიასას მომწამლესო. დათიკო წითელაზმელებს ამეცადინებდა,
მოუყრიდა ჩვენს ეზოში იგინს თავს და ავარჯიშებდა და ასწავლი-
და — როგორ ესროლათ. ზოგს დააწვენდა, ზოგს ააყენებდა და
ასწავლიდა, როგორ მოქცეულიყვნენ ბრძოლის დროს.

92. სიმონა დოლიძე

ყოველი მხრით დაჩაგრული
მე ვარ სიმონა დოლიძე,
ექვსი წელი შემისრულდა,
არ მიძინია ლოგინზე.
უბედურად დადგა ჩემთვის
ათასცხრაას თერთმეტ წელი,
იმედის ძაფი გამიწყდა,
აწ სიცოცხლეს აღარ ველი.
ცხრა ენკენისთვეს მესიზმრა,
ვითომ ყელს მეხვია გველი,
ვეცადე, ვერ მოვიშორე,
ისე შემეშალა ხელი.
პოლიცია დამედევნა,
ოცი წლის რომ შევიქენი,
ჩემთვის ხალხი იტანჯოდა,
მაგრამ ბევრი კარგი ვქენი.
რაც ფირალად გადავვარდი,
შემისრულდა ექვსი წელი,
მოლაღატეს თვალებს ვთხრიდი,
მძულდა ხუცესი და ბერი.

უდროოდ მოვწყუდი სამშობლოს,
ვაი ჩემს ბედისწერასა,
ისე დამდევდნენ ჩაფრები,
ვით მონადირე-მელასა...
გამოდრიოდნენ, მეძებდნენ
ისინი მაღალ გორებზე.

დაბრუნებულნი ხალხს ცემდნენ,
მკლავებს იწრთვნიდნენ ღონეზე.

მწარედ მტკიოდა მე გული
უბრალო ხალხის ცემაზე,
შევხვდი და ოთხად გავგლიჯე,
სისხლი გადვივლე ენაზე:

ჩემი ჯავრი მეყოფოდა,
მივდიოდი ჩემსა გზაზე,
მემტერებოდნენ, რა მექნა,
ვერ მივდიოდი ბინაზე.

მინდოდა, გავმძლარიყავი
ჩემი ცოლ-შვილის ცქერითა,
დაჯდებოდნენ და ტიროდნენ,
თვალებს ივსებდნენ ცრემლითა.
რაც ამბავი მე გადამხდა,
ყველას ვერ ვიტყვი ენითა.
ჯაშუშები აირივნენ

ვითა რწყილი და კორიზე,
არ ვფიქრობდი, თუ გამცემდა
ჩემი ძმა ანდრო დოლიძე,
ერთად ვჰამდით, ერთად ვსვამდით,
ერთად ვწევებოდით ლოგინზე...
ნატანებში გავემგზავრე.

ცოტა მუხლები მტკიოდა,
ცოცხალი ვერ დავბრუნდები,
გული სულ ამას ჩიოდა.

იქ შევედი ნალიაში,
ძმის მეტმა არვინ იცოდა,

ერთი ამხანაგი მყავდა,
ისიც ჩემსავით იწოდა.
ძმასა ვთხოვე: — გამეგზავნე,
მიყიდე ცოტა პურია,
ამოვიღე და მივეცი,
რაც რომ უნდოდა ფულია.
მასთან ვუთხარ: — ჩქარა მოდი,
თან მშია და თან მწყურია.
თურმე თავის ხელით მკლავდა,
როგორც იუდა, ურია.
ურიადნიკი ჯაფარიძე
ცნობილია გურიაში,
ამ ჩემს ძმაცაცს უთქვამს მისთვის
— ფირალი მყავს ნალიაში,
აუცილებლად იშოვით,
დღეს ველარ გამოვლენ კარში.
ვეუყურეთ არვინ მოვიდა,
დაგვიგვიანდა სადილი,
ბურჭულაძე მეუბნება:
გამოვიცვალოთ ადგილი.
გავიხედე და მოვიდა,
გულზე დამესო ნემსია,
როგორც სადილად დავჭექით,
ჩაფრები შემოგვესია.
ისე აგვიტეხეს სროლა,
ვითა გრგვინვა და მეხია,
გადმოხტომის დროს მესროლეს,
მომტეხეს ორივე ფეხია.
ბურჭულაძეს გაეკიდნენ
ურჯულოები, ძაღლები,
ვხედავ, ვერას ვენმარები,
ცრემლით მევესება თვალები.
უცბად აზრი მომივიდა
და თან ძალა შევიძინე,
ერთი თოფი გავისროლე,
გულიანად გავიცინე,

ურიადნიკი ჯაფარიძე
მე ჩემ გვერდში მოვიწვინე,
ლომივით ავადრიალე
აფიცრობის მომლოდინე.
თურმე ჯვარ-მედლებს ელოდა
ჩემ სიკვდილით ჯაფარიძე,
მაგრამ თავზე წავეიკალი,
მე ვარ სიმონა დოლიძე.

93. კიკია მამულაშვილი
მამულაშვილი კიკია
არ ვიყავ ურგი ბიჭია,
არ მსურდა ძმების ღალატი,
არც ვინმე გამიყიდა.
მე გულმართლად ვმსახურობდი,
ყველას თავზე ვევლებოდი.
ჩემი აფხანაკებისთვის
ტყვიის წინდამ დავდგებოდი.
თავი მქონდა განაწირი,
თუ ერთობას ვერგებოდი,
მიტომ ვიყავ განდევნილი,
საცხა-საცხა გაგდებული.
მე ხომ ხალხის სიყვარულით
ვქენი, რაც რომ ვიმოქმედე.
თორემ კერძო ინტერესი
არვის მქონდა თქვენ იცოდეთ.
იუდა ისკაროტელმა,
რომელმაც საქმე არია,
ვერ გაძლა ჩემი ტერობით,
ყველა იმისი ბრალთა,
მიჯაშუშა ბოქაულთან,
ეძია ჩემი კვალია;
(კიდევ შეხთება კიკიე,
ჯერ ნახევარი კტარია).
არ მინდოდა, ღმერთმა იცის,

მისი სისხლი დამელია.
მარა გულში ჩეიხედოს,
თვითან თვარ გამომიწვია.
წირვა-ლოცვა მეიწყინა,
ბარბალობა ეირჩია,
ის ამზადებდა ჩემთვის თოფს,
მე უფრო მალი დაკრჩია.
აწი მომდიონ, ვისაც სურს,
ვითა ქათამმა ძერასო,
გავფრინდი, ჩემთვის წევედი,
ველარ დამაკლუფთ ვერასო,
მხოლოთ ის მიმძიმს მოყვრებო,
მოვშორდი თქვენსა ბზერასო,
მარა ვინც მიქნა, შუუწყვეტ
სულ მალე გულის ძგერასო.

94. სატრფოს

...ისიც ნუ შეგაშინებს,
დღეს რომ მტრები მდევნიან,
მოვა ღრო და იგენი
სოროში შეძვრებიან;
ასთე ჩემო კაკილო,
გული ნუ გაგიტყდება,
ოღონდ გული გულობდეს,
ყველაფერი იქნება!

95. ...ბალკონზე იჯდა საწყალი

მეტადრე ჩაფიქრებული;
ხალხის ტანჯვა აწუხებდა,
მეტადრე უძგერდა გული.
სურდა ხალხზე დახმარება,
ილუპებოდა გურია,
ათ მანეთს გლეხი იხდიდა

— თუ აგი სოფელს გადახტა,

რით ჭამონ ლუკმა პურია;
შიმშილით დაიხოცება,
ჩვენ თვარ ვათხოვეთ ყურია!

96. გმირის დატირება
უბედურსა დედაშენსა
შენი თავი არ ატირეს,
გასვენებაც აუკრძალეს,
ცეცხლი ცეცხლზე მოუკიდეს.
დიდებულად გაგასვენეთ,
გაცილებდა ჩვენი რაზმი,
პოლიცია სანლში დარჩა.
თავის ცხენით შენაკმაზი,
ცხოვრების უსამართლობამ
გამოგაგდო ბრძოლის ველზე,
ხელში გეპყრო ჩვენი დროშა,
ილაშქრებდი ხალხის მტრებზე.
ხსოვნა შენი ჩვენს გულშია,
სახე შენი წინ გვიდგანა,
არ იფიქროთ, დაგივიწყოთ,
სანამ პირში სული გვიდგას.

97. კაჩალი ერისტო ჯორბენაძის
ლექსი
ამ ქვეყანას კაცის თავზე
აფერია გასაკვირი,
სიღარიბე, არც სიმდიდრე,
რხინი და არც გასაკვირი.
მტერიც დროს მაშეინ გიშონის,
თუ რომ საქმე გლახად მივა,
თუ ხარ ბედით განწირული,
ვაშკაცობაც არ გაგივა.
ყველამ იცის საკაჩალოთ
არ ეიყავი გაჩენილი,

შპიონების მოკლისათვის
მომიწია ტყეთ სირბილი.
მეზობლისას მივიჩინე,
მე და ვორი აფხანაკი,
რა ვიცოდი, თუ ანტონამ
გარეთ მოგვიწყო ხათანგი.
კოლია რეშეტნიკოვსა
ვენდობოდი, ხელს გვიწყობდა,
ტყვიეთს გამოგვიგზავნიდა,
ჩვენს მოსვლას რომ შეიტყობდა.
იაკობა, წუწკ ძალსავით
თურმე მასთან დაძრებოდა;
ჩვენს მოკლაში ჯვარს ელოდნენ,
ეგონენ რომ შერჩებოდა.
საკმელს ხელი რომ დაეხვეით,
იქით-აქით დაქვცხეს ზალაზე,
ძელჩი ტყვია არ დამაგრდა
იმათ ბედზე, მომხთა კლაგზე.
აფხანაკეთს რჩევა მივე:
გზის ამრეკად წინ მე გავალ,
იქნებ რამე დამეხმაროთ,
თვარა მე ხომ შორს ვერ წავალ.
პრისტავს თვალი ვერ მოვკარი,
საცხა შეძრა, დეიმალა;
ერთი სტრაჟა თოფს მინიშნეთს,
გუუხრიტე თავის ქალა.
ავათყოფს და დასუსტებულს
ჭრილობაზე დამეძინა,
ჩემ ლანდს ველარ მონახავდნენ,
პაწაი კილო გამერბინა.
მარა მუხლმა მილალატა,
წასლას მოცთა ვაჭობინე,
რეშეტნიკოვს მაუზერით
ტვინში ფუტი გავადინე.
დამრჩა ქურდი იაკობაი
და პირშავი ანტონაი,

და აფხანაკ იმერლიშვილს
ჩავაბარე მათი თავი.
მშობლებო, გემშვიდობებით,
დაგემართენ საქმე ავი,
ნურც მიმგლოვთ და ნურც მიტირეფო,
არ ჩეიცვათ ჩემზე შავი.

98. ნიკიფორა ართუმელაძე

პარასკევი ღამე იყო;
თებერვალი ოცდა რვაი,
ღღეს მეწვია უბედობაჲ,
ქირი-ქირზე დასართავი;
წამკითხველო, ყური მიგდე,
შეიბრაღე ჩემი თავი,
მუდამ ტანჯვა მაწუხებდა
და ფიქრები სხვადასხვაი.
რაც ფირალად გადავარდი,
შემმისრულდა შვიდი წელი;
ტკბილად აღარ მიძინია,
თოფზე მედვა მუდამ ხელი.
კახური რომ შევიყვარე,
დავტოვე ჩემი სოფელი,
ყველა ისე მეპყრობოდა,
როგორც დედა და მშობელი.
თურმე ამით თვალს მიხვევდნენ,
ჯაშუშები-შპიონები.
გამჩენი ღმერთი დალუპავს
ბერი გლახუნა ვაშნაძეს;
მეგონა, როგორც მოხუცი
პირჯვარს იწერდა ლოცვაზე,
მნახავდა, ნუგეშს მეტყოდა
და წამიყვანდა ვახშამზე.
ვაშა იმათ, ხუთი კაცი
გაერია ჩემს ღალატში,

მე მომცეს ხელში გიტარა,
მათ დაუკრეს ნელი ტაში.
დამათვრეს და დამაძინეს,
ჩუმად დამკრეს კეტი თავში.
თავგატეხილი წამოვდექი,
იარაღს ვეძებ საწყალი,
ოთხმა ხელები შემიკრა
და ერთმა დამკრა ხანჯალი.
ვეყვიროდი, მალე მომკალით,
ნუ დამარჩინეთ ცოცხალი,
რადგან ჩემზე მოიგონეთ
ურჩიების სამართალი.
მშვიდობით, აწ ველარ გნახავ,
მშობელო ჩემო დედაო,
ვერ მიშველის იარაღი,
სიკვდილს თვალის წინ ვხედაო.
ერთად ჩემი მოლალატე,
ჩიკაშუა-კომახიძე,
გლახუნა მარდად გაიქცა,
იმას წაუწყდეს სულია;
კედიას უთხრა: ფირალი,
სახლში მყავს დაჭირულია,
თუ ტყუილი მოგახსენოთ,
რაც გინდა, ის მიყავია,
ოღონდაც კი უნდა მომცეთ
დანაპირები ფულია!
კედია წამსვე აღელდა
და შეიკრიბა მაჯები.
ჯერ ოჯახს გამოეთხოვა,
მერე ჩაკოცნა ვაჟები:
„საომრად მივალ, არ ვრცი,
როდის ჩამგლეჯენ ქაჯები!“
კაცი გაგზავნა საჩქაროდ,
გამოამზადა სტრაჟები.
გლახუნამ უთხრა: „პრისტავო,
შენ რა გაქვს საშიშარიო,

გულადად მიდი, ნუ შიშობ,
თოფს ველარ გესვრის მკვდარია!
შენი წესი აასრულე,
გულზე მოიგდე ჯვარია,
ჩემს სახლსა კი ვერ გარეცხავს
რიონი, ვერცა წყალია!”

99. სარაპიონ ჩანტლაძის ლექსი

არ მიყვარდა ეკლესია,
არცა მისი წირვა-ლოცვა,
რა მოხელე იყო ღღლები
და რა ხელს გვიწყობდა ისა?
რამაც უღროთ დამკარქა
მე სარაპიონ ჩანტლაძე,
ჩონატაურს ვმსახურობდი,
ცოდვა არვის მქონდა თავზე.
რას ვიფიქრებდი, ძმანებო,
ტერი თუ მყავდა შარაზე,
შინ წამოსლა დავაპირე,
ბნელი იყო ცოტა გზაზე,
ვორი ამხანაგი მახთა,
ძმა დიომიდე ჩანტლაძეც.
ბოგასან რომ გამუედი,
ხმაურობა გვესმის გზაზე.
გულმა აღარ მომითფინა
და ვიფიქრე იქ მისლაზე.
მისლისთანვე შემიძახეს:
ჩანტლაძე ასწი ხელია,
თან ტყვია გამეისროლა,
მომტეხა ვორვე ფეხია.
დაბალი ხმით დამიძახა:
— ბიჭი გახლაყარ ჯღენტიო.
— უკაცრავად, ჟღენტი თუ ხარ,
აღარ გაბედო მეტიო.
ამევილე ლევერველი,

ჩემი მოძმე მაუზერი,
უთხარ: შველა ახლა მინდა,
გაჭივრებას გუუძელი.
და იქვე წავწევი მარდად,
ტყვიაც მივაყარე კარგად;
ის არ დავტიე ცოცხალი,
ეს აღარ მიმყობა ჯავრად.
არ გასულა ვოცი წუთი,
რაც გრძნობა მაქ დაკარგული;
ენატროფ ძმასა, მიტრაფონას,
შველა იცის ვაშკაცური.
ამ დროს ტირილი მოისმის,
ვაიმე, ძმავო სარაპიონ,
რამდენჯერმე გითხარ გულით,
ლამე ჩემთან გავათიოთ.
მევიდენ ორვე ძმანებმა,
მკითხავენ საქმე რაშია,
ჩვენც შენთან გვინდა სიკტილი,
გვესროლე ტყვია თავშია.
უბედურო, დედა ჩემო,
რად მითხარი ტყბილი ნანა,
შეგაძულე მე ცხოვრება,
მე მოგისპე დრო და ხანა.
ვისაც გინდათ, რომ გაგაცნოთ
ჩემი თავი — ეს ვოხერი,
მოკლეთ ასეთ გამომითქაშამს,
სარაპიონ ვარ კოხელი.

100. თედორე ღლონტი

საზიზღარო ჯაშუშებო,
რა გაქვთ კარგი დანათესი,
დღეს პასუხი უნდა გითხრათ,
ამხანაგი მოვალთ ექვსი.
მასთან საქმის გაკეთება
ღმერთმა ნუ ქნას უკეთესი,

მოძმის სისხლი რომ ავიღოთ —
 ასეთია ჩვენი წესი.
 ჯერ ხმელიძესა ვესტუმრეთ,
 ოთხშაფათი დილა იყო,
 ცოტა აკლდა გათენებას,
 დაუძახეთ, შინ არ იყო.
 ლუკა ვიკითხეთ, არ არის —
 შვილი სტრაჟად დამდგარიყო.
 ამ დროს ვიღაც სახლის უკან
 იმალოდა ჩუმად ქვერში,
 დაიჭირეს ყმაწვილებმა,
 ჩაატანეს ხელი წვერში,
 უთხრეს, შენი წერილია,
 გიბარებენ ჯოჯოხეთში
 დაიჭირეს, წაიყვანეს,
 მოლაღატე ძმაი დისას.
 არც ქალები შინ არ იყო,
 რომ შევედით დოლიძისას.
 ბერიკაცს კითხეს, სად არი
 განაჩენი შავი ღლისა?
 მან გაუძღვათ, წაიყვანათ,
 სადაც იწვა მეზობლისას.
 გააღვიძეს, ააყენეს,
 ქალი ყოვლად უსინდისო.
 მოლაღატე დედაკაცი
 დაარიგეს, არ იკივლო.
 მერმე გოგოს დაუძახა;
 ადი დედა. ადი შვილო!
 გოგო ადგა, ფეხ-მოხდილმა,
 დიდამისს დაუწყო ცქერა,
 თმაზე ხელი გადაისვა,
 პრიშოჩკები გაისწორა.
 მიყავთ ქალი დაჭერილი,
 სულ ტიროდა იგი გზაში.
 კითხეს, ვინ ქნა ეს ღალატი,
 გადაისვა ხელი თმაში.

— მე კარგი ქალი ვიყავი
ფირალეების შენახვაში.
რა ვქნა, ძლიერ გული მტკივა,
იმ ჩემს ძმაზე და ძმის შვილზე.
ეს ლალატი მათ მოაწყვეს
და მე ფული შემახარბეს.
რას ვშობოდი, არ ვიცოდი,
ამიღელვეს ფულით გული,
სტრაუნიკებიც კი გამაცნეს,
პოლიცია დიდებული. . .
ამ დროს ტყვია გამოვარდა,
ტყვიამ ზალპად იზუზუნა,
ქალსა ტყვია პირში მოხვდა,
სურდა კიდევ რამე ეთქვა!
ლუკაიას შუბლში მოხვდა,
პირუკულმა გადაბრუნდა.
ეს ჯალათური სიკვტილი
ყველა ჯაშუშს ასე უნდა.
ილიკოც ამ დღეს მოელის,
ვითა მამა და მამიდა,
იგიც ვერ დაიმალება,
მონაწილე თუა მისა.

—

101. უჩად ალექსა სარჯველამის ლექსი

ერთი ამდენი ხანია,
თავი არ შემიფხანია,
არ მიქნია ცუდი რამე,
არ მომიპარავეს ხარია.
ჩიბათში სტუმრად მოველი,
შემომასიეს ჯარია,
მაგრამ ქე ვიცი
გადასახადი ვალია!

—

102. უაჩად ხასანის ლექსი

ბიჭი ვიყავი ხასანი,
კაცი არ მყავდა ბადალი,
გურიასი ჩამოვედი,
ვერსა ვიშოვე ამალი.
გუგუნავას ქალი ვთხოვე, —
გუგუნავამ მომცა ქალი,
ზოგი ყურში მიფუჩუნებს,
გილალატებს შენი ქალი!
გულში რავა გავივლებდი,
რავა მეგონა მართალი.
ცოლის ძმანებსა ვესტუმრე,
ლამის ერთის გასათევად.
დავწევი და დამესიზმრა,
შედგომია ვითომ წყალი.
გამომელვინა, ავდექი,
მომესია რუსის ჯარი.
გარეთ ძიძგინი შეიქნა,
დამიჯორგეს მაგრად კარი.
კაი — მაგას ჩემო ქალო,
მოიხმარე შენი გვარი!
ჩემმა ცოლმა შეიციანა, —
კაია ახალი ქმარი!
კაი მაგას დედამთილო,
რას უყურებს ჩემი თვალი!
ძლიერ გაჭირვებული ვარ,
მოდის და გამიღე კარი!
დედამთილმა დამიძახა:
— მე რუსი და შენ თათარი,
უნდა გაგიცხადო შეილო,
გაგიტხოვდა შენი ქალი!
გამიჭირდა, თოფი მომხვდა
და ძალით გავხეთქე კარი,
კაი არც მას დავაყენე,
თავს დავეცი შიშის ზარი!

იმას შემდეგ არე-მარეს
გზადაც აღარ გავეკარი,
ღმერთო, ყველას გაუწყვიტე,
ვისაც ყავდეს ასე ქალი.

103. ლექსი დალატით მოკლეული მელიტონ ცენტერაძის

უიღბლოთ დაბადებული
მელიტონ ვარ ცენტერაძე,
ეშმაკი ჩამორევია
ჩემი იღბალის წერაზე:
დავტანჯე ჩემიანები
შავი კაბების კერვაზე —
ლოყაზე კანი ეწვიან
ცხელი ცრემლების დენაზე.
ცხრა ეკენისთვეს მესიზმრა,
გველი მეხვია ენაზე,
უცფათა გამომეღვიძა
ჩემი მურიის ყეფაზე;
გათენდა დილა, ავდექი,
მივდექი კარის ღებაზე,
კარებთან ბიჭები დამხთენ,
ლაპარაკობდენ ცნებაზე.
ერთი კიდევ გაუჭავრდი,
რად ჩამოსულხარ დილაზე,
მათი პასუხი ეს იყო:
მოგვევივდა, გამოვიარეთ,
ველარ მივედით ბინაზე!
ცოტა ხანი რომ გევიდა,
შემდეგ დავჯექით ჭამაზე,
შეთვრენ ბიჭები ძალიან
და ითამაშეს ყირაზე,
ჩუმად ნამუსი გამანდვეს,
-- ფული ვიშოვეთ გემოზე!

ფული ძალიან გეჭიროდა,
ჩოხა მიგვეჭონდა დრამაზე.
ავდექი, გადვიჩაქურე,
ლივერი ვიგდე ქამარზე.
დედას რომ გამოვეთხოვე,
კურცხალი მიდგა თვალზედა,
ცოლ-შვილი განით მიყურებს,
ტირის, მომდგარა კარებზე.
უზომოთ ნუ შემაგინებთ,
ყოველი უნდა ზომაზე,
ღარიბს არაფერს ვართმევედი,
ვიარებოდი გორებზე.
მიწაში გადამასახლეს
სახარჯო ფულის შოვნაზე;
შავი ზღვის პირს რომ მივედი,
ძლივს უძლებდი წვიმა-ქარსა,
მაგრამ სხვას კი რას ვერჩოდი,
ვაბრალებდი მე ჩემს თავსა,
ნამუსი რომ გავანდევი,
თურმე იყო მისი ხასა.
გაიძვერა დედაკაცმა
მათში თავი დაიფასა,
აგვიყვანა არტაქაზე,
დაგვიმალა ფულის კასა,
თურმე ლივერველით კაცი
ეფარება უკან კარსა,
მაგრამ უწინ ჩვენ ვესროლეთ,
ველარ ვიტყვით იმის უარსა,
უკეთესი დამიზნება
კი სცოდნია თურმე მასა.
აწი ყველას გაგაფრთხილებთ,
ნუ ენდობით. მაგფერ ქალსა,
სირცხვილით ველარ გამოხვალთ,
ველარსად გააჭყეტთ თვალსა.
ჰოვკეტი და გემშვიდობებით
მე მელიტონ ცენტრაძე,

ბარიშნებს ვსთხოვ სამახსოვროთ
დაამღერონ გიტარაზე!

104. უსუფ ბეჟიოღლის ლექსი

მე ვიყავი ერთი ბიჭი,
მეთქვა უსუფი სახელად,
მიდღემჩი თუ მოვკტებოდი,
არა მეგონა ამფერად.
ცოტა ავად შევიქენი,
ფიშტო დევიკიდე ხელად,
ვაი თუ უნდომს მილალატეს,
ღმერთო, მომეხმარე შენა.
ისრაილი შემობძანდა,
მალლიდან მიშეება სალამს,
სულიც მინდა ამოქხადო,
ნულარ ლაპარაკოფ ენას.
ამ დუნიას მივაყურე,
ეივალა უთხარ ყველას,
დამესიზმა კორიჭოლლი,
ძროხას მოდენიდა ჩემსას.
იმას კტარიც კი ვეყოფი,
ვესტუმრები ღამე მისას.
ჩემო ძია, ისმანაღა,
ღუშმნად ნუ მიყურეფ ჩემსას,
თუ ვარგხარ, ხელი გეიღე,
თვარა აგკიდებენ თრისას.
მე მიდღემჩი ფილარი ვარ
და ვიმაღები ეკალჩი,
კვიჭიპნარჩი კაძახს თავს არ დუუკრავე,
არც სიკტილი მიჩანს თვალჩი.
ურუბა არ მაქ, თქვენც იცით,
მუშანბას ვასოფ ყამაზე,
სახკარ დამწვარი უსუფი
გებრალეობდეთ წამალზე.

105. მიხელა ლომაძე

მომიგონეთ მეგობრებო,
მე უდროვით დაკარქული,
უცფად მომისპეს სიცოცხლე,
მომცეს საუკუნო ძილი.
ჩემი სისხლით ეზიარენ,
რადგან იყო მათთვის ტკპილი;
რისთვის მშობე დედაჩემო,
საწვალეზლად მე ჩემ დღეში,
თუ მტარვალეზბი უდროით
გამგზანიდნენ ცივ ქვეყნებში.
რად მაწოვდი ტკბილ ძუძუეფს,
რად მიმღერდი ტკბილ ნანასა,
ან რად მხვევდი თფილ საბანში
და მირწევიდი მე აკვანსა.
რა ვქნა, ველარ გაუძელი,
არ გაჩერდა სული ტანში;
სიო ბერიძის სიკვტილი
გადავწყვიტეთ ხიდისთავში,
მაგრამ სიო შემეცვალა,
ქარცივაძეს მოხთა თავში.
დიდხანს მდიეს, დამიჭირეს,
ხელად მიმცეს სამართალში.
ამწიეს და გამაგზანეს
თორმეტი წლით კატორლაში.
იქაც გევექმეც მტარვალეფს,
ჩამუედი მე ჩემ სახლში.
მოყვრეფს ძაან გუუხარდა,
ტრები ხელს ირტყამდა თავში.
ყველა არ ეიწერება, —
რაც კი შემხთა ჩემ გაზდაში:
რუსეთსა თუ სხვა ქვეყნებში —
ან ვოზურგეთის მაზრაში.
უპატრონოთ ევიზარდე,
უდელმამოთ და ვობოლი;

ცხრაასვოთხი მიიწურა,
ჩამოყარა დიდი თოლი.
მარა იმას არ ვჩივოდი,
თუ სამე წასლა მინდოდა,
თხილამურით დავდიოდი.
მარა ნახე შპიონეტსა,
საქმე მიქნეს დასაქები:
თელ სოფელზე შამომარტყეს
პრისტავი და კაზაკეში.
ერთი გროვა კაზაკები,
როცა დევინახე კარში,
რაც შემეძლო, გვეიქეცი,
ძლივს გადავრჩი იმდენ ზალპში.
თურმე ნახე, კაზაკები
ისევ ჩამსაფროდა გზაში:
დამინახეს, ზალპი მიქნეს,
დამაყარეს ტყვია თავში.
მაუზერმა მილალატა,
გამომწყვიტა მე ვაშკაცო,
სირცხვილია, ასთე ჩავწვე,
უსახელოთ შავ მიწაში.
მიწის ღრისიც არ გამხადეს,
ცოტა წამაყარეს ტანში,
ჩემი სისხლი შეერთოდა
იქ მდინარე პაწა წყალში.
სულ ერთი თვე არ კლებია,
რომ მოსხმოდა ხეს ფურცელი,
ვიცი, რომ გეიხარებდა
სიდედრი და ჩემი ცოლი.
მოდით, მნახეთ მე საფლავეში
ხენწიფის ხელით მოკლული,
უპატრონოთ დაგდებული.
თუ სამე შეხთეთ შპიონებს,
არ დაშუროთ რამე, ძმებო,
შვიდობით ჩემო სამშობლო,

ნათესავებო, შვილებო,
სა ხარ ჩემო პაწა შვილო,
რომ დაგტიე შენ უმანკო;
მოგიკლეს და აღარა გყავს
შენი მამილო მიხაკო.
ილარიონ, შამომხედე,
ჯურღმულში ვარ ჩაგდებული,
ერთი დედის ნაშობი ვართ,
ვიცი, მოგეწობა გული.
ჩემს ბალნისთვის არ დაზოგო!
პერანგის და წულის ფული,
ვობლობა არ დაამჩნიო,
არ აძახო:—მშია, ვაი;
მომკლეს და გემშვიდობებით
მე ლომადე მიხელაი.

106. ლექსი ნესტორა მაგინაძეილზე

ეხლა ძმებო, დღე დაგვიდგა
ტირილის და ვაებისა,
თვალწინ გვიდგა ღვრია სისხლი
ჩვენი კოხტა ძმანებისა.
ღარიბ ქოხში გამოზდილი,
სიმწუხარე მშობლებისა.
ისე დახვრიტეს ქურდულა,
მშობლის ნახვაც არ ეღირსა.
სიზმრად ნახა, მის ეზოში
მოთხრილიყო მუხის ხეი.
იმისანა შესა მტერსა,
იმას დააყენეს დღეი.
იალონზე თავს დაადგა
ათეცერი სულთა მხუთი,
ადექიო, დაუძახა,
არ აცალა ერთი წუთი.
ეიყვანეს, წეიყვანეს,

მინდორი ნახეს ტიალი.
 მისი თუალი სიკვტილს ხედავს,
 იქ აარვინ ყავს მტირალი,
 ფეხში ბორკილი შეაბენ,
 გამოკიდენ მეში წელჩი.
 პოლიცია გაიძახის:
 „კიდემ მიუმატეთ ხელჩი...“
 პოლიციელებს მუდამ ყავს
 შპიონები მაწანწალა...
 ქვეყნად სიცოცხლეც მოუსპო
 და გარებაც არ აცალა...
 — ჰო, მიღალატა შპიონმა,
 უდროვოდ მომჭრა ყელია,
 მე თქვენთან ყოფნა მერჩია,
 სამარხში გაიხელია!...
 ყველას შეგებრალეზოდა,
 გეყურებია ოხრაზე,
 ვეფერიტ ვერ მეიშორა
 მწერი, მიაჟდა ლოყაზე;
 რა კაცია, რომ გაუძლებს,
 ამფერი ძმის სიმწუხარეს,
 ხელშეკრული კიდომ ყვირის:
 — „მოდი ძმებო, მომეხმარეთ!“
 ჯალათები დასახვრეტად
 ირგვლივ მოდის ცეპგაშლილი
 და ხუცესი წინ მიუძღვის,
 ცოცხალს მარხავს წვერგაშლილი.
 დეინახა, დოუყვირა,
 მას დაუდგეს ორი თვალი:
 — „ზიარება რაღად მინდა,
 შინ მიდგება სისხლის ღვარი...“
 ითხოვა და აფიცერმა
 მისცა ცოტა სიტყვის ნება:
 — „რაც გინდა, ჩქარა წამოთქვი,
 თორემ დიდხანს არ იქნება...“
 — „რას მიშობით თქვენ პირშავო,

რომ მიმაკონეთ სტოლბაზე,
 ნეტა რა ჩინეფს მიიღებთ
 ჩემი უმართლოთ მოკვლაზე!!“
 ამნაირი სიტყვის თქმაზე
 ძლიანი გუუმჯავრდა,
 ბეური არ დააცალა,
 მიაყოლა ტყვია თავზე.
 მას სიკვდილი არ ემჩნევა,
 არ ემჩნევა ორ ზალპაზე,
 მესამე რომ მოუმატეს,
 გადაკიდა თავი განზე.
 როცა ბორკილი დააქრეს
 და ჩოუშვეს სამარეში,
 სისხლიც აღარ ჩაყოლია,
 გამოწრეთილიყო ტანში...
 — „ვაიმე თუ შიმვლად გდიხარ,
 მწერი გეხოვა ლოყაზე,
 ცოცხალს ველარ განახულობდი,
 კტარსაც ველარ გეფერები!..“
 — „რად გინდა, დედა, რომ მნახო,
 დახუჭული მაქს თვალები:
 თორემ მე კიდომ მომიტანს
 ჩემი კეთილი ძმანები!..“

107. ლექსი პატარა ნიკასი

ყური დამიგდეთ ბიჭებო,
 რა ვატყმევიწინო ენასა,
 პატარა ნიკას სახელი
 გაგეგონებათ ყველასა.
 დაუბერე ნიკა,
 პატარა ნიკა მქვიანო,
 პარტიისთვის გასული ვარ,
 ყაჩაღ მეძახიანო.
 ველარ უძლებს თვალები,

საწყალ ხალხის რბევასა,
ნიკოლოზ, რუსის ხელმწიფეს
ყველა ეტყოდა წყევლასა.
ბევრი ჯალაფი მოვასპე,
შავად დავხურე მთა ველი,
მთავრობამ დევნა დამიწყო,
ავდეგ, ყაჩაღად გაველი.
გიორგი ბურჭულაძემ თქვა;
— პატარა ნიკას მე მოვკლავ,
თუ დამენიშნა პენსია,
ათი თუმანი თვეშია.
პატარა ნიკამ ეს საქმე
გავიგე მალლა ტყეშია:
დედას გიტირებ გიორგი,
თუ ვერ ჩაგწერო მკვდრებშია.
ჯვარის წერაზე მოვასწარ,
გამოვიყვანე კარშია,
ამავიღე მაუზერი,
დავარტყი ძუძუს თავშია.
წადი, აიღე პენსია,
ათი თუმანი თვეშია.
რას დამდეგ ბურჭულაძეო,
შენი რა წამილიაო,
სიმონიშვილი გვერდში მყავ,
მეც ნიკას მეძახიანო.
სიმონიშვილსა ზალიკოს
აღარ უნდა ქებაო,
იმისთანა ახალგაზრდას
ვედარც გაზრდის დედაო.
ამ ოხერ საგარეჯოს
დაგვიწყეს დევნა,
ავდექით და გავიქეცით
თელავისკენა.
წიწამურისა ტყეშია
სროლა მოგვიხდა,
კისისხვევლი ზალიკო

გვერდებზედა მყავდა,
გადახტა ბიჭი ზალიკო,
ხეს ამოუჭდა.
თავის კოხტა მანიხერი
ალაპარაკა.
მოკლა თორმეტი სტრაენიკი,
დღე დაითვალა

.....

გაუგია ფურცელაძეს
და წამოსულა,
მთელი პოლიციის ბიჭები
ალყადარტყმულია.
თოფის ქუხილი ატენა
ცხელმა ტყვიამა.
მე კარებში გამოვედი,
თოფი მეჭირა ხელშია,
ვერაჯის ვერა ვხედავდი,
ტყვიას ვისროდი ტყეშია.
უცხად თოფი გაელვარდა
და გამხვია ბოლშია.
გამწარებული შევძახე:
თქვენ გენაცვალეთ სულშია,
თქვენ გენაცვალეთ სულშია,
ტყვია მომარტყეს გულშია.
ძმებო, სანამ ცოცხალი ვარ,
ყური დამიგდეთ,
ჩემს მაგიერ პასუხი
ჩემ მტერს გაეციო.
მარმარილოს ქვა გათალეთ,
გულზე დამადეთ,
ველისციხის მოედანზე
დამასაფლავეთ.
ეს ჩემი კოხტა ქოჩორი
ზედ გამოხატეთ.
ჩემი თავგადასაუვალე
ზედ გადაწერეთ.

108. აფრასიონ მერკვილაძე

ბევრი ვეცადე ძირმწარეს
გამოვუთხარე ძირი მე,
მუშებო, თქვენ გენაცვალეთ,
თქვენი სახელის ჰირიმე!

109. მიყვარს მე შორაბანი

და მისი რაიონი,
მერკვილაძე, წინამძღოლი
ჩვენი აფრასიონი.
არვის არ დაინდობდა,
ვინც მშრომელთ აწამებდა,
მეფის ერთგულ დამქაშებს
სიცოცხლეს ასალმებდა.

110. აფრასიონ მერკვილაძე

აფრასიონ მერკვილაძეს
თავი უკვდავი ეგონა,
ოცი ტყვია მოახვედრეს,
ფეტვის კაკალი ეგონა.
ჩაფრები რომ შემოერთყენნ,
კოლო-ბუზები ეგონა,
რაზმელების შეძახება
ტკბილი სიმღერა ეგონა.
მკერდს სისხლი გადმომდინარე
წითელი ვარდი ეგონა,
გულგანგმირული მოძმენი
დაძინებული ეგონა.
ვეფხვივით დანავარდობდა,
მტრები ჩიტები ეგონა,
ნათელი რომ დაუბნელდა,

მას დაღამება ეგონა.
ხევში უსულოდ მწოლარეს
თავი მინდორში ეგონა,
ხაფლავში რომ ჩაასვენეს,
თავი საფარში ეგონა.
მდუღარე ცრემლებს ვაფრქვევდი,
ჟუჟუნა წვიმა ეგონა.

111. მიხას ლექსი

ამოდი, შუქურ ვარსკვლავო,
მთვარეს უბრუნე პირია,
დილის მზევ, ამომავალო,
შენ გადმოგვეფინე სხივია.
ამოდი შუა ქიზიყში,
გვიცოცხლე სოფლის გმირია,
იკითხე მიხას სახელი,
გვარად ჭუჭულაშვილია.
სიტყვა-პასუხში ნასწავლი,
ვაჟკაცად გამოზრდილია,
ძმაცაცის მოსიყვარულე,
მოლაპარაკე ტყბილია.
სიტყვა არავის დაუთმო,
არ გადიტარა მტერია,
ვისაც შემოხვდა გზაზედა,
შეაცვლევიანა ფერია.
— მიხავ, რას ჩაფიქრებულხარ,
ადე, უშველე თავსაო,
წყალობა ციმბირს გიმზადებს,
მოგპარსავს ცალ ულვაშსაო.
— ისე არ წაველ აქედან,
არ გადავრიო ჰკვაზედა,
მოეტაცო ქალი მანანა,
გადავიწვინო მკლავზედა.
დოინჯით გამოსულიყო,
ვანო, წყალობას შვილია,

თან წაეყვანა მანანა,,
 სკოლებში გამოზრდილია.
 სალამო ხანი ჩამოდგა,
 რა საამური, გრილია,
 ენახათ ჰუჰულაშვილი,
 ქვევიდან ამოვლილია.
 — ვანო, საითკენ მისდინარ,
 ჰე, გამარჯობა შენია!!!
 მინდა წაგართვა მანანა,
 შინ მიხვალ ცარიელია.
 — თუ შენისთანებს! ვაძლევდე, —
 შენზე კარგებიც სხვებია,
 არ უნდა იყოს მთავარი,
 ან დიაკვანი, ღვდელია,
 აღარ აყოვნა მიხამა,
 ვანოს წაავლო ხელია,
 წაართვა კოხტა მანანა,
 წელზე მოხვია ხელია.
 მინდორში გამოიყვანა,
 ერთი თვე მკლავზე სწვევია,
 მეორე თვეზე მოჰგვარა,
 აჰა, მანანა თქვენია.
 ოდოჰაშვილი წყალობა
 გაუხდა მიხას მტერია:
 თუ ვერ გავგზავნო ციმბირში,
 დღე დაილიოს ჩემია;
 მართლაც, თავისი ათავა,
 ბორკილი მისცა სქელია,
 სოფელზე ამათარა:
 ჰე, გამარჯობათ თქვენია!
 ხედავთ, მივდივართ ციმბირში,
 გავხდი მთავრობის ძღვენია,
 მაგრამ ნუ შეგეშინდებათ,
 ეს ჩემთვის არაფერია,
 ამასაც მალე დავამტვრევ,
 არც მოსვლა არის ძნელია...

ერთ თვეზე უკან დაბრუნდა,
როგორც ალაზნის შველია...
ბრძანება გამოსულიყო,
ყველა მხარეზე სწერია:
ათასი ოქრო ვაჩუქოთ,
ვინც მიხას დამპყრელია.
ეცადნენ ძალიან ბევრი,
შეუტრეს გზა და კვალია...
უზანგებს ამტკრევს ულაცი,
შავარდენივით მალია.
ამოჰკრა ქუსლი, მოსხლიტა,
ვერ მიაყოლეს თვალია.
უკუღმა ტყვიას ისროდა,
როგორც რომ ნიაღვარი...
უხდება გავლა-გამოვლა,
ვაჟკაცი მშვენიერია,
იარაღს რომ შემოირტყამს,
შეხედავ, — საზარელია.
ან ახლო ვინ მიუღგება,
ან ვინ მოჰკიდოს ხელია.
არსად დააკლდა დღეობას,
არც ქორწილს გადასცდენია;
ქედელში მოდის დღეობა,
იმისი მადლი ჩვენია.
იქაც ბევრი იქეიფა,
ბევრი აქენა ცხენია.
წინდაწინ შემოეყრება
გიორგი მჰედლიშვილია,
— მიხავ, მობრძანდი სახლშია,
ფეხქვეშ დაგიგო რბილია.
დაგიკლა ცხვარი და ძროხა,
თან ღვინო გასვა ტკბილია.
მოტყუებით შეიყვანეს,
ცხენი დაუბეს გარეთა,
თითონ შიგ შეიპატიყეს,
ლხინს გაუხდიან მწარეთა.

თამადობაც მიულოცეს,
ხელადა დაუჭერია,
უკან მოსდევენ ჩაფრები,
აქ მიხას გაურბენია.
კითხულ-კითხულით მიაღგნენ,
შუალამისა ხანია.
მიხამ რომ გამოიხედა,
ღვინისგან იყო მთვრალია.
შვიდჯერ ესროლა ბერდანკა,
ალარ უჭრიდა თვალია.
მარცხენა მკლავში მოარტყეს,
ალარა ჰქონდა ძალია,
თოფი ძირს ჩამოუვარდა,
თითონ შამოხსნეს ხმალია.
ჩააწვინეს ფაიტონში,
დაჭრილი, ღვინით მთვრალია.
გვერდით ჩაუჯდა სტრაჟნიკი,
უკნიდან მოჰყვა ჯარია.
უფროსმა გადმაიხედა,
მიხას დაავლო თვალია:
— რა კობტა ვაჟიკაცია,
რა კობტა სანახავია!
ნეტავ, რაც შენი ხმა მომდის,
ვაჰ, მიხავ, შენი ბრალია?
— თქვენა სტყუიხართ, ბატონო,
არ არის ჩემი ბრალია,
მდიდარის გამცარცველი ვარ,
ლარიბის შემნახავია.
დააწვინეს გოსპიტალში,
იქ დარჩა ცოტა ხანია,
დაადგა ორი დონტური,
კარგა მოურჩა მკლავია.
ღედას გიტირებთ, ჩაფრებო,
თუ გავახწივე თავია...
მაგრამ მოვიდა ქალალდი,
სოფლიდან მოწერილია,

წაიყვათ, აღარ დაბრუნდეს,
 მიხა ჭუჭულაშვილია...
 — ხმელეთზე ბევრი მატარეს,
 ბევრიც მაჩვენეს ზღვებია,
 გზაზე ტარება მომწყინდა,
 ოხრან, იგეთი გრძელია.
 აგეთ ალაგას დამკარგეს,
 იქიდან მოსვლა ძნელია,
 იქიდან მოსვლას ვინ იტყვის,
 იყო ხმელეთის ძირია.
 დაფიქრდა ჭუჭულაშვილი,
 თვალზე გაუფრთხა ძილია.
 — თუ არა ვნახე ქიზიყი,
 დღე მითენდება შავია,
 ან დღეს მოგვედები, ან ხვალე
 უნდა გავწირო თავია.
 გატეხა რკინის ბორკილი,
 გააღო ციხის კარია,
 გადმოხტა, გამოიპარა,
 ვერავენ მოჰკრა თვალია,
 საქართველოსკენ წამოვა,
 როგორც, რომ ნიავეპარია,
 განჯაზე ამაირბინა,
 წინ დახვდა მეფის ჯარია.
 ბორკილი მისცეს ფეხებში,
 გაუკრეს რკინის მკლავია.
 მაგრამ იხელთა მიხამ დრო,
 ბორკილი შამაიწყვიტა,
 წინ შახვდნენ ყარაულები,
 ყველა უნდობლად დაწყვიტა.
 ქვემო მაჩხანს მოვიდა,
 დუშმანს წაავლო ხელია.
 — დედას გიტირებ, წყალობავ,
 ჯავრი მაქვს გულში შენია,
 შენ თუ ცოცხალი გაგიშვა,
 რა ბიჭობაა ჩემია?

შენი ნათელი სიცოცხლე
 უნდა გაეხადო ბნელია...
 ორშაბათობით მიადგა
 ოდოჭაშვილსა მტერია,
 წყალობამ გამაიხედა,
 ყვითლად ეცვალა ფერია.
 — შენი ჭირიმე, ნუ მომკლავ,
 შენი ჭირიმე, შენია.
 თუ გინდა, მოგცე ფულები,
 ჩემი ძროხა და ცხენია.
 — მე შენი ფული არ მინდა,
 ჯავრი მაქვს მარტო შენია.
 ესროლა სამი ბერდენკა,
 სისხლით შეღება ველია.
 ბიჭიკოს ჩამოუარა,
 ტყვია დაარტყა ცხელია,
 გაჯავრებული მივარდა,
 ხანჯლით გამოსჭრა ყელია.
 ქუმბათის ბოლოს გავიდა,
 ცოტახანს შეუსვენია,
 გახედა, გზაზე მოდიან,
 ჭურღები დაღესტნელია.
 მოუდით დაპარულები,
 ცხეარ-ძროხა საქონელია.
 გადუდგა მიხა წინადა,
 დრო აღარ არის თქვენია.
 ორთავეს ორი ესროლა,
 ორივე გახადა მკვდარია,
 ერთი ისე გაეპარა,
 ველარ მოასწრო თვალია.
 აპყარა იარაღები,
 ლეში ჩაყარა ხრამშია,
 მოაბრუნა საქონელი,
 უკლებელია თვალშია.
 — იკურთხოს ჭუჭულაშვილი,
 იკურთხოს იმის დღენია,

ეგ არის ჩვენი პატრონი,
ეგ არის ჩვენი მხსნელია.
ჯარი ეძებდა მიხასა,
პრისტავი წამომხტარიყო,
ალაზნის სანაპიროზე,
ბინაში ჩამომხტარიყო.
იქვე მიეგნოთ მიხასთვის,
შამოხვეოდა ჯარია,
გამოხტა მიხა ვეფხვივით,
ყველას თავზარი დაჰრია.
მერე გადუხტა ნიშასა,
თოფს წამაავლო ხელია.
ერთი პირველად გასტყორცნა,
მოჰკლა პრისტავის ცხენია.
პირდაპირ ტყვიას ისროდნენ,
მირბოდა ნიშა ცხენია,
სამ ვერსზე გამოირბინა,
ცხენი, რა მოგიხდენია?
გადმოხტა კუჭულაშვილი,
წელზე დაადო ხელია,
შემოურბინა გარშემო,
ცხენო, რა მოგიხდენია?
წინადან ტყვია მორტყმული,
ბეჭებში გაურბენია,
უკანვე მიებრუნდებოდი,
რომ მიმიწვდოდეს ხელია,
ათ წელს დავდივარ ყაჩაღად,
ახლა მომიკლეს ცხენია.
ზემო მაჩხაანს ავიდა,
საკმაში უნაგირითა,
ანდრიავე, ცხენი მაიტა,
შენ კი იარე ვირითა.
ანდრია უარს ვერ ეტყვის,
თორემ თავს მოსჭრის დილითა,
შეკაზმა ცხენი ყაჭრითა,
მოჰგვარა სიტყვით ზრდილითა.

მიხა იორლას შამჯღარა,
 ტყისაკენ გაიჭირითა.
 გზა დამილოცეთ, ბიჭებო,
 ალალი ენა-პირითა.
 ბინაში ჩამომხდარიყო,
 ცხენებს უყრიდნენ თივასა,
 დასხდებიან და დალევენ
 კანიაქსა და პივასა.
 გვერდით უსხედან ბიჭები,
 ძმად ნაფიცები ჭირშია,
 პაგია, ლადო — ორივე,
 ვეფხვეები გასაჭირშია,
 გათენდა დილა... წამოდგნენ,
 ჰუეთ დასცილდნენ თავზედა,
 თავწყაროს ჩამოსულიყვნენ,
 ცხენებზე შესხდნენ კარზედა,
 შირაქის გულში მიადგნენ
 მდიდარ ყაყიჩას კარზედა.
 გამოიხედა ყაყიჩამ,
 ყორანი აზის მხარზედა.
 — მითხარ, რას დაიარები,
 დადექ, ვინა ხარ განზედა?
 — დადექ, ყაყიჩავ, სულელო,
 მწარე ნუ გინდა თავზედა,
 მოვსულევარ შენსა ბინაში,
 ვზივარ უბელო რაშზედა.
 მათხოვე შენი საკმაზი,
 ჩემს ცხენს შეშვენის ტანზედა.
 — მეც შენზე კარგი ბიჭი ვარ,
 დარდები თუ გაქვს ჩემზედა,
 საკმაზი ჩემთვის ვიყიდე,
 მეც კარგა ვზივარ ცხენზედა.
 ელაპარაკა ჰკვიანად.
 სიტყვები უთხრა ტკბილია.
 — მე სხვა ვინმე არ გეგონო,
 მე ვარ ჰუჭულაშვილია.

ვინც გინდა იყო, არ მოგცემ,
 ყაყინ ჩაუდგა ძალზედა.
 დასცა თორმეტი ბეჭებში,
 ყაყინ წამოწვა მხარზედა.
 დედა მოგიკვდეს, ყაყინავ,
 საკმაზ დაიდგი თავზედა,
 შაკმაზე შენი ქურანი,
 როცა წახვიდე მთაზედა.
 შაკმაზა ცხენი, წავიდა,
 ჩავიდა მულანლოზედა.
 ფიქრებში იყო გართული,
 ვერ მოდიოდა გონზედა.
 შევიდა გზის პირ დუქანში,
 მედუქნეს მისცა ფულია,
 მოიტა ღვინო-არაყი,
 თორემ ძალიან მწყურია.
 დალიონ ამხანაგებმა,
 აცხონონ ჩემი სულია...
 ამოიარა სამუხზე,
 ავიდა აღმანოზედა,¹
 შირაქში ქელზე გადმოდგა,
 პრისტავს შეხვდება გზაზედა,
 წინად რომ ცხენი წაართვეს,
 მიხას ყარლაჩის წყალზედა,
 იქ მოსულიყო ისევა,
 ხელი ეჭირა ხმალზედა.
 ფიქრობდა: მიხას შამყარა,
 ხნალი მოვარტყა თავზედა.
 ვნახოთ, რომ მიხაც აღმოჩნდა,
 დასაფრებია გზაზედა.
 ამოიარა პრისტავმა,
 ჩესტი აუღო თავზედა.
 საით მიდიხარ, პრისტავო,
 დადექ, ცოტახანს განზედა,
 მინდა რომ გელაპარაკო.
 არ მოვახდინოთ შარია,

არ გვინდა ბნელი სამარე,
ბნელი სამარე, შავია.
აიშვი და მომაწოდე
შენი თოფი და ხმალია.
ცხენიც საჩქაროდ მამგვარე,
არ გამაუშვა ხანია.
აიშვა და მიაწოდა
თავის თოფი და ხმალია,
ცხენიც მაჰგვარა საჩქაროდ,
არ გამაუშვა ხანია.
— ღმერთს გეფიცები, მიხაჯან,
არა ვარ შენთვის ავია,
მე თუ შენ თოფი გესროლო,
მომტყდეს მარჯვენა მკლავია,
რა გინდა, ეგრე იარო,
მეფის ზაკონი არია.
ათი-თორმეტი სტრაჟნიკი
ყველა შიშისგან მთვრალია.
იგრე უჭირავთ თოფები,
როგორც მეთევზეს თარია.
ელაპარაკა ცოტახანს,
უამბოთ ცოტახანია,
თუ ეგ შეგისვამთ ცხენზედა,
დღე დაგადგებათ შავია,
ფეხით მოსდევდა სტრაჟნიკებს,
როგორც რომ პატიმარია,
იქ უფროსებმა დატუქსეს,
დღე დააყენეს მწარია,
აპყარეს აპელატები,
ტემლაკები და ჭვარია.
ხელმწიფეს კაცი მივარდა,
ერთი ყაჩალი არია,
გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ,
როგორ ვინმართ ძალია.
მოგვიკლა ბევრი ვაჟკაცი,
ბევრჯერ გვიფრინა ჯარია,

ცხრა გამოცვალეთ პრისტავი,
ეხლა მეთე არია.
მაგასაც მალე გამოვცვლით,
თუ დარჩა ცოტა ხანია.
შასრულდა ცხრა წელიწადი,
ეხლა მეთე არია.
პირდაპირ მიდის ბინაში,
ქვეყანა არივ-დარია,
დილით რო დაკლას კამეჩი,
სალამოთ უნდა ხარია.
დაკუწოს ნაჭერ-ნაჭერად,
არ გადაყაროს ძვალია,
ღარიბ ხალხს ჩამოურიგოს,
არავის დარჩეს თვალია,
ბევრსა წაართვეს ფულეები,
გახდა ხაზინადარია.
გვერდითა ჰყვანან ბიჭები,
თითონ ბელადი არია,
გვიბრძანე, როგორ მოვიქცეთ,
როგორ ვიხმაროთ ძალია.
დაფიქრდა გვირგვინოსანი,
სიტყვა წარმოსთქვა წყნარია:
გაგზავნეთ ყველგან სალდათი,
სტრაჟნიკი, კიდევ სხვანია,
გაგზავნეთ ყველა მხარეზე,
საითაც მიხა არია,
დაიჭირეთ და მომგვარეთ,
მაგრა გაუბით მკლავია,
თუ ცოცხალსა ვერ დამიჭერთ,
მაინც გახადეთ მკვდარია.
თან მოჰყვა ზეკუციები,
ქიზიყო, თქვენი ბრალია,
არსად გაუშვეს ქათამი,
ინდაური და ცხვარია.
ბევრი გაგზავნეს ციხეში,
ბევრი ციმბირში არია.

ბევრი იმათი ნაცემი
დღესაც ლოგინში არია.
მშვიდობით, ამხანაგებო,
ღმერთმა დაგწეროთ, ჯვარია,
რაც ვიქეიფეთ, ის გვეყო,
შეგვისრულდება ყავლია.
მინდა დავბრუნდე, ქიზიყში,
ვადინო სისხლის ღვარია,
თორემ გახელდა დარდები,
გულზე დამადგა მჭვალაია.
ამდენი ხალხის წუხილი
გახდება ჩემი ბრალაია.
შემოვხვდე ჩემსა მებრძოლებს,
და ვანაცვალო თავია,
თან ერთი გული არ მიმწევს,
გზა მეჩვენება შავათა!
ჩემი წერა და აჯალი
სიზმარში ვნახე ცხადათა.
თურმე ვიყავი ქიზიყში
დამშვიდებული, წყნარადა,
მარცხენა წვერი მომპარსეს,
მარჯვენა დამრჩა ცალადა.
მარჯვენა ხელის თითებში
სისხლი მდიოდა შავადა,
მაშინვე ვუთხარ ბიჭებსა:
„არ გადავრჩები მშრალადა.
ან სამნი დავიხოცებით,
ან შე გავხდები ავადა“,
ბიჭებმა მომცეს ნუგეში,
მეც გავუგონე ამათა,
ოთხი დღე დავრჩი შილდაში,
სუფრას ვიჭექი თამადა,
დილით მოვრეკეთ ცხენები,
შავკაზმეთ აღრიანადა,
სოფელზე გამოვიარეთ
ძმაკაცის სანახადა.

არ მეშინოდა მტრიდანა,
მოვდივარ არხეინადა,
ქალიხევზე გადმოვედი,
შევაცნივე, რო ინათა,
იქ ბინა მეგულეობდა,
ვესტუმრებოდი იმათა.
მე ძმაკაცურად მივედი,
მან არ დამინდო ძმურადა;
წავიდა, შაატყობინა
შამილას ბიქსა გიგასა,
გაგზავნის თუქურმიშაში,
იქ დაიბარებს პრისტავსა.
შაკაზმა ცხენი, წავიდა,
წასვლითა არ დაიზარა.
ელაპარაკა პოლკოვნიკს,
იმანაც გაიხარა.
ექვსასი კაცი წამოვა,
რო ცოტა არა კმარა.
ამბობენ, კიდევ წაგვივა,
თუ ხერხი მოიხმარა.
გადმოერივნენ ქალიხევს;
კიდეც მზემ გადიხარა.
ას-ასი კაცი გაიყო,
წავიდა გალა-გალა,
გასავალ-გამოსავეალში
უყელეს ფონებთანა,
გალმიდან ქალას ჩაუსხდნენ,
გამოლმა ყანა-ყანა,
იგეთი ცეფი დაარტყეს,
ჭინჭველაც ველარ გავა.
ხო ვიცი, არ გადარჩება,
აბა, საიღლა წავა?
ადე, ბიჭებო, წავიდეთ,
არ გვარგებს აგრე ჯდომა.
ვაცნევ, რო ხალხი დიდია,
ძნელია გადარჩომა.

შასხდნენ სამივე ცხენებზე,
ასტეხეს თოფის სროლა,
ჯან, მიხავ, შენი კაცობა,
გიყუარდა მტრებთან ბრძოლა.
მოკალი შენი მოსისხლე,
ააგე ზადაგორა,
ხალხო, თქვენ გენაცვალეებით,
გაიგეთ მიხას ბრძოლა.
მიხა რომ ცხენზე გადაჯდა,
ბერდენკა გაასწორა,
გამობრუნდა მტრისაგან,
ხშირ ხშირად გაისროლა.
ვერ მოკლა თავის მოსისხლე,
ვერავენ მოიშორა.
მიხა რომ ქვევით დაბრუნდა.
გამოყვა ლადო თანა,
უკან დაურჩათ პაგია,
გზა შავად ჩაეშალა,
ნარბენი ცხენი წაეჭკა,
ნეტავ რას მიეხალა?
ვაი, შენ დასალუპავო,
შენგნით გზა ჩამეშალა.
აილო ხელში ბერდენკა,
ყანებში გადავიდა,
ასტეხა ტყვიის ზუზუნნი,
ხალხი სულ მოერიდა,
გაუცურდება მუცელზე,
სამოც ნაბიჯზე წავა,
ასტეხავს თოფის სროლასა,
ახლა სხვა მხრისკენ გავა.
დაუქრა ერთი სალდათი,
ცხენიდან გადაიყვანა.
ცხენიც საჩქაროდ მოუკლა,
შორს აღარ წაიყვანა.
ეგრე ეწვალა საწყალი
ძალიან დაიღალა.

მაგრამ თითონაც დაიჭრა,
თითონაც ენაცვალა.
და აბრიალებს თვალებსა,
პირიდან ცეცხლსა ჰყრიდა,
მოუკრაჰუნა კბილები,
ფეხით მიწასა სთხრიდა.
გადაერივნენ პირდაპირ,
გადვიდნენ ხმალდახმალა,
წინ აფიცერი მიუძღვით,
საღდათებს უთხრა ჩქარა,
ესროლეთ, მიხა ყოფილა,
გამოლევნია ძალა.
წამოიხედა პაგიამ,
რა ქნას, რა გაეჯავრა,
აფიცერს შემოაგინა,
რას იყურები მადლა?
მიხას აქ რატომ კითხულობ,
მიხა გავიდა გაღმა.
აფიცერს ხმალი ეჭირა,
პაგიას დაჰკრა მაგრა;
წყეული, შენ აქ მოკვდები,
მიხა მოკვდება გაღმა.
ეს ხომ აქ დავაბოლოვეთ,
მიხასი გითხრათ ახლა.
ორთავემ ჩამოირბინეს,
ცხენებით ჩქარა-ჩქარა,
აგეთი ყოფა მოჰქონდათ,
მთა-ბარ მოჰქონდათ თანა.
ჟ.ანა ჯარი დააგდეს,
წინიდან მისცეს ძალა.
საით მხარესაც დასწივა,
საღდათი გაიშალა.
მიხამ დაიწყო გინება,
სახე რამ შემეშალა,
ეს ამოტენა საღდათი
საიდან მომეპარა?

პა, ცხენო, გადამარჩინე,
ქუსლი ამოჰკრა ჩქარა. .
ცხენმა დაიწყო გრიალი,
ალაზანა ჩაიყვანა.
ალაზნის პირზე მისულა,
მისულა, გადამდგარა,
უნდა გავიდნენ ჭალაში,
ცხენი არ გაჰყვა თანა.
ცხენი ნაშეში დაეფლო,
მკერდამდე ჩაიმალა.
ირბინა თორმეტ ვერსზედა,
რა ჰქნას, რო დაილალა?
მიხა გადმოხტა ცხენიდან,
უკან მობრუნდა ჩქარა,
თოფში აქვს ხუთი პატრონა,
ხუთნივ დაცალა ჩქარა.
ხუთი რომ კიდევ ჩააგდო,
მტერმა არ დააცალა,
გალმიდან ტყვიას ისროდნენ.
მიხას თოფს მიეხალა,
გატეხა შუა ზატორი,
დღესაც ვერ გამომდგარა.
მიხამ გაუშვა ხელეზი,
უკუღმა გადაყარა.
ვაი, შე დასალუპავო.
შენგნით გზა შემეშალა.
შე დასაწევავო სალდათო,
რა გინდა მიხასგანა?
არც მინდა თქვენი ბორკილი,
არც თქვენი პურის ჭამა.
მოკვდები ჩემი ხელითა,
„იმრაულოს“ თქვენმა გვარმა.
ამოიღო ნაგანა და,
მიიღო ნიკაპთანა.
გამოსწია და გავარდა,
აგლიჯა თავის ქალა.

გაიგო ლადომ სიკვდილი,
გუნებით შეიშალა,
ვაჟეაცსა გული გაუტყდა,
გამოელაია ძალა.
სამი საყენი კლდე იყო,
ტყვიამ სულ გადათხარა,
ფეხებში მიწა უცვივა,
მუხლამდე დაიმალა.
აიშვა პატრანტაშები,
და შორით გადაყარა,
ექვსასი კაცი ესროდა,
ხანმა არ გაიარა.
ხუთმეტი მოხვდა ბეჭებში,
ძუძუსთან გაიარა.
საწყალი ფეხზე ვერ დადგა,
რაცრაცით გაიარა,
დახუჭა ორივე თვალები,
ყიჟინა შექმნა ქარმა.
ძლივს მოვიშორეთ ოხერი,
ცხენები დაგველალა.
არ შეიბრალეს მიხაკო,
ლანძღავდნენ წარამარა,
ზოგმა აგლიჯა ულვაში,
ზოგმა ზედ გადიარა;
ხალხი განზე დააყენა,
გაშინჯა აფიცერმა,
შემოხსნა ქამარ-ხანჯალი,
ნაგანი ააცალა,
აუშვა პატრანტაშები,
სალდათებს გადუყარა;
ჯიბეში ხელი ჩაუყო,
პორტმანთან გაუტარა,
ამოიღო და დათვალა,
ჯიბეში ჩაიყარა.
გაგზავნეს ერთი მეურმე,
ურემი მაიტანა.

მეურმემ სამივე ერთად,
ლაგირში აიტანა.
ამოთხარეს დიდი ორმო.
ჩააწყეს მხარდამხარა.

—

112. მიხას ლექსი

მწერლის შვილო, შაირს გეტყვი,
სახელად მიხააო,
პატარა გაიჰყვა ძროხასა,
თორმეტი წლისაო,
ყორულეზსა და პაკოზებს
ძალით ახდენდაო.
ოზდაათსა კაცსა სცემა
სუ სოფლისებსაო.
მაიწადინა სოფელმა
მიხას დაკარგვაო.
პატარაა, ესრე ჩადის,
მერე რას იზამსო.
ოცი წლისა რომ შესრულდა,
ყაჩაღად წავაო.
ქართლსა-კახეთ-თბილისამდე
სუ გარს უვლიდაო,
ხან გლეხკაცისა იცმევდა,
ხან აზნაურსაო,
ხან ანათორას იცმევდა,
გამოვიდოდა ბულვარზე,
დაბრძანდება ჩვენი მიხა,
მითომ მღვდელიაო.
რუს ხელმწიფესაც მიესმა
მიხუას ქებაო.
ერთი კაცი წაგივიდა
თითქმის გაჯობაო.
ერთიც წავიდიეს ისეთი,
რალა უნდა ქნაო.

ეს რო გაიგო ხელმწიფემ,
 ძრიან დაფიქრდაო,
 სუ პრავილები გამოსცა
 მთელ ქიზიყზედაო.
 ყველამ აიღეთ თოფები,
 დაადექთ მიხაჲ გზასაო,
 ან დაიჭით, ან მოკალით,
 ნუ დაანებებთ თავსაო.
 ერთხელ მიხა ქეიფობდა
 სოფელ ქედესაო,
 ექესი თათრისა ტრაჟნიკი
 თავზე წაადგაო.
 დაუშინეს მიხას ტყვია
 თუთხმეტამდინაო,
 ერთი უცებ დაიღრიჯა,
 წამოიწიაო.
 თქვენი ჰირიმე, ნუ მომკლავთ,
 ნება თქვენიაო.
 წაიყვანეს ჩვენი მიხა
 მეტეხ ციხესაო,
 ერთი კვირა იქ ამყოფეს,
 წყლული მოუტრჩაო,
 დაღონებული მიხუა
 გულს დაუფიქრდაო:
 მე რო ამ ციხეში მოვკვდე,
 რა ბიჭობააო.
 მოდი, აქედან გადავხტე,
 ვცადო ბიჭობაო.
 მაღლიდან გადმობტომილი
 ძირ ფეხზე დადგაო.
 ყარაულს თოფი აგლიჯა,
 ასი პატრონაო.
 მეორე დღეს გამოვიდა
 სოფელ ქედესაო.
 გზაზე ვინც შეხვდა, ეს უთხრა:
 — ეგრე უთხარ ქალაქელებს,

მანდ რომ მიხუა დაჯკარგეთ,
ქედეს წავიდაო.

—

113. მალე მოდი, გაზაფხულო!

მალე მოდი, გაზაფხულო,
დაიბურე ტყეო!
მაჩხაანში ვარ მცხოვრები
მიხა მწერლიძეო.
არ ვიყავ ქურდი, ყაჩაღი, —
თუნდა იკითხეო.
ამომიძულა მთავრობამ,
არ ვიცი რაზეო.
ავდექ, ყაჩაღად გაველი
ტრიალ მინდორზეო.
დავდექი და ჩემს თავს ვკოხტო:
— საით წავიდეო.
მოდი, ისევ უკან წავალ,
სოფელს შევირიგდეო.
ეს სოფელიც შევირიგე...
აბა, უყურეო,
ერთი მამაძალი კაცი
ვერ შევირიგეო.
ჩუმად გაგზავნა წერილი
თუქურმიშისკენო...
„თქვენ რომ კაცსა დაეძებდით,
ჩვენ დავიჭირეთო“.
ერთი რაზბონიკი...
შამდგარა შარზეო.
ამდგარა და წამოსულა
ჩემს მუქარაზეო...
ექვსი მენდალი ჰკიდია
ყაჩაღის კვალზეო,
უნდა მიიღოს მეშვიდე
მიხას მოკვლაზეო.

მ.ოდგა. ცხენდაცხენ მეძახის:
— რომელი ხარ შენო.
— მე ისა ვარ, ვისაც ეძებ,
— მიხა მწერლიძეო.
დაუუჩოქე და ვესროლე,
დავაყიოავეო...
მეშვიდე სისხლის მენდალი
გვერდზე დავკიდეო.

114. თქვენი მიხა მწერლიძევილი

თქვენი მიხა მწერლიძევილი
ბედმა მატირაო,
არ ვიყავი სრულწლოვანი,
ვიყავ პატარაო,
იმ ურჯულო ბატონმა რომ
სახლს მამაშორაო,
მას მერე დავიარები
ტყე და მინდორაო,
იმ ურჯულო მებატონემ
სულ გამამწარაო,
ცხვარში გამიკრა თავია,
არ დამაცალო,
დღედაღამ კომბალზე ვყვინთავ,
მეტი რა ჩარაო,
სოფლი ბიჭებში ვჭიდაობ,
ყველასა ვძლევაო,
ბევრსა ვცემდი, ბევრს ურტყამდი,
არც ამას ვმალაო,
სოფელმა ზურგი მაქცია
და მამიშორაო.
რას ვიზამ, დავიარები
მინდორ-მინდორაო,
ერთხელაც ჩემი ძმა ლადო
წინ შამეყარაო.
წამოდი ჩემთან, ლადოჯან,

შენც იყაჩაღეო,
შენსა მტერსა და ორგულსა
დედა უტირეო.
წავედით, ერთად დავდივართ,
სუ მთელი ტყე-ღრეო,
ერთათა ვჭამთ, ერთად გვძინავ,
ერთადა ვათეო.
ახლა მითხარი მიხაჯან,
ვინ აგემტერაო,
ვინ გაგაძევა სოფლიდან
და შაგაბეზრაო,
ვინ დადალა შენი გული,
ეს უნდა მითხრაო.
ბიძაშენმა სოლომონმა,
იმან მიმტერაო,
რა უნდა ტიალ-ოხერსა,
არ მამასვენაო,
სოფელი გამიორგულა,
გადამამტერაო,
ჩემ დამცირობას, მგელობას
არ შავარჩენაო,
გაზაფხულმა მათანა,
თიბათვის თვემაო,
სოლომონი თივასა თიბს
ზემთ მთის ძირაო,
დადილინებს და მიყვება
შარა და შარაო,
თავზე წაადგა ამა ღროს,
მიხას ძმობილიო,
ხმა ჩაუვარდა და დგია
გაშეშებულიო.
დადგა, ბიძავ, რო ელოდი
ის აღსასრულიო,
თუ არ გინა წაიწყმიდო,
აღსარება თქვიო,
რას ამბობ შვილო ლადოჯან,

რა გეხუმრებო,
ერთი შვილი მყავ ქიტოჲ,
ქეორეც — შენაო.
ერთმანეთში არ მერჩევით,
ღავეფიცამაო.
წოლალატეს და მომტერეს
მიწაც გაუსკდაო.
იძრო დამბაჩა ლადომა,
გულს დაახალო,
შეკვიწიალდა სოლომონ,
გადატრიალდაო,
გრიალ-გრიალით ჩაგორდა,
ხევში ჩაეარდაო,
თავის ბოროტი კაცობა
აქ დაუმთავრდაო.
გამაჯცივდენ დრაგუნები,
ლადოს მოდევდაო,
ლადო შავ ცხენს მიაჭენებს,
ცეცხლებსა ყრიდაო,
ერთგან ტალახში დაეფლა,
ველარ იძვრიდაო,
მკერდამდი ლათში ჩაეარდა,
ვერ გაერიდაო,
თავზე წაადგნენ რუსები,
ვაჰ, მაგათ დედაო!
ლადომ იძრო დამბაჩა და
გულს მიიჭირაო,
არ მინდა რუსის ბორკილი,
მათი მონებაო,
ლათში მირჩევაჲ სიკვდილი
მათთან ყოფნასაო,
დაიგრიალა დამბაჩამ,
თვალთ დაუბნელდაო.
ამ დროს მიხაკომ ვინტოვკით
რუსები ცელაო,
თუთხმეტი რუსი დახოცა,

არეინ გაღურჩაო.
წაიღო თავის ძმობილი,
დასაფლავაო,
ცხარე ცრემლი დაადინა,
ცხარედ იტირაო.

—
115. მიხას სიკვდილი

ჭუჭულაშვილი მიხაკო
ბინაში ჩამომხტარაო,
სარკეში ჩაიყურება, —
სახე რამ გამიშავაო,
ეს ამოდენა დრაგუნი
საიდან მომეპარაო.
აბა, დაეკაზმოთ ცხენები,
წავიდეთ ჩქარა-ჩქარაო.
მიხა ლურჯოს გადაახტა,
ლადოც თან გაიყოლაო.
ცხენმა გრიალი დაიწყო,
მიხამ თოფ გაისწორაო.
პაგიას ცხენი წეექცა,
არ ვი, რას შეეხალაო.
პაგია მარდი ბიჭია,
გადაძვრა ყანა-ყანაო.
ტყვიამ ზუზუნნი დაიწყო,
ხალხი სულ გაიშალაო,
დააბოლავეს პაგია,
შიდიან მიხასთანაო.
გადაჰხედა ალაზანსა,
ვაი, რა დიდი მდგარაო.
ცხენი ნაშეში დაეფლო,
მკერდამდე დაიშალაო.
მიხა ლურჯოს ეხვეწება
ჰა, ლურჯო, ჩქარა-ჩქარაო,
ვაჰ, ქერი ბევრი გაქამე,

არა ჰქონია ძალაო.
თოთხმეტი ვერსი ირბინა,
რა ქნას, რო დაილალო,
ამოილო ლევერველი,
მიიღვა ნიკაპთანაო,
გამოუკრიფა, გავარდა,
აჰგლიჯა თავის ქალაო.
დააბოლოვეს მიხაკო,
მიდიან ლადოსთანაო;
მიხას სიკვდილი გაიგო,
ცრემლები გადმოღვარაო.
იარალი შამაიხსნა,
ალაზანს გაატანაო.
„მომკალით ჩემ ძმებიკებთან“, —
ხელგული გაუშალაო.

116. მამუკა და სადარა

სხვა საქმე არა კეთდების,
ლექსის თქმა მწადის ერთისა.
იძახე, ჩემო ფანდურო,
ჭირიმე შენის ღმერთისა!
ყელზე არშავის ცორები
ლამაზა შეგიჯდებისა.
ახლებ ჩაგისხი ლარები,
კაზედამც მოგიჯდებისა!
ვინაც ვაჟ იქამს სახელსა,
გ ა ს პ ა რ ა მ იცის ქებისა.
მამუკასა და სადარას
შესაფერს ვერ-ვინ ეტყვისა.

ველა გავიდეს ვაჟები,
მიძრეს და მოძრეს მთებიცა.
კვირობდა ჩვენ ჰელმწიფეი;
„ბევრა გვინახავ სხვებიცა,
აეგეთ არვინ გვინახავ,

ანდრეზად არ იქნებისა“.
შესწუხდა ლურბენატარი,
გული თოვლივით დნებისა.
ცალკე მაუდის პრიკაზი,
ბრძანება ჩვენის ნეთისა.
ნამდვილა შამაუთელავის
დაჭერა ყაჩაღებისა;
ტყუილა, ლურბენატარო,
ჯარი უბრალო სცდებისა.
ყაზახებ ჩაგეჯოცების,
აფიცერ მოგიკვდებისა.
თავ მაიწყინა სადარამ
მთელ სოფლის შეწუხებითა.
ვინ იყო ძალად დამჭერი?
ბატონსთან მივა ნებითა.
ცულა ნუ ხკადრებ, ბატონო,
თორ ზაკონ გაგიკვდებისა.
დაგიმტვრევს სასამართლოსა,
შენ საქმე წაგიწდებისა.
აბეჯითებენ სიკვდილსა,
თასებიც ილოცებისა.
იგვლევენ ჭევსურთ ქალები,
ბევრ-ბევრ კი ატირდებისა,
ნუ სტირით, ჭევსურთ ქალებო,
სახელ სამზეოს რჩებისა.
ცოცხლებსაც ხქონდა სახელი,
ღმერთმა აცხონას მკედრებიცა,
მაგის მეტს აღარ გიამბობთ,
მშვიდობით, გამარჯვებით!

117. სადარა

ქალაქის გუბერნატორი
საისკედ იგდებს ჳმასაო?
რად აწევს ზეკუციასა,

პირშელმ რად მიზღვეს წყალსაო?
აჯოს შამაჯდეს სოფლადა,
მძიმეს მაასხამს ჭარსაო;
ხალხის დაღუპვას აპირობს,
სახლების გადაწვასაო.
„თქვენ თუ ყაჩაღებს არ მაგვეცემთ,
აღარას ვფიქრობ კასაო“:
სადარა შიშითათი
გულს ხკითხავს, გუნებასაო.
ხან იტყვის: „წელად მივიდა“.
ხან გული ურჩევს ცდასაო.
ისრევ არჩივა სიკვდილი
თემ-სოფლის დაღუპვასაო.
მივიდა, გამაეცხადა,
დილა თენების ხანსაო.
„მე ვარ სადარა, ბატონი,
რო გიწვალეზბდი ჭარსაო;
შიძეველა შენი ჭარები,
ჩემს ვერ იგებდეს კვალსაო“.
მე ვზღებდი, გუბერნატორო,
შენ გუბერნიას ზარსაო,
აწ ბავედ თავის ნებითა,
მე აღარ გიქცევ ძალსაო“.
გულში სწყინს გუბერნატორსა,
კანონ არ აძლევს თქმასაო:
„რო მახვე თავის ნებითა.
შენ ვინ გატანდა ძალსაო?
სრულება მინდა, მოყმეო,
ქემწიფის ბრძანებასაო“.
შუაში ჩაუყენებავ,
უდგას ჭარები მჭარსაო.
აჯოთ რო ჩაემართების,
მთა-წვერთ მათვლებს თვალსაო,
შახედავს ბაღავაჩოსა,
მალალს არხოტის მთასაო.
„ბევრჯელ კი გარმაგიარე

თვალ-შუალამის ხანსაო.
 არხვატში მყვანდეს ამქრები,
 მედგეს სრუ მუდამ მჯარსაო.
 მშვიდობით, სალო კლდეებო!
 თქვენ მე მაძლევდით ბანსაო.
 მშვიდობით ჭვარ, ჭვარის კარო,
 ველარცად ვღნახავ ჭარსაო.
 მშვიდობით, ჩემო სწორებო,
 ვინც ჩემს იღვით მჯარსაო!“
 კივილით სადამ ჩაივლის
 მშავ-ჩვესურეთის წყალსაო.
 უნდების მთისა არწივსა,
 ხანდხან იგრუზავს მჯართაო.
 ქალაქში ჩაუყვანავის
 გუბერნატორის კარსაო.
 შაყრილა გიანარლები,
 ამბობენ სუდობასაო;
 გადაუწყვიტეს სიკვდილი
 მთისა არწივსა ჩქარსაო.
 შავო სად მიხვალ წერილო,
 პირ-შეომ რად მიზღვე წყალთაო?
 მაუვა მახარობელი
 დედა-მამასა, ძმათაო:
 „სადარა აღარ მაგივათ,
 გწერდათ სამუდმოდ ჭვარსაო“.
 იწყინეს მაგის სწორებმა,
 ჯანზე ჩაიციმენ შავსაო,
 ქალ-ზალს დაუდგა წკმუტუნი,
 თავზე იგლეჯენ თმასაო.

118. სუყველას კაი დრო აქვ,
 თებერვალია დამდგარი.
 სულ ორ-ოროლნი დადიან,
 ველის ნადირებ რაც არი.
 ხალხი ერთუცში ირევის,
 გამართული აქვ ბაზარი.

მეც ვიყავ ბაზრობაშია,
შინ მამე ნაქალაქარი.

—
გროვდების საარხვატოდა
წევსურთ შვილების ლაშქარი.
წევსურებს მამაძალღებსა
უსომ ერთუცის ნაბანი.
მამუკას • გამოსდგომივან,
ბევრამ დალაჯნა მთა-გზანი.
აიჩან, ოჟიაშვილი,
კაცი აღარ გყავ ბადალი,
დაბადების დღეს გამოგყვა
მწართ თოფი, ჟელში ხანჯარი.
მარტო უმთხილე რუსებსა,
არცა გაგაბან კაჭარი,

.
ბევრს აურიეს ჟამ-კარი.
ბევრას კი გააწირვიეს
გულ-უწადინო წაწალი.

—
მე ბეჩავ-შვილი გამამე
სულ აღარაში სათვალი.
ხალხ და აზრებით მაშინებს,
როგორც ტუსაღებს ჯანდარი.
მელექსეს თუ რას იკითხავთ,
„აირიწმიდაში ნათქვამი,

—
119. ზეკუცია არხოტს
არხოტს ზეკუცია ჩადგა
წევსურეთით წამასული.
წინ-წინაზე გამიკვირდეს,
მე მეგონნეს გამაზულნი.
მითხრეს: „ეეგეთანია
დედის მუცლით გამასულნი“.
ახიელის ულიცაზე
იარხუკა გამართული.

რა — ჯე გადიდებულ დაოს
ზოგიერთა ადის გული!
მწარზე გძელებ ჭონებ უსხავ,
შუბებში აქე ჩამაცმული.
ყველას ზურგზე ხასუნაი.
ხარატულად გამაქრული.
ნაქნარ ეეგეთა უნდა,
ქევსურებმ რო დაკლეს ფური!
ძაღლებ მირგვლივ ეხვეოდეს,
მზორი ეღვა გამახრული.
შაბურაშვილს ეგ უთხარით:
„გამაგცვალესაე გზირი?
ხუტუნისშვილს ვერ აწვალებს,
კაცო, შენისთანა ვირი“

მეშაირე წამადგების,
გმინზე გააყოლა გმინი,
შულლისაკე დასწუხდების
დიღღველ ასლაყაისშვილი.

120. მამუკა გოგოჭური

ზენაით მოდის ამბავი:
„ვეფხვი დაზეზდა კლდისაო;
არავინ დააზიანას,
არვინ დახივას მწკლითაო“.
საძელე გადაიარა
მინინომ კივილითაო;
ჩრდილოეთისკე დაბრუნდა,
გავლა სწადიან გზისაო;
უთქვამის: „უნდა დავგალა
მთა-ბარი დაღისტნისაო,
ვესტუმრა თავის ამქარსა
ზელიმ-ხან ქისტიშვილსაო.
ჩამავა, ჩამაბოინობს
ლადი არწივი მთისაო.“

მახყვების ნისლის კოტორი,
ღურბელი შავი ზღვისაო.
გზაში შამახედეს წყემსები,
ნაცნობებ დიდის ხნისაო.
ღალატით ხკითხეს ამბავი,
მისცეს სალამი გზისაო,
ის კი რა მახგონდებოდა,
თუ ჩაუსხემდეს მზირსაო.

—
ომია ბახტრის ქალასა,
თოფის ქმა გამოდისაო.
მარტო მგზავრს შამაეხვივა
ჯარები ყაზახისაო.
ღმერთმანი შააფიქრებენ,
ან მათლევენ ლხინსაო.
ნაბადი გვერდზე იქცივა,
ძალი აქსენა ხთისაო.
არიქ, ორპირო რკინაო,
ეხლა საქმე ჭირსაო.
გადაერია ჯარშია,
ფერი დაიდვა მგლისაო.
მიფანტ-მაფანტა პოლკები,
ეგრ რო ფარები ცხვრისაო.
ემადრივლების ხანჯარსა:
„რაქე ლამაზა ჭრისაო!“
თვალ-წამის ერთის ხანზედა
ვაქე აივსა მკედრითაო.
სისხლმა შეღება მინდორი,
თერგი რო წითლა დისაო.
თავადაც ამანდ დამრჩალა,
დავლათი აღარ ჭრისაო.
დაუძინებავ რქაზედა,
რო ჯიწვი ქაუხისაო.

—
შორა გავიდა ამბავი,
ზიანი ფალავნისაო,

ეგ ბალთის არე-მარეი
აივსა ცხენოსნითაო.
მკვდარს მაულოცვენ სახელსა,
ჩვენ კი გვიწყენენ ჰირსაო.
შემოვდა ჩარქვით ქალები,
ცრემლით იბანენ პირსაო.
„ვინ იყვა მარტო მავალი,
შორა გამლები გზისაო?
ეს გლებსა არა გონილა,
აზნაურ თუა მთისაო“.
შენ სიკვდილს ვინ დაიჭერებს?
შე გალავანო ქვისაო!
გათქმულო გრანიცაზედა,
მთვარეო ხუთმეტისაო!
ვინ გაზღის ჯეესურის ქალი
სხვა შენისთანა შვილსაო?
უნდა გებარას ჯარები
ნარჩევის ყაზახისაო;
ოსმალის გრანიცაზედა
მიუძღვებოდა ჯმლითაო;
ქარ-ბელაქანში ლეკებსა
ბეგარი დასდვა ცხვრისაო.

მთა-წვერთა ასტყდა წყალ-ღვარი,
ქარი ხქრის ლამადისაო.
ნუ დაგცილდებისთ, სწორებო,
სახელი კაის ყმისაო!
მალ-მალე მაიგონიდით,
რა ჯარი დასხდას სმისაო!
ზოგებსა აის უთხრიდით,
ვისაც რა ჯავრი სჰირსაო:
„მამუკა ნულარ გაშინებსთ,
ნულარ გაიმთხობთ ძილსაო!“

ამბობენ სულეთს შესულსა,
ოქროს ჩიკაზე ზისაო,

სულ ფეხზე უდგას მსახური,
ხალხი ყველაის მჭრისაო;
აბანიებენ ჯელ-პირსა,
მამტან არ აკლავ წყლისაო.
გემდური გუდამაყრელო,
პატრონო ბევრის ცხვრისაო:
ლალატით მაგიკვლევავის,
ვერ მოქცეულხარ ჰკვითაო.
რად გამიზღიხარ მზეზედა,
შემრცხენელო თემობისაო?
ქიჩილა უნდა გეხურას
იმ შენის ღიაცისაო,
ჯელთ გქონდან ტარ ნამტენანი!
ჩამოსჯდა კერის პირსაო.

—
ამაგის მალექსებელი
შვილი ორ ჯევესურისაო,
ძაუგში მიძეს ბინაი,
ნაპირი ქალაქისაო.
ეეხლა მოდის ზამთარი,
თვე დგების იანვრისაო.
ვაპირობ, უნდა გავაღა
დუქანი არაყისაო,
მამიდიოდან სტუმრადა
ქალები აფიცრისაო.
ღმერთმან, ვერ ვიცი სალამი,
—კანონი რუსებისაო.

121. რას ხფიქრობ, ბესარიონო?
ლექსის გამოთქმის ხანია.
შენ თუ არ უთხარ ლექსები,
ვერას ეტყვიან სხვანიჲ.

—
დაჩუმდა მშავ-ჯევესურეთი,
მალლა მთა, დაბლა ბარია;
მთათ აღარ უვლის არწივი,
იყოს შულამის ხანია.

შასწუხდა ბალავაჩოი:
„ლამით ვერ ვნახე მგზავრია“.
მამუკავ, ვაეიას შეილო,
შენ' დაცილება ბრალია!
შენ' სახელ მუდამ იქნების,
სანამდე მიწა-წყალია,
სანამდე ჭევსურეთი დგას,
ცასა ჩამასდის ნამია;
ბრალია, ბუჩუკურელო,
მიწას ეჭირას ტანია!
არ დახვიდოდა მთა-წვერთა
არწივი მეომარია!
სანამდე იყავ ცოცხალი,
მტრისა არ სჭამე ჭავრია, —
ზარ შასდეგ გუბერნიისა,
შორად გავიდეს ჯმანია.
გიყვარდა ომი ძრიელი,
წელშიგ შიშველა ჯმალა;
მწართ გედვა არშავიანი,
ომის დროს მოსაქმარია;
მარცხენას მკლავზე გეხვია
პატრონაების ჭარია;
თერგმ ჩაიწერა გულშია
შენ' ბალთას ნაომარია;
ზღვის ნაპირამდე გავიდა,
კვირობს ოსმალის ჭარია.

—
არ გგონდებისა სულეთში
ზოგ-ზოგის ხალხის ჭავრია?
არვინ გყავაე მამწრეი,
ღნაყათ სულეთის კარია?
მარტიას მისურაულსა
აღარ უჭრისა ჯმალა?
არ იტყვისაე იმასა:
„ძმასა-ღ უჭირა მწარია“?
რას ამბობს ქალუნდაური,

ბეგენტ გორ მეომარია?
მარტო რო ჩახყვა ლაშქართა,
წოცა ზურაბის ჯარია,
მეთორმეტეს რომ შამახკრა,
დადგა, ჩააგა ვმალაია?!
არ გგონდებისა ალქიმი,
თუშების წანატანია?
გვერდს არ უსხენა ვაჟები:
შალვა, ივანე, ძმანია?
ომი ორ ხქონდა ბორბალას,
სისხლით შალეზნეს მთანია?
არ არსა გაჯავრებული:
„გასწყდა გოგოჭურთ გვარია“?
ვინ დაშჩა გოგოჭურებსა
თქვენფერა მეომარია?
ერთ კაობს შაბურაშვილი,
შინაურთ კამანდარია;
თავის ძმის სამუქაროდა
წევსურთ შაყარა ჯარია,
სიცოცხლე რააღად უნდა?
მაგან მასთხარა გვარია

მამუკავ, შენსა ნაქნარსა
ველარ იქმოდეს სხვანია:
ხანჯრით ტყვიათან ომი ხქენ,
მკვდარზე შეხყარე მკვდარია;
შემეხვივა მარტოსა
ბალთას ყაზახის ჯარია;
დაგარტყეს შვიდი ტყვიაი,
ქვე ძლივ დაგიძრეს ტანია.
მშვიდობით, მთისა არწივო,
ღმერთმა გაცხონას მკვდარია!
თაოდ თუ მახკვე, ვაქკაცო,
სახელ სამზეოს არია.
ქვე ვინა-ღ გაზღის შენ-ფერას
ღედა წევსურის ქალია?

რას სჩადით, გოგოჭურებო?
ბალთას გასწირეთ მკვდარია?!
ჯავრობენ არხოტიენები,
საც შაიყარა ჯარია:
„ჩველას გერტყდების სახელი,
მაგას გვიკირცხვენ სხვანია,
ომობდა წინას ღროშია
ლეკეთშიგ ჯევსურთ ჯარია.
განთ იქ არ იწოცებოდა
ვაყები მეომარია?
იკითხეთ, თუ ას ანდრეზი,
ვის გაუწირავ მკვდარია?
საფლავს უაზრებთ გზის პირში,
დაზდით ღღის თაოდ მგზავრია.
ბრალ კი ას მამუკაისად,
რომ ბალთას იწვას მკვდარია.
არ დასტიროდას ყინჩადა
ჯევსურთ ქალი და ზალია!

122. ყური დამიგდით, გამბათ,
ბძანებაია ხთისაო.
ორშაბათ დილა გათენდა,
სიწმარ მინახავ ცდისაო.
არეულ ნისლებ მოვიდეს,
ლემადეები ჰქრისაო.
გადმოვიტანე ფანდური,
ხანია ლექსის თქმისაო,
საშიბის ძალებ ჩავუსხი,
გული დავაკარ ხისაო,
დაუკარ, ეგრე იყერა,
მეგონა სპილენძისაო.
კაფიაობას დავიწყებ,
ვთვალავ რომენიც მინდაო.
-

უდროოდ რადა ღბნელდები,
მთვარევე ხუთმეტი ღღისაო?

ჩამეედ ბუჩუკურთასა
მაშვრალი შორის გზისაო
ზოგთა კი დაანათებდი,
ზოგთად ბნელი ხარ იქაო.
მეუბნებთან: გავიგი
სიკვდილი ფალავნისაო;
დაქცევა ბუჩუკურთასა
ნადგომის გალავნისაო.
ჩამოგიყრიენ ჩარდახნი,
ციხეო ბასრის ქვისაო,
ბრალია მამუკაისად
წელზე შამოქსნა ვმლისაო,
მკართით ჩამოქდა თოფისა,
გილდისა არშავისაო!
სანამდი იყო ცოცხალი,
ჯავრი არ ჰამა მტრისაო.

ცოლ-შვილს რას უზამ, ყაჩაღო?
გაზაფხულ მოდის წვნისაო
ვინ გაუმართავს გუთანსა,
ბრალ ვის აქვ თბლებისაო?
შენს გულსა, იანვარში
გადამავალო მთისაო!
უკენ მოგდევდეს ჰევსურნი,
რო ფარა მშველის ცხერისაო.
შევანის ჯორჯზე წამოხვე:
კვალ ვერ მოქვლეს მგლისაო.
ჰევსურებმ არხოტს დაიწყეს
ჰამაი საქონლისაო.
შენ ფხიტუ გადაიარე,
ლადო არწივო მთისაო,
ბაკურ-ჰევს ჩაე სოფლანდა,
სტუმარო თავის დისაო.
ჰელ-ფეჰ გექნების მამზრალი,
ტყავ ატანილი ჯღნისაო.

გაზაფხულისად მაგჩების,
 დროიც მაშინა ცდისაო;
 წახვიდი ძელიმ-ჭარსთანა,
 მჭერელ გექნების მჭრისაო.
 გათქმულს ეგრეცა ამბობენ,
 ზურაბს რო ერისთვის შეილსაო.
 ღამით იარე, მამუკავ,
 დანდობა ნუ გაქვ დღისაო!
 გზას გაგართვემდა მთვარეი,
 ნადგომი გორის პირსაო.
 ბალთას ჩამოხვალ სოფლადა,
 მეხი დაგეცა ცისაო.
 გაგიტყდებოდა იღბალი,
 ეშმა ჩაგივლის მჭრითაო.
 სოფლის პირ წამოგეგება
 სალდათი ჯელმწიფისაო.
 „ბილეთ მაჩვენე, კვესურო,
 თუ ნებაი გაქვ გზისაო.
 თუ არ გექნების ბილეთი,
 შენი სიცოცხლე ჭირსაო.
 ნანდვილი მამუკაი ხარ,
 მამკლავი სალდათისაო,
 ორისა აბეშიკისა,
 სტრაჟნიკის მურთაზისაო,
 აჰმეიე ჯავრი ბევრასა,
 ვითა შესწირე ვისაო.“
 გულს დარდ დეეცა მამუკას,
 მაგრე არ მოშლის ღმინსაო,
 აღარ გაიყვანს ბილეთი,
 არც იმედი აქვ კმლისაო,
 აქვის ბატარა ხანჯარი,
 ტარ უკრავს სპილოს ძელისაო.
 დადგა და უთხრა ყაზახსა:
 „შენი კი არა მკიდავო,
 არც მამიშენის მამკლავ ორ,

არცა-რა შენის ძმისაო.
თუ არ მიჯერებ, არ მიშობ,
ორ-სამ უნცროსიც მინდაო.“
აიკრა კელი ხანჯარზედ,
ფერი დაიდვა მგლისაო,
უნადრის ჩამაუქნია,
ნათოს ჩამოდის მკრისაო;
სხვა წვერი გადაუბრუნა,
აბეშიეს ქისტისშვილსაო;
კელ მოუწვდინა ნაწლევთა,
სიმოკლე არ ერჩისაო.
მესამე დაჰკრა ყაზახსა,
— „შენ ჩემსამც წყალსამ ზიდაო!“
მამაძაღლებმა რუსებმა
მეტი არ მისცეს ცდისაო.
აყრიან არშავიანსა,
ყინჩად აყოლებს ღმინსაო.
მეცხრე მანამდი არ დაჰკრეს,
მაკლულ არა თქვეს რვისაო.
მანდ დაგიგებენ ლოგინსა,
ბალთასა, სოფლის პირსაო.
შიგ ჩაგაწვენენ, ყაჩაღო,
კმელეთზე მტეხო ჳმისაო;
ზე კოშკი ჭუგებავის,
არ ჩამტეველი წყლისაო,
ზე კარტი დაუკიდებავ,
სახეა ყაჩაღისაო.
ცოლ-შვილს ნუ სჯავრობ, ყაჩაღო,
ორ ლეკვ გასწირე მგლისაო.
ორივაც ღმერთმა გაზარდას!
ჯავრი არ სჳამან მტრისაო.

სალექსო გამამიგზავნე
კრელი ჳურკელი ქვისაო,
გამომიყოლე სტაჳანი

სასმელი არაყისაო,
შენდ რო დავლოცა, მამუკავ,
ჯარი რო მესხდეს სმისაო.
უმოკეთეო არა ხარ,
იყავ ძმობილი ძმისაო,
მოლექსეს თუ რას იკითხავ,
ნათქვამი გულბათისაო.

123. წმიდა გიორგი გწყალობდას,
სახე მაგისი ჯვარია!
მამუკამ ნახა სიზმარი,
ზელიმ-ხანს უყვა თვალია.
აღგეს და გამაემართნეს,
გადმთარნეს მთანია,
არხოტის გადმოსავალში
საწყინარ ეტყვის მქარია.
მამუკავ, ფრთხილა იარე,
უკულმ ბრუნდების ქარია.
ბალთისკე გამაემართა,
დახვდა ყაზახის ჯარია.
მამუკას სთხოეს ბილეთი,
ხკითხეს თავისი გვარია.
— „მე თუ ყაჩალი გგონიორთ,
სად მაქვის თოფი, ჳმალთა?
თქვენც უნდა გენანებოდესთ
შეწუხებული მგზავრია“.
ხანჯარს ამასწევს მამუკა,
მაგრა უჭერავ ტანია.
გახკრა, გაუსვა მამუკამ,
დიდი ღვას ცოდო-ბრალია.
ზალპით ესროლეს თოფები,
დაიძრა მთა და ბარია.
მამუკამ ხკითხა მუქლებსა:
„ახლა გაქცევის ხანია“.
გამაიქცევის თავ-ალმა,

ვეფხვმა დაშალა მწყალია.
რვა ტყვია მახვდა მამუკას,
მამუკა ისევ წარია.
წამაიქცევის თავ-ქვია,
სისხლი სდის როგორც წყალია. -
დაადგა სვეტი ნათელი,
სახელოვანი მკვდარია.

მე ვნახე როცა ესროდეს,
კელში მეჭირა ბარია;
უხრიალებდი კანავსა,
კარგა წავიდას წყალია.

124. შაქება კევსურიშვილსა
მამუკას შაწვდებისაო.
ვაინის მამასახლისო,
დედა გაგიწყრა ხთისაო!
შაზირწვენ კევსურნი,
ძალა გაქვე კელმწიფისაო.
კევსურთ აღარ-ა გავედა
ფარისაი და წმლისაო.
აღარ გაყენებს ტირილი
ქალისაი და ზლისაო.
მიულავ აფიცრობაი
მაგ შაბურაიშვილსაო.
„თუ ვერ მაიჭერთ ყაჩაღებს,
თქვენი სიცოცხლე ჭირსაო“. .
მამუკა კელა არ მავა,
კიპ არ დარჩას მთლისაო.
წამავა არხოტისკედა,
ადგილი ნაპირისაო:
იქითაც მალე დაბრუნდა:
„აქ ჩემ შანახვა ჭირსაო“
ჩამაუჩინდა მდევარსა
ბლოს თავ მა წვერის ძირსაო. .

• ვერ გადახენეს შიშითა,
• ვინ დაიჭერდა გმირსაო?
• ჯდის ღელე გადაიარა,
• ჯდეს კვალ ჩავიდა მგლისაო.
• კითხულობს გადასაწედსა,
• გადავლა სწადის მთისაო.
• გადასვლა ურჯულოჩია,
• გაცნობა გძელიმ-ხნისაო.
• ჩამაუჩინდა სიკვდილი
• გორგალას წვერის პირსაო.
• „სად მიხოლ, ჩემო მამუკავ?
• მაუკოცნიდა პირსაო.
• „მადით, წამეე ჩემთანა,
• მსწავლე გექნები გზისაო.
• ბალთაჩიგ გიცდის მწერელი,
• გამოგზავნილი ხთისაო“.
• ურადნიკ შააგულიდა,
• ბილეთ მასთხოვა გზისაო.
• მამუკამ მალე უჩვენა,
• ბაშფორთი დიდის ხნისაო.
• კარტიჭკა გადმაჩვენეს
• გათქმულის ყაჩადისაო.
• მაშინ გულს ხკითხა ოშკაცმა:
• „ღლე გამითენდა ცდისაო“.
• ჴელი დაიკრა ხანჯარსა,
• ფერი დაიდვა მგლისაო.
• ურადნიკს გადმოუქნივა,
• შიშით დაეცა ძირსაო.
• „ეგ გინდა, რუსის გაზდილო,
• დაწევ, დაჭამე მიწაო!
• უნცროსიმც ჩემი იქნები,
• სულეთ მამტანი წყლისაო!
• ჴელ-უკულმ გადმაგიქნიე,
• თუ — კლად გიწვდინა ცრუესაო“.
• დააწყვეტია ორადა

აპელანტარი მჭრისაო.
გაიქცა დუდაროეი,
ირემ ეგონა ტყისაო.
დადგა ღორივით ღიღიხი,
შაშვივი აღებს პირსაო.
ჩოხელათ გუდამაყრელთა
დედა გაუწყრა ხთისაო!
გააგებებს ყაზახთა
ამბავი ყაჩაღისაო.
უამბე ღიღღღღის ჯალაფთა
ნაცადი ოშკაცისაო.
შვილ წყალობაჩი მიგივა,
დამჭერი ყაჩაღისაო.
მაუვა სისხლის ჯვარები,
ნაჩუქარ ჯელმწიფისაო.
მაშინ ისი თქვა მამუკამ:
„მზე დამაბნელეს პირსაო“.
ზალპ მისცეს მამაძაღლებმა,
მამუკა დასცეს ძირსაო.
მამუკას ჯევსურიშვილსა
ჯელი ეღირსა მტრისაო.
მამუკას მგებრნი მოვიდეს
მა თავის დედის ძმისაო.
დაჯდა, უამბა ამბავი
თავისი, ყაზახთ ცდისაო.
სულეთა ჯარი ჩამოსხა
მა თავის ნაწოცისაო.
წინითი ჩხუტი მაართვა,
ჯელჩი თასები ხისაო.

მელექსეს თუ რას ხკითხულობთ,
შვილი ორ ჯევსურისაო.
კლდეჩი ვაყენებ თივათა,
ჩდილი დათოვა მთისაო.

125. ყური დამიგდეთ, ბიჭებო,
ამბავი გითხრათ მართალი:
მამუკა ბუჩუკურელი
განა მართლად-ა მამკვდარი?
მის სახელს მუდამ ამაღლებს
იმის ბალთაში ნაქნარი.
ძველთაგან მადის ანდრეძი:
„ბევრს ცოცხალსა სჯობ ზოგ მკვდარი“.
ომის დროს მაგრად ეჭირა
მამუკას თავის ხანჯარი.
შორით მაუევას პასუხი,
ზელიმ-ხნის შემონათვალი:
„აქ მადი, მთისა არწივო,
ვლაქათ დაღისტნის მთა-ბარი!“
სამგზავროდ დაემზადების,
ამააფხავა ხანჯარი;
საჩქაროდ გადაიარა
მთა საძელისა მაღალი;
ჩავიდა ჴევის ქალასა,
შუადღეი ას დამცხარი.
რა იცის ჴევსურიშვილმა,
„გზაში მზირი მყავ ჩამსხდარი?“
ჩოხელათ, გუდამაყრელთა,
ღრისხევდას ღმერთი მაღალი!
შაატყობიეს. ყაზახთა,
გზაში ჩაუსხეს ლაშქარი.
მამუკას წინ-წინ მისულსა
გარმაელობა ჩაფარი,
სიცილით უთხრა: „რუსებო,
არ ამირივთ ეამ-კარი!“
რო მაინც აღარ გაუშვეს,
დაშალა ვეფხვმა ძაგარი,
გადაიყრივნა ნაბადნი,
აკსენა ღმერთი მაღალი,

მაშივ უკსენა მამკვდარი.
ქისტო, გიცხონდას გამზდელი!
გული გდებია მაგარი:
შენს მეტმ ვერავინ დასწონა,
ზედ მიხვედ შორით გამხტარი.
შენს გულის სიმამაცესა
მწარს აღარ გკერდა ღონ-კარი,
კელ-უკულმ გარმაქნულმა
დაგიჭრნა უბის მასრანი,
გულზეით ჩამანადენმა
სისხლმ შაგიღებნა კალთანი.
ჯართ შუა ქვესურიშვილი
უთოფოი ას დამრჩალი,
უჭერავ სისხლით გასვრილ
თავის ბატარა ხანჯარი.
თოფებს ისრევენ ყაზახნი,
ერთუც ეძახან: „დახკარი!“
კამანდრობს ჯარის უფროსი,
მაღალს ადგილზე შამდგარი.
თოფ დახკრეს ბუჩუკურელსა,
არწივს მასტეხეს ცალ მწარი.
ვაშკაცის დაცემაზედა
სრუ აინდგრია მთა-ბარი,
თერგმა დაიწყა ტირილი,
ზღვის პირთ გაილა ნაქნარი.
მამუკავ, ღმერთმა გაცხონას!
მთელი ხარ, განა მამკვდარი?
ანდრეძად არ მადიოდა,
თოფთან ომობდას ხანჯარი.

—

მელექსეს თუ ვინ იკითხავთ,
ბესარიონის ნათქვამი.

—

126. სწორ-სწორად შაქება

ერთსა მეც ვიტყვი სიტყვასა,
ვიაგობ სხვა-და-სხვისასა:
შავაქებ ბაკურისძესა,
სახელ-ვზღებ ერისთვისა.
გვერც უდგას არაბულისძე,
ვენაცვლე გულსა ყმისასა!
გულ-ლომი, მუჭლად ვეფხვია,
დაელხებას ღვავ ცისასა.
მახმადი მარიშაული
პირს დაიბრუნებს მგლისასა.
ილიკო ოსის გაზდილი
ზღვას ღგვანდა მალღის მთისასა.
ოთხთავ სწორ-სწორად შავაქებთ,
მწართ სდგეხართ ერთუცისასა,
ლექსსაც ლიშნობრივ გიაგობთ,
— სკამს სხეხართ ნათლულისასა.
ლეკში ყაჩაღებ გასწყვიტენ,
ტოტით ათხრევდი ქვიშასა;
ქმლითა ჩახკაფე ლეკები,
ჯაერს კი არ შვამდი მტრისასა;
ცხენი მაგიკლეს ტიალი,
სხვას ზიხარ უკეთესისა;
საჩქაროდ გადასჯდებოდე
ნიშასა ნიავ-ქრისასა.
საც რო თვალს დახკრავ, მიგიყვანს,
ქარს ღგვანდა მალღის მთისასა,
უნდ იყავ ღიენერალი,
ძალა გიდებენ ლიშანსა.
ბარისაჯოში სტრაჟნიკებ
ხალხს აქუჩებენ ვითასა!
წამოვლენ უკენ-აჯრსკენ,
ძალს აწსენებენ ხთისასა;
დაეცნეს გიორგის შვილსა

ურჯუკას შულამისასა.
მამუკა გამაუარდა,
კვალს შინჯვენ ყაჩადისასა.
ილიკო ეუბნებოდა:
„ა, დედას ჩვენის მტრისასა!“
მახმადი მარიშაული
დაბლა ჩახედავს მიწასა.
უჩინ დაგესწროთ ლამეი,
ვერ ხედავთ თოფის ლიშანსა.
ალექსი ბაკურისძესა
(თუშის გაზდილი ვინ ასა).
ეუბნებოდა ჟირჩლაი:
„ნეტა როგორ ვქნათ დილასა?“

მელექსეს თუ რას იკითხავთ,
წევსურიშვილი ვინ ასა.





საღდათობა
იმპერიალისტური ომი

127. საღდათი ვარ ნაფიცი,
სად ჩავკვდები, არ ვიცი.

128. მეცხვარე საღდათი აფიცურზე

სად მიზღიხარ, თავო ჩემო,
სარჩოზეით იღებ ჭელსა?
სადა სწირავ სამშობლოსა,
მემრე ქვეყანასა შენსა?
რამთვენიც ძალს შამეყრების,
ჩესტზე მალებინებს ჭელსა.
თუ მალლა ჭელს არ ავიღებ,
ციხეს მაჩვენებენ ბნელსა.
ამით მასძულდა სიცოცხლე
ამ საბრალოს თავსა ჩემსა.
ესენ კი დამლალოიან,
როგორც ჩობნებ მსუქან ცხვრებსა.
გამაივლის აფიცერი,
მალ-მალ დამკრავს მჯარზე ჭელსა;
„ეს ბიჭ ყველკან გამადგების“,
ეუბნების საღდათებსა.
მე გულ-ნაწლევნ მერევიან,
ის რო მჯარზე მისობს ჭელსა.
რატო შირაქში არა ვართ?
გამაგიყენებდი ცხვრებსა,
აპელატრებსაც აჯყრდი,
აგვიდებდი გუდის ძველსა,
უფროსად დაგიდგებოდი;

სახელს გასწავლიდი ჩემსა,
ქართულ ქალაქს დაგიწერდი,
არც მაგგვრიდი მეენესა.
თუ ჩქარა არ ისწავლიდი,
მუშტით ჩაგამტვრევდი ყბებსა.

ეგ შაირი იოსებმ თქვა,
მოვაქსენო თავის ძმებსა.
ჩემს მაგივრად გეახლებისტ,
ყველას ჩამაგართმევსთ ჟელსა.

129. ქება გითხრათ რისა,
ჩემი ლექსებისა.
ყური დამიგდეთ ბიჭებო,
თომა ღვედაშვილსა.
სალდათში რომ წამიყვანეს,
ვიყავ ოცი წლისა,
ჩამაცვეს მოკლე მუნდირი,
დამკიდეს გრძელი ვინტოვკა,
დავემგვანე რუსსა.
მივდივარ და დარდი მიმდექს
ჩემი თოხლებისა.
ღედაჩემი ეხვეწება
ჩენი სოფლის გზირსა.
იქნებ შვილი გადმირჩინო
ცრემლიანი ზისა.
გზირი ფეხებს უტყაპუნებს,
უკრაპუნებს კბილსა.
ბრძანება ნა შეასრულოთ
რუსი ხენწიფისა.

130. სალდათში მჩმაგალი

აბეჩავ არხოტიონი,
დროებამ ჩამოგიარა!
ცხენო, მიყვარდი ტიალო,
მალეო, გულთი მჭრიანო!

ქელში ნაქერო მათრავო,
მემრ ყანწო არაყიანო!
აწ სად ხარ, ჭევსურიშვილო,
გუნებით ლალატიანო.

131. სმირნაზე

ის დრო აღარ ას, წერილაო,
იქ რო ქალებსთან სწვებოდი,
დაღლევი ბოთლის არაყსა,
ძმობილო, გაღლოთდებოდი,
წახვიდოდ სანადიროდა,
ჯიჯვთ სიმაგრეში ხყვებოდი,
უკილოებდი ნიავსა,
ბერდენკას ექაღლებოდი,
ჯიჯვს თოფს დახკრებდი, მახკლებდ.,
გაქანდის, სიცილს ხკვდებოდი.
აქ ხყარაულობ სამძღვარსა,
იქაც მტერს უმაგრდებოდი.

ამაგის მალექსებელი
რუსეთ სმირნაზე ვდგებოდი,
რუსულ ქუქუნაკ ჩამაცვეს,
მნახებდი, გახკვირდებოდი.

132. მოვტუუვი...

მოვტუუვი და დევეწერე
პირველ მობილიზაციის ჯარს,
მე ვთქვი: ქალაქ ვიქნებოდი,
არ გავცდები ჩემსა მაზრას,
ჩამიყვანეს ბაქოშია,
მეძახოდნენ ნაპრავეს,
არც სახელო გააქნოო,
არც ჩახედო ამხანავს,
მაშინ გული ამომიჭდა,

ეს რა მომდის მე საწყალს,
ხელმწიფის გულისათვის
მავიწყებენ დედ-მამას.
მიკამანდრეს „ნაპრავა“,
მინდა შინაც გაპარვა;
მიკამანდრეს „ნალევა“,
მინდა ღვინის დაღევა;
მიკამანდრეს „ნაპლეჩო“,
მინდა თავი დამეხრჩო.

133. ნაობრანცს

უთხარით ბესარიონსა
დაბარებული ჩემია:
რუსეთით ქალაღ მავიდა,
ველმწიფის დანაწერია.
[გაბუურობით ეწერა,
ეგ ხო გვარია შენია?]:
„ჩამაიყვანეთ სალდათი,
თავადიშვილის ფერია!“
შენ წახოლ, ლაღო არწივო,
შენ წასვლა ჩვენდ ას ძნელია.
მავრჩებით ახალ-უხალი,
სრუ აღარაის ფერია.
მაგრამ შენ რას ინაუღლებ,
ღმერთმ მოგცნას დიდი ღღენია!
გახჯღები, ბესარიონო,
ჯარების აფიცერია,
მაგცემენ აფელატრებსა,
შენ ხყვანდა კამანდერია,
ჩიოდან უფროსებსთანა:
„სილა სკოდნივა ძნელია!“
ყავლს გაათავებ მშვიდობით,
შინ მახოლ უეჭველია,
ჩამოგყვას არხოტის ჯვარი,
ის შენთვი მწყალობელია!

ბევრ ატირდების ქალაი,
ის ძმობილები შენია,
ცრემლი წყალივით ზდიოდას,
ღღე ეგონების ბნელია.

—

მელექსეს თუ რას იკითხავ,
ნისლაურთ მაისტელია.

—

134. თეთრ-ქუდაები სარუსეთოდ

ღუჟეთ მთავრობამ შაყარა
ახალ სალდათის ჯარია.
აბეჩავ, ნაობრანცებოთ,
არა გვაქვს კაცის ყამია!
გადარჩეულვ ვაყები
სრუ სასალდათონ ყმანია.
თითო ას აგეთ-აგეთი,
აღვის ხეს უგავ ტანია.
შაყრილან სალდათები და
გამუდის ტოშის ჩქამია.
„ხვალ დილა წავალთ რუსეთა“,
გვიცხადებს კამანდარია.
გავიდეს საქეიფოდა,
თვალ-შუალამის ხანია,
დააღებიეს ღუქნები,
ძალად უმტვრიეს კარია,
ჩამაირიგეს ვაყებმა
ბოთლა-სტაქნების ჯარია.
თეთრად გაივლის ღამეი,
მოვიდა დილის ხანია.
ემზადნეს თენებაზედა,
ხთისა აქსენეს ძალია.
წავიდა სარუსეთოდა
თეთრ-ქუდაების ჯარია.
წალმა-ღ ჩახყევით, ღთის შვილნო,

სალდათთ უპირეთ მჯარია.
 ერთ საათს ვიჭე ციხესა
 ამაგის მალექსარია.
 დასვტყლიშე ოსის სტრაენიქსა,
 აბრუნდა როგორც ტარია.
 სიმირგვლივ შამატრიალდა,
 ვერ გაიმართა ტანია.
 წამადგა, გაჯავრებულმა
 შამამიქნივა ჯმალია.
 ჯელთ შემჩა იმის ხანჯარი,
 სპილოს უნათობს ტარია.
 გაება წარბის თავზედა,
 ეტყვის საწყინარ მჯარია.
 „ეგ გინდა, შარის გაზრდილო,
 რო ამიტეხე შარია.
 მე ვინ მოგიკალ, რჯულ-ძაღლო,
 ჩემგან ვინ გიწევს მკვდარია?
 წადი და აიქ იძიე,
 ვისაც მიგიღევს ვალია“,
 მიჩივლა ნაჩალიქსთანა,
 ყვიროდა როგორც ჯარია.
 ნაჩალნიკ დამიბრაცუნდა:
 „წევსურო, რად ხარ მცდარია?“
 — „რა მებრალეების, ბატონო,
 ორ რუსეთს მიმავალია.
 სტრაენიქსა, პოლიციელსა
 ჩვენთან ვინ მისცა ძალია“?
 სალდათნ სისხლის ტბად ვითვლებით,
 ორთ მეფის ტახტის ყმანია“.

135. სალდათობის მამგონელო

შენ გაგიწყდეს კალამიო,
 მერე კენჭის დამგრეხელო,
 იმ ჯარაში ჩამყრელიო,
 ამოვიღე კენჭი, მერგა
 ნუმერ მოკლეთ სათქმელიო.

ქართულად კი ხუმრებთ იყო,
რუსულ არ ვი რამდენიო.
მითხრეს: ტანთაც გაიხადე,
შემოიხსენ სარტყელიო.
სისქეზე და სიმაღლეზე
არ გამუელ ნაკლებიო.
ძერე გზა გამომასწავლეს
დუშეთისკე სავლელიო.
დუშეთში დიდრონ სახლებსა
ვერ დაუთვალე კარიო.
„ზანიატი“ გაქ, მიძახის,
შიგისკე გადამთარესო.
აქამდე ვიყავ გუგუტა,
ახლა კი გამომცვალესო.
აღარ მიშვებენ ქალაქში,
კიკამოც ამაცალესო.

136. საახალწლო მილოცვა სწორებს

პარასკევ გათენებადა
ვარ ფიქრის დანაქერია,
დამგონდ-მამგონდა ყველაი,
შაკეთეი და მტერია.
ჩამაგვირიგა არაყი,
შობრძანდა აფიცერია.
რუსულად გვადღეგძელებდა
ჩვენ როტნი კამანდერია.
მე მოგილოცავთ, სწორებით:
გათენდა ახალ წელია,
ნრავეალს დაგასწრნასთ უფალმა
და დაგიმარცხასთ მტერია!
ჩვენ სოფლის ახალ-ახალი
ყველა ერთუცის ფერია.
თავში თქვენ, ჭურჭაის შვილნო,
რას გამაგჩებისთ მტერია?

ნალხი გყავთ აჯაბრებული.
ნიჩეო, არაფერია.
ნჯრის ჭერა იცის მაგარი,
გვერდსა გყავთ მაისტელია.
აბეჩავ ნისლაურთაო,
ბევრა კი გაგითელია!
არ გჩების გაულაქავი,
ვისაც გააბი ჴელია.
ჯუგუათაო ბერდიაგ,
ჰე გამარჯვება შენია!
იცი ლამაზად ტრიალი,
პურქლებ რა გედგას ჴრელია.
არაჟ გაქვ გამაულევი,
ქერ გიძე ძველის ძველია.
გაითქვა, იონაშვილო,
ეგ მასპინძლობა შენია:
დღისთაო სწურავ არაყსა,
სტუმარ მაგიდის ბევრია,
ბევრჯელ მასმიე არაყი,
ბევრჯელ კი დამათვერია.
შე კი ქვეც ვერას მაკლებდრი,
ხარ მამის-ჩემის მტერია.
არ დამცილდების, სწორებო,
ეგ ინაბარი თქვენია.
ბევრა სიკეთე დასთესეთ,
ორ დიდად მადლობელია.

შევლებე წელწად-დილასა
ინით ჩონგურის ყელია.
ჯერ სადა? ბევრას ლექს გეტყვისთ
ბესარიონის ყელია.

137. სალდათის სიკვდილი
რუსეთში რა ამბავია?
ცოდო-ბრალი დგას ღვთისაო.

ვინ კვდების ადესაშია
საღდათი ჟელმწიფისაო?
ამირას გოცირიძესა
შენი დაეცა ცისაო,
უდროვოდ სწორებს მასხლიტა
ვაშკაცი ოცის წლისაო;
გასაოჯრებმა სიკვდილმა
ბრალი არ ნახა ყმისაო,
დაღალულს დააღალატა,
ხანი არ მისცა ცდისაო,
წაართომს არშავიანსა,
პატრონას წელთით ხცნისაო.
იგვლევენ გიანარლები,
ჯარი სტირს აფიცრისაო.
ატირდეს ქართველთ საღდათნი:
„ქირიმე ჩვენის ძმისაო!“
ჯაცი აღარ ხყავ პატრონი,
კარგად მამვლელი მკვდრისაო.
კარგად გაურთეს კუბოი,
შუა მართული ჯვრითაო.
მეტ იყვა საღდათებშია,
ჯარ გახყვა აფიცრისაო.
თუ მახკვე, ღმერთმა გაცხონას,
გულადად ბასრო ქვისაო!
თოფის მომქმარეე მკლავზედა,
მწოცელო ქისტებისაო!
შენ მოხკალ ქისტი ოთხ-ოთხი,
არ იყავ ოცის წლისაო,
გემუდარებით, ფრინველნო,
პირ გაიარეთ ზღვისაო,
უამბეთ თუშიშვილებსა
სიკვდილი კაის ყმისაო.
უთხარით გოცირიანთა:
„მეხი დაგეცათ ცისაო,
ამირა აღარ მაგივათ,
დარჩა გრანიცის პირსაო.“

მალოდინ ნულარ გექნებისთ,
ჩანი რა დადგას სთვლისაო,
შინ მადიოდას სალდათი,
დრო იყოს ახალ წლისაო.
ამირა აღარცად იყვას,
ვაი მემრბრალი ძმისაო“.
ბრალ კი ას, თუშო, არ იწვა
შენის ალვანის პირსაო,
გენატრებოდას ცრემლები
ქალისაი და ზლისაო!

138. სალდათის დანაბარევი

სალდათად ჩამამიყვანეს,
ნიჩაო, არაფერია!
რუსეთაც იტყვის ლექსებსა,
კაც თუ კი გამომთქმელია.
გავიდა გრანიცაზედა,
ნაწშირაულის ფერია,

ხუთ სატენიან ბერდენკა,
გილდი კაზიონ ბევრია.
იაპონიის სამძღვარი
საყარაულო ჩვენია.
რა ცუდად ვიყავ ავადა!
ეხლა კი გამოვძვერია.
არ მოკვდა არხოტიონი,
დარჩა იქავავ მთელია.
თორმეტი მყევანდა დობტური,
დაიდვეს სინის ფერია,
თან მოხყვებოდეს ფერშლები
ზოგ ახალ, ზოგი ძველია.
კოიკას მიკრავ დოსკაი,
ზედ გვარ აწერავ ჩემია,
ბოლოზედ ლისტი ფურცელი,
ნუმერ ასხავის კრელია.

შინ უნდა წერილ გავგზავნა,
არვინ ას წამამსვლელია.
„ვერათ წახოლ, ქალადო,
წღვთი გაქვ გასასვლელია,
კანვერტში უნდა ჩაგაგდა,
მარკა დაგაკრა კრელია.
სწორად უამბე ყველასა
დაბარებული ჩემია.

უთურგათ დავითს უთხარით:
„ნიკაბ დაგეწვა მტყელია,
სასიკვდილო რო მიქნიე,
კაცო, კაცი ხარ ბერია.
ჩვენიტ რო ჯმალი წაილი,
გან-თუ-რად იყო შენია?
გაყიდეთ, ჩაბაკაურნო,
არ შაგიქდებისტ გქელია,—
წელთ კი ვერავინ შაიბომთ,
ნაწშირაულის ფერია,
ტანში კარგად ას ნაქნარი,
ვადა ვერცხლიტ აქვ კრელია.
ვაი თუ ვერვინ უმქედრეთ!
არ მიგიწვდებისტ ჯელია.
იცის მტრისაკე ზიდილი,
იყო ძალიან მქრელია.

ჩემს ძმას ბაბუას უთხარით:
„კარგა გაკვებე ცხენია!
კარგა მიყურე ხანჯარსა!
ეჯანგებოდა წვერია.
სიზმარში სამჭერ გამიტყდა,
შიშიტ მწყდებოდა წელია.
დაჩვეულია, ვერ გაზძლებს,
თუ არ გამოზდის პერია.
იქავ მაუვას პატრონი,
მალ-მალ მაისვას ჯელია.
სრუ გამოვწმიდენ ჯალაფნი,

არ გაუწირე მტვერია.
სხვა კი არას-ვინ ამბობდა,
—ჯავრობდა მამას-ჩემია.

მარაიზძეთა თოთაო,
ღელა ვაცხონე შენია!
ხანჯარიც კარგად გიჭერებს,
რახან მაისვა ჴელია.
კაის ოჯახის პატრონო,
ღმერთმ მაგცნას ღიდნი ღღენია!
არაჲ გაქვე გამაუღვევი,
სუფრა გაშლილი გძელია.
მაგოდნის ინაბრისაი
მე ვერ ორ გადამქდელია.

თათარაი და ბაბუა
იყვენეს ღილღვლების მტერნია,
ნეთხაში სანამ ჩაეიდეს,
აღარ გაჭირეს მტვერია.
ცის ქუხილივით ამადის,
ერთუცს უქმობენ კლდენია,
სულეთს შავიდა ჩარგეზი,
არ შაიყოლა თერია.
რა შუაზე შვირს საწყალსა!
გაგლეჯილი აქვე წელია.
მარჯედ აღონებს ნაჭრევი,
თვალებით ცრემლის მღვრელია
ძალიან იზიდებოდა,
ვერცაით გამომსვლელია.
ველარაი ქნეს ნეთხელთა,
დადგა მეორე წელია.
ისრ კი ნულარვინ მოხკედლებით,
ვერ გამოიღოთ ჴელია.

გაჯალათასა გაგასა
რა კარგა ხჯდების წვერია!

შენ უნდა იყავ, ძმობილო,
ჯარების აფიცურია.
შაგვდებოდ აპელატრები,
იმასთან მწრები მტყელია.
წავიდათ პეტერბურგშია,
ადგილ გაწირე შენია.

უთხარით ჯემწიფიანთა:
„სიტყვა ისმინეთ ჩემია:
ფული მასჭერით ახალი,
ხალხს შამასწყინდა ძველია.
გაწირეთ საქართველოი,
სხვა მეფე გვინდა ჩვენია.
წინავაც ცალკე ვყოფილორთ,
ვერას გვაკლებდა მტერია.
სამეფო ერთუცს გილუბავს,
შენ ამბობ: „არაფერია“.
ხალხი ბუზივით ირევის,
მიწერ-მაწერა ბევრია.
აჩინდეს ბუნტოვშიკები,
მარჩომა შენიც ძნელია.
განა ვერ გაგვკრეტს ტყვიანი,
განა ხარ რკინის გრდემია?“

თაოდაც რუსეთ დამრჩალა
ამაგ ლექსაის მთქმელია.
ჩავარდას რუსის ჯელადა
თქვენი ღუშმანი, მტერია!
იქავ გამცილდა სიკვდილი,
სულლების ამომრთმელია,
თუ კიდე შემამეყარა,
ღლარც მავშჩები მთელია.

139. რუსეთში ჩამომიყვანეს,
სალდათი ვიყავ წლოვანი.

შორს მარჩა ჩემებ სწორები,
მწნენი და ლომ-გულოვანი.
კარგ იყავ, ჩვენო არხვატო,
მტრისათვი შაუპოვარი.
ზამთრის ჭალა გაქვ სავლელად,
ზაფხულის შრების კლდოვანი.

სუ მუდამ შინ მაუსვლელად,
დადიან მენადირენი,
მტრისად ზარის შამდებნი,
ჯიწვთათვი სისხლის მდინენი.
ბევრამ ვაჟმა თქვა მოსულმა:
„ქისტებ კი ავატირენი:
იკვდრები ერომანეთს ითრევდეს,
წამოვედ, იქ მოვწირენი“.

ბევრა ვაჟი ას არხვატში,
ბერდენკას ექაღლებისა.
თან კი მტერს მიზღვეს ლომ-გული,
თან ჯიწვებს მთებზე ხყვებისა.
ჯიწვსა თოფს დახკრავს, ჩააქცევს,
ვაცივით აგმინდებისა,
უაზრებს ჯიწვის თვალებსა,
თაოდავ დაღნანდებისა.

„ვაიმე. ჯიწო, რად მოგკალ?
სწორებს მოგსხლიტე რქიანი.
სიმაგრეებში ნადგომო,
ჯიწო, ჩვენსავით მტრიანი,
დამნანდა, ჯიწო (რა გიყო?)
შენის თვალების ბრიალი.
თოფი გესრიე, გაგება,
ტყვია ჩქარია ტიალი!

თაოდაც კი რუსეთში ვარ
ამაგ ლექსის ჩამომთვლელი.

აეხლად კი მომეწყინა
ეს ვაენი გოსპიტელი.
ვერ წამოვედ (შორადა ვარ),
რომ მენახა დედაშ-ჩემი.
მე შინისკე ვემზადები,
მგონე, არ ვლდგონივარ მთელი.

140. შორად რუსეთში ჩამავედ
არხვატით წამასულიო,
ლექსს ვიტყვი მწუხიარეი,
წველამ დამიგდით ყურიო.
გულს მიშინჯებდა დობტური:
„წვესურო, გტკივა გულიო“.
— მე გულს რაი მკირს, დობტურო?
— დობტურ ხო დტელთულიო.
ლექსი მიიღით არხოტა,
რუსეთ არ გამათქმულიო,
დასწყევლას ჩემ სალოცავემა
ამათ კანონი, რჯულიო!
ბიჭმიეთ ღალმისტიურსა
თაეის საკმელი პურიო.
იქავ მაუვა პატრონი,
მზას იყოს შაკაზმულიო.
-

141. ღელვა სღვაზე
რუსეთში ჩამასული ორ,
დავჯე, ქალადებს ვსწერაო.
სხო საქმე რა მიკეთდების?
მამაწადინა მღერაო.
რო ჩიტი გაზატხულზედა,
მაქცეული მაქე ენაო.
სხოდ კი კაია რუსეთა
ზანიატებზე დენაო.
წინ-წინ რო ზღვაში შავედით.
კინად დაგვლიენა გემმაო.

წაშინდეს კახის შვილები,
 პირჯვარს დაიწყეს წერაო.
 თავს ეუთხარ, დავღმე, დავღვედრე:
 „შენც არ გაგწირას ფერმაო!
 რა გარგა თავის სოფელში
 ჯენა-თესვამა და ცელმაო?“
 მერე გამავედ, დავხკივლე:
 „ზღვაო, გაწირე ღელვაო!
 პარახოტ არ წაგვიქცივა,
 რა დი-დიდს ტალღას სცემაო!“
 ბევრი მაგწერეთ წერილი
 ამაგის მალექსემაო:
 ეხლა კი მაგთხრით, მაგბზარავთ,
 თუ არ მომწერეთ ყველაო.
 სანადიროში დაზდილნო.
 ფეჩებს გაწყინათ კლდემაო.

—

142. რუსეთში არხოტიონსა,
 რუსულ ქუქუნაკ სცვავისა,
 რუსულა ქუდა დამხურეს,
 შუბლში ლიშანიც ხკრავისა.
 არ ხჯდების გასაოჯრები,
 — ეშხაის გრილოს ღგავისა.
 რუსეთ ბევრა კი გავიგი,
 ჯერ ხო არ მამიცლავისა?!
 ბევრა კი გამიჯავრებავ,
 ბევრისად გამიცვლავისა.
 დასუსტდა არხოტიონი,
 იმედ აღარ მაქვ მკლავისა.
 იქნება იქავ გამავერჩა,
 მეყვა რაც შამიძლავისა.

—

ამაგის მალექსებელი
 სრულ გოსპიტელში ღგდავისა,
 არცა-რა მარტუაი ორ,
 სხო ხალხიც ბევრი-ღ ხყრავისი.

143. ხელში ავიღებ კალამსა

ხელში ავიღებ კალამსა,
სახელს ვახსენებ ხეთისასა.
და შემდეგ სალოცავებსა,
ხატებსა ფშავეთისასა,
ღმერთო, ძაფიქრე კეთილი
წასულსა შორი გზისასა!
მაგონე კეთილ სიტყვები
ჩვენის ლამაზი ძმისასა.
ყური დამიგდეთ, გაიმბობთ
სიზმარსა სალდათისასა,
ტონე ქეშიკაშვილისას,
იქვე ჩვენ მეზობლისასა.
ტონე ლოგინზე დაწვება,
ძილს დაიძინებს მშვიდათა.
იმ ღამეს რასაცა ნახავს,
სულ გამოიტანს წმინდათა.
ბოლო ცუდი აქვს ტიალსა
იმ ღამეს ნანახ სიზმარსა.
დედასა ნახავს თინასა
და სახეს თავის ძმისასა.
დედა აკოცებს თავის შვილს
და მემრე-ეტყვის სიტყვასა:
— სად მიხვალ, შვილო, ტონეო,
შვილო, ამ მოკლე ხნისასა?
წახვალ და მოხვალ ველარა,
გულს გაახარებ მტრისასა:
იქ ვინ გაგითხრის სამარეს,
ან ვინ მოგაყრის მიწასა?
ეალერსება მშობელი,
მაგასთან იდგა დიდ ხანსა.
მიბრუნდა გაწბილებული,
ცრემლი სდის თვალებისასა.
ბოლოს თქვა: „ჩემთან მოგიყვან,
ალარ დაგარჩენ დიდ ზანსა!“

დილას ადგება ტონეი,
 ფერს დაიდობდა მგლისასა:
 „რა იყო, ნეტა რა ვნახე,
 რა მოსდევს ჩემსა სიზმარსა?“
 დადის, სწორებში ქეიფობს,
 ვაჟკაცი მოკლე ხნისასა,
 მაგრამ არ იშლის მაინცა
 სიყვარულს სწორებისასა.
 არტანს მოიღა ამბავი
 პირველ ენკენისთვისასა:
 „ლურჯ ბილეთიან აკრიფეთ,
 ცლა აღარ უნდა პრიკაზსა!“
 იღებენ ოცი წლიდანა
 ვაჟკაც ოცდაშვიდ წლისასა.
 — მშვიდობით ჩემო არტანო,
 ადგილო ნაპირისაო.
 ველარ თუ დაგლევე ცოცხალი,
 ცივ წყაროვ ჩვენი მთისაო.
 მშვიდობით, მამა გიორგი,
 ველარც შენ გნახავ თვალითა.
 ნურც მიგლოვ, ნურც რას მიტირებ,
 გულს ნუ გაიტეხ ჯავრითა!
 — მშვიდობით ჩემო პატრონო,
 ველარც შენ გნახავ თვალითა.
 მშვიდობით, ჩემო სწორებო,
 მივდივარ ჩემი ჯანითა.
 — ჩვენ რო ჩაველით ყარსშია,
 წყვდიადი იყო ღამისა.
 არცა ჩანს ერთი ვარსკვლავი,
 არცა შუქი დგა მთვარისა.
 მარტო ირევა ღრუბელი
 და ხმა მოისმის ქარისა.
 რო სტანციაში ჩავედით,
 მაშინა აქა დგებოა.
 უფროს გვიბრძანებს: „გადმოდით“,
 ტონეც აქ გადმოჰყვებოა.

არტანუში ნანახ სიზმარი
ტონეს აქ აგონდებაო.
ტონე აქ ერთ თვეს დარჩება,
მემრე ავადა ხდებაო.
ჯერ ტკივილ იგრძნა მუცლისა,
მემრე თავ ასტკივდებაო.
ზოდის, ჰკითხავდა შესტრიცა:
— რა გტკივა? — ეუბნებაო.
— გული ამტკივდა, შესტრიცავ,
ჩემი სანთელი ქრებაო.
— ნუ გეშიანიან, ვაჟკაცო,
გატეხით რა იქნებაო.
ვინაც გახდება ავადა,
განა ყველაი კვდებაო.
ზიდის და ტირის შესტრიცა,
ცრემლებს მიაბნევს ბევრსაო.
ატყობს, რო აღარ მორჩება,
ვაჟკაც არ ემეტებაო,
მერე მოიდა დობტური,
— რა გტკივად — ეკითხებაო.
— ყველაი მტკივა, დობტურო,
სიცოცხლე მიჰირდებაო.
დობტურ მოუტანს წამლებსა,
დალივე, — ეუბნებაო,
ერთბაშად დალევს წამლებსა,
თავს აღარ უფრთხილდებაო,
ან მომკლავს, ან მომარჩინას,
სიცოცხლე მიძნელდებაო.
დობტურ გაბრუნდა ისივა,
მალე აიღებს ხელსაო.
— მე მაგას ველარ მოვარჩენ,
მაგის სანთელი ქრებაო.
ტონე მაიკრეფს ლონესა,
ლოგინში გასწორდებაო.
კითხულობს საწერ-კალამსა
და ქალაღდს დასაწერსაო.

უნდა, რო რამე დაწეროს;
მაგრამ წინ უბნელდებაო.
მარჯვენა გააცივებია.
კალამი უვარდებაო.
ამხანაგს გადმააწვავდა,
— დააწერე, — ეუბნებაო.
— თუ ძმა ხარ, წერილ მიაწერე
გიორგის, მამაჩემსაო.
— ტონე მანდ ველარ მოგივა,
ქალაქ ყარსშია რჩებაო.
დაიძრა ყარსის მთა-ბარი,
კლდე დაეხალა კლდესაო.
საფლავზე იამც მოგივა
და ვარდიმც აყვავდებაო.
კეკლუცნი მოვლენ ფრინველნი,
ზედ ბულბულ შემოაჯდებაო!

144. ვარისკაცული

ზაპასად წამამიყვანეს,
ეხლა მეოთხე წელია,
მამაზე კარგა მინახავს
ის ოფიცერი ჩემია.
გამწერეს მეოთხე პოლკში,
დამხვდა ადგილი ძნელია,
წყალიც ხო ცუდი ყოფილა,
ის ოხრად დასარჩენია,
გამხალა და ბიძაშვილებო,
თქვენი ჰირიმე თქვენია,
გააგებინეთ დედაჩემ
ბიჭო, ამბავი ჩემია,
შავ ბილეთ გამოგეგზავნათ
მისი წაკითხვა ძნელია,
ძმას უნდა მავჭრა მარჯვენა,
მამას მოვწყვიტო წელია,
შენი ჰირიმე იოსებ.

სიყვარულ გამყვა შენია,
დაალევინე ძაბიქებ
შესანდობარი ჩემია,
იქნება შესახელადა
სანამ ცანი და მზენია,
უთხარი ჩემსა ყვევილსა,
იმედ ნულარ გაქვ ჩემია,
საცა გინდოდეს, იქ წადი,
ღმერთმა გიმართოთ ხელია.
გამამიგზავნე დედილო,
აქ უფრო მინდა ბევრია,
არშინზე ბინა გათხარე,
შიგ ჩადევ ყველაფერია,
დაგლევეთა მალლა ცის წყარო,
ცივად ნადენო მთისაო,
წავალ და დავიკარგები,
როგორც მასკელაფი ცისაო,
დაწყევლოს წმინდა გიორგიმ
კანონი ხემწიფისაო.
გაგვრეკენ გრანიცაზედა
სხვათა დედმამის შვილსაო.

—

145. მობილიზაცია

რას ხფიქრობთ, თუშნო, ჭევსურნო?
ახლა ომობის ხანია!
შაქუჩებულხართ დუევეთა
ქორ-შავარდნების ჭარია.
მალლა გადაქრნეს მასკელაენი,
ელვენ სიწმიდის ცანია,
პირი ემურვის მთვარესა,
აღარა ნათობს ღამია.
აღელვდა ქელმწიფეები,
შამაიჩქვიფნეს ზღვანია,
დაგზავნეს ტელეგრამები,
შაუქუჩებავ ჭარია,

ვშირ-ვშირად მადის პრიკაზი,
 რუსეთს დაადგა ძალია,
 დასტეხეს ჰაეროპლავნი,
 სისხლსა სწვიმს, ზედ კი დარია,
 შასწუხდა პეტერბურგია,
 ეგ რომანოვის გვარია,
 „უნდ დამეშველას,—ამბობდა,
 მთელ კავკასიის ჯარია“.
 ჯმა გატყდა მშავ-ჭევსურეთა,
 დგას იარაღის ჩქამია,
 მთას იქითლებიც მაუკლენ:
 „უნდა გიჭირათ მჯარია“.
 ნაპირის ადგილისათა
 უქრის ლემადის ქარია.
 მავიდეს არხოტივნები,
 ომში ნარჩენი ყმანია:
 ბერდიშვილთ, ოჩიაურთა
 გაბურთ ვაჟებიც სტანია.
 გააგებიეს კობასი,
 ხყავ თავის აფიცარია,
 „გაგვიძველ, ცისკარაულო,
 წელზე შაიბი ჯმალია!
 გიქადებსთ გამარჯვებასა
 დიდი არხოტის ჯვარია“,
 ჯევსურთ გიგაურ გამუძღვა,
 ჯარებს რო კამანდარია.
 ღალანგურ რა ამბავია?
 ცეცხლის გამაჩნდა ალია,
 ჯუთით მავიდეს ახალნი,
 წმიდის გიორგის ყმანია,
 ომის კარ გამარჯვებულნი,
 ვეფხვივით მეომარნია.
 თუშეთით გამაემართა
 ქორ-შავარდნების ჯარია,
 ცხენთა გადასხდეს რემათა,
 მახქრიან, როგორც ქარია,

ჯელში უქერავ თოფები,
 ფხა-ალმ შამბული კმალია,
 დაუკივლებენ ერთუცსა,
 გულ-დინჯნი, ომში ცხარნია.
 ნანობენ გაფრინდაულსა:
 „ზეზეა აღარა გვტანია“.
 შაქურჩებულა ღუქეთა
 თუშთ, მშაველთ, ჳევსურთ ჳარია,
 საომრად დამზადებულან
 მთაში ნარჩენი ყმანია.
 ბევრა დასწირავს ობლებსა,
 ბევრ გაქვრივდების ქალია,
 ბევრას გამახყვეს ოშკაცსა
 ტირილით დედა-დანია.
 ბილეთებს დაურიგებენ,
 ზედ სწერავ სახელ-გვარია,
 ყველას აძლევენ თოფებსა,
 გრანიციტ მონატანია,
 ხუთ-ხუთი ჩადის პატრონა,
 კვამლზე გაემბის კვამლია.
 მადლობას ეტყვის ჳელმწიფე:
 „მაგრად მიჳირეთ მჳარია!
 „ვინ მყავის, თუშნო, ჳევსურნო,
 თქვენ-ფერა მეომარია?
 წინაც თქვენ იყო სახელი,
 ეხლაც თქვენა გაქვთ ძალია“.
 შაქურჩებულთა ჳევსურთა
 ხყვების გუდანის-ჳვარია,
 ზერი კოპალა თვალს ავლებს,
 ენანებიან ყმანია.
 ჩამოხყვა .წყალს-იქითელთა
 დიდ-გორზე მამურთვალთა,
 თან ხყვების მშაველის შვილებსა
 დიდი ლაშარის ჳვარია,
 ბერმა სანებამ თუშებსა
 მარჯვნივ აართვა მჳარია.

გვერდს უდვას არსოტიკნებსა
დიდი არსოტის ჯვარია.
თუშნო, მშაველნო, ჳევსურნო,
ერთუცს უჳირათ მჳარია!
წინავაც ცოტან ვიყვენით
მტერმ ვერ შეგვართვა თვალია.
რო დანებრუნდებით, სახეთო ვჳნათ,
დავკლათ ჳარი და ცხვარია,
შამავეხვივნათ ხატებსა
შაურცხვენელნი ყმანია!
დავლიოთ შაშანდობარი,
ვინც იჳ დავგჩების მკვდარია,
ცოცხლების სამდღეგძელოი,
ვინც იყვნეს მეომარნია,
მეჳრ იმათ სამწყალობნელი,
ვინც მთაში მარჩეს ყმანია.
ჩვენი ნდობით და წამასვლით
ტიროდეს, როგორც ძმანია.

მელექსეს ვერას გაიგებთ,
საერთოდ ნაუბარია.
დამწერ ას ბ ე ს ა რ ი ო ნ ი,
არაყით გადამთვრალია.

146. სალდათოჯ დაბარებული
მარტუაია დამრჩალი
ლ ე ქ ს ო მთვრალის შვილია,
გადმავიტანე ფანდური,
აძრანდა როგორც სტვირია.
რა სალდათობა მახპირდას,
ვაშკაციისათვის ჳირია.
მეც იჳ ორ დაბარებული,
აბა რა გასაკვირია?
მამცემენ არშავიანსა,
წვეერში შტიკ-შამაყრილია,
— „იყარაულე, -- მეტყვიან,

— გრანიცების პირია“.
წუხრ დახულებენ სალდათსა,
გათენდა, ფეჭზე ხეირია,
უძილობისგან ბეჩავი
რა მარჯედ ყელ-შაჭრილია?!
მადგონდებიან ჯალაფნი,
თავისი დედა ტკბილია,
მემრე თავისი ლოგინი,
ხალიჩა-გამაშლილია.
სრუ წმიდად დადგონ-მადგონდა,
სადაც რო დაუძინია.
გაიმართების ომები,
სალდათებმ ყარეს წილია.
ვისაც ერგების წასვლაი,
პირში დაშჩების ღმინია.
რახან შავიდას ომშია,
რა მარჯედ ფერ-შაცვლილია!
ბეჭში დასცემენ შტიკებსა,
გულ იყოს გამავლილია.
ვინ შაიბრალებს სალდათსა,
გორებდას თავ-მოჭრილია?
ბევრა ვაჟ კვდების ლამაზი,
ბევრაის დედა სტირია.
რაჟე ცუდ საგონ გექნების
ომში მაკლული შვილია!
ბევრაის ქალ-ზალ ატირდა,
ცრემლით იბანეს პირია.

—
ამაგის მალექსებელი
ლექსო ჯეესურის შვილია,
ლექსის თქმას დიდ ხან რად უნდა?
საჩქაროდ ჩამათვლილია.

—
147. გერმანიის ომი
ამბობენ ხელმწიფეები:
„ბრძანება არის ღვთისაო“.

კახეთში ტელეგრამები
დღეში სამ-სამი დისაო,
„გვიშველეთ კავკასიაო,
ძალი დაგვადგა მტრისაო“.
გარეკეს გრანიცაზედა
საღდათი ოცის წლისაო.
მემრე მოკრიფეს ზაპასი,
გზა გაატარეს ზღვისაო.
ჰაერში აეროპლანები
დადგა, და ტყვია სწვიმსაო.
შავად იგლება მინდვრები,
ალი წევს ზარბაზნისაო.
იაკობ ცისკარაული
აფიცრებს, უყრის პირსაო.
— „ჩვენ ან რად გვინდა პრიკაზი,
ბრძანება ხელმწიფისაო,
ან აპელატებ რად გვინდა?
ჩვენც მოვეკდეთ, არა გვიშაო.
წინ წამოსულსაც ამბობენ
გერმანელ მეფის შვილსაო.
ეგ ან ტყვეთ გამოვიყვანოთ,
ან მეხი დავცეთ ციდანო.
იძახდა ცისკარაული:
„შვილი ვარ ხევსურისაო,
მომყევით, რუსთა შვილებო,
შიგ გადავიდეთ ხმლითაო“.
თან მიჰყვა თავის ჯარები,
ფეხში დაიძრა მიწაო.
მოგვირტყეს გერმანელებმა,
ნამტვრევ წაიღო ძვლისაო,
აღვის ხესავით წამოწვა,
არ ამააგდებს გმინსაო,
უჭირავს სისხლში გასვრილი
ხელში ნამტვრევი ხმლისაო.
ცალკე მოლობეს საფლავი
თორმეტის აფიცრისაო.

ზედაც სპილენძი დახურეს,
ნამ არ ჩავიდეს წყლისაო.
გაგზავნეს ტელეგრამები
გვარ-სახელ კობაისაო,
გულმაგრად შენდობა უთხარ,
დედაო აფიცრისაო,
მაგრ იცის მტერმა, დავითო,
მომკლავო ბათირისაო.

—
თუ რა მეღექსეს იკითხამთ,
ნათქვამი გრანჯაისაო

148. ათას ცხრაას თოთხმეტ წელსა
მკათათვის ნახევარშია
ამდგარან გერმანელები,
ავსტრიელები, სხვანია,
მიწა-წყალს შეგვეცილებიან,
რუსებს მოსვლია ჯაერია:
— გვიშველეთ, ქართლის შვილებო,
მოღით, მოგვეციო მხარია!
ზოგინა სამნი წავიდნენ,
ზოგინა-შვიდი, რვანია.
პირველად შაჯახებაზე
დადგა ზარბაზნის ალია.
მაშინ ერთმანეთს შეეხედეთ:
ვა, ძმებო ჩვენი ბრალია.
ბევრსა დარჩა დანიშნული,
ვერ დაიწვრა ჯვარია,
ბევრი ვაჟკაცის დედამა
ტანზე ჩაიცივა შავია.
მიჯნურებს ველარა ვნახამთ,
ველარც ზძალი და ქალია.
მივრეკეთ აზურგის ძირში,
როგორც რო საღეთო ცხვარია.
გამოიშალა თათარი
ის იმოტელა ჯარია,

დავსოცეთ, ბევრი გავწყვიტეთ,
როგორც რომ ცელმა ნარია.

149. ბრძოლის გელსე

ლექსის თქმა მწადის ერთისა,
ცალკე დრო არ მაქვ ცალია, —
არ გვაცლის გერმანიაი,
მტერმა შავიკრა კარია.
გრანიცას გადარტყმული ხყავ
მთელ კავკასიის ჯარია,
სისხლით მასვლილებ ვაყები,
ძველნი ერეკლის ყმანია.
ომობენ კავკასიელნი,
მთა და ბარს შეზდევს ზარია,
მტერს მიხყვებიან კვალზედა,
მკვდარზე შეყარეს მკვდარია.
უკენ არ იწევს ლაშქარი,
ქართველთ ვაყების ჯარია.
გვერდს უდგან მთისა არწივნი,
წეფხვივით მეომარნა,
მგელივით ეტანებიან,
შტიკებს გააქვის ჩქამია.

კვირაეს გათენებადა
სისხლსა სწვიმს, ზედ კი დარია.
ბევრას მეელის სიკვდილი,
ღმერთო, ქენ სამართალია!
გარმოწვა გრანიცაზედა
მძიმე გერმანის ჯარია,
მირგვლივ ზარბაზნებ დაღმართა,
ჯარს იმით გვიყო ძალია,
სუყველკნით გზები შავიკრეს,
არცაით საომარია.
აფიცრებ ჯარებს უვლიან,
დიდ უდგას საუბარია,

დვირბინით იცქირებიან:
„საით ავართოთ მკარია“
შასწუხდა გიანარალი,
ამრუნდა როგორც ტარია,
ჯარებს გადასცა პრიკაზი:
„ახლა ომობის ხანია“.
მარცხნივ ჩამადგა ყაზახი,
მარჯვნივ დრაგუნის ჯარია.
ნისლი დაიდვა კვამლისა,
აქუნდეს ზაობანაანია.
სისხლით იღება მინდორი,
მკვდარზე გადადის მკვდარია.
თოფებ სკებს, ჭმლები პრიაღობს,
ძირს სისხლისა დის წყალია,
ხვადებ დგებიან ტოტზედა,
სისხლზე უცურავს ნალია:
წითლად შეღებილ შუბები
ომობს ყაზახის ჯარია,
თითო ნასრევი ოცსა კლავს
გერმანის ზარბაზანია,
თვრამეტ ფუთიანს ტყვიასა
ჩვენ თავზე გააქვ ჩქამია.
მალლიდან ჰაეროპლავნი,
ტყვია სწვიმს, წყდება ჯარია,
გაწყვიტეს დივიზიები,
არ რჩება მეომარია,
სრუ სისხლით გადასვრილია
გრანიცის არე-მარია.
გაბრაზდა გიანარალი,
ჯარს მაუმატა ჯარია,
თან უკამანდრა ურავი,
სროლის აღარა ხანია.
„ახლა სჭირდების, ვაჟებო,
ვაჟკაცსა მკლავის ჯანია“.
აფიცრებ ჭმლებით შაიბნეს,
შტიკით სალდათის ჯარია,

დახკრეს დუხოი მუზიკა,
ჯარს მაუმატეს ძალია.
სალდათი გერმანიისა
ყონდად ეგების მკვდარია.
დაბრუნდი გერმანიო,
შენის გატეხის ხანია!
ბარაქალ კავკასის ჯარო!
კარგ-ა თქვენ ნაომარია!
წელთ იგდეს კაცი მრავალი,
ის გერმანიის ჯარია,
პულემენტი და პატრონა,
თოფი და ზარბაზანია.

ბევრ დარჩა გრანიცაზედა
ვეფხვივით მეომარია,
ბევრ ვაჟი მძიმედ დაჭრილი,
ბევრ უპატრონო მკვდარია.
ბევრა ინატრის მშველელსა,
ბევრს ღგონდებიან ძმანია.
ზოგებს ეღირსა საფლავი,
ზოგ ველზე რჩების მკვდარია,
ზოგ დარჩა ისეთ ალაგსა,
კაცის ვერ ხედავს თვალია.
ბევრაის დედა ქვითინებს,
ბევრს უტირიან დანია,
ბევრს გაუოწრდა სახლ-კარი,
ბევრნ სამ-სამნ გაწყდეს ძმანია,
ბევრმ გაიძლოლა უნცროსი,
ბევრა წელ-უყროდ მკვდარია.
ბრალი ას, წევსურთ შვილებო,
არ ჩინდას ნაომარია!
ომი არ იყო წმლებითა,
ალარ ფარობდას ფარია!
არ ერჩეოდათ ცალკედა
ვაჟები მეომარია!
ალარ იგების ნაცადი,

მკვდარზე გადადის მკვდარია.
მშვიდობით, მშაველ-წევსურნო,
ვინც ცოცხალი ხართ ყმანია!
ვინც დაშრით გრანიცაზედა,
ღმერთმა გაცხონასთ მკვდარია!
თქვენს სახელ მუდამ იქნების,
სისხლის აღინეთ წყალია.
ნუ დაიცილებთ, სწორებო,
საც შაიყრებით ჯარია!
დალიეთ შაშანდობარი,
ვინც ომში დაგჩათ მკვდარია!
გაწირეს თავის სამშობლო,
ძმათ გაგვაყარეს მჯარია.
მკვდარზე ნუ ჩახოლთ, ყორნებო:
მეომართათვი ბრალია!

—
რუსეთში ბესარიონი
ამაგის მალექსარია.
გამამიარა ტყვიამა,
მაგარ ხქონივა ქარია.
ვიაშბე წარა-მარადა,
არ-ა ლექსობის ჟამია.
ორ მარჯე შაწუხებულნი:
ომში დავწირენ ძმანია,
ველარ გავიგი ამბავი,
წერილ მივსწერე სამია,
აღარ მიდ-მადის ფოშტაი,
მტერს უქერიან გზანია.
შიგიში გადართულია
რუსი-გერმანის ჯარია,
მუდამ დღეს ზარბაზნები სქეხს,
დის სისხლის ალაზანია.

—
150. წელწად-წუსრა გრანიცაზედ
წელწად-შამაეს წუხრასა
ლექსი უნდა ვთქვა ახალი.

საწყალო ბესარიონო,
ხარ გრანიცაზედ დამრჩალი!
ველარცად ვნახე სწორები,
ლუდი-არაყით დამთვრალი,
ჩვენდ ქვე სად არის დღეობა,
ან ჯარი ჯვარში დამსხდარი?
ქუჩდების გრანიცაზედა
ჭევსურთ შვილების ლაშქარი.
ბევრ ვაჟ ას გულ-ჯავრიანი
აწ გრანიცაზედ დამრჩალი.
ჩივიან: „ყინავს ზატორსა,
ცუდი დაგვიდგა ზამთარი.
„ორთ რარიგს დროებაშია?
წელ გვითენდების ახალი“.
დღეს ბევრის დედა იტირებს
კერაის პირში მიმჯდარი.
ბევრაის ცხენი ჭიხვინებს,
გორებზე დგების ქაჩალი,
ბევრაის სახლში ხკიდავის,
პატრონს მაელის აბჯარი.
გამაგრდით, ჭევსურთ შვილებო,
აქსენეთ ღმერთი მაღალი!
იქნება კიდე გვეღირსას,
ვნახათ სამშობლოს მთა-ბარი.
ამაგის მალექსებელსა
წინ ბოთლა მიდგას ცამცამი,
არცა-რა მარტუაი ორ:
ამხანიგი მყავ ქავთარი.
ჯავრ მაგვდის ჭევსურებზედა,
უნდ დაუბარათ მართალი.
ბევრა ჭევსურა ავ-ჩაოს
ახლა კორშაში დამთვრალი,
ბევრა ქალ ელის ძმობილსა,
შინ ბოთლა უდგას ცამცამი.
გაგიწყრასთ გუდანის ჯვარი,
ვინც ხართ ბოთლით დამთვრალი!

ვინაც ჩუმად სომთ ბოთლასა,
ხართ გუდანურში ჩამძვრალი!
სრუ ჩაგეჟოცასთ წაწლები,
არ გაგიწირასთ ჰაჰანი!
გინება არვინ დაგვიწყათ,
— ას სიმთვრალეში ნათქვამი,
ცუდ სიტყვა არავინ გკვადრათ,
არ შაგვიგინათ წაწალი!

151. ჯარის მსედარი

სადაური სადა ვკვდები,
სად მითხრიან სამარესა,
ფშავეში გაზრდილ დაბადული
სხვა ქვეყნებში დამმარხესა.
ჩხუბი როცა მოუვიდათ
რუსებსა და ნემენცებსა,
იმ დროს ჩვენცა დაგვიძახეს —
ფშაველებსა და ხევსურებსა.
ომში უნდა მიეშველოს,
როცა უჭირს, ძმები ძმებსა,
სამშობლოსთვის ვიხოცებით,
წინ ვუღგევართ თავის მტრებსა.
ჩვენ აქ სიკვდილს არ ვინალვლით,
გეფიცებით დედის რძესა,
სიკვდილ ერთხელ მაინც გვინდა,
ვერვინ გვიხსნის მიწის მსხვერპლსა.
ოლომც მშვიდობიანობა
დავურჩინოთ მომავლებსა,
თუ არ გაველახვინებით
ჩვენს სამშობლოს მავნებლებსა.

152. სალდათის წადილი

აბეჩავ ქართველთ შვილებო!
ვაჟებ შალგვანან მგელსაო.

კარგად დახკვებვენ ცხენებსა,
თოფრით აკმევენ ქერსაო.
ქელს აქვის ბერდენკაები,
ავს ღლეს აყრიან მტერსაო.
თავს მავანებებ ამასა,
ძმაო, წავიდათ ჩვენსაო.
ქვევრებ ღვინით მაქვს საესეი,
არაყს მიგართმევ ბევრსაო.
იცოდა, კას ქალსთან დაგაწვენ
რომ შლიდას ყვითელს თმებსაო,
რომ ვერ ძღებოდა ნღობითა,
ხკოცნიდა, ეხვეოდა ყელსაო.

153. გადათხეული

ოჯერო წუთის სოფელო,
დრო გვილის თითო წლისაო.
ზოგს კი წაიყონ მალლადა,
ზოგს ჩამააგდებ ძირსაო.
საღდათში წამამიყვანეს :
გაზდილი მალლის მთისაო.
ზე თოლში მიდგას კრაოტი,
დილით ავდგები მზითაო.
ქვეც მყავის მოახლეები
.....
ლოგინის გებას კადრობენ,
მაბანიებენ პირსაო.
ქვეხაში ნურას ჩამიგდებთ,
ქვეხა მეც სხვისი მძულსაო. :
ჩემი ვაჟობით არა ვარ,
ძალი შამეწივ ხთისაო.
მაგრამ ბევრი მაქვ ბრუტადა
საგონი სხვა-და-სხვისაო.
მე სად ვარ გადათხეული,
ან სადაურის წყლისაო?
ან ძმა სად-რა მყავ გიჟია,

რას-რა ციხეში ზისაო?
ფრინველთა გადამმავალთა
წმა სწვდების ერთუცისაო.
როდისა-ლ ვნახავთ ერთუცსა?
გათენებამც ქნა ღლისაო!

154. სალდათში მიმავალ მძასა და
სწორ-ფერს

სირცხვილ-ნამუსი აღარ ას,
.....
მეორედ მიდის სალდათი;
ერთხელ ხო წინავე წავიდა?!
უგონთაო და ღვარძლაო,
თქვენ ხო მიუღით მაინცა!
უგონთა არას დაგიდევს,
ქაჩალ თუ ჯელში ხყავისა,
ცხენ თუ აღარ გყავ, ღვარძლაო,
გამაიცვალე მაინცა!
მე ხო უთქვენოდ ვერ გავძლებ,
წამიყვანილით აიქა!
რაქელი ქალი ვიქნები,
თქვენს წინ ქალალდი გავიგა!

155. წვრილას

აბეჩავ, ჩემო ძმობილო!
ნეტა, სადა — რა წევსაო?
რას ქვეყანაში გავიდა,
ქალალდებს საით გვწერსაო?
სა ჩაიჭაფრე, მკვეხარო?
მე იმედს ვიყავ შენსაო.
ველარცა გნახე გასული
თიბის სამშაბათს ღღესაო.
მოკლე ბერდენკა გასწორე,
ჯანგ ეკიდების წვერსაო.

მასწირენ სანადირონი,
ვინა-ლ გაიგებს გზებსაო?
ვინა-ლ აწვალებს ჭიქვებსა
მალლა საჭარის წვერსაო?
შენ სანადიროთ, წვრილაო,
ჩვენ ველარ მავხყრით ჯელსაო,
ვერ ვხყვებით, სიმაგრეშია.
— ჭიქვებ სულ-ფონა წევსაო.
ურჯულოს ედე ძალზედა,
ტერღას სთესებდი ჯერსაო.
ამბავი შამავარღების,
ვინა-ლ დაუხვდას მტერსაო?

—
ამაგის მალექსებელი
ამათხხაებს ცელსაო;
მჯართა მძე ქისტისეული,
მზე რა მავიდას ელსაო.
მტერ კი რას გამამჩიებოდა,
ღროს თუ შამავხვდი ჩემსაო?

156. მაკითხვა

რუსეთში ქრისტეს წუხრასა
დავჯე, ლექსები ვთვალეო,
გამავე, მთვარეს ავხენე,
ხვეწნი თავ შავაბრალეო.
რად არ მიამბობ ამბავსა,
არხვატს ჩახედავ, მთვარეო?
ვერ მამიტანეს ამბავი,
წერილებს ვემუდარეო.
ვერცა-ლ რა მაგან მამწერა,
ქელიმ-ხანს შამავსთვალეო.
შინშო, ჩემდ დიდო იმედო!
რა ცუდ ღროს გამეყარეო!
იმას გთხოვ, ძმაო მიხაო
მამწერე, დამიბარეო:

რაჭელი გქონდა ზამთარი,
რაჭელ დრო გაატარეო?
იქვე მაგიოლთ, სწორებო,
სამ წელ გაივლის მალეო.
დედასამც ნუ გაუზრდიორ,
დავდგა რუსებზედ მდარეო!
რაც გინდა დიდად მიჰირდას,
ერთხან ისი ვთქვა: „ვამე“ო,
აბეჩავ, ჩემო ფანდურო!
ბევრ ლექს კი დავაბარეო.
ბევრჯელ გაბტოლე, ლურჯაო,
დღე დაგაყენე მწარეო,
პირს გედვის მძიმე ლაგამი,
ოფლში რამთვენჯერ გბანეო.
ეხლა რუსეთში გამავედ,
დროება გამავსცვალეო,
წამკითხავს უძღენი მაკითხვას,
დამსწავლო, ქელი მამეო!
მშვიდობით იყავ მსმენელო
დროება გაატარეო!

157. ვაენი გოსპიტელში

დასწყევლას ჩემ სალოცავმა
ვაენის გოსპიტელიო!
რა ცუდად გამაბეჩავა,
რა მონა დამდვა ფერიო!
რუსების ზანიატზეით
ამატანივა ქელიო.
ზა კარგად გვიკამანდრობდა
ჩვენ როტნი კამანდერიო!
მინდვრად სასროლად ვდიოდით
პატრონა-უკლებელიო.
თოფისად არხვატიონსა
გასარულ ხქონდა ქელიო.
ეხლა კი გამაბეჩავა,

ეგრ გატყდას თქვენი მტერიო!
ორს კვირას მარჯედ შავწუხდი,
ვთქვი: „არ დავრჩები მთელიო“.
შინ ვერ მავსწერე წერილი,
— „იტირებს დედას-ჩემი“.
ღმერთმა გიშველას, დობტურო,
რამაც გვერდ დამიჭერიო.
თვალებს სინათლე მამეცა,
რა-რიგად მადლი ხქენიო!
იქავ მაუვა პატრონი,
ლურჯა როგორ მყავ ცხენიო?
იქნების გახელებული,
ზამთრის თუ ჭამა ქერიო.
მთაშიავ გამანათლების
მთვრალაის შვილის ცელიო.
დღეში სათიბლად არ მეყო
სამ დესეტიან ველიო.

—

ვაენი გოსპიტელში წევს
ამაგის ჩამამთვლელიო.
აგად ნამყოფის კაცისა.
ლექსობა არაფერიო, —
შათელილ აქვ მოავადესა:
ჰკვა მოკლე, ენა გძელიო.

—

158. შინისკე მზადება

რუსეთში არხოტიონი
რუსის ბძანებას ხყვებისა.
კამანდრის ჯელად ჩავვარდი.
თქვენ მტერიმც ჩავარდებისა!
წინ-წინ როტაში გამწერეს,
ჯარებ სმიზნაზე დგებისა,
უყურებს არხოტიონი,
წელთ გახკრავს, გახკვირდებისა.
ვის ერთს აულო სალამი?

სავესე ას კამანდრებითა.
გაგვლალვენ ზანიატზედა,
კამანდრებ გამოგვეყვებისა.
გვიკამანდრებენ სმირნასა,
ხესავით დავერდებითა,
დაწოლას გვიკამანდრებენ,
თოვლში, ყინულში ვწვებითა,
სავალსა ერთის დღისასა,
პირქვე ნაწოლნ გავექანდებითა.
საყელოშიით ჩამადის,
თოვლ გულზე დაგვადნებისა.
ხუთ-სატენიან ბერდენკა
სრუ თოვლით აივებისა.
მაგვლალვენ კაზარმაშია,
თან პურიც მაგვშიედებისა.
პურის საკმელად დაესხდებით,
არ გვეცალის, ვერ დავძლებითა.
პურს რად არ გვაკმევთ გვითხარით?
კაცო, რას გვემართლებითა?
გასწერენ გოსპიტელშია,
სალდათ რო აგმინდებისა.
ძნელია, რახან ამბობდან:
„მოკვდების, არ მარჩებისა.
დავკრათ, იქნება მაბრუნდას,
არ დავკრავ, არ იქნებისა“.
გვერდს გამიბედეს დაკრავი,
თავს დობტურ დამადგებისა.
თავის ძმებივით მივლიან,
დობტურს რო ფერშლებ ხყვებისა.
საწყალო არხოტიონო,
შორა რუსეთში რჩებისა.
მალდგონი, თავის არხვატო,
შამალობვილო მთებითა,
ჯიწვებო სიმაგრეშია,
ჯარო და ჯარო რქებისა.
თან მენადირე დაგყვებისთ,

ბერდენკას ექაღლებისა,
მაგიკილოებსთ ნიავსა,
მთხილობს, თოვლივით დნებისა,
ჯიჯვებ შასჩივლებს კლდეებსა:
„სრუ ცოდვით ვიკვებებითა, —
ბალახზე აღარ გვიტევენ,
ზოგ სიმაგრეში გვყვებისა.
კლდეზე ფიცარზე დადიან
წრიაპითა და ჯღნებითა.
გვერდალზე გადმაგვყვებიან,
ჩვენაც ძლივ გადავტვდებითა.
ამაჯდას დილის ცისკარი,
საწოლში შამოვტვდებითა,
მშივრები, დაღალულები
კლდის გრილოებში ვწვებითა.
შიშ რო არ გვექონდას გულშია,
ბერდენკა გამასტყვრებისა.
არ უჯერდებიან თითოსა,
ხუთი-ექვს დაგვაკლდებისა.
წვერზეით დაგორვილები
ქალაში გავიყრებითა.
აივსა მთელი არხვატი
ჩვენის ჯიჯვების რქებითა“.
ჯიჯვთ უკვირს: მენადირეი
როგორ არ დაბერდებისა?
მუდამ დვირბინში ცქერითა
თვალებს არ მოაკლდებისა?
დაბერდას მენადირეი!
თქვეს, — სრუ ღმერთს ვეხვეწებითა.
დაგვიახლოვებს, დავსწყევლით:
„დვირბინიმც გაგიტყდებისა!
იქავ თავისას არ იშლის,
ვა ბრალი ჯიჯვთა დედისა!
ამაგის მალექსებელი
შინისკე ემზადებისა

„მოვასწრობა, თუ მამასწრობს?“
ამ წერილს ემუქრებისა.

159. სუალკაზეღ

გიორგიობისთვე დადგა,
დილა გათენდა გრილია.
ახლა დაგითვლის ლექსებსა
კ ა ლ ა ტ ო ზ ა ი ს შ ვ ი ლ ი ა .

აქამდე იყო ზაფხული,
აწ შამადგომის პირია.
ტყემა დაყარა ფოთოლი,
ქალათ გაიბეს რთვილია.
მალლიდან ცხვარი, საქონი
დაბლა ჩამოდის, — თბილია.
იმღერენ მემცხვარეები,
ვითომ დღეობის პირია.

ქმა გატყდა მშავს და ქვესურეთ,
არაგვი ჩამოგვივლია.
ქუჩდების არსენალშია
თუშ-მშვეელთ-ქვესურთ მზირია.
„ომში ნურავინ გავტყდებით!“
მაგარ შავკარით პირია.
„ვინაც გავტყდებით და მოვკვდეთ,
სამოთხეც დაკვეთილია“.
როტნი კამანდირ გვეტყოდა:
„ხვარვინ ხართ, გატეხილია?
„ქალ არავინ ვართ, — უთხარით,
— ყველას ერთი გვაქვ პირია“.
მალედ ბრძანებას მოველით,
როგორც ობოლი კვირია.

მოვიდა ტელეგრამაი,
ქემწიფის დაბეჭდილია:

„დაგვეშველენით, ქართველნო,
ეხლა თქვენ დასთმით ძილია
მტერ რაღაც გადმოგვესია:
თურქი, ოსიფო გმირია,
მჯარს მისკერს გერმანიაი,
ვილგელმა კარგის შვილია.
ათას ფერ საომრები აქვ
გართული, როგორც სტვირია“.
ჩვენც შეუქციეთ მსახურთა
სიტყვა რჩეულად ტკბილია:
„რას გემართლებს მკვდარ-ძალდი?
ღმერთმ გაუწყვიტას წილია!
ნუმც გამოლრიდებს შინითა
სისხა და მუცლის ჰირია!
გაუწყდან ერთ კვირეესა
ცოლი, ქალი და შვილია!
შენც ბევრის ცოდოში ჩაზდგ,
მამას ჩაგიდნა ვირია!
ჩაგვყარენ სულკაზედა,
საცა გრანციის პირია.
ათ დღე და ღამე გვადინენ,
სამშობლო გაგვიწირია.

გავწირეთ ჩვენი სამშობლო
საამური და ტკბილია.
მამგონდას წუთის-სოფელი,
გმინს გამიყვების გმინია.
სად-რაზართ, ჩემებ სწორებო?
სადა-რა გაქვისთ ლხინია?
ჩვენ ვსხვევართ პოზიციაზე,
მიწა გვაქვ ამათხრილია.
მოვიდა შულამის დროი,
მოგვეკიდების ძილია.
მოველით გათენებასა,
ცამ რო გაალას პირია.
გათენდაც, ნახეთ თვალითა

ამოსავლეთის ჩდილია.
არცად-რა იყო ტყე-გორი,
მინდორ ას ატკრეცილია.
დურბინდით ცქერა დაიწყეს,
მტერი სრუ მირგვალ გვლევია.
თან გვიკამანდრეს ურავი,
თოფების ძგარა-ძგურია.
ზარბაზნის სროლა დაიწყეს,
ტყვიამ დაღბადა სულია.
მინდორმ დაიწყა ცხროობა,
პირს აგვეხვია მუნია.
მივდივართ, უნდა ვიძებნათ
ათიათასის სულია.
არვინ ას ჩვენი მჯარეი
ლეკი, თათარი, ურია.
ბევრ ვაშკაც დარჩა მინდორთა,
აქვ პირი დაღებულია.
აიმ დროს მიაც მამარტყეს
ტყვია, რუსულად პულია.
მეგონა შაშინებულსა:
შუა გამიყვეს გულია.
ორი დღე-ღამეს იქ დავრჩი,
წყალ კი ძალიან მწყურია.
მათარეს ილეინკაი,
ცხენებით შეკმაზულია.
მემრ ჩამსვეს მაშინაშია,
საფერჯეც გასაკვირია.

—
მოვედით ბალინცაშია,
ფარნებიც განთებულია.
ჩა დუღდა სამოვარჩია,
ლოგინიც დაგებულია.
ზედ დასახურიც მზად იყო,
თავითიც დადებულია.
ჯერ ხინა დამალეინეს,
მემრ ჩაი დაშაქრულია.

მეორე დილა გათენდა.
დაფიცებულა წყლულია.
მოვიდეს სესტრიცეები,
ჩემთვის შახვევა ღგულია,
შამხვიესა და ვერ შამკრეს,
სისხლი მდის ალანდულია.
მაშინ ვთქვი: „დაბადებისა .
ე ჩემიმც დღეი კრულია
სადაური ვარ? სად ვკედები,
აქ რა მაქვ დაკარგული?“
მაგ ტანჯვას ვაყავ საბრალო,
მთელი ვარ, ისევ სრულია.
თუ რას მელექსეს იკითხავთ,
მოსკოვში გამოთქმულია.
ქელჩი უჭერავ კალამი,
საწერზე გადასმულია.
წევსურეთს უნდა გახვგზავნა,
კანვერტჩი გამაკრულია.

—

160. ომისაი და ცდისაი

ლექსებ თუ გინდათ, მოხკითხეთ
ძ უ გ ა რ ა ს მშავლის შვილსაო!
უნდა მოვბეჭდო ლექსები
ომისაი და ცდისაო.
პოლიცელების ამბავი,
პრიკაზი მოგვიდისაო.
ქალაღლით შეგვატყობიეს
ამბავი რუსეთისაო.
შიგ დაგვიწერეს: „გვიჭერავ
მიჯნაი გერმანისაო.
სრუ აიქ გადაგვაყენეს
ჯარები წევსურისაო.
დღეს კი ისრევ ორთ ცოცხლები,
ხვალისა არ ვიცითაო.
ომ შავვიწდების აგეთი,

სისხლის წყალ გაივლისაო“:
ზოგს კი ვერა კლავს ტყვიად,
გვაშინებს გასაოკრები
გვაშინებს გასაოკრები
ერიპლავნები ცისაო.
ჰაერზედ გაატარებენ,
გომბები გარმადისაო.

—
თავ მავანებათ რუსეთსა,
ვიამბათ ჩვენის მთისაო.
ოქერი ჩვენი ადგილი
სათავეს იყო წყლისაო.
სრუ ყველკნით გადმოსაქედი,
ყველკან გზაია მტრისაო.
ახლა დათოვა წვერები,
გაჩერდა ომი მთისაო.
ცოტახან მოჰდა შაბაში
ჩვენი და ქისტებისაო.
გაზაფხულისა მოგვივლენ
ე ხალხი გრანიცისაო,
რუსეთში გადაფანტული,
მალლა დაზდილი მთისაო.

—
ჩვენა წაგვისხეს კარები,
გადავლა ღვულავ მთისაო.
შულამის დროზედ გაწირეს
ჩვენის ადგილის მიჯნაო.
„სამშვიდობოს გავედითავ,
ახლა აღარა გვიშაო“.
ჟმა გატყდა ნელა ხანჩია.
ხანი ას შუადღისაო.
მზე დადგა შუას ცაზედა,
წითლად გამობფენს პირსაო.
შაჩქარდეს შავნი არწივნი,
შავნი და შავის კლდისაო,

მთაზე შავდეს, იძიეს,
მოგელეს კვალი მტრისაო,
ქისტების გადაკვალული,
გათეთრებული ქვიშაო.
გამამართნეს კვალზედა,
რო ლემადეი ცისაო.
თავის სალოცავ გამოხყვა,
ჩამობოინდა ცითაო.
გადაიარეს წვერები
ქოთითა, სიცილითაო.
მადის და მადის მღვევარი,
ოფლით მაიბანს პირსაო.
მე წინ-წინაზე მეგონა:
თბე დაიშალა კლდისაო.
გულ მაკვდა, მუჭლი მამეჭრა,
უნდა დაებრუნდა გზითაო.
არ შააშინათ, ძალლებო,
მღვევარი თოფის ჭლითაო
არ დააბრუნათ უკუღმა
შამქდარი წვერის ძირსაო!
ბისნას გაჭურდა წორწილი,
გოშის ჯმა გამადისაო.
აქით ჩვენ, იქით ქისტებმა,
ბიბინ დგას თოფებისაო.
დაჯავრებულეზ ვაჟები
დაიბრუნებენ პირსაო.
„ჩვენის საქონის გულისად
ჩვენც მოვკვდათ, არა გვიშავო,
მანამდე უნდა მივზღიათ,
მანამ კვალთა მტრისაო.
ჩვენ ავათავათ ანდრეზი
იმ წინას მამ-პაპისაო.
ჩვენ თოფით როგორ ვერ მოვხკლავთ?
იმათ უკოცავ კმლითაო.
სავსე ყოფილას ღიღღოი
იმათ ნაჯოცის მკვდრითაო“.

ეგ თქვენის გამარჯვებისა,
თქვენის თოფისა, ჳმლისაო!
თქვენ სახელ არ მაიწყინათ,
გაჯავრებაი მტრისაო!
მე ქება არ მამწყინდების,
მე ვიცი ლეჳსის თჳმისაო.

161. კობა ცისკარაული

რუსეთით იწერებიან:
„ზღვა ლელავს, იქნევს პირსაო.
იბრუნებს პარახოტებსა,
წყალი ივსების მკვდრითაო,
დაბუგვა გაუბედავის
რუსეთის მიწა-წყლისაო“.
იწყინა რუსთ ჳემწიფემა
მიჯნას გადმოსვლა მტრისაო,
გაგზავნა ტელეგრამაი,
ჯარ მაითხოვა მთისაო:
„მიშველეთ, მშაველ-ჳევესურნო,
თუშნო, ნაქებნო კმლითაო!“
ქალაქჩი მაუვლენავ
ფუნჩათ დავითის შვილსაო
კობაი ცისკარაული
აფიცრებს უყრის პირსაო:
„ჩვენ კი რად გვინდა პრიკაზნი,
ბძანება ჳემწიფისაო?
ან აპელანტრებ რად გვინდა?
ჩვენ მოვკვდათ, არა გვიშაო.
ჯარს გამოძლოლილს ამბობენ
გერმანელთ ნეფის შვილსაო
ან პლენათ გამოვიყვანათ
ან დავსცათ მეხი ცისაო!“

თაოდ გაუძღვა ჳარებსა,

ფეჭჩი დაიძრა მიწაო.
გარდუდის გრანიცაზედა
ჯარი ქორ-შავარდნისაო.
ამბობდა ცისკარაული:
„მისვლა მეწადა ვმლითაო“.
ჯარიც არ ეტყვის უარსა,
„ქირიმე წინამძღვრისაო“!
ათამაშებდა ფრანგულსა,
ტანად ლერწამი ზღვისაო.
ეფინებოდა ზღვის პირთა
შუქი ნალესის ვმლისაო.
გარდადის კაცის თავ-ფეჭჩი,
როგორც ფათოლი ტყისაო.
მაარტყეს გერმანელებმაც,
ნაჭოჭ გაილა ძვლისაო.
ალვის ხესავით შამაწვა,
არ ამავადებს გმინსაო.
თელამ იმგვლია ქალაქმა
ბრიალ დგას აღმებისაო.
დაგზავნეს ტელეგრამაო,
სახელ-გვარ კობაისაო.
იწყინეს ქემწიფიანთა
სიკვდილი ფალავნისაო.
მლოდინ ნულარ გექნებისთ,
ფუნჩანო, კობაისაო,
ალარ მაგივასთ კობაი,
ლარჩა გრანიცის პირსაო.
მაკითხვა ალარ მაგივა,
ძმაო, ნაწერი ძმისაო.
ერთგან მოფარგლეს საფლავი,
თორმეტის აფიცრისაო.
ზედ გადახურეს სპილენძი,
ნამიც ნუ ჩავა წყლისაო.
სიმირგვლივ შამაუვლიეს
გალავან ზარბაზნისაო.
ოცდა-მესამე დღეია

კობაის ომობისაო.
ექირა სისხლჩი გასვრილი
წელჩი ნატეხჩი კმლისაო,
მარცხენას წელჩი ნაგანი,
მამკლავი ბევრაისაო.

ზოგ რასამ გონთით გამაეა,
ქება ვერ ვიცი ძმისაო.
წინავაც კარგი ჯმა ხქონდა
ფუნჩათ დავითის შვილსაო.
რო გრანიცაზედ გავიდა,
ვერ იყო ოცის წლისაო.

162. სისხლის წვიმა

ერთს კიდევ ვიტყვი სიტყვასა,
მოდით, დამიგდეთ ყურია!
რომენმ ასტეხე ოინი?
შენი სულიმცა კრულია!
არ მოგწყინდათა, ქართველნო,
რუსთ მეფის სამსახურია?
კაც მაგათ წელში ნამყოფი
სრუ დაწულ-დადაგულია.
ომში მიუდის სალდათი,
იწვების დედის გულია.
დაწოლილს არ ეძინების,
შვილი ხყავ დაკარგულია.
ცოდვიანი ხარ კემწიფე,
სუყველას გადასულია,
სრუ ფეწზედ გიდგას სალდათი,
საომრა დამზადულია.
წელში უჭირავთ თოფები
წვერზე ხიშტ-ჩამოცმულია,
წინ მიუძღვების აფიცერ
წელზე ჯმალ-შემორტყმულია.
კამანდრებ უკამანდრებენ,

რაც წესი სალდათურია.
გერმანიის ჯარზედა
ქართველთ ზე-მისვლა თქმულია
მაეიდა სისხლის წვიმაი.
ნამდვილად გაგებულია,—
გრანიცეებზედ მინდვრები
სრუ სისხლით შალღებულია.

ეხლა აქაურ გიამბათ,
ამბავი ჩვენებურია:
მტერი აღგომას აპირებ!
ოსმალოც დამზადულია.
წვესურთა ახალგაზდანი
სრუ რუსეთს გაკრეფილია.
ალარ გვაძლევენ თოფებს!
ხაზინაც დაკეტილია.
არშავიანებ ვიყიდათ
მივსცათ ხუთ-ხუთი ფური:
ამზადეთ ტყვია-წამალი,
ვისაც რო გაქვისთ ფულია.
აეხლა იქავ მაგვიდის
წინა წესი და რჯულია
ჯირიმებ დაიწმინდების,
რაც ღროთა გაუანგულია,
ფრანგულებ დაილესების,
ზოგ ფხაზედ გაჩალხულია.
ვაენო, რად გინდათ ნაქონი
ჩასაცმელ-დასახურია?
ან ვერცხლის დანა, სარტყლები,
ან ქუდი ყაზახური?
მზად გინდათ ტახტის თავითა
წულჩაი გაბანდულია,
ხვადი ეზოჩი ნაბამი
სრუ იდგას შაკაზმულია
ჩქარობდას ხვადის პატრონი,
საომრა დაჩაჩქნულია.

ამაგის მალექსებელი
სანების მაგანძურია,
წელში უჭირავ სურაი
არაყით გაცაძცმულია.
გადასომს სულ-უქცევრადა
საქვეყნო სადღეგრძელოა.
თქვენისა გამარჯვებისა
ლექს უთქვამს საზანდრულია.

163. ეშმაკის მოგონილი

თქვენც იყურეთ წინემური,
წედგენილი პოეტისა.
გამარჯვება, ძმა-კაცებო!
მე მგზავრი ვარ შორი გზისა
თუ მაისმენტ. მე გიამბობთ,
— მინდორთ ომი წინა ჟმისა
რამთენ ჳემწიფეებ ომოპ'
დრო მოვიდა სისხლისა
თავა პადრუჩკი დადიან,
არ აქვ დარდი სალდათისა.
გერმანია ეუბნების:
„ვარშავს პლანი ჩემკენ ჳროსა.
არ მამცემ, ძალი წაგართმე?
— ადგილია მამ-პაპისა“.
ჩვენ ჳემწიფემ უპასუხა:
„მითხარ. დაეკითხე ვისა?
მე ვარ რუსის გასუდარი.
ჳკვად მამყვანი ამაყის
ჯარები მყავ მაგოდენა,
რიცხვით ვერვინ დაითვლისა.
თუ არ სდგები. მე გიჩვენებ,
როგორ შეხკმაზებენ ვირსა“
გერმანიას ავსტრიო
ეხლავ მიეშველებისა,
გრანიცაზე ჳარებ უდგას,

შატაკებას მაელისა.
თურქიც მაგას ეშველების,
სიუზია სამის ძმისა.
გაჯდა სამი ამხანიგა
წტერი ჩვენის ჳემწიფისა
გერმანელებს რა უნდოდა
შამოგდება ვარშავისა?
ავსტრიას ეგე ეგონა:
„ღუბლონი მე დამრჩებისა“.
არ დადგებიან თათრები,
დაპრობ ლგულავ შავი ზღვისა.
ჩვენ ჳემწაფემ გაუგზავნა:
„ეხლა გაწყრა დედა ლეთისა.
მიაცა მყავ ჳოფაკები,
იმედი მაქვ დავლათისა.
არ იცნობთა ფრანკუზებსა?
არ გეგონოთ თქვენი ჳკვისა!
იაპონიის ჳარებიც
თქვენ ადგილში გარმადისა,
გაამაგრა ცინდაოი,
ეხლა მასვენებით ზისა.
თქვენთვი ყველა დაიფარა,
ღათვის სორო ძვირად ლირსა.
არც-რა მე ვარ თქვენებური,
თქვენთან ომი არა მწყყინსა;
ძალიან არ შევესწუხდები,
ფიქრი არ მაქვ შიმშილისა.
თუ გაქირდა, მოვა ძალა
შავი ხალხი თისის წყლისა,
მამივა ჳართველთ ლაშქარი,
ომ იციან ამლათისა.
მინდოროთ აგეთ ომ გამავეა,
მიწათ აადენენ ჳრილთა,
ჯერმანიავ, ამაიცან!
დიდი გაფთხილება გქირსა.
შენ კი უთუოდ მოგკლევდას,

გაუფთხილდი ვერცხლის ღილსა!“
რაღა ბევრი მაგაჟსენათ?
შაიზნეს და ჟაჟნი ჟნისა.
არც ყოფილა, არც იჟნების
არც ანდერძი ამაგისა.
ოთხთავ კუთხივ ზარბაზნები
საზარავი მკვდარ-ძაღლისა.
აგეთი აჟვ ყუმბარაი,
როგორც ლახტი გმირებისა.
გამაგვიჟდა პულიმეტი,
მაგონილი ეშმაკისა,
ერთ მინუტის ხანაზედა,
ათას პატრონეებს ცლისა.
საცა ხვდების სნარიადი,
ორ საჟენზე მიწას თხრისა.
ვისაც ხვდების, აღარ რჩების,
სრუ თავ-ფეჟი აღ-ჩადისა.
წითლა შაღებნა მიწანი,
წითლებ წყაროები დისა.
ბევრა კარგ ყმა მინდვრად დარჩა,
გაჟდა მონატური წყლისა,
აიწეეს და ვერ აღგების,
გულზე ნატყვიარი სჟირსა.
მაგის დედამ რო გაიგას,
ერემლით ჩამაიბანს პირსა.
ოჟრად დარჩეს ვინტოვკაი!
ერთ ნატყვიარ მეცა მჟირსა.
დაეგმინდე, რა მეშველების?
სირცხვილია ვაშკაცისა.

—
მელეჟსისას რას გაიგებთ?

ნათჟვამია საღდათისა.

თუ ვინ ჩემზე ვეჟ მაიღა,

— მასმა მგულავ ატკაზისა.

164. მსოფლიო ომში დაჭრილი

ვაჟა-ფშაველა არ დაზღვეს,
ხალხს რო აბუნტდა დღესაო.
დაჯდა, გაშალა ქალაღდი,
დაიდვა წიგნი, სწერსაო;
დაჭრილიმც ყველა მარჩების,
ღმერთიც მაუწერს ჭელსაო
შაზძახან, ეშველებიან
ხთიშვილნი თავის ყმებსაო.
თქვა: ვერ გავაჭრევ არზასა,
გოროდებ დაიკედაო.
დაოლნა! — მეუბნებიან,
— თორ გერმანია გვრევსაო.
წაგვართვა რამდვენ ქალაქი,
ჩვენაც ვანებებთ გზებსაო.
არ ეჩქარების რუსებსა.
ჯარებს ძალი აქვ ჩვენსაო.
ვინ ეტყვის გერმანიასა
ნიკალა გახვევს ცუფსაო
გიტყუა, დაგიმორჩილა,
ავსაც მაგაყრის დღესაო.
დაგიდგა, ეგრე გავრეკა,
მემცეხვარეებ რო ცხვრებსაო.
სა სწირავთ პაზიცვიასა.
ჭელით ნათხარსა თქვენსაო?
დაოლნა, გერმანიაო!
ძალა აღარ აქვ მზესაო,
ცოტახან მაინც მადროე,
ქალაღდ მივსწერა ძმებსაო.
რა ხანი არ მაუკითხავ
არბაჩხნელ-ჩარგალელსაო

165. სიკვდილი ფრონტზე

ომ იქნა სათათრეშია,
ღილა ბინდ თენღებისაო.

არ გარჩეულა ლიშანი,
 ჰეჰა დგას ზარბაზნისაო.
 მოციქულობენ ტყვიანი,
 ცეცხლს შლიან ბინდის პირსაო,
 კუმბარათ მააქვ კყმუტუნნი.
 გულო, სძალ მეომრისაო!
 „ქვე რა კი დილა თენდების!“
 ზევრ ვაჟ აყოლებს გმინსაო.
 ბევრი წევს სისხლის მორევეში,
 ჯულს ნატყვიარი სჭირსაო.
 საომრად თათრის შვილებსა
 ცდა ჯიშად მაუდისაო;
 წამადგეს გრანიცაზედა
 თოფებითა და ჯმლითაო,
 შამაეხეივნეს რუსეთსა,
 თოფი სჭეხს, ტყვია წვიმსაო.
 აფიცრებ ჯარებს ეძახან:
 „უშველეთ თავსა! პირსაო“.
 რაც იყო რუსის ლაშქარი,
 სრუ უკენ ბრუნდებისაო.
 მარტუა მანგიაშვილი
 თათრის სანგლებში ზისაო,
 შაუკრა კარი თათრებსა,
 დაიდვა ფერი მგლისაო.
 „ერთი დღე დაბადებისა,
 მეორე სიკვდილისაო;
 მამკლან, თუ მამკლენ თათრები,
 სახელ ხო დარჩებისაო!
 რაი-ღ ბერდიშვილ ვიქნები,
 თუ ჯავრი ვკამო მტრისაო?“
 თოფს ისრევს შილინდებურად,
 თათრებ ერთმანეთს თრისაო.
 ეეფით ჩადიან ყორნები,
 ძლებიან სისხლის სმითაო,
 შენს ნაჭოცს, მანგიაშვილო,
 მინდორთ ითრევენ მწკლითაო.

პატრონა გაუთავლები,
ახლა დაბრუნეა ჭირსაო.
ამანდით გამაბრუნვილმა
მუქლი მაიბა მგლისაო.
მაზღევენ თათრის შვილები,
ქება დგას თოფებისაო.
ჯარს ეძახს თათრის უფროსი:
„დახკარით! საქმე ჭირსაო, —
მარტუამ რუსის სალდათმა
გაგვანახევრნა ცდითაო“.
თაოდ დაბრუნდა ცოცხალი,
ჩვენგან კი არა სჭირსაო“.
მაურთეს ფულიმიოტი,
ტყვიას ტყვიაში სთხრისაო.
ქვა-კლდეთ ნათოზი წვრილასა
ზე თავზე, გადასდისაო.
ჭაუხტას გამაუფრინდა
მინინო კივილითაო“.
„ნუ მამღევთ, თათრის შვილებო!
მე გავე მშვიდობითაო“.
აფიცრებ ეუბნებიან:
„ღირსი ხარ ჯვარ-მედლისაო“.

მეორე დილა მასთხოვა
გრანიცა ავსტრიისაო.
თორმეტ დღე-ღამე იარა
საომრად რკინის გზითაო.
იომა სამ დღე-ღამესა,
ძღებოდა სისხლის სმითაო.
მეოთხე დილა თენდების,
დავლათი აღარ ჭრისაო.
მტერმაც ეგრ იცის, წვრილაო,
მჭოცელი ბევრაისაო,
ბრალ კია შენი სიკვდილი,
სიმაგრევე არხოტისაო!
შურის საძებრად იმედო

თავისისა და სხვისაო!
ნუ დაგცილდებით, სწორებო,
ნაცადი ვაშკაცისაო!
დალიეთ შაშანდობარი,
ჯარი რა დასხდათ სმისაო!
მშვიდობით, არხოტიონო,
შე ანგელოზო ცისაო,
სწორთ მეტობაზე მამკვდარო,
არწივო სალის კლდისაო!

166. მსოფლიო ომის დროს 1914—15 წწ.

დატოცილი არსოტიენები

ოქერო წუთისოფელო,
მიზნისარ ნელა-ნელაო.
ჯერ ისრევ ღამე ბნელია,
ზარბაზანთ იწყეს კველეაო.
ყუმბარათ მათქვეთ ჰუმუტუნი,
ჯარს გვეძახს: „მაგასწვერაო;
ნუ მიმაგრდებით, ლაშქარნო,
ბევრა სხვა გამითელაო,
მოვდივარ შეწუხებული,
ჰაერში მოვიმღერაო,
ხანდხან ერთმანეთს შეახედებით,
რკინათ გაგვაქვის ჟღერაო“.
რად სტირი ერთის დედაო?
რად იცი გულის ძგერაო?
არ დაივიწყა შეილისა
მაღ-მაღ მკლავების ზელაო.
სხვანიცა-ღ მაიგონნიდი!
ტირის ბევრაის კერაო.
ბევრმ სამის შვილის დედამა
კარ უკან გამაზღვენაო.
(ეგ ომში ნაუბარია,
ეხლა სხვან მავაბენაო).

მეხუთეს წელში ფანდურსა
 ლარნ ქვე ძლივ ჩაუსხენაო.
 დროებამ ჩამამიარა,
 გულს აღარ მიზდის ლხენაო.
 ოროლ ჩვენც გვაკლავ ვაჟკაცი.
 უკაცურთ გემართებს მღერაო.
 ძმაო თათუავ, სად დამრჩი
 მემრ გიგივ სვილის ფერაო?
 ნაცადი მამ-პაპურადა
 თქვენი გრანიცას სწერაო.
 ცტრისად მიმყოლებს ვაჟებსა
 სხვასაც ეგ მაუწელაო.
 ოთხ თვეს იომე, თათუავ,
 ვალ არ შაგირჩა ბევრაო;
 — ღირსი ორ სიკვდილისაი“,
 -- რო დახკრეს, ჩაიწველაო, —
 — ჩემის ვინტოვკის ტყვიამა
 მტერი ბევრ გამათელაო“.
 გვერდს გედგა ნაროზაული,
 სხვა ვერვინ მაგეშველაო.
 არწივმ გათხარა საფლავი,
 სიმღერით ჩაგასვენაო.
 რა მარჯვეი ას, ვაჟებოთ,
 მკვდრის ამხანიგის ცქერაო,
 მემრ თავის ჟელით დამარხვა,
 საფლავში გადაწვენაო!
 „მშვიდობით, ძმაო!“ ეტყოდა,
 ცრემლმ იწყა ჩამადენაო.
 „შენ კი დაგმარხე, გაბურო,
 მე იქნებ დავრჩა ველაო“.
 მემრ მიუბრუნდა ლაშქართა
 ვინტოვკა გააცხელაო.
 ამლაში, მანგიაშვილო,
 ჭაუხებმ დაისვენაო.
 ჭიწვთა, სიმაგრეს ნადგომთა,
 ეფლარცად მაასწვერაო.

რად სწევხარ ავსტრიაშია?
„მოვას“, — მოგელის ყველაო.
შენ გაგიტყუეს ომშია,
ურჯულომ მაგვიწვერაო.
ჩუნითია ვ, ჭირჩლაის შეილო.
გულ-რკინავ, მშავლის ფერაო,
შენ სიმამაცე, გრანჯაო,
სათათრის ფრონტზე სწერაო.
თქვენებს საფლავებს, ვაჟებოთ,
მზის შუქ სადა-რა ხფენაო!
შეგამკობსთ დილის ნიავი,
ია-ვარდთ ამადენაო.
მამეტებულად წვრილასა
გულს დარდი აწევს ბევრაო.
ინატრის არხოტიანი:
„სამს დღესამც გამამთელაო,
დამალაკვივა ქისტეთი,
შემრ მამკლა, დამასვენაო!“
ნუ ასჩქარდები, წვრილაო,
ზან არ გასულა ბევრაო.
შურის საძებრად მგლის ლეკვთა
საველოდ უდგას ღრენაო.
შასწირეს ოროლ სამ-სამი
ლილღველი პირ-შიშველაო.
ვაშკაცს არ ხჯდების, ვაჟებოთ,
თემ-წყალში თავის ჩენაო,
სოფელში სიმამაცეი,
ურქო ფურივით ბღვერვაო.
ვინაც ას დედის გაზდილი,
უყვარს წვერებზე მღერაო,
რჯულიან-ურჯულოშია
არ დავა თავ-შიშველაო.
შურის საძებრად მოყმემა
გრანიცა გადახენაო,
წვერი-წვერ ჩაითამაშა,
წრიაპებ ჩააღერაო,

თოფ დახკრა, ხანჯრით ჩავიდა,
მტერს ეძახს: „წახვალ ვერაო!“
სისხლსა სომს, გამაბრუნდების,
თავს ეტყვის: „დავითვერაო“
წითილი-მთი შამაბოინობს
არწივი მწარ-ტიტველაო.
არ მალგონდების მღვეარი,
არ იცის უკენ ცქერაო.
ეგ თქვენის გამარჯვებისა,
ყისაც რო მოგწონსთ ლხენაო.
ამხიარულებთ ერთ-სხვასა,
გიყვარსთ ბერების სმენაო.
გამხიარულდით, სწორებოთ,
დიდი და ცოტა, ყველაო!
დრო გაატარეთ, არაყი
დალიეთ ნელა-ნელაო!
წუთისოფელში ვაშკაცსა
დიდ-ხანს არ აქვის ლხენაო;
დრომ მარჯვედ იცის, მოვალის
სისხლის ნიაღვრის დენაო.
არ-გონებაში წაიღებს
ვაშკაცს ბედია წერაო.

—
ჭიმლაში ბესარიონი
ამაგ ლექსაის მთქმელაო.
ვინ-გინდ კვეხაში ჩამიგდათ,
ყველას სიმართლით ვსწერაო.
ჩემთა მამ-პაპათ ჭირიმე!
მიყვარს მე იმათ სმენაო.
სახელიანებს საფლავებს
გულ-დიდად გადავსცქერაო.

—
167. რუსეთში რა ამბავია?
ცოდო-ბრალი დგას, ღთითაო.
ვინ კვდების გრანიცაზედა
ვაშკაცი ოცის წლისაო?

ვის სჩების უპატრონოდა
ჩინები აფიცრისაო?
ვინ იქნისი ჯვარსა, მერდალსა,
რო გიანარლებ სტირსაო?
ვის უდგმენ ვერცხლის კუბოსა,
ზედ რო რთვენ ოქროს ჯვრითაო?
იქნების ცისკარაული,
ლალი არწივი მთისაო.
ზრალია, დავითაშვილო.
მიწას გითხრიდან გრილსაო.
სამშობლოს ეთხოვებოდა,
შე ფალაევანო მთისაო!
თქვენ გერმანიის ლაშქარნო,
ძალი გაგიწყრასთ ღთისაო!
თქვენ მაგვიკალით კობაი,
ნაპირ დაგვეციოთ ცისაო.
მინდა რო მეთქვა, — ვერ ვიტყვი,
— საფერი კაის ყმისაო.

—
მავიდა გერმანიი,
მოდგა გრანიცის პირსაო,
ემუქარების რუსეთსა,
ჯარ მძიმე მაუდისაო.
აქ რუსის გიანარლები,
ყამი არა აქვს მტრისაო.
დაუახლოვდეს ერთუცსა,
ძალი აქსენეს ღთისაო,
შაიბნეს შუა დღის დროსა,
პეხა დგას ზარბაზნისაო.
ჯარებ ერთუცში მივიდა
შტიკებითა და ჯმლითაო,
დახკრეს დუხოი მუზიკა,
წესი ას რუსებისაო.
ჯმლით ომობს ცისკარაული,
არწივი მალღის მთისაო,
მამად მაუდის სახელი,

რაჟე ლამაზად ცდისაო!
 კამანდრობს თავის ლაშქართა,
 წინ მიუძღვების კმლითაო,
 მიხკივის გერმანიელთა,
 ეგების ყონდი მკვდრისაო,
 არ ღრიდებს მტერთა ტყვიასა,
 მგლებურ იბრუნებს პირსაო.
 „მამყევით, ჩემო ლაშქარო,
 ვისაც გული გაქვთ ცდისაო!“
 წამაიხვივა მირგვლივა
 ჭარი ნაჟოცი მკვდრისაო.
 არ ტყდების გერმანიი,
 ჯარ ჯარზე მაუღისაო,
 ხველენით ზარბაზნებს ისრევენ,
 თოფი სჰეხს, ტყვია წვიმსაო.
 იაკობ ცისკარაულსა
 ტყვია დაგვიკრეს გმირსაო.
 ჰეხა დაიწყო ზეცამა,
 იტყვი „გვეცემის ძირსაო“.
 ატირდა დედა-მიწაი,
 იხევის, აღებს პირსაო,
 იწყინა მზემა. დაბნელდა,
 მასკვლავი ჩამადისაო.
 იგვლევენ გიანარლები.
 ჭარი სტირს აფიცრისაო,
 გაიგეს თავადისშვილთა,
 ცრემლით იბანენ პირსაო.
 ყველა მისტირის მოყმესა,
 ცოდო-ბრალი დგას ხითთაო.
 ყველაის საწყინარია
 სიკვდილი კაის ყმისაო,
 ეგრე უდროვოდ დაკარგვა
 ოცის წლის აფიცრისაო.

აწ მაკვდა მთელი არხეატი,
 მალლა წვერები სტირსაო.

აღარ ხყავ ცისკარაული,
სიმაგრე არზოტისაო.
ვინ გაგვიძღვების ლაშქართა.
რა ძალ დაგვადგას მტრისაო?
გმირო, სად მიხოლ, კობაო,
ბრალ აღარ გაქვეა ძმისაო?
ახლა დიმიტრიმ რაი ქნას,
ვინ დაიყენას მჭრითაო?
ვისალ უამბას ამბავი:
„ძმას იმედი აქვ ძმისაო?“
დამ რო გაიგა საწყალმა,
ნაჰაპნ ჩამუდინ თმისაო.
დედ-მამან არას დაზღევენ,
არას ხყვარობდეს შვილსაო.

სულეთ შავიდა კობაი
ქელში შიშველა ჯმლითაო.
წინ დახვდა ჯარი დამსხდარი
ის თავის ნაჯოცისაო.
წამაეგება მოყმესა
ვაჟები წინი უმისაო,
ის ჯირჩლა ბაბურაული
ეხვევის, ხკოცნის პირსაო:
„აეგრ ვიცოდით წინათა,
ვჯოცდით ლაშქართა ჯმლითაო“.
სათავეს გადააჯღინეს,
ოქროს სკამს უდგმენ გმირსაო.
ხკითხვენ ომობის საქმესა:
„ამბავ გვიამბე ცდისაო!“

თუ მახკვედ, ღმერთმა გაცხონას,
ჯულითად ბასრო ქვისაო!
წინ გაიძლოლე ჯარები,
ჯავრი არ სკამე მტრისაო.
შენ სახელ მულამ იქნების,
ტყვიათ ეომე ჯმლითაო.

მშვიდობით, ცისკარაულო,
შე ანგელოზო ცისაო.
სახელისათვი მამკვდარო,
ჯადგება სვეტი ხთისაო.

ამაგ სიტყვების მათქვამი
ვიყავ გრანიცის პირსაო,
ვხედვედი ჩემი თვალითა,
ჯარხ-რო მისთიბდა ჯმლითაო.

168. ათას ცხრაას თოთხმეტ წელში
დაგვიბნელდა მზეო,
საშინელი ომი ატყდა
მთელ ქვეყანაზეო.
ომში ბევრი წაიყვანეს
დედისერთა ძეო.
სიცოცხლე ბევრმა დატოვა
უცხო მიწაზეო.
იმათი ქამარ-ხანჯლები
დღესაც უქმად ძევსო.
ოჯახქორო ნიკოლოზო,
შენ ქოხ დასაქცევო,
ან ხალხს რატომ არ იბრალებ,
ან სისხლს რად აქცევო.
ერთი დრო შენც დაგიდგება,
რომ ჩაგივა შზეო;
მშრომელ ხალხის რისხვას მაშინ
სად გსურს გაექცეო?

169. აგიტირდება გულია
ვისაც არ ესმის, არ იცის,
რა არის სამსახური, —
იცოდე, როგორ გვახრჩობდენ,
აგიტირდება გულია.
წამს ვერ დავუდები გემოზე,

წონით რომ მივსცეთ ფულია,
ვკტებით, არაღინ გვიჭერავს,
თუ არ ამოგვხთა სულია.
ვინ დაგვაწვენს ჩვენს გემოზე,
ვინ დაგვაცლის დაძინებას,
ძალით გვაგდებენ საწოლში,
არ გვაძლევენ ძილის ნებას,
ცხვირ-პირში გვცემენ ყაიშეფს,
გვაგინებენ მშობელ დედას,
დაგვაწყობენ ერ „მესტაზე“,
„სმორტი“ გვაყენებენ ყველას.
„სმორტი“ რას ქვია, ავიხსნი,
მკითხველო, მიგდე ყურია,
ტანისამოსქფს გაშინჯვენ,
არ იყოს დარლოულია.

ხელ-ფეხზე ფჩხილი არ ქონდეს,
იმაღ იყოს განხუჭულია,
თუ ის „სმორტი“ გაკლია,
გინდამც არ გედგას სულია.
ყველაფერს რაფერ გუუძლეფ,
იგი მიტეხს კაკალ გულსა,
ვოცი წელი ვიარები,
დღეს ვსწავლულოფ სიარულსა.
რაც პორცია გვეძლეოდა,
აღარა გვაქ ნახევარი,
სუბი ისეთი გვეძლევა,
ერ ჰამს წუწკი მეძებარი.
„სუხარია“ მატლიანი,
დამპალია, თანაც მყრალი,
დაგვასუსტა უკმელობამ,
სულ დაგვისკტა ზურგის კანი.
ქაფშიე ბორჩათ ხმობილი
თუ ვინმეს გაუგონია,
შიგნით კაპუსტოს ურევენ,
ერთი წლის მოყინულია.
მყრალია ზედმიწევნილი,

ვერ ჭამს მშვიერი ღორია,
მანათნახევრათ ჯარს აძლევს,
ძვირს ხარჯავს ნეფე მგონია.
არ გვეჭამა, დაგვეთმინა,
ალარც მისი იყო ნება,
ღმერთმა ყველას აგაშორეთ
ამნაირი გაჭირვება.

170. ომმა დაგვჩაგრა ბიჭვბა
მეგობრებო, მსურს რომ გითხრათ
ჩემზე სიტყვა ვორიოდე,
ნეტაი ვიყო ბედნიერი
და სხვა ბედს არ შევენატროდი.
ჩემისანა უბედური
არ იქნება ქვეყნათ კაცი,
ყოველი კაც ბედი წყალობს,
მშრომელია თუ ზარმაცი.
რა ვიცოდი ბედის ნაცლათ
მე თუ ჭირი მომელოდა:
თურმე ჭირთა და ვიხრათა
თელი დროი მზადდებოდა.
პირველი უბედურება
თავზარდამცემი მეხია,
ეს იყო ომი მსოფლიო,
სადაც მომტეხეს ფეხია.
მის მერე რაღა სიცოცხლე
იმედი დაკარქულია,
დავშორდი ტურფა ცხოვრებას,
ვერ დევეწვი, ტყულია.
წინა გზავრს ჩამორჩენილი
გზავრი არა მყავს ტოლია,
ომმა დაგვჩაგრა ბიჭვბი,
ჩემი მჩაგვრელიც კომია.

171. მეფის სალდათობა

წუხელა ვნახე სიზმარი
დილა რომ გათენდებო,
ყველა სალდათში მივდივართ,
აბა, შინ ვილა რჩებაო!
ომი გახურდა ფიცხელი,
უერთოდ აღარ დგებო,
ბევრ ვაშკაცს ახლავს ტყვიანი,
ცუბეში გუბე დგებო,
აიწვეს ასადგომადა,
მაგრა ველარა დგებო,
სულსა ლევს უწადინოდა,
სამშობლო ენატრებო.
თავს დასტრიალებს ყორნები,
სულ როდის ამოხდებო,
თვალთ დასთხრის უჩქერებელთა,
ველარა ნახავს დედაო,
ბევრისა დედა შეხდების,
ტირილით საფლავზედაო.
ქერ ნაქამ აჯილდასავით,
შინ ჯალაბთ აღარ ხდებო.

172. მსოფლიო ომი დაიწყო,
ყველანი ჩვენი მტერია,
გვებრძვის ოთხმოცი ხელმწიფე,
მაგათ დახვედრა ძნელია.
მობილიზაცია დაიწყეთ,
ხელმწიფეს მაუწერია,
აქრიფეს ზაპასნოები,
ომში გაგვრეკეს მთელია.
ყარსის იქით გაგვრეკეს,
დაგვხვდა აბზურზე მტერია.
გვესრიან გერმანელები,
გადმოდის ტყვია ცხელია.
ბევრს დარჩა ცოლი ქვრივადა,

ობლები ასაზრდელია,
 ატირდა ბევრების დედა,
 თვალზე არ შაფშრა ცრემლია,
 ჩალის ციხიდან ამბობენ,
 მიხაიცი გაუწერია.
 ნამსახურია დრაგუნში,
 ზაპასნოია ძველია,
 გაგზავნეს რაზვეჩიკადა,
 შაკმაზა თავის ცხენია.
 არ გაავლიეს ბევრი გზა,
 მოუკლეს მიხას ცხენია.
 ხო იცით რაზვეჩიკოვინა
 პირველი ტყვია ჩვენია,
 დახოცეს ამხანაგები,
 მე კი მამიკლეს ცხენია.
 მივდივართ ატაკაზედა,
 მოვიდა ჩვენი ჯერია,
 ჭავჭავაძეა დავითი,
 მაგისი ხმალი მჭრელია.
 წავედით აჩქარებითა,
 ორ ვერსზედ იდგა მტერია,
 ვინაც იმ ბრძოლას უყურა,
 ოი, რა საშინელია.
 ვაჯობეთ გერმანელებსა,
 ბრძოლა კი გვეჭონდა ძნელია,
 ჩვენც მოგვცეს დიდი ზარალი,
 მსხვერპლი დავეარგეთ ბევრია.
 ორმოცდაათის კაცისა
 თორმეტნი დავარჩით მთელია.
 სხვები დასჭრეს და დახოცეს,
 ატაკა გვეჭონდა ძნელია,
 ახლა თურქები მოდიან,
 ამბობენ ყარსი ჩვენია,
 კავკაზის კავალერია
 აქ გადმოგვრეკეს მთელია,
 სხვები დასჭრეს და დახოცეს,

ატაკა გვექონდა ძნელი.
 იქ არის ბარათაშვილი,
 გენერალია ძველია,
 კაზახები ყავ გვერდითა,
 კარგი ყმანია ბევრია.
 ჩქარ ზარბაზნები დაუდგეს,
 პულიმოტები ბევრია,
 ეგრე ხოცავდნენ თურქებსა,
 სუ იქ მიბუგეს მთელია.
 დაუპატიჟელ სტუმრებსა
 დაუხვდით მასპინძელია,
 მაგრა ძლობაზე ვაჭამეთ
 ზარბაზნის ტყვია ცხელია,
 ხუტმეტ წლის დასაწყისიდან
 დრაგუნ კაზახზე წერია,
 ეხლა ვარ არტილერისტი,
 ზარბაზნები გვაქ ჩვენია.
 რვა ვერსზე ვესვრით თურქებსა,
 დავხოცეთ ბევრი მტერია,
 ჩვენ გვანსოვს ადრინდებული,
 ისტორიაში წერია:
 თურქმა და ირანელებმა
 სულ აგვაოხრეს მთელია,
 ქალი და რძალი ტყვედ მიჰყავთ,
 ვინაც კი მაჟონთ ჩვენია.
 ლეკებსაც ნადავლი მიაქვთ
 ქართლისა ყველაფერია.
 იქიდან გაჯავრებულმა
 ეხლა ვიყარეთ ხელია,
 გავრეკეთ ხანაიდანა,
 იქ დარჩა ყველაფერია.
 დიდი ხან დავრჩი ომშია,
 დიდხან გვებრძოლა მტერია,
 ხო იცი მეომრისათვის
 არ არის კარგი დღენია.
 ბევრჯელ სიცივე გვადონებს,

ბევრჯელ შიმშილი ძნელია,
თავს ვიკლავ სამშობლოსათვის,
აქ არ მოუშოთ მტერია.
ომში და ლეგარულ ჯარში
გამიხდა ათი წელია,
მეომარი კარქი ვიყავ
და მქონდა კარგი ცხენია.
ხმალსა ვხმარობდი გმირულად,
გავაკაფინე მტერია,
ეხლა კი მაგრა დავებრდი,
გათეთრდა ჩემი წვერია,
სიბერე-ავადმყოფობა
ჩემთვის რა სანატრელია.

173. ომიდან დაუბარებვარ

ომიდან დაუბარებვარ,
რევან მიხაიშვილსაო,
ეხლანდელ ახალგაზრდებსა
რისხვა დაგვიდგა ცისაო,
სწორედ დაიწყო ვაინი,
სუ გავხდი ოცი წლისაო,
ვერვინა მჯობდა გულითა,
ვერც ვინა მჯობდა ცდითაო,
ომი გვაქვ გრანიცაზედა,
ქექა მოისმის ცითაო,
ბოლი დგას ზარბაზანისა,
სულ ინზრეოდა მიწაო,
ტყვია წყალივით გადმოდის,
თოფისა, ზარბაზნისაო,
ზარბაზნის ტყვიამ გამპენტა,
ბეწვი არ დავრჩი ძირსაო,
არც თავი მემარტოება,
ბევრია გვერდში ძირსაო,
სისხლი მიყუფავს ღვარადა
დახოცილ ბიჭებისაო,

ერთად წაიღო ცხენები,
ვინ მიეშველოს ვისაო,
ორმა კაცმა ხელმწიფემა
ციხე ააგეს ძვლისაო,
ხორცით ყორნები დააძღეს,
ორბები გრანიცისაო,
ამბავს თუ მკითხავ, რა არი,
გერმანიაში ტყვისაო,
გვამუშავებდნენ ტყვეებსა,
სისხლით გვივსებდნენ პირსაო,
ცრემლით გვევსება თვალგბი,
ოფლი სუ გეწვავდა პირსაო.

174. ჯარიაკაცული

მშვიდობით ჩემო სამშობლოვ,
სამუდამოდა გშორდები,
რაც აქით ვალად გამყვება,
ფრონტზეით გაგისწორდებნი,
ნუ მამიკვდები დედაო,
ცოლო ნუ გამითხოვდები,
თუ ფრონტზე ცოცხალ გადავრჩი,
თხორივით გამოვგორდები.

175. მარიანობის დღესაო

მარიანობის დღესაო
ნეტავი დამსვა ჩვენსაო,
დავლევდი ცხარე არაყსა,
ზინკალსა ვჰამდი ბევრსაო.
აქ ვინ მოგვიტანს ზინკალსა
საწყალსა სალდათებსაო.
წინ მოგვიტანენ ბორშებსა,
ნადუღარ თევზის წვენსაო,
ჯერ ცივის მკამელ ვერა ვარ,
მაგას რა შასკამს ცხელსაო.

176. ოხერო განჯის ბალნიცაე

ოხერო განჯის ბალნიცაე,
თეთრად ნალესო კირითა,
გულალმე ვწევარ, შაგხედავ,
ნაპოლო კალასკიმითა.
ასამდე დაჭრილები ვართ,
სუ წარებურად ვყვირითა,
არ მოგვივიდა ბრძანება
დამბადებელის პირითა.
გაგვიშვით, დოხტურ ტიალო,
ნუ ამოგვაგე ჭირითა.
ერთხელ გვაჩვენე სამშობლო
გაცინებული პირითა,
ვაიმე ჩემო სახლაო,
ნაგებო ცოდვა-ჭირითა,
ნუ გამომიყვან გამჩენო
ჩვენი ჭიჭეთის წილითა.


177. რა ვქნა, რას შერება გამჩენი...

რა ვქნა, რას შერება გამჩენი,
ამტელა სისხლის ღვრასაო,
არცა აქვს წესის აგება,
არცრად უკლავენ ცხვარსაო.
ცივს სამარეში მარხამენ,
ამოყვანილი ღრმასაო,
ცივსა აკობში ჩვენ ვსხედვართ,
შევეყურებივართ ცასაო.
ან ვერ გაუძლებ ტყვიასა,
ანა — სიცივე, ქარსაო.
ვინც კვდება, სულაც ისპობა,
ველარც ის იღებს ხმასაო,
ვინც ცოტა დაჭრილი არის,
ხელით იგლეჯდა თმასაო.
ნეტა როდის გათენდება,

გვეშველოს საწყალ ხალხსაო.
ვეჩხუბებით აქეთ თათარს,
ვერ ავიღეთ დარდანელი,
ოსაც მაგარი ყოფილა
ჩვენი გულის დამდაგველი.
ვაენში რომ დაგვიბარეს,
იქ მეხივით გავცვივდებით,
თათარსა და ასვტრიელებს
ქილობივით დავაგებდით.

178. ორშაბათ დილა გათენდა.

ორშაბათ დილა გათენდა,
დაუკრეს ტელეგრამები
დაუკრეს ტილიფონები,
ყველა მხრით მოდგა ჯარები.
როტნი კამანდერ კამანდრობს,
გარს გვირბენს აფიცარები,
ყველას აგვკიდეს წელზედა
ლაფატკაები, ბარები.
ეკლესიაში შეგვრეკეს,
გავვიღეს ორიე კარები,
ცოცხლებს აგვიგეს ანდერძი,
იტყოდი არი მკვდარები.
შევხედე, თითო თითოსა
ცრემლში უგორავს თვალები,
რალა გატირებთ ბიჭებო,
ქალ ხომ არა ხართ მხდალები,
ზევერ ბევრას გადაუყრია
გერმანიაში ძვალები,
ლეში უქირავ ნადირსა,
ყორნებს უთხრიათ თვალები.
საწყალო შენ თიანელო,
არავის შაებრალები,
ჩემზედა მოსულ ჩემ მტერსა
მგელივით შავეტანები.



შენიშვნები და ვარჯიანტები

1. ქალაქში რუსის შვილებსა

მთქმელი სიმონა ბუჩუკური. 86 წლის წ. კ. უცოდინარი. ჩაწერილი 1934 წ. სოფ. ქიშბარიანში ელ. ვირსალაძის მიერ. ვირსალ. 128, გვ. 157. მართებული უნდა იყოს ელ. ვირსალაძის მოსაზრება, რომ ლექსი რუსეთთან შეერთებასა და 1804 წლის აჯანყებაზე უნდა იყოს გამოთქმული (ვირსალ. გვ. 84). 1804 წლის აჯანყება ქართლის მთიანეთში შედეგი იყო იმ კოლონიური რეჟიმისა, რომელიც მეფის რუსეთმა დაწერა საქართველოში. მოსახლეობას მძიმე ტვირთად დააწვა მეფის მოხელეთა მოთხოვნილება. მოხელეების ძალმომრეობა განსაკუთრებით საგრძნობი იყო დარიალის გზის გასწვრივ მცხოვრებთათვის. „მარტო მთიულეთში რუსმა ოფიცრებმა ცემით მოჰკლეს 23 კაცი. იყო შემთხვევები, როცა ოფიცრები ხარების მაგიერ უღელში ქალებს აბამდნენ“ (საქ. ისტ. 1, 1958 წ., გვ. 401). ამგვარი ჩაგვრის საფუძველზე წარმოიშვა აჯანყება, რომელიც 1804 წელს მაისში დაიწყო და ივნის-აგვისტოში ისე გაფართოვდა, რომ მოედო ოსეთს, ფშავ-ხევსურეთსა, ბარის ზოგ კუთხეს და ფეოდალთა ერთ ნაწილსაც“ (იქვე, გვ. 401—402). „მთიელ გლეხთა აჯანყება წარმოადგენდა პირველ მასობრივ შეიარაღებულ გამოსვლას მეფის რუსეთის წინააღმდეგ“ (იქვე). აჯანყებულებმა, ცხადია, დიდხანს ვერ შესძლეს ბრძოლა რეგულარული ჯარების წინააღმდეგ. ამ გარემოებას ასახავს ხალხური სტრიქონები „ბევრი აქვსთ ტყვია-წამალი იმასთან ომი ძნელია“. მეფის ჯარებმა 1804 წელს ოქტომბერში აჯანყება ჩააქრეს.

2. ტიალო ჩემო მაკარო

მთქმელი ალექსი ბიბილაშვილი. ჩაწერილი სოფ. ბიბილიანში ელ. ვირსალაძის 1934 წ. ვირსალ. № 126, გვ. 156. სწორია ელ. ვირსალაძის მოსაზრება, რომ ლექსში აშკარად ჩანს 1804 წლის აჯანყების სოციალური ხასიათი (ვირსალ. გვ. 85).

3. ტირის, ჩივის ციცრონი

მთქმელი ანა გვრიტიშვილი. ჩაწერილი 1946 წ. მთიულეთში. სოფ. სოდევეში. ვირსალ. № 132, გვ. 157. მართებულია ელ. ვირსალაძის მოსაზრება, რომ ლექსი გენერალ ციციშვილზეა ნათქვამი (ვირსალ. გვ. 473), რომ ტექსტის მიხედვით ციციშვილი დაცინვის ობიექტია (იქვე, გვ. 85) და რომ „ეს ლექსი 1804 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით გამოითქვა მთიულეთში“ (იქვე, გვ. 85). ეს ფრაგმენტული სატირული ლექსი ამსახველი უნდა იყოს აჯანყების იმ ეპიზოდისა, რომლის შესახებაც ისტორიაში აღნიშნულია: „ოსებმა მთლიანად მოსპეს როკის უღელტეხილით ლიახვის ხეობაში გამოსული რუსთა ერთი პოლკი“, (საქართველოს ისტორია, 1, 1958 წ. (გვ. 402).

4. უჩაღი ციფო

ჩაწერილი სოფ. ბაზალეთში და ა. მოლოდინაშვილის მიერ, ივ. № 168, 1900 წ.

სათქმელია, ლექსი ასახავს ქართლის მთიანეთის 1804 წლის აჯანყების იმ მომენტს, როდესაც იგი გაფართოვდა, მოედო ოსეთს, ფშავ-ხევსურეთს და ბარის ზოგ კუთხეს. აღსანიშნავია, რომ ლექსის ბ ვარიანტი თვითონ მთქმელმა დაუკავშირა აჯანყებას. ყოველ შემთხვევაში ლექსი თვითმპყრობელური რეჟიმის გამწვავებისა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მთიელების ბრძოლის ამსახველია. ისტორიაში აღნიშნულია ცარიზმის მიერ ქსნისა და არაგვის ხეობებში მცხოვრებ მთიელთა შევიწროება, მათი განუკითხავი ძალმომრეობა და რეპრესიები. (საქ. ისტ. 1, 1948 წ. გვ. 401). ლექსიც ამგვარ ძალმომრეობასა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ მთი-

ულების ბრძოლაზეა შექმნილი. საციმბიროდ გამზადებული მოძმეების დასახსნელად გმირი ციფო სწორედ ქსნის ხეობას გადაივლის. ტექსტს ახლავს შენიშვნები — სტრიქ. 18 ზევ. თ უ ლ ი ყ ა ჩ ა ლ ი; სტრიქ. 35 ქვევ. ა ვ ა ლ ო ვ ი მაშინ პოლიციის ბოქაული ყოფილა.

ლექსის ამ ვარიანტის შინაარსი ოსეთში 1840 წ. მომხდარ აჯანყებასაც შეიძლება დაუკავშირდეს (საქ. ისტ. 1, 1958 წ. გვ. 439—440). ლექსში ნაჩვენებია აჯანყების (რომელიც არ უნდა ვიგულისხმოთ 1804 წ. თუ 1840 წ.) სოციალური ხასიათი.

ბ

ოსი ციკო დაიბადა,
დედ-მამათა გაჯხარდესა,
ცოცხლები ვართ, შაგვინახავს,
თუ მოვკვდებით, დაგვიმარხავსა,
ციკომ უთხრა ჩუღარასა,
თოფი მაგრა დაიჭირეო.
ქართველებს კი მაარიდეო,
თავადს სწორად დაუჭირეო.

მთქმელი ალექსი ბიბილაშვილი. ჩაწერილი 1934 წ. მთიულეთში სოფ. ბიბილიანში ელ. ვირსალაძის მიერ. ვირსალ. № 129, გვ. 157. საგულისხმოა მთქმელის შენიშვნა ტექსტისადმი: „კლდეში იყვნენ ჩასაფრებულნი გამოქვაბულში და არ უშვებდნენ ჯარსა, როცა ერთად წამოვიდნენ ქართველები და რუსი. ციციონი მაშინ იყო“ (ვირსალ. გვ. 472). შენიშვნიდან ჩანს, რომ 1870—1880 წლ. დაბადებული მოხუცი მთქმელი „თავის კვალობაზე განათლებული, გამოსული გლეხი“ (ვირსალ. გვ. 547) თავისებურად ხაზს უსვამს ტექსტის რეალურ საფუძველს. უკავშირებს მას — 1804 წლის აჯანყებას.

ბ

ოსი ციფო დაიბადა,
დედ-მამათა გაჯარდესა,
ცოცხლები ვართ, შაგვინახვს,

მოკვდებით და დაგემარხავსა.
ციფომ უთხრა შულარასა:
თოფი მაგრა დაიჭირე,
დაღეჭილი ტყვია ჩადე,
ჩუმპა მაგრად დააჭირე,
ქართველებს კი მაარიდე,
თათრებს სწორად დაუჭირე.

მთქმელი ივანე ჩოხელი. ჩაწერილი 1934 წ. სოფ. ჩოხში შოთა ძიძიგურის მიერ. (შოთა ძიძიგური, ქართული დიალექტების ქრესტომათია, 1956 წ. № 135, გვ. 201—202). საინტერესოა მთქმელის შენიშვნა ჩართული ტექსტში პირველი ოთხი სტრიქონის შემდეგ: „როცა თათარი გადმოვიდა, ამათ ამბავზეა. ლუდაში ცხოვრობდა ციფო. ადგა და ერთ კლდეში შეესაფრეს. უნდა დაიჭირონ, დაადევს მდევეარი. კარი მოკლა, წინ დაიდვა, ის აისაფრა და იქიდან ესვრის. ქართველები დაიყენეს წინ (ქართველებს არ ესროდა). ესროდა თათრებს. ქართველები წინ მიისაფრეს. ამხანაგი ჰყვანდა. შულარაა ერქვა“ (იქვე, გვ. 202). საფიქრებელია, ამ ვარიანტში ასახული იყოს ბატონიშვილების მონაწილეობა 1804 წლის აჯანყებაში (საქ. ისტ. 1, 1958 წ. გვ. 400).

ღ.

ქვეშეთს მოვიდა ბატონი,
ეხლა გადმოვალს ხევსაო,
კობიევს წიგნი მისწერა,
ყარაულ გვინდა გზისაო,
სახელოზე თითო კაცი
ჯამაგირ ხელმწიფისაო.
აბუნტებულა ლუდლები,
მთაზე შიშია მტრისაო.
ბიჭი ციფო გავარდნილა,
ველარ დაიჭირეს დღესო.
როცა ციფო დაიჭირეს,
მეტეხჩით ჩააგდესაო:
ბატონო, შენი კირიმე,

შენი შვილის სანდროს მზესო,
ფეხებში არას მშლის,
ხელებში მამიჭირესო.

— არა გიშავს რა ციფური,
მოგაკანონებ შენცაო.

ციფომაც ამოიხრა:

„ვაი დედიჩემის ღმერთსა,
ერთი სოფელს გამაცალეთ,
გული მოვიბოხო მეცა“.
ლართის წყაროს ჩამოვიდა,
ბორკილებს დაუწყო წყვეტა.

გატეხა და გადაყარა:

„ფუ გამჭედი მოგიკვდება“,
ხელუკუღმა გადაყარა:

ეს ბორკილი ქვეშეთს ბატონს მიართვითა.

ყარაულები წამოვიდნენ,

თან ბორკილი წამოიღესო,

ქვეშეთს ბატონთან მოვიდნენ

და შეფიცეს სანდროს მზესა.

„გოჟი ციფო გამოგვექცა,

„ვოტ ბორკილი ვაში ზღესა“.

გაწყრა, გაჯავრდა ბატონი

და თავ-პირი დაიგლიჯა.

მ.კ. ხევი, გვ. 62. ეს ვარიანტი ასახავს გამოჩენილი ქართველი მწერლის ალექსანდრე ყაზბეგის მამის, ხევის ბატონის მიხეილ ყაზბეგის უხეშობას, ამის გამო ს. მაკალათიას აღნიშნული აქვს: „მიხეილის უხეშ ბატონობას ვერც ოსები ურიგდებოდნენ, რომლის წინააღმდეგ ოსი ციფო ამხედრებულა და ხევის ბატონს შებრძოლებია“ (მ.კ. ხევი, 62).

ამ ვარიანტის ზოგი სტრიქონი „არსენას ლექსის“ გავლენას განიცდის.

5. შანშე ერისთავი

ჩაწერილი გ. ნათაძის მიერ არაგვის ხეობაზე. ნათ. № 20, გვ. 21; 1961 წ. ვირსალ. № 130, გვ. 157. ასეთივეა კალმისწევრას

(კობაიძის) ჩაწერილი ტექსტი — „საქართველო“, 1916, № 160. შანშე ერისთავი წინ უძღოდა აჯანყებულთა წინააღმდეგ აზვირთებულ მეფის ჯარს, რითაც მან დაიმსახურა პატრიოტ ქართველ მთიელთა სიძულვილი. ამგვარი განწყობილების გამომხატველია ეს ლექსი.

6. ანანურით გადმოგცვივდით

პირველად დაბეჭდა ა. ფრონელმა. ა. ფრონელისათვის ლექსი გადაუცია ს. არანისის მცხოვრებს მღვდელ ი. სონღულაშვილს. (მმბ. № 8, 1895 წ. გადაბეჭდილია—ვირსალ. № 127, გვ. 156—157). ლექსი შექმნილია ქართლის მთიანეთში 1804 წ. აჯანყების მონაწილეებზე (მმბ. № 8, 1895 წ., გვ. 66; ვირსალ. გვ. 85—86). როგორც ცნობილია, აჯანყებულები დამარცხდნენ უთანასწორო ბრძოლაში. „1804 წლის ოქტომბერში მეფის ჯარებმა აჯანყება ჩააქრეს. დააპატიმრეს აჯანყების 73 მოთავე და წამქეზებელი“ (საქ. ისტ. 1, 1958 წ., გვ. 402). ოთხი ძმა, რომელთა პირითაც არის ნათქვამი ლექსი, აჯანყების მოთავენი ყოფილან. ლექსში მოხსენებული გმირების შესახებ ა. ფრონელს აღნიშნული აქვს: „არაგველებს მეთაურობდნენ გამოცდილნი და მხნე მეომარნი: გოშპარ, დიმიტრი და დურმიშხან კობიაშვილნი და გრიგოლ ყარაგოზიშვილი. განსაკუთრებულ მედგრობასა და მამაცობას იჩენდა გოშპარ კობიაშვილი, რომელიც პირდაპირ ეკვეთებოდა რუსთა მხედრობასა. ძვირად კი დაუჯდათ ამ ვაჟაკებს ასეთი ურჩობა. ოთხივენი რუსებმა შეიპყრეს და შებოროკილებულნი ანანურის ციხეში დაამწყვდიეს... გული და სული უწუხდებოდათ მეომართ ანანურის ციხეში და განიძრახეს გაქცევა. ზედ აღდგომა დღეს გადმოცვივდნენ მალის კოშკიდან და ივლტოდნენ მთიულეთის მთებში. ამ საკვირველს ნახტომს უვნებლად გადაურჩა სამი, მხოლოდ გოშპარს მოუტეხია თეხი. (მმბ. № 8, 1895 წ., გვ. 66). გასულ საუკუნეში ფიქსირებული ლექსის დასაწყისის სტრიქონები 1950 წელს 56 წლის შაქრობურდულის თქმით მღვთში ჩაიწერა ელ. ვირსალაძემ. ახალ ჩაწერილ ტექსტში „ოთხნი ძმანი“ ნაცვლად არის „შვილნი ძმანი“. ტექსტთან დაკავშირებით მოქმელს აღნიშნული აქვს „ბანცურის ციხეში ყოფილან შეფარებულნი“. ფ. არქ. № 34042.

ანანურით გადავცვივდით
 ჩვენ ტუსადნი, ოთხი ძმანი,
 არა გვყვავდა წინამძღოლი,
 არც ერთგულნი შინაყმანი.
 გარს ჯარი შემოგვეხვია,
 რეგული ზარბაზანითა,
 ლამით მოპარვა გაბედეს,
 წაყვანა მარხილ სანითა,
 აყენების ჟამს ცოტა რამ
 სიტყვა ვსთქვით დაღონებული,
 აქავ სიკვდილი ვირჩიოთ,
 შეიქმნეს გაგონებული.
 მოგემართონ ჩვენთა პატრონთა,
 მოვიდნენ დაღონებულნი,
 მიგვიტანონ და დაგემარხონ,
 სად მამა არი დებულნი.
 ჩვენი განძრახვა ეს არის:
 თავს ვაძლევთ სიკვდილს მწარესა,
 ან გაუცვივით წაუგალთ,
 დავაგდებთ რუსთა არესა.
 ავსდექით და გადავცვივდით
 ქრისტეს აღდგენის ღამესა,
 გადაცენის ჟამსა რუსებმა
 დაიწყეს ტირილ-ყვირილი:
 „დარჯი, დარჯის იძახოდნენ,
 მემრე დაიწყეს ტირილი,
 არაგვს გაღმა რო გავედით,
 დავსხედით დაღალულები.
 პატარა ხანს დავისვენეთ,
 ძლივს მოვიბრუნეთ გულები-
 გაღმიდან ვიყურებოდით,
 ვითომც ვიყავით თულები.
 კამენდატი სანთლით დარბის:
 „აქ არის დამალულები“.

გალავნის ძირზე მივიდა,
ნაფრინავე ჩვენი ნახა,
აქ არიან, დაიძახა:
ქულები რომ დაინახა.
მივიდა და აღარ დავხვდით,
იმის სახე შეიჩმახა.
სიმამრის კარზედ მივიდა
დაღონებულის გულითა.
„თუ იმათ ხელში ჩამიყრი,
ჩოხას გიყიდი ფულითა.
აფიკრობასაც გიშოვნი,
ქვეყანას ვასმენ უფრითა,
ნიადავ დღეს არ მოგაკლებ
შამფანსკის ღვინოს კულითა.
ჩვენ ეს გვიკვირს, რათ უნდივართ,
ხომ არ ვიცით ხელოვნება,
არც მიწის თხრა, თოფის ზიდვა,
ოქროს დნობა, ზარაფჩობა;
ჩვენ ვიცოდით ჩაის დუღვა,
ფინჯნის რეცხვა, ყავარჩობა,
სამსახური ბატონისა,
ცხენზედ ჯდომა, კულუჩობა.
ღმერთსა ვფიცავ, არა ვიცით,
რაც რომ ვთქვით ჩვენი ენითა.
არც ზარაფჩობა ოქროსი,
არც ვერცხლის დნობა ბერვითა.
ებრძანებინა ხემწიფეს,
რომ გვემსახურნა ცხენითა:
ჩვენ ოთხნი რას შევმატებდით
ციმბირს ტალახის ზელითა.

მთქმელი ილიკო კობიაშვილი. ჩაწერილი ს. კობიანთ კარში (დუ-
შეთის რ.).

ვახტანგ კობიაშვილის. სათაურად აქვს „ოთხი ძმა“, ლიტმუზ.
20020 ხ, ყ—331, გვ. 134. დათარიღებულია 1934 წ.

7. კახეთის ბუნტზე

მთქმელი გიო კანანელი. ქიზიყ. გვ. 3—5. ტექსტს წამძღვარებულნი აქვს შენიშვნა: „გალექსილია ალექსი მირიანაშვილის ნაამბობის მიხედვით“. იქვე, გვ. 3. ლექსი 1812 წ. კახეთის აჯანყებაზეა შექმნილი. (საქ. ისტ. 1, 1958 წ., გვ. 410).

8. სოლომონ ბუტულაშვილის ლექსი

მთქმელი გაბრიელ პირმისაშვილი. ხელნაწ. ინსტ. S—5293. გავრცელებული ლექსია. ლექსის რეალური საფუძველი გაარკვია ვ. მაცაბერიძემ. მასში ასახულია 1826—27 წლ. რუსეთ-სპარსეთის ომი. ამ ომში 1826 წ. 14 სექტემბერს დაიღუპა სოლომონ ბუტულაშვილი. სოლომონ ბუტულაშვილის ბიოგრაფიის აღდგენა შესაძლებელი გახდა ხალხური სიტყვიერების, საფლავის ქვის ეპიტაფიისა და წერილობითი დოკუმენტის ანალიზის საფუძველზე (ვ. მაცაბერიძე, სოლომონ ბუტულაშვილის სახე ქართულ ხალხურ პოეზიაში, „ქართული ფოლკლორი“, 1—11, 1964, გვ. 129—144). სოლომონ ბუტულაშვილი წარმოშობით სოფ. პატარძელიდან ყოფილა: გადმოცემით „ბუტულაშვილთა ძველი გვარი არის დრეიძე, ისინი მოსულან ქართლიდან. ამჟამად პატარძელის მახლობლად არის სოფელი დრეიძე, რომლის მიწა ეკუთვნოდა ბუტულაანთ. რომ ჩამოსულა ის დრეიძე და დასახლებულა ამ უბანში, აუბუტულავებია უბანი ძალიან. ფიცხი ხასიათისა ყოფილა, ამის გამო მათ დაერქვა ბუტულაშვილები. ოთარ ბუტულაშვილს — სოლომონის პაპას ჰყოლია სამი შვილი: სოლომონი, დავითი და ზაქარია. ამ ზაქარიას შვილი იყო ხალხური გმირი სოლომონი...“ (მთქმელი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ელისო მათეს ას. ინჟოშვილი. სოფ. პატარძელი. ჩამწერი თამარ ოქროშიძე, 2. III—1958 წ.). სოლომონის შთამომავალნი — ბილანიშვილები ამჟამადაც სახლობენ პატარძელში. ერთი მათგანი პოლკოვნიკი. გიორგი ივანეს ძე ბილანიშვილი საბჭოთა კავშირის გმირია. მის ოჯახში ინახება სოლომონ ბუტულაშვილის ავტოგრაფი. მართებულია ვ. მაცაბერიძის მოსაზრება, რომ ლექსი შექმნილი უნდა იყოს სოლომონ ბუტულაშვილის დაღუპვისთანავე ე. ი. „არსენას

ლექსზე“ აღრე. „არსენას ლექსისა“ და სხვა ლექსთა გავლენა შემდეგ, 30 წლებიდან უნდა განეცადა ამ ლექსს. ამ შემთხვევაში, როგორც აღნიშნავენ მკვლევარები, დიდი იყო როლი მესტვირეთა, რომელთა რეპერტუარში „სოლომონ ბუტულაშვილის ლექსიც“ შედიოდა (აბ. ცანავა, ქართული მესტვირული პოეზია, 1953 წ., გვ. 101; გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, 1957 წ. გვ. 122; ვ. მაცაბერიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 144).

სტრიქ. 89 დედანშია ნ უ შ ა ნ ბ ი ა შ ი ა. ეს უაზრობაა, თანაც არღვევს ლექსის ზომას. შევასწორეთ — მ უ შ კ - ა მ ბ ა რ - შ ი ა. ამგვარ შესწორებას მოითხოვს ტექსტის შინაარსი. მას სავსებით ეთანხმება ნიკოლოზ კარიჭაშვილის ჩაწერილი ქართლური ზ ვარიანტი. სოლომონ ბუტულაშვილის ლექსი ქვესათაურით „მესტვირული პოემა“ პირველად დაიბეჭდა 1893 წ. ზ. კიკინაძის მიერ გამოცემულ კრებულში „ქამანჩა და მესტვირე“.

სოლომონ ბუტულაშვილი
კარგად ინახამდა ცხენსა,
დაუვრებას არ მოაქლებს,
ჯერზედ აქმევს ლიტრა ქერსა.
თბილი წყლით ძუას უბანდა,
უზილამდა ფაფარ-მკერდსა,
— შენი მურადის ჳირიმე,
შენ გამიყვან განსაცდელსა.
ოდეს ჯარებს დაუძახეს;
თოფ-იარაღში ჩაჭდესა,
— პაპავ, შენ მოგცემ ნაცვლობას,
სოფელი არ წამინდესა.
დამირჩიეთ ვაჟკაცები,
დამიძახეთ გარეჯვრელსა.
დროით იარე სოლომონ,
ეგები მოასწრო რთველსა.
ქალაქში რომ ჩამოვიდნენ,
ფერხული კარგი დააბეს,

ზედ ღიღინი მოაბესა.
 მართებელი გამოვიდა;
 კისერზედ გარდიდებს ხელსა,
 — აი მაღადეც სოლომონ,
 შენ სჯობიხარ თავადებსა.
 გაისარჯე სოლომონო,
 იქ მიგიწერ ხელმწიფესა.
 ორივეს ერთათ მოგიტან
 ჩინ ტელარს და კავალრებსა.
 შავ შორიაზედ გადვიდნენ,
 წინ-წინ კაცი გაგზავნესა,
 ეგების შეგვირიგდესა,
 თათრის ჯარმა შეუთვალა:
 — ვერცა ნახამ სალდათებსა,
 ველარც იმათ უფროსებსა.
 არ იქნება უომრობა,
 თუნდა გამოვჭრიდეთ ყელსა.
 ორსა ომსა რო გარდასცდა,
 მესამეს რო მოუხდესა.
 მინარაზე რომ ჩავიდნენ,
 დიდი ომი ასტეხესა.
 სალდათებს შემოუტია,
 სულ თხებივით დაფანტესა.
 სოლომონ ბუტულაშვილი
 ბოლოს მარტუად დარჩესა.
 ზოგი ჩება, ზოგი კაფა,
 ზოგი ასრესინა ცხენსა.
 რომელსაც ცოცხალს დაიჭერს,
 მას მასდათოს მიართმევსა.
 მასდათოს ძრიელ უყვარდა,
 გრაფსა დიდათ მიაჩნდესა.
 დილასა და საღამოსა
 ჩაის როდი მოაკლებსა.
 ერთ დაბალ ალაგაშია
 სამი თათარი ჩაჯდესა.
 ის ჯარი რომ სულ გასწყვიტა,

ახლა იქით წავიდესა.
ამას თათრები ჰგონია,
ქართველათ ვერ გაარჩევსა.
სამთავ უტყუპეს თოფები,
ერთი გავას მოუხვედრეს,
ერთი ფაფარს გარღუკრესა.
ერთი ილლიას მოარტყეს,
სოლომონი ძირს დასცესა.
ცხვარიაშვილი სოსია
ცხენს დაუჭერს სადავესა.
— ნუ გეშინიან სოლომონ,
კიდევ ნახამ მამაშენსა.
— მამაჩემს ველარა ვნახამ,
ფინთ აღგილას მამარტყესა.
გული ფინთათ წამიხდინეს,
ღვიძლი თან გაადევნესა.
ვაი, ვხედამ ორათ მზესა,
ჩემი მარსკვლავი მოაწყდესა.
ერევანს რომ წამოიღეს,
სოლომონი ანდერძს მოჰყვა,
ვისაც გული გაუგებსა.
— შემახვეწეთ სალდათებსა,
თავადებ, თუ უმფროსებსა.
ბრალი არის ჩემი ლეში
აქ ურჯულოში დაღპესა.
ინით ნაღები უღვაში
უღროთ მომეშალოსა.
ეს სიტყვა რომ დაამთავრა!
სოლომონი იქ მოკვდესა.
სამი ლეკი დაიბარეს,
სოლომონი შვა გასკრესა.
მუსკ-ამბარში გაახვიეს,
შავ მიწას მიაბარესა.
ოდეს გადასწყდა ომები,
სოლომონი ამოიღეს.
სოლომონ ბუჯულოაშვილი

როდი შეიცვლიდა ფერსა.
ურემი კარგა გამართეს,
შიგ ხალიჩა ჩააგესა.
თავით მუთაქა დაუდვეს,
სოლომონი შიგ ჩაწვესა.
ხარები კარგი შეაბეს,
ზედ მეურმე დაუსვესა
ნელა მიაქვთ სოლომონი,
კიდე ქონი ძირს გასწვეთსა.
ქალაქში რომ მოიტანეს,
ქალაქი სულ შეინძრესა.
მიდიან, ხდიან პირბადეს,
სოლომონ ბუტულაშვილი
რაზე შეიცვლიდა ფერსა.
ავი ამბავი მიუვა
ბუტულაშვილ შიო ღვდელსა.
თავში შემოიკრავს ბევრსა.
მეტის მეტი სიმწართა
სულ გაიგლეჯს კიკინებსა,
— ცხენით გავგზავნე სოლომონ,
ურმით კარზედ მომადგესა.
დებმა კარგად დაიტირეს,
ვილა იტყვის სიძეებსა.
ქვრივი რძალი აატირეს:
„შენი ჭირიმე სოლომონ,
შენ მერჩივნე ყველა ძმებსა,
ვფიცულობდი შენსა მზესა,
ახლა ვილა დამარჩენსა“.
იმის ცოლი ეფემია
ფეხ-მძიმეთა შეიქნესა.
ერთი კი თვალით უჩვენეს,
ხელი ჰკრეს და გააბრუნეს,
მუცელი არ წაუხდესა.
დაწვეს და ვაჟი ეყოლოს,
მას სოლომონ დაარქვესა.
მაგრამ ამის ოინები

იმას როდი გამოყვესა.
სოლომონ ბუტულაშვილი
კარგად აჰენებდა ცხენსა,
შეტევები ქორს უგვანდა,
გაჰენება შევარდენსა.
ოსე ჰკრეფდა ყიზილბაშსა,
როგორც რომ მიმინო მწყერსა.
იმი მოსვლამდი ვიცოცხლოთ,
სანამ ის აქ მოვიდესა.
ამ შაირის გამოთქმისთვის
ერთი ჩოხა ჩამაცვესა.

— — —

სოფ. ხიდისთავი. ჩამწერი ნიკოლოზ კარიჭაშვილი. 1885 წ.
20 მარტი. ხელნაწ. ინსტ. H—2116—ვ.

სტრიქ. 47—48 მ ა ს დ ა თ ო — იგულისხმება თავადი მადათოვი, იგი მეთაურობდა ქართულ მილიციას, რომელშიც იყო სოლომონ ბუტულაშვილი — იხ. Потто, Утверждение русского владычества на Кавказе, ტ. IV, ნაწ. 1, თბილისი, 1906, გვ. 150.

ა

სოლომონ ბუტულაშვილი
კარგად ინახავდა ცხენსა,
დილაჲა და საღამოსა
ჯერზე აჰმევს ლიტრა ქერსა,
დღეში ორჯერ დაუურევბს,
გავაზე გადუსვამს ხელსა.
მოიტანდა ერბოს წყალსა,
იმით დაუზელდა წელსა.
სოლომონს ეუბნებოდნენ:
— რად აფუქებ მაგდენ ქერსა.
— მისთვის ვაჰმევ ამდენ ქერსა,
ადგილს დამჭირდება ცხელსა.
სოლომონ ბუტულაშვილი
ქვეით ჯარში გამწესდესა,

ფირაზაში რო ჩავიდა,
 ომი იქ აუტეხესა.
 ფეხ-მარდი იყო სოლომონ,
 მაგრად ედგა ზარბაზნებსა,
 გაქცევაში ქორსა ჰგავდა,
 სიმარდეში შავარდენსა.
 — „ას ოცი მოჰკლა სოლომონ“ —
 დაწერეს და გაგზავნესა,
 ქალაქში გამოაცხადეს,
 მართებელსაც მიართვესა.
 დაბრუნდა ბიჭი სოლომონ,
 მოაჯირითებდა ცხენსა.
 სამი ურჯულო ბელადი
 დაბალში ჩაუსაფრდესა,
 სამთავ უტყუპეს თოფები,
 სოლომონს მოახვედრესა.
 ერთი ცხენსაც მოახვედრეს,
 ლამის ცხენიც დავარდესა.
 მარმარაშვილი ლაზარე
 ცხენს სადავეს დაუჭერსა.
 — ნუ გეშინიან სოლომონ,
 კიდევ ნახავ მამა-შენსა.
 — მე მამაჩემს როგორ ვნახავ,
 ჰრელად ვხედავ მალა მზესა.
 ბეჭებში თოფი მომარტყეს,
 პირში კომლი გავარდესა.
 ჩემს მეუღლე ეფემიას
 ნეტა რა გაახარებსა.
 ცოდო არის ჩემი ლეში
 ამ ურჯულოებს დარჩესა,
 ეს ჩემი შავი ქოჩორი
 ამ მთა ადგილას დალბესა.
 — მოიტანეს აღმას დანა,
 მით მუცელი გაუჭრესა,
 შუშანბრებში გაახვიეს,

ეგები არ ასუნდესა,
სამი დღე და სამი ღამე
შავ მიწას მიაბარესა.
ჯარი რომ თავქვე დაბრუნდა,
სოლომონ ამოიღესა,
კალასკაში ჩააწვინეს,
ქვეშ ხალიჩა დაუგესა,
სამოც უღელა ქურანი
კალასკაში შეაბესა.
ერთი კარგი დიდი ზარი
შუა ცხენსა დაჰკიდესა.
რა სოფელშიაც შევიდნენ,
ის სოფელი დაბნელდესა.
ქალაქში რომ შემოვიდნენ,
სულ ღუქნები დაკეტესა,
ტოლი და ტოლი ბიჭები
აქეთ-იქით დაუდგესა.
ვაიმე, ბიჭო სოლომონ,
რა მარცხი მოგედო წელსა,
საგარეჯოს თვალის ჩინო,
ვილა ჩამოივლის ჩვენსა.
ღებმა ხომ კარგად იტირეს,
დააცალეთ სიძეებსა.
ეფემია მოიყვანეს,
ერთი პირი ატირესა,
ისევ მალე წაიყვანეს,
მუცელი არ წაუხდესა.
ეგები ბიჭი ეყოლოს,
მამას ნათლად დაადგესა.
ეფემია შინ მოვიდა,
ფიცხლავ ლოგინზე დაწვესა,
დაწვა და ვაჟი ეყოლა,
სოლომონი დაარქვესა.
ათი წლისა რო შეიქნა,
ისიც ჯარში გამწესდესა.

ამ ლექსის გამომღებელსა
 ტანზე ჩოხა ჩააცვესა,
 ხარ-ურემი ხო აჩუქეს,
 ზედაც მეხრე დაუსვესა,
 ორი მანეთიც აჩუქეს,
 უბეშია ჩაუდევსა,
 სანამდი ღმერთმა გაცოცხლოთ,
 სანამ ის აქ მოვიდესა.

— 1 —

ამ სახით, როგორც ბრმა მეჩონგურის ილო მათიაშვილის თქმული, ჩაწერილი მარტყოფში (გარე კახეთი) დაბეჭდა ვანტანგ კოტეტიშვილმა. კოტ., გვ. 104—106. ახ. გამოც. გვ. 120—123. ხელნაწერებისა და დაბეჭდი ვარიანტების შედარებიდან ჩანს, რომ იგი შედგენილია ილო მათიაშვილისაგან მარტყოფში და თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ვარიანტისაგან. იხ. ფ. არქ. კოლ. 11, 26 და თაყ., 1, გვ. 191, № 67. ვარლამ მაცაბერიძემ მართებულად მიუთითა, რომ სტრიქ. 39—52 და 69—84. ილო მათიაშვილის ტექსტში შეტანილია თედო რაზიკაშვილის ვარიანტიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგ შემთხვევაში სტრიქონებიც არის გადახაცვლებული (სტრიქ. 86—91) და შეცვლილიც (სტრიქ. 4-ჯერზე აჭმევს—არ აკლებდა; სტრიქ. 60-შუა ცხენსა—შუა ალაგას და სხვ.).

ცნობილია აგრეთვე მრავალი დაბეჭდი და ხელნაწერი ვარიანტი.

დაბეჭდი: ჩაწერილი ქართლში თ. რაზიკაშვილის მიერ. თაყ. 1, გვ. 191 № 67; მთქმელი შალვა ხმალაძე. ჩაწერილი დილომში ჯ. სონღულაშვილის მიერ 1952 წ. მასალ. 1, გვ. 11—12; მთქმელი ანტ. სონღულაშვილი. ჩაწერილი დილომში ჯ. სონღულაშვილის მიერ 1956 წ.; იქვე გვ. 10—11; მთქმელი ლეკო ჭინჭარაული. ჩაწერილი შატილში ალ. ჭინჭარაულის მიერ კინ. გვ. 403; ჩაწერილი იმერეთში სოფ. წევაში სეფ. გაჩეჩილაძის მიერ. თაყ. 1, გვ. 5; მთქმელი მიხა სულხანიშვილი. ჩაწერილი ს. გლოლაში შოთა ძიძიგურის მიერ. ძიძიგ., გვ. 270—271; ჩაწერილი გ. ნათაძის მიერ ნათ. № 21, ჩაწ. ს. ხრეთში. „კოლხიდა“, 1911 წ. № 162.

ხელნაწერი: მთქმელი ვანო ღონლაძე. ჩაწერილი დიდ

თონეთში. ხელნაწ. ინსტ. H — 1992-იარ. 121; ჩაწერილი დიდ
 თონეთში — კიკმათეში. ხელნაწ. ინსტ. H-199—ია — 221; მთქმე-
 ლი მიხეილ ხიტენაშვილი. ჩაწერილი შაშიანში, ილია კალატოზი-
 შვილის მიერ. 4. VII-1889. ხელნაწ. ინსტ. H—1992 თ. 20; ჩაწე-
 რილი თუშეთში, სოფ. ნაცხარში 23. VIII-1902 წ. გ. ბოქორიძის
 მიერ, ხელნაწ. ინსტ. H—2008; ჩაწერილი იმერეთში ზ. ჩიქ-
 ვილაძის მიერ. ხელნაწ. ინსტ. A—1173; ჩაწერილი გ. მიხელი-
 ძის მიერ. ხელნაწ. ინსტ. H — 2453, გვ. 1, ჩაწერილი მ. კელენ-
 ჯერიძის მიერ, ხელნაწ. ინსტ. მ. კელენჯერიძის არქ. № 64, გვ. 83;
 ჩაწერილი დ. მარეხაშვილის. ხელნაწ. ინსტ. A — 1268-ი-1; იქვე,
 მისივე ჩაწერილი მეორე ვარიანტი; ჩაწ. მატევევის. ხელნაწ. ინსტ.
 A — 1268 — 3 — 28; მთქმელი მცხეთელი. ჩაწ. თბილისში —
 1863. ფ. არქ. უმიკ. № 93; ჩაწ. ქართლში ვ. კოტეტიშვილის. ფ.
 არქ. კოლ. II, ყ. 4, გვ. 69; მთქმელი ილიკო რომელაშვილი. ჩაწ.
 ს. წინამძღვარიანთკარში გ. ერქომაიშვილის. ფ. არქ. მთქმ. ს. თათ-
 რიშვილი. ჩაწ. ს. აღაინში ა. ლომთაძისა 21. VIII—1961. ფ. არქ.
 კ. 71, გვ. 149; ჩაწ. კახეთში, 1868 წ. ნ. ანდრონიკაშვილის ფ.
 არქ. უმიკ. № 93; ჩაწ. კახეთში, 1870 წ. ლ. ჩერქეზიშვილის ფ.
 არქ. უმიკ. № 93; ჩაწ. კახეთში, ს. ვაჩნაძიანში 1869 წ. ა. ჯანდიე-
 რის. ფ. არქ. № 93; მთქმ. სანდრო ახალკაცი. ჩაწ. ყვარელში 1947
 წ. ელ. ვირსალაძის და ქს. სიხარულიძის. ფ. არქ. № 30 192; მთქმ.
 ვანო მიქელაშვილი, ჩაწ. ს. საბუეში ქს. სიხარულიძემ. 4. VII —
 1947. ფ. არქ. № 30060; მთქ. ია ონაშვილი. ჩაწ. პატარძელში
 1958 წ. თამარ ოქროშიძის; მთქმ. ი. ბიწაშვილი. ჩაწ. ბაკურციხე-
 ში 1937 წ. ვ. პეტრიაშვილის. ფ. არქ. № 11155; მთქმ. გრ. ბილანი-
 შვილი. ჩაწ. ს. პატარძელში 1958 წ. თამარ ოქროშიძის ჩაწ.
 ს. პატარძელში 2. III — 1958 წ. თ. ოქროშიძის; ჩაწ.
 პატარძელში 1958 წ. მთქმ. გ. ჭაბაური. ჩაწ. 22. VII — 1961
 წ. თ. გოგოჭურის. ფ. არქ. კ. 30, გვ. 331, მთქმ. შ. ფეიქრიშვილი.
 ჩაწ. 12 — VI — 1961 წ. ხ. კეშელავას. ფ. არქ. კ. 14, გვ. 285;
 მთქმ. შ. ცხვარიაშვილი, ჩაწ. პატარძელში 1958 წ.; მთქმ. ც. გი-
 ვიშვილი. ჩაწ. 1939 წ. გ. პაპუაშვილის, ფ. არქ. კ. 1, გვ. 54; ჩაწ.
 ენისელში. 1939 წ. დ. კარბელაშვილის, ფ. არქ. № 22511; მთქმ. ი.
 მოსიაშვილი. ჩაწ. ს. ქისტაურში 4 VI — 1961 წ. ფ. არქ. კ. 3, გვ.
 367; მთქმ. გ. არაბული. ჩაწ. ს. თრანში (თიანეთის რ.) 1961 წ. შ.

კონსტანტინილის, ფ. არქ. კ. 21, გვ. 48—59; მთქმ. შ. სისაურთ. ჩაწერილი ს. ლიქოკში გ. ლომთათიძის; ჩაწ. ხევში 1870 წ. ფ. არქ. უმიკ. № 93; მთქმ. ს. ქრისტეხელი. ჩაწ. ხევში იოს. ხვედელიძის. 1871 წ. ფ. არქ. უმიკ. № 93; მთქმ. ვ. ქისტაური. ჩაწ. გერგეტში 1938 წ. ხუციშვილის. ფ. არქ. № 13988; მთქმ. მ. მურჯიკნელი. ჩაწ. ს. ბარალეთში 1930 წ. ვ. კოტეტიშვილის. ფ. არქ. № 5954, მთქმ. ის. ჭიკაიძე. ჩაწ. ს. ილუმალაში 1964 წ. დ. წერეთლიანის; მთქმ. ო. ფხაკაძე. ჩაწ. ს. ფარცხანაყანებში. ფ. არქ. უმიკ. № 93; მთქმ. ი. სარალიძე, ჩაწ. ს. სხვიტორში 30. VII—1961 წ. დ. იუკურიძის; მთქმ. დ. კაპანაძე. ჩაწ. სხვიტორში 23. VII — 1961 წ. დ. იუკურიძის; მთქმ. ბ. გვალია. ჩაწ. ს. პირველსვირში 10. VII — 1961 წ. დ. იუკურიძის; მთქმ. რ. შარიქაძე, ჩაწ. იმერეთში ს. ფარცხნალში. ზ. ხარაძის. ფ. არქ. უმიკ. 93; ფ. არქ. ი. 81, გვ. 144; მთქმ. საჩინო დავაძე. ჩაწ. ს. ქალაში (საჩხერის რ.) 29. VII — 1961 წ. ასმათ ყოჩიაშვილის; მთქმ. ე. კანდელაკი. ჩაწ. ქუთაისში ი. ძოწენიძის. ფ. არქ. უმიკ. № 93, ჩაწ. ლეჩხუმში 1929 წ. თ. ხეცურიანის. ფ. არქ. № 3706; მთქმ. ივ. ლიპარტიანი. ჩაწ. ს. ლექსურაში 1936 წ. მ. ჩიქოვანის. ფ. არქ. № 8025; ჩაწ. 1871 წ. რაკაში სპ. აბესალაშვილის. ფ. არქ. უმიკ. № 93; მთქმ. ზაქ. ერაძე. ჩაწ. ფარახეთში. აბ. ცანავას — 1948 წ. ფ. არქ. № 31684; მთქმ. კობიაშვილი. ფ. არქ. უმიკ. № 93; ჩაწ. ს. ჩაჩუბეთში ნ. რეხვიაშვილის. ლიტმუზ. 8491—3—ყ. მთქმ. ს. ოსიაშვილი. ჩაწ. სოფ. ჩუმლაყში. გ. ლომთათიძის. ლიტმუზ. 8520—ბ—ყ 95; მთქმ. ს. ტაბატაძე. ჩაწ. ს. ხევში (ხარაგოულის რ.), 1939 წ. ფ. გვაძაბიას. ლიტმუზ. 20017—ბ; მთქმ. ჯ. ახვლედიანი. ჩაწ. შ. ახვლედიანის; მთქმ. ივ. ხიდეშელი. ჩაწ. 1948 წ. ფ. ხიდეშელის. ონის მხ. მკოდნ. მუზეუმი; მთქმ. იასონ ჯანელიძე. ჩაწ. ნიკორწმინდაში (ამბროლაურის რ.) მანანა ჯანელიძის. 1964 წ. თსუფა № 838.

9. გამთელდა მთელი ქვეყანა

მთქმელი ალექსანდრე ალალიშვილი. სოფ. ასპინძა.
 ჩამწერი დ. წერეთლიანი. 1964 წ. ფ. არქ. მესხ. ჯავახ. ექსპედ.
 (ხელმძღვ. თ. ოქროშიძე). წერედ. რვ. 1, გვ. 19—20.

ლექსში ერთის მხრივ პასკევიჩის ხსენება (კავკასიაში პასკევიჩმა ერმოლოვის ადგილი დაიკავა) და მეორეს მხრივ ყარსის აღების ამბავი გვაფიქრებინებს, რომ იგი 1828 წ. დაწყებულ რუსეთ-ოსმალეთის ომის ამსახველი უნდა იყოს. „ქართველობა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში დიდი ენთუზიაზმით ჩაება და კვლავ წარმატებით იბრძოდა თავისი მიწა-წყლის შემოერთებისათვის.

რუსთა ჯარების მიერ ყარსის აღების შემდეგ გაჩაღდა ბრძოლა ახალციხის მიმართულებითაც. 1828 წ. 24 ივლისს აიღეს ახალქალაქი, ხოლო 16 აგვისტოს, ქართველთა რაზმების მონაწილეობით ქ. ახალციხეც...“ (საქ. ისტ. 1, 1958 წ., გვ. 415—416). ჩვენის აზრით ეს ლექსიც ამ ომში ოსმალთა დამარცხებით გამოწვეული სიხარულის გამომხატველია.

10. პასკევიჩი . შაიკაზმა

ჩამწერი . რაფიელ ერისთავი. კრბ — 1873 წ. № 10.

დაბეჭდილია საერთო სათაურის ქვეშ „სახალხო პოეზია ძველებური მესტირული ლექსები და მდაბიური ანდაზები“. ეს ლექსიც 1828 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის ამსახველი უნდა იყოს. სტრიქ. 17-სა, 18-ს შუა აკლია. არ ვიცი, მთქმელს არ ახსოვდა. თუ ჩამწერმა ან რედაქციამ გამოსტოვა სტრიქონები გარკვეული მოსაზრებით.

11. არსენას ლექსი

გამოცემულია თბილისში 1874 წ. ცალკე წიგნად ა. კალანდაძისა და ი. ნერსესოვის მიერ სახელწოდებით: „სახალხო ლექსი არსენა მესტირეთაგან თქმული შედგენილი პეტრე უმიკაშვილისგან“. წამძღვარებული აქვს პ. უმიკაშვილის წინასიტყვაობა 13. X—1874 წ. დათარიღებული: „ეს მესამედ დაბეჭდილი „არსენას ლექსი“ შედგენილია უმეტესად მესტირულის და უფრო ნაკლებად სახალხო ლექსებისაგან. ორიოდ სტრიქონი და სიტყვები შეცვლილია, რადგან შეუცვლელად ის ადგილები ვერ დაიბეჭდებოდა და ამის გამო აზრი ნაკლულად გამოვიდოდა, მაინც და მაინც ცვლილება პირველად და მეორედ 1872 წ. დაბეჭდილთან ნაკლებია. — არსენას ლექსს რაჭველი მესტირეები ხშირად მშვენივ-

რად მღერიან და გაგვიგონია, რომ პირველათ ერთს ამათგანს, ანდრია ნაღირაძეს, სოფელ ხევის (რაქას) მაცხოვრებელს გამოუთქვამსო, სხვანი ამბობენ, გათქმულს გიორგი ქებაძეს სოფელს ვარიანის (ქართლის) მცხოვრებს, — პირველად და მეორედ დაბეჭდილი ნიკოლოზ ყიფიანისაგან იყო შედგენილი და გამოიცა ჯერ 2.400, მერე 6.000 ეგზემპლარი, ეხლა მესამედ იბეჭდება 5.000 ეგზემპლარი“.

შედგენილი ტექსტი უნდა იყოს ყველა სხვა გამოცემაც. არსენას ლექსის პირველი 1872 წ. გამოცემის წინასიტყვაობაში ნ. ყიფიანი აღნიშნავს, რომ იგი არის შედგენილი სხვადასხვა ვარიანტებიდან, ისე, რომ ზოგი ადგილი არის მოყვანილი ერთი ვარიანტიდან, ზოგი მეორედამ და ზოგი მესამედამ“. ვარიანტების მეტი წილი მისთვის პ. უმიკაშვილს გადაუცია. ეს მესტიერული პოემა საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული. ფ. გოგიჩაიშვილის რედაქტორობით გამოცემულ წიგნში შეტანილია ი. მელიქიშვილისა და ს. მესხის მიერ 1875 წ. გამოცემული ტექსტი (პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1937 წ., გვ. 22—33. № 15). როგორც რედაქტორი აღნიშნავს, სტრიქ. 4 — ტ ყ ვ ე თ. შესწორებულია ტყეთ. დანარჩენ გამოცემებშიც არის ტ ყ ვ ე თ. ჩვენის აზრით, ფ. გოგიჩაიშვილის შესწორება მართებული არ არის. ამიტომ ვებეჭდავთ ისე, როგორც დედანშია — ტ ყ ვ ე თ. ახალ ჩანაწერებშიც მეტნაწილად არის ტ. ყ ვ ე დ.

არსენა ოძელაშვილი ცხოვრობდა გასული საუკუნის პირველ ათეულ წლებში. იბრძოდა ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. 1842 წელს მოკლეს მეფის დამქაშებმა (გრ. კაკიაშვილი, არსენა ქართულ ლიტერატურაში, 1955, გვ. 30). ამ მესტიერული ლექსის პირველი გამოცემის გამო დაბეჭდეს წერილები ს. მესხმა (დრ. 1872 წ. № 6). და პ. უმიკაშვილმა კრებ. 1872 წ. № 7). აპ. ცანავამ თავის მონოგრაფიაში „ქართული მესტიერული პოეზია“ არსენას ლექსს საგანგებო თავი მიუძღვნა (დასახელებული ნაშრომი, გვ. 156—177). არსენას სახის გამოყენებას ქართულ ლიტერატურაში ნაშრომები მიუძღვნეს ს. ხუნდაძემ (არსენას ტიპი ქართულ მწერლობაში, 1934 წ.; ნარკვევები, 1941 წ.), პლ. კეშელავამ (არსენას ლექსი. „კაკო ყაჩალი“ 1939 წ.) და გრ. კაკიაშვილმა. უკანსკნელმა გამოიყენა მის მიერვე მიღებული დოკუმენტები

სახალხო გმირის პიროვნებასა და მოღვაწეობაზე (გრ. კაკიაშვილი, არსენა ქართულ ლიტერატურაში, 1955 წ.). არსენას ლექსის საკითხებს ეხება ვ. მაცაბერიძე ნარკვევში „ქართული სახალხო წიგნები“.

არსენას ლექსი ცალკე წიგნად გამოიცა 65 ჯერ. ყველა ეს გამოცემა შედგენილი ტექსტებია. მათ შორის არსებითი განსხვავება არ არის. ამიტომ არც ვარიანტებში შეგვაქვს და არც მივუთითებთ ამ გამოცემებზე. არც პ. უმიკაშვილის წიგნში შეტანილი ტექსტი იჩენს თავისებურებას ცალკე გამოცემებთან შედარებით. არსენას ლექსი თარგმნეს რუსულ ენაზე ა. ჩაჩიკოვმა (Песнь об Арсене, изд. „Заря Востока“, 1937; Гос. Изд. Худ. лит-ра, М., 1938; „Поэзия Грузии“, 1949, გვ. 46—54) და ვ. დერჟავინმა (Сказание об Арсене, Антология грузинской поэзии, 1958, გვ. 94).

3

შაირს იტყოდა მესტვირე, ღმერთი მაღალი ახსენა,
ოძელაშვილი არსენა, ღმერთმა კურთხევით ახსენა,
უყვარდა ქეიფის წვევა, გზა და გზა სუფრის გაფენა,
არსენა რო დაიბადა, დედა-მამა გახარდესა,
თუ ეს ბიჭი გაგვეზარდა, გაურჯელად დაგვარჩენსა,
თორმეტი წლის რო შეიქნა, ულაშებმა დაამშვენა,
ცამეტი წლის რო შეიქნა, შეჯდა თავის ლურჯა ცხენსა,
საცა ცხენი გააქენა, დედამიწა გაამტვერა,
მოქალაქეს ბიჭი კვირობს, არსენა რამ დაამშვენა,
ნაბადს გვერდზე გედიწევდა, იმის რხმალს გაჰქონდა ელვა.
არსენამ თავის ბატონი ძალიან გაგვინაწყენა,
ბატონს მოახლე მოსტაცა, ახალციხეს გოდუყენა,
ი გლახა ფარჩი გახადა, ჩითის კაბა შეუქერა,
იმას ქვემოთ შეიდიში, კოჭებამდი ღოუმშვენა,
შენა მოახლეს ნუ სჩივი, სხვაც კი არ მომტაცო მენა.
დაჯდა იმისი ბატონი, დაჯდა და წიგნი დასწერა.
ქალაქში გამოაცხადა, ვარანცოვის მოახსენა:
ერთი ბიჭი მომეჩვია, ოჯახით გამანამტვერა.
თუ ეს თქვენ ვერ დეიჭირეთ, ძნელია ჩემი დარჩენა.

დაიძახა მართებელმა, კაზაკები გაადევნა.

ათი-თორმეტი კაზაკი გასწევს თრიალეთისკენა,
როდეს კოდაზე შევიდნენ, წინით შამოხვდათ არსენა.

— ღრასტი ზნაკოკ, გაგიმარჯოს, კულა ილიოშ, საითკენა,
(მოახსენეს კაზაკებმა):

— ჩვენ შენი არ გვედარდება, მივალთ თრიალეთისკენა.
ერთი ბიჭი გამოგვექცა, სახელად იოსებ ჰქვია,

მეტი სახელი არსენა.

ეს რომ არსენამ გაიგო, ჩეიციანა ნელა-ნელა, -
ნაბადს გვერდზე გედიწია, თოფი ფეხზე შეაყენა.

ჯერღა თოფი დაახალა, მერე რხმალი შეაშველა,
„შტო ტაკოის“ ეძახოდა, თვითონ გახლავარ არსენა.

რომელსაც ხელი ჩაართვა, ფეხზედ აღარ დააყენა.
შვიდსა წაართვა თოფები, სულ მიწებით დოუტენა.

წამოვიდნენ კაზაკები, იქ მართებელს მოახსენა:

— უზარბაზნოთ არ იქნება თქვენი არსენას დაქერა.

ის ყოფილა ლომთა გმირი, რკინის ხელით მატეხელა.

რომელსაც ხელი მოგვეკიდა, ფეხზედ აღარ დაგვაყენა,
თუ ჩვენსას არ დეიჯერებ, ნეტაი მართო გაჩვენა,

ტაბახმელამდი მოგვდია, სომხეთში არ დაგვაყენა.

წამოვიდა ის არსენა, ზემოთ მოდის ნელა-ნელა,

აღმასის წყალზე ურიას აწყევინა ბედის წერა,
ხახამს ხურჯინი მოსტაცა, მანგლისისკენ გადუყენა.

დაღონებული ურია უკან მიდევს თავშიშველა:

— მოიცადე ქრისტიანო, რად გარბინარ ზევითკენა,

ხურჯინში ბევრი ფარჩა მაქ, ბევრი შენ და ცოტა მენა.

მობრუნდა ეს არსენა, რხმალის ყუას დოუწყო შენა.

ურიებო ის არა ხართ, ქრისტე რო გვიწვალეთ თქვენა?

მე გიზამ ბიჭი არსენა, ჩვენი ქრისტის მაგიერსა,

კიდე უთხრა ურიასა: — შენს ჯიბეში ფული ძევსა,

ამოიღე, მითავაზე, რაც რო გზაზე დამპირდესა,

საწყალ მარდახა ურიას ქვაბში ჩოუვარდა ენა.

ამოიღო და სულ მისცა, ერ შაურს ვერ დასტოვებსა,

უკან ფული დევიტოვო, მერე ჩხრეკას დამიწყებსა,

კიდე უთხრა ურიასა:

შენი ადლი მანახვე, ვნახო, როგორი იყვესა,

ანახვია თავის ადლი, არსენას არ ღოუჯდესა,
მოიდეგდა მუხლი თავზე, შუაზე გადაუმტკრევსა.
შინდის ჯოხი გამოუჭრა, შვიდ მტკაველს ზედ დაადებსა,
თუ ამითი არ გაყიდეთ, ვაი დედი თქვენი ღმერთსა;
როჟელსაც შამოგეყრები, სუ ყველას წაგართვამ ცხენსა,
ძალათ გაქმევ ღორის ხორცსა, ზე თავზე დაგასხამ წვეწნა,
მაშინ უთხრეს ურიებმა:

შენ დაგვეხსენი არსენა, მამიშენის სულის მზესა, :
ქართულად მოვინათლებით, გამოვაცხოვებთ სეზის კვერსა,
დახედე, ურიებმა ოსტატობა იხმარესა,
დიდი არძა გააკეთეს, იქ მიაართვეს ხელმწიფესა,
ერთი ბიჭი გამოვიდა, ვაჭრობას არ გვანებებსა,
გვევივლით თუ გამოვივლით, სუყველას ცხენებს გვართმევსა.
ხელში მოგვცა დიდი ჯოხი, შვიდ მტკაველს ზედ დაადებსა,
ჩვენ რომ ამ ადლით გავყიდოთ, რალა დახლი დაგვიღვესა,
იქიდან შამოუთვლია, იმპერატორ ხელმწიფესა,
მუზრან ბატონო მატყუებ „საქართველო ეიღესა“,
ერთი ბიჭი მაგდენს ჩადის, ათასი რას შეიძლებსა.
ასი ოქრო გოუჩინეთ, ვინც არსენას დეიქვერსა.
წერეს და წერეს წიგნები, ფარსადან ქისიყელსა,
გაისარჯე ფარსადანო, წიგნს მიგიწერთ ხელმწიფესა,
თუ არსენას დეიქირამ,
სულ ერთბაშად დაგილოცამთ, ყაზახსა და ქვეით ხრებსა.
ნათლიმამად მოიკიდებს, ბოლოს ის უღალატებსა,
როცა შირაქში დაცხება, თრიალეთს წეიყვანს ცხვრებსა,
ფანფარავანის ტბაზედა, არსენა და ფარსადანი
წინ შამოხვდნენ ერთმანეთსა.

არსენას გედევხვია, სამჯერ პირზედ აკოცებსა,
— არსენა გენაცვალები, რატომ არ მოდიხარ ჩემსა?
— მიღალატებ ფარსადანო, ერთი გაქირვების დღესა.
— მე შენ როგორ გიღალატებ სამი შვილის მომნათვლელსა,
მოგვიტყუილეს არსენა, ფარეხში შეიყვანესა,
შემწვარი და მოხარშული წინ ტაბაკით მიართვესა.
ირატევნული ღვინითა ის არსენა დაათვრესა.
არსენას ძილი მოუნდა, იმითანათ თქვენსა მტერსა,
მურთაქა და ბალიში საჩქაროზე მიართვესა,

ზედ ტყავები დაახურეს, ამალამ არ შეგცივდესა.
მამაძალსა ფარსადანას გუნებაში რა უძევსა;
შუა ღამე რო შეიქნა, მეცხვარეებში გასწევსა,
ათს მეცხვარეს გამოარჩევს, თვითო შეებმინ მდევსა,
თან მძინარეს მიეპარენ, ფხიზელს ვინ მოკიდებს ხელსა,
წამოიწია არსენამ, შეეხვეწა ღვთისმშობელსა.
ათსა ისე წამოუდგა, სულ მუშტით დაამტვრევს ყბებსა,
მანამ ვერა დააკლეს რა, ნანამ ქამანდი არ ჰკრესა,
შორიდან. თოკი ესროლეს, ზე ბეჭებზე მოუდევსა,
თოკი მაგრა გამოსწიეს, არსენა პირქვე დაჯდესა,
მეთორმეტე, მეცამეტე უკან გოუყებდა ხელსა.
წამოიყვანეს არსენა, უბელო ცხენზე შესევსა,
ქვეშ ფეხები გამოუკრეს; ცხენიდან არ გადახტესა,
თუ ცხენიდან გადაგვიხტა, თავსა და პირს დაგვამტვრევსა,
ოქრო ყანაზედ მოყავდათ, სოლოლაკზე ატარესა.
მთელი ქალაქის ბიჭები მტრედი გუნდით დადევსა.
რაჰველები იძახიან: „კი, კი, კისა და ქვე, ქვესა“,
რა კობტა ბიჭი ყოფილა, ღმერთმა მშვიდობა მისცესა.
რუსები გეიძახიან: „ოჩენ ხაროში და ბუდიტ, ეი ბოლუ
მაღადეცა“.

ოსები გეიძახიან: „ხორზუ ლაპუ არის ესა“.

მეგრელები იძახიან: „ჯგირი კოჩი არის ესა“.

თათრები გეიძახიან: „იახში გურჯი არის ესა“.

ფარსადანს ეხვეწება:

გენაცველე ფარსადანო, ნუ ჩამაგდებ რუსის ხელსა,
რასაც ვარანცოვი მოგცემს, მე ათას მოგცემ იმდენსა,

ას თუმანსა ახლა მოგცემ, ორას თუმანს გომარეთსა,

ჩემი ნაშოვარი ფული ჯავახეთი კლდეში ძევსა.

თუ ამ რუსებს წოუვედი, ვაი იმ შენს განსაცდელსა,

თავზე სასახლეს დაგანგრევ, სხვა ბარეც მოგითავებ ხელსა,

თრიალეთზე ცხვარს გაგიქრობ, მინდოროში დაგიკლამ ძმებსა.

წამოიყვანეს არსენა,

საციმბიროდ გაამწესეს, კილამ წვერი მოპარესა,

ქალაქს მთავარ მართებელი ბალკოშიდამ გადმოცქერსა,

მაგარი ბორკილი მიეთ, თუ არა წვრილს დაამტვრევსა,

მჭილის ტოლი წარბები აქ, მტერი ვერას დააკლებსა.

ცხრა ბორკილი გადასინჯეს, ერთი ფეხშიდ არ არგებსა.
ნარიყალას ციხეშიდა ის არსენა დააბესა,
შვიდ ღღესა და შვიდ ღამესა შიგ ციხეში ამყოფესა.
მაშინა თქვა არსენამა:

— მე რომ ციმბირში წვეიდე, ბიჰობას ვინ დამიგდებსა,
ხან სალდათებს ეხვეწება, ხანდიხან ყარაულღებსა.

— აბანოში მახანავეთ მამითქვენის სულის მზესა,
თუ აბანო ვერა ენახე, გზაზე ქუჩყი წამახდენსა,
მაშინ ქალაქის უმფროსმა ერთ ღამის ვადა მისცესა.

სადაც არსენა წვეიდეც, ცხრა ყარაული მისდევსა,
სამი წინ და სამი უკან, სამი მხარდი-მხარდ მიზღდევსა.

აბანოსთან რო მივიდა, წაღმა პირჯვარს დეიწერსა,
რადგანაც აქნამდის მოვედ, სიცხეს მივცემ კაზაკებსა,

ერთი საწყალი მანათი შიგნით ჯიბაში უღდევსა,
ამოიღო და გოდუგდო მიკიტნებს და სირაჯებსა.

ამის ოტკა ჩამომისხით, დამიღვეინეთ რუსებსა.
რუსებსა ოტკა ეგონა, ჩუმად ბანგი ჩოუსხესა.

ლოთი ყოფილა კაზაკი, გემოს კი არ გოუმცნევსა.

ისე გახდნენ კაზაკები, ვერა ცნობენ ცა და მზესა.

აუზებთან რო მივიდა, ეიწევს და გადაბტესა.

უკან მიკიტანი მიდევს, ჯიბაში ქლიბს ჩოუგდებსა.

შუალამე რო შეიქნა, ბორკილ ხეხვას დოუწყებსა,
მეაბანოვეს ეგონა, აგურით ბორკილსა ხეხსა.

ცოტა რო კიდე გახეხა, გადასწია და გასტეხა,

აიღო და გადაყარა, შენი გამჰქედი გაქრესა.

შე მამაძაღლის ტიალო, რისთვის მამტვრევედი ფეხებსა.

ერთი ქალაქის უმფროსი აბანოში მოირბენსა,

მისი შინელი და ქული მალლა კრაოტზედა ძევისა.

გამოიპაროს არსენა, ამ შინელს გოუგდებს ხელსა,

რუსულ შლაპკას დეიხურავს, რუსულ ჩეჰმებზე შედგესა.

კარებზე რო გადმოდგება, დააბრაგუნებს ფეხებსა:

— ხაბარდა და სლავეანდეცა, გზა მიეციოთ აფიცერსა!

მეედანზე მოაძახა, მეედანზე მედროშკესა:

— ფიცხლავე დროშკა მომგვარეთ, თორემ ცხენებს დავეკრი

ყელსა.

რომელიც კაი დროშკაა, იმ არსენას მოართევსა.

ჩოუჯდა ჩვენი არსენა, თან სიცილი ოუტყდესა,
განა ქალაქისკენ მოდის, დამოენაში გამოსწევსა.
დამოენაში რო ჩვეიდა, გოდოუხტა მედროშკესა,
ახლა არა მაქ ფულეზი, გაის მოგცემ მაგიერსა,
მედროშკე ეუბნებოდა: მშვიდობით გზა მოგეცესა,
დროშკის ცხენი არ წამართვა, შენს ფულს ვინლა დეძებსა.
წამოვიდა ეს არსენა, შავნაბაღზე მოვიდესა,
მისი მადლი გვეწყალობდესა,

ერთ ქვეშელი დედაკაცი სიძე მოუძღვის სიდედრსა.
ეს არსენამ დეინახა, ვხადლობ ჩემ წილ მოწყალე ღმერთს,
კაი ძღვენი მამლის ესა.

ჯერლა ტკბილად მოახსენა: დედა, ჩამობრძანდი ცხენსა,
მე ტყვე ვარ გამოპარული, ქვეები ფეხებს დამამტვრევსა.
ერთი სიძე იმ ქალს ახლდა, იმ არსენას მოუბღვერსა.
რალა ბევრი მოგახსენო, არსენამ და მისმა სიძემ

ხელი სტაცეს ერთმანეთსა.

არსენა ღონიერია, ის ბიჭი რას გოუძღვებსა.

ფიცხლავ ჩამოხტა ბებერი, კისერზე გადახვევს ხელსა:
— არსენა, შენი ჭირიმე, ნუ მომიკლამ ჩემ სიძესა.

ცხენიც იმას დოულოცეს, ხურჯინებს თან გაატნევსა.
პატარა რომ გეიარა, ხურჯინებს ჩხრეკას დოუწყებს,
ეს შევიტყო რალა ძევსა.

ერთ ტიკპორა სამსე აქს, ცხრა ნაზუქი თავსა ძევსა,
წამით სუფრა გეიშალა და ღვინოს სმას დოუწყებსა.

ერთი სომხითელი ბიჭი ქალაქს მოაგოგებს ცხენსა,
დოუძახა არსენამა: — გამარჯვება სომხითელსა,
მობრძანდი, ღვინო მიირთვი, იქნებ პური გწიოდესა.

მაშინა თქვა სომხითელმა: — ეს ჩემს ღვინოს რას დაძებს,
მაგრამა წამართმევს ცხენსა.

არც არა ცხენი წაართვა, სამ მანათსაც აჩუქებსა,
როცა ქალაქში ჩახვიდე, ასე უთხარი მართებელსა:

— შენ რომ ბიჭი დეიჭირე, ქვეით მიდიოდა დღესა,
თუ გინდა, გამოუდექით, კარქა მოიკიდებთ ხელსა.

კარახტინები შეუქრეს, იქით და აქეთ ხარესა,

ლეკში არსად გედვიდესა,

თუ რო ლეკში გადევინა, ბელადობას დეიჭერსა.

ბელადობას ვინ დეეძებს, თბილის ქალაქს წაგვიხტენსა.
სამი თვე ხვანთქარშიდ იყო, ხვანთქარს აბანინებს ხელსა.
თურმე თათარი მომკვდარა, უკან მოღლები მოზღვესა,
მაშინა თქვა არსენამა: — ამათ რჯულზე ვერ დავდგები,
რაც არ უნდა გამიხდესა, მეჭინიბეს ეუბნება:

სად აბია ხვანთქარის ცხენი, მამიშენის სულის მზესა?
მეჭინიბეც ეუბნება:

ბოლოში ცხენი აბია, მას ვერც ერთი გაასწრებსა,
ცხრა მოსართავს თუ მოუქერ, ოთხსა-ხუთსა დაგიწყვეტსა.
ნიტრა აღვირს თუ ამოდებ, თუ არა ეს ცხენი თავს
წაგართმევსა.

მივიდა ბიჭი არსენა, გავაზე გოდუსვამს ხელსა.
შეჯდება ჩვენი არსენა, ქალაქისკენ გამოსწევსა,
უნდა ვნახო ნათლიმამა, რაც არ უნდა დამიჯდესა.
ბოდბიხევეში რო ჩვეიდა, სულ კანკალი დაიწყესა.
დენინახა ფარსადანმა,

შებრუნდა და მოახსენა ფარსადანამ თავის ძმებსა:
არსენა გამოპარვია, დახედე ი რუსის ხელსა.

ცოცხალს კი აღარ მამარჩენს, ღორივით გამოოქრის ყელსა.
მაშინ ფარსადანას ძმებმა, ოსტატობა იხმარესა.

საწყალი ფარსადანი, შიგ ორმოში ჩაგზავნესა,
ზედ ბალიში დააფარეს, ზემოთ შეშა დააწყესა,
მივიდა ჩვენი არსენა,

სად წვეიდა ფარსადანი, ვარ მისი დედის ღმერთსა!

მირონსაც აღარ დავეძებ, ღორივით გამოოქრი ყელსა.

სამ დღეს უყურა არსენამ, თვალით ვერსად აჩვენესა.

მეოთხე დილა გათენდა, ნათლიდელა ხელში მოკიდებდა

ხელსა:

— არსენა გენაცვალე, რათ მიობლებ ნათლულებსა?

მაშინ შედგა ეს არსენა, წალმა პირჯვარს დაიწერსა:

— ორმოცი წელიწადია, რაც რო ყაჩაღად დავდივარ, კაცის
ცოდვა არა მდევსა,

ენლა მოვკლა ნათლიმამა, ბოლოს სული წამიწყდესა.

ფარსადანს ვაპატივებ, ძირ მირონს და მალლა ღმერთსა.

მოიყვანეს ფარსადანი, კაცისფერი არა სდევსა,

არსენა ეუბნებოდა:

აქ მილაღატე ფარსადან, იქ რას ეუბნები ღმერთსა,
ჩემ მაგიერ სამართალსა ღვთისმშობელი გაგიჩენსა.
სხვა კი ვერაფერს აკადრებს, თავის ცხენსა წაართმევსა,
ნათლიდელას უჯავრდება: — უნაგირი სადა ძევსა?
უნაგირი და ლაგამი საჩქაროზე მიართვესა.

ფარსადანი იძახოდა:

ნეტა ცხენს დამჯერდებოდეს, ვინ დაეძებს ამ ოხერსა.

წამოვიდა ეს არსენა,

სამი ღლის გამოსავალი სამ საათს გამოარბენსა.

იქ მოვიდა ხეთაებაში, მისი მაღლი გწყალობდესა.

ზუმბათოვსა და მაკაროვს გოდუხვევია ხელია.

— შენ ზუმბათოვ და მაკაროვ, ქალაქში რო შარს მიგლებდი,
ახლა ხო მოგასწარია,

ჩინსა და აპელატებზე შენგნით ეიღე ხელია,

თუ არა ოხრაჲ დაგრჩებათ დროშკა და შენი ცხენია,

კნეინა ეხვეწებოდა:

— ეიყარე და გოდუგდე ეგ ოხრად დასარჩენია,

თუ არა წამიყვანს არსენა, დარჩები ცარიელია.

თავის მაკაროვის რხმალზე ააღებინა ხელია.

ვერცხლის ტამბაჩა წაართვა, ათ თუმნად საღირელია.

წამოვიდა ეს არსენა, სვეტიცხოველში შევიდა,

აღსარება უთხრა მღვდელსა: — ორმოცი წელიწადია

რაც რომ ყაჩაღად დავდივარ, კაცის ცოდვა არა მღვესა,

მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ, ღმერთი რისთვის

წამაზღენსა!

საცა შიშველასა ნახავს, ჩოხას იხდის და აცმევსა,

საცა მქერივს და ობოლს ნახავს, ჯიბიდან ფულებს აძლევსა,

ესა სვი და ესა ჭამე, მე კიდევ ღმერთი მომცემსა.

ქალაქში რო ჩამოვიდა, ძრიელ ქეიფებს გასწევსა.

მიკიტნებმა დაპატიუეს, ქვეშ ხალიჩა დოუგესა,

იქ ბევრი დაალევიენეს, ტიკში ბევრი ჩოუსხესა.

მუხათგვერდში გამოვიდა, წინით სუფრა გეიშალა და ღვინოს

სმას დოუწყებსა.

ჩვენი გამჩენი მოუწყურეს იმ გიორგი კუჭანტელსა,

თურმე კახეთიდან მოდის, ყვარელიდან გამოსწევსა.

დოუძახა არსენამა: — გამარჯობა შენ გიორგი,

მობრძანდი, ღვინო მიირთვი, იქნებ ჰურიც გინდოდესა.
 სომხურად შამოაგინებს დედისა და მამის ყელსა:
 — მე შენი ღვინო რად მინდა, ცხეთა წითელ-პარასკევსა,
 თუ აგრე ღვინო მინდოდეს, ჩემ ჯიბეში ფული ძევსა.
 მიხვია-მოხვია ის სუფრა, უკან აბგაში ჩადებსა.
 წამოხტა ჩვენი არსენა, შეჯდა ცხენსა, ბელიკაზე მოუარა,
 საით წაბრძანდი გიორგი, გიორგი ვერ გაიგებსა.
 ან უნდა ფულეები მომცე, ან შენი ცხენი დამრჩესა,
 პირით ველარ გეიმეტა, სიბრტყით გოდუკრა ცხენსა.
 ვადაში რხმალი გოუტყდა, ის ცარიელი დარჩესა.
 მაშინ უთხრა ი გიორგიმ, ჩემი რხმალი ნახე შენცა.
 შამოუქნია არსენას, მოსჭრა მარცხენა ხელია.
 ცხენიდან გადმოგვიგდებენ იმ არსენა მარაბდელსა.
 ორი ლეკი ბიჭი ახლდა იმ გიორგი კუჭატნელსა,
 ღვთის მშობელი გოუწყურესა.
 ბეჭებში ტამბაჩა დასცეს, პირში ბოლი გავარდესა,
 დაღონებული არსენა იწევსა და ვერ ადგესა.
 რო გეიგეს ცხეთელებმა, თვალიდგან ცრემლი ყარესა.
 — ვა თუ არსენა მოგვიკლეს, ის მეგობარი იყვესა.
 ზოგი მტკვარში გამოვიდა, ზოგი ხიდზე მოურბენსა.
 არხიმანდრიტი მოგვარეს, ბერი თავზე დაადგესა,
 შეკონეს არსენას სული, ვარდის კონაზე დადგესა.
 წამოიღეს ის არსენა, იმ ცხეთაში დამარხესა.
 ის მარმარილოს ბროლი ქვა დასწერეს და დაადგესა:
 „აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“.
 ამ შაირის გამოთქმაში მეშტვირეს თეთრი ჩოხა ჩააცვესა,
 მანემდის ყველამ იცოცხლეთ, სანამ ის არ მოვიდესა.

მთქმელი ზაქ. ერაძე. სოფ. ფარახეთი (რაჭა). ჩამწერი აპ. ცა-
 ნავა. 1946 წ. ფ. არქ. 31689. სათაურად აქვს „არსენას ლექსი“.
 მთქმელის ცნობა: „ქართული ლექსია (ამ შემთხვევაში მთქმელი
 ხაზს უსვამს იმას, რო ლექსი რაჭული არ არის. ქ. ს.). ეს ლექსი
 მოიგონა ქარჩოხელმა კაცმა, მეშტვირე არ იყო, ივანე დვალიანთი
 იყო, ბაზალეთის იქით არის ქარისხევი. მეცხვარე იყო, არსენამ
 უამბოთ თურმე მას თავის ამბავი და იმან გამოთქვა, მოაბა სიტყვე-
 ბი ერთმანეთზე. მე მამიჩემისგან მაქვს ნასწავლი. მამაჩემი იტყო-

და, რომ ივანე დვალის ქარხნის გამოთქმულიაო. რო
 ნი ვი დო დ ი თ, გ ვ ი კ ი თ ხ ა ვ დ ე ნ ა რ ს ე ნ ა ს ლ ე ქ ს ი
 ი ც ი თ ო და უ მ ის ო ბ ა არ შე ი ძ ლ ე ბ ო დ ა. ის ე თ ი მ ე შ ტ ვ ი რ ე არ ი ყ ო,
 რომ ე ლ მ ა ც ე ს ა მ ბ ა ვ ი არ ი ც ო დ ა. სა ც ა დ ა ვ დ გ ე ბ ო დ ი თ ლ ა მ ე, ვ ი ტ ყ ო -
 დ ი თ ი ქ ბ ო ლ ო მ დ ე, ა გ რ ე თ ვ ე კ ა მ პ ა ნ ი ა შ ი. დ ლ ის ი თ გ ლ ე ხ ის ა ს პ ა ტ ა რ -
 პ ა ტ ა რ ა ს ვ ი ტ ყ ო დ ი თ, ხ ა ნ ნ ა ხ ე ვ ა რ ს, ხ ა ნ მ ე ს ა მ ე დ ს. თ უ სა ლ ი რ ა ლ ს
 მ ო გ ვ ც ე მ დ ნ ე ნ, მ თ ლ ი ა ნ ა ლ ვ ი ტ ყ ო დ ი თ. ნ ი კ ო ლ ო ზ ის დ რ ო ს ვ ი ნ ც 5
 მ ა ნ ე თ ს მ ო გ ვ ც ე მ დ ა, ს რ უ ლ ა დ. ვ ი ტ ყ ო დ ი თ, ა ხ ლ ა ხ ა ნ მ ე და ლ უ კ ი ა
 რო დ ა ვ დ ი ო დ ი თ „არსენას ლექსზე“ სრულად 50, 80 მანეთს გვაძ-
 ლევდნენ.

შარშან მე და ლუკია ვიყავით სხიერობაზე /ონისთავზე/. დაგ-
 ვაკვრევია გიორგი სხირელმა, „არსენას ლექსი“ სრულად და ოცი
 თუმანი მოგვცა. გრძელიშვილი გიორგიმ 20 თუმანი მოგვცა „არ-
 სენას ლექსის“ თქმაში.

ეს ლექსი მწყემსის გამოთქმულია. გიორგი ქებაძე არაფერ
 შუაშია.“

მთქმელის შენიშვნები და განმარტებანი: სტრიქ. 51—მ ა რ დ ა ხ ა
 — სახელია; სტრიქ. 66—ა რ ძ ა — თხოვნა; სტრიქ. 78—ყ ა ზ ა ხ ი,
 ხ რ ე ბ ი — ა დ გ ი ლ ე ბ ი ა გ ა ნ ჯ ის ა ე კ ე ნ, სტრიქ. 111—ხ ო რ ზ უ ლ ა პ უ
 — კ ა ი ბ ი კ ი ა რ ის ო, ო ს უ რ ა დ.

8

შაირი სიტყვით შაიბა, მესტვირემ ღმერთი ახსენა,
 ღმერთმა მოგცეს განათლება ოძელაშვილო არსენა.
 ქეიფი რომ მას უყვარდა, გზებზე სუფრის გადაფენა,
 შვიდ წელიწადს ტყვეთ იარა, მთა და ბარი შააჭერა.
 შასრულდა თოთხმეტი წლისა, წვერ-ულვაში დაიმშვენა.
 შაჯდა თავის ლურჯა ცხენზე, გააქენ-გამოაჰენა.
 ზაალი ბარათაშვილი ძალიან გაგვინაწყენა.
 ბატონს რო ერთი ქალი ყავს, არსენას მაეწონება;
 — ქალი მე მამე ბატონო, შენ არა წაგინდება რა,
 მაგიტან თორმეტ თუმანსა, მოგიტვლი ჩქარა-ჩაქარა.
 ე რო ზაალმა გაიგო, ქოში უკუღმა ყარა.
 თორმეტი აღარ მიგდია ბიჭები შენისთანა.
 აბა თუ შენ თორმეტი გყავს. ფანჯრიდან გადიპარა,

ბატონს მოახლე მოსტაცა, ახალციხეს გარდუყენა,
 ჩითის კაბები დახადა, სულ ფარჩისა დაუკერა.
 უკან დაბრუნდა არსენა, ცოლ-შვილი სულ განამტვერა.
 ე რო გაიგო ზაალმა, ორსავე თვალთ შაქნა ცრემლვა.
 გაძცა-გამოძცა ქალაღდი, ქალაქში გამააცხანდა,
 გუბერნატორს მახსენა: — შენი ჰირიმე ბატონო,
 თუ გაგიგიათ არსენა, დამაქცია, დამანელა,
 ერთი კარგი ქალი მყავდა, წამართვა და ვადმიყენა.
 სამას-ორასი ყაზალი გააწვეს თრიალეთისკენა.
 კოდაზე რო შამოვიდნენ, წინ იქ დაუხვდათ არსენა.
 დრასტი, ზნაკომ, გამარჯვება, კულა იდგომ, საითყენა?
 — ჩვენ შენი ჯავრი არა გვაქვს, მივალთ მარაბდისკენა.
 ერთი ბიჭი გემეგვექცა, კაი სახელი სოლომან,
 მეტი სახელი არსენა, ჩვენ გვინდა იმის დაქერა.
 არსენამ ჩაიცინა ნელა-ნელა,
 ნაბადი გვერდზე იქცია, ჯერე თოფი ააყენა,
 მერე ხმალი მიაშველა,
 ასსა, ორასსა ყაზახსა ზურგსა ბოლი ააყენა.
 ყველას თოფები წაართო, სულ მიწითა დაუტენა,
 თელეთის ბოლომღი მიყვა, სომხეთში არ შააჩერა.
 ნაკაკოს ეუბნებოდა, თავათ გახლავართ არსენა.
 ქალაქში რო ჩამოვიდნენ, თავი ბატონს მახსენა:
 — თქვენი ჰირიმე ბატონო, თქვენი არსენას დაქერა უზარბა-
 ზნოთ არ იქნება.

ან არი მდვეი, ან გმირი, ან არი რკინი მკენეტელა.
 რომელსაც ხელი მაგვეკიდა, ფეხზე როდის დაგვაყენა,
 ყველას თოფები წაგვართო, სულ მიწითა დაგვიტენა.
 აღმასისა წყაროზედა ურიებსა აწყევლინა ბედიფურა.
 შეინდიე ჯოხი გამაუჭრა, შვიდი მტკაველი გაზომა, თუ ამით
 არ გაყიდით, ვაჲ დედი თქვენი ღმერთსა,
 საცა რომ შამაგვეყრებით, ღორივით გამაგვკრით ყელსა.
 ე საწყალი ურიები დაეკითხენ ერთმანეთსა:
 — ჩვენ რომ ამითი გაყვიდოთ, აბა რა დახლი დაგვრჩესა,
 ისევე ეს ჩვენი ფარჩა ჩვენს ღუქანშივე დალპესა.
 ეი, ურიებო ვიცი, თქვენ ჯიბეში ფული ძევსა.
 — ვაჲო, ფულეები ვაჩუქოთ, ეგებ ცოცხალ გავვიშვებსა.

ამაილე და მამეცი თუთხმეტ თუმანიჲ ოდენა.
ათი თუმანი აილო, ზუთსა უკან უბრუნებსა.

— ამ ხანათ მოდის ვაჰარი. ურია მოდის აკიდებული აქვს სავა-
ჰრო. ერთი ბებერი დედაკაცი ურიას შეევაჰრა, საკაბე უნდა იყი-
დოს.

არა ღირდა ორ შაურად, არშინს თუმნად უფასებსა.
დახედე ჩვენი არსენა, ერთ კაი მუშტს წაადებსა.
დახედეთ, საახალოხეს სულ ტყუილად წაართმევსა.
ეს რო გაიგო ზაალმა, გააცა, გამოაცა ქალაღი:
— ვინც რო არსენას დაიჰერს, ათას თუმანს აქ ვაჩუქებ,
ორას თუმანს გომარეთსა.

მამაძაღლსა ფარსადანსა ხმას უქებენ სხვას არასა.
როცა შირაჰში დასცხება, ფათარვანის ტბაზედა წაასხამს
ცხვარსა.

წინ იქ დაუხედეს არსენა, ნათლიმამად მოიკიდა, მაგრამ ის
ულალატებსა.

— შენი კირიმე ნათლიავ, რატო არ მოდიხარ ჩვენსა,
მიღალატებ ნათლიმამავ, მიტომ არ მოვდივარ თქვენსა.
ნამი შეილის მომნათვლელსა ჰერ მირონს და გარდა ღმერთსა.
მოატყუილა არსენა, ტკბილი ღვინით დაგვითვრესა.

იარალი აიყარა, ნათლიდედას აბარებსა,
თუ ხვალ შეიდობით გათენდა, აღრიანად დამჰკირდესა.
იალუჩი და ბალუჩი საჩქაროზე მიართვესა.

მამაძაღლსა ფარსადანსა გუნებაში რა უძევსა,
შულამე რო შეიქნა გააწვეს თავი ამქრებშია.

ათი. თორმეტი მეცხვარე არსენს თავსა დააწვესა.

ათსავ აგრევე წამაუდგა, სულ მუშტით დაამტვრევს ყბებსა.

მეთურთმეტე, მეთორმეტე არსენს დაუკრავს ხელებსა,
არსენა რო ცხენზე შასვეს, ძირს ფეხები გაუკრესა.

ბიჭი მარდია არსენა, ცხენიდან არ გადმოხტესა.

— რას მიპირებ ნათლიმამავ, თუ წაუველ ამათ ხელსა,
თრიალეთში ცხვარს გაგიწყვეტ. მინდორში დაგიწვავ ძნებსა.
მირონსაც აღარ დავეძებ, საცა რო შამეგყრები, ღორსავით
გამოგჭრი ყელსა.

ქალაქში რო ჩაიყვანეს, დიდი უფროსის კარზედა,
წაბძანდა ეს უფროსი.

— რას შვრები ჩემო არსენავ, შენი აშბავი მამდისა.

— შენი ჳირიმე ბატონო, მართალია გავვარდნილვარ,
მდიდარს ვართმევ, ღარიბს ვაძლევ, ღმერთი როგორ წამახდე-
ნსა, კაცის ცოდო არ მაძევსა.

ფარსადანს ასე გონია, ჩინს მამცემენ ტემლაკებსა.

ორი პანლური ამოკრეს და ეგრე გამაგდესა.

ეს ჩვენი არსენა საციმბიროთ გაამწესეს, ცალი წვერი მოაბა-
რსესა,

ეხლა უფროსს ეუბნება: — შენი ჳირიმე ბატონო,
აბანოში ნაჩვევი ვარ, ტანზე ჳუჳყვი მაწუხებსა,
იმის ჳავრი არ ჩამყვესა.

აბანოში წაიყვანეს.

ერთი საწყალი მანეთი არსენს ჳიბეში უდევსა,

აილო და გადაუგდო სირაჳსა და მიკიტანსა

— ამის ოტკა ჩამამისხით, მისვით შშიერ სალდათებსა.

სალდათებს ოტკა გონიათ, ჩუმათ რომი ჩაუსხესა.

ადრე დათვრენ სალდათები, ვერა ცნობენ ერთმანეთსა.

აბანოში რო წავიდნენ, უკან მიკიტანი მიადევს,

ჳიბეში ჳლიბს ჩაუღებსა.

არსენამ თჳვა:

— ო, დიდება მოწყალესა, ჩემი საქმე არი ესა.

აბანოში რო წავიდნენ, უკან მიკიტანი მიადევს,

ბორკილ ხეხვას დაუწყებსა.

სალდათებს ასე გონიათ,

აგურით იხეხავს ფეხსა.

გაატეხა და გადააგდო, ფუჳ! გამჳელი გაგიჳრესა.

ამ ხანათ მოდის უფროსი, აბანოში შავიდესა.

მაინხადა თავი პალტო, რეშოტკაზე დაკიდებსა.

არსენამა წამაისხა, ვნახო, როგორ მარგებს ესა,

როცა გარეთ გამოვიდა, ყველამ ჩეშტი ხო მიაცესა.

იმათ უფროსი გონიათ, ე არსენა გამაძვრესა.

ცოტა რო გამაიარა, პირსიცილი აუტყდესა.

მეიდანზე გამოიდა, მიაძახა მეღროშეკესა.

რომელიც კაი დროშკაა, იმ არსენას მიაართევსა.
დაუჭდა ბიჭი არსენა, გააწევს კუმისის მთისკენა.
კუმისის მთისკენ რომ მიდის,

ერთი ქალაქელი ბიჭი ქალაქისკენ ხო გასწევსა.

მაიცადე ამხანაგო, ორ სიტყვას დაგაბარება:

— ქალაქში რო ჩახვიდე, ამათ ეტყვი სირაქსა და მიკიტნებსა:

— არსენა რო დაიჭირეს, ქვეით მიდიოდა ღღესა.

კუმისის მთაზე ავიდა, სიძე მიუძღვის სიედრსა.

ეს არსენა ეუბნება: — ცხენზე აიღებდე ხელსა.

მე ტყვე ვარ გამოპარული, არც მე მატკენს ე ფეხებსა.

დახედე, ხო იმის სიძე ხანჯალზე ხელს წაივლებსა:

— შენ წუწკო და მამაძალო, ხელმწიფის გზაზე მიხვდები,

ეს კაცი არ გაგიუღესა!

დახედე, ჩვენი არსენა ერთ კაი მუშტს წაადგესა და ქვეშ
აშაიდებსა.

სიდედრი ეხვეწებოდა:

— შენი ჰირიმე არსენა, ნუ მომიკლავ მაგ სიძესა,

ხურჯინში ნაზუქი არი, ღმერთი ტკბილად შაგარგებსა.

ტიკპორითა არი ღვინო, ქათამი და ინდაური ღმერთი

ტკბილად შაგარგებსა.

ნუ! გადურჩა სიძე აღარ მოკლა.

შაჯდება ბიჭი არსენა, გააწევს კუმისის მთისკენა,

როცა ბოდბეში გაიგეს, ყველგან კარი ჩაკეტესა.

დახედე, ხო იმი ძმებმა ესე ხერხი იხმარესა,

ერთ ალაგს ორმრ ამოქრეას და იმაში ჩაადგესა.

სამ ღღე ღამ ეუბნება:

გამაუშვით ფარსადანი, არას ვერჩი არაფერსა.

ულვაშებში ჩააფურთხა და გაანება თავი. ქალაქიდან მოდის.
ერთი უფროსი და ცხეთაში მიდის.

წინ იქ დაუხვდეს არსენა, ზუმბათოვსა ეუბნება:

— პალტოზე აიღებ ხელსა.

ცოლი ეუბნება:

— აიღე და გადაუგდე ეგ ოხრად დასარჩენია,

სუ ყველა ოხრად დაგრჩება დროშკა და შენი ცხენია.

არსენამ სიზმარი ნახა,

— ვერ დავესწრები აღდგომას, ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსა, თუ არაინ მე არ მამკლა, ძალათ გამავეჭრი ყელსა.

არსენა ქეიფობს მცხეთაშია, ნახე ე ჩვენი კუქანტელი გიორგი გააწევეს ცხეთისკენა. არსენა დაუძახებს: — ძმობილო, მოდი ღვინო დავლიოთო, ეხლა ე გიორგი ეუბნება:

— დღეს წითელი პარასკევია, დღეს ღვინოს როგორ დავლევთა,

არსენა გაჯავრებული არსენა ხო წამოხტესა, ხმალი გადაუკრა ცხენსა.

გიორგი ეუბნებოდა: — რას შვრები ბიჭო არსენა! ლეკის პირდაპირ ვიყავი, ოცი ტყვია მამარტყესა, მაგრამ მაინც ვერ დაჰკრესა.

გაჯავრებულმა არსენამ ხელმეორედ გადაკრა ხმალი და ვადაში გადაუტყდა. გიორგის ცალი ყბა ჩამაჰკრა, ცალი მხარი და ბარძაყი და ეუბნება:

— ეგეც გეყოფა გიორგი, ვაი ღვინოშენის ღმერთსა.

გიორგის ლეკი ბიჭი ყვანდა. არსენას ლევორვერს დაეცემს.

მამაძალღი, აბა უყურე ი გამჩენ ძალღსა.

ცხეთელები გამადიან, ძლივლა მასწრებენ ღვდელსა.

სანამ ღვდელი მავიდოდა, ეს არსენა გათავდესა.

მთქმელი ვანო მიქელაშვილი. სოფ. საბუე, ჩამწერი ქს. სიხარულიძე. 1947 წ. ივლისი. ფ. არქ. № 30063. ვანო მიქელაშვილი (შერქმეული სახელით კონკილა და მამალო) 80 წელს გადასული მდიდარი რეპერტუარის მქონე მთქმელი იყო. ამ ვარიანტში იგრძნობა მესტვირული ლექსის შერეული ფორმის ნაწარმოებად ქცევის ტენდენცია. მთქმელის შენიშვნები: სტრიქ. 30—„მაშ რა მარდი ბიჭი ოქნებოდა, აი! სტრიქ. 33 — ნ ა კ ა კ ო ს — „ეს რა ჯანაბაა არ ვიცი“ (იგულისხმება ნასკაკოი. ქ. ს.); სტრიქ. 66—„ა ლ უ ჩ ი დ ა ბ ა ლ უ ჩ ი—ქვეშაგები; სტრიქ. 107—„მაშინ დროშკა იყო, ფაიტონი არ იყო“; სტრიქ. 122—„ზოგი ტყუილად არის ჩაკერებული“. მთქმელმა, რომელიც ჭორჭაძეების ყოფილი მენახირე იყო, დასძინა: „ამ ლექსს ძროხაში ვამბობდითო“. (ქს. სიხარულიძე, ნარკვევები, 1, 1958, გვ. 350, 354). ილია ჭავჭავაძის პოემის „რამდენიმე სურათი

ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ მიხედვითაც „არსენას ლექსი“ მენახირეთა რეპერტუარში შედიოდა.

სახალხო გმირისადმი მთქმელის დამოკიდებულების თვალსაზრისით საინტერესოა, რომ ვანო მიქელაშვილმა სტრიქ. 39-ის თქმისას აღტაცების ნიშნად გულიანად გაიცინა.

ღ

შაირი სიტყვით მესტვირემ, მაღალი ღმერთი ახსენა;
გაღღნძელოს და გაცხონოს ჩვენო შავკაცო არსენა.
არსენა მიტომ დაარქვეს, უყვარდა კაი მოღბენა,
თოფ-იარაღში რო ჩაჯდა, თვის ბატონს ჩოუგდო ენა.
შეიყვარა იმის ქალი, სულ მთებზე გადააჰენა.

მოკლე კაბები გახადა, კოჭებამდი შოუყერა.
გედღირია ბატონი, რა გამიხდა ეს არსენა;
კაცი კაცზე გოუგზავნა, ნაჩაღნიკი შეაჩვენა.

ქალაქში ამბათ მოვიდა არსენას გაყაჩაღება.
შეიკრიბა თელი ჯარი, უნდათ არსენას დაჰერა.
ჯვარის გზაზე მოეწიენ, კაცი მოღის ნელა-ნელა.
რუსებმა ქე რა იციან, თურმე ეს არი არსენა.

— ერთი კაცი გამოგვექცა; მეტსახელათ ქვია არსენა,
იქნება სადმე შემოგზვდა, გვინდა იმისი დაჰერაო.
არსენამ რო ეს გაიგო, გეიცინა ნელა-ნელაო.

წაართვა ზოგსა თოფები, ზოგს მიწით გამოუტენაო.
შეშინებული რუსები, ქე გამეიქცენ სუყველაო.

არსენა ბატონთან მიღის, ეს რა გამიკეთე შენაო!
თუ შენ ეს არ დაგანანო, მოგიკვდეს ბიჭი არსენაო.

ნათლიას ჩამოუარა, უნდოდა ღამის გათევაო,
თურმე ნათლია ლალატობს, არსენამ არ იცის ესაო.

წამოწვა შეიდობიანათ, მირონს ხო არ დააქცებსაო!
მოუსკვნიათ ეს არსენა, ვეღარც ქე გაანძრევს ხელსაო.

ფარსადანი ბოგღისხეო, რას ეუბნები შენ ღმერთსაო.
ოღონ გამიშვი ფარსადან, ჩამოგიტან ოქრო-ვერცხსაო,
შვიდას მანეთს აქ გაჩუქებ, სამას მანეთს ალავერდსაო.
არ გოუგონა ნათლიამ, არსენა შამოსვა ცხენსაო.

ქალაქში გამოიარა; თელი ქალაქი დასდემსაო,
აბანოში შეიყვანეს, იქ ქლიბი გოდოუგდესაო,
ჩამოიხეხა ჯაჭვები, ვაი, დედიჩემი ღმერთსაო.

აბანოში დეეტოვნათ შინელები გენერლებსაო.
 არსენა ქე გამოეწყო, სალამს აძლემს პატრულებსაო.
 ფაიტონში ჩაბძანდა და შინელს გვერდზე მოიგდებსაო,
 სიტლიკინა გენერლები, ფანჯრიდან უქნევენ ხელსაო.
 ფარსადანო, თავს უშველე, არსენა მოგისპობს დღესაო.
 კლავათ ქე იყო მაგარი, მარა გული უსაწყლებსაო.
 შეეცოდა ნათლიმამა, მე ვერ ვაწყენიეფ ღმერთსაო.
 მეორეთ აღარ გაბედო, თვარა გაწყველიეფ დღესაო.
 წყალწითელას ჩამოვიდა, წყლის ნაპირზე ჩამოჯდესაო,
 ხურჯინს თავი მოუხადა, წითელ ღვინოს მიუჯდესაო.
 გიორგიმ ჩამოიარა, გლახა კაცი იყო ესაო.
 უკან ლეკი მოჰყვებოდა, არსენას თვალს უტემდესაო.
 მოდი ძმავო, ღვინო მოსვი, გაფიცეფ მამაშენის ძეხსაო.
 ძაღლო, ღვინოს რავე დავლემ წითელ პარასკევის დღესაო.
 წითელი დღეობა იყო, არსენამ არ იცის ესაო,
 ციხიდან გამოპარულსა დავიწყნია იმას ესაო.
 მაინც უცინის გიორგის, გულში ქე გოუნჯავრდესაო,
 ხმალი უნაგირს დოუკრა, შუაზე მოუტყდა ესაო.
 ხანჯალზე ხელი იტაცა, მაინც დაგიბნელეფ მზეხსაო.
 გიორგი დაფეთებული გადარჩენასა თხომს ღმერთსაო.
 ესროლე, რაღას უყურეფ, თვალით ამინებდა დევსაო.
 ესროლა გლახაკმა ლეკმა, მტყვეია მიუწვდინა ბეკსაო.
 — წუხელი სიზმარი ვნახე, ინით ვიღებავდი წვერსაო,
 ვერ მოვესწრები აღდგომას, ვერ დავიჭერ წითელ კვერცხსაო.
 არსენა ძირს გადმოვარდა, თვალი დეეხუჭა მზეხსაო.

მთქმელი საჩინო დავაძე 100 წელს გადასული, მდიდარი და
 საინტერესო რეპერტუარის მქონე.

სოფ. სპეთი (საჩხერის რ.) ჩამწერი გიორგი ჯაფარიძე, 29.
 VII—61 წ. — სათაურად აქვს „არსენას ლექსი“. ფ. არქ. ი.

ცნობილია აგრეთვე სხვა ვარიანტებიც.

და ბ ე კ დ ი ლ ი: მთქმელი სიმონ ჭიკაძე, ჩაწერილი 1946 წ.
 კიკანში. აპ. ცანავას. ვირსალ. № 133, გვ. 158—159; მთქმ. ლევა
 ქავთარაძე, ჩაწ. ს. ჩადისციხეში 1946 წ. ელ. ვირსალაძის. ვირსალ.
 გვ. 73.

ხელნაწერი: მთქმ. ბეს. ბალამწარაშვილი. ჩაწ. სოფ. მეჭ-
ვრისხევში 1962 წ. ნონა ლამბაშიძის. თსუფა № 2624; მთქმ. ჩამწ.
და ჩაწერის ადგილი იგივე — თსუფა № 2625; მთქმ. მ. ხეჩუაშვი-
ლი. ჩაწ. ს. გრემში 1947 წ. აბ. ცანავას — ფ. არქ. № 30771; მთქმ.
ალ. ქიტიაშვილი. ჩაწ. საბუეში 1947 წ. აბ. ცანავას. ფ. არქ.
30664; მთქმ. ვ. თავდიდიშვილი. ჩაწ. ს. აღმატაში 1947. წ. აბ. ცა-
ნავას. ფ. არქ. № 30716; მთქმ. გ. მრელაშვილი. ჩაწ. სოფ. რყალ-
თოში 1948 წ. მიხ. ჩიქოვანის ფ. არქ. № 31941; მთქმ. ნ. მნათობიშ-
ვილი. ჩაწ. უკანამხარში 1946 წ. ელ. ვირსალაძის — ფ. არქ.
№ 32240; მთქმ. ბ. მოღებაძე. ჩაწ. ს. ურაველში (მესხეთში) 1964 წ.
ვ. მაცაბერიძის; მთქმ. გ. წაქაძე. ჩაწ. ლ. გუნთიაშვილის 1961 წ.
ფ. არქ. ი. 91, გვ. 10—12; მთქმ. ს. ხარაიშვილი. ჩაწ. 1961 წ. ჯ. ტი-
კარაძის. ფ. არქ. ი. 91, გვ. 250—253; მთქმ. გ. ბაკურაძე. ჩაწ.
ს. გლოლაში 1948 წ. აბ. ცანავას. ფ. არქ. № 318091. მთქმ. ევაკა
ნიყარაძე. ჩაწ. ს. ჩაქაშში (ლენტეხის რ.) 1962 წ. ნ. დუმბაძის
თსუფა № 581.

12. არსენას 'ღექსი

სოფ. უჩხოზი (გურია). ჩამწერი ალ. დლონტი. 20. VII
1937. დღ. გურ. ც 97, გვ. 78. სტრიქ. 2 — მ ა რ ა დ ე ლ ი ა — უნდა
იყოს მ ა რ ა ბ დ ე ლ ი ა. მთქმელისთვის, ეტყობა უცნობია მარაბ-
და.

ბ

არსენა ვოძელაშვილი
ბიქია კაი მთელია,
წელში წვრილი და მალალი
ბექებში უფრო სკელია.
ბარათაშვილის გოგოზე
აღარ ააღო ხელია.
ზაალა ბარათაშვილმა
გამუუგზავნა ღდეღია:
არსენა ჩამომეთხოვე,
იმდენი ძმობა ქენია.

არსენა აღარ ვიქნები,
 თუ ვარესი არ ვქენია.
 ზალას ეზოში ჩევიდა,
 ჩეიმალქაფა ცხენია,
 გოგოს ხელი გადახვია,
 ამოუკოცნა ყელია.
 შენი ჭირიმე არსენავ,
 აწი შემიშვი ხელია.
 ჩვენს ბატონს მოსლა უთქუამს,
 ჩვენზე სიკტილის ფერია.
 გოგოს ხელი რომ დაავლო,
 ტახტზედა შემუჟგდია,
 სურამი გუურბენია,
 გორს წირვა მუუსპენია,
 კახეთშიდა რო მისულა,
 იქ კარქათ წუურხენია.
 შენ ბატონო მართებელო,
 არა ვარ კაცის მკლელია,
 არცა ვარ ძნელი ქურდია,
 ერთი გოგო გადავკოცნე,
 იგიც სიბრიყვე ვქენია.
 შენ მამაძაღლო, ვოხერო,
 წაი და კიდო ქენია!

მთქმელი მალაქია ბიბინეიშვილი, 85 წლის. სოფ. ტობახჩა (გურია).
 ჩამწერი ალ. ლლონტი. 18. VII—1935 წ. ღლ. გურ. № 98, გვ. 79.

8

არსენა ოძელაშვილი
 ბიქია მარაბდელია,
 წელში წვრილი და მაღალი,
 ბეჭებში უფრო სქელია.
 ბარათაშვილის გოგოზე
 აღარ აიღო ხელია!
 ბარათაშვილმა ზაალმა

მას გაუგზავნა ღვდელია:
„არსენა, ჩამომეთხოვე,
იმდენი ძმობა ჰქენია!“
ეს რომ არსენამ გაიგო,
ულვაშს გადისვა ხელია:
„შენი არსენა მოგიკვდეს,
თუ მეტიც არა ვქენია!“
პარასკევი რომ გათენდა,
შაბათი არაფერია,
კვირა დილა რომ გათენდა,
კარზე მიუბა ცხენია.
ამას რომ გოგომ შეხედა,
სახეს ეცვალა ფერია:
— ეგ, არსენა, რა გიქნია,
კარზე მოგიბამს ცხენია?
ეს რომ ბატონმა შეგვიტყოს,
ჩვენი სიკვდილის ფერია!
აღე, გოგო, ზე შეჯექი,
ღამეც ეს არის ბნელია!
ვინ არის ჩვენი დამხედური?
ვინ არის ჩვენი მკვლეელია?
აღვა გოგო და ზედ შეჯდა,
ქალაქი ჩაარბენია,
გორში წირვა მოისმინა,
სურამში მოულხენია!...

სოფ. გვიშტიბე (ქუთაისის რ.) კოტ. გვ. 109, ახ. გამოც. გვ. 125.

13. არსენს აქებენ უჩაღსა

ახალციხის რ. 1936 წ. ფ. არქ. № 11441; სახ.-გმ. გვ. 69.

ბ
არსენას აქებენ უჩაღსა,
მეტად გულ-მარდი არიო,
სამართალს ძებნა დაუწყუო,
გამომტერია კარიო.

გლებები გაახალისა,
მოსწმინდა ნალველ-მშარიო.
გლებებიც ასე იძახდნენ:
— მას დაუქიროთ მხარიო.
ბატონებს სიკვდილი უთხრათ,
არ არის შესაბრალო
და გადავყაროთ ხევებში,
როცა აღიღდეს წყალო.

მთქმელი სტიფანე ზურაბაშვილი. 65 წლ. სოფ. ხიზაბავრა.
მაკ. მესხ. ჭავახ. გვ. 128.

14. არსენა უჩაღზე

მესხური. ჩამწერი ი. გვარამაძე (ვინმე მესხი). ილია მაისურა-
ძის კოლექციიდან. სტრიქ. 3 — მესტვირული ლექსიდან არის
შეტანილი.

15. არსენა რომ დაიბადა

მთქმელი გლახა ივანეს ძე ბუჩუკური 90 წლის. სოფ. გვიდა-
ქე. ჩამწერი ელენე ვირსალაძე. 1945 წ. ვირსალ. № 134, გვ. 159.
ეს არ არის მესტვირული პოემის „არსენას ლექსის“ ვარიანტი,
დამოუკიდებელი ტექსტია, თუმცა ამ პოემის შემდეგ და მისი ში-
ნაარსის გავლენით უნდა იყოს შექმნილი. ამაზე მიგვანიშნებს
მოახლეებთან შეჩვევისა და ბატონის გაგულისების მოტივები.

16. არსენას ამბავი

მთქმელი ო. ჩალაძე. სოფ. აკურაში (თელავის რ.) 1948 წ.
ჩაიწერა მიხ. ჩიქოვანმა. ფ. არქ. № 30833.

17. არსენა

მთქმელი ზ. ერაძე. ჩაწერა სოფ. ფარახეთში (რაჭა) აპ. ცანავამ
1946 წ. ფ. არქ. № 31690.

18. არსენას ამბავი

მთქმელი ნ. ლუარსაბაშვილი. ჩაწერილი სოფ. გრემში (ყვარლის რ.) 1947 წ. აპ. ცანავას მიერ. ფ. არქ. № 30749. მთქმელი განიცდის გავლენას ილია ჭავჭავაძის პოემისა „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“. თავის მხრივ ილიამ ამ პოემაში გამოიყენა არსენა ოძელაშვილზე შექმნილი სიმღერა.

19. არსენა და გიორგი კუჭატნელი

მთქმელი გ. მრელაშვილი. ჩაწერილი იყალთოში 1948 წ. მის. ჩიჭოვანის მიერ. ფ. არქ. № 31942. გადმოცემისათვის მთქმელს გადაუბამს საკუთარი თავგადასავალი, რომელიც მოგვყავს მთლიანად:

„თვითონ მეც გავექე ბატონს, გიორგი მაყაშვილს, ტაშტაბურას ეძახოდნენ. მამაჩემს სთხოვა ჩემი თავი. მერე მე იმათი ქცევა არ მომეწონა, საქონელი ბევრი გვყავდა. იმათ ერთი ვირი ყავდათ, ტყეში გამგზავნიდნენ ხოლმე, ლოგინს გამაშლევიანებდნენ, ეხლა ერთი დროა მთვარეზაა წამოწოლილი. გრძელი ჩიბუხი ქონდა პირში, მე მეხათრებოდა მისვლა იმათთან. მითხრა: — აბა, ერთი მათით ნაკვერჩხალი მომიტანეო. მიუტანე, ი ჩიბუხზე რო დავდე, ის ნაკვერჩხალი გადმოვარდა. ჩავარდა უბეში...“

მე შამცხვა, ველარ ეუთხარი, გამოველი და კარებს ამოვეტარე. ცეცხლი რო მოეკიდა, ი ჩიბუხს ეწევა ჰგონია. ნაკვერჩხალი ზედ ადევ, უძახის ცოლს: ლოლე, მიშველე, მიშველე, თან მიიძახა. დამიკით, მომიყვათ აქა, სამი როზგი უნდა დავარტყაო. აბა იქ რა გამაჩერებდა. მიველი სახლში და დედას ვუთხარი: — ბატონს გამოვექეცი, როზგი უნდა დავარტყათქო. მამაჩემი ძალიან ფიცხი კაცი იყო და გავიქეცი ტყეში. მამაჩემთან ვერ ვჩნდებოდი. მერე მომიყვანა დედაჩემმა — საქმელი დიდ გოდორ ქვეშ დამალა — მამაჩემი დაიბარა ბატონმა. ბიკი გამომექცა, არ მოსულა შინ? — არ მოსულა. რო მოადეს, მომიყვანეთ აქა. მემრე დედაჩემს უთხრა მამაჩემმა, რო გეცოდინება ის ბალღი საცა არის და უნდა გამაჩინოო. სადამოს ხანს რო მოვიდა მინდვრიდან, საქმელი მიირთვეს. აქ აიმ ეზოში იყო ეს ამბავი. გამომიყვანა დედაჩემმა საბძლიდან.

ეს ძროხები შამომეხვიენენ, ფერღელა, შამელა, ღვინია, კუმსა, ამირანა, წიქარა, დამიწყეს ლოკვა. ბევრი გვეყვანდნენ და როგორც დამინახეს, ლოკვა დამიწყეს კაცო. მოიხდა ძამაჩემთან, დედა უკან მოზღვეს. მითხრა: — რათ წამოხვედი. აუხსენი გარემოება, არ მინდა იმათთან ცხოვრება, მე მიყვარს საქონელი, ურემი, გუთანი: მერე უთხარი მამას, თუ გამგზავნი, იქ, იცოდე ცოცხალი არ მოვალთქო. აღარ გაუგზავნივარ, არ წავედი.“ — იქვე.

19^ა. არსენა

მთქმელი საჩინო კოპალიანი. ჩაწერილი მის. ჩიქოვანის სოფ. ლუხვანოში (ლუჩხუმი). მის. ჩიქოვანის კოლექციიდან.

20. სუთმაბათს თენებისას

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ. I. № 72, გვ. 24—95. ლექსების ციკლი ლეგების მიერ თუშეთის სოფლების დიკლოსა და შენაქოს აკლებაზე, თუში გმირის მიერ საკუთარი ცოლ-შვილის დახოცვასა და ხმალამოწვდილი მტრის რაზმში შექრაზე რეალურ ამბავს ასახავს. ეს დიდი ტრაგედია, როგორც პროფ. მიხ. ჩიქოვანმა გაარკვია, 1836—1837 წ. დეკემბერში ახალი წლის დამეს მომხდარა. (მის. ჩიქოვანი, ერთი პოეტური მოტივის სინამდვილისათვის, მოხსენებულა რესპუბლიკურ კონფერენციაზე 1963 წ. ქ. ბათუმში; მისივე, პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ შესამე და მეოთხე ტომების გამო.“ პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყ. III, 1964 წ., გვ. 18—22). ამ ციკლის ლექსები ისეა ერთი მეორეზე გადაბმული, რომ ძნელი გახდა სიზუსტით ძირითადი ტექსტების გამოყოფა და მათი ვარიანტების დალაგება.

21. დიკლოს დაღვევა ვინა სთქო

თუშური. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ. I. № 63, გვ. 86—87.

22. შენაქოს მოვიდ დიდოი

თუშური. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ. I, № 62, გვ. 86.

შენაქოს მოვიდ დიდოი,
 დენგამ შეყარა ჯარიო.
 არ სჯერათ შენაქოელებს,
 თეთრად შემოსეს მთანიო.
 ბეროი სახელაიძეს
 ჩეხვიენენა ცხრანიო.
 ხელაიძესა ციხესა
 თავზე დახვიეს ალიო.
 ძველ უბან ამოაწვიტეს,
 თოფის ამოდის ჩქამიო.
 გასწიეს ახალ უბნისკენ:
 „ელანს მოვავლოთ თვალიო“.

— „ელანე, გარეთ გამოდი,
 გარ შემოგრტყმია ჯარიო!“
 უნებურად წივს ელანი,
 არა აქვს ომის თავიო.

— „ძმაიცი ხომ იქა მომიკლეს,
 ეულ დამწვარიცა ვარიო“.

გამოივლიდა ელანი,
 გამოიყოლებდ ხმალიო,
 იქნია წაღმა-უკულმა,
 ნაფოტ ამოდის ძვალიო.

ლამისი გათენებამდის
 თორმეტ დააწვინ მკედარიო.
 გაჰკვირდნენ შენაქოელნი,
 ელანის ნაომარიო:

„ან მკლავმან როგორ შეიძლო,
 ან სამლარიან ხმალმანა?“

ზრალნი ხართ, შენაქოელნო,
 ნტერმანაც გიყოთ ძალიო,
 წინ არა გყვანანთ ჭეილებ,
 გეცოტავებათ თავიო.

—
 ემაგის მომლექსებელი
 შალ შენაქოელ ვარიო;

შთა მალალ გადამავლიეს,
დალისტანს ვავლივ თვალიო,
სამი დღე-ღამე ვიყავი
ბუსურბან დალისტანშიო.
მძიმედ დაწვებოდ ლეკები,
მტრისით არ ხქონდის ყამიო.
ავდექ, სამს გამოვქერ ყელი,
ქალმა დავცადე თავიო,
გამოველ, გამოვეპარე,
შენაქოს ვავლივ თვალიო.
ნუ მტირით, სწორნო ქალებო,
მელირსა მიწა-წყალიო,
ემაგის მომღექსებელი
თითონ ელანიც არიო.

მთქმელი ალ. უჯირაული. თუშეთი, 1931 წ. მაკ. თუშ. № 12.
გვ 19 -- 20. სათაურად აქვს „შენაქოს აკლება“.

8

შენაქოს დიდო მოვიდა,
დინგამ შეყარა ჯარიო;
გამოდით შენაქოელნო,
სოფლად არს დიდი ჯარიო.
არ სჯერათ შენაქოელთა,
თეთრად დათოვნა მთანიო,
გამოდით თუშის შვილებო,
წელს შემოირტყით ხმალიო.
ორშაბათ დილა გათენდა,
შეყრილა თუშის ჯარიო,
შუადლისასა ხანზედა
ომი გამართეს მწარეო,
დასჭრეს, დაკუწეს ლეკები,
ჩალად დაკუწეს მკვდარიო.
არც ნისლი სჩანდა ცაშია,
არც ჯანლი იწვა მთაზეო.
თოფისი ჯანლი შემოწვა,

შემოაბნელა მთანიო,
ალაზან სისხლად ქცეულა,
ალარ ისმება წყალიო.
გაპკვირვებია დაღესტანს
მათი ნახოც ჭარიო,
ან მკლავმან როგორ გაუძლო,
ან ხმალმან სამლარიანმა,
ერთ ორსა ვინლა სჩიოდა,
კისერზე ისხდა მკვდარიო.

ფ. არქ. № 3175. უკანასკნელი სტრიქონი ნიშნავს მოკლულთა გროვაში გვამის აყირავენას. ხალხის რწმენით გვამის აყირავენა ცოდვის მაუწყებელი იყო. თაყ. I, სვ. 63.

დიკლოს მოიდა დიდოი
თუშეთი. ჩამწერი თ. უთურგაიძე. უთურგ. № 84, გვ. 150.

გ

დიკლოს მოვიდა დიდოი,
აღდამმ შეპყარა ჭარიო.
ხუშეთის ღელეს გაღმოდის,
ცისი არ სწვდება ნამიო,
წისქვილოანა ამოდის,
როგორც მარილზე ცხვარიო.
ქუისა პირას ამოდგა,
როგორც ნაგუბარ წყალიო.
ღვინიან ელენაიძემ
ციხით მოხკიდა თვალიო.
ესროლა, გამოაგორა.
ჩემი ცოლის დამ ხარიო,
ქვე უბან შემოხვიელიან,
ზე უბანს შესდვეს ზარიო,
შუუბან თოფებ გამოდის,
ქურაზიშვილი ვარიო.
— ქალბაქი ხაჩივრის ქალო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო.
ფიქერგორ გადახვიდოდე,

უკან გაბრუნებს ქარიო,
ქარი .თუმც არც კი ქარია,
ქალო, შენ ცოდვა-ბრალია,
ლეკებს არ გააყოლიდი
შენი ლერწამი ტანიო,
გადავარდ, გადაიყოლე
ლეკის ნარჩევი ყმანიო.

—
მთქმელი გიორგი ტარკოშაიძე 62 წლისა. სოფ. ხახაბუ. 1931
წ. 14 ივლისი. მაკ. თუშ. № 11, გვ. 19. ს. მაკალათიას, ეს ტექსტი
მოყავს როგორც ვარიანტი ლექსისა „დიკლოს აოხრება“ (მაკ.
თუშ. № 10, გვ. 1819). ვარიანტად შეიძლება ჩაითვალოს მხო-
ლოდ დასაწყისი სტრიქ. 1—6.

8

დიკლოს მოიდა დიდოი,
დენგამ შეხყარა ჯარია,
არ ჯერან შენაქოელნი,
თეთრად დათოვნა მთანია...
ქალმ ბუბაურთა ათენამ
ქმურად უჭირა მხარია,
ჩარდახით გადმოფრენილმა
სამად ვახყარა ჯარია,
ჯერ მოკლა ლეკის ბელადი,
— მემრ, თავად დაიკრ ხმალია.

—
მთქმელი მარიხო ცოცანიძე — 34 წლისა. სოფ. ქვემო ალვა-
ნი. ჩამწერი დევანოზ გოჩილაძე. 1962 წ. კრელ., გვ. 23.

9

დიკლოს მოვიდა დიდოი,
დენგამ მაყარა ჯარიო;
არ სჯერან დიკლოელებსა,
თეთრად დათოვლნა მთანიო.
ორშაბათ საგათენებლოთ

დიკლოს დაეცნეს ცანიო;
დიკლო აიღეს, შენაქო,
ომალო ნავლად ქნიანა;
კესელო ჩამოაშავეს,
ქალ-ვაჟიანი თქვიანა;
მანდით გამოსულ ლეკებმა
ბოჭორმა ცეცხლად ქნიანა.
სახეოს დასწვეს დარბაზი,
ცამდის აუშვეს ალიო.
კაცის ყურს ნულარ სმენია,
ნულარცა ნახავს თვალიო!...

თუშური. ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ. 1, გვ. 85.
№ 60.

მ

დიკლოს მოვიდა დიდო,
დენგამ შეყარა ჯარია.
მოდის ხუშეთის ლელესა,
ალარა წვედება თვალია,
ჩამოდგა წისქვილისაყე,
როგორც ნაგუბარ წყალია.
დასწვეს დიკლოი, შენაქო,
ომალო ალად ქნიანო,
ჩამააშავეს კესელო,
ქალ-ვაჟიანი თქვიანო.
აქითა შემომავალთა
ბოჭორნას ცეცხლი ქნიანო.
სახლები დაწვენეს, დარბაზნიმც,
თან ალი აუშვიანო.
შეიტყო თუშთა ბატონმა,
მალღ შემოირტყა ხმალიო.
კახეთ ჩავიდა მეფესთან:
„ლევან, მიბოძენ ყმანიო“.
ლევანმა გამოაყოლა
ათასი მეომარია,

შემოდის გრძელ ყანაშია,
 ცხენებს უელავს ნალიო.
 ამოდის ნაქერალშია:
 „ღმერთო, დასწერე ჯვარიო!“
 ჩამოდგა გომეწრის უბეს,
 არ გადასწვდებათ თვალიო.
 შემოდის ჯვარბოსლის ძირა,
 აღმედ დაბრუნდა წყალიო.
 გადადის ნაყაიჩოში,
 მიწა გახიეს პუარიო.
 ფარსმით გაიქცა მურთაზი,
 გირევს შეყარა ხმალნიო.
 გირევს ხკითხვედეს ქალები:
 „თვალ ვინ შემოგართვ, მურთაზა,
 იქნებოდ თუშთა ბატონი,
 მგელმა დაკენიტა ცხვარიო?“
 — „დაირივნეს თუშნი, ქისტები,
 ხმლისა ამოდის ჩქამიო.
 თუშთ-ფშაველთ ქისტებ დაძალეს,
 დაყარეს მათი მკვდარიო“.

მთქმელი რომანოზ სისეაური. 19 წლის. თუშეთი, სოფ. ომალო, 1931 წ. სათაურად აქვს „დიკლოს აონრება“. მაკ. თუშ. № 10, გვ. 18—19. თუ ამ და ვ ვარიანტის შინაარსი 1836—37 წლ. დიკლო-შენაქოს ტრაგედიას ეხება (ლევანიანობის მომძლავრება მე-XVI საუკუნიდან არის ცნობილი), მაშინ ლევანის ხსენება ლექსში (იქნება ლევან კახთა მეფე XVI საუკ. თუ ლევან ბატონიშვილი ერეკლეს ძე, რომელმაც მორიგე ლაშქარი დააწესა მარბიელი ლეკების წინააღმდეგ საბრძოლველად) ანაქრონიზმია, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ზეპირსიტყვიერებაში.

სტრიქ. 10 დაბეჭდილია ქალვ აქიანი — შევასწორეთ დ ვარიანტის (თაყ. 1—№. 60) მიხედვით ქალვ აქიანი.

დიკლო დაწვესა, შენაქო,
 ცამდის აუშვეს ალიო,

იქიდან: შემომდინართა,
 ბოჭორნას მისცეს ცეცხლიო.
 კაცი გაგზავნეს ლევანთან:
 ლევან გვიბოძე ყმანიო.
 ლევანმაც გამოუგზავნა
 ათასი მეომარიო.
 ამოდიან გძელსა ყანასთან,
 ცხენსა გააქვის გრიალი,
 ამოდიან ნაქერლის გორსა,
 ღმერთო, დასწერე ჭვარიო.
 ჩამოდგა ხიდთანის ვაკეს,
 როგორც ნაგუბარ წყალიო;
 ჭვარბოსლის ძირით ალაზან
 წიშით შეაქან ზარმაო.
 გამოდიან ნაყავეჩოსა,
 გადმოიარეს მთანიო.
 — ფარსმის ძირს წყალსა ვინ გახვალთ,
 ვაქთა ვის მოგწონთ თავიო?...
 ფარსმიდან გაიქც მურთაზი,
 გირევს დაჰყარა ხმალიო!...
 გირევს კითხვიდეს ქალები:
 — მურთაზ, ვინ წაგართვ ხმალიო?

თუშური. ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ., 1, გვ. 61.
 მოთავსებულია ლექსების ციკლში, რომლის საერთო სათაურია
 „თუშების ბრძოლა ქისტებთან“. ტექსტის გაგრძელება არის სულ
 სხვა, გავრცელებული ლექსის „შემომეყარა ყივჩაღის“ ვარიანტი.
 ეტყობა მთქმელმა იგი უშუალოდ მიაყოლა ლექსს. და ჩამწერმაც
 შენიშვნის გარეშე ერთად წარმოადგინა ტექსტი.



დიკლოს მოვიდა დიდოი —
 დენგამ შეყარა ჯარია,
 გადმოდის ხუშეთის ღელეს
 როგორც ნაგუბარ წყალია,
 ამოდის წისქვილოვანა,

წვიმის არ სწვდება ცვარია
ქვეუბან შემოჰკივლესა,
ზეუბან შესდევს ზარია.
ღვინიამ ელანაიძემ
ციხიდან მოჰკრა თვალია,
ასრიად, გამოაგორა —
ჩემი მსახურიმც ხარია;
თოფ შუუბნიდან ვარდება,
ქურაზიშვილი არია.
ომობდა ქურაზიშვილი,
შვილ მამასავით ესროდა!
ჩავიდნენ ქვეუბნისაკენ,
დათოს მოავლეს თვალია.
დათოსა თლუმას გაზდილსა
მიეხვევიან ცხრანია.
ზიბრუნდ-მობრუნდა დათოი, —
მგელმან დაფანტა ცხვარია.
ქალ, ბაქი ხაჩივრისაო
ღმერთმა გაცხონოს მკვდარია,
არ გააყოლე ლეკებსა
თავის ალვისი ტანია.
ფიჭუხის გორსა გადაის,
უკან გაბრუნებს ქარია,
ქარია და არც ქარია,
ქალ შენი ცოდვა-ბრალია,

ხელნაწ. ინსტ. HI—2017.

თ

შენაქოს დიღო მოვიდა —
მაგრა შეყარა ჯარია,
არ სჯერათ შენაქოელებს,
თეთრად დათოვლა მთანია.
ორშაბათს გათენებისას
შენაქოს დასცეს ცანია,
ქვეუბან შემოჰკივლესა,

ზეუბან შესდგეს ზარია.
ზეროსა ხელაიძესა
მიეხვევიან ცხრანია.
დაბრუნდ-მობრუნდებ ბეროი —
მგელნიან დააფრთხო ცხვარია.
ხელაიძისა ციხემა
ცამდის აუშო ალია.
გადვიდნენ ახალუბნისკენ,
ელანს მოავლეს თვალია.
ელანე კარად გამოდი,
რად მოიძინარ თვალია.
ელანემ კარად გამოვიდ,
ხელთ გამაიყოლ ხმალია.
ელანემ ხმალი იხმარა,
ჩალად დააგო მკვდარია.
დალისტანს გაჰკვირვებით
ქალ ელანისა ომია;
ან ხელმა როგორ შაუძლო,
ან რად არ გაუტყდ ხმალია!

ხელნაწ. ინსტ. H—2017. სტრიქ. 8 ახლავს მიხ. ჩიქოვა-
ნის შენიშვნა: „ალბათ ზეუბანი ის დასახლებაა, სადაც ეკლესიაა.
ქვეუბანი — საზამთრო საცხოვრებელი? მ. ჩ. 20/III-62 წ“.

24. კუშკანდალ

თუშური. ჩამწერი თ. უთურგაიძე. უთურგ. № 95, გვ. 154.

25. მშაველ-ჭევსურთ მიშველება თუშეთში

თუშეთი. ჩამწერი დ. როსტომაშვილი. შან., გვ. 484 — 485.
სათაური აკ. შანიძეს ეკუთვნის. მანვე აღნიშნა დიდი მსგავსება აზ
ლექსისა მის მიერ სხვადასხვა ნომრებით დაბეჭდილ ლექსებთან
„თავისი ქალებიც დაჯოცა“ და „მიქელა“. მკვლევარი აღნიშნავს.
რომ ისინი „ერთისა და იმავე ლექსის ნაწილები უნდა იყვნენ“. შან.,

გვ. 389. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით მათი ერთი ნომრითა და საერთო სათაურით წარმოდგენა ვარიანტებად.

ეს დიდი ტრაგედია ქართველი გმირისა არის წყარო ვაჟა ფშაველას ბალადისა „ბაკური“. მიხ. ჩიქოვანმა აჩვენა ვაჟას გმირის პროტოტიპი თუშურ პოეზიაში. (მიხ. ჩიქოვანი, „პ. უმიკაშვილის „ხალხური სიტყვიერების“ მესამე და მეოთხე ტომების გამო“, პ. უმიკაშვილი, ხალხ. სიტყვ. III, 1964, გვ. 21—22). ამას დაემატება კიდევ ლექსი „ალვანში თუშის შვილები“ (ლიტმუზ.

20049—B

y 837

1935 წ. X გვ. 23).

ბ

ტერლოს ატირდენ დედანი:
„მტერმა კი შაგვაშინაო.
სტუმრულა მოვლენ კარზედა,
ძალით შამოვლენ შინაო.
ლეგლუგა ფშავლიშვილები
აქამც ვინ მოგვიჩინაო!
ამ ჩვენებს მეთოფეებსა
თოფებიმც დაუგრილაო!
პირიმც წყლით დაალბობინა,
ძილიმცა დააძინაო,
მალლა დაუდგა ჩაფები,
ქვეშ ნიაგ გაუდინაო!“

ფშავი. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 843.

გ

ელოს ატირდენ დედანი:
„მტერმა ჩვენ შაგვაშინაო.
სტუმრულად მოვლენ კარზედა,
ძალად შამოვლენ შინაო.
ნეტამც ჩვენ მეთოფეებსა,
თოფებიმც დაუგრილაო!
პირიმც წყლით გაალბობინა,

ძილიმც ვის დააძინაო!
ანამცა ფშაველ-ჭევსურნი
აქამც სამ გააჩინაო!
ლეგ-ლუგა ფშავლიშვილების
თოფებიც შამაჰჭვივლაო!
ჭევსურებ დიქიმ-დიქიმა!
ყაწიმებ შამუბდღვინაო!

ფშავი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან., გვ. 484. ტექსტს ახლავს ჩამწერის განმარტებანი ზოგიერთი გამოთქმისა: სტრიქ. 5-ზევ. ნ ე ტ ა მ ც ჩ ვ ე ნ ს მ ე თ ო ფ ე ე ბ ს ა თ ო ფ ე ბ ი მ ც დ ა უ გ რ ი ლ ა ო — „სროლით დახურებული თოფები ჰქონიათ“; სტრიქ. 7-ზევ. პ ი რ ი მ ც წ ყ ლ ი თ გ ა ა ლ ბ ო ბ ი ნ ა — „იმდენი ვერ მოუცლიათ, წყალი დაელიათ“; სტრიქ. 4-ქვევ. -- ლ ე გ - ლ უ - გ ა — „ლეგად დართული“. შან., გვ. 484.

ღ
ჩილოს ატირდეს დედანი:
— ჩვენ მტერმა შეგვაშინნაო;
შაყრილნი ფშაველ-ჭევსურნი
აქამც ჩამოგვიჩინნაო;
ლეგ-ლუგა ფშავლიშვილები
თოფებსამც წამუწვინაო!
ნუმც დაუბნელა ლიშანი,
ლამაზად გაუჩინაო;
გულ-დიდებს ჭევსურთ შვილებსა
ყაწიმებ გადუბდღვინაო!
ამ ჩვენებს მეთოფეებსა
ძილიმც ვის დააძინაო!
პირიმც წყლით გაალბობინა,
თოფები გაუგრილაო!...

ფშავი. ჩამწერი დ. ხიზანაშვილი. ფშ. ლექს, გვ. 57, შან. გვ. 484.

მ
სამციხელების თოფებმა
ელოს ძირს შამაჰჭვივლაო.

მიქელი, სურას გაზდილი,
რად არ ვინ დაიჭირაო?
ქალნი დაჯოცნა თავისი,
სულეთი წაიჭდინაო.
მოდალე ადგა კარზედა,
თავ იმით მაიწყინაო.
დღენიმც ადგიან იმისა,
ვინც მიქელს გაუცინაო!

ჩამწერი ბაჩანა, „ივ“ № 217, 1898; შან., გვ. 485. ჩამწერის ადგილი არ არის აღნიშნული. რაკი ბაჩანა ძირითადად ფშავში კრებდა ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ჩვენც ეს ვარიანტი ფშავურ ტექსტებთან მოვათავსეთ. ხალიაძისაგან საკუთარი ქალების დახოცვას საინტერესოდ ხსნის ჩამწერის მიერ ტექსტზე შენიშვნის სახით დართული გადმოცემა: „ეს ამბავი ასე ყოფილა: მტერი მოსდგომია სოფ. ელოს, შამოსეგია შიგ. მიქელისთვის მის ქალიშვილებს შეუტრინიათ: ნუ დაგვაწბილებენ, შენის ხელით დაგვხოცე, გვირჩევნიაო. იმასაც აუსრულებია მათი თხოვნა და დაუხოცია. მერე თითონაც გადარეულა და ისიც მომკვდარა ბრძოლაში. ამბუდ არის ნათქვამი: თავ იმით მაიწყინაო“ შან., გვ. 485.

3

ელოს ატირდეს დედანი:
„მტერმ მარჯედ შაგვაშინნაო.
შაყრილნი მშაველ-წევსურნი
ელოსამც შამოხვიენაო!
დიჩინებს წევსურთ შვილებსა
ყაწიმებ დაუმდღვინაო!
მშაველები ლეგ-ლუგაები
თოფებსა ჩამოხვიენაო!
სამციხელების თოფებმა
ელოს ჩდილ შამოხვიელაო!
ამ ჩვენებს მეთოფეებსა
ძალიმც ვინ დაგვიძინაო!
პირი წყლით დააღობობია,
თოფებიმც დაუგრილაო!

ბლოველი მალოდინაი
წამააბედებს თავსაო.
ცხენ-თითოს გამოფრინდების,
მეტა ოროლს სკრის თავსაო.

ხევსურეთი. ჩამწერი ბაბო ლიქოკელი. შან. № 254, გვ. 114.
აკ. შანიძის ცნობით „ამ ლექსს ასეთი შესავალი მიუძღვის: „თუ-
შეთს რომ ლექის ჭარი დასცემია და იქ მიშველებიან ჭვესურნი,
სიმღერა არის“. შან., გვ. 482. უთუოდ ამის მიხედვით დაასათაუ-
რაჲ აკ. შანიძემ ეს ლექსი „მშაველ-ჭვესურთ მიშველება თუშეთში“.
აკ. შანიძის ცნობითვე მე-14 სტრიქონის შემდეგ ჩართული ყოფი-
ლა განმარტება (უთუოდ მთქმელის. ქ. ს.): „მაშინ თუშეთს ლე-
კის ჭარი შამოხვევია, აქით ჭვესურნ მისულან და დაღრევიან
წმლებით შიგ ლექის ჭარს და გაუჭრავ თავები. გაქცეულან. მთას
იქითაც გადახყოლიან“. შან., გვ. 482. ბლოველი მალოდინა ერეკ-
ლე მეორის თანამებრძოლი გმირი იყო. შან. № 50, გვ. 20. მისი
ხსენება ლექსში კონტრამინაციის ერთი მაგალითია.



ელოს ატირდეს დედანი:
„ჩვენ მტერმა შაგვაშინაო.
ქარძე მოდიან სტუმრულა,
ძალზე შამავლენ შინაო.
შაყრილამც ფშაველ-ჭვესურნი,
ელოს ჩდილს ჩამოხვივნაო!
დიჩინებ ჭვესურთ შვილებსა
ყაწიმებ დაუბღღვინაო!
ფშაველები ლეგ-ლუგაები
თოფებსამც ჩამაჰწვივნაო!
ჩვენებსა მეთოფეებსა
თოფები დაუგრილაო!
პირიმც წყლით დაგვილბობინა,
ძილიმც კი დაგვიძინაო!
მიქელა რუსას გაზდილი
რად არ ვინ დაიჭირაო?

ქალნი ჩაჯოცნა თავისან,
სულეთნი წაიჭდინნაო.
ეგრემც მათუვა ყველასა!
ვინც მიქელს გაუცინაო!

ხევსურეთი. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 483.

თ

ელოს ატირდნენ ქალები:
„ურჯულომ შეგვაწუნაო.
სტუმრულად კარზედ მოდიან,
ძალით შემოვლენ შინაო.
არჩეულ ფშაველ-ჩევესურნი
აქაც ვინმ შემოაჩინა!
სულ-დიდ, გულ-დიდებ თუშებსა
ყაწიმებ დაუმდღვინაო!
ქავთარამ იუკიძემა
ქორულად შემოჰკივლაო.
სამციხელების თოფებმა
ელოს ძირს შემოჰკვივლაო.
მიქელი ურაზიშვილი
რად არ ვინ დაიჭირაო?
ქალნი დაჯოცა თავისი,
სულეთი წაიჭდინაო.
იმ ვაჟსამც ღმერთი რისხავდეს,
ვინც მიქელს გაუცინაო!

ხევსურეთი. ჩამწერი გელოვანი. შან., გვ. 483.

ო

ელოს ატირდეს დედანი.
მტერმ მარხეთ შეგვაშინაო.
სტუმრულად კარზე მოგვივლენ, —
ძალათ შამოვალთ შინაო.
თავსა გაგვიკრით ახლებსა,
ქალებს წაგიყვანთ შინაო. . .
შაყრილნი ფშაველ-ჩევესურნი

ელოსამ ჩამოხვივნაო,
დიჩინებ ხევსურთ შვილებსა,
ყაწიმებ დაუმდღვინაო.
ფშავლები ლეგ-ლუგაები,
თოფებსამ ჩამუწვინაო.
სამციხელების თოფებმა
ელოს ჩრდილ შამოხვივნაო.
ამ ჩვენებს მეთოფეებსა,
ძილიმც ვინ დაგვიძინაო!
პირიმც წყლით დააღბობია,
თოფები დაუგრილაო.

მთქმელი შ. სისაური. ლიქოკი. ჩამწერი გ. ლომთათიძე. სნჯ.
111, გვ. 68.

ია

ელოს ატირდეს დედანი,
ჩვენ მტერმა შეგვაშინაო,
დიჩინებს კევსურთ შვილებსა
ყაწიმნიმც შაუმდღვინაო,
ლეგ-ლუგა მშავლის შვილები
თოფებსამც ჩაუწვინაო,
მაგ ჩვენებს მეთოფეებსა
ძილიმც კი დაგვიძინაო,
პირიმც წყლით დააღბობია,
თოფებიმც დაუგრილაო.

მთქმელი ხევსური მ. გოგოჭური. კახეთი, სოფ. ასანი, ჩამ-
წერი გ. არაბული. ფ. არქ. კ. 27, გვ. 70.

იბ

ელოს ატირდეს ქალებივ,
რა მტერმავ შეგვაშინავ,
კარზე მოდიან სტუმრულად,
შინ ძალით შემოდიანაო.
მიქელი ზუროს გაზრდილი,
რად არ ვინ დაიჭირაო.

ქალნი დაჯოცნა თავისნი,
სულეთი წაიჭდინაო.
მე ცხვარიც იქავ გავწირე,
ჯოგშიც ერეოდ მგლისაო.

მთქმელი ხევსური მზექალა არაბული. ჩამწერი ნ. სახელა-
შვილი. თიანეთის რ. ტოლანთ უბანი. 16. VII. 61. ფ. არქ. კ. 28.
გვ. 27.

იგ

სამციხელების თოფებმა
ელოს ძირს შამაჰხვივლაო.
ეგრე გამჭდარა უკიშვილ
თათარა, როგორც სინაო.
მიქელი, სურას გაზდილი,
რად არ ვინ დაიჭირაო?
ქალნი დაჯოცნა თავისნი,
სულეთი წაიჭდინაო.
ყველასამც ეგრე მაუვა,
ვინც მიქელს გაუცინაო!
ერთხან გამოვა კარშია,
ისევ შამოვა შინაო.
კარს უდგა ლეკის ლაშქარი,
თავი მით მაიწყინაო.

ხევსურეთი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან. № 77, გვ.
30. აკ. შანიძემ ლექსი ასე დაასათაურა „თავისი ქალების დაჯო-
ცა“.

იღ

ხალიაისძეთ მიქელა
ლეკთა შინ შასტანებივა.
ვერა გაუგავ ლეკებსა,
ეშმაკად მაშჩვენებივა.
ხალიაისძეთ მიქელა
ველარვინ დაიჭირაო,

ლექნი გაწყვიტნა თავის ჯმლით,
სულეთი წაიჭდინაო.

—
ჩამწერი ცნობილი მოლექსე ბეს. გაბური. შან. № 242, გვ. 110. როგორც აკ. შანიძე შენიშნავს, „სულეთის წახდენის მიზეზად აქ ლექების გაწყვეტა დასახელებული, მაშინ როდესაც № 77 (შან.) იგივე ამბავი საკუთარი ქალების დახოცით არის ახსნილი“ შან., გვ. 479.

იე

ჰელოში დედან ატირდნენ:
„ჩვენ მტერმან შეგვაშინაო,
კარზედ მოგვდიანთ ძალითა,
სტუმრულათ დიან შინაო.
ნეტავ ჩვენსა მეთოფეებს
ძილით ვინმ დააძინაო!
პირიმც წყლით გაალბობინა,
თოფებიმც დაუგრილაო!
სამციხელების თოფებმა
ჰელომსაც შამაიხულაო“
ქავთარმა ლუხუმის ძემა
წმა-წერილად შამაიკივლაო:
„ის ჩვენი ფშაველ-წვესურნი
აქამც ჩამააჩინაო!
წვესურთ ფარ-წმალი, ყაწიმი
ჰელოს თავს ჩამააბდღვინაო!“
მიქელმა ზურაბის ძემა
რა საქმე მოაქდინაო:
თვითონ დაჯოცა ცოლ-შვილი,
სულეთი წაიჭდინაო.
დღენიცა ერგოს იგეთი,
ვინც მიქელს გაუცინაო.

—
თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თავ. 1, გვ. 49; — შან.,
გვ. 484.

იგ

შენაქოს თუშთა ქალები
 ცრემლით იბანენ პირსაო:
 „სტუმრულად მოგვივლენ ლეკები,
 ძალით შემოვლენ შინაო.
 ნეტავი ჩვენსა მეთოფებს,
 თოფები დაუგრილაო!
 ან ცოტა დააძინაო!
 ან მაგ მთიულთა ბიჭებსა
 ყაწიმი დაუჩინაო!
 ანუ ლეგ-ლუგა ფშავლები
 აქ ვინმემ ჩამოგვიჩინაო!
 სამციხელების თოფებმა
 შანაქოს ჩამოჰვეივლაო.
 თათარამ ფშავლის გაზდილმა
 ქორებრივ ჩამოჰკივლაო.

თუშეთი. ჩამწერი დ. ალბანელი. კვ. № 14, 1897; შან., გვ. 485.
 დ. ალბანელის შენიშვნით „ლექსს დაბოლოება აკლია“. იქვე.

იზ

ჰელოს ატირდნენ ქალები,
 სამნი ობოლი დანიო,
 მეოთხეც ღედა იმათი,
 რა მტერმა შეგვაწუხაო!
 სტუმრულად კარზე გვიდგიან,
 შინ ძალად შემოგვდიანო.
 დაბლა ჩავხედავ ალაზანს,
 წყალო, პირმც ჩვენსკენ დაგიბრუნაო.
 ამ ჩვენსა მეომარებსა,
 პირი წყლით დაალბობინა.
 თოფებიც გაუგრილაო.
 ხევ-ხევად შემოგვიჩინა,
 გომეწრელთ ცხენის თარეში.

წოვათაც შაატყობინეთ,
ძმებო გვიჭირეთ მხარიო.
გადმაატარეს მაგების ღელე,
შრიალი მოდის ქვიშისა.
გამოღმით გაღმა ესვრიან,
ტყვიას აძლევენ მანძილსა!

—

მთქმელი დ. იუკურიძე. სოფ. ზემო ალვანი. ჩამწერი ვ. ბუთ-
ლიაშვილი, ლიტმუზ. $\frac{20005-b}{U. 329}$, გვ. 27.

ით

დიკლოში ქალებ ა-მტირდეს:
— რა მტერმა შეგვაშინაო,
კარზე მოდიან სტუმრულად,
ძალზე შემოალთ შინაო,
დაგიხოცთ ახალ-აზლებსა,
ქალებს წავიყვანთ შინაო.
სამციხელების თოფებმა
პელოს ძირ შემოხვივლაო,
ნებერთაში ხარაულმა
ქორივით შემოხკივლაო.
ზურაბთ მიქელამ გაზდილმა
ბიჭმა რა მოიხდინაო,
ჰგონავ. დახოცა ცოლ-შვილი,
სულეთი წაიხდინაო,
ვინც რო მიქელას დაუგმობს,
იმასაც მოუხდინაო.

—

მთქმელი სარა კობეს ასული ჭვრიტინიძე — კურდალაიძე.
64-წლისა. სოფ. შენაქო. ჩამწერი ქს. სიხარულიძე. 6. IX—65.

26. ჯარი იურება დაღესტანს

თუშური. ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ. 1, გვ. 85—86.
ტექსტს ერთვის შენიშვნა: „თუშების გადმოცემით, ორმოცი საპა-
346

ტიო ვაჟაკი გამოუტყუებიათ, ვითომ მოსალაპარაკებლად და ღალატით ყველასათვის თავები გაუყრევენებიათ“. იქვე, გვ. 86.

27. ნამდვილი შემთხვევა დიკლოში

ჩამწერი მოსწავლე მიხეილ ჯორჯაძე. ფ. არქ. უმიკ. 4429; პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, IV, მიხ. ჩიქოვანის რედაქციით, 1964 წ., გვ. 47—54. მიხ. ჩიქოვანის შენიშვნა: „თქმულებაში აღწერილი ბრძოლა მოხდა 1836 წლის 30 დეკემბერსა და 1837 წლის 27 იანვარს შუა. ცოლ-შვილის დახოცვის მოტივი გამოყენებული აქვს ვაჟა-ფშაველას „ბაკურში“. ამავე თემაზე არსებობს ბევრი ხალხური ლექსი როგორც ადრე, ისე უკანსკნელ დროს ჩაწერილი... იგივე თქმულება გამოყენებული აქვს ბ. ჯორჯაძეს („დიკლო—შენაქოში“), ივერია, 1891 წ. № 867, იქვე, გვ. 241.

28. ბუნტი გურიაში

ჩაწერილი გურიაში გ. კალანდაძის მიერ. უმიკ. № 207, გვ. 127—128. თვითმპყრობელური რეჟიმის შედეგად აჯანყებამ გურიაში რამდენჯერმე იფეთქა. ცნობილია 1820 წლის აჯანყება (საქ. ისტ., 1, 1958 წ., გვ. 414) და 1841 წლის აჯანყება (იქვე, გვ. 438—439). ცნობილია აგრეთვე 1902 წლის გლეხთა მოძრაობა (ი. მეგარელიძე, რევოლუცია ქართულ ფოლკლორში, Советский фольклор, 1, 1934, გვ. 185). ეს ლექსი 1841 წლის აჯანყებაზე უნდა იყოს ნათქვამი. რაც შეეხება მომდევნო ლექსებს, გადაჭრით ძნელია თქმა, რომელ აჯანყებასთან ან გლეხთა მოძრაობასთან არის დაკავშირებული. ჩვენ მაინც მიზანშეწონილად ვცანით სამივე ლექსი, ეს და ორი მომდევნო, ერთ ციკლად წარმოგვედგინა.

29. ბუნტი გურიაში

გურია. სოფ. აკეთი. ჩამწ. ალ. ლლონტი. 5. VIII—1935 წ. ლლ. გურ. № 117, გვ. 105—107. ალ. ლლონტს ეს ტექსტი პირველი ნომრის ვარიანტად მიაჩნია. იქვე, გვ. 297. ეს ლექსიც იმავე ამბავზეა შექმნილი, რაზედაც წინა ნომერი, ჩვენს აზრით, იგი მისი ვარიანტი კი არ არის, არამედ — დამოუკიდებელი ტექსტია.

30. გურია აბუნტებულა

მთქმელი გრიგოლ სიმონის ძე გუგუნავა (პოეტ სიმონ გუგუნავას შვილი) 58 წლის. სოფ. ნაგომარი. ჩამწერი იოს. მეგრელიძე — 31. VII—1930 წ. ი. მეგრელიძე, რევოლუცია ქართულ ფოლკლორში, Советский фольклор, 1, 1934 წ. გვ. 162. მთქმელის ცნობით ტექსტი ნაკლულია.

ი. მეგრელიძის მოსაზრებით ლექსი 1902 წლის გურიის გლეხთა მოძრაობის ამსახველია. თავად მაჭუტაძის წინააღმდეგ მოძრაობა სოფ. ნაგომარიდან დაწყებულია. აქედან იგი მოდებია თითქმის მთელი გურიის სოფლებს. იქვე, გვ. 185. ტექსტს ახლავს შენიშვნები: სტრიქ. 16—ჩოლოქი — მდინარეა გურიის და აჭარის გამყოფი; იქვე, გურულები ალიას, ალი ფაშას შემდეგ, და ხშირად წინათაც აჭარლებს ეძახდნენ, რადგან აჭარაში სახელი ალია და ხუსიკა—ხშირია; სტრიქ. 17 — სალეეოზო საყანე მიწის ბე. მიწის პატრონისათვის მიჰქონდა სხვის მიწაზე მომუშავე გლეხს; ერთი მოხარშული ვარია მისი მისაყოლებლით, რომ სალამოს ყანის ტეხის შემდეგ (მიწის პატრონს ოჯახში დაბრუნებულს) ვახშმის გაკეთება არ დასჭირვებოდა. აგრეთვე ყანის ტეხის დღეს სადილიც მასვე (გლეხს) უნდა მიეტანა იმდენი, რომ ჰყოფნოდათ როგორც მიწის პატრონს და მის მხლებლებს, ისე მიწის დამმუშავებელს და მის ნაღს; სტრიქ. — 20 — მღვდლებზეა საუბარი, სტრიქ. 26 — დრამა — ფული საეკლესიო გადასახადი იყო, რომელსაც მხოლოდ გლეხებთ იხდიდნენ.

31. ხონთქარი და რუსი ჩხუბობს

დრ. 1882 წ. № 73. მოთავსებულია განყოფილებაში „მაჰმადიანი ქართველების სახალხო ლექსები“. იქვე აღნიშნულია: „წარსულ ომიანობაზე გამოთქმული ლექსები“.

ლექსი ამსახველია იმ რთული სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციისა, რამაც 1841 წ. გამოიწვია აჯანყება გურიაში. მემამულე ფეოდალები ოსმალეთის ხონთქარის გულის მოსაგებად გადასახადებით შევიწროვებულ გლეხებს რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებდნენ. ამგვარი მზაკვრობისათვის განსაკუთრებული აუგით იხსე-

ნიება ხასან ბეგი, იგივე ალი-ფაშა თავდგირიძე. ამის გამომხატველია ეს სასიძლერო ტექსტი და მომდევნო ნომერიც.

ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 7—ამ სტრიქონში თავდგირიძეების დატუსაღება იგულისხმება; სტრიქ. 21—ახირეთში-ჯოჯოხეთში; სტრიქ. 35—ქეჩა-ქულას ყაბალახს და სხვა თავსახურავს ეძახიან.

ბ

ალი-ფაშამ გვიღალატა,
ჩაგვიყვანა კვირიკეჩი,
იმან ფულეზი ეილო,
ჩვენ დაგვტია რუსის ხელჩი.
კაი არც მას დამართია,
ბაწრით ჩაათრიეს გემში,
მისი კივილი ისმოდა
სუფსის გაღმა ბაილეჩი,
ღმერთო, ის დღე მომასწარი,
კინინობდეს ვოზურგეთი.

—

სოფ. ლიხაური (მახარაძის რ.). ჩამწერი ალ. ლლონტი. ლლ. გურ. № 127, გვ. 125; ქრესტ., II, № 86. გვ. 99.

გ

მთქმელი ვ. სიხარულიძე. ჩამწერი ანტ. ხინთიბიძე. ფ. არქ. 9304. 8 სტრიქონია. იმეორებს ბ ვარიანტს. განსხვავებანი: აკლია სტრიქ. 9—10; სტრიქ. 5 ასე იკითხება: კაი დღე არც მას დამართია; სტრიქ. 7-კ ი ვ ი ლ ი — ყ ვ ი რ ი ლ ი.

დ

ხვანთქარი და რუსი ჩხუბობს,
იგი არის ვორვე ეში,
ალი-ფაშამ გვიღალატა,
გაგვიყვანა კვირიკეთში,
მან რომ ფულეზი აილო,
ჩვენ დაგვტია რუსის ხელში,
კაი ხომ არ დამართია,
ბაწრით ჩაათრიეს გემში,

მისი ყვირილი ისმოდა
სუფსას გაღმა ბაილეთში.

აჭარა. სოფ. მეხელე. ჩაწ. 1890 წ. უმეი. № 214, გვ. 132. ახლავს
განმარტება: სტრიქ. 2-ში — ტოლი.

მ

ცნობის ფურცელი, 1904 წ. № 2582. შეტანილია ზ. კიკინაძის
ფელეტონში „ალი-ფაშა თავდგირიძე და ქართველთ ემიგრაცია-
ოსმალეთში“. იმეორებს გ ვარიანტს. განსხვავება: სტრიქ. 1—ხონ-
ქარი; სტრიქ. 2—იგივე არის ორივეში; სტრიქ. 4—აგვიყვანა; სტრიქ.
5—თვითონ ფულები აიღო; სტრიქ. 6—ჩვენ ჩაგვეყარა...; სტრიქ. 7—
მასაც კაი არ დამართეს; სტრიქ. 9—გვესმოდა.

მ 2. ხასან ბეგი თავდგირიძე

მთქმელი ნიკო თავდგირიძე, მოყვანილია რ. საჭავაძის მიერ
ნიკოლოზის „ცოტა რამ“. განთიადი. 1915 წ. № 17.

საჭავაძის მიერ შენიშნავს, რომ მთქმელს ტექსტი ყარაამან თავ-
დგირიძის ნაამბობით უსწავლია ზეპირად, მაგრამ არც ერთს (იგუ-
ლისხმება ნიკო და ყარაამან თავდგირიძეები. ქ. ს.) არ ახსოვს ბო-
ლომდე. ახლავს შენიშვნა: სტრიქ. 9. „კ უ ლ უ რ ლ უ ლ ე ბ — რ ა
არის არ ვიცი. ასე კი გამიგონია, ეგებ „გურულებ“ იყოს“.

მ 3. არამ დამძრახით ბიჭებო

თუშეთი. ჩამწერი ივ. ბუქურაული. თაყ. 1 — № 84, გვ. 104—
105, ტექსტს ახლავს შენიშვნა: „ეს ლექსი გამოთქმულია „ოზურ-
გეთის ომის“ შესახებ, სადაც თუშები დიდ მონაწილეობას იღებ-
დნენ. ეს ომი მოხდა 1854 წ. საქართველოს ყველა კუთხიდან შეიკ-
რიბა აქ ჯარი და ივანე მალხაზის ძის ანდრონიკაშვილის წინამ-
ძღოლობით საშინლად დაამარცხეს ოსმალები.“

ამ ლექსში მოხსენებული გმირი ივანე არის ივანე ელიზბარი-
ძე, თუშების რაზმის უფროსი. ამ უბრალო, უსწავლელმა მეცხვარ-
ე თუშმა ისეთი ვაჟკაცობა გამოიჩინა შამილთან და სხვა ომებში,
რომ კაპიტნის ჩინი და ვლადიმირის ჯვარი მიიღო. თუშების თქმით.

თექვსმეტი პრილობა ჰქონია ელიზბარიძეს წელს ზემოთ — ივანე ელიზბარიძე იყო სოფ. ჯვარბოსლიდან“. იქვე, გვ. 105. თუ ამ შენიშვნას ვერწმუნებით, მაშინ ლექსი 1853—1855 წლ. ყირიმის ომთან არის დაკავშირებული. ამასთან დაკავშირებით საქართველოს ისტორიაში ვკითხულობთ: „უაღრესად დიდი როლი ითამაშა სახალხო ლაშქარმა დასავლეთ საქართველოდან ოსმალების განდევნაში. რუსთა და ქართველთა ჯარმა პოდპოლკოვნიკ ერისთავის სარდლობით, ნიგოითის მთასთან, ოსმალთა 8-ათასიანი ლაშქარი გაანადგურეს და მღ. ჩოლოქს გაღმა გადაარეკეს. 1854 წ. 4 ივნისს ჯარებმა გენ. ი. ანდრონიკაშვილის სარდლობით გაანადგურეს მტრის 34 ათასი კაცისაგან შემდგარი ორმია“. საქ. ისტ., 1, 1958 წ., გვ. 443.

34. დღეიმც ნუ გათენებულა

თუშური. ჩაწერილი ივ. ბუქურაულის მიერ. თაყ., 1, გვ. 78—79. როგორც ლექსის მეორე ვარიანტიდან ჩანს, ნათქვამია შამილისა და მისი შვილის ყაზი მაჰამის მეთაურობით ლეკების თუშეთის შემოსევაზე (იქვე, გვ. 79—80). სავარაუდოა, რომ ლექსში მოხსენებული ივანეური ის ივანე ელიზბარიძეა, რომელმაც თავი გამოიჩინა 1854 წლის ოზურგეთის ომში. ამ ომზეა ნათქვამი წინა ნომერი.

ბ

შამილის შვილმა შეკმაზა
 სალაშქროთ ცხენი შავიო,
 ჩამოვიდოდა ნაქერალს,
 ტბათანს დაავლო თვალიო.
 ტბათანას ვერას შეუხვალ,
 ვეფხვებთ შეგიკრეს გზანიო.
 ე მათ დაბრუნებულმა
 წყაროსან დაჰხურ ცანიო.
 წყაროანაში აიღო
 ცხვარ-ცხენი წაროვანიო;
 ძალლი თან გაჰყვა ოხერი,
 თეთრი ქედანა ქეიანიო.

შეიტყო ივანეურმა,
 აბჯარს გაჰქონდა წკრიალი,
 შეგიტყვეს გომეწრელებმა,
 ცხენების დადგა გრიალი,
 შეგიტყვეს წოვათ შეილებმა,
 სამებას დაჰკრეს ზარები,
 წელთა აისხეს აბჯარი,
 ცხენთ ჩაანათეს ნალიო.
 მეეწევიან წყაროანასა,
 უწვიმით ჰქუხდა ცანიო.
 თუშნი და ლეკნი ომობენ,
 ნისლით შემოსეს მთანიო;
 სისხლისა ღვარი დაბრუნდა,
 გაწითლდა ნაწიდარიო,

—

35. ლექსი საბატონო უმებთა

გურია. ჩამწერი გ. კალანდაძე. ფ. არქ. უმიკ. №331. ხელნაწერს ფანქრით აქვს მინაწერი: „მღვდ. ივანე ბარამიძის (ასკანა) გამოთქმული“.

ვბეჭდავთ ხელნაწერის მიხედვით. დაბეჭდილ ტექსტში (უმიკ. გვ. 197—198 და ახალი 1964 წლის გამოცემაშიც. გვ. 204—206) გამოტოვებულია სტრიქ. 49—56. ამას გარდა ხელნაწერის მიხედვით ვბეჭდავთ სტრიქ. 9 და 83 — ს თ ქ ვ ა — დაბეჭდილია თ ქ ვ ა; სტრიქ. 11-ა რ ა — დაბეჭდილია ა რ; სტრიქ. 31-თ ო რ ე მ — დაბეჭდილია თ ვ ა რ ა;

მხატვრული გარდასახვის თვალსაზრისით ლექსი მეტად სუსტია. ლექსი 1861 წლიდან 1864 წლამდეა შექმნილი — ე. ი. რუსეთში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ და საქართველოში „საგლეხო რეფორმის“ გატარებამდე.

ლექსები „საგლეხო რეფორმაზე“ შემოგვაქვს საისტორიო პოეზიაში. მთლიანად-კი ბატონყმობის ამსახველი ლექსების ციკლი, რომელიც ზუსტად ვერ თარიღდება და თანაბრად ახასიათებს ხანას XV—XVI საუკ. მოყოლებული ბატონყმობის გაუქმებამდე, საყოფიერო ნაწარმოებთა კრებულში უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც ნიმუში სოციალური ლირიკისა.

ვარიანტებად ცნობილი ეს ლექსი განსაკუთრებით საინტერესოა ხალხის განწყობილების გამოხატვით. „საგლებო რეფორმას“, როგორც ლექსის სტრიქონიდან ჩანს, სხვადასხვა გვარად აფასებდნენ საუკუნეთა მანძილზე სოციალური ჩაგვრისაგან წელში გატეხილი ყმა-გლეხები.

სტრიქ. 23, 25—32, 49—56, 119—120 არ არის მშრომელი ხალხის და მით უმეტეს ყმა-გლეხობის განწყობილების გამომხატველი. თუ ლექსის პირველი მთქმელი მართლაც მღვდელია, როგორც ეს მინაწერშია აღნიშნული, ეს სტრიქონებიც „საგლებო რეფორმაზე“ სასულიერო წოდების თვალსაზრისს გვაცნობს. ლექსს ფანქრით აქვს მიწერილი მეორე სათაურიც „ბატონყმობა“.

ბ

ჩამწერი გაბრიელ კვაჭაძე. 1903 წ. ერასტო გოგიჩაიშვილის რეეულიდან. სათაურად აქვს „ბატონყმობის ლექსი“. ფ. არქ. 311-ს ვარიანტი იმეორებს ძირითადი ტექსტის სტრიქონებს. აკლია სტრიქ. 27—28, 43—46, 65—67, 99, 105—120. არის განსხვავება: სტრიქ. 3-ბ ა ტ ო ნ ს ჩ ა მ ო გ ვ ა რ თ უ მ ე ნ; სტრიქ. 7—8-ვაი თუ ეს საქმე არ იქმნა, ჯავრით აგერ ვხმები; სტრიქ. 11-თუ არ იქმნებოდეს; სტრიქ. 21-ამ უბრალო სიტყვებით; სტრიქ. 23-ბატონიც ტყულათ მოინდურეს; სტრიქ. 25-ღმერთს გეფიცები; სტრიქ. 31-ყმობა და მუშაობა გვეზარება; სტრიქ. 37-ორი ღორო; სტრიქ. 47—47-თუ მოგვაშორებს იმ ჟამურ ბატონს.

ღმერთი იმით კი გაგვახარებს; სტრიქ. 51- ზოგი კარგად გვიმსახურებს; სტრიქ. 56-სავსე პური. სტრიქ. 61-თერთმეტი. სტრიქ. 67—72.

— ვაი, რა ვქნა მე საწყალმა,
რაც რომ არ გვექნება,
ჩვენ თუ კაი მოსახლე ვიყოთ,
ფაცხა გვექნება.
ბატონი რომ ღარიბი გვყავს,
ჩვენ რალა გვექნება;

სტრიქ. 79—80-თმათ გამოგვითრია ჩვენი დედაკაცი;

სტრიქ. 81-უამბობს დამწერილებით; სტრიქ. 89-გ ნ ე ბ ა ვ ს
ა მ ა ზ ე დ; სტრიქ. 91-გ ვ ი შ ო ბ ს; სტრიქ. 101-შეგვედრები სა-
23. ქს. სიხარულიძე

წყალი გლეხი; სტრიქ. 103-იმ უამურ ბატონს; სტრიქ. 104-იმით მოვრჩებით.

8

ერთმანეთს ეუბნებიან
საბატონო ყმები:
— ბატონსა ჩამოგვართუმენ,
დაგვიყარეს ხმები.
რაც ამბავი გამევიდა,
იქნა ყველა სხვები,
ვაი თუ ესეც აღარ იქნა,
ჯავრით აგერ ვხმები.
მეორემ თქვა: რავა ბიჭო,
რავა არ იქნება.
თუ მართალი არ იყოს,
აღარც ქე ითქმება;
რუსეჩი გათავებულა,
აქაც ქე იქნება,
უსათუოთ აი საქმე
აბრილჩი იქნება.
შენ იგი არ შეგიტყვია,
მე რა დამემართა,
ვორი ღორი წამართქეს,
ერთი რომ მემართა;
შესახვეწნათ რომ მივედი,
ჩახმახი შემიმართა.

—
მთქმელი მალაქია ბიბინიეშვილი. სოფ. ტობახჩა. ჩამწერი ალ.
ლლონტი. დღ. გურ., № 113, გვ. 103.

36. ბატონუმობის ლექსი

მთქმელი მათია ქოჩერაშვილი. სოფ. ქვაციხე. ჩამწერი ლევან
გოგიბედაშვილი. 1892 წ. ფ. არქ. 4665. ჩამწერის შენიშვნა: „ეს
ლექსი გამოთქმულია ვიღაც ნიკოლოზ ნასრაძისაგან, რომელსაც
ამას გარდა ბევრი სხვა ლექსებიც ცოდნია. მისი სიკვდილის შემ-

დეგ ეს ლექსები ხალხში დარჩენილა, რადგანაც ბუერს ცოდნია ზეპირად. მე მიაჩნია ეს ლექსი გლ. მათია ქოჩერაშვილმა, რომელსაც სტუმრობის დროს შევხვდი და ეს ვათქმევინე. ეს ამბავი მოხდა 1864 წ. 4 ნოემბერს თქვა იმან — ლექსი კარგად გამოხატავს საუკუნეთა მანძილზე სოციალური ჩაგვრისაგან დაბეჩავებულ იმ გლეხთა განწყობილებასა და ფიქრებს, რომელთაც ბატონყმობის გაუქმება მეფის წყალობა ეგონათ. სინამდვილეში — კი როგორც აღნიშნა ვ. ი. ლენინმა „ყირიმის ომმა გამოააშკარავა ბატონყმური რუსეთის სიღამპლე და უძლურება. გლეხთა „ამბოხებებმა“, რომლებიც ყოველ ათწლეობით ძლიერდებოდა განთავისუფლების წინ, აიძულეს პირველი მემამულე, ალექსანდრე II, ელიარებინა, რომ უკეთესია გავათავისუფლოთ ზვიდან, ვიდრე ქვევიდან დაგვაშობენო“ — ვ. ი. ლენინი, ტ. XV, გვ. 177. „საგლეხო რეფორმის“ ამსახველ ნაწარმოებთა ციკლში ორი ჯგუფია: პირველი, რომელშიც ეს ლექსიც შედის, გამოხატავს „საგლეხო რეფორმით“ გამოწვეულ სიხარულსა და ყმა-გლეხთა იმედს მათი ყოფის გაუმჯობესებისა. მეორე ჯგუფის ლექსებში-კი ასახულია იმედგაცრუებულ გლეხთა განწყობილება.

ეს ლექსი, რომელიც არ გამოირჩევა მხატვრული გარდასახვის სიძლიერით, საინტერესოა არა მხოლოდ „საგლეხო რეფორმით“ გამოწვეულ გლეხთა სიხარულის გამოხატვის თვალსაზრისით, არამედ იმიტაც, თუ ინდივიდუალური ნაწარმოები, როგორ ხდებოდა კოლექტიურ შემოქმედებად.

ბ

ბატონ-ყმობა გეიყარა
თქვენი ბედი აღარ ღირსო.
ბატონს აღარ ვემსახუროთ,
ბრძანებაა მეუფისო.
დღისით უნდა გვემუშავა,
ღამე ვინ გაცლიდა ძილსო,
ქონდენ სტოლი გაწყობილი
და სანთელი ქართოფლისო.
ზოგიერთმა ბატონებმა
მოხვენ ერთად — ძილის პირსო;
ჩვენ ჩვენი ყმები დავძვარცვეთ,

განზათ ეყონ შვილიშვილსო,
 თვარა ჩვენი ბატონყმობა
 აღარაა დიდი დღისო.
 აქამდე ყმეფს ვამწვალეზდით,
 აღარ გვეშინოდა ღთისო.
 აწი უნდა ვიმუშაოთ
 და ღირს ვიყოთ ამ ყოფისო,
 თვარა მალე შინაყმები
 ჩამოგვეყრიან დაბლა, ძირსო,
 ასე გლახათ ჩვენი საქმე
 აღამს იქით არ წამხთარა,
 ღმერთმა ბრძანა, აასრულა,
 კაცისაგან არც მომხთარა.

მთქმელი ნესტორ ჩხაიძე, 65 წლ. სოფ. ჩიბათი. ჩამწერი ალ.
 ლლონტი, 2.XVIII—1935 წ. ლ. გურ., № 116, გვ. 105.

8

ჩამწერი ევსევი ლოსაბერიძე. სოფ. ქვაციხე. სნჯ. III № 7;
 გვ. 12—15. სათაურად აქვს „ბატონყმობის გაყრა“ 59 სტრიქონი-
 ანი ტექსტია. მთქმელად დასახელებულია ნიკოლოზ ნოსარიძე.
 საეჭვოა, რომ ეს იყოს ნიკოლოზ ნასრაძე, რომელზედაც რო-
 გორც ავტორზე, მიუთითებს ძირითადი ტექსტის ჩამწერი. როგორც
 ძირითადი ტექსტის ჩამწერის შენიშვნიდან ჩანს, იგი 1892 წ. გარ-
 დაცვლილი ყოფილა. ამ შემთხვევაში გაუგებრობასთან უნდა გვ-
 ქონდეს საქმე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს ჩანაწერი იმეორებს
 ძირითად ტექსტს იმ განსხვავებით, რომ იგი უფრო მოკლეა და
 ამავე დროს ზოგ შემთხვევაში შესწორებულიც უნდა იყოს რე-
 დაქციისა თუ ჩამწერის მიერ. ამ ტექსტს ძირითადთან შედარე-
 ბით აკლია სტრიქ. 5—10; 17—18; 43—47; 56—57; 60—61; 73—
 75; 78—82; 87—105. სხვა განსხვავებანი: სტრიქ. 16-მ ო გ ვ-
 კ ი დ ე ე ბ ს — მოგვეგრიდა; სტრიქ. 19-ს უ ფ რ ა; სტრიქ. 29-თ ვ ა-
 რ ა მ; სტრიქ. 31-ა ხ ლ ა — წ ი; სტრიქ. 34-ვ ა ხ ე რ ხ ე ბ თ — ვახსე-
 ნებთ; სტრიქ. 37-რა — ვინ; სტრიქ. 38-ა რ ა გ ვ ი ჭ ი რ ს, თ ა ვ ა-
 დ ე ბ თ; სტრიქ. 59-ბ ა ტ ო ნ ე ბ ი ძ ა ა ნ გ ა წ ყ რ ე ნ; სტრიქ.
 62-ხ ე ნ წ ი ფ ე მ გ ა მ ო ა ც ხ ა ღ ა — ყ ო ვ ე ლ კ ე თ ხ ი ღ ა ნ

გ ა ი ს მ ი ს ; ს ტ რ ი ქ . 64-ე ს რ ო ყ მ ე ბ მ ა გ ე ი გ ო ნ ა ; ს ტ რ ი ქ .
65-მ ი ს მ ა — მ ა თ მ ა ; ს ტ რ ი ქ . 67-ტ ა ნ შ ი მ ა შ ი ნ ა ი ყ ა რ ა .

დ

ბატონყმობა გაიყარა,
ჩვენი ბედი რასა ღირსა.
ეხლანდელი ყმაწვილები
შექმნილია კვირა დღისა.
სადღეგრძელო უნდა გვესვა
იმპერატორ ხელმწიფისა.
ამ სათავადოს შიშითა
ქალი ვერვინ მოიყვანა,
ახლა არა გვყავს ბატონი,
მოვიყვანოთ ბევრი ყანა:
უნდა ვხნათ და უნდა ვთესოთ,
თუ გამჩენი მოგვეხმარა.
გლეხი კაცის სამართალსა
თავზე დიდი ქვა ეფარა.
ვფიქრობდი და წამამდგარა,
ჩვენ მეუფეს გაეყარა.
სტოლი ქონდათ გამართული
და სანთელი კარტოფლისა,
დალუვენ და დაულუვენ,
მოჰყვებიან ძილისპირსა.
ლხინობენ და ქეიფს სწევენ,
გაიხსნიან გულის პირსა.
ახლა არა გვყავს ბატონი,
მოვიყვანოთ ბევრი ყანა,
ბევრი უნდა მოვიყვანოთ,
თუ გამჩენი მოგვეხმარა.

ჩამწერი ლევან გოგიბედაშვილი, ფ. არქ. № 5089. სათაურად აქვს „ესე წიგნი დაწერილი ბატონყმობისა“. ამ ვარიანტის მთქმელიც, როგორც სათაურიდან ჩანს, იმაზე მიგვანიშნებს, რომ ლექსი პირველად ვიღაცას დაუწერია და შემდეგ გავრცელებულა ზეპირად.

37. ბატონუმობა გადავარდა

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., 1, გვ. 262; ხალხ. სიბრძნე, IV, გვ. 308.

38. ქალებო, ქალბატონებო

ქართლი. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. თაყ., 1, გვ. 262.

39. ბატონუმობის გაუქმება

იმერეთი. ჩამწერი სევ. გაჩეჩილაძე. თაყ., 1, გვ. 9.

40. ბატონუმობის გათავება

კახეთი. სოფ. ვაჩნაძიანი. ჩამწერი ალ. ჯანდიერი. 1869. უმიკ. № 328. ვბეჭდავთ ხელნაწერის მიხედვით. სტრიქ. 8 ხელნაწერში არის გაუგებარი სიტყვა და აქ წვეს — მიწერილი აქვს კითხვის ნიშანი და ზევიდან ფანქრით ფრჩხილებში აწერია და გ ვ ს ხ ე ს. ასე დაბეჭდა ეს სიტყვა ფ. გოგიჩაიშვილმა — უმიკ., გვ. 192. იქვე სიტყვა სპანი ზევით მელნითვე ფრჩხილებში სწერია ქ ე ი ფ ი, ე. ი. ქეიფი გვაწეინესო. ფ. გოგიჩაიშვილმა დაბეჭდა -- ლ ხ ი ნ ი გ ვ ა წ ე ი ნ ე ს — უმიკ., გვ. 192.

ეს ტექსტი ერთი ადრინდელი ჩანაწერია „საგლეხო რეფორმის“ ციკლის ლექსებიდან.

41. ლექსი ბატონუმანისა

იმერეთი. ჩაწერილი 9.IX—1867. ფ. არქ. უმიკ. № 330; უმიკ. № 330, გვ. 194—197. ვბეჭდავთ ხელნაწერის მიხედვით. დაბეჭდილში გამოტოვებულია სტრიქ. 130—147; 246—253; 262—267. რაც შეეხება 211—212 სტრიქონებს შორის გამოტოვებულ 112 სტრიქონს, რომელიც ხელნაწერშიც არის, ჩვენც არ ვცანით საჭიროდ მისი დაბეჭდვა, რადგანაც იგი უფრო ზღაპრულ სუუეტზეა აგებული და წარმოადგენს ბატონის მიერ გაყიდული ობოლი და-ძმის დაქორწინების ამბავს. სტრიქ. 249 უკანასკნელი სიტყვა ვერ გავარჩიეთ.

სტრიქ. 107-დაბეჭდილია — „არ უნდა დიდი აწონა“ — უმიკ. გვ. 195.

ლექსი გამოხატავს „საგლებო რეფორმით“ იმედის გაცრუებას.

ლენინი წერს: „გლებებმა მიიღეს „თავისუფლება“ მათხოვრის მდგომარეობაში. მემამულეთა მონობიდან გამოსულნი, ისინი ისევ ჩავარდნენ ამავე მემამულეთა და მათი დამქაშების ბრჭყალებში...“ — ვ. ი. ლენინი, ტ. XV, გვ. 177. ეს გარემოება აისახა ხალხურ პოეზიაშიც, რის ერთი ნიმუშიც ეს ლექსიც არის.

სასულიერო-რელიგიური საწყისი (სტრიქ. 1—58) და სტრიქ. 252—253 იმაზე მიგვანიშნებს, რომ ეს ლექსიც სასულიერო პირის მიერ უნდა იყოს შეთხზული. ამით აიხსნება მასში იმპერატორის პატივით ხსენება და მისდამი ერთგვარი მუდარაც.

ბ

დიდება და მაღლი ღმერთსა,
რო ბრძანება იქნა ღვთისა,
აღამს ევას ღვებადა,
სამი ვაჟი პირათ მზისა,
ერთსა მისცეს უფროსობა
თავიანთი ოჯახისა,
მაგრამ აგრე გათამამდა,
ფეხს არ აკარებდა ძირსა;
ბატონობა მოინდომა
უნცროსების თავი ძმისა,
საშუალემ სიტყვა უთხრა,
სიტყვა უთხრა ქარავმისა.
უნცროსი ასეთი არი,
მონა არი თავი ძმისა,
შეექნათ განყოფილობა
იმ თავიანთ ოჯახისა.
უნცროსი გაინაპირეს,
ჩააყენეს გასაჭირსა,
აგრე უნდა გვემსახურო,
ვით კანონი ბატონყმისა;
ეგრე გაჭირებას მისცეს,

სუ ცხარე ცრემლითა სტირსა.
უფალმა გადმოიხედა:
„ვაი, ეს რა ცოდო ბრუნავს
ამ ჩემ გაჩენილი ძისა;
იქ ზეციდან გადმოსძახა
იმპერატორ ხემწიფესა:
„ბატონყმობა დააშორე,
ბძანებაა მალლა ღვთისა“.
ეს ხემწიფემ გაიგონა,
რა გულშიაც დაფიქრდესა,
დაჯდა და ქალაღი წერა,
რაც ბძანება არი ღვთისა.
წამოდგა და გადასძახა
თავის ლუბერნატორებსა:
„ეს კანონი დაურიგეთ
გლეხებსა და თავადებსა.
ამ კანონზე გაიარონ,
დაპრკოლება არ იქნესა“.
მობძანდა ლუბერნატორი
გორსა და ქუთაისშია,
ხალხი ისე შააგროა,
როგორც ფოთოლი ხისაო,
შიგ ჩადგა ლუბერნატორი,
როგორც რო შუქი მზისაო,
საზოგადოთ წაუკითხა
კანონი ერთი წლისაო:
„ბატონყმობა აღარ არი,
ბძანება არი ღვთისაო“.
ის თავადმა გაიგონა;
„ვაი დედიჩემი ღმერთსო,
ის ჩვენი უსამართლობა
ჩვენვე კარზე მოგვადგესო.
ქვრივისა და ობოლს ჩვენ ვყიდდით,
ვაწვალებდით მსახურებსაო“.
იმერულმა თავადებმა
ხმალზე მოიკიდეს ხელი:

„ჩვენ ყმაზე ხელს ვერ ავიღებთ,
ხო არ არის ნაბოძები“.
ის კნიაზმა დააბრუნა
ყაზახი და რუსის ცხენი,
ქუთაისში რო ჩაბძანდა,
არზა გააკეთა ცხელი.
ხემწიფეს წიგნი მისწერა,
ჯარი დაიბარა სქელი:
„იმერულო თავადებო,
თქვე რო მოკვლას მიპირობდით,
ახლა გამაიღეთ ხელი,
ტყვია-წამალი ბევრი მაქ,
ზარბაზანიც ამოდენი“.
იმერულმა თავადებმა
სწრაფათ მოაწერეს ხელი.

—

ფ. არქ. უმიკ. № 330-ს ვარიანტი.

ხელნაწერი დაკრილია და შემდეგ შეწებებულია ერთმანეთ-თან. ფანქრით და მელნით ნაწერია სხვადასხვა ხელით.

ფ. გოგიჩაიშვილის ცნობით ჩაწერილია ქუთაისის მაზრაში. უმიკ. გვ. 576. სათაურად აქვს „ბატონუმობის გადავარდნა“.

8

საკმაოდ ვრცელი ვარიანტია. სათაურად აქვს „ბატონუმობის გადავარდნა“. ფ. არქ. უმიკ. № 330-ს ვარიანტია. ფანქრით სხვა ხელით აქვს მიწერილი: „ეს ქებაძის იობის დასაწყისია“. ამ ვარი-ანტში, ისევე როგორც ძირითად ტექსტში, გამოხატულია „საგლე-ხო რეფორმით“ გამოწვეული სხვადასხვაგვარი განწყობილება სხვადასხვა სოციალური ფენისა.

42. ბატონუმობის გადაწყვეტაზედ

ჩამწერი ღარია მამაცაშვილი. 16. VI—1871. ღარია მამაცა-შვილს ტექსტი 11. VI—1873 წ. გაუგზავნია იაკ. გოგებაშვილისათვის პეტრე უმიკაშვილზე გადასაცემად. სათაურთან ფრჩხილებში წერია

„ლექსი ქებაძისა“. იქვე ფანქრით ჩაწერილია „გიორგი“. სტრიქ. 87—88 — აგრეთვე ქებაძის ავტორობაზე მიუთითებს. ფ. არქ. უმიკ. № 329. ლექსის პირველი ნახევარი — სტრიქ. 1—56 დაბეჭდილია უმიკ. № 329, გვ. 193. ლექსი საგულისხმოა სხვადასხვა სოციალური ფენის მიერ „საგლებო რეფორმის“ შეფასებით.

43. თავადმა და აზნაურმა

ქართლი — ჩამწერი თ. რაზიკაშვილი. თაყ., 1, გვ. 262; ქრესტ. II, გვ. 199—200. ლექსი გამომხატველია „საგლებო რეფორმით“ იმედგაცრუებულ მშრომელთა განწყობილებისა.

44. დადემქელიანის ლექსი

იმერეთი. ყოფილი ქუთაისის მაზრა. ჩამწერი სამსონ ყიფიანი. ფრჩხილებში მიწერილია: „მოწაფეობის დროინდელი რვეული, თარიღი არა აქვს“. ვბეჭდავთ ხელნაწერის მიხედვით — ფ. არქ. უმიკ. № 332. დაბეჭდილია — უმიკ., გვ. 199—200. ხელნაწერსა და დაბეჭდილს შორის არის განსხვავებანი: სტრიქ. 6-ფიქრი მიეცა გულზედა; სტრიქ. 16-სა და 19-ს შუა გამოტოვებულია; სტრიქ. 24-ხელი ამელოს ყმაზედა; სტრიქ. 37-კონსტანტინემ დაიქაღანა; სტრიქ. 38-ამ წამზედა; სტრიქ. 93-უბედურია შენზედა; სტრიქ. 99-ტვინი დაასხა ქვაზედა.

განსხვავებით არის ნაბეჭდი აგრეთვე სტრიქ. 2-ქვეყანაზეა — ქ ვ ე ყ ა ნ ა ზ ე დ ა. ყველგან ასეა — ზ ე ა — ზ ე დ ა.

ეს ლექსი გავრცელებულია დასავლეთ საქართველოში, და როგორც შინაარსიდანაც ჩანს, ასახავს „საგლებო რეფორმით“ შექმნილ რთულ სიტუაციას.

დადემქელიანის მიერ გაგარინის მოკვლაზე არსებული გადმოცემები ბოლო დრომდეა გავრცელებული სვანეთში, ოღონდ კონსტანტინეს ნაცვლად გაგარინის მკვლელად მურზაყანს ასახელებენ. გადმოცემის რამდენიმე ვარიანტი ჩავწერეთ 1945 წ. ზემოსვანეთის ბალსზემო ნაწილში. ჩვენი მთქმელები კონფლიქტის დასაწყისად მიიჩნევენ ფარისა და ეცერის დადემქელიანთა შორის შუღლს. მულახელი მთქმელის — დადემქელიანის კარის შესანიშნავი მეზღაპრის, 97 წლის ეშა გუჯეჯიანისაგან ჩავწერეთ გადმო-

ცემის ყველაზე ვრცელი ვარიანტი. იგი თვითონ იცნობდა მურზა-
ყანის ორ ვაჟს — კოწიას (ეს უნდა იყოს გავრცელებული ლექსე-
ბის ადრესატი კონსტანტინე. ქ. ს.) და ოთარს. საინტერესოა
აგრეთვე წ. კ. უცოდინარი მთქმელის, 90 წლ. ლენჯერელი გიგო
შუკვანის, 80 წლ. იფარელი ილარიან პირველისა და ას წლამდე
მიღწეული იფარელ სოზარ გულბანის ვარიანტები.

ბ

კოსანდილე დაღეშქელიანის ქება
განთქმულია ქვეყანაზეო,
წამოსულა სვანეთიდან
გამარჯვებული გზაზეო.
ქუთაისში ჩამოვიდა,
ფიქრი მიეცა გულზეო,
გაგარინმა დეიბარა,
რალაც სწრაფი საქმეზეო.
— რუსეთში უნდა წახვიდეთ,
ნახმობი ხართ რაცხაზეო,
ბრძანებაა ხელმწიფისა,
ვერ გადაუხვევთ განზეო,
სამი ცხენი და ტროიკა
ეხლა მზად არის კარზეო.
— სვანეთიდან ჩამოვედი,
მოვალ პირდაპირ შენთანა,
შვილები მყავს სასწავლოთ,
არ ვყოფილვარ არც ერთთანა.
წავალ, იმათ ვინახულებ,
მალე მოვალ თქვენთანაო.
— მე აქედან ვერ გავიშობ,
ნუ მემღური მაგაზეო,
შენ სვანი ხარ, არ გეძრახვის,
გაიპარები გზაზეო.
ეს კოსანდილემ ისმინა,
ხელი გაისვა ხმალზეო,
გაგარენს შემოუქნია,

თავი მოთალა მხარზეო.
სამი კაცი რომ მოუკლა,
ხმალი გადუტყდა შუაზეო,
მივიდა, გულში ჩაიკრა
და გადაკოცნა ტარზეო:
— „შენ რომ მთელი დამრჩენოდი,
შევასრულებდი ცხრაზეო!
მე რომ კაცობა ვინმარე,
აგრე მიქნია სხვაზეო,
ყველა გაფანტ-გამოფანტა,
ერთი სტოლ-ქვეშ შეუძვრესა,
კოსანდილე გამობრუნდა,
რიონში უნდა ჩავარდესა.
მე რომ ამაში ჩავარდე,
სირცხვილია ჩემ თავზედა!
წავა და ძალად შეტეხავს,
ვილაც ბაქრაძის სახლსაო.
ქალები აკივლდებიან,
ვინ შემოვარდა ესაო,
დედავ, რა ბედი გვეწვია
ჩვენ უბედურებს დღესაო.
— თქვენ, დებო, ნუ გეშინიათ,
მე თქვენ არაფერს გიშავებთ,
მტრისგან ვარ გამოქცეული,
მალე გაიგებთ ყველაფერს!
ქუდი წყალში გადააგდო,
იქნებ დამხვრჩალი ვეგონოთ,
მაგრამ იმ ურჯულოებმა
იქ მიაყარეს მთლად ჯარი.
მაშინ სთქვა კოსანდიელმა:
— „დამსვა სევანეთის მთაზედა,
ჯარი იმდენი დამახვია,
როგორც ბალანი თავზედა!
ასი კაცი ხელს უკრავდა,
ველარ წაგვიხვალ ვერსადო,
გაგარინის თავის მოჭრა

შენ დაგიჭლება ფასადო.
ბრძანებაა ხელმწიფიდან:
— კოსანდილე დახვრიტეთო,
გაიყვანეთ ქალი, კაცი
და აჩვენეთ ყველასაო.
გაიყვანეს კოსანდილე
და მიაკრეს ხეზედა,
თვალიდან ცეცხლს აფრქვევდა,
ძველებურისა ფერზედა.
ხუთი ტყვია შუბლში დაკრეს,
ათზე მეტი ფერდზედა,
პირის-სახე უცინოდა,
თხილის კაკალი ეგონა,
— უბედურო ჩემო ქალო,
საცოდავი ხარ ქმარზედა.
ეხლა უნდა შეგებრალოს
სული ხორცის გაყრაზედა!
— ვინ მომიკლა კოსანდილე,
მიყვარდა მამის ბარზედა.

—

ჩაქვი. ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. 1927. ჩიქ. ფირ., გვ. 132—133,
უკანასკნელ ოთხ — 81—84 სტრიქ. ახლავს შენიშვნა: „უმფროსი
შვილი ამბობს“. სათაურად აქვს: „ლექსი სვანეთის მთავრის კო-
სანდილე დადიშქელიანის“.

3

კოსტანტინე სევანის ქება
გასრული ქვეყანაზედა,
სვანეთიდან წამოსრული
გახარებული გზაზედა,
ქუთაისს რომ მუაწია,
ფიქრი ეცადა მჯავრზედა,
გაგარინმა მოიწვია
თავის საკუთარ ტახტზედა.

გაგარინმა განუცხადა:
 — რუსეთს წალი ამ წამზედა...
 — ჯობს აქიდგან რომ მიბრძანო,
 დანაშაული რაზედა?
 — ხელმწიფის არის ბრძანება,
 ხელი აიღე ყმაზედა!
 — ღმერთმა ის დღე ნუ შემასროს,
 ჩემ ყმების აწერაზედა;
 ჩვენზედ გარისხდა ხელმწიფე,
 ნაქები სამართალზედა.
 სამი ცხენი და ტროიკა
 უცებ მოადგა კარზედა.
 მოდგა დადემკელიანი,
 უყურებს ლაპარაკზედა.
 — შენ სევანი ხარ, არ გეძრახის,
 დაადგები ძალაზედა.
 შენს სევანეთში დაიქადნე,
 რაც მაჯობო ღონეზედა.
 რაც უნდოდა, აასრულა,
 ოთხიც გაჩეხა შვებდა...
 მირბის ბაქრაძის კარზედა...
 რიონის პირათ მივიდა,
 რიონს დაადგა თავზედა.
 — მე რომ ამ წყალში ჩავარდე,
 სირცხვილია ჩემ თავზედა...
 ათასი კაცი წინ შეხვდა,
 ქეც ვერ შეხედეს თვალზედა...
 ბაქრაძის სახლში შევიდა,
 ლეკურს აკოცა ტარზედა,
 შენ რომ დღეს არ გადამტეხოდი,
 შევასრულებდი ცხრაზედა.
 მე რომ დღეს ბიჭობა ვქენი,
 აგრე მიქნია სხვაზედა,
 არ ამფერაულ ბიჭობას
 თვარ ამანცვეს ანძაზედა...
 გაპარვით ვავიპარებდი,

ჯარი მიდგანა გზაზედა,
ნეტამც აქიდგან წარსული
დამსვა სვანეთის მთაზედა.

ჩამწერი გაბრიელ კვაჭაძე. ერასტო გოგიჩაიშვილის რვეული-
დან. 1903 წ. ფ. არქ. უმიკ. ვარიანტი № 322-ს.

არსებობს კიდევ ვარიანტები:

ნ ა ბ ე ჯ დ ი: ლ. გურ. № 108, გვ. 91—95; ჩიქ. ფირ. გვ. 141;
სვან. 1, გვ. 375—376;

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ფ. არქ. უმიკ. № 332;

45. კონსტანტინე

მთქმელი სტეფანე ზურაბაშვილი — 65 წლ. სოფ. ხიზაბავერა.
ჩამწერი გიორგი გოგოლაძე. 1936. ი. მაისურაძის კოლექციიდან.
დარწმუნებული არა ვართ, რომ ლექსის ადრესატი იყოს დადგეშ-
ქელიანი.

ბ

დაიჭირეს კონსტანტინე,
წელს შემოხსნეს ოქროს ხმალი;
ცხრა კლიტურ სახლში შეაგდეს,
გარე გაღუზრაზეს კარი.
ცას შეხედა, ექცა რკინად,
დედამიწა აპო მყარი.
ზღვაშიაც ცურვით გავიდა,
ხმელეთს გადაავლო თვალი.
წყვიტა და წყვიტა თათარი,
აადინა სისხლის ღვარი.

მთქმელი ონისიმე მაისურაძე. სოფ. ოთა (მესხეთი) — ჩამწე-
რი გურამ ბარნოვი. 1964. ფ. არქ. მესხ. ექსპ. ბარნ. რ. ვ. 1.
გვ. 15.

46. ომი გუმბრზედ

მთქმელი ნადირა არაბული. სოფ. ჩირდილი, ჩამწერი აკ. შანიძე. 17. VII—1911. შან. № 465, გვ. 178—180, ქრესტ., II № 87, გვ. 99—100. მთქმელის ცნობით ლექსი უთქვამს ბარისახოელ ბაბუა ჭინჭარაულს. ლექსის პირველ ნაწილში — სტრიქ. 1—44, როგორც აღნიშნავს აკ. შანიძე, 1877—78 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომია აღწერილი. ამ ომში ქართველებიც მონაწილეობდნენ. შან., გვ. 540. ტექსტს ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 10—ალარ გოქვე გასაველიო—ე. ი. შეკრულია გზები მტრის მიერო; სტრიქ. 37—38 ბარაქელ, სუმბატაუროვო! გუნება გედვა ჩქარიო — სუმბატა თავისი ნებით წასულა ომში; სტრიქ. 50—შორით ემბოდა თვალიო — ე. ი. შორიდანვე ვიცანითო; სტრ. 55—როშაქიშვილი, ნაჩალნიკი კახელი იყოვო; სტრიქ. 58—ერთს ჩემსაც მოსჭრეს თავიო—se ძალად; სტრიქ. 59—ქვაბ ჩემით გამაიტანეს—se ძალად, ზეკუციის წესით; სტრიქ. 61—თოთიათა ბერდია მამასახლისის შვალი ყოფილა; სტრიქ. 63—შვინდაო — ცური იგულისხმება; სტრიქ. 66—აშალა საომარიო — გაჯავრდაო; სტრიქ. 74—ერთუცს უქსენეთ მკვდარიო — იგულისხმება ძროხების დახოცის გამო.

ბ

ჩამწერი აპარეკა რკინული. აკ. შანიძის აზრით მისი ნამდვილი გვარი არაბული უნდა იყოს. აკ. შანიძისათვის აპარეკა რკინულის მიერ შეკრებილი მასალები გადაუცია ე. ბალიაურს. შან., გვ. 681. ეს არის დასაწყისი სტრ. 1—12 ძირითადი ტექსტისა. განსხვავებანი: სტრიქ. 7—თითოს ეგეთი ენა აქვს; სტრიქ. 9—ი ძ ა ხ ი ა ნ—ამბობენ; სტრიქ. 10—ალარ გოქვე-აღარა.

გ

ზეცაზედ დაქმენ ღურბელნი,
დედამიწაზედ წყალნია.
ბოზობა არი, ქურდობა,
დანდობა აღარ არია.
ძმამა ძმა აღარ დაინდო,
აღარც ქალი და რძალია,

აღარც მოსავალ მოვიდა,
დაბრუნდა ცოდვა-ბრაღია.
ზოგსა ასეთი ენა აქვს,
თავს მასჭრის როგორც ჳმალღია.

—
იქღთ ამბობენ ხონთქარსა,
შამააბრუნა ჳღვანღია.
იქღდამ რუსთ ჳემწღფესა
მიღღს, მიუღღს ჳარღია.
მიღღს სუ უწყვეტელასა,
როგორც ჳათხულღს ცხეარღია.
ომღ მოუწღდა გუმბრწეღდა,
არ არღს გასავღღღია.
სულ იღღვა ტყვიღ-წამღღსა,
რღყუღ იყრღბა მკვღღარღია.
წვესურღთს იწერღბღღან:
„მანღღღ გვიჭღრღთ მწარღია,
თღთო კაც მამასახღღსწეღღ,
ვინც კაღ მღომარღია.
ბღჭ იყოს გამოსაღღღღღი,
კაღ თოფღ და ჳმალღია,
წელში ღამბაჩა ეტანღს,
ჩახმახ ოსმალღს. ტაღღია“,
ნეტარ ვღს-რაღა ვარგინღთ?
ვღს-რა ღავხურღთ ცანღია?
ჩვენში თოთღას მიერგო,
არ არღს წამავღღღია.
ცოღღი ჳყავ ტანაღ ჳვევითა,
გაუთავღღბა წყაღღია.
არცვინ მაუტანს შეშასა,
კარწეღ არ უღღვე გაღღია.
არ-გონებულაღ მოვიღღა
ფშავღღს შვიღღღბღს ჳარღია.
თღთოს ასეთღ ცხენღ ჳყავ,
მუწღღი აქღს ნღავ-წარღია.
შუღღში ნაჩაღღღ უღღღას,

შორით მეემბის თვალთ.
ნაჩალნიკ როშაქისშვილი
ჰკვიანად მოუბარია.
უბრძანა ფშავლის შვილებსა:
„ვანშმად დაკალით სამია!“
ერთაი მენაც წამართვეს
ნაშიშაქარი ცხვარია.
ქობაიცი გამატანინეს,
გამამიჯარეს კარია.
ისე შაქამეს მგლურადა,
არ მანახვინეს ძვალთ.

ემაგ ლექსაის მოთქომი
შვიდ თვეს მზე-უნახავთ.
მუდამ მოველი სიკვდილსა,
მამძულდა თავის თავთ.
ეხლა წყალობას უბოძებ,
ვისიცა მქონდა ჯავრთ.

მთქმელი ფრუშკი ჩოხელიშვილი. სოფ. შარა-ხევი. ჩამწერი
იოსებ ბოძაშვილი. შან., გვ. 540—541.

ბ

ცას დაენატრა ლურბელი
დედამიწასა წყალიო,
ნოსაველ აღარ მავიდა,
დაიწვა მთა და ბარიო,
ქურდობ-ბოზობა მავიდა,
დანდობა სადღა არიო.
ძმამა ძმა აღარ დაინდო,
აღარც ქალი და რძალიო.
ზოგ ზოგს ენა აქვ ეგეთი,
თავსა სკრის როგორც ხმალიო.
გუმბრში გახკვირან ომებსა,
გაივლის სისხლის კვალიო.

იქით, ამბობენ, ხონთქარმა
შამაანდგრიენა ზღვანიო.
აქითა ჩვენს ხელმწიფესა
მივას, მიუდის ჯარიო.
ამაგის საუბარშია
ჩამამელია ხანიო,
გავხენ, გუდელას შამოკდა
თეთრქუდეების ჯარიო,
წუაჩი როშაქისშვილი,
შორით ემბოდა თვალიო.
ნაჩალნიკ ჩემთან მარბოდა,
გუდელას დადგა ჯარიო.
საომრად მოემზადენით,
კაცი არჩიეს სამიო.
წუხელ დასკირდა ორ ძროხა,
სადილზე — სამი ცხვარიო,
ზაიყრებიან ხევსურნი,
იდგას დიდ საუბარიო.
ქვე ვინ წაგლანათ აქითა,
ვის გამუჯართ კარიო.
აღარც მუალის ცოცხალი,
მზეპირ დარჩება მკვდარიო.
წილი თოთიას არგინეს,
არ ას იქ წამავალიო.
იქ ნუ წამლალავთ, ხევსურნო,
აქავ მამკერით თავიო.
მე იმას გირჩევ, თოთიავ,
ხევსურთ მოხადო ვალიო,
იქავაც მოხვალ ცოცხალი,
მერდალ მოგივა, ჯვარიო.
შე ღულელთ სუმბატუაო,
ვაჟი შენც იყავ ჩქარიო,
ვერვინ წავიდა შენ მეტი,
ვერც სახელობენ სხვანიო.

47. ნეტა რას გადაგვეკიდა

იმერეთი. სოფ. წვეა. ჩამწერი სევ. გაჩეჩილაძე. თაყ., 1, გვ. 9.

48. რუსებისა და თურქების ომი

ფშავი. ჩამწერი გ. ნათაძე. ნათ., № 35, გვ. 35

49. ბიჭური

მთქმელი ლაზ. იმედიძე, სოფ. ხახაბუ (ჩალ. თუშეთი). კოტ., გვ. 132. ახ. გამოც. გვ. 148. ლექსში ასახული ამბავი 1877—78 წლ. რუსეთ-თურქეთის ომთან უნდა იყოს დაკავშირებული. ბიჭურა ამ ომის მონაწილე უნდა იყოს. მდიდარი რეპერტუარის მქონე ხევსურული დ ვარიანტის მთქმელის 80 წელზე გადაცილებული გიორგი ოჩიაურის (გერგეტელი) ცნობით, რომლისგანაც მასალები ჩავიწერეთ 1944 წლის ზაფხულში, ბიჭური ფშაველი ყოფილა სოფ. შუაფხოდან. იგი განთქმული მეომარი და ლამაზი ვაჟკაცი იყო. ბიჭური ფშაველ ქალს ყვარებია და ეს ლექსიც მას გამოუთქვამსო. ქალიც მეტად ლამაზი იყო, დედაჩემს უნახავსო.

გ

არ გაიგითა ფშაველწო,
ციხე დაგეცათ ღთის მადლთა,
ჯარჩი მიგივათ ბიჭური,
საღველათ დიდის ხნისადა
ვინ გამაუცხოზს ბიჭურსა
საგძალს მაგოდნის ხნისასა,
ამბობენ სამ დღეს გაივლის
სავალსა შვიდის დღისასა.
გასცილებია შირაქსა
საძოვარს ფშაველის ცხვრისასა,
ყარსის ქალაქში გავიდის
შავს კლდესა, შავ მუსრისასა,
ომსა გაკვირან ძრიელსა,
ჩამატეხნას ღგავ ცისასა,

არ ერიდების ბიჭური,
 გულსა ვენაცვლი ყმისასა.
 ცხენის სიმაღლეს უქებენ,
 გაკრას ფრანგულის ჯმლისასა,
 ჯელს ველის კნიაზ მართუმს
 მაჭრილსა ოსმალისასა.
 ჯელამილებას ამბობენ
 აპელატისა ჯვრისასა,
 შინის დაბრუნვას ამბობენ
 უცოლოს ოშკაციასა.
 ქალაქში დარჩა საწყალი
 ადგილსა ჯეშფიფისასა.
 ჯმალ სატირელშიგ ჩასდებენ
 ნაჯვევსა ბიჭურისასა.
 ნუ შამაიჯვევთ ფშავლებო,
 ჯელს ნუ ვინ ხკადრებთ ღთის მადლსა.
 ცას მასწყდა წითელ მასკულავი,
 გამაფშენიტა მიწასა.
 აღარ ამბობენ მასლასა.
 შუაფხოს ბიჭურისასა.
 ცოლიმც ვინ მოგცა ბიჭურო,
 ცხენს მაგირომევედა ყინჩადა.

უპასპორტო. სტრქ. 19-ველის კნიაზ — უნდა იყოს მთავარ სარდლის გაგებით, ისე როგორც ძირითად ტექსტში სტრ. 31 — 32, არის: თავის უფროსებს მიართვამს მარჯვენის თათრებისია...

დ

ცას მეწირა მასკულავი,
 დაბლა დაეცა მიწასა,
 მაგიცდათ ფშავლის შვილებო,
 კვლავ ნულა იქამო ხეთის მადლსა.
 ჯარჩი მიგივალს ბიჭური
 სალევლად დიდის ხნისადა.
 სამ დღეს გაივლის ბიჭური

სავალსა სამის თვისასა.
 გარდვიდა თათრი ჯარჩია,
 პირს დაიბრუნებს მგლისასა,
 დაჭრილს გავაზედ გარდისომს
 თათარსა ოსმალისასა.
 ჰელს ველის კნიაზს მიართმევს
 მა თათრის ფაშაისასა,
 ქელად მიცემად ამბობენ
 აპელატრისა, ჯვრისასა,
 ქალაქ დარჩომას ამბობენ
 უცოლოს ვაჟკაცისასა.
 აღარ ამბობენ მოსვლასა
 შუაფხოს ბიჭურისასა.
 ცოლიმც ვინ მოგცა ბიჭურო,
 ცხენ მოგირთევდა ყინჩადა.
 კმალს სატირელჩი ჩაღებენ
 ნაბამსა ბიჭურისასა.
 აიღებს მატირალაი,
 სიტყვას ჩამათვლის ცდისათა,
 ყინჩად ამბობენ ტირილსა
 ქალისასა და ზლისასა.

მთქმელი გიორგი ოჩიაური, (გერგეტელი). სოფ. ახიელა (არხოტის თემი) — ჩამწერი ქს. სიხარულიძე — 4.VIII-1944. ამ ვარიანტშიც სტრიქ. 13-ველი ს კ ნ ი ა ზ ი — იგულისხმება მთავარ მართებელი ან სარდალი.

ცნობილია სხვა ვარიანტებიც.

ნ ა ბ ე კ დ ი: მაქ. თუშ. № 34, გვ. 41—42.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: ფ. არქ. კ. 25, გვ. 57; ფ. არქ. კ. 118, გვ. 166.

50. ჰროკოფი ჭყონია

გურია. სოფ. ჩანჩეთი. ჩაშწ. აღ. დლონტი. 5.VII—1935. დღგურ. № 105, გვ. 89—91. სათაურად აქვს „ბოქაული ილაკრე დუმბაძის დევნილი პ. ჭყონიას ლექსი“. ოფიციალური ცნობით

(„Кавказ“, 19.III—1886, № 74). ფირალი პროკოფი ქყონია მეფის უნდარმებს 1886 წლის 13 მარტს მოუყვავთ. აუტანელმა სილატაკემ, უსამართლო გადასახლებამ, ეროვნულმა ჩაგვრამ და დამცირებამ თანდათან მოთმინებიდან გამოიყვანა მშრომელი ხალხი. დაიწყო მოძრაობა შინაური კლასობრივი მტრებისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. სტიქიურმა მოძრაობამ თანდათან ორგანიზებული ხასიათი მიიღო და 1905—1907 წ. რევოლუციად გადაიზარდა. პროკოფი ქყონია უსამართლობის წინააღმდეგ იმ მებრძოლთა წარმომადგენელია, რომელნიც იძულებული იყვნენ მოშორებოდნენ მშობლიურ ოჯახს, თავი შეეფარებინათ ტყისათვის და შური ეძიათ მჩაგვრელებზე. ამგვარ მებრძოლებზე შექმნილია ციკლი ნაწარმოებთა. ეს ნაწარმოებნი ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ერთი თავისებური შენაჯადია. სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლ ყაჩაღებს, განსხვავებით მძარცველებისაგან, გურიაში ფირალებს უწოდებენ. ამგვარ სახალხო გმირებს ცნობილი ფოლკლორისტი პ. ბოგატიროვი უწოდებს. „Благородный разбойник“—(П. Г. Богатырев. Словацкие эпические рассказы и лиро-эпические песни, АН СССР. М. 1963). ხალხის ინტერესთა დამცველ ყაჩაღთა ბრძოლის ორი ეტაპი აღინიშნება ქართულ სინამდვილეში. პირველი — გასული საუკუნის 80—90 წლები და მეორე — 1905—1907 წლ. რევოლუციის ხანა. ლექსები, გადმოცემები და თქმულებანი ხალხის ინტერესების დამცველ ყაჩაღებზეც ამ წლებს უკავშირდება. პროკოფი ქყონიას, გოგია ლომჯარიას, დათულია სურგულაძის, ნიკოლოზ მეხუზლას, დათუნაშვილების, სისონა და ვასილ დარჩიების და სხვათა შესახებ შექმნილი ნაწარმოებნი პირველ ხანასთან არის დაკავშირებული. დათიკო შევარდნაძის, სიმონა დოლიძის, კიკია მამულიაშვილის, აფრასიონ მერკვილაძის, მიხა ჭუჭულაშვილის, სადარა არაბულის, მამუკა გოგოჭურის და სხვათა შესახებ შექმნილი ნაწარმოებნი კი 1905—1907 წლ. რევოლუციური მოძრაობის გამომსატველია.

51. დათულია სურგულაძე

ჩოხატაური. მთქმელი ფილიმონ სიხარულიძე. ჩამწერი ანტონ ხინთიბიძე. ხინთ. გურ., 37. ტექსტი ფრაგმენტია უფრო დიდი ლექ-

სისა, რომელიც მთქმელის ცნობით, დაკარგულია. დათულია სურ-გულაძეც პირველი პერიოდის გურულ ფირალთა წარმომადგენელია. იგი სოფ. მაკვანეთიდან ყოფილა, მასზე არსებობს გადმოცემაც — ხინთ., გურ., გვ. 36 — 37. სხვა ფირალების მსგავსად სურ-გულაძეც ღალატით დაღუპულა. იგი 1882 წ. 18 მარტს — წითელ მთაში მოუკლავს შტაბს-კაპიტან ივანე დუმბაძეს. ხალხის სიყვარულს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირისადმი ზეპირსიტყვიერების გარდა გვაცნობს ოფიციალური ცნობაც. ამ ცნობის მიხედვით გურიის სოფლებში სურგულაძისა და მისი თანამებრძოლებისთვის ყველგან მზად იყო ღამის გასათევი, თითოეული ოჯახის პატრონი ზედმეტ ულუფასაც კი ამზადებდა, ვინც ცობაა სურგულაძე გვეწვიოსო (დრ. 1882. № 66).

52. ნიკოლოზ მეხუზლა

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. სათაურად აქვს „ლექსი ნიკოლოზ მეხუზლას, წყლიდან რომ ჭარი დახოცა“.

ჩიქ. ფირ., გვ. 112—113. 80—90 წლების გურული ფირალების თვალსაჩინო წარმომადგენელს ნიკოლოზ მეხუზლას ისევე, როგორც სხვა გურული ფირალების, შედარებით სრული ბიოგრაფია. პრესის ცნობებისა და გმირთა ნათესავ-ნაცნობთა მოგონებების სფუძველზე აღადგინა ანტონ ხინთიბიძემ. ამ ცნობათა მიხედვით იგი დაბადებული უნდა იყოს 1855—56 წ. ყოფილა სოფ. გურიანთას მცხოვრები. ცხოვრების მძიმე პირობების გამო იძულებული გამხდარა ფირალად გავარდნილიყო. ნიკოლოზ მეხუზლა იბრძოდა მეფის მოხელეთა უსამართლობის წინააღმდეგ. იგი მეფის დამქაშებმა მოკლეს 1892 წ. 15 იანვარს. — ხინთ., გვ. 39 — 51. ნიკოლოზ მეხუზლაზე შექმნილია ლექსებისა და გადმოცემების ციკლი. ლექსში გადმოცემული ამბები არის აგრეთვე გადმოცემათა თემა. ლექსში მოხსენებული დათუნაიშვილი — ფირალი ტაროელ დათუნაიშვილია. იგი სოფ. აკეთის მცხოვრები ღარიბი აზნაურა იყო. მოკლეს ნიკოლოზ მეხუზლასთან ერთად. ხინთ., გვ. 52 — 54.

ბ

ათასრვაას ვოთხმოზდა ცხრაში,
რიცხვით თუთხმეტ იანვარში;

ყირალები მეიჩიხენ
მაუჭაძის ქუხნა-სახლში
ტარიელი რაცხას მასხროფს
სადილის მომზადებაში;
ნიკოლოზაი უჩივოდა,
თოფი მოჭხთა მაგ ხარხაში.
ასრულდა მისი სიტყვები,
ჯარი შამოადგენ კარში;
გულადობაც კაი ქონდენ,
ქეც ვარგოდენ ბიჭობაში.
დათუნაშვილმა იყვირა:
ჯერე მე გამიშვით კარში;
თოფის ტუჩი კარეფსა კრა.
თოფი გასცა თოფის ხმაში.
გასლა არც კი დუჟულიენ,
ტყვია მუარტყეს ბარკალში.
მეხუზლა გაცეცხლებული
კლვასავით გახტა კარში;
ერთი ისთე შეტრიალდა,
რავაც შავარდენი ცაში.
ამხანაგის წუხარებით
ცრემლი მუასხამდა თვალში.
შვიდი-რვაი იქვე მოკლა,
მეცხრესაც გაარტყა თხარში.
წინდამ გზაი ეირეკა,
ყველა დიემალა გზაში,
ვინც რომ შეხთა, შიშისაგან
თოფი გაუეარდა ხელში.
ვორი ვერსი გადირბინა,
არშინახევრიან თოლში;
როგორც კვირკობისთვის სიცხე
ისტე შამიენტო ტანში.
თებზივით წყალში მიძრება,
შათაქიძე შეხთა გზაში;
შენ მომშორდი ლავარსიაჲ,
თავს ნუ მაკლავ ამდონ ჯარში,

გეუბნები, ნუ ჩამაგდებ
 შენი ცოლ-შვილის ცოდვაში.
 რადგან აღარ მომშორდები,
 ერ პატრონას გავცლი შენში;
 გადმეილო და ესროლა,
 პირდაპირ მუარტყა თავში.
 თელი ქვეყანა ეიძრა,
 ყველა უძებნიდა კვალსა;
 ურცხო ქვეყანაში იყო,
 რაფერ გეიკლევდა გზასა.
 როცა ტყვია დიელია,
 თქვა, რომ მუაკლიეფ თავსა;
 წამოხტა, თვარა მეხუზლას
 ვორი ტყვია მოხთა თავსა.
 საწყალს, ისთე დიესიენ,
 რაფერც ამწვალეებენ ღორსა;
 ზოი ლევერზე ეტეკა,
 ზოი აფრინდება თოფსა.
 ზოი ჯიბეს უშინჯავდა,
 ზოი ეძებდა ფულეებსა.
 წყალიდან ამუათრიეს,
 უპატრონოთ დადვეს თოლსა;
 ტანზე არ გამუაცლიეს,
 ხლის ნებაც არ მისესა;
 უკურთხ მიწაში ჩააგდეს,
 ნაკურთხიცი არ აღირსესა.

მთქმელი სოფიო ღლონტი. 57 წლ. სოფ. დვაბზუ. ჩამწერი აღ.
 ღლონტი, 10.VIII—1934. ღლ. გურ.: № 99, გვ. 80. სათაურად აქვს
 „ნიკოლოზა მეხუზლაის ლექსი“.

53. ბზეი ბრწეინავს

ჩიქ. ფირ., გვ. 114.

საფლავიდან წერილს მოვწერ,
 თუ ამითავდა ქალალდი,
 უბედურება მეწვია,
 ტერებო, რაფერ გახარდი,
 ყველგან ყოჩალად ვიყავი,
 სადაც ვეთრიე აქამდი,
 უმალ შეკვეთილს ვვაჭრობდი,
 იმან არ მომცა ხელია.
 კარტოენიკობას ვეჩვიე,
 ცოტ-ცოტა გიახელია.
 ვიმუშავე და ვეცადე,
 ვერ მოვიწიე საყოფი,
 უბრალო ცილისწამებით
 ციხე მაჩვენეს სამყოფი.
 შეგვაწუხა დიდმა თოვლმა,
 გვიჩენა გასაჭირალი,
 უჩხუბისკენ ჩამოვეყვით,
 დავტოვეთ ნასაკირალი,
 მზეი ბრწყინავს, ცაი ღრუბლავს,
 თოვლია დაზავებული,
 როგორც ღორის მონადირე
 ვიყავით გამზადებული.
 მაჭუტაძისას მივედით,
 არ დაგვხვდა დამზადებული,
 საათის რა მოგახსენოთ,
 შვა დღეზე გადარებული.
 მაჭუტაძისას მივედით
 ოხერი ხუთშაფათია,
 ვინცხა „ბალკონში“ შემოხტა,
 იყო რუსის სალდათია,
 ერთმანეთს ეუბნებოდნენ:
 არიქა, მაგრად დახეთია.
 იმნაირად ჩასაფრულან,
 როგორც მათი აღათია.

კაცობაში მოვიშალე,
ტარიელ რომ გამიგორეს,
წაღმა-უკუღმა ვისროლე,
ვინც შემხედა, მომიწონეს.
ორმოც ღობეზე გადავხტი,
მე მომზღვედა სუყველაი,
ფალასკა გამომეცალა,
ტყვია დავხარჯე ყველაი.
კაბალახი ლიშნად მივე,
დავჯექი თავშიშველაი.
მომკლეს და გემშვიდობებით,
ნიკოლოზა მუხუზლაი.

ჩიქ. ფირ., გვ. 139, სათაურად აქვს „მახუზლას ლექსი“. სტრიქ. 36 — 37 — ახლავს მთქმელის შენიშვნა: „რვაი სტრაქნიკი მოკლა მაშინ“. როგორც „ხალხის წინასიტყვაობა“ წამძღვარებული აქვს მეხუზლაზე არსებული მოგონება — გადმოცემების ცნობა: „—დღი-დან საღამომდე ყანაში იმუშავა, საღამოს ნათოხარი გაზომა, იან-გარიშა და ბოლოს გულმოსულმა თოხის ტარი გადანაჰქერ ჯირკვზე გადაამტვრია და სთქვა: — ამით ცოლ-შვილს ვერ დავარჩენო და ფირალად გავარდა“. იქვე.

3

ჩაწერილი გურიამში.

ს. ჟღენტი, გურული კილო, გვ. 148.

54. მოსუზლას ცოლის ტირილი

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 113.

55. ურიადნიკ მათაქიმის დაი მეხუზლას
ცხედართან

ჩამწ. მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 113

3

შენ მომიკალ ჩემი ძმაი
და შენ დამიმწარე სული,

სამწვეალებლათ ის გეყოფა,
ქე ხარ თოლში ჩაგდებული.
ჩემი ძმავი ლამაზათ მყავს
ლოგინზე დასვენებული,
პატროსნათ გაეასვენებთ,
თან დაამშვენებს კრებული.

მთქმელი ი. ჭანუყვაძე. ჩამწერი ანტ. ხინთიბიძე. ხინთ., გვ. 45.

56. მეხუზლას ცოლის პასუსი შაფაქიძის დას
ჩამწერი. მიხ. ჩიქოვანი, ჩიქ. ფირ., გვ. 114.

ზ

რასაც რომ შენ ლაპარაკოფ,
მაგას არ იკადრებს ქალი.
ჩემთვის რალა საჭიროა,
მაგფერი ხანკკის მორება,
დღეს კი სახლში გისვენია,
მაგი კი დაგეჭერება,
მარა ნახე ზვალე დილას,
რანაირათ გეყოლება.
ნიკოლოზ მეხუზლაისთვინ
ვერვინ იხმარა ხანჯალი,
შენი ძმავი იყო მსურვე,
რომ მიეღოთ ლალატობით
სისხლის ჭვარი.
მარა აღარ აღრისა,
დეილოცა მისი გვარი,
მას ნუგეშათ ის ეყოფა,
შეუყენა სისხლის ღვარი,

მთქმელი ი. ჭანუყვაძე, ჩამწერი ანტ. ხინთიბიძე. ხინთ; გვ. 46.

57. მესუსლას გაფირალება

მთქმელი კ. ცისკარიძე. სოფ. წითელმთა (მახარაძის რ.). ჩამწერი ანტ. ხინთიბიძე. 7.VIII-1936.

58. ნიკოლოზ მესუსლა

მთქმელი კ. ცისკარიძე. სოფ. წითელმთა (მახარაძის რ.), ჩამწერი ანტ. ხინთიბიძე. 7.VIII-1936.

59. სისონა დარჩიას ლექსი

მთქმელი ექვთიმე გაბრიელისძე დოლიძე — 90 წლ. სოფ. თხინვალი. ჩამწერი ალ. ღლონტი. 23.VII-1936. ღლ. გურ., № 106, გვ. 91 — 92.

სისონა (იგივე სიმონ) და ვასილ დარჩიები ესე გურიელის ყმა გლეხები იყვნენ. 80—90 წლების პრესისა და მათ ნაცნობ-მეგობართა მოგონებების მიხედვით ისინი აქტიურად იბრძოდნენ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ. ვასილ დარჩია 1889 წლის სექტემბერში მოუკლავთ ღალატით, სისონა კი 1891 წლის თებერვალში გარდაცვლილა. გადმოცემების მიხედვით ბოქაულ ჯაფარიძეს მკვდრისათვის ჭრილობა მიუყენებია, თითქოს მას მოეკლას. იხ. ხინთ., გვ. 55—69; ღლ. გურ., გვ. 296.

ყაჩაღი ვასილა ლომინაძეზე შექმნილ ლექსთან დაკავშირებით მიხ. ჩიქოვანს მოყავს მთქმელის ცნობა: „ვასილას სიკვდილის შემდეგ სისონა დარჩიამ რვა წელიწადი იყაჩაღა. ბოლოს ფილტვების ავთომყოფობა გაუჩნდა და მოკვდა ერთ ოჯახში. ეს გაიგო პოლიციამ. მაშინ ლესაში მამასახლისად იყო ჭანტურია. მან მკვდარი ქუჩაში გაიტანა და „დახვრიტა“, ბატი წააქლა თავზე. მეფის მთავრობამ ჭანტურია ამისთვის დიდათ დაასაჩუქრა და თან დარჩიას ნაქონი მოკლე ბერდენაიც აჩუქა.

სისონა დარჩია ჯუმათის თემის გლეხი იყო. მას ხევისათავეები ემტერებოდნენ, ამ ნიადაგზე „პრიგოვორიც“ შეუყენეს და გადასახლება მიუსაჯეს. „პრიგოვორების“ შედგენა მაშინ ძალიან გახშირებული იყო და ხშირად მას უბრალო ხალხსაც უდგენდნენ. ასეთი იყო სისონა დარჩიაც. ის არც ქურდობდა და არც ცუდი კაცი იყო.

ამიტომ, უსამართლოდ დასჯილი სისონა იძულებული გახდა თოფისათვის ხელი მოეკიდა და ტყისთვის თავი შეეფარებია“. ჩიქ. ფირ., გვ. 128.

პროფ. ს. ხუნდაძის აზრით სისონა დარჩია ეგნ. ნინოშვილის სიმონას პროტოტიპია. — ეგ. ნინოშვილი, თხზულებანი, 1. სიმ. ხუნდაძის რედ., გვ. 376 — 379.

სისონა და ვასილ დარჩიებთან ერთად ამ ლექსის ვარიანტებსა და გადმოცემებში იხსენიება მათი თანამებრძოლი ფირალი ილარიონ დათუნაშვილი: დარჩიებზე ლალატით თავდასხმის დროს 1889 წ. სოფ. ბარალეთში იგიც შეუპყრიათ მეფის დამქაშებს. ხინთ., გვ. 84. სისონა და ვასილ დარჩიებსა და ილარიონ დათუნაშვილზე ლექსების, გადმოცემებისა და თქმულების ციკლია შექმნილი. სისონა დარჩია. სიცოცხლეშივე ლეგენდარულ გმირად იქცა.

ბ

ათას რვაას ოთხმოცდა რვაში,
რიცხვით თორმეტ სექტემბერში;
მოვილაღე და მომწყინდა,
მუდამ ჯდომა ზაფხულ—ქვერში.
უშიშრად ვიარებოდი
საბატონო ბაილეთში,
ისე უშიშრად ვიყავი,
თოფიც არ მქიროდა ხელში.
თურმე ნამუსს ვერ გაიტანს,
ვერც დიდი და ვერც პატარა;
ამხანაგის ცოლმა გაგვცა,
დაგვაყარა სტრაჟის როტა.
არჩეული მაგრამ ხთისმივ,
დავინახე უმაღ მოკვტა.
სისონამ უწინ შეიტყო,
ერთი რომ შიგნით ჩამოხტა.
გაგვიკეთეს გამცემლებმა,
ჩვენ სადილი მშვენიერი,
და ღვინისა დაღვეაზე
არ დაგვაკლეს არაფელი.

დაღამებულს გვიღალატენ,
დაგვაცემეს თავზე მტერი.
ალათია განგებ კივის, —
რომ არ უთხრან არაფელი.
ისტე გაიქცა სისონაი,
ვერ გაარჩევდი ფრინველში,
ვასილაც ახლოს მიზღვედა,
გეგონებოდა თვით გვერდში.
მაგრამ მოარტყეს თოფები
შვიდი და რვაი ბეჭებში.
მიკვირს, როგორ-ღა გაიქცა,
არ წაქცეულა ერთ ვერსში.
მე მეორეთ გამოვედი,
შეეშინდა მაშინ ყველას,
ვაი, მიხელა ნინიძე
ჩვენ ძმასავით გვეპყრობოდა,
ვანშამს რომ ერთად ვკამდით,
ნაეახშმებს გაგვეყობოდა!
თურმე ჩვენს ღალატს აწყობდა,
მაგრამ რაში ეტყობოდა!
იმ სულ-ხორციით წაწყმედილსა,
ჭვარ-მედალიც ეყოფოდა.
სულ ყველა უკან ძვრებოდა,
ვისაც უსტვინე ხმაია,
მივრბოდი დაკოჭლებული,
მე არ ვიცოდი გზაია,
მოგეხსენებათ სუყველას,
კაცი უცხოზე ბრმაია,
შიშისგან ზარდაცემული,
ყველამ მიტია გზაია.
მე თავი კარგათ მეგონა,
ტყვია კოჭში მომხედომოდა,
მე კი მერჩია იმ ყოფნას,
რომ სულიც ამომხდენოდა.
ბატონიშვილმა მესროლა,
მაგრამ სროლა არ სცოდნოდა;

ორმოში არ ჩავმტრეულიყავ,
ორი სხვაი დამრჩენოდა
თოფი შორს გადამივარდა,
რადგან ხრამში ჩავიმტვერი;
ხელში მქონდა და გამიტყდა,
კაზიონი ლივერველი.
რა ეცვა ჩემსა იმედსა,
მაგრად შეეხვია წვერი.
დიდხანს ახლოს ვერ მობედეს,
ეს კი იყო საკვირველი.
ჩემი აზრით გადავწყვიტე,
ამ საათში მოვკტე უნდა:
ზოდით და ამომიყვანეთ —
ხედავთ, ლომი დაძაბუნდა!
— გიო ღლონტი გამოიქცა,
ღალატი მასაც უყვარდა.
ისიც იქინე ჩემიტრა.
მიეწია ძველი ცოდვ:
ლოგინით გამოასვენეს,
ზორჩებოდა ვინ იცოდა!

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 115 — სათაურად აქვს
„ფირალი სისონაი დარჩია ამხანაგის ცოლმა რომ უღალატა“.

8

ათას რვაში, ოცდა ცხრაში,
რიცხვით თორმეტ სექტემბერში;
დავიღალეთ და მოგვწყინდა,
მუდამ ჭდომა ზაფხულ-ქვერში.
უშიშრად ვიარებოდით,
ჩვენს სამშობლო ბაილეთში;
ასე იმედიც კი გვქონდა,
თოფიც არ გვკერია ხელში.
ახლა ნამუსს ვერ გაიტანს,
ვერც დიდი და ვერც პატარა;
ძმაის ცოლმა გვიღალატა,

დაგვაცემა თავზე როტა
 ვასილას: პირველათ სისონამ გეიგო,
 ერთი შიგნით რომ შემოხტა.
 ყველამ ერთად გადავსწყვიტეთ,
 უნდა გამოვიდეთ კარში.
 ილარიონი: სახლმა ტყვია ვერ იმაგრა.
 და ვასილას მოხვდა კლავში;
 პირველ სისონე გეიქცა,
 ვერ გავარჩიეთ ფრინველში.
 იმას ვასილა მისდევდა,
 ასე გვეგონა სულ გვერდში;
 მაგრამ თოჯები მოარტყეს
 ოთხი და ხუთი გვერდებში.
 ჰაინც იმდენი გასწია,
 სული ამოხდა ოთხ ვერსში.
 ნე რომ კარში გამოვედო,
 მაშინ შეეშინა ყველას;
 ნინიძე გამოვათხვიე,
 თავის ბატონის მზერას,
 პირში თოფი მოვახვედრე,
 ის ფიქრობდა ჩემს დაჭერას;
 ორი მსხვერპლათ გავატანე,
 მოეხმარებოდა ვერას.
 მე უცხო კაცი ვიყავი
 და არ ვიცოდი გზაია,
 ყველამ კარგათ მოისმინეთ,
 უცხოზე კაცი ბრმაია.
 ისეთ ადგილზე ჩავარდი,
 მეც მეზიზღება თქმაია.
 თოფი შორს გადამივარდა,
 რადგან ხრამში ჩევიმტყერი.
 ხელში მეჭირა, გამიტყდა,
 კაზიონი ლივერველი

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი, ჩიქ. ფირ., გვ. 136—სათაურად აქვს

„სისონა და ვასილა დარჩიებისა და ილარიონ დათუნაიშვილის
ლექსი“.

ტექსტში ჩართული კომენტარების მიხედვით იგრძნობა
მთქმელის ტენდენცია შერეული ფორმის ნაწარმოების შექმნისა.
სტრიქ. 16-სა და 17-ს შუა ჩართულია „დედა ბუხარში შესვეს და
იმით გადაარჩინეს“; სტრიქ. 26-სა და 27-ს შორის „დათუნაიშვილ-
მა დაინახა, რომ მოღალატე ნინიმე ნალის ბარჯგთან ატუზული-
ყო“; სტრიქ. 34-სა და 35-ს შორის: „დათუნაიშვილი მთვრალი იყო,
გზა არ იცოდა“.

დ

ათას ცხრაას თორმეტ წელში
რიცხვით თორმეტ სექტემბერში
მოვიღალეთ და მოგვწყინდა
მუდამ ჯდომა ზაფხულ-ქვერში.
უშიშრათ ვიარებოდით
სუფსას გაღმა ბაილეთში,
ისტე იმედით ვიყავით,
თოფიც არ გვეჭირა ხელში.
თურმე ნამუსს ვერ გაიტანს,
ვერც დიდი და ვერცა ცოტა ,
ამხანაგის ცოლმა გაგვცა,
მოგვისია სტრაჟის როტა.
მაგრამ ჩვენი გამცემელი
გავიცანით, იქვე მოკვტა
უწინ სისონამ შეიტყო,
ერთი კაცი შინ შემოხტა.
გამცემელმა გაგვიკეთა
ჩვენ სადილი ძალიანი,
ლვინოს რომი შეურია,
სხვაც არ გვაკლდა არაფელი —
და მთვრალი და გალუშილი
ადვილია დასაჭერი.
აუარელი ზალბი დაგვირთეს,
მაგრამ ჭერ კი ვზივართ სახლში.
სახლმა ტყვია ვერ იმაგრა

და ვასილას მოხვდა მკლავში,
რადგან ძელი გლახა იყო,
ვერ დავენდვით ჩვენ საფარში.
ყველამ ისთე გადავსწყვიტეთ,
გამოვსულიყავით კარში;
და რომ კარში გამოვარდი,
მათ შეეშინდა ყველასა.
ნინიძე გამოვათხოვე
თავის ცოლ-შვილის მზერასა.
ორი ტყვია პირში ვარტყი,
ფიქრობდა ჩემს დაჭერასა.
ორი სხვაიც მივაყოლე,
ეხმარებოდენ იმასა.
მე თავისუფლათ მივრბოდი
და არ ვიცოდი გზაია!
ყველამ კი ასთე გასინჯეთ,
უცხო აღგილს კაცი ბრმაია!
ისთე ხრამში გადვიჰერი,
საჭენი არის ოცია.
ჩემი მღვერები გარბოდენ,
ამბობდენ გასაოცია.
მე მთელი ტანი ამტკივდა,
კაცის სიცოცხლე ხორცია.
და ჩემ აზრში გადავწყვიტე,
ერთ საათში მოვკტე უნდა,
მოდით და ამომიყვანეთ,
ხედავთ, ლომი გადაბრუნდა!
გიორგი დლონტმა გეიგონა,
გამეიქცა, არ დაბრუნდა,
ისიც ჩემთან ჩამოიჭრა,
ძველი ცოდვა დოუბრუნდა,
ამ მამაძაღლს რა ეგონა,
ღალატი თითონ იცოდა,
ნაღალატით რო გაკეთდეს,
იმდენი მამა უცხოუნდა!
ლოგინით წამოიყვანეს,

მორჩებოდა, ვინ იცოდა;
რა უდროვით სცილდებოდა
მისი ცოლი შემეცოდ

—
ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 134 — 135. სათაურად
აქვს „ილარიონ დათუნაიშვილის ლექსი“.

მ

მინდა რომ ლექსი გამოვსთქვა
ყმაწვილი კაცის გზობაზე:
ლალატობაში კი ვარგა
ერთოფ მიხელა ანთაძე.
სტრაჟის როტა დამახვედრა
უნაგერაის ბოგაზე.
თოფები ბევრი მესროლეს,
ერთი ვერ წამკრეს მე განზე.

—
ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი, ჩიქ. ფირ., გვ. 138.

ნ 0. ვაი დალოცვილო სისონაი

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ფირ., გვ. 117.

ბ

დალოცვილი სისონაი,
ნაქებია ბიჭობაში;
შევიდა და ძმაი იტირა,
არ შეშინდა იმდენ ჭარში.
ცალ ხელში თოფი ექირა,
ცრემლიც მოზდიოდა თვალში;
„შენ მკვდარი ხარ, მე ცოცხალი,
როგორ გევიარო ჭარში!“

—
ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 138.

დალოცვილი სისონაი,
 ნაქები ბიჭობაში,
 მივიდა და ძმა იტირა.
 არ შეშინდა იმდენ ჯარში.
 „შენ მკვდარი და მე ცოცხალი,
 რაფერ გევიარო გზაში“.
 ცალ ხელში თოფი ეჭირა,
 ცრემლიც მოასხამდა თვალში.
 შემოგვისიეს ვირები
 და მათ დაარქვეს სტრაჟია,
 ღმერთმა დასწყევლოს იგინი,
 რა უსარგებლო ხარჯია.
 ღამე სისონა დაითქვეს, —
 დობტურს წაართვეს ბაჟია,
 ჭუმათს მოკლეს ამბეკ ბერი,
 ბაილეთში ჭაკი ცხენი,
 ოზურგეთში აფიცერი!..

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 135.

61. მე ვარ სისონა დარჩია

მთქმელი ა. მარშანია. ჩამწერი აპ. ცანავა. აპ. ცანავა, ქართული რევოლუციური პოეზია 1905—1907 წლებში, 1956 წ., გვ. 25. აპ. ცანავას მართებული მოსაზრებით ლექსი არსენა ჯორჯიაშვილზე სიმღერის გავლენით არის შექმნილი. იქვე.

62. ილარიონ დათუნაიშვილის ლექსი

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 130.

63. სისონა დარჩია

მთქმელი ს. სიხარულიძე. ჩოხატაური, ჩამწერი ანტონ ხინთიბიძე, 1937.

64. სისონამ ესეს ცოლ-შვილი დაიჭირა

მთქმელი ალ. დარჩია. 110 წლის. სოფ. მალაღუმათი (მახარაძის რ.) ჩამწერი ანტ. ხინთიბიძე. 18.VIII-1957.

65. ესე გურიელის დამარხვა

მთქმელი კ. ცისკარიძე. ჩაწერილი სოფ. წითელმთაში (მახარაძის რ.) 1937 წ. ივლისში ანტ. ხინთიბიძის მიერ.

66. სისონას მიერ სტრატეგების მოტეუება

მთქმელი პლ. ლლონტი, 73 წლისა. ჩაწერილი სოფ. მელექედურში (მახარაძის რ.) 23.VII—1937. ანტ. ხინთიბიძის მიერ.

ბ

სისონა ძალიანი მოხერხებული იყო. ერჯერ ნატანების ბოგაზე დახტენ... იქით კაცია, აქეთ კაცია, გზაი არსა არ იყო, გადახტა წყალში... ესროლეს, მარა ეშმაკს რას დააკლებენ. სტრატეგებმა ალყა შემოარტყეს სახლს, სისონა ქია შით. რა ქნას, გეიხედა და ახორში ხფოი დეინახა. გადააცვა ხფოს ნაბადი, გაალო კარი, გამოხტა ხფოი კარში, დააყარეს ზალბი ხფოს. სისონამ ქე გეიპარა ქვედა კარში.

მთქმელი კ. ცისკარიძე. ჩაწერილი სოფ. წითელმთაში (მახარაძის რ.) 1937 წ. ივლისში ანტ. ხინთიბიძის მიერ.

ბ

ერთ გლეხისას იმალება სისონა და ვილაცამ გააგებინა პოლიციას. შემოარტყეს ალყა. სისონამ უთხრა ქალს: — შენ გადი გარეთო. გამოვიდა ქალი, (ქალს ვერ ესვრიდნენ). სისონამ ხბოს ნაბადი გადააცვა და გააგლო გარეთ და სტრატეგებმა ხბო მოკლეს სისონას მაგიერ.

მთქმელი ალ. დარჩია 110 წლისა. ჩაწერილი სოფ. მალაღუმათში (მახარაძის რ.) 18.VIII—1937 წ. ანტ. ხინთიბიძის მიერ.

67. სისონას თავგადასავალი

მთქმელი მ. თავდუმაძე. ქ. მახარაძე. ჩამწერი ანტონ ხინთიბიძე, 1937 წ.

ბ

სისონაი ტყეში ყვავილით მოკტა. სოფლის კაცმა ნახა, კაცია დაწოლილი. მუაქანა, კტარია. შეშინდა კაცი, წევიდა, მამასახნის უთხრა: — ასთეა, კაჩალი კია, სისონას გავსო.

— არ უთხრა არაკაცსო, უთხრა მამასახნისმა. მამასახნისმა პრისთავს უთხრა. მივიდა პრისთავი, გააქანა და სტკლიცა ლევერი ამ მკტარ კაცს, მარა სისხლი არ გადმეუარა.

— წადით, ქათამი მეიყვანეთო.

მეიყვანეს ქათამი, მუასხეს ქათმის სისხლი.

სისონაი ერთი წლის წინათ გუბერნატორს ყავდა ნახული ქუთაისში. ღვდლის ტანისამოსი ჩეიცვა და გუბერნატორს უთხრა: — ამა და ამ არდგილზე ეკლესიის ადგილი მომეცით, ვიწრო უნდავო. მერე რუმ წამოვიდა გუბერნატორიდან, წერილი მისწერა: მე გიახელი დარჩიავო.

ამ გუბერნატორს მისწერა პრისთავმა — დარჩია მოვკალიო. გუბერნატორმა მოსწერა: — არ გააქანოთ, მე უნდა ვნახოო. ნახა. სისონაი კია მარა, სისხლი ხორციდან არ მოდის. მოიწვია ექიმები. ერთი კვირის კტარიავო.

მთქმელი ს. ბაჯელაძე. ჩაწერილი ხუცუბანში (ქობულეთის რ.) 1937 წ. ანტ. ხინთიბიძის მიერ.

ბ

სისონა ქალის ავათმყოფობით გახდა ავათ და იწვა ვახტანგ გურიელისას. იმის მერე მეჯოგესთან იწვა ჩიბათში და მისი დლით მოკტა იმ მეჯოგისას. სისონა რომ მოკტა, მეჯოგემ შეატყობია აგი ამბავი პრისთავს. მევიდა პრისთავი ჭარით და ესროლა მკტარ სისონას. მარა ეორი დლის მკტარს სისხლმა არ გადმეუარა. სისონას თავი ქონდა გატეხილი (ჩივიან. მეჯოგემ განგეფ გუუტეხა თავი, რომ მოკტა მერეევო) და პრისთავმა დეიქო: — თავზე რომ კრილობა

აქ, ჩემი ხმალის ქრილობაა, მე შემოვკარო. მერე ექიმა შეამოწმა, რომ სისონა მისი დღით იყო მკტარი. რადგანაც ნატყვიარში სისხლი არ იყო გადმოსული. პრისთავსაც უნდოდა ჯილდო და მეჯოგესაც. მარა არცერთს არ მისცეს. იმიზა რომე, სისონა იგინის მკტარი არ ამოჩნთა.

მთქმელი ვ. ჟღენტი. ჩაწერილი სოფ. მელექედურში (მახარადის რ.) 23.VII—1937 წ., ანტ. ხინთიბიძის მიერ.

68. სისონა და გასილ დარჩიები

მთქმელები: თეოფილე ჯაბას ძე დარჩია, 66 წლის და კალენიკე ანტონის ძე დარჩია 68 წლის. ჩაწერილი მახარაძეში ნელი ცქიტის შვილის მიერ, 1963 წლის ივლისში.

69. სასიმღერო

მთქმელი დარდო სიხარულიძე. სოფ. გოგოლეისუბანი (ჩოხატურის რ.) ჩამწ. ქს. სიხარულიძე. 1934 წ. ეს სასიმღერო გავრცელებული ყოფილა 1905 წლის რევოლუციის აღმავლობის პერიოდში. მღეროდნენ მუშებიცა და გლეხებიც.

როგორც ცნობილია, საქართველოში 1905—1907 წლებში გაძლიერდა რევოლუციური მოძრაობა. იგი იყო რუსეთის პირველი რევოლუციის ძლიერი ნაკადი. საქართველოში მუშებსა და გლეხებში ხშირად გავრცელებული ყოფილა აგრეთვე მარსელიოზასა და „ვარშაულას“ ტექსტები — იხ. აპ. ცანავა, ქართული მუშათა რევოლუციური პოეზია, 1905—1907 წლებში, 1956 წ. ქს. სიხარულიძე, „რუსეთის პირველი რევოლუცია საქართველოში“—საიუბილეო კრებული „1905—1907 რევოლუცია საქართველოში“, გვ. 518 — 519.

ბ

მთქმელი პელაგია ჯინჯარაშვილი 72 წ. სოფ. გვაბრათი. ჩამწ. ალ. დლონტი. 19.VII—63 წ. ლლ. გურ. ა—120, გვ. 112, ხალხ. სიბრძნე, IV, გვ. 224. იმეორებს ძირითად ტექსტს. განსხვავება: სტრიქ.

2-ღუუღგათ; სტრიქ. 3-ჩამუვადლოთ; სტრიქ. 4-ზრუგზე; სტრიქ.
5-ზეთ მივაცოლოთ; სტრიქ. 6 ჯინზე.

გ

ძმობას, ერთობას, სიყვარულს
ტახტი დაუღგათ ქებული.
ძირს ჩამოვადლოთ ნიკოლოზ
ჩვენს ზურგზედ გასუქებული.
აგი საქმე კარგათ გავა
და კარგათაც გათავდება,
უნდარმების დასახრობათ
თოკებიც არ ათავდება.
ხალხი გაწყვეტს მონობის ჯაჭვს,
დამხობა თვითნებობა,
მის ნანგრევზე ამალღდება
ერთობა და მეგობრობა.

მთქმელები რევოლუციონერი ქალები — მეტია ცინცაძე და ი.
რამიშვილი. სოფ. ზემო ფარცხმა (ჩოხატაურის რ.) 1938.

ლიტმუზ. № 20014, საქმე № 10, გვ. 218; აპ. ცანავა, „ქართული
მუშათა რევოლუციური პოეზია 1905—1907 წლებში“, 1956 წ., გვ.
21—22.

დ

ძირს ჩამოვადლოთ ნიკოლოზ,
საქმე ვქნათ დიდი, ქებული,
მას მივაცოლოთ ალექსი,
ექვსი თვის დაბადებული.

მთქმელი ნ. ცირგვიძე. ჩამწერი აპ. ცანავა, 1953. 1905—1907
წლებში, რევოლუცია საქართველოში. საიუბილეო კრებული,
1955. გვ. 517; ქრესტ., II, გვ. 102.

0

მთქმელი სერაპიონ ენუქიძე. ჳიათურა. ჩამწერი აბ. ცანავა. 1952.

3

მთქმელი ს. კაბანაძე. ჳიათურა. ჩამწ. აბ. ცანავა, 1952.

70. მზემ ღიმილით გადმოგვხედა

სოფ. დიღომი. ჩამწერი ანზორ შოშიტაშვილი. 1952. მასალ. 1, № 96, გვ. 49; ხალხ. სიბრძნე, IV, გვ. 224. ლექსი თითქოს 1917 წლის რევოლუციასაც ახასიათებს, მაგრამ მისი ბოლო სტრიქონები, როგორც ვარიანტებიდან ჩანს, 1905 წლის სასიმღერო იყო.

ბ

ძირს ნიკოლოზ,
მალლა მუშა,
ნიკოლოზა
დაიფუშა.

მთქმელი დარდო სიხარულიძე — გოგოლეისუბანი. ჩამწ. ჳს. სიხარულიძე. 1933. 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, საიუბილეო კრებული, 1955, გვ. 517—518; ჳრესტ., II, გვ. 102.

ბ

ორი ბოთლი,
ერთი შუშა
ძირს ნიკოლოზ,
მალლა მუშა!

მთქმელი ბ. ლეთოდინი. ტყიბული. ჩამწ. აბ. ცანავა, 1953, საიუბილეო კრებ. „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, გვ. 518. ასეთივეა აბ. ცანავას მიერ თ. ენუქიძისა და ს. კაბანაძის თქმით ჳიათურაში — 1953 წ. ჩაწერილი ტექსტები.

71. გაუქმარჯოს ერთობას

მთქმელი თ. ენუქიძე, ჭიათურა. ჩამწერი აპ. ცანავა, 1952. საიუბ. კრებ. „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, გვ. 520. ეს სატირული ლექსიც რევოლუციის აღმავლობის დამახასიათებელია.

ბ

ნიკოლოზი ძირს,
ორ შაურად ღირს,
გადვიყვანოთ ტყეში,
კირკა მივცეთ ხელში,
თუ კარგად არ იმუშავენს,
დანა მივცეთ ყელში.

—

მთქმელი ს. კაპანაძე. 1883 წ. დაბადებული. მალაროს მუშა. ს: დარკვეთი (ჭიათურის რ.). ჩამწერი აპ. ცანავა, 1952, საიუბ. კრებ. „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“. გვ. 519 — 520.

72. მრისხანებს ქარი

მთქმელი ს. კაპანაძე. ჭიათურა. ჩამწერი აპ. ცანავა. 1952 წ. ამ სიმღერას, მთქმელის ცნობით, ასრულებდნენ მუშები და გლეხები 1904—1905 წლებში. მთქმელს იგი უსწავლია გურულებისაგან. სიმღერის ტექსტი შექმნილია ირ. ევდოშვილის ლექსის „ძმებო, შავბედი თავს დაგვტრიალებს“ გავლენით (იხ. ი. ევდოშვილი, რჩეული ლექსები და პოემები, გვ. 307)

ბ

მთქმელი თ. ენუქიძე. ჭიათურა ჩამწ. აპ. ცანავა. 1952, შეიცავს რვა სტრიქონს.

73. თუ გინდ ჯალათმა შესამგესლიანმა

მთქმელი თ. ენუქიძე. ქიათურა. ჩამწერი აპ. ცანავა. 1952, საიუბ. კრებ. „1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში“, გვ. 519. მთქმელისა და სხვა მალაროს მუშათა ცნობებით ეს ტექსტი, როგორც საბრძოლო სიმღერა, გავრცელებული იყო 1905-1907 წლებში.

74. ლევან გურიელი

ავტორ-მთქმელი სიმონ ნატიფოს ძე ჯორბენაძე. სოფ. გომახური (ლანჩხუთის რ.). ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. 1934 წ. ჩიქ. ფირ., გვ. 131 — 132.

75. ლევან გურიელის ლექსი

ჩამწერი ისიდორე მოისწრაფიშვილი.

აქვს მინაწერი: „მოკლული ბათოშში 1906 წ. რევ. მუშებისაგან.“ ლიტმუხ. 20020-ხ ყ-331, გვ. 83. მინაწერის მიხედვით ლევან გურიელი მუშებს მოუკლავთ 1906 წ.

76. დუმეთი აჯანყებულა

ჩამწერი შ. მჭედლიშვილი. სნჯ. III № 178, გვ. 443—445. ლექსში ასახულია გლეხთა რევოლუციური გამოსვლა სოფ. მჭადიჯვარში 1905 წ. 3 აგვისტოს. იხ. გ. ხაქაპურიძე, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, 1955, გვ. 104; აპ. ცანავა, ქართული მუშათა რევოლუციური პოეზია, გვ. 33.

ბ

აბუნტებულა გლეხოზა,
ეხლება ერთმანეთსაო:
ბატონის ხალიჩაებზე,
ზედ გაიწმენდნენ ფეხსაო...
აფიცერს ჯოხი დაარტყეს,

ცხენიდან დაუშვესაო,
თოფში პატრონებ ჩააწყვეს,
ისმის დაჭრილთა კენესაო,
ზოგი ორღობეში გარბის,
ზოგი სკოლაში წევსაო,
მელიშვილს კი ცხელი ტყვია
შიგ შუბლში გაატყვესაო...

მთქმელი დ. ოქროპირიძე. სოფ. მჭადისჯვარი. ჩამწერი აპ. ცანავა. 1955. აგვისტო. აპ. ცანავა. ქართ. მუშათა რევოლუციური პოეზია, გვ. 34. ლექსში მოხსენებული მელიშვილი (სტრიქ. 11) აჯანყების მონაწილის ბაგრატ ბესოშვილის ცნობით მჭადისჯვარელი გლეხი ყოფილა. ამ გლეხს გრიგოლ მელიქიშვილის ყაზახების რაზმის ოფიცრისათვის თავში შეშის ნაჭერი დაუკრავს. გრ. მელიშვილი და მისი თანამებრძოლები ი. გაგიშვილი, რ. რამიშვილი და სხვები 3 აგვისტოს აჯანყების დროს მოუკლავთ. აპ, ცანავა, ქართ. მუშათა რევოლუციური პოეზია, გვ. 34—35.

77. ეს ბაგრატა მჭადიჯვარელი

მთქმელი ბაგრატ ბესოშვილი — 94 წლის. ს. მჭადიჯვარი. ჩამწერი აპ. ცანავა. 1955. აპ. ცანავა. ქართ. მუშათა რევოლუციური პოეზია, გვ. 34—35.

მთქმელის ცნობით ლექსის ადრესატი თვითონ არი. იგი მჭადიჯვარის გლეხთა 1905 წლის აჯანყების მონაწილე ყოფილა, მისივე თქმით იგი ამისთვის 4 წლით ტომსკის გუბერნიაში გადაუსახლებიათ.

78. ახლანდელი დროება

მთქმელი გიგლო კაკალაშვილი, სოფ. ხანდაკი, ჩამწერი ია კარგარეთელი. თაყ., 1, გვ. 412; ქრესტ. II; № 92, გვ. 102—103. ლექსი ახასიათებს 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მძვინვარე რეაქციას. ეს ლექსი, ისევე როგორც 1905 წლის რევოლუციის ამსახველი ბევრი ნაწარმოები, ინდივიდუალური შემოქმედებაა.

მედების იერის ზქონეა. რეაქციის სუსხიან წლებს ახასიათებს აგრეთვე თედო რაზიკაშვილის მიერ ქართლში ჩაწერილი ლექსი „ზეკუცია“. თაყ., 1. გვ. 234.

79. არსენა ჯორჯიაშვილი

მთქმელი სერგო კაპანაძე. სოფ. დარკვეთი (ქიათურის რ.). ჩამწერი აბ. ცანავა. 1951. აბ. ცანავა, ქართული მუშათა რევოლუციური პოეზია 1905—1907 წლებში, გვ. 24—25. არსენა ჯორჯიაშვილი 1905 წლის რევოლუციის გმირია. მან — 1906 წლის 17 იანვარს ყუმბართ მოკლა გენერალი გრიაზნოვი, დამსჯელი რაზმების ორგანიზატორი, კავკასიის არმიის შტაბის უფროსი, კონტრრევოლუციის ერთ-ერთი მეთაური. იხ. გ. ხაჭაპურიძე, 1905—1907 წლ. რევოლუცია საქართველოში, თბ. 1955. გვ. 140. არსენა ჯორჯიაშვილი ჩამოახრჩვეს 1906 წ. თბილისის შეერთებული კომიტეტის სპეციალური პროკლამაციის მიხედვით ჯორჯიაშვილი შეუდრეკლად მისულა სახრჩობელასთან, თანაც მშობლები უნუგეშებია, ნუ სტირითო. მშობლების სურვილზე, ნამესტნიკისათვის ეთხოვათ მისთვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა, მკაცრად უთქვამს: „არ მინდა მონების მიერ მონიჭებული სიცოცხლე“ — აბ. ცანავა, ქართ. მუშ. რევ. პოეზია, გვ. 22.

არსენა ჯორჯიაშვილზე სიმღერის შესრულებისათვის, როგორც მთქმელები აღნიშნავენ, აპატიმრებდნენ. იქვე, გვ. 23. ამ სიმღერას საკუთარს მელიოღია აქვს.

ბ

მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
სახლში დავტოვე ცოლი და შვილი.
დედავ, ნუ სტირი,
მამავ, ნუ სტირი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი.
ვესროლე ბომბი, ჰაერში გასკდა,
ტალახაძემა ტვინი კედელს მიასხა.
აგერ ღვდელი დგას ჯვართ ხელშია,
მეც გამიყარეს თოკი ყელშია.

სოფ. დილომი. ჩამწერი ანზორ შოშიტაშვილი. 1951 წ. მასალ.
1, № 67, გვ. 33. ახლავს განმარტება: სტრიქ. 6—ტ ა ლ ა ხ ა ძ ე —
იგულისხმება გრიაზნოვი, მოკლული არსენა ჯორჯიაშვილძის მიერ.

8

მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
მე წილად შემხვდა გრიაზნოვისა სიკვდილი,
ის ეტლით მოდის, ბომბი ვესროლე,
დააწყებინა მალლა ფრიალი,
მოკვალი ძალი და
ქვეყანას მოვაშორე სატკივარი, ჭირი.

—

მთქმელი იოსებ გელაშვილი. ხაშურის რაიონი, სოფ. სათივე.
ჩამწერი ციური აბზიანიძე. 1961. თსუფა № 204.

9

მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი,
ბომბა ვისროლე, ჰაერში გასკდა,
და გრიაზნოვი კედელს მისკდა.

—

მთქმელი დარდო სიხარულიძე, სოფ. გოგოლეისუბანი. ჩამწ.
ქს. სიხარულიძე — 1933.

10

მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი.
ვისროლე ბომბი, მოკვალი მხეცი,
მაგრამ მტარვალეებს ვერ გავეჭეცი.
დედავ ნუ სტირი, მამავ ნუ სჩივი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი.
მიყვარდა ხელში ვაშლის ტრიალი,
გრიაზნოვისა მალლა ფრიალი.

მთქმელი ნ. ცირეკიძე, ჭიათურა. ჩამწერი აპ. ცანავა, 1951.

ეკლესიაში ერთი ქვა არის,
 ზედ აწერია: — ჯორჯიაშვილი:
 — მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
 სახლში დაეტოვე ცოლი და შვილი,
 მიყვარდა ხელში ბომბის ტრიალი,
 მისი მშვენება, მისი გრიალი,
 ვესროლე მტარვალს, მოკალი მხეცი,
 და ტალახადეს ვერ გავექეცი!

მთქმელი მუშა-პოეტი ივლიანე მერკვილაძე. ტყიბული. ჩამ-
 წერი აპ. ცანავა. 1951.

80. ნასაკირალის ამბავზე

მთქმელი იოსებ სტეფანეს ძე ხინთიბიძე, 38 წლის. სოფ. ძი-
 მითი. ჩამწერი ი. მეგრელიძე. 31. VII — 1930 წ. ი. მეგრელიძე,
 რევოლუცია ქართულ ფოლკლორში. „Советский фольклор“,
 1, 1934, გვ. 164. იქვე დაბეჭდილია მიხ. ჩხაიძის მიერ შესრულე-
 ბული თარგმანი რუსულ ენაზე. ი. მეგრელიძეს (იქვე გვ. 185—187)
 ეკუთვნის საინტერესო ექსკურსი, რომელიც არკვევს ლექსის რეა-
 ლურ საფუძველს — დიდ რევოლუციურ მოძრაობას გურია-
 ში 1905 წელს. ლექსში გადმოცემული ამბავი კერძოდ, აჯან-
 ყებულ გურულთა გმირული ბრძოლა მაზრის უფროსის ლაზარენ-
 კოს მეთაურობით გურიაში გამოგზავნილი ჯარის წინააღმდეგ მოხ-
 და ნასაკირალთან 20 ოქტომბერს (2 ნოემბერს) 1905 წელს
 (დ. ცინცაძე, ნასაკირალის ეპოპეა, „კომუნისტი“, № 259 — 2 ნოემ-
 ბერი, 1965 წ.). ნასაკირალის ეპოპეა იყო 1905—1907 წლ. რევო-
 ლუციის ერთი ბრწყინვალე ეპიზოდი. ლექსში მოხსენებული კრი-
 ლოვი (სტრიქ. 7 და 13), როგორც აღნიშნული აქვს ი. მეგრელი-
 ძეს, იყო გენერალ ალიხანოვ-ავარსკის მოადგილე. („Советский фо-
 льклор“, 1, გვ. 187). ალიხანოვ-ავარსკი ხელმძღვანელობდა რევო-
 ლუციური მოძრაობის ჩახშობას დასავლეთ საქართველოში. (იქვე,
 გვ. 185).

81. ეგზეკუცია

ჩამწერი გ. ლომთათიძე. ხინთ., გვ. 99—100. ლექსის სათაური ჩვენია — ქ. ს. ლექსში ასახულია სოფ. ასკანაში ეგზეკუციის ჩაყენება და მეფის მოხელეთა მიერ სოფლის მცხოვრებთა აწიოკება. ეგზეკუციის ჩაყენების მიზეზი, გადმოცემის მიხედვით, ყოფილა ის ფაქტი, რომ 1905 წლის რევოლუციის ერთ-ერთ აქტიურ მონაწილეს დათიკო შევარდნაძეს სასიკვდილოდ ჩასაფრებია „სტრაჟნიკი“. დათიკოს შეუმჩნევია და იქვე მოუკლავს.

დათიკო შევარდნაძის ბიოგრაფია, პერიოდული გამოცემების ცნობებისა, გმირის მეუღლის, ნათესავებისა და ნაცნობების მონათხრობთა მიხედვით, შედარებით ვრცლად აღადგინა ანტონ ხინთიბიძემ. გვ. 91—107. იგი ყოფილა კარგი გარეგნობის, წარმოსადგეი ვაჟი (იხ. ფოტოსურათი. ხინთ., გვ. 93). დაბადებულა 9.VII—1875 წ. სოფ. ასკანაში. უსწავლია ასკანასა და ოზურგეთში. იყო ერთ-ერთი ორგანიზატორი ნასაკირალის თავდასხმისა 1900 წ. უმუშავია სოფლის მწერლის თანამდებობაზე ჩოხატაურში. ეს თანამდებობა გამოუყენებია რევოლუციის სასარგებლოდ. ინტრიგების შედეგად მისთვის მოლაღატეობაც კი დაუწამებიათ (ამაზე მიუთითებს სტრიქ. 25—40) გმირს თავისი სიმართლე ხალხის წინაშე დაუმტკიცებია. მას რევოლუციური საქმიანობა გურიის გარდა უწარმოებია სამეგრელოსა და რაჭა-ლეჩხუმში. იგი დაუპატიმრებიათ და ქუთაისის ციხეში ჩაუსვამთ, 1904 წ. დათიკო შევარდნაძე თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი წითელი რაზმის მეთაურია. თვითმპყრობელობის მიერ მოსყიდულ პირთა დალატით იგი მოუკლავთ 14. XII—1908 წ. დათიკო შევარდნაძე სიცოცხლეშივე ქვეულა ლეგენდარულ გმირად. ხალხის რწმენით იგი „მონუსხული“ იყო და ტყვია ვერ კლავდა. მისი უზარმაზარი ხმა მტერს ზარს სცემდა. როდესაც მტერს ჩაუსაფრდებოდა, „პირში ზარბაზანი ქონდავო“ და ა. შ. (ხინთ. გურ., გვ. 98) დათიკო შევარდნაძეზე შექმნილია ლექსების, გადმოცემებისა და თქმულებების ციკლი.

82. ამსანაგებს

ლექსის ავტორია თვით დათიკო შევარდნაძე, იგი მას დაუწერია საკუთარ სურათზე 1906 წ. და მიუწერია „დათიკო“. ლექსი ალ. ლლონტისათვის გადაუცია დათიკო შევარდნაძის ქალიშვილს — ნანუშა შევარდნაძეს. ლლ. გურ. №101, გვ. 86, 295; ქრესტ. II, № 96, გვ. 104; ხალხ. სიბრძნ. IV, გვ. 228. ლექსი საინტერესოა განსაკუთრებით იმიტაც, რომ იგი დათიკო შევარდნაძეს წარმოგვიდგენს, როგორც შეგნებულ და არა სტიქიურ მებრძოლს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. წარმოგვიდგენს აგრეთვე როგორც მგზნებარე აგიტატორს, რომელიც რაზმავდა ხალხს სოციალური ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

83. დათიკო შევარდნაძის ლექსი

ლლ. გურ. № 100, გვ. 82—86; ქრესტ. II № 97, გვ. 104—195; ხალხ. სიბრძნ. IV, გვ. 224—227. ალ. ლლონტის ცნობით ხელნაწერი დაცულია დათიკო შევარდნაძის ოჯახში, სოფ. გვაბრათში (მახარაძის რ.). ლექსი ალ. ლლონტისათვის გადაუცია დათიკო შევარდნაძის ქალიშვილს ნანუშა შევარდნაძეს 20. VII 1936 წ. ს. გვაბრათში. ლლ. გურ., გვ. 295.

ვარიანტებად ცნობილ ამ ლექსს ბოლო დრომდე დასძახიან ჩონგურსა თუ გიტარაზე. სტრიქ. 25—40 ასახავს ინტრიგების შედეგად გმირისთვის მოღალატეობის დაწამებას.

ბ

დეკემბრის დღითი ვორშაფათს
გამითენდა ცუდი დილა,
რასაც მტერი მიქადნიდა,
განგებამ არ ამატონა.
ნუ ენდობი ჰელიძესო,
ბევრმა ჩუმათ გამაფთხილა,
ლალატი და საწამლავი
ვაი დედავ, რა ყოფილა!

შვიდობით ცოლო და შვილო!
აღარ გყავს თქვენი დათიკო,
თუ ასე გილალატებდით,
დღემდი ჩემ გულში არ იყო.
თუმცა მზათა ვარ მე თქვენთვის,
რომ ჭირი შვაზე გაგიყო;
მაგრამ მტერმა მილალატა,
ველარ გაპატრონობთ, რა გიყო?!
მადლობას გწირავ ასკანავ!
თქვენი ძმა თქვენთვის აღზდილი
მე მოვკტი მტერთან ბრძოლაში,
რაც რომ არ არის ადვილი.
ჯაცის ქცხვენოდეს გაყიდვა
ვინც იუდა ხართ ნამდვილი;
რასაც რომ ჩემზე ფიქრობდით,
ასრულდა თქვენი წადილი.
დანაშაულობა ჩემი
მეიგონეთ აბა კარქათ,
ერთობას რომ ვამყარებდით,
მიმითვისეთ აფხანაგათ!
მეგონა ყველე მართალი,
გევერიე თქვენში მარდათ,
მსურდა ეკალი და ბარდი
გადამექნა ია-ვარდათ!...
მარა როცა გაქრა ჩემში
სიყვარული იმ ერთობის...
და მის მერე დამივიწყეთ
მიზეზი უთანხმოების?!
არ ვიყავი მოყვარული
არც ბატონის და არც ყმობის,
და ამფერათ ჩემი რწმენით
ვიყავი ერთგული ძმობის.
მხოლოდ ვისაც შეეწამებდი,
ვისაც შეეწამებდი ფლიდათ,
გაიძვერა მოლალატეს
ვერსათ შევხთებოდი მშვიდათ.

თავმოყვარებას ვიცავდი
და პატივსა ვცემდი ღიდათ;
მოძმეს ვერ გავიმეტებდი
მე ოქროში გასაყიდათ.
ძსურდა ხალხზე შემეწირა
ჩემი ღონე, ჩემი აჯა,
ჩემდა საუბედურთ
შემომაკტა ერთი სტრაჟა.
მას ვუნდოდი სასიკტილოთ,
ჩუმათ გზაში მიდარაჯა...
ზოგიერთი მოხერხებით
ვწუხვარ, ხალხი დეიტანჯა;
აწე მაინც ვერ დავმალავ,
რაზედაც რომ გულს მაკლია,
ვწუხვარ სიამაიშვილმა
თავი ძალათ მომაკლია.
— ჩემზე ცუდის ლაპარაკი,
კკითხე, ვისთან რა გითქვია;
მან ბოდიშის მაგიორათ
ცხვირში მუშტი გამიქნია.
რადგან ჩემგან მოთფინების
აღარ იყო მეტის ღირსი,
ჯერ პირადათ წაუკითხე
ცთომილების პარაკლისი.
შემდეგ ტყვიით გავასტორე
დანაშაულობა მისი.
მაგრამ მაინც მეცოდება
საწყალი და საბრალისი...
ჩემთვის მაინც სულ ერთია,
ვის შერჩება ეს ქვეყანა,
ყოფილა და აღარ არის
ბევრი ვინმე ჩემისთანა.
ამფერ საქმეს მუავლინებს
ცუდი დრო და ცუდი ხანა...
მე ღიდი ხნიდან ვიცოდი,
მილალატებდა ასკანა...

„ავისა კარგი ნუ გინდა“ —
ანდაზით არის ნათქვამი...
შენ დეილოცე ქელიძევ,
რომ გამიკეთე ვახშამი.
ხმელი ხილი ბევრი ქონდა
ძველი ღვინო და ქათამი...
საწამლავი ჩამირიენ,
რომ შევიქენი ნასვამი.
მეგონა ოტკა დავლიე
და გემოც ქონდა ოტკური,
სტაქანი რომ გამეშინჯა,
ხომ არ ვიყავი ღობტური!.
ვეილე და გადავკარი
როგორც წითელი კახური.
თურმე ჩემი მაინძელი
ეშმაკია და მაცთური.
შევატყვე ძალა არ მქონდა,
თლა მუხლები წამიხთინა,
ავდექი და წამევედი,
დევიბჯინე თოფის კინა.
თვალთ ვეფერს ვერ ვხედავდი,
თურმე მტერი მიდგას წინა.
მე ხმამალლა ვიძახოდი:
— ჩამოდექით, ვინ ხართ, ვინა?!
ყველა შექთა და შეშინდა
პირველ ჩემსა დანახვაზე...
ბაჭელიძემ დეიძახა:
— დათიკოა შავარდნაძე.
იარალი გადმოვილე,
ხელი გადუსვი თოფზედა,
მხედველობამ მილალატა
გაწყვეტილსა ილაჯზედა,
ჩვეულებრივ შევტრიალდი,
მტერი რომ შემომესია.
ერთი ხმამალლა შევეძახე,
როგორც ვაშკაცის წესია.

კაცი ძალ-ღონე მიხთილი
რომ მოკტეს უკეთესია,
რომ თოფის სროლას მიბედავს
მეგრელი, თხების მწყესია...
თქვენ იფიქრეთ, რას ვიზამდი
მწუხარე და ავათმყოფი,
ერთს კი ფეხი მუანტრიე,
რადგან გვეისროლე თოფი.
აფხანაგი არ მყოლია,
არც მოძმე, არც განაყოფი,
სროლა არ შემეძლო თვარა,
ტყვია კი მქონდა საყოფი...
ნახევარი კტარი ვიყავ,
როცა წელში მომხთა ტყვია,
საწამლავეით გულმოწამლულს
სიკტილიც არ შემიტყვია.
ვხედავ, მტრების მოხერხებამ
მე მიწას ქვეშ მომაქცია,
მარა ჩემი მოღალატე
ქვეყანაზე რა კაცია?!
ერთი დღე გველის სუ ყველას,
სუ ყველა დასამარხია,
მათი სიკდილი ჯობია,
ქვეყნათ რომ ზოგი კაცია.

—
მთქმელი არტემ ივანეს ძე ჰანტურია. სოფ. ხვარბეთი. ჩამწე-
რი ი. მეგრელიძე. 16. VIII—1929. ი. მეგრელიძე, რევოლუცია
ქართულ ფოლკლორში (მასალები). „Советский фольклор“, 1,
ლენინგრადი, 1934, გვ. 164—172. პარალელურად დაბეჭდილია
ტექსტის რუსული თარგმანი შესრულებული მ. ჩხეიძის მიერ.

8

მსურს ცოტა რამე დაეწერო,
რაც გადამხდა მე ჩემ თავზე,
მით მკითხველმა მომიგონოს,

დათიკო ვარ შევარდნაძე.
 ოზურგეთის ვეზდის ვიყავ
 და ასკანაში მცხოვრები,
 ლალატით და საწამლავით
 მე ჩემ სოფელშია ვკტები.
 მოსე ჰელიძეს თუ იცნობთ
 ვაჟკაცათ, გითხრათ, გმირია,
 ცინ იფიქრებდა, ლალატში
 იმას თუ ქონდა წილია.
 როგორც ვაჟკაცს ვენდობოდი,
 ან რა მქონდა სამალავი,
 მიმიწვია სალალატოდ,
 და მაქამა საწამლავი,
 ისე უცებ მოვიწამლე,
 სისხლი ამიდულდა ტანში,
 გადმოვედი, წამოვედი,
 სტრაჟნიკები დამხვდნენ გზაში,
 მე ხმამალა დავუძახე:
 — გადადექით ყველა გზაში!
 ყველამ ერთხმად დამიყვირეს:
 შევარდნაძე, ცოცხლად დაგვრჩი!
 — ცოცხალს თქვენ არ ჩაგბარდებით,
 მირჩვენია, მოვკვდე ზალაში!
 ერთი ტყვია გავისროლე,
 ცხენზე მჯდომს ტანში ავარტყი.
 მეტის სროლა ვეღარ შევძელ,
 რადგან ვიყავ მოწამლული,
 ჩემზე მტერმა გაიმარჯვა,
 ტყვიით გამიგმირა გული.
 შენ კი შერცხვი, მოლალატე,
 რათ აიღე ჩემში ფული,
 აქას ჯობდა, მძინარესთვის
 დანა გამოგესვა ყელში.
 ამ დროს ტირილიც მოისმა.
 — მამა ჩემო დათიკო,
 შენ სიახლოვეს არ მიშვებენ,

ამ ძალებს მე რა ვუყო,
გადით თქვენ მამაძაღლებო,
მკვტარი მამა მატირეთო,
ცოცხალის კი გეშინოდათ,
ეხლა დროი უშოვეთო.

—

მთქმელი პელო გულუა. დაბ. 1873 წ. შემოქმედში. გად-
მოგვცა ნელი ცქიტისეილმა. მისთვის ეს ვარიანტი მიუწოდებია
დალი ჭორჭაძეს. 1963 წ. ივლისი. სათაურად აქვს „დათიკო შევარ-
დნაძე“.

ღ

დეკემბრის თხუტმეტ ორშაბათს
გამითენდა ცუდი დილა,
რასაც მტერი შექადნოდა,
დღესაც სწორედ მენამდვილა.
ნუ ენდობით ჭელიძესა,
ბეურებმა გამაფრთხილა,
ლალატი და საწამლავი,
ვაი დედავ, რა ყოფილა.
მშვიდობით, დედავ, ცოლ-შვილო,
ალარ გყავთ თქვენი დათიკო,
მტერმა ასე მომიხერხა,
ველარ გაპატრონობ, რა გიყო,
თუმც ხომ არ ვარ თქვენი აჭი,
ჭირი რომ შვაზე გაგიყო,
რადგან მტერის მოხერხებით
მე მიწამ პირი ამილო.
როცა ერთობა მლალატობდა,
მიმითვისა ამხანაგად,
ცუდი ეკალი და ბარდი
გადამექცა ია-ვარდად.
ერთგული ვიყავ ძმობისა,
შსურდა ხალხზე შემეწირა
ჩემი მკლავი, ჩემი აჭა,
ჩემდა მაინც უბედურად

შემომაკვდა ერთი სტრაჟა.
მას სასიკვდილოთ უნდოდი,
ბევრი გზებზე მიდარაჯა.
წინათ სიამაიშვილმა
ძალით თავი მომაკლია,
დავჯექე და მას ვუთხარი, ---
ჩემთვის გლახა ვინ გათქმია,
მან ბოდიშის მაგიერათ
ვხედავ, მჭილი მომიქნია.
დავჯექი და წავუქითხე
სპობილობის პარაკლისი,
შევდექე, ტყვიით გავასწორე
დანაშაულობა მისი,
რადგან მეტის მოთმინების
ჩემგან აღარ იყო ღირსი.
ჩემდა მაი სულერთია,
ვის დარჩება ეს ქვეყანა,
ყოფილა, თუ აღარ არის
ბეურები ჩემისთანა.
მადლობას გწირავ, ასკანავ,
თქვენი ძმა, თქვენთან აზრდილი,
დასტკბით, სიამით შეირგეთ
ჩემი ღალატით სიკვდილი.
ავიზა კარგი ნუ გინდა, —
ანდაზა არის ნათქვამი.
თქვენ დაილოცეთ, ქელიძევ,
რომ გაგვიკეთე ვახშამი.
ძველი ხილი ბევრი გვქონდა,
შავი ღვინო და ქათამი,
საწამლავი შემაპარეს,
რომ შევიქენი ნასვამი.
მე მეგონა, ოტკას ვსმიდი.
ვერ შევაქციე თვალ-ყური,
მეგემ ოტკა რალამ მოგცა,
შავი ღვინოა კახური,
სტაქანი რომ გამესინჯა,

ხომ არ ვიყავი დობტური,
მე თუ ვიცი მასპინძელი
ეშმაკი და მაცდურია,
თუ რამ საწამლავი იყო,
მოტყუებით შემპარვია.
შევატყვე, ძალა არ მქონდა,
მთელი მხრები წამიხდინა,
გულში ცეცხლათ ჩამომერტყა,
მთლათ მუხლები ამატყინა.
გათენდა დილა, წავედი,
დავიბჯინე თოფის რკინა,
თვალით ვერაფერს ვხედავდი,
თურმე მტერი მოდის წინა.
ხმამაღლათა ვიძახორდი, —
ჩამოდექით, ვინ ხართ, ვინა.
ყველას ერთათ შეეშინდა
ჩემს პირველ შეძახნაზე,
ბაჭელიძემ დაიძახა:
— დათიკოა შევარდნაძე!
იარალი გადმოვიღე,
ხელი გადვისვი თვალზეა,
შევბრუნდი და შევტრიალდი,
მტერი რომ შემომესია,
ერთი ასეთი ვიყვირე,
როგორც ვაჟაკის წესია,
თოფის სროლას რად მიბედავთ,
თხის მწყემსო მეგრელებო!
თქვენ იფიქრეთ, რას ვიზამდი
მე, მწუხარე ავადმყოფი,
ერთსაც ფეხი მოვამტრიე,
რაკი გავისროლე თოფი.
ამხანაგი აღარ მახლდა,
არც მოყვარე განაყოფი,
თოფის სროლა არ შემეძლო,
ტყვია კი მქონდა სამყოფი.
მთავარი სული ამომხდა,

როცა მომხდა წელში ტყვია.
საწამლავით გულმოხარშულს
სიკვდილიც არ შემიტყვია.
ასე რაფერ დამიბრუნდა
ასე უკუღმა ჩარხია,
ერთი დროი გველის კბენისა(!)
სუყველა დასამარხია,
სიკვდილი ბევრათ ჯობია,
ეხლა რომ ქვეყნათ ხალხია.

მტემელი მელქაძე შაქრო ლეზეთისძე, დაბ. 1900 წ. სოფ.
ჯანივრი (შუახევი). ჩამწერი მ. ზოიძე. 1959. ბათუმის სამეცნ. კვლ.
ინსტ. ფოლკლ. ფ. IV, გვ. 129—133.

სათაურად აქვს „ლექსი დათიკო შევარდნაძეზე“.

ახლავს შენიშვნა: სტრიქ. 13—„ხომ არა ვარ თქვენი მოკეთე“.

მ

მტემელი ელპიტე ცეცხლაძე. 75 წლის, სოფ. ლიხაური (მახა-
რაძის რ.). ჩამწ. ნელი ცქიტიშვილი. 1962. ოქტომბერი.

იმეორებს ძირითად ტექსტს: განსხვავება: ამ ჩანაწერში არ
არის: სტრიქ. 21—22; გვ. 33—48; 127—150.

ზედმეტია: რომ თოფის სროლას უბედავს.

მეგრელებთან მწყემსია (ეს მოსდევს 126 სტრიქონს):

ამას, როგორც დასასრული ბალადისა, მოსდევს სტრიქ.
9—12-ს ვარიანტი:

მშვიდობით, ჩემო ცოლ-შვილო,

ღღარ გყავს დათიკო,

საქმე ისე მომიხერხდა,

ვეღარ გაბატონობთ, რა გიყო.

თუმც ეს სტრიქონები ბალადის დასაწყისშიც არის ისევე,
როგორც ძირითად ტექსტშია.

არის განსხვავებული წაკითხვებიც:

სტრიქ. 31—32-ასე იკითხება:

ეკალს ძირს მისთვის უთხრიდი,

რომ ხალხს დაფენოდა ვარდათ.

სტრიქ. 64-ს კალმა — იკითხება — მჭილი; სტრიქ.

109—110.

ეს შემთხვევა წამკითხველო,
თვით გაგაცნობთ ამ მოთხრობას.

აღნიშნულის გარდა, ამ ჩანაწერში გურული დიალექტი არ
არის ისე დაცული, როგორც ეს ძირითად ტექსტშია.

მ

მთქმელი თომა ხავთაძე, 40 წლისა, შთამომავლობით სვანი,
უსინათლო. ლექსების თქმა მისთვის შემოსავლის წყარო ყო-
ფილა. ჩაწერილი ჩაქვში მიხ. ჩიქოვანის მიერ. 1933 წ. ჩიქ. ფირ.,
გვ. 118—121. სათაურად აქვს „ლექსი პოლიტიკური დათიკო
შევარდნაძის, მოსე ჭელიძემ რომ მოწამლა“. ახლოს არის ძირი-
თად ტექსტთან. განსხვავება: აკლ. სტრიქ. 11—12; სტრიქ. 33—48.

ზედმეტია სტრიქ. 72-შემდეგ: მაგრამ მაინც მეცოდება
საწყალი და საბრაალისი;

სტრიქ. 118-შემდეგ: მხედველობამ მიღალატა
ჩემი გამცემის იღბალზე;

სტრიქ. 107-შემდეგ: გადმოიღო და მესროლა,

პოლიტიკური წესია;

სტრიქ. 126-შემდეგ: ვხედავ, რომ სროლას მიბედავს
მეგრელი, თხაის მწყემსია.

სტრიქ. 1-იკითხება: თოთხმეტს. სტრიქ. 6-ბრეველმა მითხრა,
გამაფრთხილა;

სტრიქ. 14-დ ა მ ი ლ ო; სტრიქ. 17-ა ს კ ა ნ ა ვ; სტრიქ. 21-კ ა-
ც ი ს გ ა ყ ი დ ვ ა;

სტრიქ. 27-რ ო ს ე რ თ ო ბ ა ს;

სტრიქ. 53—56-მას უნდოდა ჩემი მოკლა,

იმან ტყეში მიდარაჯა,

ტყულად სხვისი მოხერხებით

ვწუხნვარ, ხალხი დეიტანჯა;

სტრიქ. 57-ს შემდეგ — გარდა;

სტრიქ. 77- ა მ ს ა ქ მ ე ს ა მ ო ე ლ ო დ ა, სტრიქ. 88-რ ო ც ა
შ ე ვ ი ქ ე ნ.

სტრიქ. 102-ს უ ლ მ უ ხ ლ ე ბ ი; სტრიქ. 112-თ ვ ა ლ ი თ
ა რ ა მ ქ ო ნ დ ა ც ნ ო ბ ა;

სტრიქ. 113-ვ ე რ ა ფ ე ლ ს; სტრიქ. 115-ხ მ ა მ ა ლ ლ ა დ ა-
უ ყ ვ ი რ ე;

სტრიქ. 123-ერთი ხმამაღლა შევყვირე; სტრიქ.
 126-მოკვეტეს მით...; სტრიქ. 127-შენ იფიქრე, სტრიქ.
 130-როცა გავისროლე.
 სტრიქ. 131-იქ არ...; სტრიქ. 133-სროლა კი აღარ
 შემეძლო;
 სტრიქ. 135-ჩემი ასეთი...; სტრიქ. 136-ჩემთვის ვი-
 ცი საძრახია;
 სტრიქ. 137-საქმე მოხდა; სტრიქ. 138-უიღბლო არ...;
 სტრიქ. 145—150.

— ნახეთ სიცოცხლის წუთების
 აღსასრულმა მოახწია.
 მე მტერისა მოხერხებამ
 მიწის ქვეშ ამომაქცია;
 ჩემი ამფერი მოლაღატე
 აბა, იკითხეთ რა კაცია!



მსურს ცოტა რამე დავწერო,
 რაც გადამხთა მე ჩემ თავზე,
 წამკითხველო, მომიგონეთ,
 დათიკო ვარ შევარდნაძე.
 ცოლ-შვილი მყავდა ოჯახში,
 ვმუშაობდი დღე და ღამე,
 მაგრამ მაინც ვიტანჯოდი,
 არ მინახავს მე სიამე.
 მტარვალეების ტლანქმა ძალამ
 გადმომაგდო მინდორ-ველად,
 მოდი, ძმებო, და ვიბრძოლოთ
 აწმყო დროის შესაცვლელად.
 საჭიროა შეერთება
 ჯალათების შემუსრელათ.
 ძირს, ძირს დავცეთ მუქთახორა
 და ჩვენ დავდგეთ ჩვენ დამცველათ,
 თავმოყვარეობა დავიცოთ
 ჩვეულებრივ წესებრივად,

გაქირვებულს დავეხმაროთ
 და დავეგოთ გზა და ხიდათ.
 მსურდა ხალხზე შემეწირა
 ჩემი ღონე, ჩემი აჯა,
 მაგრამ ჩემდა უბედურად
 შემომაკდა ერთი სტრაჟა.
 მას უნდოდი სასიკდილოდ,
 თურმე გზაში მიდარაჯა,
 ზოგიერთის მოხერხებით,
 ვწუხვარ, ხალხი დაისაჯა.
 დეკემბრის თუთხნეტ, ორშაბათს
 გამითენდა ცუდი დილა.
 რასაც მტერი მექადოდა,
 დღეს დასტურად მენამდვილა!
 ნუ ენდობი ჰელიძესო,
 — ბეურებმა გამამთხილა,
 ლალატი და საწამლავი,
 ვაიმე დედავ, რა ყოფილა!
 ავისა კარგი ნუ გინდა,
 — ანდაზათ არის ნათქვამი,
 შენ დაილოცე, ჰელიძე,
 რომ გამიკეთე ვანშამი.
 ხმელი პური ბევრი ქონდა,
 ძველი ღვინო და ქათამი,
 საწამლავიც შემაპარე,
 რომ შევიქენი ნასვამი.
 თვალით ვერაფერს ვხედავდი,
 პრისთავი რომ შემხვდა გზაზე,
 მე ხმამალლა შეუძახე:
 — გადადექით ყველამ გზაზე!
 ყველამ შეერთა და შეშინდა
 პირველათ ჩემს დანახვაზე,
 ბაჭელიძემ დაიძახა:
 — დათიკოა შევარდნაძე!
 — ესროლეთ, არ გაუშვათ,
 — ყვირის სტრაჟნიკი ბესია,

მე კი სწრაფათ შევეტრიალდი,
 როგორც ვაჟკაცის წესია,
 ჩემმა თოფმა დაიჭეკა,
 როგორც აბედზე კვესია,
 ორი უსულოთ დავაგდე,
 ერთიც არ დაუკენესია.
 მთავარი სული არ მქონდა,
 როცა წელში მომხთა ტყვია,
 საწამლავით გულმოხარშულს
 სიკვდილიც არ შემიტყვია,
 შეიდობით, დედავ, ცოლ-შვილო,
 აღარ გყავთ თქვენი დათიკო,
 მტერმა ასე მომიხერხა,
 ველარ გაპატრონობთ, რა გიყო.

მთქმელი ჩავლემიშვილი აკაკი ამბაკოს ძე, 64 წლის. სოფ. ასკანა. ჩამწერი ნ. ცქიტიშვილი. 1963. სათაურად აქვს „დათიკო შევარდნაძის ლექსი“.

კონტამინაციის ნიმუშია. სტრქ. 9—16 თვით დათიკოს ნათქვამი ლექსიდან „ამხანაგებს“ არის შესული ამ ვარიანტში.

თ

დავჯექი, წიგნი დავწერე,
 რაც გადამხდა ამ ჩემ თავზე,
 წამკითხველმა მომიგონოს
 დათიკო შევარდნაძე.
 ბათუმის ვეზდი ვიყავ,
 მუდამ მქონდა თოფი ხელში,
 მილალატა თვით ასკანამ,
 დღე დავლიე ჩემ სოფელში.
 ივანე სიამაშვილმა
 ძალით თავი მომაკლია,
 დავჯექ და მას ვეხვეწე,
 ჩემთვის გლახა ვინ გათქმია,
 მან ბოდიშის მაგიერ

ცხვირში მუშტი მომიქნია.
 ავდექ და წავუყითხე.
 პაბუთობის(?) პარაკლისი,
 შემდეგ ტყვიით გავუსწორე
 დანაშაულობა მისი.
 — თქვენ დეილოცეთ, ჰელიძეც,
 რომ გაგვიკეთეთ ვახშამი,
 ძველი ლხინი ბრეგლი ქვეონდა,
 შავი ღვინო და ქათამი,
 როდესაც შევქენ ნასვამი,
 და მაჭამა საწამლავეი
 მინდოდა, რომ დავსთხოვოდი
 ვოტკას და ღვინით თრობასა,
 დავლევდი, მეტათ მინდოდა,
 ავსტეხდი თოფის სროლასა.
 ძალიან ხასიეთზე ვიყავი,
 სასმელათ ვიყავი მორთული,
 სტექანი რუმ გამეშინჯა,
 ხუმ არ ვიყავი დობტური,
 ჩავიფიქრე: წახდა საქმე,
 დავიბჭვინე თოფის კინა,
 მივაშურე შინასკენა,
 მალლა-მალლა ვიძახოდი:
 — შამოდექით, ვინ ხართ, ვინა?!
 ამ პირვანდულ შეძახნაზე
 სტრაჟნიკები შემხდა გზაზე,
 „დათიკო“ რომ დამიძახეს,
 ვაჰ, რა უცფათ დამინახეს.
 — თუ გინდოდეს, ცოცხლად დარჩე,
 სა წაუხვალ ამ ჩვენ მახეს!
 — ვაჰ დედაო, დედა ღმერთსა,
 ცოცხალი რაფერ ჩაგბარდეთ,
 გავისრრლე ერთი ტყვია.
 საწამლავეით გულმოხარშულს
 სიკვდილი არ შამიტყვია.
 — შვიდობით, ჩემო ცოლ-შვილო,

აღარ გყავს თქვენი დათიკო,
 საქმე ისთე მომიხერხეს,
 ველარ გპატრონოფ, რა გიყო!
 ვამე, ჩემო დათიკოო,
 ამ შენ ძაღლებს რა ვუყოო,
 გეაწით, თქვე მამაძაღლებო,
 კტარი მამა მიჩვენეთო,
 ცოცხალის კი გეშინოდენ,
 ახლა დროა უშოვნეთო,
 საქმე ასთე ეწყობოდა,
 ვერ გევიგე მანამდლო,
 მე შენ სახელს არ დავჰკარგავ.
 შენი შვილი ვახტანგიო.
 ათასცხრაას თორმეტს წელსა
 დეკემბრის მეთორმეტე დღესა
 გამითენდა ცუდი დილა,
 რასაც მტერი მექადნება
 ისიც ყველა მენანდვილა.

მთქმელი ასლან ეუბის ძე გიორგაძე, 75 წლის, ს. მერჩხეთში
 (ხულოს რ. ღორჯომის ხეობა) ჩამწერი ალ. მსხალაძე, 1958 წ.
 ბათუმის სამეცნ.-კვლ. ინსტ. ფოლკ. ფ. II₂, გვ. 136. სათაურად აქვს
 „დათიკო შევარდნაძის ლექსი“.

ი

მთქმელი ე. ჭითავა. ფ. არქ. № 8722. სათაურად აქვს „პარტი-
 ზანელი დათიკო შევარდნაძეს შესახებ. 1905 წლის ამბავი“. 110
 სტრიქონიანი ვარიანტია. არსებითად არ განსხვავდება როგორც
 ძირითადი ტექსტისაგან, ისევე — სხვა ვარიანტებისაგან. ზოგი გან-
 სხვავება შედეგი უნდა იყოს ბგერათა მიმზადებლობისა. ასე მაგა-
 ლითად, სტრიქ. 39—40 ამ ვარიანტში ასე იკითხება:

არ ვიყავი მოყვარული
 არც ბატონის, არც ამ ყოფის;

84. დაუვიწყარო დათიკო

ლ. გურ. № 102, გვ. 86; ხინთ., გურ. ფირ., გვ. 103—104. აღ. ლლონტისათვის ლექსი გადაუცია დათიკოს ქალიშვილს ნანუშა შევარდნაძეს, ანტ. ხინთიბიძისათვის — დათიკოს მეუღლეს გული-ჩქა შევარდნაძეს. ლექსს მიწერილი აქვს „ამხანაგები“. დათიკოს მეუღლის ცნობით ლექსის ავტორია ცნობილი ფირალი კიკია მამულიაშვილი. ხინთ. გურ. ფირ. გვ. 103, 116.

85. დედის მოთქმა

ჩამწერი გ. ლომთათიძე. ხინთ., გურ. ფირ., გვ. 106—107, სათაური ჩვენია — ქ. ს.

86. ხალხის სიუვარული

მთქმელი ივ. ხელაძე, 59 წლ. ჩაწერილი თბილისში. 1955 წ. დეკემბერში ან. ხინთიბიძის. დასათაურება ჩვენია. ქ. ს.

87. ჰრისტავის მოტყუება

მთქმელი ი. მუავანაძე, ჩაწერილი სოფ. დვბაზუში (მახარაძის რ.) 1937 წ. ანტ. ხინთიბიძის. დასათაურება ჩვენია. ქ. ს.

88. ტრახასა სტრაქნიკი

მთქმელი გ. ლომთათიძე. ჩაწ. თბილისში 1937 წ. ანტ. ხინთიბიძის. დასათაურება ჩვენია. ქ. ს.

89. კობა და დათიკო

მთქმელი გ. შევარდნაძე. ჩაწერილი ბათუმში, 1957 წ. ანტ. ხინთიბიძის. დასათაურება ჩვენია. ქ. ს.

90. დათიკო შევარდნაძე

მთქმელი გ. ლომთათიძე. ჩაწ. თბილისში, 1937 წ. ანტ. ხინთიბიძის.

91. დათიკოს მოწამვლა

მთქმელი გ. შევარდნაძე, ჩაწ. ბათუმში, 1957 წ. ანტ. ხინთიბიძის. დასათაურება ჩვენია. ქ. ს.

92. სიმონა დოლიძე

მთქმელი დარდო სიხარულიძე. სოფ. გოგოლეისუბანი. ჩამწერი ქს. სიხარულიძე. 1933. სახ. გმ., გვ. 88—91; ქრესტ. II — № 98, გვ. 105—107; ხალხ. სიბრძნე, ტ. IV, გვ. 228—231. „წითელი პარტიზანელი“ 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე სიმონ ნიკოლოზის ძე დოლიძე სოფ. ამაღლების (ჩოხატაურის რ.) მკვიდრი იყო. დაიღუპა დაღატოთ ჩაფრებთან შეტაკების დროს 1911 წ. ბიოგრაფიული ცნობები იხ. ხინთ., გვ. 108—112. გურიაში, განსაკუთრებით გმირის მშობლიურ ჩოხატაურის რაიონში, აგრეთვე საქართველოს სხვა კუთხეებშიც, ამ ბალადას ბოლო დრომდე მღეროდნენ ჩონგურისა თუ გიტარის აყოლებით. ბალადას საკუთარი მელოდიაც აქვს. ამ მელოდით ასრულებენ მას თვითმოქმედი გუნდები.

ბ

ძმა-ბიჭებში დაჩაგრული,
მე ვარ სიმონა დოლიძე,
ხუთი წელი შემისრულდა,
არ მიძინია ლოგინზე,
დავიძინე, სიზმრად ვნახე,
წელს შემომხვევოდა გველი
ვეწვალე, ვერ მოვიშორე,
ამით შემეშალა ხელი.

—
ატენი. ჩამწერი ვ. კოტეტიშვილი. 1933. ფ. არქ. № 2881.

ბ

დიდი ხნიდან დაჩაგრული
მე ვარ სიმონა დოლიძე,

ექვსი წელი შემისრულდა,
არ მიძინია ლოგინზე.
ჩემთვის უბედურათ დადგა
ათას ცხრაას თერთმეტი წელი,
გამიწყდა ძაფი იმედის,
გადარჩენას აღარ ველი.
ცხრა ენკენისთვის მესიზმა,
ვითომც ყელს მეხვია გველი,
ვეცადე, ვერ მოვიშორე,
ასტე შემეშალა ხელი.
პოლიცია დამედევნა.
ოცი წლის რომ შევექენი,
ჩემში ხალხი იტანჯოდა,
მაგრამ ბევრი კარგი ვქენი.
რაც რომ ფირალათ გავედი,
შემისრულდა ექვსი წელი,
მოლაღატეს თვალს უვსებდი,
მძულდა ხუცეცი და ბერი.
უდროვოთ მოვსხლტი სამშობლოს,
ვაი ჩემი ბედისწერას,
უსამართლობას ვხედავდი,
ველარ ვახერხებდი ცქერას.
ისე დამდევდა მთავრობა,
ვით მონადირე მელასა,
თუ კი სადმე შემხტებოდა,
გვერდებს ვაგლეჯდი ყველასა.
მინდოდა, რომ დავსთხოვოდი
ღვინით და ოტკით თრობასა,
დავლევიდი, მეტად მავნებდა,
ავსტეხდი გზაში სროლასა.
მით ნუ დამძრახავთ, ძმანებო,
ნუ დამიკარგავთ ხსოვნასა.
რაც რომ გაჭირვება ვნახე,
ყველას ვერ ვიტყვი ენითა,
ხელში მიჭირავს კალამი,
ქალაღზე ვწერავ მელნითა.

კი მინდოდა მტერის ჯინზე,
ერხან რომ მეცოცხლებია.
ხშირად ტყეში ვიძინებდი,
მივწვებოდი წიფლის ძირზე.
შპიონები არეულან,
როგორც ფუტკარი ყვავილზე,
არ მეგონა, თუ გამცემდა
ჩემი ძმა ანდრო დოლიძე,
მტერს მეტად უფრთხილდებოდა,
საქმეც მიყვარდა რიგზედა (?)...
ჩემში ჯვარ-მენდალს ელოდა
გირაკელიძე და წეროძე,
წამოვიდნენ მეძებრებით,
სტრაჟნიკებით მაღალ გორზე,
დაბრუნებული ხალხს სცემდნენ,
კლავებს იცდიდნენ ღონეზე
გავიგე, გული მომიკტა
უბრალოთ ხალხის ცემაზე,
შემხვდა და ორივე გავგლიჯე
სისხლი გადვირე ენაზე,
შეიძლება მე დამძრახოთ
ზოგიერთმა ამ სიტყვაზე,
ჯერ იფიქრეთ თავის თავზე
და მერე სთქვით ავი სხვაზე.
რა უნდოდა, რომ მომდევდა,
მივდიოდი მე ჩემ გზაზე.
ჩემი ჯავრი მეყოფოდა,
სრულად არ ვიყავი ჰკევაზე.
მინდოდა რომ გავმძლარიყავ
ჩემი ცოლ-შვილის მზერითა,
დაჯდებიან და სტირიან,
თვალი ევსებათ ცრემლითა.
ნატანებში გავემგზავრე,
ცოტა მუხლები მტკივოდა,
ერთი ამხანაგი მყავდა,
იგიც ჩემსავით იწოდა.

ნალიაში რომ შევედით,
ანდროს მეტმა არ იცოდა.
ცოცხალი ვერ დავბრუნდები,
— გული ასე მიჩივოდა.
მიზგან ღალატს არ ველოდით,
ერთათ ვწვებოდით ლოგინზე.
ანდროს ვსთხოვეთ, — გაგვეგზავნე,
ცოტა გვიყიდე პურია,
ამოვიღეთ და მივეცით,
რაც რომ შპიროდა ფულია.
— ანდრო, ცოტა წაიჩქარე,
ქეც გვშია და ქეც გვწყურია.
თურმე მისი ხელითა გვკლავს,
როგორც იუდა ურია.
ჯაფარიძე ურიადნიკი
ცნობილია გურიაში.
ეგ ჩვენ ძმაკაცს შეხედენია
თავის ჯარით მერიაში.
თურმე ამას უთხრობია,
— ყაჩაღი მყავს ნალიაში,
აუცილებლათ იშოვით,
დღეს არ გამოვლიან კარში.
გამოუწყვია სტრაჟები,
რაც გულში ედო წადილი,
უყურეთ, აღარ მოვიდა,
დაგვიგვიანდა სადილი.
ბურჭულაძე მეუბნება,
გამოვიცვალოთ ადგილი,
თურმე გვღალატობს ყმაწვილი,
ჩვენ არ გვცოდნია ნამდვილი.
გავიხედე, მოდიოდა,
გულზე დამესო ნემსია,
პურის ჰამათ რომ დავჯექით,
სტრაჟები შემოგვესია.
ერთიც ისე მოგვაყარეს
როგორც ელვა და კოხია,

1

გადმოხტომის დროს მესროლეს,
მომტეხეს ორივე ფეხია
ბურკულაძეს დაედევნენ
ის ურჯულო ძაღლებია,
თვალეზე ცრემლები მომდის,
ვხედავ, ვერ ვეხმარებია.
ერთი აზრი მოვიგონე,
მასთან ძალა შევიძინე,
ერთი თოფი გავისროლე,
გულიანათ გავიცინე,
ჯაფარიძე ურიადნიკი
ამ ჩემ გვერდზე მოვიწვინე,
აფიცრობის მომლოდინე
ლორივით ავადრიალე,
ჩემში ჯვარ-მენდალს ელოდა
გირკველიძე და წეროძე,
მაგრამ თავზე წავიკალი,
მე ვარ სიმონა დოლიძე,
გემშვიდობებით, ძმანებო,
მივდივართ მოუსლელ გზაზე,
ლექსს გიტოვეფ სამახსოვროთ,
დაამღერეთ გიტარაზე.

—

მთქმელი ჯინჯარაძე სულეიმან ქამილის ძე, 50 წ. ს. აჭყვისთავი (ქობულეთის რ.) ჩამწერი ჯ. ნოლაიდელი. 1960. ბათუმის სამეცნ. — კვლ. ინსტ. ფოლკ. ფ. VI, გვ. 41. სათაურად აქვს „სიმონა დოლიძის ლექსი“.

ბ

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. 1933-34 წ. სათაურად აქვს; „ლექსი ღალატით მოკლული სიმონა დოლიძის, ბიძაშვილმა რომ უღალატა“ ჩიქ. ფირ., გვ., 121—124. ახლოს არის ძირითად ტექსტთან, ოღონდ უფრო ვრცელია. ძირითად ტექსტში არ არის: სტრიქ. 24—25-ს შუა:

ხშირად ტყეში ვიმალოდი,
მივწობოდი წიფლის ძირზე:

სტრიქ 31—32-ს შუა:

მუხლებში ცეცხლი გამიჩნდა,
ვით ელექტრონის სინათლე.

სტრიქ. 36—37-ს შუა:

მივიდოდი, თუ არა,
ვერ დავჯდებოდი გემოზე!

სტრიქ. 48—49-ს შუა:

უსამართლობას ვხედავდი,
ვეღარ უძლებდი ცქერასა,
მინდოდა, დავთხოვებოდი
ღვინით და ოტკით თრობასა,
დავლევდი, მეტად მავნებდა,
გზებში ავტეხდი სროლასა:

სტრიქ. 98-ს შემდეგ:

საქმე ისე მომიხერხეს,
ჩემით გავედი ბოინზე,
შპიონები წასულია
კეთილაძე და წეროძე.
ბურთის გატანა უნდოდათ,
ვერ გაიტანეს ლელოზე.
აწ მშვიდობით ნაცნობებო,
მივალ მოუსვლელ ადგილზე,
ლექს გიტოვებთ სამახსოვროთ,
დამღერეთ გიტარაზე.

არის სხვა განსხვავებაც: სტრქ. 1-ყოვლის მხრიდან;
სტრიქ. 31-ოთხდად; სტრიქ. 43-შპიონები; სტრიქ. 51-ვერ დავბ-
რუნდები — არ გადავრჩები; სტრიქ. 57-მასა ვთხოვე; სტრიქ.
67-უთხოვია; სტრიქ. 77—78-სადილათ დავჯექით თუ არა, სტრა-
ეები შემოგვესია; სტრიქ. 84-ის ურჯულო, ის ძაღლები; სტრიქ.
88-მასთან ძალა.

მთქმელი არტემ ჰანტურია. სოფ. ხვარბეთი. ჩამწ. ი. მეგრე-
ლიძე, 16. VII — 1929 წ. „Советский фольклор“, 1, გვ.

172—176. პარალელურად დაბეჭდილია რუსული თარგმანი —
ბწკარედი. იქვე.

ახლოს არის ძირითად ტექსტთან. ამ ვარიანტში არ არის
ძირითადი ტექსტის სტრიქ. 13—14; სტრიქ. 25—26; 35—44,
სტრიქ. 90-გულიანად გავიციან; სამაგიეროდ არის ადგილები; რაც
ძირითად ტექსტში არ არის. ასეთებია: სტრიქ. 20-სა და 21-ს შუა:

მინდოდა, რომ დავთხოვოდი
ვოტკით და ღვინით თრობასა,
რადგან ყოველთვის ავტეხთი
უბრალო თოფის სროლასა.
წამევიდოდნენ სტრაყები,
შევხთებოდი ყოლთვინ გზაზე...

სტრიქ. 30—31-ს შუა:

ტანზე ცეცხლი მომეკიდა,
ვით ელექტრონი სინაზე...

სტრიქ. 32—33-ს შუა: შეიძლება ქვე დამძრახონ

ზოგიერთმა ამის თქმაზე;

სტრიქ. 66—67-ს შუა:

ის ჩვენ ძმასა შეხთენოდა
მისი ჯარით მერიაში.

სტრიქ. 74—75-ს შუა:

მე მაინც არ დოუჭერე:
—„ვჭამოთ აქ-მეთქინ სადილი...“

სტრიქ. 98-ს შემდეგ დასაბ. სტრიქონებია:

ამის მერე მეგობრებო!
სამუდამოთ დევიძინე...
აწ მშვიდობით მეგობრებო!
მივალ მოუსლელსა გზაზე,
ლექს გიტოვებთ სამახსონოთ,
დაამღერეთ გიტარაზე!

არის აგრეთვე განსხვავებული წაკითხვები: სტრიქ. 3—შევას-
რულე;

სტრიქ. 5—6

ჩემდა უბედურად დადგა
ათასცხრაას ათი წელი;

სტრიქ. 28-იწრთენიღნენ — ი ც თ ი დ ე ნ ; სტრიქ. 31-შ ე ვ ხ -
თ ი, ო რ ი ვ ე მ ო ვ კ ა ლ ი ;

სტრიქ. 33-რ ა უ ნ დ ო დ ა, რ ო მ მ ო მ ზ დ ე ვ დ ე ნ ;

სტრიქ. 45-რ ა ვ ი ც ო დ ი, თ უ გ ა მ ყ ი დ დ ა ;

სტრიქ. 47-მ ი ს გ ა ნ ლ ა ლ ა ტ ს ა რ ვ ე ლ ო დ ი ; სტრიქ. 54
ა ნ დ რ ო ს მ ე ტ მ ა .

სტრიქ. 57-ა ნ დ რ ო ს ვ უ თ ხ ა რ ;

სტრიქ. 60-უნდოდა — ყ ო ფ ნ ი დ ა ; სტრიქ. 61-ი მ ა ს ვ უ თ -
ხ ა რ — „დ ე ი ჩ ი კ ა რ ე“ ;

სტრიქ. 67—70-ანდროს უთქვამს: — წამობრძანდით,

დევნილი მყავს ნალიაში, —
აუცილებლად იშოვით,
დღეს არ გამოვლიენ კარში...

სტრიქ. 71-არვინ-ალარ; სტრიქ. 73-ა ფ ხ ა ნ ა გ ი მ ე ხ ვ ე წ ე ბ ა ;

სტრიქ. 75-„და მოვიდა — რ ა ს შ ე ვ ხ ე დ ე“ ; სტრიქ. 77—80;

სადილი არ დაგვიწყია,
სტრაყები შემოგვესია.
ერთი ისთე დაგვახალეს,
რავაც სეტყვა და მეხია;

სტრიქ. 83—88

ჩემ აფხანაქს დიედვენენ
ის ცოფიანი ძალღები,
თვალზე ცრემლი მომადგა,
ვხედავ და ვერ ვეხმარები.
უცევე ძალა მევიკრიფე,
თოფიც მაგრა გევისროლე; —

სტრიქ. 93-ჯერ დათვივით ვალრიალე.

მ

ძმა-ბიჭებში დაჩაგრული
მე ვარ სიმონა დოლიძე,

ექვსი წელი შემისრულდა,
არ მიძინია ლოგინში.
რაც ყაჩაღად გადავარდი,
შემისრულდა ექვსი წელი,
უსამართლობას ვებრძოდი,
მძულდა პრისტავი და მღვდელი.
ნატანებში წამოვედით,
ცოტა მუხლები მტკივოდა,
ცოცხალი ვერ დავბრუნდები,
გული წინდაწინ ჩიოდა.
ნატანებში მოუწიეთ,
იქ შევედით ნალიაში,
ამხანაგებსა უთხარი,
— ქეც მწყურია და ქეც მშია.
ანდროს უთხარ: — ეხლა წადი,
სადმე იყიდე პურია!
ამოვიღე, გავატანე
შვიდი აბაზი ფულია.
დავარიგე, ფრთხილათ იყავ,
გვიცნობს ჩვენი მთელი გურია.
რა ვიცოდი, მღალატობდა,
როგორც იუდა, ურია.
ჯაფარიძე ორიადნიკი
ნაქებრა გურიაში,
ამ ჩემ ძმა-კაცს შეხვდომოდა
სტრაჟნიკებით მერიაში.
ჩემს ამხანაგს ეთხრობია:
— ყაჩაღი მყავს ნალიაში,
უსათუოდ ხელში იგდებთ,
დღით ვერ გამოვლიან კარში.
შუადღე გადავიდა,
დაგვიგვიანდა სადღილი,
ბურჭულაძე მეუბნება:
— გამოვიცვალოთ ადგილი.
გადასვლა რომ დავაპირეთ,

გულზე დამესვა ნეფსია,
 გვიხედე, ყოველი მხრით
 სტრაჟები შემოგვესია.
 ისე დაგვაყარეს ტყვია,
 როგორც წვიმა და კოხია;
 გადმოხტომისას მესროლეს,
 მომტეხეს ორივე ფეხია.
 ბურჭულაძეს დეედევნენ
 ის ურჯულო და ძალღები,
 ვხედავ, ვერაფერს ვშველოდი,
 ცრემლით მეფსება თვალები.
 ბოლოს ღონე მოვიკრიფე,
 თან გემოზე გავიციენე,
 ჯაფარიძე ორიადნიკი
 ამ ჩემ გვერდით მოვიწვინე
 მარჯვენა თვალში მოვარტყი,
 უკუღმით შევატრიალე.
 აფიცრობის მომლოდინე
 დათვივითა ვაღრიალე.
 ჯაფარიძე ორიადნიკი
 ხომ გამოვშალე გვარშია,
 მეტი ვეღარ მოვასწარი,
 მალე მომარტყეს თავშია.
 ამხანაგებო, ამას გთხოვთ:
 — ჩემი მკვლეელი მონახოთო,
 ჩემს საფლავზე მოიყვანოთ
 და ჩემს გვერდზე დამარხოთო.

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 139—141.

ამ ლექსისა გამომთქმელი
 მე ვარ სიმონა დოლიძე,
 ექვსი წელი შევასრულე,
 არ მიძინია ლოგინზე.
 ვისიზმე ცხრა ენკენისთვეს,
 ვითომ ყელს მეხვია გველი
 ვეცადე, ვერ მოვიშორე
 ისე შემეშალა ხელი
 მტერმა ისე მომიხერხა,
 ჩემით გავედი ბოინზე,
 შპიონები აისვარენ,
 როგორც ფუტკარი ყვავილზე,
 არ ვფიქრობდი, თუ გამყიდდა
 ჩემი ძმა ანდრო დოლიძე,
 მისგან დალატს არ ველოდი,
 ერთათ ვწვებოდით ლოგინზე.
 ნატანებში მივდიოდით,
 ცოტას მუხლები მტკიოდა,
 ცოცხალი ვერ დავბრუნდები,
 გული ასე მიჩივოდა.
 ანდროს ვსთხოვე: — გაგვეგზავნე,
 ცოტა გვიყიდე პურია,
 ამოვიღე და მივეცი,
 რაც მქონდა ნაშლად ფულია.
 ანდროს ვთხოვე: დაეჩქარე,
 ქეც გვშია და ქეც გვწყურია.
 ვუყურეთ, აღარ მოვიდა,
 დაგვიგვიანდა სადილი,
 ბურჭულაძე მეუბნება:
 — გამოვიცვალათ ადგილი.
 ჯაფარიძე ურიადნიკი
 ნაქებია გურიაში,
 ამ ჩვენ ძმა-კაცს შეხვედრია
 თავის ჯარით მერიაში.
 მაშინ ამან უთხრა თურმე, —

ყაჩალი მყავს ნალიაში,
აუცილებლად ისინი
დღეს ვერ გამოვლიან კარში.
სულ ორი საათის შემდეგ
გულზე დაგვესო ნემსია,
სადილად დავეჭქით, თვარა
სტრაჟები შემოგვესია.
პირველათ იმათ გვესროლეს,
როგორც გრგვინვა და მეხია,
გადმოხტომის დროს მესროლეს,
მომტეხეს ორივე ფეხია.
ბურკულაძეს დაედევნა
ის დაღუპული ძაღლები,
თვალეზზე ცეცხლი მომადგა,
ვხედავ და ვერ ვეხმარები.
უცებ ძალა ავიკრიბე,
შევიძინე ძალა ხელში,
ერთი თოფი გავისროლე,
მოვამტვრიე სტრაჟას ფეხი.
თურმე იგი ჯაფარიძე
ჯვარს ელოდა ჩემს სიკვდილზე,
იგიც თავზე წავიკალი,
მე ვარ სიმონა დოლიძე
მშვიდობით, ჩემო სამშობლო,
და საყვარელო დედაო,
ჩემს მოლაღატეს ამ ქვეყნად
თავზე ეხვიოს ბელაო.

—
მთქმელი თამარ გიორგაძე, ს. ბახვი. ჩამწერი შალვა დოლიძე.
1948 წ. მახარაძის მხარეთმცოდნ. ფონდი, არქ. № 1, ს. № 69.
სათაურად აქვს „სიმონა ყაჩალის ლექსი“.

ცნობილია კიდევ ერთი გურული ვარიანტი, ჩამწერილი იონა
ანდლულაძის მიერ. ჩამწერს ტექსტი გაუგზავნია გაზეთ „კოლექ-
ტივიზაციის“ რედაქციისათვის. ეს ვარიანტი 81 სტრიქონს შეი-
ცავს და ახლოს არის გურულ დ ვარიანტთან.

დიდი ხნიდან დატანჯული
 მე ვარ სიმონა დოლიძე,
 ექვსი წელი შევასრულე.
 არ მიძინია ლოგინზე.
 უბედურად დადგა ჩემთვის
 ათას ცხრაას თერთმეტი წელი,
 იმედის ძაფი გამიწყდა,
 მე სიცოცხლეს აღარ ველი.
 აქიდგანა გედევედი,
 შევასრულე ექვსი წელი,
 მოლაღატეს თვალებს ვსთხრიდი,
 მძულდა ხუცესი და ბერი.
 მინდოდა დავთხოვებოდი
 ღვინით და „ოტკით“ თრობასა,
 დავლევდი, ისე მავნებდა,
 გზაში ავტეხდი სროლასა.
 მინდოდა გავმადღარიყავ
 ჩემი ცოლ-შვილის მზერითა,
 დაჯდებიან და სტირიან,
 თვალი ევსებათ ცრემლითა.
 „შპიონები“ ასულია,
 კეკელიძე და წვერიძე,
 დაბრუნებული ხალხები
 კლავებს იმტვრევდნენ მაჩებზე.
 ნატანებში გავემგზავრე,
 ცოტა მუხლები მტკიოდა,
 ისე შევედი ნალიაში,
 ერთის მეტმა არ იცოდა.
 ერთი იყო კიდო ჩემთან,
 იგიც ჩემსავით იწოდა.
 ანდროს ვუთხარ: — გამეგზავნე,
 ცოტა პური მომიტანე.
 ავიღე და გავატანე
 შვიდი აბაზი ფულიო.

თურმე თავის ხელით მკლავდა,
როგორც იუდა-ურია.
უყურე და არ მევიდა,
დაგვიგვიანდა სადილი.
ბურჭულაძე მეუბნება:
— გამევიცვალათ ადგილი.
ავიხედე და შევხედე,
ნეფსი დამესვა გულზედა,
სადილად დავჭედით, მარა
„სტრაჟები“ შემოგვესია.
ისე დაგვიშინეს ტყვია,
როგორც სეტყვა და კოხია,
გადმოხტომისას მესროლეს,
მომტეხეს ორივე ფეხია.
ამ ჩემ ძმაკაცს დეედევნენ
ეს საძაგელი ძაღლები,
ვაიმე, ვერას ვეხმარები,
მალე მეფსება თვალები.
ერთიც კიდე მოვიფიქრე,
თან ძაღლები შევიძინე,
ავილე და გავისროლე,
თან გემოზე გავიციინე.
ჯაფარიძე ურიადნიკი
ჩემს სიკვდილზე ჯვარს ელოდა,
ძაგრამ თავზე წავიკალი,
მე ვარ სიმონა დოლიძე,
სანახსოვროდ ლექსსა ვტოვებ,
დაამღერეთ გიტარაზე.

მთქმელი: კაპიტონ ივანეს ძე კობახიძე.

სოფ. ნიკორწმინდა (ამბროლაურის რ.). ჩამწერი ლია მდინარაძე,
10. VII—1962 წ. თსუთა № 236. სათაურად აქვს „სიმონა დოლიძე“.

93. კიკია მამულაიშვილი

სოფ. დვაბზუ (მახარაძის რ.). ჩამწერი ალ. ლლონტი. 12. VII 1934. ლლ. გურ. № 103. გვ. 86.

კიკია (იასონ) ნიკოს ძე მამულაიშვილი — 1905 წლის რევოლუციის აქტიური მონაწილე დაბ. 1881 წ. ს. დვაბზუში. ფირალობა დაუწყია რეაქციის წლებში. იგი იყო ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ნასაკირალის თავდასხმისა. ლალატით მოუკლავთ 1912 წ. ბიოგრაფიული ცნობები იხ. ხინთ., გვ. 113—116; ლლ. გურ., გვ. 295—296. ეს შეუპოვარი მებრძოლი, როგორც ირკვევა მის თანამედროვეთა გადმოცემებიდან. თვითონ წერდა თვითმპყრობელობის მახინჯ მზარეთა მამხილებელ ლექსებს. ხინთ., გვ. 103, 116.

ბ

მთქმელი აკაკი ამბაკოს ძე ჩავლეიშვილი. 64 წლ. სოფ. ასკანა. ჩამწერი ნელი ცქიტიშვილი. ივლისი, 1963. მთქმელს გადაუბამს სამი ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი ლექსი. პირველი სტრიქონები ძირითადი ტექსტის ვარიანტია. თითქმის იმეორებს ძირითადი ტექსტის დასაწყისს 16 სტრიქონს. განსხვავება: სტრიქ. 4 ვინმე სხვები; სტრიქ. 5-მე გულნათლად ვმუშაობდი; სტრიქ. 9-განწირული, სტრიქ. 15-ყველა მიცის ინტერესი. ამ ვარიანტში არ არის წმინდად დაცული გურული დიალექტი. შემდეგი სტრიქონები მომდევნო ნომრების ვარიანტებია.

94. სატრფოს

მთქმელი სოფ. დვაბზუს მცხოვრები მარუსია კილაძე. ჩამწერი ანტონ ხინთიბიძე, ხინთ., გვ. 116, დასათაურება ჩვენია. ქ. ს. ანტონ ხინთიბიძის ცნობით ლექსი ეკუთვნის თვით კიკია მამულაიშვილს და მისი ადრესატია გმირის სატრფო — კაკილო ლლონტი. ლექსი რომ გავრცელებული ყოფილა გურიის სხვადასხვა სოფელში, ამაზე მიუთითებს მისი ახალი ჩანაწერი. ლექსს თითქოს დასაწყისი უნდა აკლდეს.

მთქმელი აკაკი ჩავლეიშვილი. სოფ. ასკანა. ჩამწერი ნელი ცქიტიშვილი. 1963 წ. ჩანაწერი წაბმული აქვს სხვა ლექსის ვარიანტს, რაზედაც მიუთითებ წინა ნომრის შენიშვნებში. ლექსის დასაწყისი არც ამ ჩანაწერშია შემონახული. ეს ჩანაწერი თითქმის იმეორებს ძირითად ტექსტს. განსხვავება: სტრიქ. 1—2 ესეც ნუ გაგიკვირდება,

მე რომ მტრები მდევნიან...

სტრიქ. 3-ი ს ი ნ ი; სტრიქ. 7-ოლონდ — თ უ რ. ო მ.

95. ბალკონზე იჯდა

მთქმელი სოფ. დვაბზუს მცხოვრები მარ. კილაძე. ჩამწერი ანტ. ხინთიბიძე, ხინთ., გვ. 116. ტექსტი უფრო ვრცელი ლექსის ფრაგმენტია. ლექსი ასახავს მეფის მოხელეთა მიერ ხალხის დაბეგვრას იმის გამო, რომ ინახავდნენ და ესარჩლებოდნენ მებრძოლ გმირებს. იმავე მთქმელის გადმოცემით: „საწყალი კიკიე თელი სოფლის საყვარელი იყო. მისი გულიზა ეგზეკუციას აყენებდნენ, გვებგრავენენ, მარა ხალხს მაინც უყვარდა. ერჯელ მამაჩემს თელი წლის ყაჭზე ნამუშავარი ხუთი მანათი წაართვეს და ასთე ყველა მოსახლიდან მოხიკეს ფული, კიკიას ინახავთო. კიკიამ მოვიდა და გვითხრა: — ჩემი გულიზა გადაგახთიეს ხომ ფული, თელი წლის ნამუშავარი ხომ ჩემი გულიზა წაგართვესო! — ბრქო; არ ვჩივი, შენ იყავი ცოცხალი და მაგისანას ვოცდახუთს გადავიხდიო“ — ხინთ., გვ. 114—115.

96. გმირის დატირება

მთქმელი აკაკი ჩავლეიშვილი. სოფ. ასკანა. ჩამწერი ნელი ცქიტიშვილი. 1963. სათაური ჩენია — ქ. ს. ტექსტი, როგორც ზევეითაც ავლნიშნებ, წაბმული აქვს ამავე ციკლის სხვა დამოუკიდებელ ლექსებს. ანტ. ხინთიბიძის ცნობით „კიკიას გადმოსვენებას ვაკიჭვრიდან სოფ. დვაბზუში ამხანაგების მიერ დემონსტრაციის ხასიათი მიუღია“ ხინთ. გვ. 115.

უბედურსა დედაშენსა
 შენი თავი არ ატირეს;
 გასვენებაც აუკრძალეს,
 ცეცხლი-ცეცხლზე მოუკიდეს.
 ვერ დავთმობდით, მათ იცოდენ
 და უცთოდენ ჩვენსა მოსელას;
 და ფიქრობდენ ჩვენ ცხედარსა
 ერთოფ ჩვენსა ამოხოცვას.
 დიდებულათ გაგასვენეთ,
 გამშვენებდა ჩვენი რაზმი;
 პოლიცია სახში დარჩა.
 თვის ცხენებით შენაკაზმი .

მთქმელი მარ. კილაძე. სოფ. დეაბზუ. ჩამწერი ანტ. ხინთიბიძე.
 ხინთ., გვ. 115.

97. კახალი ერისტო ჯორბენაძის ლექსი

სოფ. ჩიბათი. ჩამწერი ალ. ღლონტი. ლლ. გურ. № 104, გვ. 88.
 ფირალი ყრასტო ჯორბენაძე, სოფ. გვიმრალაურის მკვიდრი, დაბ.
 1885 წ. იგი ხელობით ზეინკალი ყოფილა. უმუშავნია ბათუმის
 ნავთის ქარხანაში. იყო 1905 წლის რევოლუციის მონაწილე. რეაქ-
 ციის წლებში პოლიტიკური ორგანიზაციის დავალებით აწყობდა
 ტერორისტულ აქტებს. მეფის დამქაშებს მოუკლავთ 1910 წლის
 ივლისში. ხინთ., გვ. 117—120. პრესის ცნობები და ნაცნობ-მეგობ-
 ბართა მოგონებანი ადასტურებენ ლექსში გადმოცემული ამბის
 სინამდვილეს.

98. ნიკიფორა ართმელაძე

გურია. ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. 1933—34 წ. ჩიქ. ფირ., გვ. 124.
 ლექსს სათაურად აქვს „ფირალის ლექსი დალატით მოკლული ნიკი-
 ფორა ართმელაძე“, ახლავს შენიშვნა — სტრიქ. 13 — კ ა ხ უ რ ი
 სოფლის სახელია. ნიკიფორე ართმელაძის თავგადასავალი, რო-

გორც ლექსიდან ჩანს, ისეთივეა, როგორიც რეაქციის წელსი ძებრ-
ძოლი სხვან გამირებისა.

99. სერაპიონ ჩანტლაძის ლექსი

გურია. სოფ. ერკეთი. ჩამწერი ალ. ლლონტი. 26. VII—1936 წ.

100. თედორე ღლონტი

გურია. ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 125—127.
ლექსში გადმოცემული ამბავი რეაქციის სუსხიანი წლების დამახა-
სიათებელია.

101. უჩაღი ალექსა სარჯველაძის ლექსი

გურია. ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 128.

102. უჩაღ სასანის ლექსი

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 128—129.

103. ლექსი დალატით მოკლეული მელიტონ ცენტერაძის

ჩამწერი მიხ. ჩიქოვანი. ჩიქ. ფირ., გვ. 129—130.

104. უსუფ ბეკროდლის ლექსი

გურია. სოფ. მაკვანეთი. ჩამწერი ალ. ლლონტი. ლლ. გურ.
№ 109, გვ. 96.

105. მისელა ლომაძე

გურია. სოფ. გვაბრათი. ჩამწერი ალ. ლლონტი. 19. VII—1936.
ლლ. გურ., გვ. 112—114. სათაურის ქვეშ. ფრჩხილებში წერია.
„1905 წლის ფირალი“.

ჩამწერი ა. ქოიავა. სნჯ. II. გვ. 305—309. სათაურის ქვეშ ფრთხილებში წერია: „გურული ტერორისტი 1905 წ.“. თითქმის იმეორებს ძირითად ტექსტს. არის 88 სტრიქონი. არ არის დაცული გურული დიალექტი. შეიძლება ეს რედაქციის ხელი იყოს. მეტია სტრიქონები: სტრიქ. 36—37 შუა: „გარება ძნელი შეიქნა“ სტრიქ. 64—65-ს შუა: თუ გსურთ გაიხაროთ გულში; სტრ. 70—71-ს შუა: სიკვდილის ხანს დავიძახე; სტრიქ. 71—72. შუა: სამარეში დარდათ ჩამყვა.

არის განსხვავებული წაკითხვებიც: სტრიქ. 22-ხელათ — წ ა მ ს ე ე; სტრიქ. 35-ჩემდა დღეის მოსასპობად; სტრიქ. 40-დ ა ხ ე; სტრიქ. 47-იმდენ ზალში — ი მ „ზ ა ლ პ ა შ ი“; სტრიქ. 53- ვ ა ე-კ ა ც შ ი; სტრიქ. 65-დაფლეთილი ტყვიებისგან; სტრიქ. 75-ი ლ ა-რ ი ო ნ, ახალავს შენიშვნა: „ძმა“.

106. ლექსი ნესტორა მაგინაშვილზე

მთქმელი ელენე მელიქსეს ას. თოდრია-თედორაძე. სოფ. ქვაბ-ლა. ჩამწერი ი. მეგრელიძე. «Советский фольклор». 1, გვ. 176-178. პარალელურად დბეჭედილია რუსული ბწკარედი თარგმანი. იქვე.

107. ლექსი ჰატარა ნიკასი

მთქმელი გიორგი იოსების ძე ბერიძიშვილი— 34 წლის. სოფ. მარტყოფი. ჩამწერი გობრონიძე. 1961. ფ. არქ. კ. 10, გვ. 469. ახ-ლავს შენიშვნა: სტრიქ. 49-მ ა ნ ი ხ ე რ ი — თოფი.

დაუბერე ნიო,
ჰატარა ნიკა მქვიანო,
პარტიზანად გასული ვარ,
ყაჩაღ მეძახიანო.
მთავრობამ გასცა ბრძანება
სამსა სოფელსაო.

მარტყოფ, ნორიო—კახეთსა,
ახალ სოფელსაო.
გიორგიმ კუჭატნელმა,
თავი გადადვაო,
მე მოვკლავ პატარა ნიკასა,
თუ დამენიშნა ასი თუმანი თვეშიო.
ეს რომ ნიკამ გაიგო
მაღლა დაბურულ ტყეშიო;
დედას გიტირებ გიორგი,
თუ ვერ ჩამთვალო მკვდრებშიო!
ჯვარიწერაზე მაასწრო,
გამაიყვანა კარშიო,
ამაილო მაუზერი და
დასცა ძუძუს თავშიო.
წადი და ეხლა აიღე
ასი თუმანი თვეშიო.



მთქმელი: ზურიკო ვანოს ძე კობალიშვილი, 15 წლისა.
მე-3 კლასიდან გამოვიდა.

მარტყოფი. ჩამწერი: უ. ცინდელიანი. 20. V. 61 წ.
ფ. არქ. კ. 2. გვ. 16. სათაურად აქვს „ნიკას ლექსი“.

108. აფრასიონ მერკვილაძე

მთქმელი ნ. ცირეკიძე— მალაროს მუშა. კიათურა. ჩამწერი
აბ. ცანავა. 1952. ფ. არქ. № 3414. ჩაწერილია აგრეთვე თ. ენუქი-
ძისაგან. აფრასიონ მერკვილაძე 1905 წლის რევოლუციის მონაწი-
ლე იყო. რეაქციის წლებში შეუპოვრად იბრძოდა ცარიზმის წინა-
აღმდეგ. მისი ხსოვნა ბოლომდე ცოცხალია ხალხში.

109. მიევარს მე შორაპანი

ავტორი მუშა-პოეტი ივლიანე მერკვილაძე. ივლიანე მერკვი-
ლაძის ლექსები „საყანჩია“ და სხვ. გამოქვეყნდა რეაქციის წლებ-
ში და პოპულარული იყო რევოლუციურად განწყობილ მუშებსა
და გლეხებში. ეს ლექსიც ზეპირად იცოდნენ კიათურის და ტყი-
ბულის მალაროს მუშებმა.

110. აფრასიონ მერკვილაძე

სნჯ. I, გვ. 318; სახ. გმ., გვ. 111; ქრესტ. II, № 100, გვ. 114—115. ლექსი თავისებური ტრანსფორმაციაა ძველი საგმირო სიმღერისა „ვაუჟაცსა თავის სიკვდილი გული მძინარე ჰგონია“— იხ. საიუბ. კრებ. „1905—1907 წლ. რევოლუცია საქართველოში“, გვ. 527,—528.

ბ

აფრასიონ მერკვილაძეს
თავი უკვდავი ეგონა,
შეიღი ტყვია რომ მოარტყეს,
ცერცვის კეკალი — ეგონა.

—
1961. ფ. არქ. ი. 91, გვ. 179 ა.

111. მიხას ლექსი

ქიზიყი. ჩამწერი პოეტი ილო მოსაშვილი. ქიზიყ. გვ. 37—62. სახ. გმ., გვ. 92—110; ქრესტ. II № 99—114; ხალხ. სიბრძნე, IV, გვ. 237—253. მიხა ჭუჭულაშვილი (იგი მწერლიშვილადაც იხსენიება, რადგანაც მისი მამა სოფლის მწერალი იყო. რეაქციის წლებში იბრძოდა თვითმპყრობელობისა და სოფლის კულაკების წინააღმდეგ. ამ ვრცელ პოემას ბოლო დრომდე ფანდურსა და ჩონგურზე დასძახოდნენ. მიხა ჭუჭულაშვილისა, ლადო ოზაშვილისა და სხვა მათ თანამებრძოლ გმირებზე ამ პოემას გარდა შექმნილია ლექსებისა და გადმოცემების ციკლი. პოემას ეტყობა გავლენა მესტიურული „არსენას ლექსისა“. ტექსტს აქა-იქ თითქოს ინდივიდუალური შემოქმედების იერიც აქვს.

ვარიანტები ახლოს არის ძირითად ტექსტთან. თავისებურია ერთი მათგანის დასასრული:

ზოგი საფრღება ყანებში,
ზოგია ჭალა ჭალაო,
გაუმარჯვას პაგიასა,
ბიჭობა მოიხმარაო,
ერთი სალდათი მოეკლათ
ცხენიდან გადმოყვანაო,
ალაზანსაც გადავხედეთ

ვანი, რა დიდი მდგარაო.
ცხენები წყალში ჩაეყარეთ,
მკერდამდის შამაყარაო.
ლადომ გაშალა ხელები,
ჩემ მოკვლას ფიქრობს ჩქარაო,
მიხამ მოიძრო ნაგანი,
მიიდვა ნიკაბთანაო,
გამაუკრიფა, გავარდა,
აგლიჯა თავის ქალაო,
აჰა, რუსებო, მოვეკვდები,
იმრავლოს თქვენმა გვარმაო.

მთქმელი: ილია გონაშვილი. ს. გამარჯვება. წითელწყარო. ჩამწერი: გ. შეთეკაური. 13. VI. 62 ფ. არქ. კ. 118, გვ. 203. ცნობილია ვარიანტები: ფ. არქ. ქ. 67, გვ. 192; ფ. არქ. ქ. 71, გვ. 152. არის კიდევ 158 სტრიქონიანი ჩანაწერი. იგი ახლოს არის ძირითად ტექსტთან. სათაურად აქვს „მიხა მწერლიშვილი“ ფ. არქ. № 22381.

112. მისას ლექსი

ავტორი მთქმელი სოლიკო ალექსანდრეს ძე ახალკაციშვილი, 50 წლისა. ს. მარტყოფი, ჩამწერი უ. ცინდელიანი. 22. V—1961. ფ. არქ. კ. 2. გვ. 28.

113. მალე მოდი, გაზაფხულო

ზემო მაჩხაანი. ჩამწერი რ. პატატაშვილი. ქიზიყ., გვ. 65—65.

114. თქვენი მიხა მწერლიშვილი

მთქმელი მიხა ყველაშვილი. ს. ახალსოფელი. ჩამწერი ბეჟან სივსივაძე. 7. VII—1901. ფ. არქ. ქ. 73, გვ. 307.

ბ

მე ლადო ლევანის შვილი ვარ,
ობლად გაზრდილიო,
ბიძამ თვალში ამომიღო,

როგორც სხვა შეილიო,
ტყეში ისე დავდიოდი,
როგორც ნადირიო.
დამინახა მიხაკამა,
ლადოვ, აქ მოდიო,
წამოდი ბიჭო, ჩემთანა,
გახდი ყაჩაღიო.
მე რომ მიხასთან მივედი,
ძველად ვიცნობდიო,
ლურჯი ქურანი შეკმაზა,
ზედ უნაგირიო,
ზედ შეეჭეჭი ბიჭი ლადო,
როგორც კნიაზო.
მახრანში სროლა მომიხდა,
მოვკალ სტრაჟნიკიო,
სტრაჟნიკის ცხენის ლეშითა
ძღება ყორანიო. '
მიხამ მხრებზე ხელი დამკრა,
იყავ ყოჩაღიო.
ახლა მითხარი ლადიკო,
ვისი გჭირს ჯავრიო,
— იმ სოლომონ ბიძაჩემის,
ცოდვით ავსილიო.
მოიცადე ბიჭო ლადო,
ნუ აჩქარდებიო,
ჯერ აპრილი ხომ ბევრია,
დადგეს მაისიო.
ის სოლამანიც ქერს მკიდა
დაბლა ნაშენშიო,
წინ ლადო გამაეცხადა
უცებ თვალეშიო.
რას მიყურებ ბიძაჩემო,
აღსარება თქვიო.
მაიცადე ბიჭო ლადო,
შვილად შამიხდიო.
ნურას მეტყვი ბიძაჩემო,

გეყოფა ფიცით.
დამიძახა მიხაკამა,
მიე რაშოტო.
ხალხს დაუძახა: მოგიკვდათ
სოფლის სარდალიო.
წადი და ეხლა მადევენეთ
ლაგერის ჯარიო.
ქალაქში ტელეგრამასა
გააქვს ზრიალიო.
მინამ ქალაქში შეკრიბეს
ლაგერის ჯარიო,
მინამ ბიჭებმა გასწიეს
სხვა გრანიცაშიო.
საიქიოს ცოდოს მქნელი,
ჯერ მქედელი, მერე მღვდელი

—

ფ. არქ. კ. 66. გვ. 369. უკანასკნელი ორი სტრიქონი მექანიკურად არის წაბმული ტექსტზე.

ცნობილია ხელნაწერი ვარიანტები: მთქმელი ქიტა კუპატაძე. ჩამწერი გიორგი პაპუაშვილი. 1961. სათაურად აქვს „ლექსი ოზაშვილზე“. მთქმელის შენიშვნა: სტრიქ. 7-ზევ. მიხაკა—მიხა ჭუჭულაშვილია ნაგულისხმევი. ფ. არქ. კ. 1.; მთქმელი შ. წიკლაური. ჩამწერი თ. გოგოჭური. ფ. არქ. კ. 30, გვ. 383.

115. მიხას სიკვდილი

სოფ. ზემო მაჩხაანი. ჩამწერი რ. პატატაშვილი. ქიზიყ, გვ. 63—64.

116. მამუკა და სადარა

ავტორი მთქმელი გასპარა მგელას ძე ქიბიშაური. ხევსურეთი. ჩამწერი სიმონ გაბური. შან. № 220, გვ. 96—97.

აკ. შანიძის შენიშვნა: „მამუკა და სადარა ყაჩაღებად იყვნენ გავარდნილები, სადარა დაიჭირეს და ციხეში მოკვდა. მამუკა ამის შემდეგ მარტო დარჩა და შემდეგ ისიც მოკლეს ბაღდათში“,

შან., გვ. 469. მამუკას ძმისწულის ფოლკლორისტ დავით გოგოჭუ-
რის ცნობით სადარა და მამუკა რეაქციის სუსხიან წლებში ებრძო-
დნენ მეფის მოხელეებს. სადარა გვარად არაბული ყოფილა
სოფ. დათვისიდან. მამუკა გოგოჭურა კი ბუჩუკურთიდან. მათ
მთიანეთში დაუხოცავთ ყაზახები და საწყობიდან იარაღი გაუტა-
ნიათ. ამის გამო ხევესურეთი ეგზეკუციით აუკლიათ. ხალხის გადარ-
ჩენის მიზნით სადარა თვითონ მისულა პოლიციაში. ამ ცნობით იგი
თავის დღით კი არ მომკვდარა, ჩამოუხრჩვიათ. მამუკას განუგრ-
ძნია ბრძოლა მეფის მოხელეთა წინააღმდეგ, მაგრამ ისიც მალე
დარწმუნებულა, რომ ამით ზიანს აყენებდნენ ხალხს. ხევესურეთი-
დან გუდამაყარში გადასულა. შემდეგ წინადადება მიუღია ზელიმ-
ხანისაგან, რათა შეერეთებოდა ჩრდილოკავკასიაში მოქმედ რაზმს.
თერგის ხეობაში მიმავალი მის მეგზურს გუდამაყარელ ჩოხელს
მოტყუებით შეუყვანია ყაზახთა ასეულის რკალში. მა-
მუკას მხოლოდ პატარა ხანჯალი ჰქონია. ტყვეთ დაცხრილულს
მაინც მოუკლავს რამდენიმე ყაზახი. მამუკა მოუკლავთ ძაუგის
მახლობლად სოფ. ბალთასთან. რამდენიმე თვის შემდეგ ხევესურებს
მოუპარავთ მამუკას ძვლები და მის მშობლიურ სოფელ ბუჩუკუ-
რთაში დაუსაფლავებიათ. სიხ. ნარკვ. 1, გვ. 192—193. მთქმელთა
ცნობით მამუკა მოკლეს 1912 წელს. მეფის მოხელეთა წინააღმდეგ
სადარასა და მამუკას ბრძოლაზე არსებობს ლექსებისა და გადმო-
ცემების ციკლი. დავით გოგოჭურის ცნობას, რომ სადარა თითონ
გამოცხადდა პოლიციაში, ადასტურებს ეს ლექსიცა და ამავე ცი-
კლის სხვა ნაწარმოებნი.

117. სადარა

მთქმელი ბესარიონ გაბური. 1916. შან. № 221 — გვ. 97—98;
ხალხ. სიბრძნე, IV, გვ. 231—232. ლექსში გადმოცემული ამბავი
ემთხვევა დავით გოგოჭურის ცნობას, იმის შესახებ, რომ სადარა
შეაწუხა ეგზეკუციით ხალხის აკლებამ, თითონ გამოცხადდა პოლი-
ციაში და მას სიკვდილი მიუსაჯეს.

118. სუვეელას კაი დროი აქვს

მთქმელი დაბალ გიგა (გიგაური). კვირიწმინდიდან კახეთში სოფ.
საკვერეში ჩასახლებული. ჩამწერი სიმონ გაბური. შან. № 226,

გვ. 104. ჩამწერის ცნობით ლექსი 1910 წ. არის გამოთქმული, როდესაც მამუკა გოგოჭური ცოცხალი იყო.

აქ. შანიძის შენიშვნით ს. გაბურს ეს ლექსი მეორედაც ჩაუწერია. აქ. შანიძე აღნიშნავს განსხვავებას დაბეჭდილსა და ხელნაწერ ტექსტებს შორის: სტრიქ. 11—12 მთაზედ (ა) გარდმანჯინარეს (ა) ბევრას მათხრანეს ფეჯანი; სტრიქ. 25—27-ს შუა უმატებს: ამ ჩემს (ა) დაბადებაში არც ღმერთ ყოფილა, არც ჭვარი;

სტრიქ. 3-სულ ოროლნი — სულ ოროლ-ოროლნი; სტრიქ. 25-მე ბეჩავ შვილი — მე კი ბეჩავ შვილ; სტრიქ. 28-როგორც ეგ (რ) რო;

სტრიქ. 14-ს მიმართ აქ. შანიძე შენიშნავს „...სტრიქონის უკანასკნელი სიტყვა ასე აქვს გამოყვანილი: ცანდარი, რომელიც მე ს. გაბურის თავისებური გამოთქმის გამო (სისინა და შიშინა ბგერების გაურკვეველობა, რაიცა წერაზედაც მოქმედობს) „ჩანდრად“ მივიღე და ჩანდრად გადავასწორე და დავბეჭდე კიდევ, მაგრამ თითქო ტყუილად: „ცანდარი“ ციხეაო, მითხრა მან. თუ ეს ახსნა სწორია, მაშინ ეგების ეს სიტყვა ამა თუ იმ გზით სპარს. ზინდანამდე აღიოდეს (ზინდანი — საპყრობილე)“ შან., გვ. 474. აქ. შანიძის შენიშვნის მიხედვით სტრიქ. 28. აღვადგინეთ ჩამწერის ტექსტის მიხედვით — ცანდარი.

119. ზეკუცია არხოტს

მთქმელი გარსია ოჩიაური. სოფ. ახიელა (ხევსურეთი, არხოტის თემი). ჩამწერი აქ. შანიძე. 5.VII—1913. შან. № 222, გვ. 98—99 დავით გოგოჭურის ცნობით, ეგზეკუციის დროს, მამუკამ „არხოტში შეაფარა თავი. ეგზეკუცია ყაჩაღს კვალდაკვალ აედევნა“. სიხ. ნარკვ., 1, გვ. 192.

აქ. შანიძის შენიშვნა: „ეგზეკუცია, ხევსურებისაგან შემდგარი, არხოტს ჩადგა, რადგანაც იქ დამალული ეგულებოდათ ყაჩაღად გავარდნილი მამუკა გოგოჭური, რომელსაც რამოდენიმე კაცი ჰყავდა მოკლული.“

სტრიქ. 19-შაბურაშვილს ეგ უთხარით — შაბურათ აფშინა იმ ხანებში მამასახლისად იყო ხევსურეთში და სამსახურის გამო იძულებული იყო ეგზეკუციას გასძლოლოდა არხოტში; სტრიქ. 21-ჭუტუნიშვილს ვერ აწვალებს — იგულისხმება გიგია ოჩიაური

ახილელი“. ლექსის ავტორის თაობაზე იქვე აკ. შანიძე შენიშნავს: „მათქვამად აქ ლილღველი ასლავაიშვილია გამოყვანილი, მაგრამ ნამდვილად არის ახილელი გარსია ოჩიაური, რომელმაც თვითონ მიაშობო ეს ლექსი“ — შან., გვ. 469.

120. მამუკა გოგოჭური

მთქმელი დიმიტრი ცისკარაული. ხევსურეთი. ჩამწერი სიმონ გაბური. 1912. შან. № 223, გვ. 99—100; ხალხ. სიბრძნე, IV. გვ. 233—235. ახლავს განმარტებანი: სტრიქ. 78 — სჭირსაო — სწირსაო — განმარტება ჩამწერის.

სტრიქ. 87—გემდური გუდამაყრელო ამბობენ, გუდამაყრელო მემცხვარე გაჭაგრებული იყო მამუკაზე თითქო ცხვრის წართმევის თაობაზე, თუ არ ვიცი რაზე და ამიტომ ვასცაო.

დავით გოგოჭურის ცნობით კი გუდამაყრელი ჩოხელი მოსყიდული იყო და ამიტომ უღალატა. სიხ. ნარკვ, 1. გვ. 192.

სტრიქ. 9-22 — ასახავს მამუკას ურთიერთობას ზელიმხანთან, რაც ეთანხმება დავით გოგოჭურის ცნობას იმის თაობაზე, რომ მამუკამ მიიღო წინადადება, შეერთებოდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედ რაზმს და ამ მიზნით გაემგზავრა კიდეცაც თერგის ხეობით.

ბ

ზენაით იწერებიან:

„ვეფხვი დაზეზდა მთისაო,
არავინ დაგაზიანასთ,
არვინ დაგზინასთ მწყლითაო“.
საძელის წვერზე შამოკლა
მინინო კივილითაო.
ჩრდილოეთისკენ დაბრუნდა,
გავლა სწადიან გზისაო.
„უნდო დავლაქა, — ამბობდა,
„მთა-ბარი დალისტნისაო,
შამოვხვდა თავის ამფასა
ძელიმ-ჟარს ქისტისშვილსაო.
ჩამოვა, ჩამობოინობს
ლალი არწივი მთისაო.

ჩამოჰყვეს ნისლის კოტორნი,
შავი ღურბელი ზღვისაო;
დაუტყდეს ამხანიგები,
მკერელ აღარ ჰყავ მჭრისაო.
არას ნაუღლობს ობოლი,
თავი არ უჭირს სხვისაო:
წელთა ღბავ თავის შავხალი,
ერთგული პატრონისაო.
შამეეყარა წყემსები,
ნაცნობი დიდის ხნისაო;
ლალატით ხკითხეს ამბავი,
სალამი მისცეს გზისაო;
არ მალგონდების მამუკას,
თუ „ჩამისხემდეს მზირსაო“.
მარტუას შამეეყარა,
ჯარი დგა ყაზახისაო.
ნაბადი გვერდზე გადიგდა,
ძალი აკსენა ხთისაო;
„აბა, ორპირო რკინაო,
საქმე ეხლა-ლა ჰირსაო“.
ემადრივლების ხანჯარსა,
— რაგორ გემოზე ჰირსაო!
თვალ-წამიეთის ხანზედა,
მინდორ აივსო მკედრითაო.
მოვიდეს ჩერქეზთ ქალები,
ცრემლით იბანენ პირსაო.
„შენ გლეხი არა ყოფილხარ,
აზნაური ხარ მთისაო“.
გემდური, გუდამაყრელო,
პატრონო ფარის ცხერისაო.
ლალატით მოგიკვლევაგის,
ჰკვაზე კი ვერა ხქენაო.
ქიჩილა დაიხურდი,
კაბაი დიაცისაო;
აიღენ ტარ — ნამტენანი,
ჩამოჯე კერის პირსაო.

აზაგის მალექსობელი
ძაუგის პირსა ზისაო,
კელში მიჰერავ სტაქანი,
შასანდობარი მკედრისაო.

მთქმელი სადარა კინჰარაული, გუდანელი. სოფ. გორულში
(ბაკურ-ჟევი) ჩაწ. აკ. შანიძის, 23. VI—1913. შან., გვ. 469—470.

8

ქვენაით იწერებინან:
„ვეფხვი დაზეზდა მთისაო.
არავინ დაგაზიანნას,
არვინ დაგხინათ მწკლითაო“.
შამაქდა საძელეზედა
ძინინო კივილითაო.
ჩამაეას ბაკურ-ქვეშია
სტუმარი ერთის დისაო.
ქელ-ფეჟ გექნება მომზრალი,
ტყავ გაყოლილი ჯღნისაო.
ბალთას შამახვდა მწერელი,
მაუკოცნიდა პირსაო.
დაელა კაზარმაები
თერგისა ყაზახისაო.
„თუ კი ყაჩალი არა ხარ,
ბილეთ გექნება გზისაო“.
კარტიქკა გადმაუჩვენეს,
პირ შამახყარეს პირსაო.
„ნანდვილად მამუკა (ი) ხარ,
მამკლავი სამ-სამისაო.
ნაბად იქცივა გვერდზედა,
ძალი აკსენა ხთისაო.
„ჩემო ბატარავ ხანჯარო,
საქმე ეეხლად ჭირსაო“.
ურჯულოს გადაუქნივა,
შიშით დაეცა ძირსაო.

ცოტაი ხნიდგეს მამუკამ
რიყე გაავსე(ა) მკვდრითაო.

ჩამწერი აბიკა. შან., გვ. 470. არის სხვა ვარიანტებიც. ნ ა ბ ე-
ქ დ ი: მთქმელი 16 წლის დავით პირქუშაშვილი. ჩაწერა ჩარგალში
მაყვალა მრევლიშვილმა. შან., გვ. 471;

ხევსურეთი. ჩამწერი გიორგი წერეთელი. შან., გვ. 471—472.
ჩამწერის განმარტებანი: სტრიქ. 19-რა ეგონა — ე გ რ ე ე გ ო ნ ა
სტრიქ. 74-მაგ — მ ა ქ ვ ს; სტრიქ. 82-შინ — შ ე ნ.

აქ. შანიძის შენიშვნა: „აქ გადარეულია ერთმანეთში დ. ც ი ს-
კ ა რ ა უ ლ ი ს ა და გ უ ლ ბ ა თ ი ს ლექსის მუხლები: თავი ც ი ს-
კ ა რ ა უ ლ ი ს ა ა და ბოლო კი უმთავრესად — გულბათისა. შდრ.
№ 225 (იგულისხმება შან. № 225). გადარევას ხელი იმან შეუწყო,
ალბათ, რომ ორივე ერთსა და იმავე საგანს შეეხება და რითმაც ერთ-
ნაირი აქვთ“ — შან., გვ. 472. სხვადასხვა მთქმელის ლექსთა მუხლე-
ბის შერწყმა, ე. ი. კონტამინაცია — ზეპირსიტყვიერებაში კანონზო-
მიერი მოვლენაა.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: მთქმელი ბერო ჭამაგაძე. ჩაწერილი ხევ-
სურთ სოფელში (თიანეთის რ.) ელენე კენკიშვილის, 1962. სათაუ-
რად აქვს „მამუკას ლექსი“. უძღვის შენიშვნა: „მამუკა იყო ხევსური
ყაჩაღი, რომელიც დალატით მოკლეს“. თსუფა № 2587.

121. რას სფიქრობ ბესარიონო

მთქმელი ახალა არაბული. ჭუთა. ჩამწერი აკ. შანიძე. 3.
VIII—1913. შან. № 224, გვ. 100—102. ლექსის ავტორია ცნობი-
ლი მოლექსე ბესარიონ გაბური.

ბ

ავტორი და ჩამწერი ბეს. გაბური. ძირითადი ტექსტი შემდეგ შე-
ქმნილი ვარიანტია. ამის გამო ძირითადი ტექსტის შენიშვნაში აკ.
შანიძე წერს:

„საინტერესოა შევადაროთ ისინი ერთმანეთს, რომ ნათელი
იყოს, თუ რაოდენად ახლო მიჰყვება, ზოგიერთ შემთხვევაში, პირ-
ვანდელ წყაროს სხვების მიერ დასწავლილი და გამეორებული“.
შან., გვ. 472. აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს ძირითად ტექსტსა და

ვარიანტს შორის არსებული განსხვავებანი: სტრიქ. 4. ვერას — ვერც-რას: სტრიქ. 11-ვაჟიას შვილო — ბუჩუკურელი (მამუკას მამას ვაჟია ერქვა, ხოლო სოფელს — ბუჩუკურთა); 15-ცასა ჩამოსდის — და ცას ჩამოსდის;

18 — ტანია — მკვდარია; — 19—20 — „...მთა-წვერთა არწივი მეომარია — მზეზედა შევარდენივით ჩქარია; — სტრიქ. 21—30-აკლია ბეს. გაბურს;

სტრიქ. 33-გავიდა — გაილა; სტრიქ. 35-სულეთში აკლია ბეს. გაბურს; სტრიქ. 37-გადავა (მამჭრეი — გყავისა ამქრე ბი; 41-იტყვისა) — ამბობსა' 44-ბეგენტგორ—ბეკენტ-გორ; 45 მარტო -მარტომ, მოამბემ მარტომ ფორმა მეორე ზმნას დაუკავშირა ალბათ: მარტომ... ჟოცა); 48-ჩააგა — ჩაიგა; ამის შემდეგ (ე. ი. სტრიქ. 48—49-ს შუა ქ. ს.) ბეს. გაბური უმატებს:

ამანდით ამაბრუნვილმა
გზის ძირ ჩახყუნდა ქვანია.
ცოდვან მოხკიდნა ჳმლისანი,
ვინაც გაივლის მგზავრია.
ვინც ამას გადასცილდების,
ვინც არ დალოცოს სამია.

სამაგიეროდ გაბურს აკლია სტრიქ. 49—50; სტრიქ. 53-ბორბალას — ბორბალა; 54-სიხსლით — წითლად; 56-გასწყდა — მასწყდა; შემდეგ გაბურს აკლია: სტრიქ. 59—64; 69—72; 75—76. ხოლო სტრიქ. 73—74 სტრიქ. 77—78 უსწრებს ოდნავი ცვლილებით:

ველარ ვინ გაზდის შენფერსა
შვილად ქვესურის ქალია.

მიმართვა გოგოქურებისადმი სტრიქ. 79—96 სრულეებით არ მოეპოვება გაბურს, სამაგიეროდ აქ ლექსი ასე თავდება:

ვერა ვიამბე სიტყვები,
გმირო, შენ შეშადარია. — შან., გვ. 472—473.

იქვე აკ. შანიძე შენიშნავს: „საყვედური მკვდრის გაწირვის შესახებ (სტრიქ. 79—80) იმით აიხსნება, რომ, ხევსურების შეხედულების თანახმად მკვდარი თავის მიწა-წყალში უნდა დაიმარხო. თუ ვინიცობაა უცხო მხარეს გარდაიცვალა ვინმე ხევსური, თუ.

რაიმე საშუალება კი არის წაღებისა, აუცილებლად წაიღებენ ხოლმე" — შან., გვ. 473. დავით გოგოჭურის ცნობით მამუკას „ძვლები ხევსურებმა მოიპარეს და საკუთარ სოფელში: დაასაფლავეს“ სიხ. ნარკვ. 1, გვ. 193.

აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს ისიც, რომ მოლქქესს გამოყენებული აქვს ზურაბ ერისთავის წინააღმდეგ მებრძოლ მამუკა ქალუნდაურზე შექმნილი ლექსის სტრიქონების ვარიანტი. შან., გვ. 473.

122. ეური დამიგდით

მთქმელი გუდანელი სადარა ჰინჭარაული. სოფ. გორული (ბაკურ-ხევი). ჩამწერი აკ. შანიძე. 23. VI—1913. შან. № 225. გვ. 102—104.

აკ. შანიძის შენიშვნები და განმარტებანი: სტრიქ. 16-მთვარევე ხუთმეტი დღისაო — იგულისხმება მამუკა; 26-ციხეო ბასრის ქეისაო — აქაც მამუკა იგულისხმებაო; სტრიქ. 43—44-იგულისხმება „ზეკუციის“ დროს მომხდარი ამბები (მითითებულია შან. № 222. ქ. ს.) სტრიქ. 51-გაზაფხულისად მაგჩების — ე. ი. საგაზაფხულოდ მოგირჩებაო; სტრიქ. 72-მამქლავი სალდათისაო — სალდათი შემოჭკდომოდა მამუკა და სადარას, როცა ისინი თოფის წართმევას უპირებდნენო. შან., გვ. 473.

ბ

ახლად ავიღე, ჩონგურო,
ხანია ლექსობისაო,
საშიბის ლარებ აგასხი,
გული აგაკარ ხისაო.
დაგიკარ, ისრე იძახე,
მეგონე სპილოს ძვლისაო.

არეულ ნისლებ ამოდის,
არხოტში გადადისაო.
შენ ფხიტურ გადაგივლავის,
არწივო მალღის მთისაო.
გადადი ბაკურ-ქევშია,

სტუმარი თავის დისაო.
ქელ-ფექ გექნება დამძრალი,
ქარ — ატანილი ჯღნისაო.
გადადი ზელიმ-ხანთანა,
მპერელ გექნება მკრისაო.
ლამე იარე, კევსურო,
დანდობა ნუ გაქე გზისაო.
შამოგხვდებიან ყაზახნი,
მსახურნი ქემწიფისაო:
„— ქევსურო, ბილეთ გვიჩვენე,
თუ გავლა გინდა გზისაო“.
იმანაც გადააწვავა
ნაწერი დიდის ხნისაო.
— „თუ სხვა არა გაქე, კევსურო,
შენი გაშვება ჳირსაო.
პირდაპირ მამუკაი ხარ,
მამკლავი სალდათისაო.
ორისა აბეშიკისა,
ქისტისა მურთაზისაო“.
„გამიშეით, — ეუბნებოდა,
— მე თქვენ არაი მკიდაო:
არცა ვარ თქვენი მამკლავი,
არც კიდე თქვენი ძმისაო“.
— „არ შაიძლება გაშვება
შენ-ფერა ბუსურბნისაო“.
წელთა რტყავ ქისტურ ხანჯარი,
ტარი აქე სპილოს ძვლისაო.
წინ-წინ ურადნიკს ჩამაჰკრა,
ნათოზებ ჩამოდისაო.
მეორეს გადაუქნია,
— სიმოკლე არ უშლისაო.
მესამეს გადააწვავა,
ნახე როგორა ჳრისაო!
მერმე გაიქცა პირ-ალმა,
მუკლი აქე ნიავე-ქრისაო,
ზაგრამ დასწიეს მალევა

ტყვიანი ვარშავისაო.
ოკერო ვარშავიანო,
ვაუკაცს პირს მოღგვარი ღმნისაო!

ემაგის მოლექსებელი
მალლა ქერხოჩი ზისაო.
ემტერებიან რუსები,
მუქარა მაუღისაო.

მთქმელი ლუკა მაჩხოშვილი. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან., გვ. 473—474. აქვე აკ. შანიძე მიუთითებს, რომ ერთი ვარიანტი მიბმულია დ. ცისკარაულის გამოთქმულ ლექსზე (იგულისხმება— შან. გვ. 471—472.)

123. წმინდა გიორგი გწუალობდას

მთქმელი მოხევე სოფ. სნოს მცხოვრები გუგუა ლუღუშაური. ჩაწერილი სიმონ გაბურის მიერ. შან. № 227, გვ. 104—105. ჩამწერის ცნობით გუგუა ლუღუშაური ავტორია (მათქვამი) ამ ლექსის. შან., გვ. 474.

ბ

სადარა მამუკიამა
პირობა შაკრეს მაგარი.
ციხით გამოდის თოფები,
კოშკებმ დაიწყეს ზანზარი.
ემანდ ყაზახებ მოსულან.
ყაჩაღის დასაქერლადა.
„აქ მოდით, კახის ქალებო,
ორნი ვართ, განა ლაშქარი?“
მამუკამ ნახა სიზმარი,
ზელიმ-ხანს უყვა თვალია.
ადგა და გამეემართა,
გადაიარნა მთანია.
არხოტის გადმოსავალში
უკულმ აბრუნებს ქარია.
ჩავიდა რეხვის წყალზედა,

გაშინჯა მთა და ბარია.
 ბალთისაჲ გამეფმართა,
 საომარ ეტყვის მქარია.
 ბალთაში როცა ჩავიდა,
 დახვდა ყაზახის ჯარია.
 დაჰკითხეს სახელ-გვარია.
 — „რად გინდათ ჩემი ბილეთი?
 რად ამიტეხეთ შარია?
 მე თუ ყაჩალი გგონივართ,
 სადა მაქვს თოფი-დ' კმალია?
 თქვენც უნდა გებრალეზოდესთ
 შაწუხებული მგზავრია“.
 მამუკას ცეპი დაარტყეს,
 ერთის ნიმუტის ხანია.
 მამუკამ ხანჯარ გაიძვრა,
 მაგრა უჭერავ ტარია.
 გამეფერია ყაზახთა,
 დადგა ერთ ცოდვა-ბრალია.
 მამუკა პირ-აღმ გაიქცა,
 მუკლი მიწასთან მკრთალია.
 მამუკას ტყვია მაარტყეს,
 პირთაქვე ჰგდავის მკვდარია.
 ხუთ სასროლიანს ნატრულობს,
 აღარც მალღების ხანია

ამაგის მალექსებელი
 ბალთაში მუშა ვარია.
 უხახუნებდი კანუას,
 კარგად წავიდეს წყალია.
 სალექსოდ გამომიგზავნეთ
 ერთი შიშაგი ცხვარია.

მტკმელი ივ. თანდილაშვილი. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან.,
 გვ. 474—475. აკ. შანიძის შენიშვნა: პრიველი ოთხი მუხლი
 (იგულისხმება სტრიქ. 1—8 — ქ. ს.) თავისი რითმით ძალიან უახ-
 454

ლოვდება დაბალ გიგას (გიგაურის. ქ. ს.) ლექსს (შან., გვ. 226) და შეიძლება მისი ნაწილიც იყოს“ შან., გვ. 475.

124. შაქება სევსურიძეილისა

მთქმელი გარბანელი თათარა წიკლაური. 10 წლის. სოფ. როშკა. ჩამწერი აკ. შანიძე. 20. VII — 1911. შან. № 228, გვ. 105—106.

სტრიქ. 30 გძელი — მხნისაო — შესწორებულა აკ. შანიძის შენიშვნის მიხედვით. შან., გვ. 475.

აკ. შანიძეს მეორედ უთქმევიწებია მთქმელისათვის ტექსტი აღნიშნულია ვარიანტული სხვაობანი:

სტრიქ. 47—48—წვერით იქმარა ხანჯარი,

ყამი არ ხქონდა მტრისაო;

სტრიქ. 57-გაიქცა — გ ა ი გ დ ა; სტრიქ. 69-მაუა — მ ი უ ლ ა ვ;

სტრიქ. 71-ისი ითქვა — ი ძ ა ხ ა; სტრიქ. 79-დაჯდა, უამბა — ი მ ა თ შ ა შ ი ვ ლ ა;

აკ. შანიძის მითითების მიხედვით (შან., გვ. 475), სტრიქ. 84-შესწორებულა — „ქელჩი“.

აკ. შანიძის მიერ აღნიშნულ განსხვავებას ერთი მთქმელის მიერ ორჯერ ნათქვამ ტექსტებში, მნიშვნელობა აქვს ზეპირსიტყვიერების სპეციფიკის გასათვალისწინებლად, რომ თვით ერთი ლაიგივე მთქმელიც — ერთსა და იმავე დროსაც კი არ იმეორებს უცვლელად ტექსტს. ეს მაჩვენებელია ზეპირსიტყვიერებაში ვარიაციის დიდი როლისა.

125. ეური დამიგდეთ, ბიჭებო

ავტორი-მთქმელი ბეს. გაბური. შან. № 229, გვ. 106—107.

ბ

ყური დამიგდეთ, ვაჟებო,
სიტყვა რო გითხრათ მართალი;
მამუკა ბუჩუკურელი
განა მართლად ას მამკედარი?!
სახელს სრუ მუდამ ისი ჯობ,
მაგის ბალთაში ნაქნარი.

მაუა ჩაჩანჩივითა
 ძელიმ-ხნის შემონათვალი:
 „ჩამეედ, მთისა არწივო,
 ვლაკათ დალისტნის მთა-ბარი!“
 საჩანროდ დაეშადების,
 ვაჟმ დააფხავა ხანჯარი,
 საჩქაროდ გადაიარა
 საძელის მთაი მაღალი,
 ჩამოვა კევის ქალასა,
 შუადღეია დამცხარი.
 ჩოხელათ გუდამაყრელსა
 ღმერთი გაუწყრას მაღალი!
 მაგათ უამბეს ამბავი,
 გზაჩი ჩაუსხეს ლაშქარი.
 ბალთაში ჩამამავალსა
 გარმადელობა ჩაფარი.
 ქისტო, გიცხონდას გამზღელი!
 გულ შენ გდებია მაგარი.
 შენს მეტმ ვერავინ დასწონა
 ზედ მიხვედ შორით გამხტარი,
 ქელ-უკულმ გამრაქნეულმა
 დაგლიჯნა უბის მასრანი.
 გულზეით გარმანადენმა
 სისხლმ შეგიღებნა კალთანი.

—

ჩამწერი გიორგი წერეთელი. შან., გვ. 475—476. არის სხვა ვარიანტებიც. ნ ა ბ ე ჯ დ ი: მთქმელი ივანე გელიძე. ჩაწერილი ხევსურეთში შალვა დოლაქიძის. შან., გვ. 476; მოხ. გვ. 88.

ხ ე ლ ნ ა წ ე რ ი: მთქმელი მართა ლიქოკელი. ჩაწერილია დღეობაში, თიანეთის რ. შ. კონსტანტინილის. ფ. არქ. კ. 21, გვ. 130—131.

126. სწორ-სწორად შაქება

მთქმელი-ავტორი ბათიკა კინჭარაული. სოფ. ბარისახო. ჩამწერი აკ. შანიძე. 13.VII—1911. შან. № 267, გვ. 120. მამუკა გოგოჭურს გარდა ლექსში სხვა გმირებსაც ეძღვნება ხოტბა, მაგრამ

ძირითადი მაინც ხევესურეთში ეკზეკუციის ამბავია. ლექსის მკა-
ვარი ადრესატიც მამუკა გოგოჭურია. ამიტომ შემოგვაქვს იგი რეა-
ქციის ამსახველ ლექსების ციკლში.

127. სალდათი ვარ ნაფიცი

მთქმელი დარღო სიხარულიძე. სოფ. გოგოლეისუბანი (ჩოხა-
ტაურის რ.), ჩამწერი ქს. სიხარულიძე, 1933. გავრცელებული სასიმ-
ღერო იყო.

128. მეცხვარე სალდათი აფიცურზე

ავტორი-მთქმელი სალდათად გაწვეული უკანა ფშაველი იოსებ
ჯიეღლაური. ოდესა. ჩამწერი იქვე სალდათად მყოფი ბესარიონ გა-
ბური. 1910. შან. № 452, გვ. 170.

129. ქება გითხრათ რისა

მთქმელი ლავრენტი მურჯინელი. სოფ. ბარალეთი. ჩამწერა
გ. გოგოლაძე. 1936. ი. მაისურაძის კოლექციიდან.

130. სალდათში მიმავალი

მთქმელი-ჩამწერი ბეს. გაბური. შან. № 447, გვ. 167. აკ. შა-
ნიძის შენიშვნა: „ბესარიონის ხელნაწერში ეს ლექსი ასეა
ხელმოწერილი: ჩ ა გ ვ ი რ ი ლ ა. რადგანაც „ჩაგვირილა“ ერთ-
ერთი შერქმეული სახელია თიკუნია ბესარიონისა, ამიტომ ლექსი მი-
სი ნათქვამი უნდა იყოს“ — შან., გვ. 537.

131. სმირნაზე

ავტორი ალექსი ოჩიაური. შან. № 454, გვ. 171. აკ. შანიძის
შენიშვნა. „ეს არის ალექსი ოჩიაურის მიერ ნათქვამი
ლექსი, თითქო წერილად მიწერილი წვრილასადმი. ეს წვრილა,
ამლიონი, გვარად წიკლაური, შემდეგ ავსტრიის ფრონტზე ზოკ-
ლეს“. შან., გვ. 538.

132. მოვტუევიდი

მთქმელი ს. ნიკუაშვილი, სოფ. საჯობო (სიღნაღის რ.). ჩამწერი გ. შეთეკაური. 21.VI—1962. ფ. არქ. კ. 115, გვ. 116.

133. ნაობრანცს

მთქმელი-ჩამწერი ბეს. გაბური. შან. № 446, გვ. 167.

134. თეთრ-ქუდაები სარუსეთოდ

ავტორი ბესარიონ გაბური. შან. № 448, გვ. 167—168. ახლავს ავტორის შენიშვნები: „ლექსი ბესარიონ გაბურისა, ნათქვამი არის ნავობრანცობის დროს ქ. დუშეთში 1909 წ. 10 გორგობისთვის“; სტრიქ. 43—44—წადი და აიქ იძიე, ვისაც მიგიდევს ვალია — „ვისაც სისხლი გიმართებსო, — ეს იმაზე იყო: იმ დროს კობელი ოსი მოკლეს წევსურებმა და ის ოსი სტრაჟნიკი მე გადამეშარა როგორც ქვესურს“ — გაბური — იხ. შან., გვ. 537—538. ბესარიონის გამოთქმულ ლექსს ვარიანტიც გასჩენია.

ბ

დუშეთ მთარობამ შეყარა
ახალ სალდათის ჯარიო.
აბეჩან, ნობრანცებო!
არ გაქვისთ კაცის ყამიო.
თითო ას აგეთ-აგეთი,
ალვის ხეს უგავ ტანიო.
დააღებიეს დუქნები,
ძალად უმტვრიეს კარიო.
თეთრად გაივლის ღამეი,
მავიდა დილის ხანიო.
„ხოლ დილა წავალთ რუსეთა“,
გვიცხადებს კომანდარიო.
ემზადნეს თენებაზედა,
ხთისა აქსენეს ძალიო.
წავიდა სარუსეთოდა
თეთრ-ქუდაების ჯარიო.

დავსტყულიშე ოსის სტრაენიკსა,
აბრუნდა როგორც ტარიო.
წამოდგა გაჯავრებული,
შემამიქნია კმალიო.
კელთ შემრჩა იმის ხანჯარი,
კი ეკრა სპილოს ტარიო.
მეება წარბის თავზედა,
საწყინარ ეტყვის მქარიო.
მიჩივლა ნაჩალნიკთანა,
ყვიროდა როგორც კარიო.

—
ჩამწერი სოფ. კიმლის მცხოვრები სიმონ გაბური. შან., გვ.
538.

135. სალდათობის მამკონელი . .

მთქმელი გიგია არაბული. სოფ. თრანი (თიანეთის რ.), ჩამწე-
რი შოთა კონსტანტილი. 1961 წ. ფ. არქ. კ. 21, გვ. 61.

136. საასალწლო მილოცვა სწორებს

ავტორი ბეს. გაბური. შან. № 463, გვ. 177. აკ. შანიძის შენიშ-
ვნა: „ნათქვამია ბ ე ს ა რ ი ო ნ ი ს მიერ 1910 წელს, 1 იანვარს,
ოდესაში, სადაც სალდათად იყო“ შან., გვ. 539.

137. სალდათის სიკვდილი

შან. № 464, გვ. 178. აკ. შანიძის შენიშვნა: ...ნათქვამია ბ ე ს ა -
რ ი ო ნ ი ს მიერ 1910 წელს, ადესაში“. სტრიქ. 28-მთქმელის
შენიშვნა: „მკოცელო ქისტებისაო“ — „ამირა გოცირიძეს ჰყავდა
შოკლული ოთხი ქისტი, როგორც თუშებმა მილაპარაკეს, მემცხვა-
რეობის დროს“, შან., გვ. 539.

138. სალდათის დანაბარევი

მთქმელი და ჩამწერი ალექსი ოჩიაური. შან. № 455, გვ.
171—173, ჩამწერის შენიშვნა: „გ ი გ ა ი ყ ვ , ა მ ღ ი ო ნ ი , თ ი -

კუნს იქვიენებდა ნ ა კ შ ი რ ა უ ლ ს. კაი ყოჩად ოშკაც იყვ, რო არხოტ ცალ არ ხყვანდ. 1905-ში წაიყვანეს, ვერ აიტან იქაურ ჰერი, დასნეულდ. ეს ლექსი იქით მაწერილი, როსაც ცოტად კარგად შავარდ. მემრ შინ შავიდ. გათავისუფლებულ ავადობითა. გაქდ აოდა, არცა-დ გადაშჩ, — როგორც ლექსში ამბობს, — მოკვდ. მეორედ გაქდილი. ეს ლექსი მე მქონდ გაგონილი, სინამდვილით დავსწერი“. მისივე განმარტება: სტრიქ. 33-სასიკვდილო რო მიქ-ნიე — „ხანჯარი უქნია“ — შან., გვ. 539.

139. რუსეთში ჩამომიყვანეს

შან. № 459, გვ. 174—175. ამ ლექსის გამო აკ. შანიძე წერს: „ამ სათაურით (იგულისხმება „ვაენი გოსპიტელში“ — ქ. ს.) ოთხი ლექსია გაერთიანებული, რომელთაგანაც სამი ა ლ ე ქ ს ი ო ჩ ი ა უ რ ი ს ა არის და მისგანვეა ჩემთვის გადაწერილი, მეოთხე-კი, № 459, ვეფხისტყაოსნურად გაკეთებული, სხვა პირის გამოთქმული უნდა იყოს. იგი ალ. ოჩიაურის მიერ გადმოცემულ მასალებს მოჰყვა, მაგრამ უცნობი პირის ხელითაა დაწერილი. ეს ლექსი შემოკლებულად არის აქ დაბეჭდილი: გამოვეუშვი (მე-16 მუხლის შემდეგ — ჩვენი დაყოფით სტრიქ. 32-ს შემდეგ — ქ. ს.), შვილი ოთხეული (28 მუხლი — ჩვენი დაყოფით 56 სტრიქ. ქ. ს.), სადაც „ურჯულო“სთან (ქისტებთან) ბრძოლის ჟინია გაღვივებული“ — შან., გვ. 539.

140. შორად რუსეთში ჩამოვედ

ავტორი ალექსი ოჩიაური. შან. № 458, გვ. 174. ეს ერთ-ერთი ლექსია, რომელიც ალ. ოჩიაურს აკ. შანიძისათვის გადაუწერია და შეუტანია ლექსების ციკლში, რომლისთვისაც მიუტია საერთო სათაური „ვაენი გოსპიტელში“ — შან., გვ. 539.

141. ღელვა ზღვაზე

ავტორი ალექსი ოჩიაური. შან. № 451, გვ. 169—170.

142. რუსეთში არსოტიონსა

ავტორი ალ. ოჩიაური. შან. № 457, გვ. 173—174. ავტორს ტექსტი შეუტანია ლექსების ციკლში „ვაენი გოსპიტელში“ და გადაუცია აკ. შანიძისათვის. შან., გვ. 539.

143. ხელში ავიღებ კალამსა

ჩაწერილი 1961 წ. ფ. არქ. ქ. 26, გვ. 96—98.

144. ჯარისკაცული

ჩაწერილი 1961 წ. ფ. არქ. ქ. 118, გვ. 208.

145. მობილიზაცია .

ჩამწერი ბეს. გაბური. შან. № 466, გვ. 180—181. ჩამწერის შენიშვნა: სტრიქ. 103—104-მელექსეს ვერას გაიგებთ, საერთოდ ნაუბარია — „ეს ლექსი არის ნათქვამი საერთოდ ბეს. გაბურის, თოთია ოჩიაურის. წვრილა წიკლაურის, ივანე არაბულიისა და აბა გიგაურისა 1914 წელს, 21 ივლისს“ — შან., გვ. 541.

146. სალდათად დაბარებული

მთქმელი და ჩამწერი ალექსი ოჩიაური. შან. № 451, გვ. 169—170; ქრესტ., II № 102, გვ. 115—116.

147. კერმანიის ომი

მთქმელი მიშა კობიაშვილი. თუშეთი. 1931. მაკ. თუშ. № 35, გვ. 43.

148. ათასცხრაას თორმეტ წელსა

ჩაწერილი 23. VIII—1961 წ. ფ. არქ. ქ. 71, გვ. 167.

149. ბრძოლის ველზე

ავტორი ბეს. გაბური. შან. № 467, გვ. 181—183; ქრესტ., II № 103, გვ. 116—117; ხალხ. სიბრძნე, IV, გვ. 254—258.

ახლავს შენიშვნა: „ბრძოლის ველზე ნათქვამი დაკრილ ბესარიონ გაბურისა“ — შან., გვ. 541.

150. წელწად-წუსრა გრანიტაზედ

ავტორი ბეს. გაბური. შან. № 468, გვ. 183—184. ბეს. გაბურს გამოუთქვამს 31. XII—1914 წ. შან., გვ. 541. ავტორის შენიშვნები: სტრიქ. 36-შინ, ბოთლა უდგას ცამცამი — „ქვესურის ქალებმა ხშირად იციან ბიჭისთვი არაყიან ბოთლის შანახვა და როცა მოუვა ნათესავი ან მოკეთე, მაშინ დააღვეინებენ. ეს ბოთლა არის“; სტრიქ. 40-ხართ გულანურში ჩამძვრალი — „აგრეთვე ქალი ლოგინშიაც მიუტანს ბოთლას არაყიანს და ბიჭს ჩუმად დააღვეინებს“ — შან., გვ. 541.

ბ

ჩაწერილი თიანეთში. ვ. კოტეტიშვილის. 17. 11—1931 წ. გადაუცია აკ. შანიძისათვის. შან., გვ. 541. აკ. შანიძეს აღნიშნული აქვს ძირითად ტექსტსა და ამ ვარიანტს შორის არსებული განსხვავებანი: სტრიქ. 1-გათენდა წელწად დილაი; სტრიქ. 6-ლუდით და არყით; სტრიქ. 7-ჩვენთვის რად არის; სტრიქ. 11-ბევრ... (შემდეგ ცარიელი ადგილია დატოვებული, როგორც ჩანს, გადამწერს ვერ გაურჩევია დაწერილი); სტრიქ. 15—16-ოჰ, რა-რიგს დროებაში წელ გაგვითენდა ახალი; სტრიქ. 32-უნდ უბარათ; სტრიქ. 36-შინ ბოთ დაუდგა; სტრიქ. 45. არვინ გვაკადროთ. შან., გვ. 541.

151. ჯარის მხედარი

ფ. არქ. კ. 113, გვ. 179.

152. სალდათის წადილი

ავტორი ბაძია გაგაის ძე ქერაული. შან. № 462, გვ. 177. ავტორის ლექსი პეტერგოფიდან პეტერბურგში (ახლანდელ ლენინ-462

გრადში) გაუგზავნია აკ. შანიძისათვის. აკ. შანიძეს მიუღია 5. 11—
1914 წ. შან., გვ. 539. სტრიქ. 3-დახკვებვენ — 1 გვერდით მიწე-
რილი ყოფილა — ხ ყ ო რ ე ბ ე ნ — იქვე.

153. გადათხეული

მთქმელი აფშინათ აბა გიგაური — წარმოშობით ხევსური —
ბლოელი. ჩასახლებული იორზე — სოფ. ფიჭვიანში. ჩამწერი სი-
მონ გაბური. შან. № 453, გვ. 170 — 171.

154. სალდათში, მიმავალ ძმასა და სწორფერს

ხევსურული. ჩამწერი თედო რაზიკაშვილი. შან. № 449, გვ.
168. ჩამწერის განმარტებანი: სტრიქ. 12-წამიყვანილით — წ ა
მ ი ყ ვ ა ნ ო დ ი თ; სტრიქ. 14-თქვენს წინ ქალალდი გავიგა —
ვ ი თ ო მ წ ი გ ნ ი წ ა ვ ი კ ი თ ხ ო ვ ო — შან., გვ. 538.

155. წვრილას

ხევსურული. ჩამწერი ალექსი ოჩიაური. შან. № 473, გვ. 189.
აკ. შანიძის შენიშვნა: „სათაურად აქვს „გრანჯა და წვრილა“, მაგ-
რამ, როგორც მეორე ვარიანტიდან ჩანს, გ რ ა ნ ჯ ა ავტორი უნდა
იყოს“ — შან., გვ. 543.

ბ

აბეჩან ჩემო ძმობილო
ნეტარ, სადა-რა წევსაო?
რას ქვეყანაში გავიდა,
ქალალდს სადა-რა სწერსაო?
შენ, დიღო ჩემო იმედო,
სად ჩაიკაფრე წელსაო?
ველარცა გნახე თოლითა
თიბის სამშაბათს დღესაო.
ურჯულოს ედგე ძალზედა,
ტერდას სთესევედი ქერსაო.
კმა რომ რა შამაორდების,

ვინა-ღ დახვდების მტერსაო?
შენ სანადიროთ, წერილაო,
ჩვენ ვერვინ მავხყრით კელსაო.
კელმწიფე ნებას არ აძლევს,
მთა წვერთ რო აღარ გლისაო.
ველარცად თოფნა ვაჟამა,
ჯიკვებ სულ — ფონა დისაო.

მელექსეს თუ რას იკითხავთ,
ნათქვამი გ რ ა ნ ჯ ა ი ს ა ო .

ჩამწერი სიმონ გაბური. შან., გვ. 543.

156. მაკითხვა

ავტორი ალექსი ოჩიაური. შან. № 461. გვ. 176.

157. ვაენი გოსპიტელში

ავტორი ალექსი ოჩიაური. შან. № 456. გვ. 173. ამ სათაურით
ალექსი ოჩიაურს აკ. შანიძისათვის გადაუწერია ოთხი ლექსი.
შან., გვ. 539.

158. შინისკე მზადება

ავტორი ალექსი ოჩიაური. შან. № 460, გვ. 175 — 176. აკ.
შანიძის შენიშვნა: სტრიქ. 81-მოვასწრობა, თუ მამასწრობს —
ე. ი. მე მივასწრებ შინ, თუ წერილი, ფოსტით გაგზავნილიო. შან.,
გვ. 539.

159. სუალკაზედ

მთქმელი გიგია ჭინჭარაული. ბარისახო. ჩამწერი გიორგი წე-
რეთელი. შან. № 469, გვ. 184 — 186. აკ. შანიძის შენიშვნა: სტრიქ.
81—82 „როგორც დავით ლიქოკელმა 1931 წ. გადმომცა,
ხახონა ლიქოკელს, რომელიც ლექსებში გულბათის
სახელით არის ცნობილი, ერთ-ერთ გაზეთში ლექსი დაუბეჭდეს

ომის შესახებ და დედანში რომ ჰქონდა „ტყვია რუსულად პუ-
ლია“, რედაქციაში გადაესწორებინათ და ასე დაებეჭდათო:
„ტყვია ცეცხლ-მოდებულა“. არც ვიცი, რომელ ლექსს გულის-
ხმობდა დ ა ვ ი თ ი და სად არის იგი დაბეჭდილი. თუ ის ლექსი
და ეს ერთი და იგივეა, მაშინ კალატოზიშვილად გულებათი უნდა
ვიცნათ, ანუ ხახონა ლიქოკელი“. შან., გვ. 541 — 542.

ბ

მთას ვერახული მოჰკიდა,
მინდორ გაიბა თრთვილიო.
მთიდან აყრილა ცხვარ-ძროხა,
შირაქში მიდის თბილიო.
იმღერენ მეცხვარეები,
თითქოს დღეობის პირია.
ახალსა ლექსსა გამოსთქვამს
კალატოზიას შვილია.
მოიდა ტელეგრამაი,
ხელმწიფის დაბეჭდილია,
შაგვეკრიფეს „ზაპასნოები“,
სუ ფშაველ-ხევსურთ მზირია.
ჩაგვეყარეს „მაშინაშია“,
საფერხედ გასაკვირია.
შვიდი დღე-ღამე ვიარეთ,
რუსეთ სულ გაგვიწირია.
გავედით საოლკაშია,
სადაც გრანიცას პირია.
დურბინდით იცქირებიან,
მტერი ცეფ შამოვლილია.
შიგ ჩაგვევს „აკოფებშია“,
საც მიწა ამოჭრილია.
მოვიდა შუალამეი,
მოგვეკიდება ძილია.
„კამანდერ პოლკა“ დაგვივლის,
ხო არ ხართ გატეხილია.
ჩვენც შეუქციეთ მსახურთა
სიტყვა რჩეული, ტკბილია.

— ჩვენ ქალ არვინ ვართ ბატონო,
ყველას ერთი გვაქ პირია.
მოვედით თქვენდა საშველად,
სამშობლო გაგვიწირია.
ახლადა გათენებაზე
მინდორიც ატკრეცილია,
წავედით „ნასტუპაიზი“
ბოლ დაიდვა ჩრდილია...
ერთ ტყვია მენაც წამარტყეს,
რუსულათ ჰქვია „პულია“.
მეგონა შაშინებულსა,
შუა გამეპო გულია.
სამ დღეს იქ ვეგდე დაჰრილი,
არავინ მიგდა ყურიი.
მაიღეს „ლილეინკაი“
ცხენებით შაკმაზულია.
ამიყვანეს და შიგ ჩამსვეს,
ამომერივა გულია.
მიმიღეს ლაზარეთშია
ლამფები დანთებულია.
ჩაი დუღს სამოვრებშია,
ლოგინიც დაგებულია.
ჯერ ხინა დამალევიენეს,
მერმე — ჩა დაშაქრულია,
დავწევ და დამძინებიყო,
ამომექცივა სულია.
დილის ხანს გათენებაზე
მომფიცხებიყო წყლულია.
მოვიღეს „სესტრიცეები“
ჩემთვი შეხვევნა — გულია.
სადაური ვარ, სად ვკვდები,
აქ რა მაქ დაკარგულია.
ხემწიფევ ნიკალაიო
მამას ჩაგიკვდა ვირიო,
ცოლ-ქალთამც გაგიჩინდება
სისხა და მუცლის ჰირიო.

ცხენებით ეზიდებოდე,
დაიხმაროდე ვირიო.

მთქმელი გიგია არაბული. სოფ. თრანი (თიანეთის რ.). ჩამწე-
რი შოთა კონსტანტინილი — 1961, ფ. არქ. კ. 21, გვ. 44—46. სათა-
ურად აქვს „ჯარის ლექსი“

ბ

მარიანობის თვე დადგა,
დილა გათენდა გრილია,
ტყემ ჩამოყარა ფოთოლი,
ბალახთ მაისხნეს რთვილია,
მთაშიით ქეჩებ დაიძრა,
ბარა მიოდის თბილია,
იმღერენ მემცხვარეები,
როგორც დღეობის პირია,
კმა გატყდა ფშავ-ჭევსურეთსა,
არაგვი ჩამოგვივლია.
ჩავექუჩდით არსენალშია
თუშ-ფშაველ-ჭევსურთ მზირია.
ველოდდით ტელეგრამასა,
როგორც ობოლი კვირია,
მოვიდა ტელეგრამაი,
ველმწიფის დაბეჭდილია,
არიქათ, დაგვეშველენით,
ახლა თქვენ დასთმეთ ძილია,
ჯარი ორთ, როგორ ვერ გიშველთ,
გან შამოდგომის ხილია.
როტიკამანდერ გვეტყოდა,
არ ვინ ხართ გატეხილია.
ჩვენაც უთხარით მსახურთა
სიტყვა რჩეული, ტკბილია.
არვინ ორთ ქალი, უთხარით,
ყველას ერთი გოქვეთ პირია.
გვიკამანდრა და გაგვიძღვა,
წელზე კმალშამარტყულია.

მინდორში მივდით ჯგუფაა
ჯარ აბჯრით შეკმაზულია.
გავხენე, ვნახე თვალითა
აღმოსავლეთის ჩრდილია,
ღურბინდით ცქერა დავიწყით,
მტერი სრუ მირგვალთ გვივლია,
ცეცხლი და კვამლი გაერთდა,
თოფების ძგარა-ძგურია.
ზარბაზნის სრევა დაიწყეს,
ტყვიამ დაჰბადა სულია,
იმ ღროს კი მიაიცი მამარტყეს,
ტყვია, რუსულად პულია.
მეგონა შაშინებულსა
შუა გამიპო გულია,
დაბადებისა ჩემისა
მაშინ ვთქვი. დღეიმც კრულია.
სადაური ორ, ჰად ვკვდები,
რა მაქვ აქ დაკარგულია,
არცა მაქვს მამის მამული.
არც-ცოლი სხვათ წართმულია.
მინდორში დავრჩი მარტოი,
წყალიც ძალიან მწყურია.
მათარეს ლინეინკაი
ცხენებით შეკმაზულია,
შამსვეს და ვერ მავისვენე,
ამამერია გულია,
მივედით ბალნიცაშია,
ფარანი განთებულია,
ჩაი დულს სამოვარშია,
ლოგინიც დაგებულია.
ზედ დასახურიც მზად არი,
თავითაც დადებულია.
ჯერ ხინა დამალევენეს,
მემრ ჩაი დაშაქრულია.
დავწევ და ძილი დამეცა,
ამოვიქციე რულია.

მეორე დილას, მტრისადა,
გაფიცებულა წყლულია,
მოდინ სესტრიცეები,
ჩემთვის შახვევა ღვულია.
დამსხნეს და სისხლი წამვარდა,
იქავ მდის ალა ღულია,
ამ ტანჯვაში ორ ბეჩავი,
მთელი სამი თვე სრულია.
მალექსეს თუ რას კითხულობთ,
მასკოვით გამოთქმულია.

ჩამწერი: უ. ცინდელიანი. 15. VII — 61. სოფ. ყუდრო. ფ.
არქ. კ. 47, გვ. 121.

~160. ომისაი და ცდისაი

მთქმელი შიშია ქერაული. ხევსურეთი. ჩამწერი გიორგი წე-
რეთელი. 14. VII — 1925. შან. № 478, გვ. 195 — 196. აკ. შანიძის
შენიშვნა: „მათქვამად აქ ძ უ გ ა რ ა ა რის გამოყვანილი, ვითომც
ფშაველი, მაგრამ ლექსის შინაარსის მიხედვით ავტორი ხევსური
უნდა იყოს“ — შან., გვ. 544.

161. კობა ცისკარაული

მთქმელი შიშია ქერაული სოფ. ხაღუს მცხოვრები. ჩამწერი
გიორგი წერეთელი. შან. № 475, გვ. 190 — 191. აკ. შანიძის შე-
ნიშვნა: სტრიქ. 66-ქება ვერ ვიცი ძმისაო — „ნათქვამი უნდა იყოს
დიმიტრის მიერ, რომელიც მომდევნო ნომერშია (ე. ი. შან.
№ 476 — ქ. ს.) დასახელებული“. შან., გვ. 543.

162. სისხლის წვიმა

შან. № 471, გვ. 187 — 188; ქრესტ., II № 104, გვ. 118. აკ.
შანიძის ვარაუდით ლექსის ავტორი უნდა იყოს ხვთისო გიგაური.
აკ. შანიძეს ლექსი გადმოუბეჭდია „საქართველოდან“ (№ 5, 1918
წ.). „საქართველოში“ ლექსი შეცდომებით ყოფილა დაბეჭდილი.
ტექსტი შესწორებულია აკ. შანიძის მიერ. შან., გვ. 542.

163. ეშმაკის მოგონილი

მთქმელი ჩალხი ალუღაური. ჩამწერი ვ. ტუქსიშვილი. შან. № 470.
გვ. 186—187. ლექსის ავტორია ბეჟიტა ქერაული. შან., გვ. 542.

ბ

გერმანმ უთხრა: „გამარჯვება!
მე მგზავრი ვარ შორის გზისა.
ჯერე ღმერთი გეწეოდას,
მემრე ღღენი ადამისა!“
გერმანია ავსტრიასა,
ვიც, რო დეეშველებსა,
თურქიც მაგათ მჯარე გაჭდა,
სივიზია სამის ძმისა.
გაჭდა სამივ მჯარეები
მტერი ჩვენის კემწიფისა.
გერმანიამ დაუბარა:
„ვარშავის პლან ჩვენეკე ჳრისა
არ მამცემ, — ძალით წაგართმევ,
ნაქონია მამ-პაპისა“.
რუსთ კემწიფემ უპასუხა:
„აქ მე დამეკითხენითა!
მე ვარ რუსის გოსუდარი,
ჳკვათ მამყვანი ამაცისა.
დაუბარებ, ჩამამივლენ
შავი ხალხი თეთრის წყლისა.
ქევსურთ შვილებ არ გინახავ,
ომ ოციან ამლათისა.
შენ კი მოგკვლენ, მამაძაღლო,
ვერ მასჩები ვერცხლის ღილთა.
გერმანიავ, იმათაგან
ღიდი გამთხილება გინდა“.
პულიმეტი გამიკვირდა,
მოგონილი ეშმაკისა.
ერთი მინუტის ხანზედა
ათას პატრონებს ცლისა!

ძირსა ბოთლი გაგვიხეთქეს,
დედა-მიწაც ტყვიას ცრისა.
მიწაც ბევრი გაგვიჯადეს,
ჩვენი გადარჩომა ჰირსა.

თუ რას მელექსეს იკითხავ,
ნათქვამია სალდათისა.

ჩამწერი გიორგი წერეთელი. შან., გვ. 542. არის კიდევ ვარიანტი: მთქმელი ი. კოკლაშვილი. სოფ. თეთრახევი (თიანეთის რ.). ჩამწერი ბეჟანიშვილი. ლიტ. მუზ. 20018 — B — ყ — 331. გვ. 22.

164. მსოფლიო ომში დაჭრილი

მთქმელი ბაძია ქერაული, ომის მონაწილე. ჩაწერილი აკ. შანიძის მიერ 5. XI — 1914 წ., პეტერბურგში საავადმყოფოში, სადაც იწვა ომში დაჭრილი მთქმელი. შან. № 472, გვ. 188. ჩამწერის შენიშვნა: „ვაჟა-ფშაველად თავის-თავი (იგულისხმება მთქმელი. ქ. ს.) ჰყავს გამოყვანილი“ — შან., გვ. 542.

165. სიკვდილი ფრონტზე

ავტორი ბეს. გაბური. შან. № 474, გვ. 189—190. აკ. შანიძის ცნობით ლექსი გამოთქმულია 1917 წელს. შან., გვ. 543. აკ. შანიძის შენიშვნა: „აქ მოთხრობილია წვრილა წიკლაურის შესახებ, რომელიც ავსტრიის ფრონტზე დაიღუპა“ — შან., გვ. 543 სტრიქ. 14-ჰიშად შევასწორეთ აკ. შანიძის ვარაუდის მიხედვით — ჯ ი შ ა დ.

166. მსოფლიო ომის დროს 1914—15 წწ. დასოცნილი არსოტივნები

ავტორი ბეს. გაბური. შან. № 477, გვ. 193—195. აკ. შანიძის შენიშვნით, ლექსი ავტორის მიერ ორ ხელად არის ნათქვამი. დასაწყისი — სტრიქ. 1—10-ომში, 1914. დანარჩენი-კი — 1917 შან., გვ. 543. ავტორის განმარტებანი: სტრიქ. 13-ერთის დედაო —

„ერთად ერთის შვილის დედაო“; სტრიქ. 28-უკაცურთ გვმართებს მღერაო — „ვითომ უკაცურთ ჭირისუფლება გვმართებს, და არა მღერაო“; სტრიქ. 44-სიმღერით ჩაგასვენაო — „ვითომ ტირილით ჩაგასვენაო“; სტრიქ. 45—46-რა მარჯვეი ას, ვაეებოთ, მკვდრის ამხანიგის ცქერაო“; — „ვითომ ძლიერ ძნელი არისო მკვდრის ამხანიგის ცქერაო“; სტრიქ. 73-ინატრის არხოტიონი... და სხვ... — „წვრილას ომში ყოფნის დროს მოუკლეს ძმა ქისტებმა. წვრილა მოკლეს ომში, გალიციაში, ლოდზის აღების დროს, ავსტრიაში“; სტრიქ. 90-თავ-შიშველა — „სირცხვილიანი რითიმე“ — შან., გვ. 543—544.

აკ. შანიძის შენიშვნები: ჩუნთა (სტრიქ. 63) და გრანჯა (სტრიქ. 65) ერთი და იგივე პირია; ბეს. გაბურის განმარტებაზე სტრიქ. 73-ს მიმართ აკ. შანიძე შენიშნავს: „აქ ბეს. გაბურს გეოგრაფიული მდებარეობა სწორად ვერ აქვს წარმოდგენილი, მაგრამ ეგ, მისივე სიტყვები რომ გავიშვოროთ, ნიჩეო — არათერია“. შან., გვ. 544.

167. რუსეთში რა ამბავია

ავტორი ბეს. გაბური. შან. № 476, გვ. 191—192. ჩამწერის შენიშვნები: სტრიქ. 29-დაუახლოვდეს — და უ ა ხ ლ ო ვ ე ს; სტრიქ. 87—88- „ეს სხვაფრივ ნათქვამია: ვითომ დედ-მამანი უფრო ძალიან მისტირიან თავის შვილს“. შან., გვ. 543. აკ. შანიძის შენიშვნა: „ბესარიონის ცნობით, კობა მოუკლავთ ომში 24 სექტემბერს, 1914 წ.“ — იქვე.

ცისკარაულის სიკვდილი ფრონტზე არის თემა სხვა ლექსებისა. შან. № 475, გვ. 190—191 და სხვ.

168. ათასცხრას თოთსმეტ წელში

თუშეთი. ჩამწერი გ. ნათაძე. ნათ. № 34, გვ. 35.

169. აგიტირდება გულია

მთქმელი გიორგი დეისაძე 45 წლის. პირველი მსოფლიო ომის ინვალიდი. სოფ. კახური (გურია). ჩამწერი ალ. ლლონტი. 15. VII—1933. ლლ. გურ. № 122, გვ. 119. ქრესტ., II № 105, გვ. 118—119.

170. ომმა დაგვჩაგრა ბიჭები

მთქმელი ი. ხუციშვილი. სოფ. გოგინეთი (გურია). ჩამწერი
ალ. ლლონტი. 19. VII—1936. ლლ. გურ. № 122, გვ. 118.

171. მეფის წაღდათობა

მთქმელი ალექსი ოსეურაშვილი. სოფ. უძილაური. სნჯ., III,
გვ. 98.

172. მსოფლიო ომი დაიწყო

ფ. არქ. კ. 113, გვ. 249:

173. ომიდან დაუბარებავ

მთქმელი იუზი სუსიაშვილი. სოფ. საქობო, ჩამწერი გ. შეთე-
კაური. 20. VI—1962. ფ. არქ. კ. 115, გვ. 79.

ბ

ფრონტიდან დაუბარებავ
აქიმთ მიხაის შვილსაო.
რათ გამაჩინე დედაო,
თუ ვიყავ მოკლე ხნისაო.
თუმც მალე ავატირებდი
ჩემსა ცოლსა და შვილსაო.
დაგწვიყო ჩემი აკვანი,
ჩამოგვარდნიყო ძირსაო.
ეგრე მოდის ზარბაზანი,
როგორც მაჟარი ხისაო.
ეგრე მოდის თოფის ტყვია,
როგორც რო წვიმა წყლისაო.
დამეცა, მალლა წამილო,
ლუკმაც არ დაერჩი ძირსაო.
თავიც არ მემარტოება,
სხვებიც აბნევენ ტვინსაო.

ეგ მამწონს რუსის კანონი,
ჯვარი იციან ხისაო.

ჩაწერილი 1961 წ. ფ. არქ. კ. 25, გვ. 27.

174. ჯარისკაცული

მთქმელი ბერიძე შავერდაშვილი, სოფ. ტუშურები (თიანეთის რ.). ჩამწერი შოთა კონსტანტინიდი. 1961. ფ. არქ. კ. 21, გვ. 128.

175. მარიანობის დღესაო

მთქმელი ივანე მოკვერაშვილი. კახეთი. ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი, 15. VII—1961. ფ. არქ. კ. 23, გვ. 415.

176. ოსერო განჯის ბაღნიცავ

მთქმელი ივანე მოკვერაშვილი. ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი. 15. VII—1961. ფ. არქ. კ. 23. გვ. 415.

177. რა გქნა, რას შერება გამჩენი

მთქმელი სიღამონიძე. ქართლი. ჩამწერი ბახია. 21. VII—1961. ფ. არქ. კ. 69, გვ. 122.

178. ორშაბათ დილა გათენდა

მთქმელი ივანე მოკვერაშვილი. კახეთი. ჩამწერი იოსებ ლონგიშვილი. 15. VII—1961. ფ. არქ. კ. 23, გვ. 414.

და მ ა ო ე ბ ა

1. სმალმა თქო

ხმალმა თქო: ლეკმა გამკვდა,
ქართველმა მლესა ფხაზედა,
შამკიდეს სააკაძესა,
მაკურთხეს გმირის ტანზედა,
მაგრამა მაჯამ ჩამიგდა,
მალალა ხოყანაზედა,
მიმაგდის ჯაჰვ-მუზარაღზე.
ეწიოდი გველის ხმაზედა.

2. ...წინ-წინ გიორგი ყოფილა
ძ ვ ე ლ თ ა თ ა ვ ა დ თ ა მ ტ ე რ ი ო .
სააკაძეს ძახილან, —
ჯერ მეფის ალაგ სჯერიო.
მემრე ყოფილა თორღვაი,
ამთხობდა ცხვარს რო მგელიო!

3. გიორგი სააკაძეს

წმინდა გიორგის სეხნიავ, --
რისხვა ხარ თათრის რჯულისა,
ჩვენს მხსნელათ მოვლინებული,
გამხარევ საწყალთ გულისა!
გებრაღვის ქვრივი, ობოლი,
ამშენებელი სოფლისა,
როცა სჭრის, მეფეს პატრონობ,
სახლშიც დამღვრელი ოფლისა!

არას გისვენებს ბარათა,
ვეზირ თავადის შვილნია;
ჩვენი რომა ხარ, ისა ჰკლავთ,
თვალზე არა აქვთ ძილია.
გაკაჟდი ჩვენო გმირთ გმირო,
მთას გულჩი ჰყავხარ ხატადო,
ღალა შენა ხარ, — ცხონი კი
არ ღირან ჩალის ფასადო!
უებარი ხარ ბრძოლაში
ყველგან გამტანი ლელოსი.
მ ი ნ დ ი ა მ ც დაგენაცვლების, —
გმირი ხარ საქართველოსი!

4. გიორგის ლექსი

გიორგი სააკაძემა
მისცა ყენისა პირობა,
გავიდა ბრძოლის ველზედა,
გიორგიმ კარგად იომა.
გიორგიმა და პაატამ
შექმნეს ლამაზი ფიქრები,
უთხრა პაატამ გიორგის:
შენ წადი, მე აქ ვიქნები.
აისხა იარაღები,
ჯარს გამოუძღვა წინაო,
მოვიდა ნოსტის თავზედა,
თავის ჯარს მისცა ბინაო.
გიორგიმ სიხარულითა
ნოსტეში ჩაირბინაო,
კახეთის მეფეს უბრძანა,
ი ჯარიც შაიძინაო,
თავის ჯარი და კახეთის
სულ ერთად შაადგინაო.
შაუდგა ნოსტის აღმართსა,
დიდი ხმით დაიკვილაო,
რომელსაც, ხმალი შამოჰკრა,

მკლავი არ შეარჩინაო,
რომელსაც დაჰკრა კისერში,
თავი დაუგდო წინაო.
ოსმალოები დასწყვეტა,
ერთი არ დაარჩინაო.
დაღალულია გიორგი,
დაწვა და დაიძინაო...
გიორგიმ ნახა სიზმარი:
შვილი მოსვლოდა შინაო!
ი ოსმალეთის მეფემა
რა თავი შაირცხვინაო, -
მოუჭრა თავი პაატას,
გამოუგზავნა შინაო.
გიორგიმ ნახა პაატა,
ცრემლები დაადინაო,
თავის სიზმარი გიორგიმ
რა ჩქარა აიხდინაო!

—
ნ. გიორგი სააკაძე

კარგი ბიჭია გიორგი,
საქართველოს გმირია,
საქართველოს გულისთვინ
მან რომ შესწირა შვილია,
გიორგი როცა ცეკვამდა,
მალლა ეჭირა კლავია,
მას საჩუქარი მიართვეს
ამ დროს პაატას თავია.
ჩვენი გიორგი დაღონდა,
წარბი არ შეიხარაო.
თქვა: ვითომც არა მყოლია,
მტერი არ გაახარაო.
გიორგის მაინც სდევნიდნენ,
არ მოუშალეს ჰირია,
ისიც კი ბიძამ მოუკლა
ავთანდილ, კოხტა შვილია.

6. გიორგი სააკაძე

შენი ჭირიმე, ვაჟკაცო
შენი ქართული გულისა,
ნეტავ რა დედამ გაგზარდა
მაგრე მღევურის სულისა.
ნეტარ რა წყაროს წყალს სვამდი,
რომელ მიწაზე გეძინა,
რომელ ვარსკვლევებს უმზერდი.
ან რა მზის შუქი გეფინა,
ნეტამც შენ თვალნი მანახვა,
შენი ხმა გამაგებინა. -
შენ ჩვენი სიამაყე ხარ,
ჩვენი სამშობლოს დიდება,
ნათელი ჰბურავს შენ სახელს,
აროდეს დაიბინდება,
უფრო და უფრო ელვარებს,
უფრო და უფრო ინთება.
ვერ ჩააბნელებს წყვედიადი,
ქანგი არ მოეკიდება.
შენი ჭირიმე, ვაჟკაცო,
შენი მღევური გულისა,
ნეტავ რა დედამ გაგზარდა
მაგრე ქართული სულისა.

—

7. ბარათა ბარათაშვილს

ბარათავ ბარათაშვილო,
მეფის ხარ ნაზირ-ვაზირი,
ვერა გრძნობ ჩვენსა წუხილსა
მალლიდამ გადმონამზირი.
იცინი, გულში გესლი გაქვს,
ტანტს უყოფ სამეფისასა,
მეფე ლუარსაბს დალატობ,
ძლიერსა, მრავალ ყმოსანსა!
ჩვენი გივარგიც დანესტრე,

ქართველთ სარდალი დიდია,
შენ ჩაუნგრე მელობით
ჩვენსკენ სავალი ხიდია!
ალარგის ინდობ კანჯარო,
ტურა ხარ პირისხლიანი,
ბევრ დედას შავი ჩააცვი,
დაყარე თვალცრემლიანი
სამეფოს ჩანთქმას უპირებ,
დასთრგუნე დედოფალია,
დოვლათს იკრიფავ საცალოთ,
ვერ ძღვების შენი თვალია!
ვაჟ, თუ გაგიცვდა ბუმბული,
ველარ იფრინო ლაღადა,
მეფის კარს რისხვა მიიღო,
აღარ ჩაგაგდონ ბაღლადა!
მაშინ მოგწვდების მინდია ც,
ლაჯაის მოგდებს წვერზედა;
თავს მიგინაყავს გველივით,
გივარგის ნასახლკარზედა!

8. გივი გოგბაიძე

გივი სამ წამოვიდოდა,
ის გოგბაიძე ფარიო,
ჩასულა სააკაძესთან,
სიშაგრეს მისცა მხარიო,
გაბრუნებს ქსნურო წისქვილო,
ურუმთა სისხლის წყალიო.

9. გიორგის დროზე ნათქვამი

შენ ტკბილო ქართლო, კახეთო,
ვასახლებული გნახეთო,
მთელი ველი და მინდორი
სულ ფეხით გადალახეთო,
გახსომდეთ ენა მშობლური,

ეს კარგად შეინახეთო,
ვისაც გიწიოთ სიკვდილმა,
ქართულად დაიმარხეთო.
თქვენი ნაცომი ჩოხები
სახსოვრად შეინახეთო!
შენ ტკბილო ქართლო, კახეთო,
გასახლებული გნახეთო,
შენ ტკბილო ქართლო, კახეთო,
დაბრუნებულიმც გნახეთო.

10. სოლაღა

ადგა სოლაღა, წივიღა,
დადგა სტამბოლის გზაზეღა,
შვილი დღე-ღამე იარა,
მივიღა ხონტქრის კარზეღა.
ხონტქარი შინ არ დაუხვდა,
ვეზირი დახვდა კარზეღა,
შეიპატიჟა სოლაღა,
დასუა ხალიჩის თავზეღა.
სოლაღავ, რისთვის გარჯილხარ
ამ დიდის ხონტქრის კარზეღა,
რა მოგახსენო ბატონო,
მაქვს საჩივარი წამზეღა.
— სოლაღავ, მეტათ გაქებენ
ჯირითის გასროლაზეღა,
ერთი არაბი ჩვენცა გეყავს,
გათქმული ქვეყანაზეღა;
შენ თუ იმას ეჯირითო,
თულებს დაგადგამ თავზეღა,
ფაშობასაც შენ გაჩუქებ
იმ ახალციხის კარზეღა.
მე ჯირითისა რა ვიცი,
გავზრდილვარ გურჯისტანზეღა!
— არ გეშეებიან, სოლაღავ,
გაგიყვანებენ ხვალზეღა.
რადგან არ მომეშეებიან,
ცხენი მამგვართ წამზეღა,

ცხენი მიშოვეთ, ასეთი
არ იყოს ქვეყანაზედა,
ელგას ოქროს უნაგირი,
ალმასი ერჭოს თავზედა,
შვიდს მეჭინიბეს ეჭიროს,
კიდევ დგებოდეს ყალბზედა;
მშვილდის ისარი მიბოძე,
წამწამს იღებდეს თმაზედა!
ცხენი მოართვეს ასეთი,
არ იყო ქვეყანაზედა,
ელგა ოქროს უნაგირი,
ალმასი ერჭო თავზედა.
შვიდს მეჭინიბეს ეჭირა,
კიდევ დგებოდა ყალბზედა;
სამი ჭირითი გაურჭეს,
ალმასი აზის თავზედა.
ორშაფათ დილა გათენდა,
გავიდნენ მეიდანზედა.
გავიდა ჩვენი სოლაღა,
იმ ჭირით მეიდანზედა.
მოჭქრის, მოშხუვის არაბი,
ვით შავარდენი მთაზედა;
მოიტრიალებს ჭირითსა
იმ გაშავებულ მკლავზედა.
ფიცხლავ ჩამოჯდა სოლაღა,
სალამს მიართმევს წამზედა.
— არ ვიცი სალამ-სულამი,
ეხლავ გამექე კვალზედა.
აბა, გამექეც სოლაღა,
გაგშინჯო კაცობაზედა!
გაიქცა ჩვენი სოლაღა,
არაბი დაჰყვა კვალზედა;
ორი ესროლა არაბმა,
ერთი არ იკრა ტანზედა,
შახდა და შამოტრიალდა/
დადგა ცალ აბუანდაზედა,

მესამე რომ დააზილა,
 ცხენს მოურტყა ტახტარზედა,
 გადაიწია სოლადა,
 დადგა ცალ აბჯანდაზედა,
 გადაეხვია, აკოცა.
 ცხენსა მარჯვენა თვალზედა:
 შენი ჰირიმე ლურჯაჯან,
 გადამარჩინე წამზედა!
 — აბა, მობრუნდი, არაბო,
 მოგყვეს სოლადა კვალზედა,
 მე ხომ ერთის მეტს არ გესვრი,
 მასაც ღეთის სამართალზედა.
 გეექცა ფიცხლავ არაბი,
 მისდევს სოლადა კვალზედა.
 შავარდნულეშ შემოჰკივლა,
 ხონთქარი დასძრა ტახტზედა.
 ერთი ესროლა ჰირითი,
 დაასო ბეჰის ფრთაზედა!
 არაბი ძირს გადმოვარდა,
 ცხენი გარბოდა წყალზედა.
 ხონთქარს კაცი გაუგზავნეს:
 არაბი მოჰკლეს წამზედა.
 — ჩემს არაბსა რა მოჰკლავდა,
 გათქმულსა ქვეყანაზედა!
 მიჩვენეთ მისი მომკვლელი,
 ფაშობა მივცე წამზედა.
 სოლადა მიჰყავთ ხონთქართან,
 ფეხები მიაქვს განზედა,
 აგრე ჰგონია სოლადას,
 თავს მაშორებენ წამზედა.
 ნუ გეშინია, სოლადავ,
 თულებს დაგადგმენ თავზედა;
 ფაშობასაც გაჩუქებენ
 იმ ახალციხის კარზედა!
 ორთულიანი ფაშობა
 ფიცხლავ დასწერეს წამზედა.

თემზედ სოლადა გათქმულა,
როგორც ტალდა სცემს ზღვისასა,
სამკლავე ჯაჭვი აცვია,
ხმალს ხმარობს აღმასისასა;
ცხენსა ზის არაბულზედა,
შუბს ხმარობს ველთ ბურვისასა,
ასეთი სამართალი აქვს,
ბეწვს შუა ჰყოფდა თმისასა!

—

შენიშვნები და ვარნიანტები*

1. ხმალმა თქო

ხევი. ჩამწერი მიხ. მარსაგიშვილი. გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ. იხ. გიორგი ლეონიძე, ჩ ე მ ი უ ბ ი ს წ ი გ ნ ი დ ა ნ, „ლიტერატურული გაზეთი“, 1960, № 28. ეს ლექსი გიორგი ლეონიძეს მიაჩნია ძველად და აკუთვნებს სააკაძის დროს. იქვე.

ლექსი შეიძლება მართლაც შექმნილიყოს გიორგი სააკაძის თანამედროვეთგან.

დიდმოურავად წოდებული გიორგი სააკაძე XVII-ს-ნის პირველ მეოთხედში უშუალო მონაწილე და ზოგჯერ ხელმძღვანელიც იყო იმ რთული და მძიმე ბრძოლისა, რასაც ქართველები თავიანთი დამოუკიდებლობისათვის ეწეოდნენ ირან-ოსმალთა თუ შიგნით რეაქციონერ თავადთა წინააღმდეგ. გონიერებით, გარეგნობით, სიმხნითა და სიმამაცით განთქმული გიორგი სააკაძე, მიუხედავად იმისა, რომ თავადთა წრეს არ ეკუთვნოდა, თბილისის მოურავის თანამდებობაზე იყო, ამ თანამდებობაზე მყოფმა 1609 წ. თავი ისახელა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლაში და განსაცდელისაგან იხსნა ცხირეთის ციხეში მყოფი ლუარსაბ მეფე. რეაქციონერ თავადთა ინტერესების შედეგად გაუფუჭდა ურთიერთობა ლუარსაბ მეფესთან, იძულებული გახდა ნუგზარ ერისთავთან ერთად შაჰ-აბაზს ხლებოდა ირანში — შაჰს გავლენიანი ქართველები ესაჭიროებოდა ქართ-კახეთის მეფეთა დასამორჩილებლად. „სააკაძეს კი შაჰის ძალის გამოყენება თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დასამარცხებლად სურდა“ საქ. ისტ., 1, გვ. 332.

ჩვენს ხელთ არსებულ შედარებით მცირე რიცხოვან ძველსა თუ ახალ, ზეპირი თუ მწიგნობრული წარმოშობის ხალხური ლექსების ციკლში სიმართლით არის ასახული საქართველოს ის რთული პოლიტიკური ვითარებანი, რომლის ცენტრში მე-17 საუკუნის

* შემოკლებანი დამატებით: თსუფა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორული არქივი.

ლიტმუზ — საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი.

ქრესტ. II. — ქს. სიხარულიძე, ქართული ხალხური სიტყვიერება. ქრესტო-მათია. II. 1961.

კრიელ — კოტე კრელაშვილი, თუშური პოეზია, 1962.

პირველ მეოთხედში იყო ეს დიდი ეროვნული გმირი. ხალხმა პირუთვნელად გმირის შარავანდედით გააბრწყინა გიორგი სააკაძის სახე.

ლექსი „ხმალმა თქო“ გიორგი სააკაძის უბადლო გმირობით ხალხის აღტაცების უშუალო გამოხატვაა.

2. წინ წინ გიორგი უოფილა

გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ. პოეტს ეს ფრაგმენტული ლექსი ხელთ ჩავარდნია 1935 წელს. იხ. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, 1930, გვ. IV. ლექსში ასახულია ერთის მხრივ გიორგი სააკაძის დამოკიდებულება იმ თავადებთან, რომელნიც ხელს უშლიდნენ მისი პოლიტიკური იდეების განხორციელებას—საქართველოს განთავისუფლებასა და გაერთიანებას, — მეორეს მხრივ — გიორგი სააკაძის ყოფნა ქვეყნის ხელმძღვანელის პოსტზე.

3. გიორგი სააკაძეს

ხეცსურული: სოფ. ჭუთა, ჩამწერი შოთა თათარაშვილი. გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ. იხ. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით. 1939, გვ. IV. ბოლო სტროფის მიხედვით გიორგი ლეონიძეს ლექსის ავტორად მიაჩნია ხეცსური მათქვამი ვინმე მინდია. მისივე აზრით წარმოშობით ლექსი ეკუთვნის XIX-ს-ნის ნახევარს ან XX-ს-ნის დასაწყისს. მართებულია გიორგი ლეონიძის მოსაზრება ლექსის წიგნისა და ფურცელადის მონოგრაფიის გავლენით წარმოშობაზე. იქვე, გვ. V.

4. გიორგის ლექსი

მთქმელი პ. ონოფრიშვილი. სოფ. თვალადი. ჩამწერი გიორგი შატბერაშვილი, 1942 წ. გიორგი შატბერაშვილი, გიორგი სააკაძე ხალხის ხსოვნაში, „ნაფიქრი“, 1959, გვ. 142.

ლექსში ასახულია ის რთული პოლიტიკური სიტუაცია, რომლის ცენტრშიც გიორგი სააკაძე იყო. ვფიქრობთ, ეს ლექსი უშუა-

ლოდ ხალხური წარმოშობისა არ უნდა იყოს. იგი შექმნილი უნდა იყოს გიორგი სააკაძის შესახებ არსებული მხატვრული ლიტერატურისა თუ მონოგრაფიების გავლენით.

5. გიორგი სააკაძესე

მთქმელი ევა ზაქარაშვილი. სოფ. ჩოჩიეთი. ჩამწერი ე. ასლამაზაშვილი — 12. IX — 1901. ფ. არქ. ქ. 77 გვ. 139. ეს მხატვრულად სუსტი ლექსიც გიორგი სააკაძესე არსებული ლიტერატურის გავლენით უნდა იყოს შექმნილი.

6. გიორგი სააკაძე

მთქმელი სილო კიტოშვილი, 55 წლისა, წ. კ. მცოდნე, ზემო ალვანი. ჩამწერი მოსე აბაშიძე, 1952. ჰრელ. გვ. 36 — 37. ლექსი წარმოშობით ახალი უნდა იყოს.

7. ბარათა ბარათაშვილს

ხევი, სოფ. ჯუთა. ჩამწერი შოთა თათარაშვილი. გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ, იხ. იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, 1939, გვ. IV. ამ ლექსის ავტორადაც გიორგი ლეონიძეს მიაჩნია ხევსური მინდია. წარმოშობით კი—ლექსს იგი აკუთვნებს XIX-ს-ნის ნახევარს ან XX-ს-ნის დსაწყისს. მართებულია პოეტის მოსაზრება, რომ ეს ლექსიც ა. ფურცელაძის მონოგრაფიის გავლენით არის შექმნილი. იქვე, გვ. V. ლექსის აღრე-სატია გიორგი სააკაძის მოსისხლე მტერი შადიმან ბარათაშვილი.

8. გივი გოგბაიძე

ხევი. ჩამწერი მიხ. მარსაგიშვილი. გამოაქვეყნა გიორგი ლეონიძემ. იხ. გიორგი ლეონიძე, „ჩემი უბის წიგნიდან“. „ლიტერატურული გაზეთი“ 1960, № 28. პოეტისათვის ლექსი გამოუგზავნია ჩამწერს და უცნობებია: „ეს ლექსი იციან სოფ. არშაში, სადაც ცხოვრობენ გოგბაიძეებიო“ ჩამწერის შენდვნით „ამ ლექსმა

ქსნური წისკვილის ნაცვლად, ზოგი „ქვრივის წისკვილსაც“ ხმარობს: — „გაბრუნებს ქრუვის წისკვილიო“. გიორგი ლეონიძის აზრით „ქსნურ წისკვილში“ უნდა იგულისხმებოდეს გიორგი სააკაძის პარტიზანული ბრძოლა ქსანზე, ერანელებთან, როცა მარაბდის წაგებულნი ომის შემდეგ (1624 წ.) სააკაძემ გაანადგურა შაჰაბაზის საოკუპაციო ძალები საქართველოში“.

ამ ფრაგმენტული ლექსის მიხედვით გიორგი ლეონიძეს გამოთქმული აქვს შემდეგი მოსაზრება: „მოხევე გივი გოგბაიძე სააკაძის თანმხვდელი ყოფილა და მონაწილეობა მიუღია 1624 წელს ერანელთა ამოქლევტაში ქსანზე“.

გიორგი ლეონიძე ლექსს სააკაძის დროს აკუთვნებს. სოფ. არშის მცხოვრებ ივანე ნიკოლოზის ძე ავსაჯანიშვილის თქმით „არშაში ყოფილა გამაგრებული გიორგი სააკაძე, დალატისთვის მოუკვეთია თავი გოგბაიძისათვის და სამაგალითოდ რომ დაეტოვებინა ეს ამბავი და სამახსოვროდ, მოკვეთილი, გასისხლიანებული თავი ციხის კარიბჭისათვის მოუსვამს.“ ჩაწერილი 1965 წ. ივლისში გიორგი ჯაფარიძის მიერ. ჩამწერის შენიშვნა: „წითელ კვალს ახლაც აჩვენებენ ციხის აღმოსავლეთ მხარეს“, ძნელია თქმა, გადმოცემისა და ლექსის აღრესატები ერთი და იგივე პირები არიან, თუ არა.

9. გიორგის დროზე ნათქვამი

მთქმელი კ. ონოფრიშვილი. სოფ. თვალაღი. ჩამწერი გიორგი შატბერაშვილი. გიორგი შატბერაშვილი, გიორგი სააკაძე ხალხის ხსოვნაში, „ნათქვამი“, 1969, გვ. 144. შატბერაშვილის შენიშვნა: „ეს ლექსი გამოქვეყნების შემდეგ, როგორც იმ შავბნელი დროისათვის დამახასიათებელი, პოეტმა ირაკლი აბაშიძემ მთლიანად შეიტანა თავის პოემაში „რას გადაურჩა თბილისი“. იქვე:

10. სოლოღა

ლექსები — სახალხო სიმღერებისაგან შედგენილი პეტ. უმიკაშვილისაგან, ტფილისი, 1847 წ. გვ. 12 — 14. ახლავს სიტყვების ახსნა: სტრიქ. 18-თ უ ღ ი — ფაშობის ნიშანია. სტრიქ. 22-გ უ რ-ჯ ის ტ ა ნ ი — საქართველოა.

ეს არის ყველაზე ადრინდელი გამოქვეყნებული ტექსტი. შედგენილი უნდა იყოს სხვადასხვა ვარიანტისაგან. ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ყველაზე ადრინდელი ჩანაწერია ი. ელიოზიშვილის მოპოვებული ვარიანტი — ფ. არქ. უმიკ. № 94. იგი დათარიღებულია 1869—1870 წლით.

ვარიანტებად ცნობილი ამ ბალადის ქანრის ლექსის ადრესატის სადაურობასა და ვინაობის გამო არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. მისი ერთი, მესხური ვარიანტის ჩამწერი ვინმე მესხი (გვარამაძე) შენიშნავს: „სოლოლა იყო კობაძე. მისი ნასროლი ჯირითი ერთ ვერსამდის მიდიოდა. ამის სიმამრი ჰაჯი ფაშა იყო, ამშენებელი ციხის ჯამისა, აიასოფის ჯამის გეგმაზედ, ახლა რომ ჯამის ეკლესიად არის ახალციხეს“. თაყ., 1, გვ. 413. ვახტანგ კოტეტიშვილის მოსაზრებითაც იგი კობაძე ყოფილა, მესხეთის ახალციხელი. მკვლევარი მიუთითებს გადმოცემაზე, რომლითაც სოლოლას უცხოვრია XVII საუკუნეში, მაშინ, როდესაც ოსმალები დამკვიდრდნენ მესხეთში. კოტ. გვ. 342. გ. კალანდაძის ვარაუდითაც, რომელსაც ეკუთვნის ამ ბალადის მეტად საყურადღებო ისტორიულ-შინაარსობრივი და პოეტური ანალიზი, სოლოლას ლექსში გადმოცემული ამბავი უნდა ეკუთვნოდეს XVII საუკუნეს (გ. კალანდაძე, ქართული ხალხური ბალადა, 1967, გვ. 47—52).

ახალგაზრდა მკვლევარის აზიზ ახვლედიანის გამოკვლევით, რომელიც ისტორიული წყაროებისა და ლექსის მრავალი ვარიანტის შეჯამებაზე დაამკვიდრებული, სოლოლას ლექსი შექმნილი უნდა იყოს XIX საუკ. პირველ ნახევარში — აჭარაში, ან უკიდურეს შემთხვევაში ახალციხეში, სადაც იმ დროს სახლობდნენ აჭარლები — ხიმშიაშვილთა (ახალციხის მაშინდელ მფლობელია (მახლობლები). აზიზ ახვლედიანი, „აჭარის საისტორიო სიტყვიერებიდან (სოლოლა)“ — მოხსენება ფოლკლორის საკოორდინაციო რესპუბლიკურ კონფერენციაზე, 1962 წ.

გ. მაცაბერიძის გამოკვლევით, რომელიც ემყარება მისი ერთი ვარიანტის ჩამწერის გ. გოგოლაძის შენიშვნას — (იხ. ფ. არქ. № 23897) სოლოლა შერქმეული სახელი უნდა იყოს (იგი ნიშნავს ცაცისა — *Sola, h(ψ)*) ისტორიული პირისა — „ქართლის ცხოვრებით“ ცნობილ ყვარყვარე მეოთხისა (ბროსეს გამოც. გვ. 165—166), რომელსაც ათაბაგობას ეცილებოდა მისი გამაჰმადიანებული ძმა მანუჩარი. ყვარყვარე მოტყუებით წაიყვანა ლალა-ფაშამ. მისი

ვარაუდით ვარიანტებში დაცული „სოლოლა და ჩაირბეგი ჩაბრძა-
ნდა ხვანთქარის კარზეა“ ძმათა ურთიერთობის—მათი საჩივრის გა-
ზომსახველი უნდა იყოს. მკვლევარს ლექსი მიაჩნია XVI საუკ-
დასასრულისა და XVII საუკ. დასაწყისში შექმნილად. (მოხსენ-
ება; „ქართული სახალხო წიგნები“ 19. V—64 წ.). ამ ლექსის ბე-
ვრი ვარიანტი შერწყმულია სოლომონ ბუტულაშვილის ლექსთან,
რაც, ცხადია, უფრო გვიანდელი წარმოშობის — სოლომონ ბუტულა-
შვილის ლექსის გავრცელების შემდეგდროინდელი მოვლენაა.
ბევრ ვარიანტში სოლოლას ნაცვლად სოლომონი იხსენიება. ორივე
ეს მოვლენა ერთის მხრივ, ლექსის აღრესატთა სახელწოდების ბგე-
რათა მსგავსების შედეგია, თუმც, ზოგი მთქმელის ცნობით სოლო-
ლას სოლომონი ერქვა (ფ. არქ. № 12808), მეორეს მხრივ კი — ორი-
ვე ლექსში ცხენის ფუნქციასაც ჰქონდა მნიშვნელობა მათი შერწყმი-
სათვის. კონტამინაციის ის ნიმუშები, რომელშიც ძირითად ამბავს
სოლოლას თავგადასავალი წარმოადგენს, ამ ლექსის ვარიანტებშია
წარმოდგენილი. დანარჩენი — კი შეტანილი ან აღრიცხულია სო-
ლომონ ბუტულაშვილის ვარიანტებთან.

სოლოლას ლექსის ერთი ვრცელი 116 სტრიქონი ვარიანტი
თარგმნილია რუსულ ენაზე ვ. დერჟავინის მიერ „Поэзия Грузии“,
გვ. 22—23.

ბ

ადგა, წავიდა სოლოლან,
დადგა სტამბოლის გზაზედა,
შვიდი დღე-ღამე იარა,
ისე გავიდა ზღვაზედა,
ხონთქარის კარზედ მივიდა,
ვეზირი დახვდა კარზედა,
შეიპატიეა სოლოლა,
დასვა ხალიჩის თავზედა.
„სოლოლან რისთვის გარჯილხარ
ამ დიდი ხონთქარის კარზედა?“
— „რა მოგახსენო, ბატონო,
საჩივარი მაქს წამზედა“.
ერთი არაბი ჩვენცა გვეყავს,
გათქმელი ქვეყანაზედა,

თუ შენ იმას ეჯიროთო,
თუ შობს დაგადგმენ თავზედა,
ფაშობასაც დაგიმტკიცებთ
იმ ახალციხის კარზედა!
„...მე ჯირითისა რა ვიცი,
გავზდილვარ გურჯის მთაზედა“ -
„...არ გეშვებიან, სოლოლან,
გაგიყვანენ ხვალ თუ ზეგა“,
„...რახან არ მომეშვებიან,
ასეთი ცხენი მამგვარეთ,
არ იყოს ქვეყანაზედა.
შვიდ მეჩინიბეს ეჯიროს,
ისევ დგებოდეს ყალბზედა“ -
ორშაფათ დილა გათენდა,

გავიდნენ მეიდანზედა.
მოდის, მოხუის არაბი,
ვით შავარდენი ცაზედა,
ტურფათ მოიქნევს ჭირითსა
იმ გაშავებულ მკლავზედა.
არაბულათ წამოსწყვილა,
ხონთქარი შესძრა ტახტზედა:
„აბა, გამექეც სოლოღან,
სამი ჭირითის კერაზედა!“
ვაპკრა, გაექცა სოლოღან,
არაბი მისდევს კვალზედა,

3

სოლოღან სწერა წიგნები,
სწერა, ჩაიღო ჭიბესა,
ადგა და ქვევით წავიდა,
დადგა სტამბოლის კიდესა.
შვიდი დღე-ღამე იარა,
ხონთქარს მიადგა კარზედა,
ხონთქარი შინ არ დაუხვდა,
ვეზირი დახვდა კარზედა;
ვეზირმა შეიპატიჟა,
დასვა ტახტ-ხალიჩაზედა,
მასპინძლობა გაუწია,
მსახურნი ადგნენ თავზედა.
— სოლოღან, ძრიელ გაქებენ
ჭირითის ხმარობაზედა,
შენსავით ნახმარ შვილდ-ისარს
ვერ ნახავ დუნიაზედა.
— მე ჭირითისა რა ვიცი,
მოყვრით მოვსულვარ კარზედა,
დღეს თუ ხონთქარს ვერა ვნახავ,
გზას წავალ ანაგაზედა.
— ძაგას არ გათქმევიანებენ,
გაგიყვანებენ ხვალ-ზეგა.
— რახან აღარ მეშვებიან,

სამი ჭირითი ესროლა,
ერთი არ იკრა ტანზედა.
„ — ახლა, არაბო გამექეც
ერთი ჭირითის კერაზედა;
მე ერთის მეტსა არ გესვრი,
აი ღვთის სამართალზედა.“
გაქრა, გაექცა არაბი,
სოლოღან მისდევს კვალზედა,
ერთი ჭირითი შესტყორცნა,
დაასვა ბეჭის ფრთაზედა.

ცხენიც არა მყავს ჯანზედა,
წალით, რაში მომიყვანეთ,
რძეს რომ ასმევენ მთაზედა,
შვიდ მეჭინბეს ეჭიროს,
კიდევ დგებოდეს ყალბზედა;
შვიდნივ ერთად გადმოთელოს,
გადმოხტეს მოედანზედა.
ერთი ისარიც მიბოძეთ,
აღმასი ჰქონდეს თავზედა,
ორშაბათ დილა გათენდეს,
გამოვლენ მოედანზედა,
დაფი, საყვირი გუგუნებს,
ქალაქი დადგა კარზედა.
მოდის, მოქშუის არაბი
ამ შავარდენის მკლავზედა.
უკვივის: „გამაგრდი, ბიჭო!“
— ქორულად, არა ხმაზედა.
— გამექეც, ვაჟო სოლოღან,
გაგშინჯო ბიჭობაზედა!
ღეზი შემოპკრა, გაფრინდა,
არაბი მისდევს კვალზედა,
სამი ზედა-ზედ ესროლა,
გადააცდინა თავზედა.

— გმირო არაბო, გაქებენ,
განა რა გითხრა რაზედა?
ენლა გამეჭეცა შორს გადგა,
სოლომან ჩადგა კვალზედა.

— მე ერთის მეტსა არ გესვრი,
მაღალ ღვთის სამართალზედა.
თუ ეს ერთი არ გაკმარო,
ხელი აიღო თავზედა.

ცნობილია ამ ლექსის მრავალი ვარიანტი.

მთქმელი ვასილ გოგოლაძე. სოფ. თერგვისი (გორის მაზრა) ჩამწ. გ. გოგოლაძე. ხელნაწ. ინსტ. H — 3117-ზ. მთქმელი გიორგი ელბაქიძე, სოფ. ზემო ხვედურები (ხაშურის რ.), 1934 წ. მთქმელი ბექაური. ჩამწერი ბახია — 14. VII — 1961 წ. ფ. არქ. ქ. 69, გვ. 94; ჩაწერილი ტირზნისში 25. VII — 1961 წ. ფ. არქ. ქ. 70, გვ. 159. მთქმელი ბესარიონ ბალმწარაშვილი, სოფ. მეჭვრისხევი (გორის რ.), ჩამწ. ნონა ლამბაშიძე. 1962 წ. თსუთა № 2626. არსებობს კიდევ მრავალი ნაბეჭდი და ხელნაწერი ვარიანტი.

პირთა საძიებელი¹

ავტორი. ჩაწვირ-შეგარბანი

- აბაშიძე ირ. I 24, 288; III 490
 აბაშიძე შ. III 489
 აბესალოაშვილი ა.პ. III 302
 აბზიანიძე ც. III 400
 აბიკა III 449
 ავალიანი ს. I 37
 ავალიშვილი ზ. I 274
 ავსაჩანიშვილი ეთ. I 230, 271, 273, 334; II 220, 237, 277, 280
 აღავეძე შიხ. II 352, 364, 365
 აღბანელი დ. I 354, 409, 410; III 345
 აღხაზაშვილი ილ. II 294
 ამირანაშვილი შ. I 274
 ანდრონიკაშვილი ნ. III 301
 არჩილ მეფე I 222, 223
 ასათიანი ნიკო II 268, 284
 ასლამაზაშვილი ე. III 489
 აფშინაშვილი გრ. I 206, 378
 ახვლედიანი აზ. III 491
 ახვლედიანი შ. III 302
- ბაგრატიონი (ბატონიშვილი) ბა.გრატი II 256, 270
 ბაგრატიონი (ბატონიშვილი) დავით II 255, 256
 ბაგრატიონი (ბატონიშვილი) ვახუშტი I 184, 190, 191, 193, 393, 236, 262,
 ბაგრატიონი ი. II 281
 ბაკურაძე ნ. (ქართველი ოსებში) I 405; II 336, 337
 ბაკურიძე სალ. I 319, 320, 325
 ბალიაური ერ., I 377; II 229, 312
 ბათოვი ნ. I 228; II 247, 366, 373, 375
 ბარამიძე აღ. I 24
 ბარდაველიძე ე. I 204
 ბარნოვი გ. III 367
 ბარნოვი ვ. I 18
 ბაჩანა (რაზიკაშვილი ნ.) I 362, 385; III 339
 ბახია III 474, 495
 ბახტაძე ბ. II 351, 382
 ბედუქაძე ს. I 229
 ბელინსკი ბ. I 15
 ბეჟანიშვილი ბ. III 471
 ბერიძე ვუკ. II 247, 251
 ბერძენიშვილი ნ. II 233, 234, 243, 275, 301, 307, 316, 367, 371, 375, 381, 382; III 284, 285, 286, 287, 289, 292, 303, 347, 351, 487
 ბეწუკლიშვილი შ. I 357, 361, 367, 369, 377, 394

¹ რომელიც ციფრებით აღნიშნულია ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერების ტომები.

² იგულისხმება გამოკვლევათა და წყაროთა ავტორები.

ბიბლიაშვილი ვ. I 282
ბილანიშვილი ზ. I 18, 277,
278; II 217, 223, 233, 247, 281,
285; III 301
ბოგატორიკი ბ. III 375
ბოძაშვილი იოს. III 370
ბოქორიშვილი ლ. I 400, 411
ბროსე მ. I 15; III 491
ბუთლიაშვილი ვ. III 346
ბურჯანაძე ქ. I 273, 277, 288,
295; II 250
ბუქურაული ივ. I 18, 310,
320, 326; II 219, 223, 230, 236, 280,
282, 283, 291, 292, 295, 296, 315;
318, 319, 328, 338, 340, 344; III
327, 332, 334, 344, 346, 350, 351

გაბათაშვილი I 224
გაბლიანი I 296, 297, 299, 300,
305
გამბა I 20
გარსევანიშვილი ალ. II 323,
324, 325
გაჩეჩილაძე სევე. II 274, 346,
350, 351, 352; III 300, 358, 372
გელოვანი III 341
გვარამაძე ქ. (ვინმე მესხი)
I 342; II 231, 232, 239, 251, 257,
258, 269, 274, 349, 366; III 325
491
გიორგიჯანიძე ფ. I 189
გობრონიძე III 438 -
გოგებაშვილი იაკ. I 15, 18,
181, 186, 194; 240, 291; III 361
გოგებედაშვილი ლ. III 354,
357
გოგიჩაიშვილი ფ. II 226, 291;
II 233, 247, 271, 276, 277, 278, 290,
291, 305, 318, 379; III 304, 358, 361
გოგოლაძე გ. I 198, 231, 287,
290; II 242, 254, 261, 269, 302, 385;
III 367, 457, 495
გრიშაშვილი იოს. II 345
გოგიჩაიშვილი ერ. III 353,
367

გოგოქური დ. I 359; III 441;
445, 446, 451
გოგოქური თ. III 301, 443
გოგოქური ნ. I 372
გოლოვინი ა. I 185
გომელაური ივ. I 325; II 369
გომიაშვილი ალ. I 334; II
248, 251, 292; 341; III 456
გორგაძე ს. I 18
გორკი მ. I 8
გულისაშვილი ზაკ. (შაკ-
რო) I 187, 318
გუჯეჯიანი მ. I 213, 214, 216,
218, 219, 220, 221, 296, 299,
302, 367

დადიანი ნ. I 192
დავითაშვილი იოს. I 18, 211,
212, 232, 233; II 297
დანბეგაშვილი რ. II 244
დერჯავინი ვ. III 305, 492
დობროლიუბოვი ნ. I 15
დოლაქიძე შ. I 311, 330, 340,
403; III 456
დუმბაძე ნ. II 256; III 322
ებანოძე ვიქ. I 195, 241
ებრალიძე ს. I 50; III 440, 441,
443
ევდოშვილი ირ. III 396
ელიოზიშვილი ი. III 491
ელიოზოვი II 375
ერიხთავე რაფ. II 322, 359;
III 303
ერქომაიშვილი გ. III 301
ვართაგავა იბ. I 17
ვესელოვსკი ალ. I 19, 20,
236
ვირსალაძე ელ. I, 20, 194,
198, 199, 235, 263, 268, 269, 271,
275, 288, 296, 342, 373, 406, 417;
II 248, 238, 274, 292, 375, 378,
III 284, 285, 286, 288, 289, 301;
321, 322, 325

ზარაფიშვილი ან. I 227

ზოიძე მ. III 412

თათარაშვილი შ. III 488, 489

თაყაიშვილი ექვთ. I 23, 34, 36, 190, 192, 200, 211, 222, 277, 281, 284, 295, 298, 310, 313, 317, 320, 327, 379; II 217, 218, 221, 231, 232, 233, 239, 241, 245, 247, 248, 251, 255, 256, 257, 258, 269, 275, 279, 281, 282, 284, 291, 292, 299, 302, 318, 319, 322, 333, 340, 346, 349, 350, 351, 352, 375, 378, 379, 385; III 300, 327, 330, 332, 333, 234, 344, 346, 350, 351, 358, 372, 399, 491

თომაშვილი დომ. I 195, 196; II 352, 364

თოფურია ვარლ. I 213, 214, 218, 219, 220, 221, 296, 297, 298, 299, 302; III 367

თაშვილის. I 184

თორდანიშვილისოლ. I 288

თოსელიანი დ. I 264

თოსელიანი პლ. I 15, 392

თყალთოელი ბარს. I 190, 193

კაზიბეკი ი. I 181

კალანდაძე ა. III 303

კალანდაძე გ. I 286; II 335; III 293, 347, 352, 491

კალატოზიშვილი ი. III 301

კანკაევა გ. I 183

კაპანაძე ან. II 284

კაკიაშვილი გრ. I 36; III 304, 305

კარბელაშვილი დ. III 301

კარბელაშვილი ე. II 328

კარგარეთელი ან. (ვაჭირელი ქალი) I 193; II 220, 242, 283, 285, 293, 297

კარგარეთელი ია I 282, 286; III 398

კარიჭაშვილი ნ. III 297

კაციტაძე მის. I 223

კედელაძე მის. I 222

კეკელიძე კ. I 24, 185, 186, 260, 274; II 345; III 6

კელენჯერიძე მ. III 301

კენკიშვილი ელ. III 449

კეშელაევა პლ. III 304

კეშელაევა ხ. III 301

კვაჭაძე გ. III 353, 367

კობაიძე ა. (კალმის წვერა) I 331; II 242; III 288

კობახიძე კ. III 433

კობტანაშვილი ე. II 267, 370

კოტეტიშვილი ვ. I 20, 32, 41, 50, 181, 183, 192, 193, 209, 223, 231, 236, 312, 319, 327, 402, 410, 411; II 217, 221, 240, 253, 260, 266, 267, 268, 284, 285, 286, 327, 328, 336, 337; III 300, 301, 302, 324, 372, 420, 462, 491

ლაზარიშვილი ი. II 255, 261, 282, 284, 385

ლაფარგი პ. I 13

ლენინი ე. I 38; III 355, 359

ლენიძე გ. I 24, 27, 277, 280; II 231, 256; III 6, 487, 488, 489, 490

ლერმონტოვი ი. I 19

ლიქოკელი ბ. I 202, 343, 347, 358, 360, 373, 380, 383, 398; II 291

ლომთათიძე გ. I 182; II 237, 299; III 302, 343, 402, 419

ლომთაძე ა. III 301

ლომთური თ. I 184

ლონგიშვილი იოს. III 474

ლონდონი ჩეკ II 345

ლორთქიფანიძე ქეთ. I 214, 250; II 294, 295

ლოსაბერიძე ევს. III 356

მაგმაძე თ. II 359, 363

მათიკაშვილი ლავრ. II 376, 385

მაისურაძე ილია I 295; III 325, 367, 457

- მაისურაძე იოელ I 197, 213
 მაკალათია ს. I 30, 34, 208,
 230, 231, 295, 328, 329, 332, 341,
 374, 416; II 230, 243, 266, 270,
 280, 378, 385; III 288, 325, 329,
 331, 333, 374
 მამაცაშვილი დ. II 271; III
 361
 მამულაშვილი ალ. II 320,
 321
 მარგვიანი ი. I 220
 მარეხაშვილი დ. II 278; III
 301
 მარსაგვილი მის. III 487, 489
 მატყევეი III 301
 მაღალაშვილი კ. I 254, 275,
 276
 მაყაშვილი დ. I 184
 მაყაბერიძე ვ. I 184; III 292,
 293, 300, 305, 322, 491
 მაკვაკარიანი თ. I 410
 მაქოშვილი ალ. II 317, 318
 მახარაძე აკ. II 242
 მდივან-ბეგ ოშან II 238, 248,
 258, 261, 262
 მდინარაძე ლ. III 433
 მეგრელიძე იოს. I 20, 287,
 291, 294; III 347, 348, 401, 407,
 425, 438
 მელიქიშვილი ი. III 304
 მერაბიშვილი ი. II 378
 მერკვილაძე სოს. II 247, 345
 მესხი ს. III 304
 მესხიევი ი. I 191
 მესხიშვილი ტ. I 184
 მეტრეველი ვლ. I 24
 მეუნარგია ი. I 18; II 296
 მიღერი ვს. I 19, 259
 მირაქიშვილი ალ. I 192
 მირიანაშვილი ა. III 192
 მირიანაშვილი ბ. II 250
 მიხეილიძე გ. III 301
 მოისურაფიშვილი ისიდ. III
 397
 მოლოდინაშვილი დ. III 285
 მოლოდინაშვილი ივ. I 214;
 II 306
 მორჩილაძე I 224
 მოსაშვილი ი. III 440
 მღებრიშვილი ფ. I 224
 მჭედლიშვილი შ. III 397
 ნადირაძე ა. III 304
 ნათაძე გ. I 416; II 219, 237, 306,
 373, 375; III 288, 300, 372, 472
 ნატროვეი ა. I 200
 ნახუტრიშვილი დ. I 187
 ნეკრასოვი ნ. I 15
 ნერსესოვი ი. III 303
 ნინოშვილი ეგნ. I 37; III 383
 ნიქარაძე ბეს. (თავისუფა-
 ლი სევანი) I 216
 ნოლაიდელი კ. III 424
 ონაშვილი ნ. I 201
 ონიანი შ. I 296
 ორბელიანი სულხან-საბა I
 288
 ორბელიანი ბ. II 248
 პატატაშვილი რ. III 441, 443
 პაბუაშვილი გ. III 301, 343
 პეტრიაშვილი ვ. II 248; III
 301
 პოტტო II 344; III 297.
 პუფი ვ. I 185, 186
 უირმუნსკი ვ. I 21
 ყორღანია თ. I 184, 185, 186,
 190, 191, 199
 ფლენტი ს. III 380
 რაზიკაშვილი ვ. I 214; II 221,
 306
 რაზიკაშვილი თ. I 15, 17, 200,
 207, 209, 224, 225, 277, 281, 282,
 284, 285, 295, 316, 317, 318, 320,
 324, 336, 340, 359, 366, 370, 371,
 375, 378, 385, 387, 388, 393, 395,
 404, 406; II 217, 227, 232, 233, 239,

245, 246, 248, 251, 252, 255, 256,
261, 269, 274, 277, 279, 280, 281,
282, 284, 286, 289, 291, 297, 299,
301, 302, 304, 306, 333, 337, 338,
339, 343, 351, 370, 375, 376, 378,
379, 382, 384, 385; III 300, 338,
343, 358, 362, 399, 463
რაზიკაშვილი ი. ე. I 356, 390;
II 231
რეხვიანიშვილი ნ. III 302
რკინული (არაბული) აკა-
რეკა III 368
როსტომიშვილი დ. I 350; III
336
რუხაძე ტრ. II 256

ხაგაძე ი. II 232
სახელაშვილი ნ. III 343
სახოკია თ. I 223, 268, 270
სეხნიაშვილი კ. II 292
სიღამონ-ნერისთავი ი. I 225;
II 374, 377
სივსივაძე ბ. III 441
სიხარულიძე ქს. I 10, 21,
23, 27, 29, 33, 34, 36, 40, 45, 47,
48, 50, 51, 52, 182, 186, 187, 191,
193, 195, 198, 199, 207, 212,
217, 221, 231, 235, 236, 248,
251, 254, 262, 263, 264, 269,
271, 274, 276, 277, 300, 371, 372,
373, 403, 416; II 217, 218, 231,
232, 234, 238, 257, 275, 291,
293, 294, 296, 301, 320, 327, 328,
343, 353, 363, 366; III 301, 319,
324, 346, 362, 368, 374, 393, 394,
395, 398, 400, 420, 440, 444, 445,
451, 457, 461, 462, 469, 472
სონღულაშვილი ი. III 289
სონღულაშვილი ჯ. II, 221,
285, 299, 380; III 300, 395
სუარიშვილი კ. I 319
სუღაძე ვ. I 263

ტატიშვილი ნ. I 287, 295; II
294

ტიკარაძე .ჯ. III 322
ტუქსიშვილი ვ. I 329, 353,
358, 368, 393; II 218, 237, 291, 318;
III 337, 341, 453, 454, 470
ტფილელი ი. III 488, 489

უთურგაიძე თ. III 330, 336
უშიკაშვილი პ. I 15, 16, 30,
32, 36, 46, 48, 185, 201, 214, 216,
222, 223, 225, 226, 227, 228, 229,
231, 262, 279, 280, 282, 296, 342,
348, 359, 361, 365, 381, 391, 392,
401, 404, 405; II 220, 225, 229,
231, 233, 234, 241, 247, 248, 255,
261, 263, 264, 270, 271, 275, 277,
278, 279, 282, 284, 288, 290, 291,
292, 304, 305, 317, 318, 336, 348,
371, 373, 374, 375, 376, 377, 379,
380, 381, 382, 385; III 301, 302,
303, 304, 305, 327, 347, 358, 361,
362, 367, 490, 491

ფარესაშვილი ნ. II 378
ფერაძე ა. II 304
ფეჩევი იბრ. I 253
ფრონელი ა. III 289
ფურცელაძე ანტ. I 287; III
489
ფუაველა ვაქა I 15, 17, 201,
261, 277, 286, 308, 310, 313, 316,
318, 319, 325, 376; II 293, 319,
320, 321, 339, 341, 342; III 337,
347

ქიშმიშოვი ს. II 292
ქოიავა ა. III 438

ღამბაშიძე ნ. III 322, 495
ღლონტი ალ. I 20; 182, 200,
224; II 255; III 322, 347, 349, 354,
356, 367, 374, 378, 382, 391, 393,
403, 419, 420, 434, 436, 437, 472,
473
ღლონტი შ. I 50; III 440, 441,
443
ღუღუშაური პ. I 391

- ყ აზბეგი ალ. I 15, 317, 368;
II 292; III 288
- ყ აშარაული ა. I 392, 417, 418
ყ იფიანი ს. III 362
- ყ იფშიძე იოს. I 270
- ყ ოჩიაშვილი ას. III 302
- ყ უბანეიშვილი ს. I 193, 211;
II 365
- შ ანაძე აკ. I 17, 20, 21, 24, 30, 36,
51, 183, 206, 207, 208, 209, 213, 214,
218, 219, 220, 221, 281, 282, 283,
286, 288, 296, 297, 298, 299, 302,
305, 306, 308, 309, 310, 311, 312,
316—325, 327, 329, 330, 331, 335,
336, 340—345, 347, 350, 353—366,
368—384, 387, 388, 390, 393—396,
403—406, 408, 409, 410; II 218, 219,
221, 222, 223, 227, 228, 229, 231, 235,
236—239, 242, 243, 261, 262, 267,
274, 277, 280, 282, 283, 286—289,
292, 293, 301, 302, 304, 307, 308,
309, 312, 315, 316, 318, 320, 337,
338, 339, 341, 343, 368, 369, 370,
376; III 336—338, 341, 343, 344,
345, 367, 368, 370, 443, 444, 445,
446, 448—451, 453—465, 469, 471,
472
- შ ატბერაშვილი გ. III 488;
496
- შ ეთეკაური გ. III 441, 458,
473
- შ ულგინი ს. I 245
- ჩ ავლეიშვილი ალ. II 269
- ჩ აჩიკოვი ა. III 305
- ჩ ერნიშევსკი ნ. I 15
- ჩ ერქეზიშვილი ლ. I 277; II
247, 271, 277, 381; III 301
- ჩ იქვილაძე ზ. III 301
- ჩ იქობავე არნ. I 270
- ჩ იქოვანი მის. I 17, 24, 278,
285, 287, 292—295, 388, 395, 404;
II 279; III 302, 322, 325—337, 347,
365, 367, 376, 378, 380, 381, 382,
383, 385, 386, 389, 390, 397, 424,
436, 437
- ჩ უბინაშვილი დ. I 15, 184,
185, 191
- ჩ ქარეული მის. I 228, 262
- ჩ ხაიძე მის. III 401, 407
- ც აიშვილი სოლ. I 20, 191,
201, 202, 204, 210, 214, 223, 235,
238, 243; II 217, 219, 221, 230, 231—
234, 237—243, 247, 248, 251, 255,
257, 261, 263, 266, 268—271, 275,
280, 282, 284, 285, 286, 291, 292,
294, 296, 305, 336, 368, 377, 378
- ც ანავე აბ. I 36, 40, 46, 52; II
248, 335, 336; III 293, 302, 304,
313, 321, 322, 325, 326, 390, 394—
401
- ც ინდელიანი უ. III 439, 441,
469
- ც ინცაძე დ. III 401
- ც ქიტოშვილი ნ. III 393, 409,
412, 416, 435
- ძ ამიაშვილი ი. I 182, 254; II
217, 221, 242, 254
- ძ იძიგური შ. III 287, 300
- ძ ოწყენიძე ი. III 302
- წ ერედიანი დ. III 302
- წ ერეთელი აკ. I 15, 17, 49,
221, 231; II 345, 364, 365
- წ ერეთელი გ. (მწერალი) I
18; II 365
- წ ერეთელი გ. (აკადემიკოს-
სი) I 14, 288, 366, 373, 381; III
449, 456, 464, 469, 471
- წ ერეთელი ქეთ. II 364
- ჭ ავქავეაძე ი. I 7, 16, 49, 192,
348, 392; II 263, 274, 288, 297,
399; III 319, 326.
- ქ ინქარაული ალ. I 325, 359,
404, 405, 408; III 300
- ქ იკინაძე (მთაწმინდელი) ზ.

I 18, 242, 243, 259, 262, 263; II 294, 328; III 293, 359
 კრელაშვილი კ. III 331, 489
 ხარაძე ზ. III 302
 ხაქაბურძიძე გ. III 397, 399
 ხახანაშვილი ალ. I 18, 19, 227, 236, 261, 276; II 255, 291, 379
 ხახანაშვილი დ. I 261, 322
 ხერხეულიძე ომან II 238
 ხეცურიანი ი. III 302
 ხედეღლიძე ი. III 302
 ხიდუშელი ფ. III 302
 ხიზანაშვილი დ. I 51, 311, 312, 316, 319, 323, 341, 379—382, 396, 401, 404, 405; II 218, 305, 306, 332, 339, 341—344, 370, 378; III 338
 ხინთიბიძე ანტ. I 39; III 349, 375, 376, 381, 382, 390—393, 402, 419, 420, 434—436
 ხორნაული ივ. I 202, 206, 227, 307, 324, 326, 327, 341, 352, 373, 382, 405; 413; II 277, 311, 372, 377
 ხუნდაძე სიმ. I 37; III 304, 383

ხუციშვილი ნ. I 182, 283; II 255
 ჭავჭავაძე ივ. I 186, 189, 274; II 233, 234, 243, 275, 301, 307, 316, 367, 375, 381, 382; III 285
 ჭამაგაძე გ. III 449
 ჭანაშვილი დ. I 18; II 295, 324, 326, 327, 328
 ჭანაშვილი მ. I 18, 181, 185, 186, 192, 215, 232, 235, 238
 ჭანაშია ნ. II 267
 ჭანაშია ს. II 233, 234, 243, 275, 301, 307, 316, 367, 371, 375, 381, 382; III 285
 ჭანდიერი ალ. II 371, 376, 377, 380; III 301, 358
 ჭანდიერი მ. II 217
 ჭანელიძე მ. III 302
 ჭაფარიძე ბ. II 278
 ჭაფარიძე გ. III 321, 490
 ჭიქია ს. I 253; II 267
 ჭორჭაძე დ. III 409
 ჭორჭაძე მ. III 347

მ თ ძ მ ე ლ ე ბ ი

აგურაშვილი ვანო II 295
 ავალიანი გიორგი I 217, 263
 ავსაჯანიშვილი ივანე III 490
 ავსაჯანიშვილი იოსებ I 230, 271; II 220
 აზიკურიძე პ. I 309, 321
 ალალიშვილი ალექსანდრე III 302
 აღუდაური ჩალხი III 470
 ამირხაბაშვილი ტატა II 284, 285
 ანტონოვი II 299
 არაბული ახალა III 449

არაბული ბერდია I 248, 356, 371; II 237, 266, 296, 301
 არაბული ბეწინა I 417, 418
 არაბული გაგა II 300
 არაბული გიგია III 459, 467
 არაბული გიორგი I 323, 364, 377, 395, 411; II 242; III 301, 342
 არაბული ვანო II 300
 არაბული ივანე III 461
 არაბული მზექალა III 343
 არაბული ნადირა III 368
 არაქევანიძე ანტონ II 241, 385
 არჩინაშვილი გიორგი I 392; II 248, 276, 279, 379

- ასათიანი უშანგი II 364
 აფციაური ივანე II 238
 აფციაური ლევან II 292
 ახალკაცი სანდრო III 301
 ახალკაციშვილი სოლ. III 441
 ახვლედიანი ჯ. III 302
 ბაბოშვილი პავლე I 295
 ბადრიშვილი კამისია II 291, 370
 ბალამწარაშვილი ბეს. III 322, 495
 ბალახაძე სოსო I 287
 ბალახურისძე შიშნია I 33
 ბალიაური ბადია I 340; IO 238 I
 ბალიაური ვ. I 382; III 368
 ბასიანაშვილი II 255
 ბაღდავაძე პეტრე II 382
 ბაჩაკაშვილი ზაქარა II 293
 ბაჭელიძე ს. III 392
 ბეჟანოვლი უსეინ I 223
 ბერიკაშვილი ივ. II 351
 ბერიძეშვილი გიორგი III 438
 ბესოშვილი ბაგრატ III 398
 ბეჭაური III 495
 ბიბილაშვილი ალექსი III 285, 286
 ბიბილური მართა I 254, 275, 276
 ბიბინეიშვილი მალაქია III 354
 ბილანიშვილი გრ. III 301
 ბიწაშვილი ი. III 301
 ბურდული შ. III 289
 ბუჩუქური გლაზა I 417; III 325
 ბუჩუქური სიმონ II 274; III 284
 გაბური ბესარიონ I 306, 319, 327, 340, 345, 363, 374, 376, 382, 394, 405, 408; II 292, 309, 339, 345, 369; III 344, 443, 444, 449, 450, 455, 457, 458, 459, 461, 462, 471, 472
 გაბური ს. III 444, 445, 446, 453, 459, 463, 464
 გამლივარაული ბერდია I 226, 359, 361, 365; II 225, 234, 264, 376
 გელაშვილი იოსებ III 400
 გელიაძე ივანე I 403; III 456
 გვალაია პ. III 302
 გვაძაბია ფ. III 302
 გვრიტიშვილი ა. III 285
 გიანაშვილი დ. I 206
 გიგაური აბა III 401, 463
 გიგაური სია II 291
 გიგაური ხთისო I 404
 გივიშვილი ც. III 301
 გიორგაძე ასლ. III 418
 გიორგაძე თამარ III 431
 გიორგაძე იას. I 195, 198, 199, 235, 263, 275
 გოგოლაძე ბასილ I 198, 290; II 242, 302; III 495
 გოგოლაძე ლაზ. II 254, 261, 269
 გოგოლაძე მიტრო II 385
 გოგოქური გიგია I 341, 360
 გოგოქური ვაჟია I 372
 გოგოქური მ. III 342
 გონაშვილი ილია III 441
 გონჯილაშვილი პ. I 326
 გოჩილაძე დ. III 331
 გოძიაშვილი ალექსი I 342; II 291; 377
 გუგუნივა გრიგოლ III 348
 გულბანი სოზარ I 276; III 363
 გულბათი (ხახონა ლიქოქელი) III 449, 464, 465
 გულუა ა. III 409
 გურასპაული მარიამ II 280

გურგენიძე სიმონ I 223
გურიელი გრიგ. II 363
გურიელი მ. II 363
გ-ძე სინო I 195
გუჭეჭიანი ეშზა III 362, 363
გძელიძე ფოტინე I 277, 288

დაბალ გიგა (გიგაური) III
444, 455
დავამე საჩინო III 302, 321
დარჩია ალ. III 391, 392
დარჩია ქალენიქე III 393
დარჩია თეოფილე III 393
დვისამე გიორგი III 472
დოლიძე ექვთ. III 382
დოლიძე შ. III 431
დუროშვილი ი. I 279

ელისამე პელაგია I 334, 335
ენუქიძე თ. III 396, 397
ენუქიძე სერაპიონ III 395
ერამე ზაქარია III 302, 311,
325

ზაიელი ლაგაზა I 373
ზარაფიშვილი ი. I 227
ზაქარაშვილი ევა III 489
ზვიადაური ალუდა II 223
ზურაბიშვილი სტ. II 280;
III 325, 367
ზ-ძე ტ. II 269

თავბერიძე ესტატე I 379
თავდგირიძენ. III 350
თავდგირიძე ყ. III 350
თავდიდიშვილი ვ. III 322
თავდუშამე მ. III 392
თათრიშვილი ს. III 301
თამაზხანოვი გიორგი II 277
თანდილაშვილი ივ. III 454
თედგირიშვილი სიმონ I 243
თედგირიაული გაგა I 362
თოდრია-თედორაძე ვლენე
III 438
თოთამე ექვთ. I 295

თუმანიშვილი გიგო I 294
II 382
თურუნჯიოღლი მემედ I 270
თურქაძე ბაბო I 322

იამანიძე დომენტი I 194,
198
იამანიძე პეტრე I 199
იამანიძე სიმონ I 194, 275
იანქოშვილი ელ. III 292
იმედიძე ლაზ. III 372
ინასარიძე შიხ. I 293
ინატაშვილი გ. II 278
იუკურიძე დ. III 302

ქაკალაშვილი გიგლო III
398

ქაკალაშვილი ირაკლი II 221
ქალანდარიშვილი ერშალოზ
I 241

ქანანელი გიო III 292
ქანდელაკი ე. III 302
ქაპანაძე დ. III 302
ქაპანაძე ს. III 395, 396, 399
ქილაძე მარ. III 434, 436
ქიტოშვილი სილო III 489
ქიქიაშვილი (მესტვირე) II
281

ქობალაშვილი ზურ. III 439
ქობიაშვილი ვ. III 291, 302
ქობიაშვილი ილიკო III 291
ქობიაშვილი მ. III 461
ქობალაანი საჩინო III 327
ქოქლაშვილი ი. III 471
კუპატაძე ქიბა III 443
კუპრაშვილი ნოე I 182, 187,
231, 274; II 363
კურდლაიძე (ჭვრიტინაიძე)
სარა III 343

ლაზარაშვილი თეკლე I 293
ლაქარაშვილი გიგა II 284
ლეგიაძე ივ. II 232
ლეთოდიაანი პეტრე III 395

მეკობრეობის ღირსება II 294
მეგობრული დავით II 365
მეგობრული ივ. III 302
მეგობრული ბეწია I 400
მეგობრული მამუკა I 352
მეგობრული მართა III 456
მეგობრული რ. I 227
მეგობრული მიხეილ I 269
მეგობრული ნ. III 326

მათიასწავლი ილო III 300
მაისურაძე ივანე II 237, 280
მაისურაძე ონ. III 367
მაკარაშვილი ს. II 242
მამუჩაშვილის სანდრო II 221, 285

მარშანია ა. III 390
მალრაძე გუგუნი II 365
მარხიშვილი ლუკა III 453
მეზარბიშვილი I 295
მელიქიძე არტ. I 293
მელიქიძე ვასო II 253, 269
მელქაძე შაქრო III 412
მერკვილაძე ივლ. III 401, 439
მერკვილაძე საბა II 220, 231, 255, 261, 280, 353, 364

მესაბლიშვილი გ. I 227
მეჭოშვილი იაკობ I 292
მილაშვილი არჩილ I 214; II 348, 349, 350

მინდიკაური ლეკო I 325
მიქაძე ქაქუჩა II 385
მიქელაშვილი ვანო III 301, 319, 320

მნათობიშვილი ნ. III 322
მოღებაძე ბ. III 322
მოქვერაშვილი ივანე 474

მოსიაშვილი ი. III 419
მეკვიციანი ი. III 419
მრეველიშვილი ელ. I 318
მრეველიშვილი გ. III 322, 326
მურჯიკნელი ლავრენტი I 269; III 457

მურჯიკნელი მინალორა I 269; III 302
მურჯიკნელი პარასკევა I 287
მუხაშვილი ალექსი I 250.
მკედლური ნიკო II 291

ნადირაშვილი საღირა I 405
ნაზლაძე ა. III 304
ნათელაშვილი გიორგი (ფარინე) II 330, 335, 336
ნასრაძე ნიკ. III 354, 356
ნატროშვილი თევდორე II 371

ნებაძე ი. I 263
ნიკოლეიშვილი ბესარიონ I 182
ნიორაძე მინ. I 286
ნიჟარაძე ევაკა III 322

ონაშვილი ია III 301
ონოფრიშვილი პ. III 488, 490
ოსეურაშვილი ალექსი III 473

ოსიაშვილი ს. III 302
ოქროპირიძე დ. III 398
ოჩიაური ალექსი I 281; III 457, 459, 460, 461, 463, 464
ოჩიაური ბახა II 368
ოჩიაური გარსია III 445, 446
ოჩიაური გიორგი (გერგეტელი) I 226; III 372, 374
ოჩიაური თოთია III 461.
ოჩიაური ივ. I 381; II 336, 377
ოჩიაური იონეურ I 380

პირველი ილარიონ III, 363
პირველი იოსებ I 277
პირმისაშვილი გაბრიელ III 292
პირქუშაშვილი დავით III 449

ჟამიაშვილი პეტრე I 281
ჟღენტი ვ. III 393

ღრმელაშვილი ი. III 301
 რუსიაშვილი ისაკო I 271
 ხარალიძე ი. III 302
 სეთურიძე ივ. II 375
 სიღამონიძე III 474
 სისაური შ. II 237; III 302, 342
 სისვაური. რ.ომანოზ III 333
 სიხარულიძე დარდო III 393,
 395, 400, 420, 457
 სიხარულიძე ვ. III 349
 სიხარულიძე ს. III 390
 სიხარულიძე ფილიპონ III
 375
 სონღულაშვილი ანტ. I 182;
 II 380; III 300
 სულხანიშვილი მ. III 300
 სუსიაშვილი იუზი. III 473
 ტაბატაძე ს. III 302
 ტარკოშაძე მ. III 331
 ტატურაშვილი სტ. II 294,
 306, 313, 370
 უჯირაული ალ. III 329
 ფარიულაშვილი შ. II 376
 ფეიქრიშვილი შ. III 301
 ფიცხელაური ივ. I 340
 ფხაქაძე ო. III 302
 ქადაგიშვილი გაბო I 254
 ქავთარაძე ალექსი II 248
 ქავთარაძე გ. I 392
 ქავთარაძე ლ. III 321
 ქეზაძე გ. II 271; III 304, 314,
 361, 362
 ქეთელაური ბაბუა I 344
 ქეთელაური გ. I 413
 ქეთელაური ტუჩა II 372
 ქერაული ბაძია III 462, 471
 ქერაული ბეჟიტა III 470
 ქერაული შიშია III 469
 ქიბიშაური გაბო III 443

ქისტაური ვ. III 301
 ქისტაური მინდია I 362, 369,
 370; II 221, 235, 267
 ქისტაური ხთისო I 373
 ქოჩერაშვილი მათია III 354,
 355
 ქრისტეხელი ს. III 302
 ღლონტი პელაგია III 391
 ღლონტი სოფიო III 378
 ღონლაძე გარსია II 365
 ღონლაძე ვ. III 300
 დუდუშაური ბიკია I 327, 340
 დუდუშაური გუგუა III 453
 დუდუშაური იაგორ I 335
 ყამარაული სანდრო I 418
 ყველაშვილი შიხ. III 441
 ყიფიანი იაკინთე II 359, 363
 შავერდაშვილი ბერიძე III
 474
 შარვაშიძე გიორგი II 363
 შარიქაძე რ. III 302
 შევარდნაძე გულ. III 419,
 420
 შერვაშიძე სონია I 302
 შელვიაშვილი სოლო II 336
 შუკვანი გიგო I 269; III 363
 შუჭაშვილი ფილო I 228
 ჩაველიშვილი აკაკი III 416,
 435
 ჩალაძე ო. III 325
 ჩარქსელანი პარტენ I 298
 ჩეფოლლი მემედ I 270
 ჩოხელი ბუჭკია I 342
 ჩოხელი ივანე III 287
 ჩოხელი შიხა I 373, 406, 417
 ჩოხელი შიო I 417
 ჩოხელიშვილი ფრუშკი III,
 370
 ჩხაიძე ნესტორ III 356
 ჩხუბიანი გ. II 221

ცეცხლაძე I 269
ცეცხლაძე ელპიტე III 416
ცინცაძე მეტია III 394
ცირეკიძე ნ. III 394, 400, 439
ცისკარაული დ. III 446
ცისკარაშვილი ს. I 402
ცისკარიძე კ. III 382, 391
ცოცანიძე მარიხო III 331
ცხვარიაშვილი შ. III 302

წაქაძე გ. III 322
წერეთელი გიორგი
დავითის ძე II 364
წერეთელი ექვთიმე I 185
წვერაიძე ვიო I 319
წიკლაური თათარა III 455
წიკლაური თოთია I 226, 231,
269, 372, 403, 416; II 296, 370
წიკლაური შ. III 443
წიკლაური წვრილ ა III 461
წიკლაური ხირჩლა (ნისლა-
ური ხირჩლა) I 226, 248, 262;
II 291, 366
წიწკალაძე ქეთევან I 231
წოწკურაული ათია I 388
წულუკიძე იასონ II 363

ჭანტურია არტ. III 407, 425
ჭანუყვაძე ი. III 381
ჭანხოტელი სოლომონ I 221
ჭითაეა ე. III 418
ჭიკაიძე ი. III 302
ჭიკაიძე ს. III 321
ჭინჭარაული ბაბო II 228;
III 368
ჭინჭარაული ბათაკა III 456
ჭინჭარაული ვიგი I 209
ჭინჭარაული გოგოთურ
I 366, 381
ჭინჭარაული ლეკო I 405;
III 300

ჭინჭარაული ნიხლაურ I 408
ჭინჭარაული საღარა III
448, 451
ჭინჭარაშვილი პელაგია
III 420
ჭოლიკაშვილი ალექსი I
326
ჭყონია ყურაშუმ I 223

ხავთაძე თომა III 424
ხარაზიანი გიორგი I 297
ხარაიშვილი ს. III 322
ხეთაგური გახუტა I 330
ხელაძე ივ. III 419
ხერგიანი ანტონ I 251
ხერუაშვილი მ. III 322
ხიდუშელი ივ. III 302
ხინთიბიძე იოს. III 401
ხიტენაშვილი მ. III 301
ხიხალაშვილი პ. II 294
ხმალაძე შ. III 300
ხომასურიძე მოსე II 250
ხორნაული ნ. II 311
ხულელი იასე I 384
ხულელი მოსე II 278
ხუნდაძე სოფრ. II 359
ხუტურიძე მარტილო I 320,
325
ხუციშვილი იოსებ II 276;
III 302, 473

ჯაბაური გ. III 301
ჯანგავაძე გიორგი I 195, 196
ჯანელიძე იასონ III 302
ჯვიელაური ირსებ III 457
ჯინჭარაშვილი I 222, 223
ჯინჭარაშვილი პ. III 393
ჯინჭარაძე ს. III 424
ჯილაური ივანე I 184
ჯორბენაძე სიმ. III 397
ჯოჭიაშვილი აბრამ I 273

შ ი ნ ა ა რ ს ი

შემდგენელისაგან	5
1. 1804 წ. აჭანყება ქართლის მთიანეთში	7
2. 1812 წ. კახეთის აჭანყება	14
3. რუსეთ-ირანის ომი 1826 წ.	16
4. 1828 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომი	20
5. არსენა ოძელაშვილი	24
6. დიკლო-შენაქოზე თავდასხმა — 1836-37 წ.	40
7. ჯანყი გურიაში. 1841 წ.	55
8. ოზურგეთის ომი 1854 წ.	64
9. შამილისა და ყაზი შაჰამის მეთაურობით, ლეკების შემოსევა თუშეთში	56
10. საგლებო რეფორმა საქართველოში 1864 წ.	63
11. რუსეთ-თურქეთის ომი 1877-78 წ.	91
12. რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 80—90 წ.	98
13. 1905—1907 წ. რევოლუცია, რეაქცია	118
14. სალდათობა, იმპერიალისტური ომი	211
15. შენიშვნები და ვარიანტები	284
16. საძიებლები	495